UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ა თ ი ნ ა თ ი

2022 / 2 / (44)

თბილისი
2022



***

გული შენი რწმენით ცოცხლობს,
დარდიანი ვეღარ მღერი,
გთხოვ, უფალო, მომაცოცხლო,
ვცდილობ შევიყვარო მტერი!

გულნაზ ხარაიშვილი



წმინდა იოანე ოქროპირი
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**

ხარება
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**

სულთმოფენობა (ფრაგმენტი)
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**



მამა გაბრიელი

შენი მადლით გული მოვირჩინე,
შემოფრინდა ჩემში გაზაფხული,
გამამდიდრე, ლექსში დამარჩინე,
ნიჭი გქონდა ჩემთვის შენახული.

გულნაზ ხარაიშვილი



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
უნდა იცოცხლო უწმინდესო

ჩვენი წმინდანი აცოცხლე ღმერთო,
მიეც წლები, რომ ჩვენთვის ილოცოს,
სულს უკვდავების სანთლები ენთოს,
საქართველო რომ გამომიცოცხლოს!

გულნაზ ხარაიშვილი



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

****

შენს საფლავთან ყვავის ია-ია,
კვლავაც ცოცხლობ, რას მიქვია გლოვა,
უფლის რჩეულს გულზე დაგაყრიან,
სიყვარულით ყვავილების თოვას.

გულნაზ ხარაიშვილი

შევქმენ ჟურნალი

აგერ წიგნები, თვალით რომ ხედავთ,
მეკი დარდებში შემომაღამდა,
მოკრძალებულად დღეს სიტყვას ვბედავ,
ლექსში კი გული ბევრჯერ აბღავლდა.
მარტოდ არა ვარ, ღმერთია ჩემთან,
მწრთვნის ისე როგორც ფოლადის ტყვია,
მე მის გარეშე სიტყვა არ მითქვას,
ვწერ და წყნარ ნიავს უფალთან მიაქს.
შევქმენ ჟურნალი არც თუ ურიგო,
წმინდა გიორგის, ნინოს ხატებით,
ვცდილობ სიკეთის ნერგი დაგირგოთ,
თუმც დარდიანი თქვენთვის დავტკბები.
ლეღვის რძესავით მდის სისხლი ხშირად,
და იობივით ვითმენ განსაცდელს,
მასაც დავლოცავ ვინაც მე მწირავს,
ბოროტებისთვის წლებს არ გავაცდენ.

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

თეა კანდელაკი

მე გამოვმერწე...

მაიკომ სული შთაბერა
დათომ იქადაგა...

ასე შეიქმნა ერთ სულად და ერთ ხორცად ქართველთა საამაყო და დასაბამისეული ანბანის "ანიდან-ჰოემდე – „იავ-ნანა"

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ამ უნიჭიერეს ადამიანებს – მაიკო მაჩაბელს, რომელმაც წარმოუდგენელი შესძლო (უამრავ კომპოზიტორთაგან, რომელთაც სურვილი გამოთქვეს ჩემს მიერ დაწერილ ლექსზე „ვითამაშოთ ქართულ ანბანთან ერთად" მუსიკალური კომპოზიცია შეექმნათ წლების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა) მაიკომ წაკითხვისთანავე მითხრა: – თიკა! შენ ჩემი მონათესავე სული ხარ! და ვხედავ წინ ბევრი ერთობლივი პროექტი გველოდებაო... და შექმნა ის, რასაც მხოლოდ განგების ზე-ბუნებრივი მადლი აკეთებს ჩვენნაირ მოკვდავთა ხელით ❤ დავითის ხმა და შესრულება ანალოგიურად იმეორებდა იმ განცდას და გზას რასაც მე თავად განვიცდიდი წერის დროს...❤ ვუსმენდი და ცხადლივ ვხედავდი იაკობ გოგებაშვილს ბავშვებთან მოქადაგეს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა შესრულებამ ❤ ❤ ნიკა ნიკვაშვილს – საოცრად დახვეწილი აკადემიური გაორკესტრებისათვის, ❤❤ მარიამ ლომთათიძეს დაუღალავ და უნიჭიერეს მრავალი პროექტის ავტორს საქართველოს მერიას დაინტერესებისა და დაფასებისთვის კულტურის სამინისტროს...და ყველას ვინც ეს ლექსი გააცოცხლა უკვდავჰყო❤ ❤ ❤



ვითამაშოთ ქართულ ანბანთან ერთად

თეა კანდელაკი, ციკლიდან „სამავშვო პროგრამისთვის"

ა ბ გ დ ე ვ
ზ თ ი კ ლ
მ ნ ო პ ჟ რ
ს ტ უ ფ ქ
ღ ყ შ ჩ ც ძ
წ ჭ ხ ჯ ჰ

ანი-დან ჰოე-მდე
საიდუმლო დუღს.

ან-ი, ბან-ი, გან-ი, დონ-ი,
რა ასოა რიგში მდგომი?
ენ-ი, ვინ-ი, ზენ-ი, თან-ი,
შევისწავლოთ კვლავ ანბანი.

ინ-ი, კან-ი, ლას-ი, მან-ი,
ფეხს ამშვენებს ქალამანი.
ნარ-ი, ონ-ი, პარ-ი, ჟან-ი,
"შეჭამაო მიწამ ჟანგი".

რაე, სან-ი, ტარ-ი, უნ-ი,
ვინ დაუდო ქართულს წუნი?
ფარ-ი, ქან-ი, ღან-ი, ყარ-ი,
კვართი შეგვხვდა წილნაყარი
და ქართულიც, ვით ლაზარე,
აღდგებაო ენა მკვდარი.

შინ-ი, ჩინ-ი, ცან-ი , ძილ-ი,
ღმერთმა მოგცეთ ტკბილი ძილი.
წილ-ი, ჭარ-ი, ხან-ი, ჯან-ი,
დაწყობილა როგორც ჯარი.

სრულყოფილი ანბანისთვის
რაც დაგვაკლდა ცოდნით ჰპოვე,
ვინ მიხვდება რა იქნება?
- ბოლო ასო ბგერა - ჰოე!

ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ, ზენ, თან,
რვა-რვად დავითვალოთ.
ინ, კან, ლას, მან, ნარ, ონ, პარ, ჟან,
წრეზე გავითვალოთ.

რაე, სან, ტარ, უნ, ფარ, ქან, ღან,
სწრაფად დავიმალოთ,
ყარ, შინ , ჩინ, ცან, ძილ, წილ, ჭარ, ხან,
ძებნით გადავღალოთ.

ასო ჯან-ი დაგვავიწყდა
დამალულა სადღაც,
ქართულ ანბანს ამოვქარგავთ
დავამშვენებთ ფარდაგს.

ცოდნით ყველა გავახაროთ
სიბრძნე ყველას ჭქონდეს,
თვით ღმერთიც ხომ ყველგან მყოფი
ანი არს და ჰოე!

ჩემი თიკოს გარდაცვალებიდან თუ რამ გამახარებდა არ მეგონა და ვიცი მისი სული იქ ხარობს რადგან მან მაჩუქა ეს უნიკალური ადამიანები და ჩვენი სიხარული მისი სულის ზეიმი იქნება ❤ 👍❤

მინდა დიდი სიიხარულით გაგიზიაროთ სიახლე

❤ 🔔 საერთაშორისო კულტურის სივრცე გიწვევთ მორიგი პროექტის პრეზენტაციაზე, – უნიკალურ ქართულ ანბანზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოების, – „ანიდან ჰოემდე", პრემიერაზე, რომელიც გაჟღერდება #14 აპრილს, #15:30 საათზე, თბილისში

დედაენის სკვერში, თბილისის მერიის ორგანიზებულ ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

პროექტის დირექტორი
მარიამ ლომთათიძე

ორკესტრირება
ნიკა ნიკვაშვილი

მუსიკის ავტორი
მაიკო მაჩაბელი

პროექტის ფინანსური მხარდამჭერი
თბილისის მერია

ლექსის ავტორი
თეა კანდელაკი

პროექტის ორგანიზატორი
საერთაშორისო კულტურის სივრცე

მომღერალი
დათო გველესიანი

პოეზია

ვაჟა ეგრისელი

სიყვარულის ძურდები

ადრე ძმა ძმას ყვარობდა,
მოყვარე კი მოყვარეს –
ჭერქვეში მთელი პლანეტის.
და მერე კი ერთმანეთს
სიყვარული მოპარეს!!!
დარჩნენ უსიყვარულოდ!!!
და... ძულთ ერთმანეთი!!!

2020

ხილვა: უიპიტენი

ჯერ კი არგო არა ჩანს...
მაგრამ მე ტვინს „მიტენის“ –
პაპირუსზე ნაწერი – სიტყვა
„პუნტი“, ეგვიპტის
დედოფალ –
უიპიტენი.

1979

ბილინგვა

კოლხეთისკენ მავალი
გზები ათასწლეულთა –
გიჩანს მოკლე ბილიკად!
და წარსულის წყვდიადში
მიხვალ ხელისფათურით...
გზას გინათებს „ბილინგვა“
კოლხური და
ქართული

1962

შემოდგომა

მზე ჩადიოდა...
კართან მოხუცი წველიდა ძროხას,
კალთაში ედგა რძით სავსე ნიგა,
და იქვე ისლით დახურული
მოსჩანდა ქოხი
და ქოხში ვიღაც სიყვარულის
ჰყვებოდა იგავს.
ვით დამნაშავე, ხეზე თმებით ეკიდა ჩალა,
ძეგლივით იდგა ხმელი თივის
მაღალი ზვინი.
საღამოს ფეხებს ულოკავდა კერიის ალი,
მთებს შეეღებათ მზის სარკეში
ჭაღარა ინით.
ზღვის ბილიკებით მოფრინავდა
ნიავი გრილი
და შემოდგომის ყვითელ დროშას
სიზმრებში ხრიდა.
კურდღლის სიფრთხილით დადიოდა
ეზოში ძილი,
ღაჟოს გალობა მოისმოდა ნაცნობი ხიდან.

1961

მზე, მთვარე, ცა

მზე – ჰეფესტოა
ცეცხლის ალზე
დღეებს რომ ჭედავს...
მთვარე კი, მთვარე, –
ათასი იჭვით გამოხრული
ზევსის თავის ქალა!
ცა – ნიჟარაა,
ღამის უბეში,
თვალ-მარგალიტებს რომ
მალავს.

1965

პოსეიდონი

ვითარც ჰელიოსის ძეს,
        დღე-დღეა და ღამეც კი,
                უდგას მუდამ მზიანი –
მთებითა და
                მინდორით.
        რადგან იგი მუზათა –
        ზღვების,
                ოკეანების –
არის პოსეიდონი.
1969

მერცხლების დაბრუნება

დაბრუნდნენ და ქართული
        აივნების სვეტებზე
        ბუდეებს კვლავ იწნავენ –
ლიხს – აქეთ და ლიხს – იქით.
        ნისკარტებზე ჰკიდიათ
                გაზაფხული სიმწვანედ
და ავსებენ მიდამოს
                მხიარული ჭიკჭიკით.
1955

მზის შვილები ანუ აიეტიდები

ამოყვებიან დილის ციცნცხალ მზეს –
        სულები წინაპარი კოლხების
        და მთელი დღე დედამიწაზე
ეხეტებიან...
        და ცრემლების ცვივათ
                მძივები..
მათ ცაში უდგათ ვარსკვლავების
                ოქროს ქოხები.
და მიმწუხრისას იქ ადიან
                დასაძინებლად.
1965

ჰომეროსი, პინდარე

სულ ომი და სისხლის ღვრა...
        სამი ათასწლეულის მერეც
                ვეღარ იდარებს
და სამყარო მიაგავს ბრძოლის ველს
                და კორიდას!
        შენ ხელს უქნევ
                შორიდან –
დანტეს „ჯოჯოხეთში“ მყოფ
        ჰომეროსს და
                პინდარეს.
1969

პარაქსიტელეს აფროდიტე

სამყაროც ვერ დაიტევდა
        ამდენ სიხარულს და
                სევდას,
რასაც შენი გული იტევს...
        აი, ახლაც
                ჩუმად ყვარობს
პარაქსიტელეს აფროდიტეს.

1987

ხილვა: ორიკი და ოლკინი

შოორეული წარსულიდან –
        მომძახის და
                მომკივის:
(დავიწყების მტვერწაყრილი!)
კოლხთა დიდი ქალაქები –
        ორიკი და
                ოლკინი.
1963

ხილვა: ცეფეუსი

ვითარც მნათობს კლავს სიდიდის
        სხვა მშვენება,
        თავს არავის არ უტოლებს!!!
მასთან ქინქლად მეჩვენება:
მზე, მთვარე და
                დედამიწა,
ნეპტუნისი და
                პლუტონი.
1969

ხილვა: პტერანოდონი

სიშორის ხელს გიქნევდა
        პლატონიც და
                პლუტონიც.
კოლხეთს ედო კერა ოდოს!
        მიტომ ქართულ ფრთებს
                უტოლებ –
        ალბატროსს და
                პტერანოდონს.
1987

ბუნების კანონი

ეს ბუნების კანონია, –
ამ ქვეყნად არაფერი
აღარ ქრება!
კაცი როცა გარდიცვლება
ამა სოფლად,
კი არ კვდება!
ის სხვა სახითა და სხვაგან,
კვლავ განაგრძობს –
მუდმივ ყოფნას.

2019

ვარსკვლავები

უშფოთვლად ძინავთ
შებუმბლულ ვარსკვლავებს,
ფხიზლობენ იმათი დედები!
და პირველ ყივილზე მამლების
ძილი კვლავ უკრთებათ!
მეორეზე კი –
სიკვდილის ფერი ედებათ!

1969

ხილვა: ანდრიანეს „ვილა“, ტრაიანეს „ბაზარი“

წარსულის ბნელ სარკეში,
ნათლად კვლავ აილანდა
და დარეკა სხვა ზარმა,
კოლხთა ხელითნაგებმა –
ანდრიანეს „ვილამ“ და
ტრაიანეს[2] „ბაზარმა“.

1968

ქ ი ნ ქ ლ ა

ნათურის შუქზე მოულოდნელად,
თითქოს „იქიდან“
მოფრინდა ქინქლა
და ჩამჩურჩულა:
– ჯოჯოხეთია აქაც და
იქაც.

2008

მთვარე, ვით ბეთხოვენი

სიჩუმეს მიჯაჭვული,
ქარი მალე აიშვებს,
ცისა და ზღვის მთხოვნელი.
მთვარე, ვით ბეთხოვენი,
ისევ ისე აჟღერებს
ვარსკვლავების კლავიშებს.

1979

შეხედეთ ეგვიპტეს

უნდა შეუტიო არყოფნას,
სანამ თვითონ ის შეგიტევს.
უფალს ძე თვისი,
სასიკვდილოდ არ ემეტება.
შეხედეთ ეგვიპტეს!
თავზე ცა რომ არ დამხობოდა,
პირამიდები შეუდგეს სვეტებად!

1978

მთვარე ნავია ქარონის

მწუხრიდან –
განთიადამდე,
ელვის ნიჩბებს რომ
აელვებს,
მთვარე ნავია ქარონის.
მკვდართა სულები –
ცის იქით,
გადაჰყავს უსახლკარონი.

1993

ზღვა და ქარიშხალი

ზვირთთა ლოდებს მიაგორებს,
ზღვა არის და
ერჩის ღონე.
ქარიშხალიც გრძელფეხება
ისე დაჰქრის თავმომწონედ
თვით მიწასაც არ ეხება.

1986

* * *

ახლა ჟამთა ხავსი ფარავთ –
მზით ნამთვრალებს
და ნაღვინებთ:
არკადიას და ბაბილონს,
ქალდეს,
აიას და ნინევს,
ჩემი კოლხი წინაპრების
ნაალერსებთ,
ნაფოფინებთ.

1963

* * *

ადიდებული მდინარეები,
ვერ აუდიან დედამიწის
ცოდვების რეცხვას.
სივრცე სველია და ნაწვიმარი.
ცაში ანთია ვარსკვლავების
სამსხვერპლო ცეცხლი
და ღამის ღმერთს –
მთვარეს სწირავენ.

1986

ე თ ე რ ი

ქაოსიდან ამოსული
მზე - დღეს,
მთვარე – ღამეს შერთეს
და მას შემდეგ ღვთისტოლ ეთერს:
ცა უჭირავს ცალი ხელით
მეორით კი დედამიწა
და...
საშველად არვის ელის.

1980

* * *

ვითარც სიყმაწვილისას –
მეგრულ ოდის ლაფაროს,
ახლა ჟამს სიბერისას,
მინდა კოლხეთის წარსულს,
თავი რომ შევაფარო.

2007

ღამის მსახური

სიზმრად შემომხვდა ღამის მსახური,
უშნო,
უღონო და უსახური,
სული მომთხოვა, ვით არსაკიძეს,
შეკრთა...
(ო, ალბათ, ესეც ბედია)
მას მერე,
ეჰა, რა დრო გასულა,
არსად, არასდროს არ შემხვედრია!

1999

* * *

ყიყინებს ნათელს მთიების მყვარი,
მთვარე სახეზე იფარებს
ნისლებს.
ჟამი ირევა, ვით სკა ნაყარი:
რომ ქვეყნად ყოფნა
არაა მყარი
და... თავს სიკვდილსაც ვერ შეაყვარებ.

2000

* * *

ანგელოზების თავის ქალებია –
მთიები,
ფოსფორი ანათებს დათხრილი
თვალების,
ზოგჯერ რომ ფარავს ღრუბლების ძონძები.
ჩვენ მთელი სიცოცხლე
სიკვდილს ვემალებით,
და სულ ტყუილად!
ის მაინც მოგვძებნის.

2001

* * *

წამს გაიღება წარსულის კარი,
ყივის ცისკარი,
თუმცა ბინდია.
ათასწლეულებს გადასწევს მთვარე
და გამოაჩენს აიეტის
ოქროს სასახლეს,
აივანზე მდგარ ღმერთქალ იდიას.

1969

ედუარდ უგულავა

იმ დღეებში

იმ დღეებში კალამს დადებს აღმწერელი ჟამთა...
დაიწყება ულმობელი დევნა ქრისტიანთა.
იხმობს შავი ანგელოზი თავის ერთგულ მხლებლებს,
ჯადოთი და შელოცვებით მკვდართა დამძახებლებს.
ჯოხს აქცევენ ქვეწარმავლად, წყლად აქცევენ ღვინოს,
რომ ასეთმა სასწაულმა ბევრი შეაცდინოს.
სხვა სიმძაფრით მიიზიდავს დუჟმორეულ ნადირს
ყველა, ვისაც საკმეველის სურნელება ასდის.
იმ დღეებში გული მოყვასს უფრო შეიძულებს,
ვაი, მაშინ ორსულებს და ვაი, მეძუძურებს.
იმედს დაფლეთს გაჭირვება, ხორცს დაალპობს ჭირი,
ბევრი სული გაქვავდება, უფალს შესაწირი.
რა ამაო შეიქმნება სიმწრით თითის კვნეტა,
ვაი, მაშინ ცოდვილთა და მცირე მორწმუნეთა...
კერპების წინ მოიყრიან გაწყალებულ მუხლებს,
ვისაც შიში და შიმშილის გრძნობა შეაწუხებს.
არ იქნება მოსვენება, არ იქნება ძილი,
ცაზე მთვარე იტრიალებს, სისხლით გაჟღენთილი.
ადამის ძე პეშვით შეჭამს უნაყოფო მიწას
და სამშვინველს უმხურვალეს კვნესით გამოიწვავს,
რადგან შვებას ვერ იპოვის, დანატრული ძილის
და კუპრისფერ ყიამეთში ფეხშიშველა ივლის.
სახეს ხელით დაიფარავს, ცივი ქარით ნაცემს,
სული _ გვამში, ხოლო გვამი ბნელში იბარბაცებს.
შავი წყალი დასდინდება ქვებზე დამსკდარ ქუსლებს,
ხორცი ცოცხლად ამჟავდება, მატლი იფუსფუსებს.
ბრბო ლასლასით შეგროვდება სასაფლაოს კართან,
„თქვენ ამოდით და ჩვენ ჩავალთ!“ – ჩასძახებენ მკვდართა...
და თუ მაინც გათენდება როგორმე და ძნელად,
მზე არას გზით არ ამოვა ძაძაჩაუცმელად.
სმენას დაფლეთს მგლის ყმუილი და ყრანტალი ყორნის,
მხეცი სტომაქს ვერ წამოწევს, ლეშით ამოყორილს;
და როს ქანცი გაეცლება ერთა შორის ომებს,
ბოროტი რომ საბოლოო ჟინით გაილომებს, –
აღსრულდება! (უფლის სიტყვას არ სჭირდება დავა,
ცა და მიწა გადავა და იგი არ გადავა)
და სხვა შიში ჩაუდგება თვალში ევას ნაგრამს,
როცა ზეცის შავ კაბადონს ელვა გადაგრაგნავს,
დაიმსხვრევა ხმაურისგან ნიჟარები ყურის,
რადგან მიწას საყვირების ზარი გადაუვლის.
ჩამოცვივა ვარსკვლავები თავზარდამცემ ხმებად
და ყოველი სულიერი მიწას განერთხმება.
ვინც იყოს და როგორც იყოს, ქვეყნის ოთხივ კიდეს –
რასაც თესდეს, უსათუოდ, იმას მოიმკიდეს...
წამში ბოლო მოეღება უსასრულო ლოდინს
და მიხვდება ძე კაცისა, რომ უფალი მოდის!



გერონტი მესხი

მომიტევე

(ძეშეცთომილის აღსარება მეუღლისადმი)
(ჯ.კ-ს მონოლოგი)

სადაც უნდა დამიღამდეს, ღამე მთლად შენ გეკუთვნი.
შენთან ვზიდავ ჭაპანს ცამდე, ვით კავს-ხარი მეგუთნის.
კვლავ თუ ვინმე მიმიტაცებს, როგორც რკინას-მაგნიტი,
“ღმერთი დასჯის მსუნაგ კაცებს!” – თავს იმშვიდებ მაგითი.
ქალთა მუსუსს ვინ ედრება, ერთი-ორი შემთხვევა
წმინდა ბერსაც შეეშლება და ურჩის ჯვარს ემთხვევა.
ჩემი გზები შენსკენ იწევს, რა რომი და ათენი...
შენი გული ორ ზღვას იტევს, სხვას სად ძალუძს ამდენი.
რამდენჯერაც წავფორხილდი, შენზე ფიქრმა ამზიდა,
ვერ მაკრთობდა შავი ბინდი, ქუდი მეგდო ბანზედა.
ისიც გახსოვს, რის თქმაც გსურდა და რატომღაც, ვერა თქვი,
ისეთ ტალღად აგუგუნდა, ვერ ავზომე ვერაფრით.
მერე ურჩი დაცხრა ტალღა და დაოკდა მდინარე,
და ჩემს სულშიც რაღაც გალღვა შენგან გამომდინარე...
მალე ჩიბუხს მოვუყვები სხვა სახელზე, სხვა გვარზე,
ვინც მაჩუქეს ვნება, ნებით დადებული, ლანგარზე
და თავადაც თრთოდნენ ოდენ, როგორც თოვლზე-ციყვები...
(სხვანი ჩუმად გიამბობდნენ, მე ხმამაღლა გიყვები!)
კი, მე შენი ფანი ვარ და, შენ ხარ ჩემი ბატონი,
თუ ხელთ ქალი ჩამივარდა ფლირტი ენის პატრონი,
არ გაჰყვება ჩემი დარდი... კვლავ შინ მნახავ დღის ბოლოს...
იმედი ხარ სრული, მზარდი, და შენდობის სიმბოლო.
ღამე, მე რომ ნებაც მქონდეს, ვერ შევრჩები სხვის კარზე
და ვერც მნახავ, მალვით ოდეს ვბრუნდებოდე ცისკარზე.
დღისით ხდება წიაღსვლები, ღამე კვლავ შენ გეკუთვნის
და მოგართმევ, შენის ნებით, ჩემს თავს, ვნებით შეფუთვნილს.
სხვის ქურქს მიჯობს, ორიგინალს, შენი ჩითის ხალათი...
მომიტევე მორიგი და...
უნებლიე ღალატი...

2013წ.

მოდი ჩემთან!

თვალს სტაცებდი ირგვლივ ყველას,
მხარზე გეჯდა ამური.
გარს აურა გეკრა მცველად
მკაცრი და საამური.
ჩამიარე, როგორც უცხოს,
როგორც ვიღაც გარეწარს.
ღაწვი ისე ამესუსხა,
თითქოს სილა გაგეწნას.
სულში თრთოლვით დამიარე,
თვალში ჩადგა წყვდიადი.
სილამაზე ვაღიარე
უსასრულო, დიადი.
ნაბიჯ-ნაბიჯ გედგნენ კვალში
ურიცხვ ვაჟთა ფიქრები.
ყველა დროის ლამაზმანში
შენ პირველი იქნები.
დამენანა უშენობა
და ამ ფიქრთა სრბოლაში
არ მეგონა, თუ მშვენება
ჩამაგდებდა კოლაფსში.
ვფიქრობ, შენგან ნაიარევს
გამომარჩევ ას ბიჭში.
ცეცხლმა დამწვა, ჩამიარე
თუმცა სამ-ოთხ ნაბიჯში.
ნეტავ, რად არ დამემალე,
ან, ვინ გთხოვდა გამოსვლას?
ქალებს შურით უვსებ თვალებს,
კაცებს უწყობ გამოცდას.
უნდა იჯდე, სადღაც, სევრში
ეტალონად მშვენების,
ან, შენს როლებს ბევრზე ბევრში
ვეღარ თვლიდნენ შენები.
მაგრამ, თუკი არ გიტაცებს
უცხოური დიდება,
და, თუ მიხვდი, ქართველ კაცებს
დედოფალი გვჭირდება,
და, თუ სევრი გიღირს გროში,
მაშ, იტვირთოს დარდი სხვამ:
მოდი ჩემს თბილ სამყაროში
და დედოფლად დაგისვამ.

1990 წ.

მუზავ, ჩემო!

მუზავ, ჩემი სულის საზრდოვ, სიტყვაუხვო, მადლიანო,
ხან მზის სხივად დაფრქვეულო, ხანაც ნათქვამავდრიანო,
თურმე, როგორ მყვარებიხარ, შენზე ჩუმ-ჩუმ ვდარდიანობ,
როცა ჩნდები ლექსთან ერთად, ცაც ნათდება ადრიანად...
ლექსად იწვის კაბადონი, საკმეველი ადის ღმერთთან...
ლექსი- სულის სამოთხეა, სავანეა სპეტაკ ფერთა...
შენ კი, ვიდრე ლექსად მოხვალ, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალი რომ შეჰკივლებს და ტვირთს შესძრავს მემანქანე.
შემიპყარი, გამამხნევე, დამაფრქვიე რითმის წყებად,
შენ ხომ, როგორც ძველ სიყვარულს, არ გჩვევია მივიწყება.
ეს გული კი, მადლის მსგავსად, მოაბნიე სტროფებს შორის...
შენ ხომ ჩემი სულისთქმა ხარ და თქმულ სიტყვის პროფესორი.
ჩემი სისხლიც სტრიქონებს სცხე და ბგერები დამინამე,
სიტყვა ლექსში თუ არ სუნთქავს, ნამღერებიც არ მინდა მე.
ჩემთან ყოფნით, ვით აქიმმა, ყველა წყლული დამიამე,
სათქმელს ვწონით, ვარჩევთ, ვაწყობთ, გზის იქით ვყრით შხამიანებს.
გახსოვს, როგორ გვეჩოთირა ზოგის ომით „გართობები“?
სამ დღეში რომ წყლულად გვექცა ჩამოჭრილი ფართობები...
ბოლოს ყველას ღმერთი განსჯის, მარცხსაც იწვნევს ფალავანი.
რომსაც ჰქონდა იმპერია თვალუწვდენი გალავანით!..
ბონაპარტსაც უმარჯვნია დიდ ქვეყნებთან, ბარე ათთან...
„ვატერლოო“ ზოგს-მთებს იქით, ზოგს–შინ უცდის, კვარიათთან...
დროა, ჩვენი დროც დაგვიდგეს, დრო-სხვის დროზე უკეთესი,
თესლს უხდება გადარჩევა, დრო რომ მოვა უკვე თესვის.
და თუ განძის, წყალს რომ ახლავს, მოვესწრებით გაყოფასაც,
გავვოცდებით, უფლის მადლით, ხელს გამოვკრავთ რა ყოფასაც!..
...ლექსის თხზვის დროს მხარში მყევხარ ცისკრისას თუ გვიანისას,
ერთადა ვართ ერთსულ, ერთხორც, ვით ტყუპები სიამისა.
და ვრწმუნდები, თითქოს მსგავსი არ მსმენოდეს დღემდე არსად:
პოეტი და ლექსი იშვნენ ქათმისა და კვერცხის მსგავსად!..
მოდი, მუზავ, არ დამინდო და სიმართლე გამომწურე:
მგელს თუ ცხვარი ვერ წავართვით, ნუ ვწყვეტთ ამის გამო ტურებს.
და ისევე, ვით მომკელი მომკილისგან აგებს ზვინებს,
იმედი და რწმენა მადლით, სიყვარულით მათესვინე.
მოდი, კიდევ შემანჯღრიე, ერთი ისე შემაქანე,
ორთქლმავალის შეკივლებით ტვირთს რომ გაჰკრავს მემანქანე.
იქნებ, სადმე, ჩემს წიაღშიც ჰპოვო რამე მარგალიტი,
მეც ხომ მესხი-მელექსე ვარ, შოთას ციცქნა მაგალითი.

2015 წ.

ნახე, ბიჭო, ნახეო...

ნახე, ბიჭო, ნახეო,
ვნებას აფრქვევს სახეო,
თვალთა სხივით შეგბოჭავს,
როგორც ფრინველს -მახეო.
„მჯობნის მჯობი“ ქალია,
გულის გულიც გალია...
ისე შეუვალია,
როგორც ვეფხვის გალია.
რაჭველია, ქვე, განა?!
თუ,იმერელს ემგვანა?..
იქნებ,ჩადრით იაროს,
გადარია ქვეყანა...

ნაცარგორის დალაშქვრა

გუშინ ღვინით
ისე უღვთოდ გავტიალდით,
„ნაცარგორას“ მოვექეცით
მაღლიდან.
დაისის მზე
ჩანდა, როგორც
განთიადი,
აღმართ-აღმართ სიარულიც
არ გვღლიდა.
მაჩაბლის ცის ჭრილობები
ახლაც ფეთქავს,
ეშმა ისევ აპაჭუნებს
შავ თვალებს...
...ღვინომ ბუშტი, სიყვარულის,
გაგვიხეთქა
და „ჯვრის“ გორა
„ნაცარგორად“
ჩავთვალეთ...

2015 წ.

მუდამ მეყვარები

(სიმღერა)

შვლის ნუკრივით შერჩენილო ამაყ მთებს,
დასხლეტილო წუთით დედის უბიდან.
შუქურა ხარ, უკუნშიც რომ ანათებ,
როგორც მთვარე, თავდახსნილი ღრუბლიდან.
დანარნარებს შენი ლაღი მშვენება,
მზის სხივივით მწვავენ შენი თვალები.
როცა ღმერთებს ჩემი ტანჯვა ენებათ,
მომახვიეს სატრფიალო ალები.
ძალებს ვიკრებ სიყვარულის აღმართთან,
დასტურს ველი შენს ბაჯაღლო ზოდიდან.
სიყვარულმა ამნეზია დამმართა:
მიყვარხარ და, არც კი ვიცი, როდიდან.
შევუყვები აღმართს, როგორც მეგზური,
დახუნძლული სიყვარულის საგზალით.
გიხილე და ბედს მე აღარ ვემდური,
მიყვარხარ და ვერ აგიწერ, რა ძალით.
სიმღერაში სულს ვაქსოვ და ყველაფერს,
და ამურის ისარს გტყორცნი მხოლოდ შენ.
ჩემზე უკეთ სხვა ვერ გეტყვის ვერაფერს:
მიყვარხარ და მეყვარები ბოლომდე!..

2015 წ.

ნებართვა

სამყარო დიოდა...
ბიჭს ფიქრი სტკიოდა...
მის წინ მიდიოდა
ქალი და, როგორი ქალი!
ყელყელა, ყირმიზა,
სისხარტე – ირმისა,
იმედი დილისა,
არ ეშორებოდა თვალი.
ვარსკვლავებს ცით კრეფდა,
მიჰქონდათ ფიქრებს და
თან ბიჭსაც ითრევდა
რაღაც ანდამატის ძალით.
მიმოხვრით ართობდა,
სურნელით ათრობდა,
და მზერით ათბობდა,
სხივს ტოლს არ უდებდა ქალი.

ამდენს რომ ქურდობდა
ვნებების ურდოდან,
ბიჭს გაცლაც უნდოდა –
ქალს შემოეგება ქმარი.
კაცმა რაც შენიშნა,
ჩანს, ცუდად ენიშნა,
ბიჭს მისცა შენიშვნა:
უნდა გადინოო ძმარი!
ბიჭმა თქვა – მოდი და
გამოვყვეთ ოდითგან:
მითხარი, როდიდან
არ ძალმიძს მშვენებით ტკბობა?
თუ ფიქრს ემძლავრება
და გონს ეძალება,
არც თვალს ეკრძალება
შევლება და ხილვით თრობა.

შენ თავს გდის ნაყოფი
ცის წიაღს ნამყოფი,
და თავზე სამყოფი...
ჩანს მხოლოდ ნაჭარბი ვნება.
შენ, ძმაო, რა მოგდის,
თუ ვაშლებს სამოთხის
ვერ შევჭამ, გამოდის,
არცა მაქვს შეხედვის ნება?
ქმარი ჯერ გაოცდა,
და, მერე, საოცრად
ნაზად ქალს აკოცა
გრძნობით ამაყით და წმინდა...
გზას კოცნით გაუყვა,
ბიჭს გრძნობა ჩაუკლა
და თვალი ჩაუკრა:
გვიყურე, რამდენიც გინდა!..

2011 წ.

ნანა ცინცაძე

ეს სულერთია

ან გალაქტიკა რაში მჭირდება,
ან ეს უაზრო კითხვა-პასუხი.
ყველა ქარაგმა გადაიჭრება
მზერის დასუსხვით.
მნახავ თუ არა, ეს სულერთია,
მე რომ ვარსებობ, ეს უკვე იცი.
სიცოცხლე მკვდართა სასულეთია,
ნუღარ განიცდი,...
თუ ყველაფერი მალე მთავრდება,
რაშიც ეტევა ,,ანი" და ,,ჰოე",
დღეს მოგონებად გამიმთავრდება
ეს სიმარტოვე.
აქ არ იქნება მეფე შიშველი,
თუნდაც ჰაერის ეცვას მანტია.
უსაშველობის ჭრელი საშველი
დამიხატია.
მონად ვიქცევი რწმენის გულისთვის,
ინკვიზიციამ მაწამოს ბრუნო,
რომ ჯვარს გაკრული სიყვარულისთვის
არ დავაბრუნო.
დევის ნატერეფალს მივყვები იმ გზით,
სადაც არ გადის ჩვენი ხურდები.
საზღვარს გადავკვეთ მოპარულ ვიზით,
ხელზე ხუნდებით.
ცის თაღზე ვწვდები მზის ნაფეხურებს,
ერთი სურვილის დამრჩა უფლება...
ჩემი ძახილი ზეცას აყრუებს –
თავისუფლება!!!

2017

დიდი ხანია

სონეტი

ვიღვიძებ დილით, დასახრჩობად თოკი ჰკიდია,
თუმცა ჩემს გარდა არავისთვის არის საჩინო.
ჩემი ფიქრები განსასჯელად გადმომიგდია,
არ მინდა მათში სიძულვილი აღმოვაჩინო.
თავის დახრჩობა მომინდა და ფიქრი დავბინდე,
ისევ ყულფისკენ გამეპარა მზერა ეული.
თოვლის ნამქერი ვამჯობინე მზიან ამინდებს,
ხელში მიჭირავს ის ფიალა შხამგარეული,
რომლის დალევაც დამავიწყდა დიდი ხანია
და ამიტომაც სიძულვილი ამ თოკს ავკიდე.
შენ რატომ გითხრა რა მაწუხებს, რა მიხარია,
თუ მარტოსული, დედამიწას ვუთხრი სხვა კიდეს.
არარსებული თოკი მიჭრის გრძნობის ნაპირებს,
ჩემი აჩრდილი თავის მოკვლას მაინც აპირებს.

2018

მოვითხოვ დასჯას

საათის წიკწიკს არ უსმენს გული,
არ უნდა ფიქრი, არ უნდა განსჯა.
გზა მხოლოდ წინ-წინ, მარტივად რთული,
დრო სადღაც მიქრის, მოვითხოვ დასჯას.
მოვითხოვ - ყველა ავსული გაქრეს,
მე უნდა ვიყო პირველი მკვლელი,
როდესაც მონის როზგები დამკრეს,
მაინც ვიპოვნე სხვა გასასვლელი.
არავინ იცის სად ვარ, ან ვინ ვარ,
მსურს და ვიგონებ უცნაურ მითებს.
ჟამგადასული რამდენი ვღირვარ,
აქ, ხეიბრებმა, ძილის წინ მითხრეს.
ისევ დამეძებს ვიღაც ასასი,
რადგან დაკარგა ფასი გენიამ.
მივახრჩობ სიზმრებს... ასიათასი
რომი რომ დასცა კართა.გენია.
ახლაც ჰაერში ვკიდივარ თურმე,
ერთი ბოგანო გზაარეული...
ფიქრში ცოდვების მივათრევ ურემს
ხან ჭკვიანი და ხან არეული.

. 2017

უნდა მოგიყვე

მე არ გეძახი... შენ გინდა და მაინც ბრუნდები,
რაც ადრე მითქვამს, ყველაფერი ახლა ავკინძე.
რატომ გვაშინებს დედამიწა გადაბრუნებით,
თუკი შენ თვალწინ შევიხსენი ურცხვად საკინძე.
ჩამომიჯექი, გთხოვ, საწოლთან, უნდა მოგიყვე,
როგორ მაკლია მოჩურჩულე შენი სიტყვები.
გახსოვს? სხვა დროში ჩვენნაირად სხვებიც რომ იყვნენ,
წამს წუთს ჰპარავდნენ ჟინიანი თავდავიწყებით.
მითხარი, რატომ არ მოგბეზრდა ჩემში წანწალი,
შეპყრობილთათვის ეს სამყარო არის პატარა.
გესმის?... ვერასროს ვერ ვიქნები შენი წაწალი,
თუმც სურვილებმა ცის ქვეშეთი შემომატარა.
დედამიწაზე სიზმრებიღა დაგვრჩა საერთო,
იქ თარეშობენ აწყვეტილი ჩვენი ვნებები.
იქ შეგვიძლია ტვინი ფიქრებს გამოვაერთოთ,
იქ ხომ ჟამთა სვლას არასოდეს არ დავნებდებით.
კარი გავაღე... ყველგან შენ ხარ... ცხადში... მირაჟში...
ცდუნების ვაშლი, ედემს გარეთ, მხოლოდ ხილია.
გიჟებისავის დაიწერა ,,ვარდი სილაში”,
რადგან ეს გრძნობა პლანეტიდან გადახრილია.

2017

იქით

მივდივაერ იქით, იმის იქით, ფიქრის გორასთან,
მინდა ვიპოვნო დაკარგული ჩემი წარსული.
ვიღაცამ ეჭვი უპირობოდ ააგორა და
თან გაიყოლა ყველა გრძნობა ჟამგადასული.
დროის ფასს ვიგებთ, როცა დროში დავიკარგებით,
როცა ცხოვრება, ჩაჩეხილიც, აღარ გვერგება.
როცა ასაკის გამო ვხდებით მხოლოდ კარგები
და როცა სული მთვრალ ფიქრებში ჩაიხერგება.
თურმე დიდების მწვერვალები უფრო მაღლდება,
როცა ოლიმპზე ასასვლელად ვამსხვრევთ ბორკილებს;
მაშინ კი, როცა ჯოჯოხეთი გაგვილაღდება,
რად ვემსგავსებით უგუნურთა□ხელით მომკილებს?
ახლა ვარ იქით... ფიქრის იქით... ქრება სამყარო...
ეს გალაქტიკაც, უსასრულო, ჩემი წილია.
ღმერთს ვევედრები, საკმეველი გადმომაყაროს,
რადგან სიკვდილი, სიცოცხლისგან დამეწყრილია.

2017

არ მყოფნის

ნუთუ არაფერი იცვლება,
როცა ფერმკრთალდება სიტყვები.
თასი გრაალისა იცლება
და გზას მოწყენილი მიყვები.
დრომ დროს ყველაფერი წაართვა,
მერე უპატრონოდ მიაგდო.
ჩემში გაიღვიძა წარმართმა,
სული უბელო ქარს მიანდო.
წლებმა უმოწყალოდ დაფლითა
ნერვის მგრძნობიარე სადენი.
ხელებს გახუნებულ ტარიფად
შერჩათ გაცვეთილი საყრდენი.
დამეტყო წლიური რგოლები,
როგორვ ნაოჭები ამ ხეებს.
მაინც, ძველებური რბოლებით,
ჟამი უმოწყალოდ მახელებს.
რა ვქნა, არაფერი არ მყოფნის,
დრო? - დრო ყველა გრძნობას აობებს.
დედაც ავატირე ამ ყოფის,
თუ ვერ გადავუსწრებ თაობებს.

2018

მზე ხელუხლები

სიბერე – გონის იდიოტობა
და ჩემს ნერვებზე ურცხვად თამაში.
ხომ მოითმინა გვემა იობმა
და არ დაეჭვდა წამით მამაში.
მეც მოთმინების ძაფზე ავკინძე
ჭრელი დღეების მზე ხელუხლები
და სხვანაირად შეხსნილ საკინძეს
ვაი, რომ უკვე აღარ ვუხდები.
სადღაც ახლოა ჩემი ბნელეთი,
გულო, გაგიჟდი? – რა გიხარია,
თუ აღარ მოგვდის ელეთმელეთი
და სიყვარულთან სხვა ტიხარია.
ჰო, ყველაფერი არის სიმართლე,
სულო, ტკივილით ნუ გაორდები,
რადგანაც ვიცი, რომ გამიმართლებს
და სხვა სხეულში განვმეორდები.

2018

ეთერ ჭელიძე

„უკრაინული გაზაფხული"

ცეცხლმოკიდებულ მიწის ბეჭებზე
ალმოდებული სამშობლო იწვის,
ომის ქარცეცხლში – ბუნკერში, სადღაც,
კვლავ იბადება გოგო და ბიჭი!

სიმამაცის და სიცოცხლის ღირსად,
დღეს ყველა ირგებს გმირობის მუნდირს,
საკუთარ დროშას, მიწა-წყალს იცავს,
ვისაც მუხლი და გონება უჭრის!

თავისუფლებას ვერ ზღუდავს მტერი,
თავისუფლება -- სიცოცხლის ფასად...
და სივერაგეს სისხლიან მტვერში,
ისევ აგრძელებს მრავალჯერ ნაცადს!

დრო გაჩერდა და დროც ცეცხლში იწვის,
ყავლი გაუცვდა სიხარულს, თითქოს...
დედის მდუღარე ცრემლების ნისლში
გზაუკვალავო -- საით რბი ფიქრო?!

ჯერ ვერ მოღლილი მაინც ქრის ქარი,
სამყაროც დუმს და უგონოდ ხვნეშის...
დგას ფრონტის ხაზზე ორსული ქალი,
დედა, სისხლიან იებით ხელში!..

2022წ

სიზმრად გნახე!

დედას

ახლა შენზე მოგონება მათბობს,
მადლიანად შეხებული ხელი,
– მოწყენილხარ, ხომ არაფერს დარდობ?
დარდი შვილო, დარდს არასდროს შველის...
ჩამიკარი ისე თბილად თითქოს
ცხელი ლავა ჩამეღვარა მკერდში,
გაცრეცილ გულს ცხელი ცრემლით მითბობ
და ჭრილობებს შენი თბილი ხელით...
ამეტირა, გამახსენდა როცა,
სიზმარია, რეალობის მსგავსი...
ჩაგეხუტე, არ ისურვე მოცდა
გაგეტირე ვით პატარა ბავშვი...
გაიშალა ცეცხლისფერი ლავა
და ნისლებმა გაგიყოლეს ფრთებით,
შენ წახვედი ისე შორს და მაღლა,
მე ვერაფრით შეგაჩერე დედი...
ახლა ისევ მოგონება მათბობს...
შუბლზე მადევს შენი თბილი ხელი,
რაც წახვედი შენთან ყოფნას ვნატრობ,
მონატრებას ვერაფრით ვერ ვშველი...

20.04.2022წ

ფიქრი...

ფიქრობ საით ეხეთქები ნაპირს,
თუ სადმეა დღეს სიმართლის ქუჩა?
ერთგულებას ვისთვის ვადა გასდის
და მწვერვალებს ეჯიბრება ჯუჯა!
გასანთლული პირმზიანობს სიტყვა,
ხელისგული ხელს ირიბად კოცნის,
თუ აკეთებ საქმეს, საქმის მიღმა
თუკი დრო გაქვს, დრო, ჯერ კიდევ ლოცვის...
სჯობს სინდისის უნაპირო ჯებირს,
გულის თაღი მიუჩინე მცველად,
რომ არ გავდე შეუცნობელ ბედის
გზაასხლეტილ გზებმოცარულ მხედარს!

*

ტრფობა რომელიც შენს ფიქრებს რყვნიდა
დაუსრულებელ ანბანთა როკვით,
სულის ტაძარში უცნაურ ცრიდა
მესმოდა სეტყვა რეგვენთა ბოდვის!
და იდექ ისე, ჩვევიათ როგორც
ვით ამორძალებს ნასეტყვარ თქეშში
და ამ სამყაროს მშვიდსა და გოროზს
გაწვდიდა ღმერთი მდუმარედ ხელში...

გიხაროდენ!

სიზმარში ვნახე ჩემი სამშობლოს ჩამოხეული ჩოხის კალთები,
დედაღვთისმშობელს სამოთხის კართან რომ შეეზიდა...
ეზიდებოდა სანოვაგეს: ბარხატს და ფარჩას...
გამომძალველის სავახშოდან ეზიდებოდა...

ძრწოდა ბაღნარი, გზისპირს კრთოდა ვერხვის ქარები
და ნაღვლიანი ქალწულები ცრემლს იმშრალებდნენ,
როცა შემხმარი მზემ ჩაკოცნა სისხლის ხალები,
ექო გმინავდა: საქართველო, ჰე, გიხაროდენ!

მოკირწყლულიყო ნათლის სხივით მთა, ზღვა, მდინარე...
მავთულნაკაწრი მაჯებიდან სისხლი ფეთქავდა...
და ნდობის ძაფი -- ცვილის თოკი მირონმდინარე,
ღვთისმშობლის წილხვედრ კაბის კალთებს მშვიდად კემსავდა!

ამოხეთქილი სიყვარულის ლავა ქართველთა
ერთობისა და ერთგულების სცემდა ყიჟინას,
არტუნჯანელთა, მესხთა, ლაზთა, აჭარელ ძმათა
და კიდევ სხვათა გმირულ სისხლმა ისევ იყივლა!

სადიდგორელნი, ცას სერავდა ელვა მახვილთა,
ბედაურების ფლოქვებიდან ნაბოლქვი მტვერი,
გმინავდა ურდო ჭინჭველების, როგორც ტაშისკარს,
და გიორგის ხმალს თავთავივით აკრული მტერი...

და გაიშალა დროშა ჯვრებით -- თამარიონის,
დავითის ხმლიდან გამოთლილი ტარით გუმბათზე,
იდგა მშვიდობის ,,რიჰო“ ყველგან და მაყრიონი
მოყმის დილიჟანს გაჰყოლია მცხეთას სიხამზე!

და ქართველობა, ვით მოწამე ასიათასი,
მტკვარზე ფიცს დებდა ერთგულების ჯვარზე მთხვევითა...
დაბრუნებოდა ნიკოფსიით -- დარუბანდამდი
ადლი მიწისა, დედაღვთისას დასმულ ხელიდან!

და ნაბიჯ-ნაბიჯ , გზა-გზა, მიჯვრით, რწმენის კვალდაკვალ,
წმინდა ნინოს გზით მოდიოდა ბრმათა სინათლე,
დაბრუნებოდა ქართველობას ძველი დიდება
და საქართველო იდგა ურყევ ციხესიმაგრედ!

თრთოდა ბაღნარი, გზისპირს კრთოდნენ ვერხვის ქარები,
სერაფიმები ანგელოზთა დასში გალობდნენ,
ჩემი ედემის მთელდებოდა ნაიარები,
ექო გმინავდა: საქართველო, ჰე, გიხაროდნენ!

მალვინა ჭელიძე

მთის წიალში

პატარა ქოხი ვინატრე
სადღაც მის სიახლოვეში,
გადავცურავდი ფიქრის ზღვას,
მის სილამაზის მორევში.
ბედნიერების შეგრძნება
ალბათ არც ისე ძნელია,
სულში სიამედ მეღვრება,
ენით ვერ აღმიწერია!
იდუმალია ბუნება,
სამყაროც მრავალფერია...
მის სილამაზით მოხიბლულს,
გზად სითბო დამიფენია.
ღამე ნათევი ციაგზე,
თავს მოგაჩვენებს მძინარად,
ლამაზად გაშლილ კვირტებზე
მერცხლები დავაბინავე.
ცრემლები ნაკადულებად,
მრავალ ფერებში სდენია,
სიკეთით ფესვებ გადგმული
მარტოც კი ბედნიერია!

*

დილის მზის სხივებს ეფიცხები
დარდად მოფენილს,
გაორებული მდუმარებით
ხვდები განთიადს,
ნაწვიმარ ქუჩებს მიუყვები
სევდის ფერებში,
ვერ ხვდები ვისგან
რა გწყინს, ანდა რა გიხარია...
დღეთა გლოვაში ჩაიქროლეს
ცივმა ქარებმა,
დროსთან ჭიდილში
გულსაც ვეღარ გაუხარია,
შეშლილ სამყაროს დაემგზავრე
ღამის წყვდიადში,
დღეთა სინათლემ,
თითქოს სადღაც სული გალია.
მთვარემ ღრუბლებში მიმალულმა
ფერი იცვალა,
ცა ვარსკლავებით მოჭედილი
ისევ ინათებს,
ბედნიერება თითქოს უმალ გაუჩინარდა,
უფალს შევთხოვოთ,
რომ სამყარო ისევ ბრწყინავდეს.

*

იქნებ გვაკმარო ღმერთო ჩემო,
დარდად თენება,
მინდა ვიწამო შენი დიდების,
დღე ბედნიერი გაუთენე კაცობრიობას,
გაბრწყინებული დღე, ნათელი,
დილა, მშვიდობის!

გულნაზ ხარაიშვილს

ბრწყინვალე ქალბატონს,
ნიჭიერ პოეტს, დიდხანს სიცოცხლეს
და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებ.
იყავით დღეგრძელი, გილოცავთ იუბილეს.

სევდის ფერებში შემოსილს,
ია-ვარდების სამოსით,
გეტრფით და გეთაყვანებით
იმ დღიდან,რაც თქვენ გამოჩნდით.
იქნებდა ღმერთმა გაგყაროთ
ირგვლივ რაც დარდის ფერია,
სევდას, რომელიც გზა და გზა
ხალიჩად დაგიფენიათ.
ეს წლები ნაზად ჩაგივლით,
ქართველქალობის გენიავ,
იცით? რომ თქვენაირები
ქვეყნად არც ისე ბევრია.
მაისის ვარდებს დაგიფენთ,
დღე, თქვენით ბრწყინავს, მზიანობს...
უფალს ვთხოვ ამ ქვეყანაზე,

ლაღი ბავშობა გაუჩინარდა!

სისხლის წვეთებით გალუმპულ გზაზე,
ჩამოგიქროლეს ცივმა ქარებმა,
ავტირდი, რაღაც უცნაურ ხმაზე,
ამიყოლია შენზე განცდებმა.
შენ დაღლილ ტკივილს რითი უწამლო,
მსხვერპლად შექმნილო,რამე მითხარი,
მათ კიდევ ერთხელ შერაცხეს ღმერთი,
ისევ გააკრეს ჯვარზე უფალი.

მაისის სევდიანი დღე!

მზე ღრუბელმა შთანთქა თითქოს,
ცამ შეიკრა კამარა,
ქარმა უხმოდ ჩაიქროლა,
წვიმამ გზები დანამა.
აკვირტებულ ვარდის კოკრებს
აშრიალებს, ხალისობს...
გვირილებში ჩაკარგული,
ზაფხულის მზეც მაისობს.
ბედად, დარდის და წუხილის
კაბა შეუკერია,
სიმშვიდე და სიყვარული
გზა-გზა დაუფენია.
მიუყვება ნაცნობ ქუჩებს,
დროს და ჟამთა სიავეს,
უცებ სიომ ჩაუქროლა
ჩამქრალ, დღეთა სინათლეს.
სილამაზე უცხო ფერთა,
სამაისო ფერია,
მზეს რომელსაც უხმოდ ვეტრფი,
ბევრჯერ გაუთელიათ.
იქნებ ღმერთმა მიგვანიშნოს,
ისევ გამოიდაროს,
დედამიწის სატკივარი,
როგორ გადავიტანოთ...
დღეს ნაწვიმარ ქუჩას მივდევ...
ადრე რწმენით ვიარე...
ამედევნა სევდა ისევ,
ვერსად ვერ დავემალე...



ამირან ამირანაშვილი

გედის სიმღერა

სიკვდილის წინ ერთხელ მღერი,
რა გამღერებს, თეთრო გედო?
ალბათ, ნაღველს ვეღარ იტევ,
თავი უნდა გაიმეტო?!

მხოლოდ კლდის ძირს გამოძებნი,
ეთხოვები, შენ თავს - სტირი...
ჩვენ სიმღერად გვეჩვენება,
შენი მწარე დანატირი.

ყველა რაინდს შეშურდება,
გადაწყვეტა შენი მშვიდი,
თავს იკლავ და არ გჭირდება,
არც მახვილი და არც მშვილდი.

სიმღერას რომ დაასრულებ,
მწვერვალს აღწევ სიმაღლისას
და ზემოდან გადმოხედავ
ამ ცოდვიან დედამიწას.

ყელს იღერებ, ფრთებს იკეცავ,
მშვიდად სკდება შენი გული...
კაცთ მოდგმიდან თანაგიგრძნობს,
ვისაც იპყრობს სიყვარული.

როცა ვინმეს შეიყვარებთ,
სიმღერა გახსოვდეთ გედის...
ღირსეულად იცხოვრეთ, რომ
კმაყოფილი იყოთ ბედის.

20 იანვარი, ბაიკანური

დავფიქრდეთ, ერო!

განსაცდელები და სასჯელები
დაბადებიდან თან დაგვყოლია...
ტრფობით ეწამა დიდი რუსთველი,
და წიწამურთან მოკლეს ილია.

ურჯულოებმა როგორ შებღალეს,
გურამიშვილის სულის საუნჯე.
არ შეიბრალეს ბარათაშვილი,
მისი მერანი ვერ დაამუნჯეს.

გალაკტიონი ლირს დაემსგავსა,
დარჩა ყველასგან მიტოვებული...
მისი სახელის გაუკვდავება
ქვეყანას დარჩა ლურჯი კრებული.

გრანელს შეუკრეს თეთრი ხალათი,
არ დაეწერა სიტყვა მართალი.
წუთისოფელში მეფობს სიყალბე,
ვერვინ იპოვა აქ სამართალი.

სულხან-საბასთვის ვერ გაიმეტეს,
მონასტრის გარეთ ერთი კელია...
საკუთრ მიწას მოსწყვიტეს ბერი,
სხვაგან ეწამა დიდი გენია.

სოფელ ჩოხიდან მოვიდა ბიჭი,
გულანთებული, ავსილი ნიჭით,
ჩვენი გოდერძი მშიერი მოკლეს...
პატიოსან ხალხს ყოველთვის გვიჭირს.

კიდევ რამდენი დავასახელო,
ერის სირცხვილად კმარა ნიკალა,
კიბის ქვეშ მოკვდა დიდი მხატვარი,
შურმა და მტრობამ ვერ გადიკარა.

დავფიქრდეთ, ერო, ჩვენს მომავალზე,
საკუთარ შვილებს როგორ ვექცევით...
ჩვენც დაგვიდგება განკითხვის ჟამი
და უფლის რისხვას ვერ გავექცევით.

30.10.2020

ქრისტეს მშობელო!

დედაო ღვთისა „ივერონისა“,
ბადალი არ გყავს, ქრისტეს მშობელო.
დედათა შორის გახდი სიმბოლო,
შენ ერთადერთო, ამაღლებულო.

წარმართ დევნაში, პირუტყვთ სადგომში,
ბაგაში შობე სამყაროს მხსნელი,
ცისკრის ვარსკვლავი თავს დაგნათოდა,
აღაფრთოვანე ვარსკვლავთ მრიცხველი.

გულით ახარე სვიმონ მართალი,
როცა იესო ჩაიკრა მკერდში.
მან განტევება შესთხოვა უფალს,
რადგანაც იყო ღრმა სიბერეში.

ოცდაათ წლისამ იოანესგან,
იორდანეში იღო ნათელი.
მოციქულებთან იყარე კენჭი,
საქართველოა შენი წილხვედრი.

მწუხრშემოსილმა იხილე ჯვაცმა,
დაფლვა, გლოვა და უფლის აღდგომა.
შენც განიცადე გარდაცვალება,
ამაღლება და უფალთან ჯდომა.

დედაო ღვთისავ, ჩვენო მფარველო,
განსაცდელშია დღეს საქართველო.
ხელაპყრობილი დედაშვილს შეგთხოვთ,
დაგვიფაროთ და კვლავ გაგვამრთელოთ.

25.02.2022

მიწყალე მე, ღმერთო!

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე,
უძლური ვიყავ, ძალი მიბოძე,
მშიერი ვიყავ, შენ დამაპურე,
უსასოს სასო არ წარმიკვეთე.
შიშველი ვიყავ, მადლით შემმოსე,
დაცემულ ვიყავ და აღმადგინე.
ავად ვიყავი, მომინახულე.
დიდი სცენიდან ჩამომიყვანე,
ცოდვების ზღვიდან გამომათრიე.
ხელი დამასხი, თან წამიყვანე,
უღირსი მონა - მოძღვრად მაქციე.
მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე,
გმადლობ, უფალო, მკვდრეთით აღმდგარო.
გმადლობ, მარიამ, დედაო ღვთისავ.
გმადლობ, გიორგი, უძლურთ მკურნალო.
მადლობა, ნინო, ქალწულო წმინდავ.
დიდნო წმინდანნო, დავით და თამარ,
დედა ქეთევან, დიდო მოწამევ.
ღვთით გამოხსნილნო ადამ და ევა,
მთელი სამყარო თქვენით ვიწამე...
ჯოჯოხეთს დავგმობ იესოს მადლით,
ლოცვებისათვის მიხმობს უფალი.
ღმერთო! მაჩვენე ჩემი ქვეყანა,
განწმენდილი და თავისუფალი.

ფერისცვალება

თაბორის მთაზე ფერი იცვალე,
სულად აენთე, როგორც სანთელი...
სულიერ შვილებს მოსჭერი თვალი,
სულში შემოდის შენი ნათელი...

ჩვენო მფარველო, მანათობელო,
ყოვლის შემძლე და ყველას მშობელო,
ხელს ნუ გაგვიშვებ შენს ცოდვილ შვილებს,
შემწყნარებელო, მაცხოვნებელო.

იქნებ და მართლაც მეტის ღირსნი ვართ,
ვერ ვამზიანეთ ჩვენი წარსული,
შენს მცნებებს წრფელი გულით ვერ ვიცავთ,
შემოვიხიეთ სინდის-ნამუსი...

გემუდარები, ერთად ნუ განგვსჯი,
ზოგი ხომ ვცდილობთ სწორად ვიაროთ.
ჩვენ წინ იმხელა ცოდვის ზღვა არის,
გვასწავლე, როგორ გადმოვიაროთ.

დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე,
გადმოგვაფარე შენი მანტია...
ქმენ სასწაული, გადაგვარჩინე,
ყველაფერს დავთმობთ, რაც გვაბადია.

ჩხარი. 21. 08. 2021

მადლობა უფალს

ორმოცდაერთი წელია,
რაც უფალს ვემსახურები,
სიონის ტაძრად ვგალობდი,
თეატრში ნამსახურები.

დავით მეფის პარაკლისზე
წარმოვთქვი მეფის გალობა,
ხელი დამასხეს დიაკვნად,
მდაბლად მივიღე წყალობა.

ვარძიაში პროტო გავხდი,
თამარის ნალოც ტაძარში,
რვა წლის მანძილზე პატრიარქს,
თან ვახლდი, ვით თანამგზავრი.

იყო კონსტანტინოპოლი,
მომისინჯეს ვატიკანიც,
მაგრამ უფალმა არ დამთმო,
მიბოძა მართლის აკვანი.

ვერ დამითანხმეს, არ გავხდი,
მფლობელი ეშმაკის ტახტის.
ჩემს სამშობლოში ვარჩიე,
მოძღვრება უმცირეს ტაძრის.

ვინც ამაღლდნენ დამცინიან,
ვისაც ვზრდიდი თავზე მაზის,
ბევრმა გვერდით ჩამიქროლა,
არც კი ფიქრობს მაღლა რად ზის.

ზოგი მორცხვად მიბოდიშებს,
წინამძღვრები, ჩინოსნები,
ვხედავ მათთან ვერ ვივარგე,
გარს მახვევია მგოსნები...

მთავარია უფლის ნება,
არ დამტოვოს მაცხოვარმა,
„ძმები“ თუ ვერ დამლოცავენ,
ჯობს დამლოცოს მათხოვარმა.

ამაღლება, 14.11.2022

ა მ ი რ ა ნ ი

კავკასიონის ციცაბო კლდეებს
შემორჩა მძიმე ჯაჭვების კვალი,
როცა ეხები ამ ჯაჭვის ნაგლეჯს,
გაგახსენდება მამულის ვალი.

მაშინ ვრწმუნდები, ქართველმა ხალხმა
მხსნელად გიწამა, კლდეს მიჯაჭვული,
ღმერთის ნაშობი, უკვდავი გმირი,
დაუძლეველი, გოლიათური.

ერი მოგენდო მებრძოლ ამირანს,
ბოროტს და ავსულს რომ ამარცხებდი.
სადილად ბუღა კამეჩს შეჭამდი,
ერთ-ორ ქვევრ ღვინოს დააყოლებდი.

კავკასიონზე ვერვინ შემოდგა,
ყველა მომხვდური იქცა მიწადა,
ბადრი, უსუპი, თვით ამირანი
ყველამ იცოდა, ამ მთებს იცავდა.

შენი სახელი დღესაც მამხნევებს,
შენგან ვისწავლე ძმობა კაცური,
როდესაც მიჭირს, მუდამ მამხნევებ,
შენი ძალით ვარ მუდამ დაცული.

მკერდით დაიცავ მშობლიურ მიწას,
როცა უმიზნო ტყვიას ახლიან...
შენი ნათლია საქართველოა,
კავკასიონი შენი სახლია.

13.11.2020

ქართველ მეფეთა სადიდებელი!

ო, დიდებულო, კეთილმსახურნო,
დიდო მეფენო ივერიისა,
მუხლმოდრეკილი თქვენზე ვლოცულობ,
უღირსი მღვდელი, მე, მონა ღვთისა.
ვიდრე ქრისტემდე ტოლს არ ვუდებდით,
დიდ იმპერიებს ვუსწორდებოდით,
ხან იმარჯვებდით სისხლის მსმელებზე,
ბევრჯერ გმირულად ეწირებოდით!
მირიან მეფემ ადიდა ქრისტე,
ჭეშმარიტ სჯულზე მონათლა ერი,
მან დაამსხვრია წარმართთ კერპები,
იესო ხდება მათი მფარველი...
სიკვდილს ეძებდა უფალ ქრისტესთვის
მეფე ვახტანგი გორგასლიანი,
სამშობლოსათვის და უფლისათვის,
დღესაც მიგვიძღვის ხელში ხმლიანი...
დიდო მეფეო, წმინდაო დავით,
როგორ შეგბედო სიტყვა ქებული,
გაამთლიანე კავკასიონი,
მსოფლიო დარჩა გაოცებული.
მეფეო თამარ, ღვთითკურთხეულო,
სხვა ქალს მეფობა არ ღირსებია,
შენ ააყვავე მთელი ქვეყანა,
სუყველგან შენი ნაკვალევია,
შენი შვილები გაანებივრე,
რუსუდანი და ლაშა გიორგი,
შენს ბრწყინვალებას ფარავს ღრუბელი,
დედა ღვთისმშობელს გაჰყევი მგონი...
დაბოღმილ მტრებმა იძიეს შური,
ქვეყნად ღალატმაც იჩინა თავი,
შინა შუღლმა და გაუტანლობამ,
დრო დაუყენა სამშობლოს ავი...
დავითისა და თამარის საზღვრებს,
რღვევა დაუწყეს დაუნდობელი,
გარეშე მტერი გვაწიოკებდა,
აღარ დაზოგა შვილმა მშობელი.
სამთავროებად დაინაწილეს,
ყველა სამთავროს დაბრძანდა მეფე,
ააგეს კერძო ციხესიმაგრე,
ქვეყანა გახდა სუსტი და მყიფე,
დიდი გიორგი, შვილი პაატა,
ზოგჯერ თუ გმირი გამოჩნდებოდა,
ბოროტებით და ინტრიგანობით,
სამშობლოს გარეთ იდევნებოდა!
მძევლად ითხოვდნენ მეფე დედოფალს,
თორემ ქვეყანა აოხრდებოდა,
თეიმურაზმა გასწირა დედა,
წამებულის ხმა ზეცას სწვდებოდა...
მერე ჭაბუკებს ასაჭურისებს,
სასტიკი შაჰი აღარ ცხრებოდა,
პაატას თვითონ მოჰკვეთა თავი,
მას ჯალათები არ სჭირდებოდა...
ჩემო ძვირფასო დიდო ერეკლე,
როგორ გავბედე შენთან თამაში,
ეს თავხედობა შემინდე, მეფე,
მაია წყნეთელს ბრალს ვდებ ამაში...
იმერთა მეფევ, სოლომონებო!
„ლომებრ მყეფენო, მტერთ სისხლ მჩქეფენო“,
თქვენგან ბოძებულ ჩხარში ვცხოვრობდი,
მადლობას გიხდით, იმერთ მეფენო!
დღესაც ბოგინობს ამირანთ-შვილნი,
მურზაყან ჩაჩბას შთამომავალი,
ხრესილის ომში გამარჯვებულმა,
დაგვიჯილდოვე ჩვენ წინაპარნი.
იმერეთიდან განდევნე ურდო,
თან მიაყოლე მოღალატენი,
მუჰამედის რჯულს გადაარჩინე,
ზღვისპირეთამდე მთელი კოლხეთი.
ღვთისმშობლის წილხვედრს, დღეს საქართველოს,
აღარც მეფე ჰყავს და არც პატრონი,
მხოლოდ უფალი გვიცავს, გვიფარავს,
როცა ღმერთთან ვართ, არ ვართ მარტონი!

ხათუნა დოლიძე

ვედრება

ზეციერო, გთხოვ, მომეცი ძალი,
შემაშველე ხელი შენსკენ მავალს...
რომ მრუდე გზას, შემოვავლო ზღვარი,
რომ გავუძლო გამოწვევას მრავალს!

მომიტევე უბადრუკს და ცოდვილს,
მოწყალეო, დამაფარე კალთა!
სივერაგეს აბა რაღა მოთვლის –
რაც ცხოვრებამ ჩემთვის მახედ ხლართა!

ანგელოზებს გაუშლიათ ფრთები,
თეთრ ღრუბლებში ნავარდობენ ლაღად...
შთამაგონე – შევიყვარო მტრები,
გულს შური არ დასჩენოდეს დაღად!

სულს ძაგება ვერ მიმღვრევდეს ვერგზის
და სიმდაბლეს მანიჭებდეს ქება...
ზეციერო, მომინდვია შენთვის
ბედი ჩემი – იყოს შენი ნება!

ვხედავ, სარკედ გადაიქცა მთვარე –
აირეკლა ჩემი წრფელი ლოცვა...
მოგონებებს აქ დავტოვებ მწარეს,
ვარსკვლავებთან გავფრინდები... როცა!

8.06.2021

გულს – პოეზიის ტრფიალით უძღებს...

მივსტირი წუთებს, დაკარგულს ფუჭად -
ბედისწერისგან მკვიდრად დაგეშილს...
რბოდა იღბალი - მივსდევდი ურჩად,
ის კი, მადევარს... მხვევდა ბადეში!

მე ცდუნებათა ფურცლებიც ვკეცე
და თვით გლახაკში - უფალი ვიცან...
მაგრამ ფიქრშიაც ოცდაათ ვერცხლზე,
არ გამიცვლია მშობელი მიწა!

კალამი დღემდე მეგობრად შემრჩა,
სული... სამსხვერპლოდ მივუძღვენ მუზებს!
მსურს აპკურებდეს წყალობით ზეცა,
გულს - პოეზიის ტრფიალით უძღებს!

* * *

იქ, ოლიმპოზე უკრავდნენ არფას,
მიწის გულს რწყავდა სისხლით არესი...
შემდეგ, ახლიდან იწყებდნენ ათვლას...
დღესაც ჟამია – ბოროტთ თარეშის!

დღეს, გაზაფხული არ ჰგავს დედოფალს,
მის თეთრ სამოსელს გაუცვდა ხიბლი.
დღეს,ვეღარ ვარჩევთ მტრისგან მეგობარს
თვალზე დაუკრავს სიმართლეს ლიბრი!

დღეები რუხი, ნატრულნი მზის სხივს,
უსახურ ყოფას ჰყვედრიან ზეცას...
სიცოცხლე ახლა,სიკვდილთან იბრძვის,
დროება კიდევ ერთ ფურცელს კეცავს!

ბალღამად ვწურეთ ნაჟური მტევნის,
ვერ გავაღვივეთ მარცვალი ხნულში
მართლის მთქმელს დღემდე,
ორპირი სდევნის –
სამართალს დღემდე, გვიწესებს ურჩი!

იქ, ოლიმპოზე უკრავდნენ არფას,
მიწის გულს რწყავდა სისხლით არესი...
შემდეგ, ახლიდან იწყებდნენ ათვლას,
დღესაც ჟამია-ბოროტთ თარეშის!

ჩამისახლდა მუზა სულში!

შემომყურებს ღამე უხმოდ-
ჩუმად მახვევს ბურუსს ფიქრის...
ცის შორეთში დროის ეტლი,
წლებთან ერთად,ელვით მიქრის!

ჩამისახლდა მუზა სულში -
აღარ მტოვებს ერთი წამით...
ოცნებების თეთრ ტილოზე,
ვქარგავ სიტყვებს ყოველ ღამით!

სიო- სადღაც მონავარდე,
კაბას ურხევს წითელ ტიტებს...
გული ჩემი, ხან მაისობს,
ხანაც სევდას ვეღარ იტევს!

სად ლხენაა - დაბადების,
სად სიცოცხლე წამებს ითვლის...
ცის შორეთში დროის ეტლი,
წლებთან ერთად,ელვით მიქრის!

სალაღობო

ქუჩას გოგო მოყვებოდა...ალვისტანა,
ქარს მოჰქონდა მისი თმების სურნელი...
იქვე მდგომი- ჟრუანტელმა აიტანა-
ბიჭი,მისი სიყვარულის მსურველი!

ქერა თმებში - მზეს ექსოვა, სხივთა ელვა,
თეთრ კაბაში, ღვთიურ ქალღმერთს მოჰგავდა...
მის შემყურეს დაწყებოდა ჭადარს ღელვა,
ქარიც,რაღაც უცნაურად ბორგავდა!

გოგომ ერთი მედიდურად გადახედა:
იპოვეო,ვინმე შენი სადარი!
დღე და ღამე მომლოდინეს ჩრდილში ხეთა –
ბიჭს მზერაში შეეპარა ავდარი...

ტანის რხევით ჩაუარა თვალმერცხალამ,
თუმც,წყალობად ღიმილიც ვერ გაიღო...
სხვა ელოდა, აბა მისთვის სად ეცალა?!
წავიდა და... ბიჭის გულიც წაიღო.

2.09.21

ვიღაც იყო ბედნიერი,ვიღაც იტანჯებოდა!

უკუნეთი ღამე იდგა,
ქარი კვნესით წიოდა...
ვიღაც სავსე სუფრას უჯდა
და ვიღაცას შიოდა!

ძაღლი ყეფდა გამალებით,
პირზე დორბლი სდიოდა.
ცუდი ამბის მაუწყები
ბუ საზარლად კიოდა...

ვიღაც ბებო იხსენებდა
ამბებს მთის და ბარისას...
ხან პატარებს უკითხავდა
ლოცვას ავი თვალისას.

სევდიანი სიყმაწვილის
იმ ლამაზ წლებს ნატრობდა...
"ოხ, რა გოგო ვიყავიო!"
დანანებით ამბობდა.

პატარები ბებოს სიტყვებს
გაოცებით ისმენდნენ...
სად ქრებოდა სიყმაწვილე
ამას ვეღარ იგებდნენ.

კუპრისფერი დალალები
წყვდიადს გადმოეფინა
და ტურების კივილისგან,
სოფელს აღარ ეძინა!

ასწლოვანი კაკლებიც კი
ჩურჩულებდნენ შრიალით.
ქარს ამბავი მოეტანა
და ჰყვებოდა ღრიალით!

შემოპარულ შავ აჩრდილებს
მხოლოდ ძაღლი ხედავდა...
გულსაკლავად ყმუოდა და
ისევ ეზოს ზვერავდა.

საჯინიბოს აწყდებოდნენ-
მოუსვენრად ცხენები...
იდუმალი ღამე იყო,
უცნაური სცენებით!

და მიმქრალი მთვარეც დარდით
ღრუბლებს ეფარებოდა...
ის უცნობი ბებო თურმე,
უფალს ებარებოდა!

წამით ზეცაც გაირინდა
და ჩამოწყდა ვარსკვლავი...
აქ დასრულდა უცნობ ბებოს
ცრემლიანი ამბავი!

ვიღაც იყო ბედნიერი,
ვიღაც იტანჯებოდა,
ვიღაც ზეცად მიდიოდა,
ვიღაც იბადებოდა!..

ნაირა უგულავა
(ნია გორდელი)

შემოგაგებებ აპრილის იებს

შენთვის ცხოვრება დიდი ტვირთია,
ცოდვა გამძიმებს შვილთა უძღებთა,
ვიცი, სამყარო შენთვის მუქია,
მისი ფერები გეპირქუშება.

შენ ასე ნაზი და ახალგაზრდა,
უნდა ამყნობდე ლამაზ გვირილებს,
უნდა ოცნების ყვავილებს რთავდე
და არიგებდე ლამაზ ღიმილებს.

მე მოგიგროვებ იმედის კენჭებს,
და აგიყვავებ გაცრეცილ იმედს,
შენი ცისფერი ზღაპრების კართან
შემოგაგებებ აპრილის იებს.

გთხოვ, დაელოდო ხელსაყრელ წამებს,
გულს ნუ შეამსხვრევ ჩარაზულ კარებს,
კედელი თავად ჩამოიშლება,
მას გასაღები არასდროს აღებს...

უფლის განგებით და თანადგომით
ფრთხილი ნაბიჯი არ აგერევა,
ჰო, და... ამ პირქუშ სამყაროს იქით
ბედნიერება დაგებედება...

ჩემს შვილიშვილს – ნაიას

მზე დაეფინა რტოებს ნამიანს
ფრთები გაშალა ჭიამაიამ,
ანგელოზების დასის თანხლებით
დღეს მოგვევლინა ციცქნა ნაია.

ჩემო ფერია, ჩემო მზისთვალა,
ციდან მოსული მანათობელი,
შენა ხარ ჩემი ნაზი გულისთქმა
და სიყვარულის მახარობელი.

მზე ამობრწყინდა ჩემთვის ახალი,
გააცისკროვნა ჩემი ცარგვალი,
გული სხივებით არის გამთბარი,
სამყარო ახლა არის სხვაგვარი.

შენი პაწია, ფაფუკი ხელით
ამომიქარგავ გულზე გვირილებს,
ჩამომიმარცვლავ ოცნების დღეებს
და გამიმრავლებ ლამაზ ღიმილებს.

დამილოცნიხარ ჩემო პატარავ,
შენი გზა იყოს სავსე სიკეთით,
უფლის შეწევნით და თანადგომით
მზეთამზეობდეს შენი იმედი.

გული გაუხსენი ცისკარს

გული გაუხსენი ცისკარს,
თავი აღარ მისცე ურვას,
შენ რომ გაგითენდეს დილა,
ცა და დედამიწა ბრუნავს.
ადექ, ეამბორე ზეცას,
მადლი შეიგრძენი მიწის,
შენ რომ სიმშვიდეში იყო,
დიდი პლანეტები იწვის...
ქება მიუძღვენი ბალახს,
ცრემლი შეუმშრალე ფოთოლს,
მადლი ანაცვალე წყენას,
სული დაუმშვიდე ობოლს.
არა სამდურავი არ თქვა,
თუკი გაგითენდეს დილა,-
შენთვის აელვარდა მზე და...
შენთვის ვარსკვლავები ბრწყინავს...

ჰეი, მამულო, გაძარცვულო ღვიძლი შვილისგან, უნდა გაცოცხლო, შევინახო შენი დიდება

მინდა სიმართლის აბჯარი მეცვას,
მსურს მოვიხადო მხედრული ვალი,
ვიყო ერთგული ჩემი მამულის
და მივიტანო სამსხვერპლოდ თავი.

კმარა სიყალბე, მიეთ-მოეთი,
ერთხელაც უნდა სათქმელი ითქვას,
უნდა დავგმანოთ სიცრუის კარი,
სიმართლე უნდა გმირულად იშვას.

ვერ მოვეფერეთ სიწმინდეს ჩვენსას,
კვერთხი უპყრია გამცემს და უნასს,
ვერ დავინახე ერთგული კაცი,
ვინაც ძმის კარავს დარაჯად უდგას.

ვერ დავიცავით ქართული სიბრძნე,
რაც ქართულ სიტყვას მზეგრძელად უთქვამს,–
ყალბი სიმართლე და ილუზია,
თავზე მთებივით დაგვადგეს ურცხვად.

ჩვენ, რა ხანია, ბედოვლათობით
გადავამრავლეთ ავაზაკობა,
ეს რომ დავუშვით – ძალა არ გვეყო,
გადამთიელიც მიტომ აბორგდა...

რომ მოვიფხანოთ გული ყასიდად,
ყალბ შეგონებებს ვაძლევთ სულისთქმას,
გვჯერა სიცრუე, მონაჩმახები
და ყურს არ ვუგდებთ ნამდვილ გულისთქმას.

ჩაიგდეს ხელში სადავეები
ჭკუა ნაკლულმა და შეშლილებმა,
მათ დაახალეს ტყვია ჩემს მამულს
და აატირეს მრავალი დედა...

ამდენ ჭიდილში, წია-წიაში
გამოიფიტა ქართული ზეცაც,
მოღალატეთა ნაკორტნი მიწა
თანდათანობით ფეხქვეშ გვეცლება.

გამოიღვიძეთ, უნდა გავბედოთ!
თუმცა არ არის დღეს ეს ადვილი,
ცრუს, მოღალატეს, იქედნეს ნაშობთ
რომ მივუჩინოთ მისი ადგილი.

შეინარჩუნო სიწმინდე შენი,
ეს კანონია შეურყეველი,
რომ სისხლის ფასად უნდა დაიცვა
საუნჯე შენი ხელუხლებელი.

ჩვენი ქვეყანა – სამოთხის მხარე
არ დავანებოთ მოვარდნილ მეწყერს,
ბოლოს და ბოლოს ეს შავი წყალი
ჩამოვურეცხოთ ჩვენს ქართულ ფესვებს.

ნინო უძილაური

ბორგვა

როცა გაუცვდა მზერას მახვილი,
იქვე დახარა თვალები სევდამ,
კაცობრიობას ცოდვის მარხილი,
აჰყვა აღმართს და ნიღაბად სდევდა.

თვალებდათხრილი სიმართლის შიში,
დღესაც მოჰყვება სიბეცის მორალს,
ვინ შეარჩინოს სიცოცხლეს ჯიში,
როცა სიცოცხლე საფლავში ბორგავს.

გული ქართული

წარსულო იყავ სამიზნედ,
მიწავ, დღესაც ხარ ტანჯული,
სადაც მივდივარ მე ჩემ მზედ,
დამყვება გული ქართული.

ზოგჯერ ვმუნჯდები, ზოგჯერაც,
სიტყვები ზარებს რეკავენ,
არ დავიჩოქებ იქ, სადაც
უფალს გულით არ ხედავენ.

მუხლზე მოწვეთავს დღეს სისხლი,
გულიდან მზეს რომ სდიოდა,
შემოვინახე ის ფიცი,
ცრემლად რაც ჩამომდიოდა.

სამშობლოვ, ყველგან გულში ხარ,
სადაც გადავდგი ნაბიჯი,
მეკითხებიან, გურჯი ხარ?
დიახ, ვპასუხობ... და ვიცდი.

დედოფალი ვარ

დედოფალი ვარ, შენ ჩემი მეფე...
ცისკენ მივყავარ მითიურ ელფებს,
თუ ვერ მიპოვის, შენი ბრალია,
ჩემში ეს გრძნობა ახლაც მთვრალია.

მიყვარხარ... შენც თუ გიყვარვარ ისევ,
თუ სიყვარულით გულს ისევ მივსებ,
შენთვის მოვხატავ მომავლის გზებს და
ღიმილით ერთად ვიცეკვოთ მზესთან.

დრო რა უეცრად მიფრინავს ჩემო,
თუ სიყვარულში ერთმანეთს ვჩემობთ,
გავულამაზოთ სიცოცხლეს წამი,
ვიდრე სიკვდილი დღეს შეცვლის ღამით.

გაღმერთებ, ჩემი გრძნობის ხატი ხარ,
და ჩემს ფიქრებში მარტო ხატიხარ,
დედოფლის გვირგვინს მოვირგებ როცა,
ზეციდან ისმის თვით უფლის ლოცვა.

სიზმარში ახლა შენს თვალებს ვკოცნი,
გავაფერადებ სამყაროს ლოცვით,
ვგრძნობ, ძველებურად გიყვარვარ ისევ
და მეც ფიალას ამბორით გივსებ.

ღმერთთან საუბრობს კავკასიონი

ღმერთთან საუბრობს კავკასიონი,
თალხი მოუსხამს დღეს მზეს დარდიანს,
ზარებს დარეკავს ახლა სიონი,
ლოცვად აანთებს სიტყვას მადლიანს.

ფიქრად ჩავყვები დანისლულ ხევებს,
სადაც ავდარი გათელავს ღრუბელს,
სიმწრისგან ვიფშვნეტ მოცარულ ხელებს
და გაზაფხულის ვეღარ ვგრძნობ სურნელს.

ნეტავ რას უბნობს ღმერთთან მყინვარი,
ან მოწამენი ტანჯული მიწის,
მამულიშვილი ჩვენში ის არის,
ვინც სამშობლოსთვის სანთლებად იწვის.

დროება

აფრიალებენ უგუნურნი მდიდარ სამოსელს,
გონიერება უტიფრობით დაჩაგრეს დღესაც,
თვალებნათელი სიყვარული ისე განმოსეს,
სინდისს ძარღვიც კი არ შეერხა... და შერცხვა მზესაც.

მწარე ღიმილში გადავმალე სევდა-ნაღველი,
არ მსურს შემეტყოს უსუსურთა არარაობა,
რადგან სიკეთე გამუდმებით ნარ-ეკალს ელის,
ამაოება ამა სოფლის გახდა მზაობა.

დავითმენ...ქრისტეს მაგალითით ეკლიან გვირგვინს...
სამყარო დროში დროს ღალატობს შურთა სიმრავლით,
რადგან დროება ურცხვად ისევ ვერცხლის ფულს ითვლის,
გამოარჩია დრომ დროება ბრბოთა სიმდაბლით.

IT SEEMS HE HAD WINGS.

(To the little angel, Kita Tsulukidze)

He flew to Heaven; it seems he had wings!
Little Kita has already visited the Kingdom of the beams.
The horrible sounds emit the sinful earth,
The pied wagtail is sinking into the tears' sea.
The unblemished lamb for everlasting life did not desire
a marriage with the sun on the earth.
For the bell of Heaven rang, by the will of the Lord,
The Son of God himself flew like an angel to Heaven.

ფრთები ჰქონია...

(პატარა ანგელოზს, კიტა წულუკიძეს)

ფრთები ჰქონია... ანგელოზის გაშალა ფრთები,
პატარა ბიჭი მზის სამეფოს უკვე ეწვია...
ცოდვილი მიწის შემზარავი გაისმა ხმები
და ცრემლის ზღვაში იძირება ქორფა მზეწვია.

მარადიული სიცოცხლისთვის უმანკო კრავმა,
დედამიწაზე არ ისურვა ქორწილი მზესთან,
რადგან ჩამოჰკრა უფლის ნებით სამოთხის ზარმა,
თვით ღმერთის შვილი ანგელოზად აფრინდა ღმერთთან.

04.05.2022

მაია (მარიამ) ბათიაშვილი

ვერლიბრით...

ნაწვიმარზე მიყვარს ხეტიალი,
როცა გუბეები სარკეებად იქცევიან,
როცა წვიმის სუნი თმაში მაქვს ჩამჯდარი
და გამჭვირვალე წვიმის წვეთებით
სველი ფოთლებიდან ფრინდებიან სახეზე ფიქრები.
გაბნეული ფიქრები როგორ ერთობიან უჩემოდ სადღაც,
შემოდგომაზე ერთობიან უჩემოდ სადღაც
და იქვე, ახლოს, ნაცნობ სახლებზე,
სველი ფანჯრების გაშლილ რაფებზე
შრიალ-ფრიალით სახლდებიან,
როგორ მიყვარს ხეტიალი ნაწვიმარზე...
საოცრად ლამაზია ცის ცრემლები,
ხეებს ანარეკლებში უხვდებიან,
როცა ფეხებთან გართხმულ სარკეებში
ბერდებიან ცის ნაგლეჯები
და გუბის პირას ჩარჩენილ ფოთოლს
სველი თვალებით გული წასვლია,
გადაყვითლებულ გულის პერანგზე
თურმე დარჩენია თვალები ღია,
ნესტიან ზეცას დროში არწევენ
ჩასაფრებული შავი ღრუბლები
და მიაქროლებს ნისლებთან ერთად
ბებერი ქარი თვალღია ფოთლებს
სევდამორეულ, დაღლილ ქუჩებით,
მიწას ედება ზამთრის სურნელი
და ფართოდ გახსნილ დეკემბრის კართან
ჩაფიქრებული დგას ნოემბერი,
როგორ მყვარებია თურმე ხეტიალი ნაწვიმარზე...

ტარიელ ხარხელაურს

მჭმუნვარე სახით გაჰყურებ წარსულს
მომავლის ხვედრით ჩაფიქრებული,
სამშობლოს ტკივილს გულით ატარებ,
როგორც ერთგული ჭირისუფალი.

ხან ეფერები მოვარდნილ ფიქრებს,
ხან დაიქუხებ მთების ნისლებით,
ეს შენი გული ამდენს რომ იტევს,
გადავსებულა დარდის ფერებით.

როგორ გიღელავს, მგოსანო, სული,
და ამ ღელვაში სევდა ბევრია,
სამშობლოს ეტრფი მთა-ბუმბერაზი
და მხრებზე ერის მზე გისვენია.

მე მაპატიე

მე მაპატიე,
რომ ვერ შევძელი
შენში აღმეძრა სითბო ამ მთების.
ცათ აზიდული უხვი ფერების
ლაჟვარდების და
ტკბილი ბგერების
ზღვა სიყვარული მომეცა შენთვის.
მე მაპატიე.
მე მაპატიე,
რომ ვერ გიმშობლე,
ვერ დაგანახე მზის სხივი სულზე,
ეს გვირილები, ყაყაჩოები,
ატმის რტოები ჩემს გაშლილ გულზე
ვერ შეგაყვარე.
ვერ შეგაყვარე
თბილი სურნელი მშობლიურ მიწის,
პატივისცემა უცოდველ კრავთა,
მტკვარში ჩაღვრილი
წმინდანთა სისხლის,
მე მაპატიე.
მე მაპატიე,
რომ ეს თვალები ჭუჭყით ამივსე,
ამივსე სევდით,
ჩემი ხელები - მთები, ველები,
მდინარეები გაყიდე ვერცხლით.
მოდი დამკორტნე,
სამუდამოდ დამასახიჩრე,
ამომაგლიჯე,
ეს ძარღვებიც ამომაგლიჯე
და როცა მერე
შენ სინდისთან მარტო დარჩები,
უღმერთო ცრემლით
პანაშვიდი გადამიხადე,
უღმერთოდ, ჩუმად,
პანაშვიდი გადამიხადე
და ჩემს სხეულზე ანაბეჭდად
სული დატოვე,
ეს საფასური იქნება შენი.

ჩემ ფესვებს – როკეთს

დღეს ცასთან ახლოს ვიყავი სტუმრად,
შემომხვეოდნენ მთების კალთები,
ბიბლიურ მიწის სურნელით გამთბარს
მეგებებოდნენ ლურჯი ზარები.
    იავარქმნილი სოფლის ნასახლარს
    გადმოჰყურებენ წელიწადები,
    საუკუნეებგამოვლილ საფლავს
    აღარ შემორჩა სევდის თვალები.
როგორ დაგჩაგრეს, როგორ გადაგწვეს
და შეგილეწეს სულის კარები,
სისხლისგან დაცლილს არ შეგარჩინეს,
არ დაგიტოვეს სალოცავები.
    კლდეებსაც თითქოს ესმოდა ჩემი
    გულის შხუილი დაღლილ ძარღვებში,
    ჩემი წინაპრის მესხური ნანა
    ამღერებული სულის ღარებში.
მე დავიბადე დიდი ხნის წინათ,
მამაც არწივთა სამფლობელოში,
იქ, სადაც მთები ცის თაღზე გრგვინავს
და მოაქვს უფლის დანაპირები.
    ამ მთების წვერზე, ამ სიმწვანეში
    და ამ სამოთხის მზის ბაღნარებში
    მე დავიბადე დიდი ხნის წინათ
    და ახლა მოველ შენს დარბაზებში...
დღეს ცასთან ახლოს ვიყავი სტუმრად,
შემომხვეოდნენ მთების კალთები,
ბიბლიურ მიწის სურნელით გამთბარს
მეგებებოდნენ ლურჯი ზარები.

წმინდა ნინოს ჯვარი მძლეველი...

მთების ნისლებში ჩაიძირა ფარავნის ზეცა,
თითქოს ვიღაცას იფარავდა ღრუბლების ტევრით,
ფეხებს უთბობდა სიყვარულით ქართული მიწა,
ეფერებოდა გზაზე დაღლილს მესხეთის ქარი.
    ანგელოზებით გარშემორტყმულს მოჰქონდა ლოცვა,
    უფლის კურთხევა უფლის მადლით განათებული,
    მესხური ვაზის ლერწმებისგან შეკრული სიტყვა,
    წმინდა ნაწნავით შემოსილი ჯვარი ღვთიური.
ო, როგორ გულით ჩაგიხუტავს ჩემი სამშობლო,
როგორი რწმენით გაანათე ქართველი ერი,
ჯვარით შეძარი დალოცვილი ქართული მიწა,
ქარს გაატანე შემუსვრილი კერპების მტვერი.
    ვინ დაგვაჩოქოს, ვინ წაგვლეკოს, გაგვანადგუროს,
    შემოასიოს ჩემს სამშობლოს მტერი მრბეველი,
    ქართველთ თავს გვადგას კვართის ძალა, ნება უფლისა
    და საქართველოს - წმინდა ნინოს ჯვარი მძლეველი!

დღევანდელობა

აქ არც კესანეა
და აღარც იები,
ერთმანეთს ებრძვიან
გესლიან სიტყვებით,
ყიდვით და გაყიდვით
იცვლება რიგები,
აქ მეფობს ფარსი
და ბევრია ნიღბები.

გუნდრუკს უფრქვევენ
ტაშით და ფერებით,
მერე კი ხარხარით,
ზურგს უკან გველობით
ათრევენ საქვეყნოდ
ერთად და ცალ-ცალკე,
აღვსილი ბოღმით და
აღვსილი ქვენობით.

სულ თხზავენ რაღაცას,
ვიღაცას ერჩიან,
გარშემო ხლართავენ,
სიცრუით ტკბებიან,
ოღონდაც ის ჰქონდეთ,
რასაც რომ ელიან,
ზნესაც კი დათმობენ,
მამონას ეტრფიან.

აქ არც კესანეა
და აღარც იები,
ერთმანეთს ებრძვიან
გესლიან სიტყვებით,
ყიდვით და გაყიდვით
იცვლება რიგები,
აქ მეფობს ფარსი
და ბევრია ნიღბები.

მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

მთვარის მკრთალ შუქზე

ფანტაზიები ისე მოზვავდა,
ხშირად მგონია, კაეტანა ვარ,
დონია ალბა,
მაგრამ სად არის ამ დროს გოია,
რომ გადამხატოს ჩემი სივრციდან,
ვითარცა მახა.
ვხედავ, შენ ცდილობ გამაცოცხლო
ფერად ტილოზე,
მხატვრის როლში ვერ წარმოგსახავ,
მაგრამ შეძლებ, გადამწერო
მთვარის სონატად.
ღამე მაშინებს თავის სიბნელით,
ვით კრაზანები შხამიან ნექტრით,
ვერ ვარკვევ, სად ვარ,
საიდან მოველ არეული მისამართებით,
გზა საითა მაქვს...
იქნებ შენა ხარ ბოლო იმედი
ამ სიბნელეში,
მთვარე ჩამოგყავს ისე მარტივად,
მის მკრთალ შუქზე მასაცნაურებ,
ჩემს გვერდითა ხარ.
ამ იმედს გულში ჩუმად ვინახავ.
თურმე უკვე დაგიწყია ჩემი დაწერა.
ცარცის ფურცელზე,
სულ სიტყვასიტყვით,
განცდებით სავსე,
ჩუმი ცრემლებიც არ დაგვიწყნია,
როგორ შეძელი ასე მკვეთრად
ჩემი დანახვა...
ვით იგრძენი, რას ვაკეთებ
ფუტკრის სიჩუმით,
რაც არ ვიცი, რომ დავიწყე
მისი შესწავლაც,
შენი კალმით ფარდა ახადე
ამ სინამდვილეს,
ჩემი ღიმილი რომ დაგენახა.

ბავშვი შორი გზიდან

ბავშვი შორი გზიდან თვალს რომ არ მაცილებს,
ჩუმად გადავლილი ჩემი წარსულია,
დილაუთენია მუზაც გავაცილე,
უკვე ჩამობერდა, ვადაგასულია.
მას რა დავუტოვე, მე რა დავიჩემე,
ჩემს სულს რაც მოვარგე, მძლავრი ბეგთარია,
თითქოს ძარღვში ძაღლის სისხლი გადამისხეს,
სულ რაღაცას ითხოვს, სულ მაყეფარია.
ვფიქრობ, დაბლობიდან ავდივარ ზეგანზე,
რაკი მზის გარშემო ბრუნავს დედამიწა,
რაც მსურს და მეკუთვნის, არა ვარ უარზე,
მოთმინების ძაფი თუ არ გადამიწყდა.

სიტყვით არ გითქვამს

სიტყვით არ გითქვამს, როგორ გიყვარდი,
ელვა თვალები ალაპარაკე,
დღეს მაგ თვალები ვეღარც მამჩნევენ,
ვაი, თუ ძალზე დაპატარავდნენ.
და ვეღარაფერს ვეღარ მპირდება
შენი თვალების ლურჯი ჭინკები,
გამიყოლია სხვა აზვირთებამ,
მეც დამავიწყდი, აღარ მჭირდები.

ჩემმა წვიმებმა უკეთ იციან

წუხანდელ ღამით არ მიძინია,
ჩემი სურვილი როდი იციან,
ჩემი ზურგჩანთა ისე მძიმეა,
ვერავისთვის ვერ გადამიცია.
ვის სურს ავკიდო როგორც აკიდო,
ჩემი ვენახის ოქროს მტევანი,
ზოგჯერ ქუში ვარ და უამინდო,
ღრუბელი დამდევს, როგორც მდევარი.
ტანწვრილი ალვა გადაზნექილა,
ქარი მიადგა ცივსისხლიანი,
თითქოსდა ზეცას შეასხეს ლილა,
მორცხვად მიღიმის დილა მზიანი.
ვეღარც კი ვიგრძენ ჩემი სარკმლიდან,
მზე ფეხაკრეფით რომ შემოვიდა,
მანეს ცასავით რატომ გაწითლდა
ან თვითმკვლელობა რატომ მომინდა.
ჩემმა წვიმებმა უკეთ იციან,
სხვა სიცხადეში ალბათ იტყვიან.

ნელი საგინაძე

ბერი ნიკოლოზი

ჩაწყვეტილი ძაფები, არ მაოცებს სამოსზე,
სწორედ მასეთ ცხოვრებით ბოროტს სძლიეთ, განმოსეთ,
მესმის ყოფაც ამგვარი, აუტანლად ძნელია
ჩემს ცოდვებს, რომ მიათრევთ, მომიიტევეთ – მრცხვენია!

უკვე სძლიეთ ყოველგვარ საცდურს წუთისოფლისას
უფალია მთავარი, მეფე ყველა სოფლისა,
რწმენა ხორბლისოდენა ჩემს გულშიაც ითესა
მოძღვარო გთხოვ, მაშვრალი მიმიყვანოთ ქრისტესთან!

არც დუმილი მაოცებს, გაცრეცილის, არც ფერი
სული გადაგფარვიათ სიყვარულის ნამქერით,
სითბოს მუჭა-მუჭებით თავზედ მაყრით, მაოცებთ
თქვენს კეთილშობილების უსაზღვრობა მაოცებს!

სიყვარული ყოფილა თავად ღმერთი ,უფალი
თავის ჭურჭელს თვით ვინც სურს, თვითვე იმას უქადის,
სიცოცხლეში ასეთი არაფერი მსმენია,
მტრის თავზეც კი სიკეთით, ხელის გადამსმელია!

ერთხელ ერთი მადლობაც გულიანად ვერ ვწირე
ისევ თხოვნას შევაწევ მდგომი კარების დირეს,
ყველას ცოდვას ცდილობს, რომ ზურგზე თვითონ იკიდოს
სად სცალია ღმერთის კაცს ტანსაცმელი იყიდოს!

ჩაწყვეტილი ძაფები არ მაოცებს სამოსზე
სწორედ მასეთ ცხოვრებით ბოროტს სძლიეთ, განმოსეთ,
მესმის ყოფაც ამგვარი აუტანლად ძნელია
ჩემს ცოდვებს რომ მიათრევთ, მომიტევეთ – მრცხვენია!!!

**

რამდენსაც შენა მთხოვ

რამდენსაც შენა მთხოვ, იმდენჯერ გაჩუქებ
ამ მთვარეს, ზეცას და ვარსკვლავებს,
ოქროს ათინათებს ყოველდღე უბიდან
ღიმილით მოვაფრქვევ შენს თვალებს!

მოდი და ჩემს გულში ჩასახლდი ბოლომდე,
ჩასახლდი აქ, შენს წილ მზიანად,
ოღონდაც მთხოვე და გაჩუქებ ბოლომდე
უსაზღვრო სამყაროს მთლიანად!!!
**

ქეთევან დედოფალს

დედოფალო, ვერა კაცი
ამ ტანჯვას ვერ აიტანდა,
რა ენას და რა თვალს, კალამს
გადმოეცა ნეტავ ანდა!

დედოფალო, ასე სასტიკს
შენს წამებას რა დავარქვა,
ვიცი, არა თქვენც არ მიწყენთ
ქრისტეს მოძულე, რომ ვარქვა!

დედოფალო, შენი სახით
საქართველოს აწამემებდნენ,
შენი რწმენის დატოვებას
რა მხეცურად გაძალებდნენ!

მტკიცედ იდექ დედოფალო,--
ალავერდი მოგძახოდა,
და სიმტკიცეც უდრეკელი
არ იშურვა, მოგცა ხო და!

დედოფალო, მაგ ურყევი
და ურღვევი ხასიათით,
სულ მიწასთან გაუსწორე
იმ დიდ მტარვალს ხვაშიადი!

სული ზეცას დედოფალო,
რა მსუბუქად ააფრინე
და სიმტკიცე, ქრისტეს რწმენის
საქართველოს დააფინე!

ტანჯვის გვირგვინზე ნათობდა
წმინდა სხივი, არა ბუნდი,
მიხარია შენს კახეთს და
ალავერდს, რომ დაუბრუნდი!

ვერ გაჯობეს, ვერა გძლიეს
შენ, ქრისტეს და საქართველოს,
ქართველს შენი წამებულის
მადლითა და ძალით ევლოს!!!
**

როგორ არა ვთქვა მესიანელ ერზე ხმამაღლა

როგორ არა ვთქვა მესიანელ ერზე ხმამაღლა,
როგორ არა ვთქვა ქრისტეს კვართის მცველნზე თამამად,
რად არ ვახსენო "აია' და ძველი კოლხეთი
და წინაპართა წინაპარი შუმერი – ხეთი!

როგორ არა ვთქვა " გონთ საძმოზე, ოქროს საწმისზე
დღემდე ჭალაში დატოტებულ რიონ- ფაზისზე,
გელათი როგორ არ ვაღმერთო სულის ცხონებად,
და ერთად თავი არ მოვუყარო "ქართლის ცხოვრებას!

როგორ არა ვთქვა, რისთვის მინდა მაშინ კალამი
და ვაზის ძირთან შეგროვილი ოქროს წალამი,
თუ ოჯალეში ქინძმარაულს გვერდს არ უმშვენებს
მაშ ქართლის მიწას იქნებ მითხრათ რაღა ამშვენებს!

როგორ არა ვთაქვა "სიბრძნის კბილზე" და ხვამლის მთაზე
ვარსკვლავთ კრებული, რომ მოგროვილა ამ მთების თავზე,
რად არ ვახსენო "მედეია" ქართველი ქალი
დიახაც, რომ მაქვს თქმის უფლებაც და მათი ვალიც!

როგორ არა ვთქვა ამირანზე ხმამაღლა სიტყვა
დასაბამიდან ეს მითი ხომ იყო და ითქვა,
კავკასიონს რომ მიაჯაჭვეს, ესეც ხომ ვიცით
და ქართველებმა ერთგულების დავუდეთ ფიცი!

როგორ გგონიათ ერს როდისმე ეს ავიწდება?! –
– ქართველთ ჯაჭვი, რომ მტრის ჯინაზე არასდროს წყდება,
ხოდა დუშმანო, გამოფხიზლდი, მოიხმე გონი
თორემ ქრისტესთან არ მოუგია არავის ო მ ი!!!
**

დრო გაგამხელს ქალო

რაც არ უნდა შენს სახეზე ნაოჭები ფარო,
რაც არ უნდა იძახოდე ახალგაზრდა ვარო,
რაც არ უნდა მაგ შენს თმებზე ჭაღარები მალო,
დრო გაგამხელს, თანაც მკაცრად, პრანჭიკელა ქალო!

რაც არ უნდა შენს ნაბიჯებს დააძალო ქროლვა,
რაც არ უნდა წლების ზამთარს აუკძალო თოვა,
მიდი, სცადე და დამალე მაგ სათვალის ზომა,
წლები მაინც მოგძებნის და უსათუოდ მოვა!

რაც არ უნდა გედივით, რომ მოიღერო ყელი,
რაც არ უნდა გულს იხუტო ლამაზ ვარდის ფერი,
მფარველად, რომ დაიყენო ვეებერთელა მთებიც
იცოდე, რომ გიპოვის და გაღიარებს წლები!!!

**

დამილოცე საქართველო

ღმერთო, დამილოცე ჩემი საქართველო,
თავის ერითა და ბერითა,
ღმერთო, აგუგუნე მრავალჟამიერი
ჩემი დალოცვილი ენითა!

ღმერთო, ქართველის მკლავს ყანა ათესინე
ძველის ქართულ ჯიშის ხორბლითა,
ჩემი მიწის მკვიდრნი სულით მიძლიერე
ძმა ძმას ატანინე ძმობითა!

მტერი დაუმცრე და მოკეთე უმრავლე
ფუძეც, პურიც, ღვინოც, მარანიც,
ყანწით დამილოცე ქვეყნის ყველა კუთხე
ლოცვა შეაწიე ალალი!

ყველა ოჯახიდან ბუხრის დიდი კვამლი
ზეცას ღრუბლად ეფინებოდეს,
მრავალჟამიერით ყველა ქართველ ოჯახს
მინდა გული ელხინებოდეს!

ყოველ გაზაფხულზე ვაზის ყვავილობის
სუნი საქართველოს ეფინოს,
მინდა ყველა ქართველს მამა-პაპის მიწა
ყველა საგანძურს, რომ ერჩიოს!

ისევ დამიბადე აღმაშენებელი
შოთა, ვაჟა, გალაქტიონი,
ქართლის ისტორიას წყაროდ ადინებდეს
დედა ენგური და რიონი!

ღმერთო, დამიბადე კიდევ ქეთევანი,
ბერი გაბრიელი, თამარი,
ყველა ქართველს სულში ქრისტე ჩაუსახლე
სულისთვის რაც არის მთავარი!

დარიალში მუდამ მიექანებოდეს
თერგი ხმაურიან მდინარით,
კავკასიის ქედზე მინდა ჯაჭვს იწყვეტდეს
უკვე მძლეთა-მძლე ამირანი!

მთვარე მთვარობდეს და მზე კი სულ მზეობდეს
ამ ჩემს საქართველოს ცაზედა,
ლომ-ხარნი ხარობდნენ,არწივნი კი ფრენდნენ
ბერი კავკასიის მთაზედა!

"აი ია"-თი და დედის იავნანით
ქართველი მენახოს გაზრდილი,
მიტოვებულ ადგილს ქისის, საფერავის
ვაზი ყოფილიყოს ჩაყრილი!

აღარ გამაგონოთ ამ ჩემს მიწა-წყალზე
ქართველ გლეხი კაცის ჩივილი,
დილა გაუთენე ყოველ განთიადზე
ყელწითელა მამლის ყივილით!

მუდამ მოისმოდეს მცხეთის სვეტიცხოვლის,
გრემის და გელათის ზარის ხმა,
შენს ნების გარეშე ღმერთო, არცერთ ქართველს
არ ჩამოვარდნოდეს ღერი თმა!

სახლის ერთ კუთხეში ყველას უბრწყინავდეს
უფლის სახე-ხატთა ადგილი,
ლოცვას მიჰყვებოდეს ღმერთის საბრძანისში
თაფლისფერი სანთლის აჩრდილი!

ღმერთო, მიდღეგრძელე ჩემი მიწა-წყალი
მართალ მარჯვენით და ადლითა,
ღმერთო, განურჩევლად ყველა დამილოცე
შენის ცხოველმყოფელ ძალითა!!!

თენგიზ დარსანია

ჩემი მიწა...

მინდა ჩემს მიწას ვუმღერო,
და საქართველო ვადიდო...
ღვინით ავივსებ ფიალას
ამ გულს „ხალისი ავკიდო“.
ფეხით მოვივლი აფხაზეთს
„ფსოუდან მივალ „ენგურზე“...
და „ჰოი-ნანას“ მოვუსმენ
მტირალ ხმას, დაკრულს ჩონგურზე.
გულში ვიხუტებ გრანელს და“,
„ჭკადუაშს“ ვკოცნი – დალოცვილს,
მეისტორიეს „პრინცების"
და ამბებს უცნობ-ნაცნობის.
გაზაფხულია – მამშვიდებს
თბილი საღამო – მშვიდი,
და მახსენდება „ხიდან რომ
გადაფრინდება ჩიტი“.
რა დამავიწყებს მე შენს მისამართს
გულში, უბეში მიდევს,
და სამეგრელოვ!!! – ულამაზესო!!!
სიყვარულისთვის მიწვევ.
იმერეთში და რაჭაში
დაგიკრეფთ ლამაზ იებს..
„საპოვნელასაც“ გაჩუქებთ,
ქართველს რომ უყვარს ძლიერ.
შაორის ტბაზე გაფენილ
ფოთლებს კონებად შევკრავ ...
გავხედავ „ნიკორწმინდას“ და...
ლექსსაც ხმამაღლა ვბედავ.
ფშავ-ხევსურეთსაც გადავწვდი
„სტუმარ-მასპინძელს“ ვეტრფი...
ბუნების მგოსანს ვადიდებ
და დავუჩოქებ ფერხთით.
მოვძებნი მიწის იმ ადგილს,
სადაც იწყება ფესვები, –
ხელში ამაყად მიჭირავს
ხერხელაურის ლექსები.
შეგპირდით – არ გიღალატებთ
მოვივლი საქართველოს...
რომ აღარ დამრჩეს მდინარე,
და ვკოცნო მთა და მდელო.

აპრილი 2022წ.

ოცდაათი წელიწადი

ოცდაათი წელიწადი
[დღეს და ღამეს ვინ დაითვლის],
მტანჯველ სიზმრებს ,,ვეძმაკაცე" –
და კაეშანს – სისხამ დილით.
დედის ტირილს აყოლილი
ჩვილივით ვარ – ცრემლი მახრჩობს,
ოცდაათი წელიწადი!!!
ვეძებ საბადებელს, სარჩოს.
აგერ, სამოცის გავხდები
ცუდი გზებიც მიტკეპნია,
მეგობრები მამშვიდებენ –
– „ეს ხომ მხოლოდ ციფრებია“????
დროს და ასაკს ,,ვერკინები“
მოყვასისთვის წამლადა ვარ...
კარგ თამადას ვათაყვანებ –
თვითონ ზოგჯერ თამადა ვარ.
ფიქრით ჩემს გალს გადავწვდები
ჩონგურს მიკრავს სამეგრელო,
„აშო ჩელა“-ს კვნესის სიმი
და იფეთქებს სადღეგრძელო;
მოდი!! იმ კაცს გაუმარჯოს ...
მშფოთვარეს და „სულ-წრიალას“,
ვისი გულიც საგულეში
სამშობლოსთვის „აფრთხიალდა“.
ფერწასული ჟამი გვიდგას
მტერთა ხელით ნაწერისგან,
თვალთაგან ცრემლები მოგვდის,
როგორც „წყალი საცერიდან“.
შარბათს როგორ ვერ ვანსხვავებთ
[სამსალისგან] – მაცილისგან???
მართლა ღმერთის შვილნი თუ ვართ –
თავი ვიხსნათ სირცხვილისგან.
გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!!!
წამოვუდგეთ ფეხზე გმირებს,
ვინც ოსეთში,აფხაზეთში
საფლავებზე ვერ ვიტირეთ.
ოცდაათი წელიწადი
 ვერ გამტეხა მაინც ჟამმა,.
და „ვძმაკაცობ“ ჩემს ფიქრებთან
ლექსმა გული დამიამა ...

აპრილი 2022წ.

გ ტ კ ი ვ ა.....

გტკივა, მაგრამ.....
ტკივილი ვერ გაწუწუნებს,
ვერ გერევა ტკივილი,
ღმერთს აუგად არ ახსენებ~~
მაინც, მაინც ი ღ ი მ ი.
არც პრობლემებს ეგუები,
რადგან უფალს ადიდებ,
რადგან გამართულად დგახარ
რომ შეგხედონ მადლიერს.
მაინც სხვისთვის იხარჯები,
უდრეკი ხარ – არ ოხრავ.....
თვალცრემლიანი ლოცულობ –
ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გ ა მ ო ვ ა!!!

აპრილი 2022წ.

მ ი ყ ვ ა რ ს

მიყვარს ძველებურად,
მიყვარს ჩემებურად –
სამშობლოს ვერ დავყოფ;
„რიონად", „ენგურად".
რადგან ყველგან ჩემი,
ჩემი სამშობლოა –
მრავალჭირნახული
ეს საქართველოა!!!
მტკივა უკრაინა,
მიყვარს საქართველო...
მისი „ტრამალები“
ჩემი მთა და მდელო.
მიყვარს აფხაზეთი,
იმერ-ამიერი,
სულს მიფორიაქებს
მრავალჟამიერი.
მაღალ მთაზე ავალ,
ზეცას ვეფერები,
სვანეთს ვესალმები
„ლილეს“ სიმღერებით“
რაჭას – ნიკორწმინდას
ძმობას ვეფიცები:
– ძალიან მიყვარხარ,
დედას გეფიცები.
საპოვნელას ვიკრავ
გულზე სიხარულით,
ხორუმსაც ვიცეკვებ –
ისე – მხარულებით.
სამეგრელოს ,კოლხეთს
ვკოცნი „კაკალ-გულში“,
დადიანის „ნაკრძალს“
გაცვლი სხვა მამულში???

აჭარას მივდივარ
და ვმღერივარ ქართულს,
მივესალმო მინდა
ქობულეთს და ბათუმს.
გზად გულში ჩამიკრავს –
ლამაზი გურია,
მათი „კრიმანჭულით“
ხალისი მწყურია.
ზემო იმერეთში
იას დავკრეფ მთებში..
რომ ჩემს საქართველოს
დავაბნიო თმებში.
გავიხსენო მინდა
ლექსი ძველთა-ძველი...
„ორ ზღვას შუა ლელო“
ჩემი საქართველო.
რომ „მიიკვანწება“
ბილიკი იმ ტყეში...
„საბუდარას ბიჭი
რომ არ გატყდა წელში.“
ამ მიწის და ამ ცის
მე შვილი ვარ ,შვილი...
და ასე გავზარდო
ჩემი შვილიშვილი.
ჩემო თვალნათელო!!!
ჩემო სასახელო!!!
ვფიცავ... შენს მზეს ვფიცავ...
ჩემო საქართველო....
შენი დარაჯი ვარ,
ჯარისკაცი – ერთი...
მაინც იმედით ვარ –
არ გაგვწირავს ღმერთი.

2022 წ. მარტი

ი მ ე დ ი

მალე ვიპოვით „სულიკოს"
„ოქროს საწმისსაც" მივიღებთ,
და ,,ნიკორწმინდის " სიმშვენეს
ფეთქებად გულთან მივიდებთ.
,,საპოვნელასაც" მივიბნევთ
ამ გახურებულ მკერდზედა,
მტერსა,მომხდურსა – სამშობლოვ!!!
არ გავახარებთ შენზედა.
კავკასიონზე ,,მიჯაჭვულ
ამირანს" ავხსნით ბორკილებს,
და მცხეთის სვეტიცხოვლში
მოვნათლავთ დებს და ძმობილებს.
,,გარეჯზე" სანთლებს დავანთებთ
მოვუხმობთ ძმებს ივერიელთ,
ქართლში,კახეთ-იმერეთში
ისმოდეს ,,მრავალჟამიერ'.
აჭარას მოვეფერებით'
,,გულს რომ გაგვატანს" ბათუმი,
იქიდან გურიისაკენ
ცხენებით ,ნალთა თქარუნით.
კოლხურ სახლს ფუძეს ვუკოცნით –
,,გორდაში" დადიანს ვლოცავთ,
გრანელის სახლში ვილოცებთ
დავაიმედებთ დიდ მგოსანს.
სოხუმში ვივლით ამაყად
გუდაუთაში ყანწს დავცლით,
,,ხანგა ოქუმწყარს" შევსვამთ და
კოხორას ვკოცნით – დავარცხნილს.
გულში ჩაგვიკრავს გალი – და
მოვინახულებთ საფლავებს,
ხუმუშქურ-რეფი-ბარღებში
,,ხეებს დავუწნავთ ნაწნავებს"
ბოლოს ,,ენგურთან" დავდგებით
მადლიან სიტყვას ვეტყვით ძლიერსო,
,,გვიმარავ!!!" არ დაიჩაგრო –
სიმბოლოვ და მშვენიერო.

01.02.2022წ.

ჩემო მამულო...

ისე წამართვა დრომ სიყმაწვილე,
ვით ქარიშხალმა თეთრი ფანტელი –
რაღაც მინდოდა მეთქვა,მომესწრო
ვერ მოვასწარი – სიტყვა სათქმელი.

ამ გულის ძგერას ვერას დააკლებს
ისევ ისეთი მაქვს ,,სიყმაწვილე"..
მე ვარ ქართველი..მე ვარ ქართველი
და არსად,სხვაგან ,,გამინაპირებს".

ჩემში სისხლი დუღს ცოტნეს,ტატოსი
სისხლი თამარის ,ვახტანგის ,ქუჯის...
და სიყმაწვილე სადღაც თუ გაქრა,
არ გამივლია სიცოცხლე – ფუჭი.

ღამეს გითენებ ჩემო მამულო!!!
ასე უცბად რომ შემოგეპარა –
ვერ გაიხარებს მტერი შენზედა
ჩემო ლამაზო, ჩემო ქვეყანავ!!!

თავაწეული ვივლი შენს გზებზე
ცაში დაგითვლი ლამაზ ვარსკვლავებს....
დამავალე და მუხლზე დავდგები –
ვალდებული ვარ, შენ გენაცვალე...

2012წ.

ს ა მ შ ო ბ ლ ო

დავდივარ მე შენს მიწაზე
დამყურებს შენი ცა...
მყავს მტრებიც, მოკეთეებიც--
ოჯახ-შვილებიც,ძმაც.
მიზანი და ოცნებები
გაგიხარია – მაქვს,
მაქვს სალოცავიც,ხატებიც
ვერ იპოვნიან მსგავსს.
უარეს ტკივილს მოვითმენ,
შენით და შენგან – კვლავ,
შენს ცის ქვეშ მოვლენილი ვარ
ვწუხვარ,დარდს გულში ვკლავ.
ვაჟა,აკაკი,ილია,
გალაქტიონი მყავს--
„სულიკოს" ვეძებ ოდითგან
„ოქროს საწმისი" მკლავს.
რას ვიფიქრებდი – ამირანს
„მივაჯაჭვებდი მთას",
და სვეტიცხოვლის ამგებელს
თუკი „მოვჭრიდი" მკლავს.
დროშიც,სივრცეშიც ვერ აგცდი
ვერ შევიყვარებ სხვას...
ერთი ხარ, ჩემო სამშობლოვ!!!!
შენი და ღმერთის მწამს.

დეკემბერი 2021წ.

ნატვრა

გაგვითენდეს კარგი დილა
იმედისა, ნატვრისაო...
ყველა ნატვრა აგვხდომოდეს
იმედითა ხვალისაო.
აფხაზეთში და ცხინვალში
გათენება ღამისაო....
სოხუმის მზემ გაგვათბოს და –
მიწა ვკოცნოთ გალისაო.
ოდაბადე, დედულეთი..
მოხატული კალმითაო –
ბებო-ბაბუს საფლავებს კი
მოვეფეროთ მადლითაო.
ყვარელ-თელავ-გურჯაანში
ღვინო ვწუროთ ქარვისაო,
სამეგრელოს რომ ვუმღეროთ
„კუჩხი ბედინერისაო"
იმერეთში გულს მივიკრათ
საპოვნელა ძაფითაო,
„სულიკო" რომ გვაპოვნინა
წერეთელ აკაკისაო.
რაჭის მთებს და „შაორის" ტბას
შევეგებოთ ხატითაო,
რომ გულმა ანაზდად იგრძნოს
მადლი „მამისონისაო".
„მშვიდობა" ვთქვათ გურიაში
მადლი კრიმანჭულისაო
„მიხთი"?? – გურულმა რომ მითხრას
მოიწიე აქითაო.
ბათუმისკენ, დურსუნისკენ
რომ ვიაროთ სწრაფვითაო,
ვიცი, აღარ მიღალატებს
თავდაღმართი ჩაქვისაო.
ბაკურიანში ავიდეთ
ვთქვათ ცოტნეს გმირობისაო,
,,კოხტა-გორაზე" შევფიცოთ
ერთმანეთის ძმობისაო.
უფლისციხეს როგორც შევალთ
გრძნობა სიყვარულისაო,
„ქვახვრელელი" მოგვიყვება
ისტორიას ხარისაო.
ლოცვა ყველგან თან დაგვყვება
სვეტიცხოვლის, ჯვარისაო
დიდოსტატის მოჭრილ მკლავს კი
ვიხსენებდეთ დარდითაო.
ქართლი ყანწით ვადღეგრძელოთ
„შიდაცა" და „ქვემოცაო"
გულში ნატვრა რომ გვესმოდეს –
„გამახარე, ლურჯო ცაო!!!.
თბილისში თავს შემახსენებს
სიმღერა ცაბაძისაო...
მთაწმინდაზე ჩონგურს ვკოცნი
ჩონგურს დიდ აკაკისაო,
გაიხაროს ყველა კუთხემ
მადლით, ამ ახალ წლისაო,
მე ჩემს სახლში დავბრუნდები –
მიწა ვკოცნო გალისაო.
გილოცავ ჩემო საქართველო ახალი
წლის შემობრძანებას... ყველას
გკოცნით და გულში გიხუტებთ...
მიყვარხარ ჩემო ტკბილო ქვეყანავ!!!

14 იანვარი 2021წ.

ნანა ბოჭორიშვილი-ჩარკვიანი

ჩამოიღვენთა ისევ სანთელი

ისევ ლოცვაში გავიდა ღამე,
ჩამოიღვენთა ისევ სანთელი.
ომში დაღუპულ დიდს,თუ პატარას
ყველას დაადგეს უფლის ნათელი.
მემატიანე წერს ისტორიას,
სისხლით ჩაწერეს, მათი სახელი.
ომში ჩაერთო მოულოდნელად
მოხუცი, ქალი, კაცი, ბავშვები.
გაოცებული არის მსოფლიო,
უკრაინელი ხალხის გაძლებით.
მათი მხნეობით, ერთიანობით.
ერთი სურვილის, მტერის დაძლევის,
ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის
სულის ძახილი არ დამარცხების.
ფეხმძიმე ქალებს ბომბებს ესვრიან,
ამას ჩადიან მხოლოდ ლაჩრები.
სადაც დედებმაც ჩაიცვეს ფორმა,
სახლში მომხვდურ მტერს იცავს კაცები
როცა, სიმართლე გიდგათ თავდებად
გველეშაპთანაც, არ დამარცხდებით.
ვერ შეშინება, არ დაჩოქება
უკრაინული მიწის დათმობის.
დაპურებული ტყვეთა ცრემლები,
დიდსულოვნება მათი დანდობის.
ისევ ლოცვაში გავიდა ღამე,
ჩამოიღვენთა ისევ სანთელი.
ომში დაღუპულ დიდს და პატარას,
ყველას დაადგეს უფლის ნათელი.

ვნების კვირაა

ვნების კვირაა მძიმე დღეები
მე კი, დილიდან წამიღო დარდმა.
როგორ მოვიქცეთ ჩვენო უფალო!,
რომ აგაცილოთ თავიდან ჯვარცმა.

ვერ შეგიცანით, ვერ მოგიარეთ,
არ გაღიარეთ უგნურმა ხალხმა,
ნუთუ, უფალი ჩვენ, რომ გვერწმუნა,
უნდა მოგვეწყო ამისთვის ჯვარცმა.

მაინც უარგყვეს, მაინც დაგცინეს,
ოცდაათ ვერცხლზე გაგყიდა კაცმა.
ოო, როგორ მინდა ჩემო უფალო,
რომ აგაცილო თავიდან ჯვარცმა.

ჩვენი ცოდვები, გამოისყიდე,
თავად ეახლე, გოლგოთას კართან.
კაცობრიობა შენს ვალში დარჩა.
ვერ აგაცილეთ თავიდან ჯვარცმა.

ვნების კვირაა მძიმე დღეები,
მე კი დილიდან წამიღო დარდმა,
ვერ აგაცილეთ თავიდან ჯვარცმა,
მაგრამ იმედად ა ღ დ გ ო მ ა დაგვრჩა.

ემიგრანტი შვილისგან

სასაფლაოზე, ლურჯთვალა იებს
მოუჩითიათ, დედის საფლავი.
ციდან მირონად გადმოდენილი
დაპკურებია გულზე,ცვარ-ნამი.
მარმარილოზე, დახატულ თვალებს,
სიო გიკოცნის ეხლა ჩურჩულით.
ხომ აპატიებ, რომ ვერ მოვიდა
ბებერი მუხაც, გეტყვის ბუბუნით.
ჩიტი, რომ გალობს, ვარდის ფუჩქებთან,
ჩემგან მოკითხვას გეტყვის ჟღურტულით.
უკვე რამდენი წელი გავიდა,
ვერ მოგიტანე დედი იები,
მოგილოცავენ საფლავთან მდგარი,
აყვავებული მაგნოლიები.
დედას გავხარო, მეუბნებიან,
სარკესთან, ვუცქერ ჩემს თავს მდუმარი.
მომნატრებია დედის საფლავი,
თავისით მოდის, ცრემლი მდუღარი.

* * *

არეული ნაბიჯები,
არეული ამინდი და,
არეული ფიქრი,
მზე ხან ღრუბლებს ეფარება,
ხან ცის თაღზე იწვის.
არეული ნაბიჯებით,
გათელილი გზები
და,ამაყად მოცქირალი
იდუმალი მთები.
კლდის თავიდან მოდენილი
ცივი ჩანჩქერები.
ტყის შრიალში გაბნეული
ფრინველების ხმები.
შენი მიწის ყივილი და
მოთმინებაც ბევრი.
სხვის მამულში ,,ბორიალი"
ნოსტალგია,შენის.
გულში,უხმოდ ტირილი და,
ჩუმად ყლაპვა ცრემლის.
სხვის ტაძარში,სანთლის ალი
მომლოცველი მრევლი.
ზარების ხმა გულზე ხვდება,
ისე,როგორც გრდემლი.
რა რთულია, რა ძნელია
ემიგრანტის ბედი.
არეული ნაბიჯებით,
გათელილი გზები
და ქარისგან აწეწილი,
ქალის ქერა თმები.

ბოლო სიტყვას მაინც იტყვის უფალი

საოცარი დილა იდგა თებერვლის,
ჩიტების ხმა,ტყვიების ხმამ შეცვალა.
მძინარე ძმას,ძმა დაესხა საომრად
და ერთ წამში აირია ქვეყანა.
უმანკოთა სისხლით მიწა მოირწყა,
და ცხედრები საცოდავად ეყარა.
ომი არის თან წესების გარეშე,
არ ინდობენ,ვინც გზად შემოეყარათ.
ანგელოზებს,ქალებსა და მოხუცებს,
არ არჩევენ და,არიან მსხვერპლები.
ვინ გაგზარდათ, სისხლისმელი ყორნები,
ნუთუ არ გყავთ,შვილები და დედები.?!
კალმით ნახატ,ზღვისფერთვალა გოგონებს,
არ ინდობენ,თავზე ისე ესხმიან,
სადედოფლოდ შეღერებულ ლამაზებს
ვარდის ნაცვლად,ხელყუმბარებს ესვრიან.
ღმერთო ჩემო,დაიფარე სამყარო,
ქალთა ხოცვა,რა ვაჟკაცთა წესია.
დედამიწა მსხვერპლთა ცოდვით კანკალებს,
არ გაუსკდეს გული,ისეთ დღეშია.
ერთმორწმუნე ერი აღსდგა მახვილით,
მიწის გამო,ჯოჯოხეთი გამართეს,
რაც უფლისგან ნაბოძია არ ჰყოფნით
მერამდენედ,ქრისტე ჯვარზე გააკრეს.
ძლიერი ხარ?! გეშინოდეს სატანავ,
შენ ხარხარებ, ხალხი არის მწუხარი.
არ დაინდე,შენი სისხლი და ხორცი
არ დაინდე ერი,,თავისუფალი."
სხვის მიწაზე,სხვის სახლებში შეიჭერ
თავს იმართლებ აქეთ ვალს სდებ მუქარით,
ბოლოს მაინც,ბოროტს დასძლევს კეთილი!
ბოლო სიტყვას იტყვის მაინც უფალი.!

* * *

გაზაფხულის დედოფლად აღიარეს აპრილი.
თმებში იასამნები და ვარდები ჩაპწნილი.
გაზაფხულის დედოფლად, აღიარეს აპრილი.
სიყვარულით მთვრალია, დედოფალი ნამდვილი,
ყვავილების სურნელში, გახვეულა აპრილი.
დაფარფატებს პეპელა გრძნობებისგან დაცლილი.
ყვავილების ფურცლებზე ჩამომჯდარა დაღლილი.
სუროს შაშვი ესტუმრა, ისმის მისი ხმა ტკბილი.
ტახტრევანზე ნებივრობს, ჯადოსნური აპრილი.
ხეებს კვირტი დაუსკდათ, გაიშალა ყვავილი.
ფარჩითა და ატლასით თავს იწონებს აპრილი.
ქარი,ეჩურჩულება, მორცხვობს,წამწამ დახრილი,
გაზაფხულის დედოფლად აღიარეს აპრილი.
ატმებთან ჩამომჯდარა სჩანს პოეტი დაღლილი,
მუზამ გულში ჩაიკრა, ჯადოსნური აპრილი.

გულის ამოძახილი.

ჩემი სამშობლო, არწივების იყო გამზრდელი,
იყო განთქმული მეომრებით მისი სახელი.
ერთად დგომა და გმირობა არ გვესწავლებოდა,
ერთი ათასსაც, მამაცურად ეომებოდა.

ეხლა კი, გვიკვირს სხვისი მოგვწონს ერთსულოვნება,
გადაიარა წინაპრებზე დიდმა ომებმა.
დღეს კი, ვინა ვართ,
ზოგი ნაცი, ზოგი კი ქოცი.

რით ვერ გაძეხით, ერთმანეთის ლანძღვით და ხოცვით.
რით ვერ იჯერეთ გული, სხვებზე გადაბრალებით,
ერთმანეთისკენ, გადაგვღალეთ თითის გაშვერით.
ჩემი ქვეყანა კი, აავსეთ დარდით, ვალებით.

იქნებ, დრო არის გაახილოთ ფართოდ თვალები,
ერთად მონახოთ, პრობლემების გამოსავლები.
მტკივა,სამშობლო, მტკივა ერის გადაგვარება,
ვისი გორის ხარ, უკადრელი არ გეკადრება.

ზოგი აგროვებს მილიონებს, ზოგს ცივა, შია.
სხვები მოდიან, ქართველები სხვაგან გარბიან.
რა დროს მტრობაა,
            რა დროს ქოცი,
                        რა დროს ნაცია,
როცა ქვეყანა შიმშილობის უკვე ზღვარზეა.

ყველა მიყვარხართ, ქართველებო და გეფერებით,
მოძმე მხარეში, მარტი ტირის სისხლის ცრემლებით.
დღეს დედამიწამ გადაიჭრა, ისევ ვენები
ჩემო ქვეყანავ, ბებერო მუხავ, ნუ დაეცემი.

გთხოვ, როგორც ადრე შეისწორე, ისევ ეგ მხრები,
ფეხზე წამოდექ, გაჭირვებას ნუ დანებდები.
დღეს როგორც ცხოვრობ, მაგ ყოფისთვის არ მემეტები.
ჩემი სამშობლო, დაიფარე ,,დედა მარიამ."

გვარიდე ომი
ქართველები ცოტა არიან.
შენს წილ ქვეყანას დააფარე, კალთა წყალობის
შენ ხარ იმედი საქართველოს ერთიანობის.

მენატრება ჩემი ცა

საოცარი ხედებით
ეფარება მთა ნისლებს,
ჩემს მთებს ისე მახსენებს და
ცრემლებით თვალს მივსებს.
მენატრება ჩემი ცა,
ჩემი ტკბილი მამული.
მისი მთები ამაყი
ნისლებში ჩაკარგული.
მაგონდება მის კალთებს,
მზე რომ დაჰფენს დალალებს.
მთის კალთებზე არწივი,
როგორ შეინავარდებს.
აქაც ბევრგან მინახავს,
მჩქეფარე ჩანჩქერები.
აქაც ბევრგან შეგხვდება,
ჯადოსნური ხედები.
შენს სურვილებს,ვერ მიკლავს
თუმც მაინც ვეფერები.
შენ, ხომ სასწაული ხარ
არვის არ შეედრები.
სხვის მიწას და სხვის ზეცას
სხვის მთას,ზღვას და მდინარეს,
მაინც ვესათუთები,
შენგან გამომდინარე.
აქაც ხარობს ბუნება,
მაინც სევდით დავდივარ
ჩემი ქვეყნის მაჯაზე,
გაწყვეტილი ძარღვი ვარ.
საქართველოს უბიდან
აფრენილი ჩიტი ვარ,
ჩემი.ქვეყნის კისრიდან
გაწყვეტილი მძივი ვარ.
ნეტავ მარტო მე ვიყო,
განა ჩემს თავს ვჩივივარ,
სხვაგან გაშვილებული,
საქართველოს შვილი.ვარ.
ალბათ ისევ შევხვდებით
განთიადს და დაისებს,
ისევ გაიაპრილებს,
ისევ გაიმაისებს.

სიმონეთი

უშენოდ რა იქნებოდა,
მშვენიერი იმერეთი.
სადაც ენა ამოვიდგი,
სად, ავიდგი პირვლად ფეხი.
დალოცვილი,მადლიანი
ჩემთვისა ხარ ერთად- ერთი.
ჩემი ტკბილი ბავშვობა და,
ჩემი თბილი ,,სიმონეთი."
აშრიალებს ჭადრის ხეებს,
მონავარდე,ცელქი ქარი
ამაყად,რომ გადმოგყურებს
უნაგირას მთები არის.
,,სიმონეთი" კურორტია,
მისი წყალი მადლმოსხმული,
სამკურნალო აბანოებს,
ძალაცა აქვს ,,ჯადოსნური."
ყანებს,ჭალებს ამშვენებენ,
ყაყაჩო და გვირილა,
მოჩუხჩუხე ნაკადულებს
გულში იკრავს ,,ყვირილა."
მორაკრაკე წყაროები,
სკოლა,ძველი დუქანი.
მაინც ყველას მირჩევნია
მე,,,ქობულის" უბანი.
ნაღდი სტუმარ- მასპინძლობა,
თავის წესით,ადათით.
გულდაწყვეტილს არ გაგიშობს,
მასპინძელი არაფრით.
მე კი,ისე მენატრება,
სიმონეთის ქუჩები,
დედაჩემზე მოპარული
ქუსლიანი ტუფლები.
თან სარკეში ჩუმად ცქერა,
ბედნიერი წუთები.
დის პომადით მოთხუპნილი
პაწაწინა ტუჩები.
ჩემი ტოლი ქალ- ვაჟები,
,,კონცერტების"გამართვა.
,,სიმონეთის" სიყვარული
დრომაც კი,ვერ წამართვა.

მარტო რად ჭირვეულობ

აირია მარტი და,
ისევ ავდარს აპირებს,
ციდან თეთრი პეპლები,
ეფერება ყვავილებს.
თოვლის ფიფქი ფარფატით,
ციდან ნაზად ეშვება,
ახალგაღვიძებულ კვირტს,
წელზე შემოეხვევა.
ტყემლებსა და ალუბლებს,
დაუკოცნა ტუჩები,
თოვლის ფიფქით მორთულა,
ატმები და ნუშები.
მარტო, რად ჭირვეულობ,
რად ხარ ასე თავნება,
ყვავილებმა რაღა ჰქნან
სანამ თოვლი დადნება.
შეყუჟულან თოვლის ქვეშ,
გათოშვიათ ხელები,
თოვლსაც კი ,გულს გაულღობს
ყვავილების ცრემლები.
დათოვლილი სუროს ტოტს,
შაშვმა შეიფრთხიალა.
შეციებულ ყვავილებს,
კვირტში გააჟრიალა.
მარტო , რად ჭირვეულობ,
ქალს რად გავხარ ბუნებით.
ზოგჯერ ზამთრად მოდიხარ,
ზოგჯერ გაზაფხულდები.

ცავლინა ჭაფოძე

* * *

მერცხლის სიმღერა

(ჩემეული ვარიანტი)

დავჩეკე წვრილი ბარტყები,
დამიფრთიანდნენ მალეო,
ფრთა ფრთას შემოჰკრეს, გაფრინდნენ
ირჩიეს სულ სხვა მხარეო.

მათ ნატვრაში და ლოდინში,
დღეები მრავლად ვთვალეო,
უფალო კარგად მიმყოფე,
სამივე გამიხარეო.

ღონემიხდილი, უმწეო,
შენს კალთას შემაფარეო,
ძალა მომეცი უფალო,
ლოცვა რომ შევძლო ხვალეო.

* * *

სულს დააჩნდა იარად,
წეღან რომ ჩაიარა,
ქალმა კაბის ფრიალით.
მე ვერ შევძელ მეტი და
ლამის იყო მეტირა,
მაინც ვლოცავ ფიალით...
გული გულის დარია
ნეტავ, რამ გადარია
გული ჩემი საღადრე.
ჩემთან მოდი ჩიორა,
ქალო ერთო ფიორა,
მოდი, გული გამანდე.

კვირაძალია

კვირაძალია....
გარეთ ქარია,
ქარმა ფოთლები არივ-დარია,
ვიღაცა ჩემი ფიქრის ცალია,
ვიღაცა ჩემზე დარდობს ძალიან,
გნატრობ, ვვოცნებობ და მიხარია.
ცა ოცნებების ნატერფალია,
ოცნება – ჩემი ტყუპისცალია.
გხედავ, მზე ხელში აგიყვანია.
მზე – სიყვარულის ნაპერწკალია,
ცა დამშვიდდა და ახლა დარია,
სულში მზეა და მე მიხარია...
კვირაძალია...

ნატვრა

შენი ენა მესმის და
შენი სმენა მწყურია,
რა ლამაზად უგალობ
ამ მთასა და ველს.
შენი ტკბილი გალობა
მართლაც შესაშურია,
რა წკრიალი გაუდის მაგ პატარა ყელს.
ატკბობ გულს და გონებას,
წამით გავირინდები,
სულმაც იგრძნოს შვება.
შენს გალობას მივყვები,
თვალწინ ამიფრინდები,
იყოს უფლის ნება.
სულ ასე ფრთხიალებდეს
შენი გული პატარა,
მოწკრიალე ხმები
მეც მოგდიო კვალდაკვალ,
შენთან ერთად მატარა
ჩემი ქვეყნის მთები.
შენი ტკბილი გალობა
მართლაც შესაშურია,
რა წკრიალი გაუდის მაგ პატარა ყელს.
შენი ენა მასწავლა,
შენთან ერთად მწყურია
ვუგალობო ცემი ქვეყნის
ლამაზ მთას და ველს

ნაწვიმარზე

თუმც ლივლივებდა დილა მტრედისფრად,.
მაინც ყორნისფად დადგა საღამო.
შუაღამით კი უცებ იქუხა,
წვიმა მოვიდა თბილი, საამო.
ირგვლივ სიმშვიდემ ჰპოვა სამეფო,
ცა გაირინდა ლოდინში დილის,
მიწის სურნელით დაიბანგება,
ვინც ამ ნაწვიმარ მიწაზე ივლის.

გამახარე!

ადრეულა ყვავილები მომიტანე
გაზაფხულის მომახარე მოსვლა,
გამახარე, იცი, როგორ გამახარე
მივემსგავსე ფრთოსანს.
ის მოძღვნილი ყვავილები დამჭკნარია,
მაგრამ გულში გაზაფხული ლაღობს,
მაგონდება იმ დღეების ნაზი სითბო
და ოცნებით ისევ ისე ვბალღობ.
ამ გაზაფხულს კვლავ იფეთქა ყოჩივარდამ,
ჩვენი ხევი აკისკისდა ისევ,
დაკლაკნილ გზას მივუყვები მაღლა-მაღლა
და მივიწევ მზისკენ.
ადრეულა ყვავილები ისევ ყვავის,
გაზაფხულის მომახარე მოსვლა,
ენძელებით გამახარე ერთხელ კიდევ
მივემსგავსო ფრთოსანს

* * *

მე ახლა შენი მკლავს მონატრება,
მე ხომ უშენოდ დავრჩი ეული,
ეს მერამდენედ გავითავისე,
რომ სიყვარული არის გრძნეული.
გასაყოფი გზა გაიყოს უნდა,
მწვერვალებისკენ შემართე ფრთები,
ბედნიერება დაგიმეგობრებს,
ო, მე კი იმ დროს აღარ ვიქნები.
მაგრამ იქნება ნორჩი ყლორტები,
წაქცეული ხის ამონაყარი,
და მოგონება გაგყვება მუდამ,
ვით საიმედო, სანდო მაყარი.

მოდი!

ქალი ხარ თუ ჩანჩქერი ხარ,
მოვარდნილი კლდიდან,
გულში ცეცხლად ანთებული,
სიყვარული წმინდა.
მოდი, სანამ ჯიბე-უბეს ყვავილებით აივსებ,
მოდი ერთად მოვეფეროთ აპრილებს და მაისებს.
მოდი, მოდი ერთად დავდგეთ,
ვით ცის თაღის ბურჯები,
ჩქარა მოდი, ჩქარა თორემ
სიყვარულით ვმუნჯდები.

გაზაფხული სვანეთში

ტყემლის ყვავილებს მოუპარავთ ფიფქთა სინაზე,
თავს იწონებენ ვაშლის ხეები ნორჩი კვირტებით,
ბრაზმორეული ცხენისწყალი აქაფებს ტალღებს,
ჭითხარო კი... ბარს დაჰყურებს გულდადინჯებით.

მისი სიმაღლე საუფროსო მახვშის საკარცხულს
შეეფერება...
დგას ჭითხარო მშვიდი თვალებით.
ამაყი მთები ქედს იდრეკენ მახვშის წინაშე
და შეჰხარიან მზეს ელვარებით.

სვანეთი

ტანაყრილო ალვის ხეო, შემოსილხარ მწვანეთი,
შენმა ნახვამ მომანატრა შორეული სვანეთი.
მოგუგუნე ცხენისწყალი, გარინდული ნაპირი,
ზამთრის სუსხს შეჭიდებული უდარდელი აპრილი.

გუშაგებად აშოლტილი ნაძვები და ფიჭვები,
შარვალ-აკაპიწებული ფეხშიშველი ბიჭები.
დაბრეწილი ლოყებით და ხელში თააშ-დიარით,
მერე მაინც ცხენისწყალი ტალღის რიალ-რიალით.

მერე მაინც ჩემი სოფლის დაღვარული გზა-შარა.
აუჰ! რამდენს ვეღარ ვხედავ, თვალში ცრემლი გამშრალა!
წლები როგორ დასტყობიათ ქალებსა თუ ქაწულებს,
მოუთმენლად მოელიან სანადიროდ წასულებს.

ზოგს ჩაუქრა თვალში სხივი, გაუხუნდა მანდილი.
ზოგს სვანური ვაჟკაცობა, შერჩა როგორც ქადილი.
დამამშვიდე ალვის ხეო შემოსილო მწვანეთი.
შენმა ნახვამ მომანატრა შორეული სვანეთი.

ირინოლა ფერაძე

*

ნუ გშურს, თავისი გზით
მიდის
ყველა.
შენი გზა იქნებ, სხვის სავალს ჯობდეს...
როცა უყვარხარ,
უკეთესია,
კი არ იცოდე,
უბრალოდ გრძნობდე.

წყენას და ბრაზსაც ზიანი მოაქვს,
ორივე არის, სულის სახადი...
ვეღარ მოუსმენ: შოპენს და მოცარტს,
ვეღარ დახატავ, თუკი ხატავდი...

ცხოვრებას კარგი მხრიდან შეხედე!
სიკეთეს, ღიმილს, გვჩუქნის იებად...
ჰარმონია და სითბო ეძებე,
არას მოგიტანს, შურისძიება!

*

ცუდ მოგონებებს, დღეთა ნუსხა მალვით ქარს ატანს.
(ჩემი სინდისი უკვე მშვიდ და ღრმა ძილს მპირდება.)
ზოგჯერ, შორიდან სინამდვილე უფრო ნათლად ჩანს,
მიახლოვებით კი თვალები დაგებინდება.
ისე ნელ-ნელა გაიპარა წლები ღალატით,
დღეს ჩემს ოცნებებს ,,ალადინის" უწევს ლოდინი.
მე, რომ მცოდნოდა... ყოველ წამსაც შევინახავდი,
ახლა თვითონ ვარ, წარსულისგან უარყოფილი.
თავს შემახსენებს უღმერთობით განცდილი სევდა,
გაზაფხულის მზე, როცა ღრუბლებს მწარედ ატირებს...
დაველოდები სიყვარულით გულის ავსებას
და აღდგომამდე სული ჯვარცმით გაიაპრილებს.

*

შენზე ფიქრი აპრილივით მომიქარგე,
მზის ნაწნავთა ელვარებით
შემმოსე...
დაკარგული თეთრი ფრთები მომიტანე,
ძველებურად, სიყვარულის მჯეროდეს!

ობოლ სულთან ასე ახლოს, რომ მოგიშვი...
ეს სამყარო სიხარულს ვერ მალავდა.
ფირუზისფერ თვალთა ხილვის მოლოდინში,
ჰოი, დარდი თვითონ გაჭაღარავდა!

დიდ სიყვარულს, არც წამზომი არ სჭირდება...
ანგელოზი ახლავს ყოველ სავალზე.
დამითვალე დახარჯული ცრემლები და
ღიმილებზე ორჯერ გადაამრავლე...

*

შემოგვეჩვია სიკვდილის ლანდი,
გავითავისეთ თხემით- ტერფამდე...
ამაოების ურვა და დარდი
ვაი, რომ ისევ მიგვაქვს ღმერთამდე.
არაფრად არ ვთვლით
რაც გაგვაჩნია,
უფერულ დღეებს რაც გვილამაზებს,
არ ვუფრთხილდებით რაც კი კარგია
და როცა ვკარგავთ, მერე ვაფასებთ.
დროს ვფლანგავთ ფიქრში...
ვერავის ვენდეთ,
ბედნიერების უაზრო ძებნით
და ცოდვა-მადლის განკითხვის დღემდე,
უფლის ნაჩუქარ სიცოცხლეს ვტკეპნით.

უსათუოდ მოვა

როცა გული გელოდება მზენაფერი,
გადათოვლილ ფიქრებს, ისევ ათოვს.
სულ თავიდან მეორდება ყველაფერი...
როცა გიყვარს, ვერაფრით ვერ დათმობ!

განშორებაც უფლისაგან მოგევლინა
და ნუგეშად, ღვთისმშობელი ხომ გყავს?
არ გაუშვა! არ გაუშვა ცხოვრებიდან!
ვისაც შენთვის გაზაფხული მოჰყავს.

❤□💗 😮 😆 💗 💗 ❤❤❤□😮 😆 💗 💗 ❤❤❤

ანამარია ლილუაშვილი

სიკეთე რაა?

სიკეთე რაა ? ბედნიერება ,
სულს რომ გიამებს და მისით
ტკბები.
ენა რომელიც ესმის უსმენოს,
თვალი რომლითაც ხედავენ
ბრმები.

რელიგიაა ჩემი სიკეთე ,
მიზეზი მისთვის რომ არ დგინდება ,
ცხოვრების აზრი ეს სიკეთეა,
სამაგიერო რომ არ სჭირდება.

კეთილი საქმე , სამყაროს მზეა ,
ძლიერებაა და სილამაზე
და შენც სიკეთის თესლი ხარ ერთი,
თუ გიფიქრია იქნებ ამაზე.

ის სიკეთეა, იმედის სიტყვა ,
ან ის მარცვალი სხვას რომ უთესე.
მადლი მიიღე ბედნიერების ,
და სიყვარული ნერგი უნერგე.

სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს,
არ ჰყოფნის მიტომ გმინავს და
ბორგავს.
და მაინც რაა სიკეთე ნეტა?
შუქი , გვირაბის ბოლოს რომ
მოსჩანს.

ღამის ფიქრები

ღამემ ფიქრებში ამოწურა თავის
წამები
დარდებს გაუყო სარეცელი
ღრუბლის ქულებმა.
გადაიშალა თვალწინ ძველი
დროის ამბები,
და მყუდროება დაარღვიეს
ბრძოლის ზარებმა.

განსჯის სავარძელს ეუფლება
სინდისის თვალი,
განიხილება ნატარები ყოველი
ჯვარი.
თითქმის ყველაფერს დარჩენია
თავისი კვალი,
არ მიიღება უსაფუძვლო დარდი და
ჯავრი.

გამოანათებს გამთენიას იმედის
სხივი,
და გარიჟრაჟჟე დალაგდება
ბორგავი ტვინი
აიკინძება წარსულისგან ნარჩენი
მძივი,
ან დაამშვენებს გულის კუნჭულს ან
ჩუმად დაღრღნის.

* * *

მე შენ მოგიტან ბედნიერებას,
მე ხომ სიკეთის მადლი დამყვება.
მე აგისრულებ სულის ვედრებას ,
და დარდი გზებზე აღარ გაგჰყვება.

პოეტად გაქცევს

მოლისფერ მინდორს , ბიბინას და
დილის ცვარიანს,
მარტის ბოლოსთვის გადაჭედილს,
ყვავილნარიანს,
ჭრელი პეპლებით დამშვენებულ
სივრცე , არეალს ,
სამოთხეს ღვთიურს აქ შეხვდებით
მზიან, დარიანს.

სისხლსაც აგიმღვრევს,
შემოგაცლის ფრთხილად მანტიას.
და სურნელებით ბრუდახვეულს,
გირჩენს ნატყვიარს.
დღე მიილევა და ადიდებ ღამეს
მთავარიანს,
პოეტად გაქცევს, გადაგიშლის
გულს ამ მადლიანს.

ქარი

ქარმა ეს ღამე აწამა შემოაგლიჯა
ფარდები.
აწეწ დაწეწა გარემო მიყარ მოყარა
ხანდრები.
ხეებს ტოტები ურწია, ჩამოაცალა
ყლორტები,
ღრუბლებს კი ძალა წაერთვა და
გადმოჰყარა დარდები. .

ტირის, ზუზუნებს ეს ღამე, რად
გამიწყრაო გამჩენი?.
კვლავ დაუსჯელი დარჩება, ამ
ბოროტების ჩამდენი?
სიბნელე გამეფებულა
მიმდევარი ჰყავს ამდენი ,
და მაინც ასე როდემდე? დრო
დარჩენია რამდენი?

ქარო სწორი გზა ირჩიე,
ტრამონტანად რომ იქეცი,
მისტრალთან ჯიბრი არ გარგებს,
სჯობს პირველობა მიეცი.
ქარო, დროს ფეხი აუწყვე, იმედად
გადაიქეცი,
საფრთხეს ნუ უქმნი გარემოს
მორჩი და შინ გაიქეცი.

ფერადი მინდა სამყარო

რა ვქნა თუ მართლა არ მღერის
გული,
გვერდს ვერ ავუვლით ამ დიდ
ტკივილებს.
უღმერთოდ დედას წაართვეს
შვილი,
თავიც არა აქვს მოჰყვეს ჩივილებს.
შეწყდეს ეს ომი! ხმამაღლა ვყვირი,
რომ უსასრულო დარდი გვაკმარო.
გარემო ხდება სულ უფრო ცივი,
მე კი ფერადი მინდა სამყარო.

დედაო ენავ

დედაო ენავ, ენავ ქართულო ,
ასო ხატულო და მოქარგულო
სულის და გულის ჩემო მალამო ,
მამულისა და რწმენის კალამო .

ჩემი მუზის და ხოტბის ხატებავ,
წყარო ანკარა სნეულთ მკურნალო
მაზიარებელ ერის ბარძიმო .
იდიდე ჩემო ენავ ქართულო.

ბერმუხავ ჩემო ფესვებ
გართხმულო.
ტოტ დახუნძლულო ძველო ვენახო.
და კიდევ მაინც რას შეგადარო ,
ენავ ძირძველო, ენავ ნატრულო.

გიგი თეთრაძე

მოგიყვებით სიმართლეს, ჩემი თვალით დანახულს,
ასე ხდება ასეა, გინდ დამადოთ დანა გულს...!

დღეს

დასტრესილი თაობა, დეპრესია ულევი,
თათას ლოვე დაშორდა, ლოვე გამოულევი,
ღამის თევა გრძელდება, ცრემლებით და სიგარით,
პირში თუ არ ჩაიდეს ვერ გაძლებენ ვერაფრით.

სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს დღევანდელი ელიტა,
ჭიან კბილებს ილესავენ ბოღმიანი ენითა,
მოდიან და მოდიან, უამრავი ჭორები,
ვერცხლის მოყვარულები, უჩინარი ქორები.

ამბიცია უსაზღვრო, დღევანდელი ბიჭები-
"საღოლ ძმაო" "სპასიბა" შანსონი და ჰიტები,
დედიკოს და მამიკოს დაპურებულ ღიპებით,
პატივნაცემ ღაბაბით და ბოტოტა თითებით,

თავი სულ ცარიელი, ტანით ვითომ ძლიერი,
საკუთარი დედების შემგინებელ, ცბიერი,
სხვისი ცოლის შემყურე, თავისი კი, მშიერი,
კაი კაცის სახელით მორთული აქვს იერი.

ჭამა სმისმაგან დაღლილი ბახუსშია ჩაფლული,
ვეღარავის ვერ ამჩნევს, ისე არის გართული,
აღარ ახსოვს არავინ,არც სახელი არც გვარი,
ყველა საკითხის მცოდნე,მაგრადაა გამძღარი.

კიკინები, საყურე, ვერსაჩე და გუჩები,
სიარული, მანერა, დაპრუნწული ტუჩები,
ძაან ნაზი ტიპები, ძაან სიხარულები,
გაურკვეველი სქესის ხარბი ცელულიტები,

ოცდაჩვიდმეტ მანეთად მოგულავე მამრები,
მოსკოვი და ნაშები, მერე ლევად ბავშვები,
ტკბილი მოგონებები "უფროს ძმაზე" რუსებზე,
სამახსოვროდ დარჩენილი"ნატაშასგან" ტრუსებზე.

აღარა აქვს საზღვარი უღმერთოების ყიყინს,
ვეღარ ვიტან ვერავის ვეღარც ტირილს ვერც ღიღინს,
ღმერთო შენ დაგვიფარე და მოგვეცი ატანა,
ყველაფერი დავძლიოთ,დავამარცხოთ სატანა.

არაფერი შეგვრჩება გულაობის მეტიო,
მოდი თოთოც დავლიოთ თუ კაცი ხარ ერთიო,
ასე თითო ჭიქით და ასე სლოკინ სლოკინით,
ყოველი დღე იკარგება, ახალის მოლოდინით.

22/12/17

* * *

ხანდახან ფიქრი მომეძალება
უცნაური და სააუცხოო,
სული სხეულში ვერ დაეტია,
ადამიანი სულთან უცხოობს,
ნუთუ უფალო, უფალო დედავ,
სამყაროს ისევ იესოს უშობ?
შენს სახიერებს მხსნელი გვჭირდება,
თორემ კაცი კაცს, ლუკმას არ უყოფს.
სასჯილ ბავშვივით კუთხეში დგანან,
სიკეთის მქნელი და ღირსეული,
ბოროტება კი სადავეს მართავს,
ადამთა სული არის სნეული.
ჩემი იმედი სხვებისას არ ჰგავს,
უიმედობა მკვდართა წესია,
ტყუილისათვის გაგაღმერთებენ,
სიმართლისათვის ტყვიას გესვრიან.
ხანდახან ფიქრი მომეძალება
ხანდახან დარდის ზვავებს გავურბი,
ადამიანი სულის გარეშე?
ღმერთო მაშორე, ასეთებს ვუფრთხი.

ჩემი ქვეყანა

ჩემი ქვეყანა ჩაბოლილი
ნაპასებს ურტყამს,
ჩემი ქვეყანა გაღლეტილი
ყველას, რომ უყვარს,
ყველა წამსვლელი,
გაქცევაზე თვალი რომ უდგას,
ვაი საბრალო საქართველოვ
კოსტავას უთქვამს,
"ძებნას დაუწყებს ქართველი ქართველს"
და მე არ მინდა ეს სიტყვები
ოდესმე ახდეს.
ჩემო მამულო ყველა შენი დარდის მესმოდა,
გესმოდა როგორ გტკიოდა და ჩუმად იყავი,
თითქოს მე ვიყავ შეწირული
შენთვის ზვარაკი,
ჩემო მამულო შენი წარსული მოსაყოლად
რა იოლია,
თითქოს ძილის წინ წაგეკითხოს ძველი არაკი,
გარშემო ყველა, ჩვენი კარის შელეწვას ლამობს,
ყოველი კუთხით მტრის ჯარების დგას ბასტიონი,
ჯერ არ დამცხრალა არც დიდგორი, არც ბასიანი,
მიწა მოგვიხმობს კრწანისისა და ბახტრიონის.
ჩემი სამშობლო მეომარი,
ყველას რომ უყვარს,
მიძინებული ქრისტესავით,
აღდგება უმალ!

მანანა შალიკაშვილი

ოცნებები

ოცნებები, შემოდგომის ფერებივით,
ფიქრი ჩემი, კეთილი და მოამაგე,
ვარდისფერად შეღებილი ცის ნათება,
მხატვრის ფუნჯით დანახული ზეცის სახე.
მოლოდინის ფერი, ერთობ უცნაური,
ცეცხლის ალი, კაშკაშა და მოგიზგიზე,
ლერწმის ღერით გამოთლილი სალამური,
დედის ნანა- ტკბილი ჰანგი მოალერსე.
ზეცის ნისლი და სილურჯე ლილისფერი,
სავსე მთვარე- ამაყი და მოლიცლიცე,
თეთრი ღამე, გუშაგი და მოერთგულე,
ვარსვლავთ ჯარი, განუზომელ დროთა სივრცე.
მზის სხივების სითბო ველად მოფენილი,
წყნარ წალკოტში ყვავილების ფერით ტკბობა,
ცელქი სხივი, ყურძნის მტევნებს მინდობილი,
ნაზი სიოს ჩურჩული და ტრფობით თრობა.
სიყვარულის მზის ნათება, მომნუსხველი,
სანთლის შუქი, ბრიალა და მოელვარე,
ლოცვის ძალა, ძლიერი და მადლიანი,
მომლოცველი, უფლის მადლით, გულმხურვალე!

ჩემი მიწა-წყლის შვილი ვარ!

ხან თოვლის თეთრი ფიფქი ვარ,
ხანაც მზის სხივი, თაკარა,
ხან მოჩუხჩუხე მთის წყარო,
ხანაც ღრუბელი ფარვანა.
ხან წვიმის ერთი წვეთი ვარ,
გზააბნეული, პატარა,
ხან თქეში, ხარბი დინებით
ციდან მდინარი, ჩქარ- ჩქარა.
ხან ია, მორცხვად მზირალი,
ნაზი, სათუთი, ფარფატა,
ხან ვარდი, მეფე ყვავილთა
შემკობილთფერით, ნარნარა.
ჩემი მიწა- წყლის შვილი ვარ,
მართალ ლექსს ვირჩევ ფარ- ხმალად,
ვეკუთვნი მე ჩემს სამშობლოს,
იმედი დამაქვს საგზალად!

შეგონება

იცხოვრე, იფიქრე, აკეთე სიკეთე,
ამრავლე შენს გულში ნათელი ზრახვები,
ეფერე სიყვარულს, აგროვე ღიმილი,
სითბო და სინაზე, სიმშვიდის თანმხლები.
აშენე კედელი, კეთილი ბუნებით,
ხე დარგე, ამრავლე ლამაზი ოცნება,
ვაზს მოუარე, სითბო არ მოაკლო,
იშრომე ალალად, ასეა, ღვთის ნება!
ასწავლე შენს შვილებს სამშობლოს ტრფიალი,
ძმის სიყვარული და გვერდში დადგომა,
ჩათესე მარცვალი და წყლით დააპურე,
მოსავალს მოიმკი, გაიღებ წყალობას.
გაიგე ცხოვრების სიგრძე და სიგანე,
ისწავლე მომავლის თვალებში ჩახედვა,
გზადაგზა, ნელ- ნელა და ტაატ- ტაატით
შენი ჩანაფიქრი, თანდათან ახდება.
უფალი დაგლოცავს, იყავი დამთმობი,
რადგან მოთმინებით, ყოველი ფასდება!

გვიყვარდეს ერთმანეთი!

სიყვარულის და სითბოს გარეშე
რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება,
სიკეთის შუქით განათებული
გული, გულში ქსოვს ალალ ქონებას.
თუ არ გიყვარს და არ დააფასე მზე,
სიხარულის მანათობელი,
გულწრფელი გრძნობით თუ არ შეამკე,
არ შეიყვარე დედამშობელი.
მიტევების და თმენის გარეშე
რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება,
სიყვარულის გზით განათებული
მონატრებაა ერთურთ ფერება.
შეიყვარე და სითბო აჩუქე შენს
გვერდში მდგომებს,დიდს და პატარას,
გრძნობით მოქარგე ყველა ბილიკი,
რომელიც გულმა წლებით ატარა.

მე შენ დაგეძებ

მივდევ გზადაგზა ნაცნობ ბილიკებს,
ფიქრებს აღვივებს მზის სხივი, მწველი,
მე შენ დაგეძებ, როგორც ნატვრის თვალს,
მომნატრებია შენი სურნელი.
მომესურვილა შენთან შეხვედრა,
გულზე დაღვრილი ღიმილი, მწველი,
ლექსს გჩუქნი, ჩემი გულიდან ნადენს,
ისევ ფიქრებში გძირავ და გელი.

* * *

ქალაქური სიმღერების ეშხი,
მადლმოსილი ქართველების მღერა,
მოქარგული ლექსთა წყობის ფესვი,
შესადარი- ყვავილთ ბაღნარს, ველად.

შორენა ჩხიკვიშვილი

გალაკტიონი

შენ ისე დგახარ პოეტებს შორის,
ვით ქანდაკება მონოლითური,
მონიჭებული გაქვს სიდიადე
და ღვთაებრივი ძალა მითური.
        როდესაც სევდა გეახლეობდა,
        შენ დადიოდი კიდით კიდემდი,
        დუქანში ლაღად დალევდი ღვინოს,
        გზაზე ბარბაცით მიაბიჯებდი.
ბევრჯერ ყოფილხარ სრულიად მარტო,
უიმედო და გულდაწყვეტილი,
შენი სამშობლოს ბედით დამწვარი
და პოეზიის მადლით აღვსილი.
        ბევრჯერ დაგიდგა ისეთი ჟამი,
        გენატრებოდა თასი ღვინისა,
        როგორ გიყვარდა „მთაწმინდის მთვარე“
        და გათენდება მზიან დილისა.
უზიარებდი სხვებსაც კაეშანს,
ბევრჯერ გინახავს კარგიც და ავიც,
მაინც იმედით ცოცხლობდი თითქოს,
სამშობლოსათვის გაწირე თავი.
        ჭექდა და ქუხდა შენი სიტყვები,
        ლაღი ლექსები, მზით გათანგული.
        შენ დაგვიტოვე ურყევი რწმენა
        და პოეზია ჯერ არნახული.
ელვარებენ და ბრწყინავენ ბნელში,
შენი ლექსები ოქროს ზოდებად.
შენი აზრები და იდეები
მაღალ მწვერვალებს უახლოვდება.

22.03.2011

ჩემი მამული

ლექსი დაწერილია 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის ომის დროს

კვლავ თავს დაგვესხა მტერი უეცრად
და გვედავება მშობლიურ მიწას,
ვიბრძოლოთ მედგრად და ქედუხრელად,
არ შევუშინდეთ ჩვენ მტრების რისხვას!
ბრძოლაა ბედკრულ საქართველოში,
ცეცხლის ალებით ცა ითქორება.
გვიტევენ რუსი ოკუპანტები,
და არ გვაცლიან მშვიდად ცხოვრებას.
მტერს არ ნებდება ქართველი ხალხი,
სულ ბრძოლებშია ჩვენი ცხოვრება,
ეს მადლიანი ქართული მიწა,
ასე ადვილად არ გვეთმობება.
და არ ღალატობს ქართველ კაცს მაინც,
შორსმჭვრეტელობა, აზრი, გონება,
ომში დაღუპულ გმირების ხსოვნა,
ჩვენს გულებშია მძაფრ მოგონებად.
რატომ ვერა თმობს ჩემს ტურფა მამულს,
აღვირახსნილი მტერი წყეული?

უძლებს ცეცხლის ალს ქართული მიწა,
მუდამ ტანჯული, ფერფლად ქცეული.
უნდა შევაკვდეთ მტერს თავდადებით,
უნდა ვიბრძოლოთ ჩვენ წრფელი გულით,
არ დაგვიყრია ჯერაც ფარ-ხმალი,
არ დაგვიკარგავს იმედი სრული.
რომ მოვიპოვებთ კვლავ გამარჯვებას,
დიადი რწმენით ველოდოთ იმ წამს,
და არ დავკარგოთ უფლის იმედი,
ქართული ჯვარი ყოველთვის გვიცავს.
რომ დავამარცხოთ ვერაგი მტერი,
უფალო ჩვენო, მოგვეცი ძალა,
შევინარჩუნოთ ტურფა მამული,
რომ საქართველო ბრწყინავდეს მარად!
ჩემი მამული უნდა აყვავდეს!
მტრების თარეში მალე დასრულდეს!
თავისუფლება გვინდა ქართველებს
და ეს ოცნება უნდა ასრულდეს!
უნდა ვიცოცხლოთ ხვალის იმედით,
არ შევუშინდეთ ამ შავბნელ დროსაც
მომავლის რწმენით და იმედებით
ავაფრიალოთ ქართული დროშა.



ქეთევან ჯინჭარაძე

გაცნობა მკითხავთან

ისე თუ ვერ მოვიტანე,
შენთან გულის ფეთქვა,
ისე თუ ვერ გაგრძნობინე,
რაც მინდოდა მეთქვა.
მაშინ იქნებ მომძებნო და...
ჩამომართვა ხელი,
შეგხედავ და გაგრძნიბინებ,
ჩემი სიტყვის ძალას.
მერე?! თუ არ გენდომება,
ავდგები და წავალ...

ავტოპორტრეტი

ვარ განძარცული,
მწეწავს ქარი, ხურს დედამიწა,
და ტიტველ ლოდებს სისხლიანი,
ეხეთქება ფეხის გულები.
დაფლეს გულები...
უსიტყვოდ დგანან,
წუთისოფლის უტყვი მდგმურები
და მდის თვალთაგან ცრემლმომდინარე
ნაკადულები.
უსიტყვო ტევრი დარდის,
ცრემლის, წუხილის,
დრო მხედარია...
მიჰქრის რაში,
სწრაფი და მალი.
მოვზიდე ქნარი, შევირტყი ხმალი,
გავკვეთე ჯაგი და ჯაგნარი და
მინდვრის ბილოს ჩავხტი ლამაზი ქალი.
ტანგო ჩემი ცეკვაა, გესვრი ხელთათმანს,
თეთრს, უბიწოს
და მე შენ დუელში გიწვევ!
ჰა, ვინ გაბედავს?!
მუსიკა რეკავს.
გეძახის ტანგო.
მომეცი ხელი და
შევერკინოთ
ორთავე ცეკვას!

თუშის ქალი

პატარა ქალი ვარ თუშისა,
დილით შევცინებ მზესაო,
გადმოვდექ იალაღზედა,
მიყვარს ცხორისა მწყემსაო.
კოკას შავიდგამ მხარზედა,
წყაროს შხეფებით შევსამო,
დავკრეფ იას და პირიმზეს
და დავიმშვენებ მკერდსაო!

ქალი იგი

შემოგიღებს კარებს ქარი,
არც კი მოგიკაკუნებს,
მობრძანდება გულში ქალი,
არც კი გკითხავს გაწუხებ?!
ისე ნაზად მოგხვევს მკლავებს,
აღარც იხსნი მარწუხებს.
დაგღლის, გთანგავს, გაგაწამებს,
შენ კი ნატრობ ამ წუთებს.
ცხოვრებაა, ბევრი მოვა,
ბევრიც წავა, გაუშვებ,
მხოლოდ იგი – ერთი ქალი,
შენს გულშია – არ უშვებ!

ქალი ხელოვნება და...
მკერდზე ჰკიდია ქნარი,
მინდა ვიმღერებ და მინდა ვიცეკვებ.
ცხოვრების ველზე შემომხვდა ქარი,
მოვზიდე ქნარი,
კაბის კალთები ავიკრიფე, ავაფრიალე.
სიმწრის კისკისით,
ვეკვეთე მახვილს,
დამზრალ გვირგვინებს,
მივაწანი ყვავილთა სითბო,
და ჩავეხუტე სიცოცხლის ახალ დაბადებას,
... მზისთვალა აპრილს!

ფრაგმეტი ისტორიიდან

მ- ტკვარს გადმოსცქერი კვარცხლბეგიდან,
ე- სრეთ სრულქმნილი,
ტ- ინის კედელთან შერწყმული და ზეცად ასული,
ე- ქოვ, ქართვლის ბედის წარსულისას,
ხ- ლვამ შენმამ ქართველს ათქმევინოს რა???
ი-„ტყვიან ამის ღშენებას გორგასალისას“

ლია ხმიადაშვილი

მისი სურათი არის, ათინათის 76 ნომერში.

****

როდესაც არსებობს ის, ვისაც უყვარხარ,
შენც გიყვარს, ცხოვრება გალაღებს მაშინ,
სიმძიმეს წლებისას ვერა გრძნობ, რადგანაც
მიჯნურ გულს ვერაფრით, ვერაფრით დაღლი.
სიყვარულს სჭირდება სითბო და ალერსი,
სითბო და ალერსით მას საზრდოს ვაწვდით…
გავიწყებს ტრფიალი წარსულის იარებს,
არ უთმობს შენს გულში ტკივილებს ადგილს.
ბედნიერებაა, ვინც ცდილობს სიცოცხლეს,
შემატოს ელფერი ამ გძნობის განცდით,
გიყვარდეს, უყვარდე, ცხოვრების წესია,
ვიცხოვროთ, ვიხაროთ ამ წესის დაცვით.

****

ძლივს გადათენდა ეს ღამე...
რა უსაშველოდ გაგრძელდა.
უძილობისგან გადაღლილს
დღე ძალებს ვეღარ მაძლევდა.
სიმშვიდე დამაკარგინა
ათასნაირმა ფიქრებმა,
ღამეებს დარდით თენება
წაერთვას, როდის იქნება.
სულ ამ ცხოვრების ბრალია,
აღარ სურს ჩვენი დალხენა,
იქნებ დაადგეს საშველი
ამ ქვეყნის წყობა - ლაგებას;
დღე სიხარულმა შეავსოს
ღამე ლამაზმა სიზმრებმა,
ძილის გატეხვა არ გვექცეს,
არცერთი ცრემლის მიზეზად.

****

თავს საოცნებო ფიქრებით ვირთობ,
აღარ მსურს სევდას ათრევდეს გული,
იქნება ვინმემ შესძლოს სიძულვილს,
რომ გადაუხსნას გზა სიყვარულის.
სიავეს თესენ, მათ სიამაყეს
ძარცვით ნაგროვი სიმდიდრე უძღვის,
რისი სინდისი, ეჯიბრებიან,
ვერ წყნარდებიან მოყვასის შუღლით.
რამდენჯერ გინდა დახუჭო თვალი,
რამდენჯერ გინდა დაგეხშოს ყური,
აღარ შეხედო ცოდვის სიმრავლეს,
აღარ ისმენდე კვნესას ჩაგრულის.
ასე უთქმელად სიმწრის ცრემლებით,
ბუნების საფარს დავუწვით ზურგი,
იქნება ვინმემ შესძლოს ქვეყანას
გადაუკეტოს გზა დაზაფრული.
ცივი თვალების უგრძნობი მზერა,
აჰკიდეს ტვირთად ცხოვრებას მუშტით,
მივკივი იმ დროს,სად დაგვეკარგა,
სიკეთე,სითბო და სიყვარული.
მივენდოთ ასე თვალთმაქცურ ღიმილს,
მტრის გასახარად ვემონოთ დუმილს,
აწყობთ, ვათრევდეთ სიჩუმის ფასად
დაპირებებით ავსებულ ხურჯინს.
ვიფიქროთ როდის, თუ როგორ შევძლოთ,
გარდაცვალება ბოროტი გულის,
ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის,
ასე ვაცოცხლოთ გზა სიყვარულის.

****

როგორ მჭირდები, როგორ აკლიხარ
ამ გულს, სევდაში ნათევს.
მხრებზე შემდგარი ტვირთად მაწვება
წლები უშენოდ სავსე.
ვცდილობ, ყველაფრის დაძლევას თითქოს,
გზიდან ვიშორებ მარცხებს.
ამ უშენობას ვერ შევურიგდი,
ვერ გავარიდე სახე.
დროის ზარები ისევ რეკავენ,
უნდათ, მათ დათვლებს ავყვე,
სხვაგვარ ბილიკებს რომც შემახიზნონ,
შენზე ფიქრებში გავლევ.
ასე, უშენოდ გზების ტარებით
დღეებს, უგულოდ დავსდევ,
ნეტავ, დრო უკან დაბრუნდებოდეს
და ისევ გვერდში მყავდე.

****

ბედნიერებამ უთხრა სევდას - ჩამომეცალე,
მისმა კვნესამ და ცრემლებმა გული გამიპო,
ამდენი წლები შენი საქმე ისე აკეთე,
გადაავიწყე, ჩემი გემო როგორ გაიგოს.
სევდამ მიუგო- ხომ ხედავ,რომ არც ახსენდები,
არ ვეძალები, თვითონვე სურს, თავი გარიყოს,
ისე დასუსტდა ტკივილებით განაწამები,
არა მგონია უკეთესზე ფიქრი დაიწყოს...
ბედნიერება ჩამოუჯდა,მიუალერსა,
და აი, ისიც ხალისით და რწმენით აივსო...
სევდა გაოცდა-ციცქნა ნუგეშს რა შესძლებია?!...
ვეღარც გაბედავს, ესტუმროს და ცრემლით
დანისლოს.

******

არავინ შემაქოთ, არ მითხრათ -კარგი ხარ"...
ახლა კონკია ვარ, ძიებით დავდივარ.
არ ვეძებ უფლისწულს, არც აქ, არც ზღაპრიდან,
აქაურს ვერ ვგუობ,სხვა ქვეყნის მგზავრი ვარ.
ვესწრაფვი სიმთელეს ჯანისას, სულისას,
ღვთიურ საგანძურებს ყველასთვის სანუკვარს,
ისეთ სიცოცხლეს, სიყვარულს დავეძებ,
ამ ქვეყნიერების სახეს რომ არ უგავს.

****

ჰო, სიძულვილი შუღლს გაგვიღვივებს
და ჩვენს ცხოვრებას მეტად გასტაჯავს,
გაგვიჭირდება ძმობის სიმტკიცე
და ერთმანეთის გვერდში ატანა.
თუკი სინდისი გამოგვაღვიძებს
და მიგვახვედრებს ვინც ვართ, რაცა ვართ,
გავჯანსაღდებით და სიყვარულით
ჩვენს ყველა ცოდვებს, უცებ დავფარავთ.

*****

სიყვარულო, ნუ მოიხდი თავზე მანდილს,
შენს სინაზეს არ უხდება სიშიშვლე,
არ გიხდება არც ზედმეტი სითამამით
ცრუ ვნებებში გადასული სიგიჟე.
ბუნებრივი უნდა იყოს ყველაფერი,
ხელოვნური დაგწვება სიმძიმედ,
შეყვარებაც ერთი ნახვით იყოს თუნდაც,
ოღონდ დარჩი მათ გრძნობებში სიწმინდედ.

****

ნუ მოიწყენ, გენაცვალე,
დღე მზის სითბოს გვაფენს,
ამბორებით ამოგიშრობს
თვალებს, სევდით სავსეს.
ერთი ცრემლიც, რომ შემორჩეს
ღამის ნათევ სახეს,
იმდენ ღიმილს მოგაწოდებს,
ბაგეზე ვერ დატევ.
სილამაზეს ნუ დაჩრდილავ,
დარდით სულს ნუ დასცემ,
ლოცვას გული გააყოლე,
ღვთის მადლს შეგასახლებს.
უფლის ხელით, უფლის რწმენით
მთელ სამყაროს აწევ,
გულის ტეხვა, რას მიქვია,
იმდენ ნუგეშს გასცემ.
მოთმინების გზას გავუყვეთ,
ღვთის იმედში დავრჩეთ,
არაფრად ღირს ეს ცხოვრება,
რომ ტკივილებს ავყვეთ.

***

ქარი ბოღმისგან გიჟდება,
ხეებს ღმუილით გლეჯავს,
ღრუბლებს ერთმანეთს ახეთქებს,
კალთებს უსერავს ზეცას.
სახლებს სახურავს ზედ ამხობს,
ზღვასაც შეჰყარა ელდა,
ბობოქრობს, ვერა წყნარდება,
ლამის მეც დამცეს ბნედა.
კარგი, რით ვეღარ დაწყნარდი,
იქნებ დაიცხრო ღრენა,
ვინც გაგაცოფა იმასთან,
რად ჩაგივარდა ენა.
მე როცა ნერვებს მიშლიან,
მშვიდად ვაგვარებ წყენას,
თუ სხვაზე ჯავრი ვიყარე,
არ მომაკლდება წყევლა.
შენც მიდი, დააგემოვნე
ტკბილმოუბარი ენა,
იქნებ არც ღირდეს სხვებისთვის
ამდენი გულის ტკენა.

*****

სიყვარულო, ნუ მოიხდი თავზე მანდილს,
შენს სინაზეს არ უხდება სიშიშვლე,
არ გიხდება არც ზედმეტი სითამამით
ცრუ ვნებებში გადასული სიგიჟე.
ბუნებრივი უნდა იყოს ყველაფერი,
ხელოვნური დაგწვება სიმძიმედ,
შეყვარებაც ერთი ნახვით იყოს თუნდაც,
ოღონდ დარჩი მათ გრძნობებში სიწმინდედ.

****

როგორ მჭირდები, როგორ აკლიხარ
ამ გულს, სევდაში ნათევს.
მხრებზე შემდგარი ტვირთად მაწვება
წლები უშენოდ სავსე.
ვცდილობ, ყველაფრის დაძლევას თითქოს,
გზიდან ვიშორებ მარცხებს.
ამ უშენობას ვერ შევურიგდი,
ვერ გავარიდე სახე.
დროის ზარები ისევ რეკავენ,
უნდათ, მათ დათვლებს ავყვე,
სხვაგვარ ბილიკებს რომც შემახიზნონ,
შენზე ფიქრებში გავლევ.
ასე, უშენოდ გზების ტარებით
დღეებს, უგულოდ დავსდევ,
ნეტავ, დრო უკან დაბრუნდებოდეს
და ისევ გვერდში მყავდე.

****

როგორ მენატრები, დედა,
შენს სურათს ტკივილით ვუმზერ,
გული ამომიწვა ცრემლმა,
შრამი დამიჩნია სულზეც.
შენთან საუბარი მინდა,
ვნატრობ მოფერებას ულევს,
"შვილო გენაცვალოს დედა"-ს
შევრჩი დაობლებულს, უთქმელს.
როგორ შეიძლება გრძნობდე
დრო-ჟამს, გული თუ არ უცემს,
დედის გარეშე სიცოცხლე
დაგქონდეს და არა გძულდეს.

****

მარტო არ დარჩე შენ თავთან დიდხანს,
მწარე ფიქრები აგავსებს დარდით,
გულისტკივილი დაგიწყებს ჩივილს
და დაგიკარგავს სიცოცხლის ხალისს.
მერე ყველაფერს უბრად შეხედავ,
წყენის სიმრავლე დაგრთგუნავს, დაგღლის...
ამ წუთისოფლის დროის დახარჯვა
მწუხარებაში ნამდვილად არ ღირს.

****

მარტო არ დარჩე შენ თავთან დიდხანს,
მწარე ფიქრები აგავსებს დარდით,
გულისტკივილი დაგიწყებს ჩივილს
და დაგიკარგავს სიცოცხლის ხალისს.
მერე ყველაფერს უბრად შეხედავ,
წყენის სიმრავლე დაგრთგუნავს, დაგღლის...
ამ წუთისოფლის დროის დახარჯვა
მწუხარებაში ნამდვილად არ ღირს.

****

დაიბენი, როცა შემხვდი
და სიწითლემ გაგცა ხელად...
სიყვარული დამიბრუნე,
მთხოვდა შენი მორცხვი მზერა.
შენს თვალებში მონატრებას,
დაღლილ გულს და სევდას ვხედავ,
არ ვყოფილვარ შენი ღირსი,
რომ გაქციე ტრფობის მსხვერპლად.
შეწყვეტილი სიყვარული
შეგატოვე გულის ტკენად,
ან კი როგორ ამიტანე,
როგორ შესძელ თავის ძლევა…
იმ ლამაზი წლების სათქმელს
დავასრულებ, მორჩა წყენა!
რადგან ასე გაფრთხილებით,
გული, ისევ ჩემთვის ძგერდა…

****

დაიბენი, როცა შემხვდი
და სიწითლემ გაგცა ხელად...
სიყვარული დამიბრუნე,
მთხოვდა შენი მორცხვი მზერა.
შენს თვალებში მონატრებას,
დაღლილ გულს და სევდას ვხედავ,
არ ვყოფილვარ შენი ღირსი,
რომ გაქციე ტრფობის მსხვერპლად.
შეწყვეტილი სიყვარული
შეგატოვე გულის ტკენად,
ან კი როგორ ამიტანე,
როგორ შესძელ თავის ძლევა…
იმ ლამაზი წლების სათქმელს
დავასრულებ, მორჩა წყენა!
რადგან ასე გაფრთხილებით,
გული, ისევ ჩემთვის ძგერდა…

****

არ მინდა...ავღელდი სიბრაზით…შემეშვით,
გამორთეთ, არა მსურს მოსმენაც, ყურებაც,
სულ ცუდი ამბების ცქერაში შევწუხდი,
შემძულდა არხები, რაც არის სუყველა.
ფილმებიც სისხლის ღვრის კადრებით გვზაფრავენ,
რეკლამის სიმრავლით გვირევენ გონებას,
მოდური ტექნიკის ცდუნების აყოლით,
ნამდვილი ცხოვრება გვიხდება ოცნებად.
პოზიტივს ვერ ვხედავ, სად არის სილაღე,
სულ ვშფოთავთ, სულ მესმის კვნესა და გოდება,
სიყვარულს, სიმართლეს ვუმრუდებთ სავალებს ,
ვურთულებთ, ან ვბლოკავთ, ესაა ცხოვრება?!
ყველაფრის მოსმენით, ყველაფრის დანახვით
ვაგიჟებთ ბავშვების უწყინარ ბუნებას,
გართობა, სიმღერაც ისეთი ვირჩიოთ,
სიამით გვივსებდეს დათრგუნულ გუნებას.
"ეშმაკის ყუთია", ვიჯერებ, რადგანაც
გრძნობების სიცივეს არა აქვს საზღვარი,
მოკითხვა, სალამი, პირისპირ შეხვედრა
ესაა საძებნი, დრო ისე გადარბის.
შევცვალოთ რაღაცა, დაძაბულ ცხოვრებას
გავექცეთ, თუ არა სულს მალე აგვაცლის,
მორალით გავასწროთ პროგრესულ ტექნიკას
და ვიგრძნოთ, ნამდვილი ცხოვრება რაც არის.

****

მოგშივდა?
აგერ გაგიშალეს ძვირფასი სუფრა,
ჭამამდე უფალს ამ ძღვენისთვის მადლობა ვუთხრათ,
რამდენ დამშეულს ენატრება ნარჩენი ლუკმა,
ნამცეცებისგან შეგროვილი რომ იყოს თუნდაც.
შეგვცივდა?
უცებ გავეხვიეთ შალის საფარში,
ბალიშზეც თავი მივაწვინეთ მსუბუქად, სუფთად,
გარეთ მათხოვარს, უსახლკაროს, ქვაზე ჩათვლემილს,
ნახევრად ჩაცმულს, მშიერს, თოშავს დეკემბრის სუნთქვა.
ვერაფერს იზამ, თუკი ბევრის ცხოვრებას მართლა,
ზღაპრული სახლის ფუფუნება მიეგო უხვად,
მაინც მგონია, ღვთის გამოცდის წინაშე ვდგავართ,
მაძღარი გულით თუ ვეცდებით ღარიბზე ზრუნვას.

მარიკა ძირულისპირელი-კაპანაძე

მეორე დედას

დედამთილი გერქვა, მაგრამ
გიძახოდი დედას,
არასოდეს არ ვინანებ,
მე ამ "მავნე" ჩვევას.

წარსულში რომ დამაბრუნა,
ყველა კეთილ რჩევას
მივიღებ და დაგიფასებ
როგორც მშობელ დედას.

არასოდეს ჩავიდებდი გულში
არც ერთ წყენას,
სიკეთეს დაგიბრუნებდი,
რაც დაგაკლდა ყველას.

წარსულში რომ დამაბრუნა,
არ დაგტოვებ ერთ წამს,
იმედია კიდევ გნახავ,
ჩაგიხუტებ, მე მწამს.

დედამთილი გერქვა, მაგრამ
გიძახოდი დედას,
არასოდეს არ ვინანებ
მე ამ "მავნე" ჩვევას!

2022 წლის 3 მარტი

გავეცალო მინდა

ყველაფერი ტყუილია და ყალბი,
არაფერი აღარ შემრჩა წრფელი,
ზოგჯერ ისე მაგრად მტკენენ ამ გულს
აღარაფერს კეთილს აღარ ველი...

ზოგჯერ ისე დაღლილი ვარ, ისე,
თავისთავად მდის თვალიდან ცრემლი,
ამ სამყაროს გავეცალო მინდა,
მინდა ვიყო ღრუბელი ან ფერფლი...

12.03.2022

ია ნანეიშვილის ხსოვნას

სხეულით და სულით ლამაზს
გიხდებოდა კალამი,
ღმერთო, ნათელში ამყოფე
მისი სული ალალი!

სინაზე და სინატიფე
თავმოყრილი ერთად,
მართალ სიტყვის დედოფალი
შეგიცანი ღმერთად!

7.02.2022

ნუ დამიწესებ

სიყვარულის დღეს ნუ დამიწესებ,
სიყვარული ხომ ჩემი წესია,
მოვიდა ერთხელ და დარჩა გულში
სამარადისოდ, როგორც მესია!

8.02.2022

ზამთარი

არაფერი შეედრება,
წელიწადის ამ დროს,
ცა რომ გარინდულია
და დედამიწას ათოვს.

არაფერი შეედრება,
ასეთ დილას სოფელს,
ბეღელი თუ სავსეა,
დააპურებს ყოველს.

არაფერი შეედრება,
ტუჩზე დამდნარ ფიფქებს,
ნაზად რომ გეამბორება,
დაგიკოცნის თითებს.

არაფერი შეედრება,
როცა ეზოს ათოვს,
შენ კი ბუხრის ტკაცუნი
გახალისებს, გათბობს.

არაფერი შეედრება,
გაუკვალავ თოვლს,
ტალავრიდან რომ გიცინის,
მოფერებას გთხოვს.

არაფერი შეედრება,
წელიწადის ამ დროს,
გადაქანცულ დედამიწას
სპეტაკად რომ ათოვს!

5.02.2022

ანტიქრისტე

ძაძები და დედის ცრემლი,
ახარებს და "ალაღებს",
ანტიქრისტე ახლა უტევს
უკრაინის ქალაქებს...

არ იკმარა სოხუმი და
სამაჩაბლოს მიწა,
რუსის სასტიკი ჩექმა
უკრაინას მისწვდა...

აღარ უჩანს დასასრული
ბოროტებას მისას,
ვერ გაიგო პატრიოტი,
რომ არ დასთმობს მიწას...

ვერ გაიგო, არ დატოვებს
სამშობლოს და მის სახლს,
მამა-პაპამ რაც გადასცა,
რომ არ დასთმობს მისხალს...

დროზე გონს თუ არ მოეგო
ამერიკა, ევროპა,
პუტინს კაცობრიობა
ერთ ლუკმად არ ეყოფა...

თავს რომ დაბლა არ უხრიდეთ,
ვერ გაბედავს ამდენს,
დროზე თუ არ შეაჩერეთ,
მოგადგებათ კარზე.

საკადრისი მიაგებეთ
ტყვიამფრქვევებს, ტანკებს,
რომ აცრემლებს და ატირებს
ამ უმანკო ბავშვებს...

ნაადრევად სიცოცხლე
მოუსწრაფა რამდენს,
სული რატომ არ ტოვებს
დედის ცრემლის დამდენს!?

სული, გული, რომ ჰქონდეს,
არ იზამდა ამდენს,
ანტიქრისტეს წინააღმდეგ
ყველა უნდა აღსდგეს!

7.02.2022 18:19

მონატრებას გაუმარჯოს

მოდით, მონატრებას გაუმარჯოს,
უძილოდ გათენებულ ღამეს,
კოცნას რომ გაატან ჩუმად,
ფანჯრიდან შემოპარულ მთვარეს...

ცრემლებს გაუმარჯოს გულწრფელს,
ხშირად რომ ასველებს თვალებს,
სიტყვას გაუმარჯოს მართალს,
რწმენით რომ აგივსებს ხვალეს!

22.03.22 15:05

როგორ გიშველო

გაყიდულო საქართველოვ,
წართმეულო მიწებო,
მეფიქრები, მედარდები,
როგორ უნდა გიშველო?

რუსეთი და ამერიკა
ვერ გვაშორებს თვალებს,
მოსვენება დაუკარგეს
ქართველ დედებს, ქალებს.

ვისაც ეს ხელთეწიფებათ
არხეინად სძინავთ,
საქართველოს მომავალი
არ ადარდებთ იმათ.

მხოლოდ ქართლის დედა
ფხიზლობს,
მამულს იცავს მუშტით,
დანარჩენს კი არსობისთვის
სხვაგან ყოფნა უჭირთ.

ქართველ გმირებს ხმალი ისევ
ძველებურად უჭრით,
"ლიდერებს" კი სამწუხაროდ
ქვეყნის დაცვა უჭირთ.

სათავეში დასკუპულა
ლაჩარი და ფლიდი,
არ აღირსეს საქართველოს
დრო წყნარი და მშვიდი.

დაძაბული, დათრგუნელი
კვირაში დღე შვიდი,
სულ დაკარგეს ტრადიციის
პატივი და რიდი.

ქუდზე კაცი გამოვიდეთ
პატარა და დიდი,
აღვადგინოთ ძმათა შორის
ჩატეხილი ხიდი.

გავხადოთ ჩვენი ქვეყანა,
ძველებურად დიდი,
ერთიანი, უძლეველი,
წალკოტივით მშვიდი!

2022 წლის 15 აპრილი

გამიუცხოვეს

არ დავბრუნდები, სადაც მატკინეს,
სადაც მე უცხოდ ვიგრძენი თავი,
ამას სჯობს შირიდან მოვეფერო,
გავიხალისო გული და თვალი...
მონატრებაში ცხოვრება მიჯობს,
არ მსურს, რომ ისევ მატკინონ გული,
ვინც ვერ გაიგო, ასე მოქცევა
რომ იყო ჩემთვის ძალიან რთული...

ვინც ვერ გაიგო რომ მჭირდებოდა
სულ ცოტა სითბო, თვალები წრფელი,
არ დავბრუნდები, სადაც მატკინეს,
სადაც მე გულით არავინ მელის...
ღამეებს ვათევ, არ მეძინება,
არ მეკარება თვალებზე რული,
და მაინც მიჯობს მონატრებაში
არ წავალ, სადაც მატკინეს გული!!!

2022 წლის 24 აპრილი

თენგო ფანცულაია

ტესტი ქართველობაზე

თუ კაცი ხარ და არ ფიქრობ ასე,
არ გემღერება ჩაკრულოს ხმაზე,
არ გეცეკვება დაისის ჰანგზე,
არ გარბის თვალი მშვენიერ ქალზე.

არ შეკრთომილხარ საბედოს ხმაზე,
არ ეფერები სატრფოს დალალზე,
არ გეტირება ახლობლის დარდზე,
არ გელექსება შენ ფესვს და გვარზე.

არ სწუხხარ მტრისგან წართმეულ სახლზე,
არ აწყობ გეგმას მის განდევნაზე,
არ დარდობ ერზე და ქართველ ხალხზე,
არ გეფიქრება მის მომავალზე.

არ გხურავს ქუდი, ნამუსის თავზე,
არ ზრუნავ, გვერდით წაქცეულ კაცზე,
არ ცდილობ, ობლის დაყვავებაზე,
არ ეფერები, დედიკოს თმაზე.

არ ანთებ სანთელს და ცრუობ ხატზე,
არ ნატრობ გავლას, შენ დილის ცვარზე,
აღარ ამაყობ კოხტა, მთა-ბარზე,
არ ბრაზობ მოძმის, ღალატის ფაქტზე.

არ გეკვრის სუნთქვა, დიდების ჰანგზე,
და არ ოცნებობ დავითის ხმალზე,
არ ნერვიულობ, დაზე ან ძმაზე,
არ ფიქრობ მამაც,ჩვენ ქართველ ხალხზე.

თუ კაცი ხარ და არ ფიქრობ ასე,
რა გინდა მაშინ, ამ ქვეყანაზე,
ვეღარ ყოფილხარ, ძმობილო აზრზე,
დროზე დაბრუნდი, წინაპრის გზაზე.

რომ შემეძლოს, ვინატრებდი

რომ შემეძლოს ვინატრებდი, ცოტას, განა ბევრს,
რომ შემეძლოს მივხედავდი, ჩემს საყვარელ ერს,
რომ შემეძლოს ვუშველიდი, მოვურჩენდი სენს,
რომ შემეძლოს შევუშრობდი, მოძმეს თვალზე ცრემლს.

რომ შემეძლოს დავუჩოქებ ხშირად მუხლზე ღმერთს,
შევავედრებ ჩემს სამშობლოს, ერთიანს და მთელს,
რომ შემეძლოს გავახარებ, მოფერების ნერგს,
ალალს წავახალისებ და დავსჯი ცუდის მქმნელს.

რომ შემეძლოს ვინატრებდი, მე ჯადოსნურ კვერთხს,
ანდა სულაც ვინატრებდი, ლამაზ ნატვრის ხეს,
ვინატრებდი მე ჟანგბადით, გადავსებულ ტყეს,
წყაროს წყალი, რომ ჩუხჩუხებს და გიგრილებს ყელს.

ვინატრებდი მე ქართველ კაცს, ფუტკარივით მხნეს,
დაუღალავ გუთნისდედას, ყამირ მიწის მხვნელს,
ვინატრებდი მე ქართველის, ბარაქიან რთველს,
სტუმარს გულით რომ გაუხსნის, ღვინით სავსე ქვევრს.

მოსავალით ავსებული, ვინატრებდი გლეხს,
უფალ თამადას ვინატრებ, ტკბილს და ენამჭევრს,
ვინატრებდი სუფრის ღვინოს, ბატის ჭუკისფერს,
და მასპინძელს დავულოცავ ფუძესა და ჭერს.

ქართველ დედას ვინატრებდი იავნანას მთქმელს,
ღირსეულად შვილის აღმზრდელს, სასახელოს მხნეს,
ვინატრებდი ქართველ ვაჟკაცს ერთგულს, ქვეყნის მცველს,
ვინც არასდროს დაივიწყებს, მამა-პაპის გზებს.

მკაცრად დავგმობ და გავკიცხავ ძალადობის მქმნელს,
ქართველ ქალზე ხელის ამწევს, უხეშსა და ბნელს,
ქურდს კი მაჯამდე მოვაჭრი სულის მაცდურ ხელს,
ყველა ცუდი, რაც დღეს ხდება, გულს სასტიკად მტკენს.

ვინატრებდი ქართველების გამრავლებულს ფესვს,
გავაქრობდი მოძალებულ გოგო ბიჭთა მსხვერპლს,
დავსჯი და არ გავახარებ, ბოროტსა და მკვლელს,
არ დავინდობ, ჩემი ერის კარზე მომდგარ მტერს.

ჩემს მეგობრებს მივუძღვნიდი ხალისიან დღეს,
ვინატრებდი ლამაზ სუფრას და ქორწილებს ბევრს,
სუფრის თავში ლამაზად მსხდომ სიძე-პატარძლებს,
ცხრა თვის თავზე აღნავლებულგოგო- ბიჭუნებს.

რომ შემეძლოს ვინატრებდი, ყოველ დილას, დღეს,
ჩიტივით გადავუფრენდი, ამ ჩვენს ლამაზ მთებს,
„გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით“ შევძახებდი ერს,
ერთ მუშტად შევკრავდი ძმებო, ჩვენს ერსა და ბერს.

გმირი ხევსური ქალი

შატილში მაცნე მოიჭრა,
განგაშის დაკრეს ზარიო,
მოგვადგა მტერის ურიცხვი,
ძალზე საშიში ჯარიო.

ჩვენი ამოთხრის მოსურნე,
უნდათ გვილეწონ კარიო,
აგვიწიოკონ ცოლ-შვილი
და შეგვიგინონ ჯვარიო.

ხევისბერები სარდლობენ,
შეკრიბეს ყველა გვარიო,
სათოფურებში ჩამოდგნენ,
მტერი სულ ახლოს არიო.

კოშკების შესასვლელები,
დაგმანეს უცებ კარიო,
შეჰფიცეს, არ შეარცხვინონ,
მტერთან გუდანის ჯვარიო.

და საბრძოლველად დაეწყო,
ხევსურთა კაცი-ქალიო,
თავი აქვთ მძიმე ბრძოლაში,
საომარ-გასატანიო.

რომ დაავიწყონ მომხვდურებს,
შატილისაკენ კვალიო,
შემდეგ კი იქეთ მიუხტნენ,
თავს დააქციონ ბანიო.

ერთის მეუღლე ყოფილა,
ნორჩი და ტანად თლილიო,
მომხვდურ მტრის დამარცხებაში,
ყოფილა მისი წვლილიო.

კოშკის კუთხეში დამალა,
აკვანში მყოფი ჩვილიო,
მაგრამ ბრმა ტყვიამ შეწყვიტა,
ბავშვის ტიკტიკი ტკბილიო.

არ უნდა ქმარმა გაიგოს,
აკვანს ჩაუკლეს შვილიო,
ტირილის ხმა არ წამოცდეს,
სიმწრით მოკუმა პირიო.

ლეჩაქი წამოიფარა,
არ დამინახოს, ვტირიო,
ტყვია-წამალს კი აწოდებს,
არ მოცდეს, ჩემი გმირიო.

გათავდა ბრძოლა, თავის ბალღს,
კითხულობს უკვე ქმარიო,
ცოლმა დალალი გაშალა,
ჭირის გაისმის ზარიო:

„მტრის ტყვია მოხვდა აკვანში,
კუთხეს რომ იყო მდგარიო,
წაგვართვეს ჩვენი იმედი,
ცოცხალი აღარ არიო.

„რომ მეთქვა შვილი აკვანში,
გვიწევს ტყვიითა მკვდარიო,
არ გექნებოდა სროლაში,
ხელი მტკიცე და მყარიო.

დაგიცდებოდა ბრძოლაში,
მჭრელი,ნაცადი ხმალიო,
სამშობლოს შვილი შევწირეთ,
ხომ გადვიხადეთ ვალიო“.

„მგონი ინებებს უფალი,
რომ გავაგრძელოთ გვარიო,
შვილებს გვაჩუქებს, გავზარდოთ,
მომხვდურთან მეომარიო.

დაიცვან მისი სამშობლო,
წმინდა ხატი და ჯვარიო,
არავის დაარღვევინონ,
ქვეყნის სამანი-ზღვარიო“.

დღეს რომ ხმაურობს არაგვი,
შეურყვნელია ჯვარიო,
ან კიდევ რომ გაამრავლეს,
მამაც ხევსურთა გვარიო.

ხეობაში, რომ გაისმის
ხევისბერების ზარიო,
მამაცი ქართველ დედების
დამსახურება არიო.

პ.ს:
ასეთი ბევრი გვყოლია,
გმირი მებრძოლი ქალიო,
ოჯახის, ქმარის,სამშობლოს,
რომ გადიხადეს ვალიო.

მე ასეთ გმირებს ვცადე და
მივუძღვენ ლექსის ბწკარიო,
სიმართლე გითხრათ, ვიგრძენი,
დადენილ ცრემლის კვალიო.

გურამ სახვაძე

დილის ჩანახატი

ჩვეულებრივი
ზამთრის დარია
ყინვა, თოვლი და ქარი,
სისხამ დილაზე
ნაბიჯებს ახლავს
ყინვის ხრაშუნის ჩქამი.
ღამის სიცივეს
ქვად უქცევია
ქათქათა თოვლის ფთილა,
ასეა ყველგან
დილ-დილაობით
უფრო იგრძნობა ყინვა.
მეც მივდიოდი
როგორც სხვა ყველა
ადამიანურ სევდით,
შეწუხებული სიცივითა და
ქვეყნის საერთო ბედით.
უცებ შემომხვდი
თბილი ღიმილით,
მეც მოგიკითხე თბილად,
ალბათ ბოლოხანს
ვართ შენახვედრი
მრავალი წლების წინათ.
მოგონებებმა
კინოკადრივით
გადაგვირბინეს თვალში,
ძველი ურთიერთ
კეთილგანწყობა
სჩანდა ორივეს ხმაში.
მაინც საიდან
გაჩნდი ამ დილით
ანდა რა მუხტი გქონდა,
რომ მერე მთელ დღეს
არ შემცივნია,
თუმც ყინავდა და თოვდა.

30 - 01 -2022.

მაიმუნი, გველი და კაცი

მაიმუნი მაიმუნობს,
გველი გველობს,
კაცი კაცობს,
და თავისი ცოდვა მადლის
ზომა-წონით ხალხში ფასობს.
თუმც ხალხს ვინ რას ეკითხება
როცა ამ ორს დარჩა ველი,
სისინსა და მასკარადში
გაჰყავთ დრო და ყველაფერი.
ქვეყნის დოვლათს მისევიან
თაობების ნაჯაფ-ნაშრომს,
თვითონ ყვლეფენ სახელმწიფოს
მშიერი ჰყავთ ხალხი ამ დროს.
პირადულად ერთმანეთში
არ აქვთ შუღლი, არ აქვთ მტრობა,
მაგრამ ჩვენდა დასანახად
სულ ერთ-ურთის უწევთ გმობა.
გველი სისინს ვერ ეშვება
ყველას მიმართ აუგს ამბობს,
მაიმუნი ყურს არ იბერტყს
იღიმის და მასკარადობს.
კაცი ამ დროს რჩება კაცად
მიუთითებს ორთავ მხარეს,
მაგრამ აქაც ერთობლივად
იმ კაცს ბევრჯერ შეედავნენ.
მათ თავისი აქვთ საზომი
სამართალშიც, წესშიც, აზრშიც,
მის ჭკუაზე მოქმედებენ
შიშს ვერ გრძნობენ თითო კაცში.
ხალხი ისევ წყნარად არის
თუმც დაეტყოთ ხმაში ღელვა,
მაგრამ როგორც საჭიროა
ვერ შეიკრა ჯერაც ყველა.
გველი ისე მონსტრი გახდა
სასარგებლოს იწერს ქულებს,
და წინმდგომელ მაიმუნსაც
სათავისოს აიძულებს.
ამ დღეში ვართ დიდი ხანი
უკუ სვლაში გაგვყავს წლები,
დაგვეჩაგრენ მოკეთენი
გავალაღეთ ირგვლივ მტრები.
მაიმუნი მაიმუნობს
წინსვლა გვაქვსო ჩაგვჩიჩინებს,
გველიც თითქმის კვერს უკრავს და
თან მის ბოღმას არ ივიწყებს.
კაცი კაცთან თუ არ დადგა
არ შეეკრა ხალხის მასებს,
ეს გველი და მაიმუნი
კიდევ დიდხანს გაგვამასხრებს.

25 - 12 - 2021.

ყველა დედას

ყველას დედას
თმა გიშერს თუ ჭაღარას,
ვინაც უძლებთ ამ ცხოვრების
ძნელბედობის ატანას.

მოგილოცავთ დღევანდელ დღეს
სიტყვა მომდის საქები,
დედები ხომ ყველას მიმართ
ხართ ყოველთვის მართლები.

ვინ მოსთვალოს თქვენ კისერზე
რამ არ გადაიარა, გახსოვთ ბევრი
დარდი, ცრემლი,
ტკივილი თუ იარა.

ოჯახისთვის, შვილებისთვის
რაც რამ გადაიტანეთ
ღმერთმა ლხინად შეგიცვალოთ
ყოველივე სიმწარე.

ზოგი სადხართ, ზოგი სადხართ
ლამის გაგძვრეთ ქანცია,
ჩვენი დიდი პრობლემაა
ქალთა ემიგრაცია.

ნეტავ მაინც დაგიფასდეთ
გაწეული ამაგი,
დაუბერდით შვილ მომავლებს
ჯანმრთელნი და ჭარმაგნი.

აწი მაინც გაიხარეთ
ბედნიერი დღეებით
ჩვენო საქებ საფიცარნო
თქვენ კი შემოგევლებით.

ვინაც გვყავხართ დიდხანს იყავთ
საქართველოს იმედად,
წარსულებს კი... - ხსოვნა
რადგან ღმერთმა ასე ინება.“

03-03-2019 წ.

დაგვეხსენით ბატონებო

უკრაინა იგუდება სისხლში,
ჩვენ კი აქეთ სიბრალული
გვახრჩობს,
რატომაა როცა ხალხის ნებას
არც შენი და როცა არც სხვა
არ სცნობს?!
რატომაა ძალადობა ყველგან,
ან ამდენი ვითომ კარგის მდომი,
სექტანტებზე გაცემული ნდობა
და ცეცხლივით გაჩენილი ომი.
სხვა, სხვის საქმეს რატომ
არჩევს ყველგან,
თანაც ისე როგორც
თავად აწყობს,
დაგვეხსენით ბატონებო ყველამ
რუსეთი ხართ, ევროპა თუ ნატო.
ვიმეზობლოთ, ვიმეგობროთ
მაგრამ,
თითებს მაინც ნუღარ გვიქნევთ
მაშინ,
და რაც დაგრჩათ ღირსებები
დღემდე
მასაც ნუღარ გაიქარწყლებთ ხალხში.

22 - 03 - 2022 წ.

მიმართვა შემომქმედ ხალხს

პოეტი თუ ხარ,
მწერალი თუ ხარ,
და გაქვს ავ - კარგის
აღქმის უნარი,
იცხოვრე შენი
ხალხის ცხოვრებით
ნუ გაყუჩდები,
ნუ ხარ მდუმარი.
ან მხოლოდ ცისფრად
რომ აღწერ აწმყოს
მაშინ როდესაც
წუნი მეტია,
მშიერ ხალხს მაძღრად
რომ წარმოაჩენ
კარგს აკეთებდე
არამგონია.
კი, რათქმა უნდა
კარგზედაც ვწეროთ
მწერალი რომ ვართ
ან ვართ მგოსანი,
ავსახოთ ის რაც
მართლა კარგი გვაქვს
და ხალხიც ასე
გასაოცარი.
ხალხი რომელიც
რას აღარ უძლებს
ამდენ დაცინვას,
სირცხვილს და ღალატს,
ვწეროთ ამ ხალხზე
ოღონდ გვახსოვდეს
ნუ დავუკარგავთ
სიმართლეს მარცვალს.
ყველა სათქმელი
სწორად უნდა ვთქვათ
ნუ ვერიდებით
ვინმესგან ჩივილს,
ჩვენ ხალხის მხარე
უნდა გვეჭიროს
ვიცნობდეთ იმათ
დარდსა თუ ტკივილს.
დღეს აბა ვის რა
გვაქვს საკვეხარი
როცა არ ვიცით
რა გვსურს, რას ვეძებთ,
საკუთარ წარსულს
როცა ვთელავთ და
უცხოელების ღლაბუცს
დავეძებთ.
აღარც მთავრობა
არ ჰგავს მთავრობას,
არც პარლამენტი
არ ჰგავს პარლამენტს,
უვიცობის და
უსულგულობის
მაღალი დონე
ყველგან „ღაღადებს.“
ცხოვრება თითქოს
მიდის გრიალით
ასე ჩაგვძახის
მმართველი ძალა,
ჩვენ კი ვხედავთ რომ
ხალხი შიმშილობს
და მათ ვეტყოდი
ტყუილი გვკმარა.
- შენ, ვისაც წერა
ხელგეწიფება,
და შენ სიტყვასაც
იცი აქვს ფასი,
მუდამ მდუმარი
რად ხარ ასეთ დროს
რატომ არ გინდა
გატეხო ნავსი ?
მაამებლობამ დაგვღუპა
აგერ,
გადაგვავიწყა
სიმართლის რწმენა,
მეც თქვენსავით ვარ
კანონმორჩილი
და ავი საქმის
არც მე არ მჯერა.
მაგრამ სიმართლე
ყველამ უნდა ვთქვათ
ეხლა დუმილი ცუდი წესია,
თუ კი სამშობლო
გაგვინადგურდა
სხვა უკეთესი რა დაგვრჩენია?
ჰო და ასეთ დროს
შენ რა გაჩუმებს
პოეტი გქვია,
თუ ხარ მწერალი,
როცა ხედავ რომ
ვალიც და ცოდვაც
დაგვაწვა ენით აღუწერავი?
ამოთქვი რამე,
შენ მართალ სიტყვას
ლუკმა-პურივით
მოელის ხალხი,
გამოიხედე თორემ
ჯოჯოხეთს
ყველასთვის მზად აქვს
კუპრიც და თალხიც.

17 - 09 - 2021 წ.

* * *

მზე, ღრუბლებში შეყუჟულა
თოვლია და ქარია,
მარტი ისე მიილია
ვერ გავითბეთ ძვალია.
გაზაფხული ტყუილად ჰქვია
გაგვიგრძელდა ზამთარი,
გადააბა დალოცვილმა
თოვები და ავდარი.
მოფარფატე ფანტელები
ხშირად გვათოვს მაღლიდან,
ნისლმა მთები გადაბურა,
ღრუბლებმა კი დაბინდა.
ოი, ღმერთო რა მარტი გვაქვს
ჯერ არ გვახსოვს ასეთი,
მსგავსს არასდროს მოვსწრებივარ
კაცი ლამის დავბერდი.
- მარტი, მარტი, ო ეს მარტი
გიჟმაჟი და თავნება,
ხალხის გეგმებ-იმედები
როგორ გააცამტვერა.
როდის უნდა გავუმკლავდეთ
დაგროვებულ საქმეებს,
სევდიან გულს ისევ მხოლოდ
იმედებით ვავმხნევებთ.
სიხარული დაგველია
ეს ამ სიგრძე ზამთარში,
და პრობლემაც პრობლემებზე
გვემატება დავთარში.
აქ კორონა, იქით ომი,
მზარდზე მზარდი ფასები,
ვერნაყიდი პროდუქტი და
არ მკმარი ხელფასები.
- მარტი, მარტი, ო ეს მარტი
გიჟმაჟი და თავნება,
მაგრამ უკვე მთავრდება და
იმედია დათბება.
ორ სამ დღეში ვიაპრილებთ
მზესაც ვნახავთ მადლიანს,
მთავარია ლაღად შევხვდეთ
ყოველ დილას ადრიანს.
იმედებით გავატაროთ
ხალხნო წუთისოფელი,
თორემ დარდი თოვლივით
გაგვაქრობს ეს ოხერი.
გაიღიმეთ შემოგევლეთ
გულში გვქონდეს დარები,
მაშინ გწამდეთ ვერას გვიზავს
ვერც ამგვარი მარტები.
- მარტი, მარტი, ო ეს მარტი
გიჟმაჟი და თავნება,
როგორა ჰგავს ქალბატონებს
თანაც ასე ამდენად. ❤

28 - 03 - 2022 წ.

დგია უღირსთა დრო სანატრელი

ალალი გულის
საძებრად დავალ,
მართალი სიტყვის
მომწყურდა სმენა,
რატომ შემცირდნენ
ასეთი ხალხი
ეგებ შენ მითხრა
მაღალო ზენა?
სად დაიკარგა
ნდობა ერთ ურთის,
რად გარდავიქმენთ
ამდენად ყალბად,
ვინ ვის უძვრება
სულის წიაღში
თან რომ მალვენ და
მაინც რომ სჩანან.
ყალბ გარემოში
ყალბი ღიმილი,
ნერვების წყვეტა
ცრუსთან დავაზე,
არაფრის მქნელნი
იხვეჭენ ფულს და
პასუხს არავინ
არ სთხოვთ ამაზე.
გულნათელ ხალხის
ღიმილს ვნატრულობ,
პატიოსნებას დავეძებ
სანთლად,
ზოგჯერ მრცხვენია
კიდეც სიცოცხლის
რადგან მიჯდება
სიკვდილის ფასად.
ღირებულებებს
გაუცვდათ ყავლი
დგია უღირსთა
დრო სანატრელი,
უკან სვლით მიდის
ცხოვრების ბედი
არც იმედად გვაქს
აღარაფერი.
მე კი ასეთ დროს
ბავშვის სიწრფელით
ისევ მაკვირვებს
ხალხის სიცივე,
ვერ გამოვედი
იმ ასაკიდან
და სიალალე
ვერ დავივიწყე.

03 - 04 - 2022 წ.

ო, ეს მარტი

„ლირიკაში მოვაქციე მარტი,
თუმცა რა გელირიკება გურამ,
მარტის ბოლოს როცა ისევ ბარდნის,
და ირგვლივაც ყველაფერი სდუმან.“

ნელი გიუნაშვილი

წ ვ ი მ დ ა

წვიმდა, წვიმდა და აწვიმდა,
იასამნის ბაღებს,
ღიღილოს და თეთრ გვირილებს,
უკოცნიდა თვალებს,
ბროწეულის ყვავილები...
იმ მთვარიან ღამეს,
უღიმოდნენ წვიმის წვეთებს...
და ბედნიერ წამებს.

წვიმდა, წვიმდა, მეც მაწვიმდა
გამიღვივა ტრფობა,
გამახსენა სიყვარული...
და სიამით კრთომა,
მთვარის შუქის ანარეკლმა,
გააღვიძა ია,
გაზაფხულზე წვიმის მოსვლას,
სიყვარული ჰქვია.

წვიმის წვეთებს მძივად ასხმულს...
და დაცვარულ მდელოს,
იასამნის სურნელება...
ზამბახების ჩერო,
მონარნარე ენძელები,
თვალხატულა ია,
ნაწვიმარს და მზიან დილას,
გაზაფხული ჰქვია.

უფლის საფლავის ტაძარი

სადაც ჯვართ აცვეს იესო ქრისტე,
იქ ააშენეს ტაძარი წმინდა,
და ამ ტაძარში, გოლგოთას მთაზე...
იმართებოდა ქართული წირვა.

მაგრამ ეგვიპტის სულთნის ბრძანებით,
უფლის ტაძარი მსწრაფლ დაარბიეს,
ჰაქემის რისხვით, მტარვალთა მტრობით,
დააქციეს და მთლად დაანგრიეს.

მის აღდგენაში წვლილი მიუძღვით...
საქართველოდან წასულ ქართველებს,
იმართებოდა ქართული წირვა,
იხსენიებდნენ წმინდა სახელებს.

წმინდა ბერებს და ტაძრის მლოცველებს,
უფალი ხშირად ევლინებოდათ,
სამყაროს შეცვლა სურდათ წარმართებს
წმინდანებს მწარედ ეღიმებოდათ.

ვერავინ შეცვლის სამყაროს დღესაც,
დღეს არ არსებობს მსგავსი სულთანი,
ღმერთი სამყაროს შემომქმედია,
სამყარის მხსნელი არის უფალი.

* * *

მედიდური ხარ, იმერეთის ტურფა ასულო,
გაქვს სიამაყე მედიდური, დედოფლის ხიბლი,
მოსიყვარულე, მოამაგე და მადლიანო!
ფაქიზი ხარ და გული გიძგერს მზესავით თბილი.

* * *

მედიდური ხარ, იმერეთის ტურფა ასულო!
გაქვს სიამაყე მედიდური, დედოფლის ხიბლი,
მოსიყვარულე, მოამაგე და მადლიანო!
ფაქიზი ხარ და გული გიძგერს, მზესავით თბილი.

* * *

მინდა მადლობა გადავუხადო ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

გამოვიდა ჟურნალ ათინათის 43-ე ნომერი, სადაც დაიბეჭდა ჩემი ლექსები.

ამ მძიმე პერიოდში, როდესაც ამდენი ტკივილია და უიმედობა. ცრემლმა და სევდამ მოიცვა მსოფლიო. ნუგეში აუცილებლად სჭირდებათ ადამიანებს.

ქალბატონი გულნაზი შეუპოვრად იბრძვის და კარგადაც გამოსდის. თვითონ, მრავალ ბრძოლაგამოვლილ ქალბატონს, შეუძლია სხვისი ნუგეში და გვერდში დგომა.ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ, რომელიც ძვირფასია არამარტო ჩემთვის, არამედ მთლიანად აკადემიის წევრებისთვის. მუდმივად ცდილობს გული გაგვიხაროს და გვასიამოვნოს.

ქალბატონმა გულნაზიმ ჩემს პოეზიის საღამოზე საჩუქრად გადმომცა ჟურნალი "ათინათი", მომიძღვნა ლექსი, სადაც მთელი გული და სულია ჩადებული. პოეზიის საღამოზე დიდი სიხარული, სითბო და სიყვარული მაჩუქეს ჩემმა მეგობრებმა. ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის.

მინდა დიდხანს იცოცხლოს ქალბატონმა გულნაზიმ, იხაროს და იბედნიეროს.უფალმა უმფარველოს, გააბრწყინოს მისი სიცოცხლე და მისი ცხოვრება.

მიყვარხარ ჩემო საამაყო ქალბატონო! უნიჭიერესო, უკეთილშობილესო, მადლიანო, მოამაგე და მოსიყვარულე ძვირფასო ადამიანო.

მინდა აქვე ლექსი დავბეჭდო, რომელიც თქვენზე დავწერე.

მ ა დ ლ ი ს მ ა ნ ტ ი ა

შენ! სიყვარულის დედოფლობა დაგშვენდებოდა,
დაგშვენდებოდა ო, რარიგად დაგშვენდებოდა,
სიყვარულისთვის სანთლად დაანთე ჩვენი გულები,
და ყველას გვჩუქნე სიყვარულის თაიგულები.

სავსე გაქვს გული სიყვარულით, სათუთი გრძნობით,
ყველა შვილივით, დედასავით შეგყვარებია,
გულში იხუტებ, სითბოს სჩუქნი ნაზი ალერსით,
ქალი ამგვარი არ მინახავს, არ მყვარებია.

მართალი სიტყვის მთქმელი ხარ და შეუპოვარი,
სათუთი გულის პატრონო და ქალო მზიანო,
ნაზი ხარ, მაგრამ ვაჟკაცივით ომახიანი,
მადლის მანტიით შემოსილო და მადლიანო.

იმერეთია შენი მშობელი, შენი მამული,
შენი აკვანი ტკბილი ჰანგებით იქ დარწეულა,
იმერეთია მადლიანი, მიწა ქართული,
სადაც აკაკის, მგოსნის აკვანიც გადარწეულა.

სიყვარულის დედოფალი

სიყვარულის სასმისს გვასმევ,
გრძნობის თასი აგივსია,
გვსურს იცოცხლო ნელი ას წელს,
გულში მუდამ მაისი გაქვს.
თბილი რომ ხარ ზაფხულივით,
ყვავი როგორც ნაზი ვარდი...
ახალ გამოზაფხულივით,
ლექსით ყველას შეუყვარდი.
პოეტების მუზა გახდი,
მარგალიტობ ნაზო ქალო,
მზეო, სულში შეუსახლდი,
ქარმა რომ არ უთვალთვალოს.

გულნაზ ხარაიშვილი

ნუ დავდუმდებით

დღეს გაზაფხული, ისე არ გვათბობს,
როგორც გვათბობდა წარსულში, წინათ...
მზეც თითქოს, ისე ვეღარ ანათებს,
უკრაინელთა ცა გვერგო წილად.

უკრაინაში დაღუპულ ბავშვებს,
რათ მიაკუთვნეს დიდი სასჯელი,
განწირულ ჩვენს ძმებს, განწირულ დედებს,
ძალიან ბევრი დარჩათ სათქმელი.

სინათლესა და სიბნელეს შორის,
რატომ დავდექით ჩვენ ყველა ერთად,
რატომ დუმს ხალხი და რა გვაშინებს,
ვინ მიგვაჩნია ხატად და ღმერთად.

ჩვენ სინდისზეა მათი სიცოცხლე,
მათი ყოფნა და არ გადარჩენა,
ხმა ავიმაღლოთ და ვთქვათ სათქმელი,
რიღასთვის გვინდა ჩვენ ეს მარჯვენა.

ძალა ხომ მართლაც ერთობაშია,
მაშ ერთად ვუთხრათ ჩვენს მტერს,
რომ არა!
არ გვინდა ომი, არ გვინდა ცეცხლი!
არ გვინდა სისხლი! არ გვინდა არა!

ჩვენ თუ ერთმანეთს არ დავუდექით,
შიში შეგვაკრთობს მტრისა ამავდროს,
ჩვენ დავისჯებით გულგრილი ყოფით,
არ გვაპატიებს ღმერთი არასდროს.

ხმა აიმაღლეთ, ნუ დავდუმდებით!
დუმილი ნეტავ რისი ბრალია,
ნუ გავექცევით სიმართლის ხილვას,
სიმართლე ეს, ხომ ყველას ვალია.

გილოცავთ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს

ბ ზ ო ბ ა

ბზობა საუფლოს დღესასწაული,
ქრისტეს ზეიმი, ქრისტეს დიდება!
დიდებით შესვლა იერუსალიმს,
დიდება ქრისტეს, უფალს დიდება!

ჩოჩორზე იჯდა თვით ქრისტე ღმერთი,
ხალხი გალობით ეფერებოდა,
ფეხქვეშ უშლიდნენ ბზას, პალმის ტოტებს...
და ღაღადისით ეგებებოდა.

ქრისტე ხვდებოდა მათი გალობით,
რომ მოითხოვდნენ მის ჯვარზე გაკვრას,
იყიდებოდა სული უფლისა,
მუხანათურად ფიქრობდნენ ჯვარცმას.

„ისანა ძესა დავითისასა,
უფალს ესმოდა მჭექარე ხმები,
რომელი ხარო, მაღალთა შინა,
კურთხეულ იყოს სახელი შენი".

უფალი გრძნობდა ვნებას ხალხისას,
გული ეწვოდა, იყო მდუმარედ,
წვიმად მოვიდა ცრემლი ზეციდან,
ცრემლი მირონის, ცრემლი მდუღარე.

ცოდვილი ერი მისგან ითხოვდა,
შველას, შენდობას და შეწყალებას...
და მაცხოვარი, სულის მკურნალი,
აფრქვევდა სითბოს და ნეტარებას.

მანანა სამყურაშვილი

იმ ბილიკებზე სადაც მივლია...

გული გავნაღმე,არ ავფეთქდები,
სრულად ყვავილთა ბინად ვაქციე,
ერთი უბრალო ყმაწვილი ქალი,
ახლა პოეტად გადავაქციე...

მითხარი ამით რა მოხდა!
ქვეყანა ხომ არ დამიქცევია?
მე ერთი ჩემი უბრალო დღისთვის
სწორი სახელი დამირქმევია...

არ მომიპარავს, შენც იცი კარგად,
შენთვის სიტყვა არ წამირთმევია,
უგულოთათვის ოი, რამდენჯერ,
სულის ვარდები მიმირთმევია...

ნიღაბი?
ჩემს სიახლოვეს არ დამინახავს!
არც საცობი ვარ ხელით ნაჩორკნი
ყველა ჭურჭელზე რომ ერგებიან...
მხოლოდ ეს ვიცი მთის ნაჟური ვარ,
ამბებს ცრემლები მოგიყვებიან...

და ოდეს როცა ფრთებს ჩამოვკეცავ და
ცად მიმავალს ანგელოზები გამიყვებიან,
იმ ბილიკებზე სადაც მივლია
შთამომავალნი მოგიყვებიან...

ნაკვალევი წაშალა...

წვიმა ისევ შემეგება,
დილა იყო ქარიანი,
მზეჭაბუკად მომეჩვენა,
ქამარ-ხანჯალ-ფარიანი.

მევედრა და მეალერსა,
ცრემლის ღვარი მაყარა,
რომ იცოდეთ მისმა ლხენამ
დიდ დარდებთან გამყარა.

წვიმამ ჩემს წინ იტრიალა,
ცრემლი მიშალ-მოშალა,
დარდები ქარს გავატანე
ალბათ მიკარგ-მოკარგა...

სიყვარულის ცრემლები
გულზე შემომაყარა,
შემდეგ ჩუმი, საალერსო
სიტყვა შემომაპარა.

მიყვარხარ და დაგეძებდი,
ქალავ, ქალავ შავთვალა!
რად შეშინდი ლამაზმანავ,
ქარმა ხონ არ გაგთვალა?!

ოდნავ თვალი გაახილა,
სიტყვა აღარ მაცალა,
სიყვარულის სავსე სურა
თავზე ჩამომაცალა.

მერე ხმალი მოიმარჯვა,
ფარი გულს მომაფარა,
ალერსით და ნაზი კოცნით
ქარი ჩამომაცალა.

წვიმად მოველ სიახლოვეს,
ქალავ ჩემო შავთვალა!..
სურვილი რომ დაიოკა,
ნაკვალევი წაშალა.

☆☆☆☆⊙⊙⊙⊙⊙⊙☆☆☆☆

კაცმა კაცურად იცხოვრე...

მთვარეს შესცივდა წუხელის,
ღრუბელს იხვევდა საბნადა,
ჩაუთბა? – გული ნეტავი?!
იქნებ არ ღირდა ცქერადა...

სნეულს ღრუბელი უშველიის?
გულშფოთიანს და სულელსა!
თუ ტყვია სურს რომ ისროლოს
ხელს მიაფარებ ლულებსა?!..

შრომისთვის ხელებ შებორკილს
არვინ გაუწევს უღელსა...
შრომას ვერავინ ასწავლის
ხარბს და უძღებელ მუცელსა...

კაცმა, კაცურად იცხოვრე,
მოჰკვდე თუ გინდა იცხოვნე,
სხვისთვისა ჰქმენი სიკეთე,
ღმერთისგან? შვება ითხოვე...

ისეთი საქმე არა ჰქმნა,
ფეხქვეშ მიწა რომ იწვიდეს...
არად ღირს ხარბი, უგულო,
ჰქონდეს და კიდევ ითხოვდეს...

მათხოვრის წილი ლუკმისთვის
თვალებცეცებით იხწვოდეს...
კაცმა, კაცურად იცხოვრე,
მათხივრის ცოდვით იწვოდე.

(((ბოროტის და ხარბის გული,
ეშმას გულზე ჰკიდია...
ამიტომაც ასეთები, სულს
ადვილად ჰყიდიან...)))

სიყვარულის ნაცვლად ქალო...

ქალავ შენს კაბის ბოლოებს
დილის ნიავი არხევდა,
სიყვარულს გეფიცებოდა
ატმის ყვავილებს გაფრქვევდა.

ცეცხლის ფერებით მოქარგულს
პირზე ღიმილი გეფინა,
ნეტავ ქარს რატომ დამოყვრდი,
ჩემგან ხომ არა გეწყინა!

მე შენი ალერსი მსურდა,
ქარს კი მინდორში ერბინა,
შენ ჩემად დამგულებოდი,
მას დარდით ცრემლი ედინა.

მოგეხვეოდი ყელს სუროდ
ან მარგალიტის მძივადა,
წარბ-წამწამს ჩაგიქარგავდი,
გაფრენილ წეროს მწკრივადა...

ატმის კვირტით კაბას ვქსოვდი
ცეცხლის ფერით მოქარგულს,
გულს პერანგად ჩავაცმევდი
დამწვარს, დარდით დადაგულს!

დილით შენსა სასთუმალთან
ლოცვით ჩამოვდნებოდი,
წამწამსა და წამწამს შუა
მძივად გამოვჩნდებოდი.

ახლა სული ავადაა, ვერაფერი ვასმინე,
დაითვალე?
შენი სიტყვით
გული როგორ მატკინე,
სიყვარულის ნაცვლად ქალო,
ცხარე ცრემლით მატირე!

&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&&

სულში ბარდნის,
აღარც ზურგის ქარია,
აღარა სჩანს მოკვეთე
და ფანია...
ჩემი გული მაინც
ყველას ფარია...

ზოგთა გულში ერთი
ტონა შხამია,
გული თვიონ?
სულ 15 გრამია!

გულ- შხამ-ბოროტიანი...

გული მომიკლეს, დამდაგეს,
უხვად ნაცარი მაყარეს,
ბოროტი გულით ზოგ-ზომა
დიდ დარდებს გამომატარეს...
ვირზე უკუღმა შემსვეს და
ტალახი შემომაყარეს...
ავის მქნელზეც კი ვერავინ
სიტყვა ვერ შემომაპარეს.
მაგრამ, მათ თავის ქცევები
უფალს ვერ გამოაპარეს...
მე მათ სიკეთეს უთვლიდი,
ნაფეხურსაც არ უშლიდი,
ყოველს ცისმარეს მერწმუნეთ
ცისკრის ლოცვებსაც უთვლიდი...
უფალმა არ აპატია...
ოჰ, რა მათრახი არტყია!..
გული და თავი კიარა,
ფეხქვეშ მიწა წეურყია.
მისი სიცოცხლე არად ღირს,
სამყარო ჯოჯოხეთია...
ნეტავ რა დილა გათენდა,
ეს ძველისძველი
ფიქრები გულმა რომ გამოათრია.
მე კი არა და უფალმა
მიწაზე თმებით ათრია,
შხამი და ბოღმა პირიდან
ზედ გულზე ჩამოინთხია...
(((პიროვნული დახასიათება...
კურტუმოს გვერდზე მოიქცევს,
ისე მიქნევს, მაიქნევს,
როგორც მანქანა მაქოსა,
დავლურსაც კარგად დაუვლი
ზედ ითამაშებ ბანქოსა...))))

ღმერთო! იხსენი საქართველო!..

ჰოი, საქართველო! ნაწამებო!
მტრისგან გათელილო! კალთებ აჩეხილო!
მსურს რომ განუგეშო, მსურს რომ მოგეფერო,
გულზე მწველ იარებ გაჩენილო!..
ვინ? თემურლენგი?! ვინ? შაჰაბასი?!
საკუთარ შვილთა გათელილო!..
დროვ! - აახვიე დროის კოჭზე,
დარდო გაგვეცალე გაწელილო...
დავთდრები ხელზე დამილაგეთ,
მტრების ხელითაა აწეწილი!..
ერთი ფურცელიც არ დამიკარგოთ,
დედის სახელია დაწერილი!..
წინაპრების სისხლით დაწერილი ანდერძი მაქვს!..
მამული ჩემია, დასაბამიდან - დასასრულამდე!..
გონიოთია გამოყვანილი მიჯრით - მიჯნამდე!..
ერთი მუჭაა საქართველო!..ნუ იტყვით ამას!
მე გადმომეცა ნიკობსიიდან დარუბანდამდე!!!.
მტერო! - რა მიჯნები! რის მიჯნები!
მავთულბადეში ხარ გახვეული!..
გული მალე უნდა მოვირჩინოთ
შხამიან ისრებით დასერილი!
გესმის? შეისმინე რაც გითხარი!
ძველი ანდერძი მაქვს მე საბუთად,
სისხლის წვეთითაა დაწერილი!..
სახარება და ბიბლია მაქვს თვით
ღმერთის ხელით ქართულად დაწერილი!
გულზე სანთლად ღვივის მეწამური
წმინდა წერილები დაწერილი,
მასში მრავლადაა ლოცვა უფლის,
ჩემი ჯვარცმაცაა ახწერილი!
მისთვის გაისარჯა გიორგი და
მისთვის ლოცულობდა დავით მეფე!!!
როცა მტერს თქვენ ვეღარ მოერევით,
მაშინ დამადგითო ფეხი გულზე!..
ვაზის რქა და სიბრძნის წიგნი,
მიტომ ჰკიდებია მეფეს ზურგზე!
სანთლად ანთებულა საქართველო!
იწვის! ეხლა იწვის მეფის გულზე!
მასთან ქეთევანი ჭირისუფლობს,
გულზე შანთების აქვს იარები!
დედა მარიამი დასტრიალებს,
სურს რომ მოარჩინოს იარები!
ღმერთო! რით ვერ დადო ქართლის დედამ,
გორგასლიანთ დროშა ხუთჯვრიანი!
ომის ქარტეხილმა ვერ წაართვა,
ბოკვერებსა ზრდის დედა, მადლისკალთიანი!
ცხრაჯერ დარწეულა აკვანი და
ცხრაჯერ უმღერია ნანა, დედას!
შენ კი უგულო და ავზნიანო!
დედის კალთასთან ბრძოლას ბედავ!!!
ბაღნარ საქართველოს გაეცალეთ!!!
დედა მარიამის ცრემლებს ხედაავთ?!
მე ვარ მისი ჯიში! მე ვარ მისი მოდგმა!
დედის თვალწინ სიტყვას ვერა ვბედავ!!!
შენკი მისსა მამულს, ბასრი მახვილით და
ბასრი ბრჭყალებით მტერო! გულს უსერავ!!!

დედა მზე...

ჩამადნა დილას მზე სულში,
რამდენი რამე მახარა,
მოსიყვარულე მოწყალემ
თავი ძირს ნაზად დახარა.

ჩემი განვლილი დღეები
სხივებით სწორად დათვალა...
გამიღიმილა,მივხვდი რომ
ყოველი სწორად ჩათვალა...

კაფანდარა და ლამაზი,
კორდზე კრეფავდი იასო,
დედა გირჩევდა ყოველთვის
დღეს, ლამაზსა და მზიანსო.

ზეციდან თვალს ვადევნებდი,
ცეკვას, თამაშს და ტრიალსო,
ყვავილთა მოფერებაში
თვალთა ალერს და ციალსო.

ეზოს კიჟინით იკლებდი,
იწყებდი კაბის ფრიალსო,
ვერ გიხილავდა ვერავინ
თვალცრემლიანს და მტირალსო.

მე სხივებს უხვად ვაბნევდი
შენს კარ-მიდამო სახესო,
დედა მზე თავზე დაგნათი
სხივით გიკოცნი თვალებსო.

☆☆☆☆☆○○○○○○☆☆☆☆☆

თუკი მას დაუმოყვრდები...

ნეტავ რად გინდა, არ გირჩევ,
აშარი ქარის მზერასა.
ცად ავარდნილი ბობოქრობს,
ხევს, ღრუბელთა ცვრიან ზეწარსა.

იდუმალებით მოსილა, ჩახჩახით
იკლებს ზე კარსა,
მისსა სულელსა ქცევებსა
ვერ მოუძებნი სწორ აზრსა.

სახლი არა აქვს უგვანოს,
უნდება, აღმა ფრენასა,

თუკი მას დაუმოყვრდები
მაშ, შეეყრები სნებასა...

რადგან კუდი აქვს ვადარებ,
ეშმას, კუდიან დედაბერს
თუ გადაგივლის იცოდე,
დაარჩენს მძიმე ნაკვალევს.

სულით და ხორცით ღატაკი,
არის ძლიერი მაჯათი,
მიგინგრ-მოგინგრევს
სამყოფელს
ესაა მისი ადათი.

გული მახლავს კურიერი...

საკუთრების უფლებით მაქვს
სიყვარული აღებული,
დღემდე ისე უფრთხილდები
გრამი არ მაქვს წაგებული.

ასწლოვანი გარანტიით
უფლისგან მაქვს ბოძებული,
ამიტომ ვარ მისი ძალით
სიყვარულად წოდებული.

მომედავა ერთი ურჩი,
არენდით გაქვს აღებული...
მაგრამ საბუთი რომ ნახა,
იქმნა ჩემთან წაგებული.

მიყვარს ყველა სულდგმული და
მიყვარს ყველა სულიერი,
სიყვარულის დამტარებლად
გული მახლავს კურიერი...

იქნებდა ია გეგონო...

შევნიშნე ცრემლის ღვარები
ემაგ თვალისა ჩეროზე.
ყვავილს რომ ეკონებოდი
მე რომ შემნიშნე მდელოზე.

თვალს მარიდებდი თითქოსდა
ცრემლი ჩემთვის არ გცვიოდა,
სულით დაღლილი იდექ და
ცრემლები გულზე გდიოდა.

ნეტავ იმ ყვავილთ მაგივრად
მე ჩაგვარდნოდი კალთაზე,
ცრემლი გედინა ჩემს გულზე
შენს დარდებ ჩამოწოლილზე...

ქალავ, დავრწმუნდი ჩემს გამო
ცრემლი გცვიოდა ყვავილზე,
მეკი გულაღმა დავეგდე
გულდატანჯული ჩეროზე.

საფერებს ერთხელ არ მეტყვი
კლიტე გაქვს ენა - ბაგეზე,
მაგრამ გულში რომ ჩავსახლდი
გატყობ მომღიმარ ცქერაზე...

,,ნეტავ, მძივი მქნა, ყოილი,
დაგკიდებოდი ყელზედა,"
ანდა ია მქნა გულნაზი
შენთვის ამოვალ ველზედა.

იქნებდა ია გეგონო,
ცრემლი მაყარო გულზედა.
მოფერებისგან დაღლილმა
მიმიკრა ბროლის ყელზედა.

მოვკვდე და ია მაფინო
შენი ხელებით გულზედა,
შენი სურნელი ვიგემო
დარდით დაკოდილ გულზედა.

ეკატერინე გაბედავა

* * *

მე ისევ აქ ვარ,
ჩემი მიწის სურნელით ვთბები...
აქ ჩემი მზეა,
ჩემი მთაა,
ჩემი ტაძარი...
და უღვინოდაც ჩემი ქვეყნის ფერებით ვთვრები
ფერმკრთალ სახეზე მეკიდება ტრფობის ხანძარი!!!
ყველა კუთხის ვარ,
ქართლ-კახეთის,
რაჭა-ლეჩხუმის,
კოლხურ თბილ გულში დავიტიე ვაჟას
ჩარგალი..
მიყვარს ჩხოროწყუ
წალენჯიხა
მიყვარს უშგული,
და დედაჩემის ნაფერები ძველი ,,ჯარგვალი"...
სადაც ვისწავლე დედაენა
ვიწამე ღმერთი,
აქ არის ჩემი სალოცავი
ჩემი ზე ყანა,
სხვაგან სად არის საუცხოო
სიუხვე ფერთა
შენ შემოგევლოს
ჩემისული
ჩემო ქვეყანა!!!

მე აქ ისევ შენი გულის ფექვით დამთბარი...

29.04.2022წ

შეგვინდე იესო კაიაფებს!

იერუსალიმში ბზით და ბაიებით
დაგხვდი და დაგიფინე ფერხთით...
მე ვარ დღეს მწიგნობარი კაიაფა,
მე მეწვის გულიცა და ტერფიც...
პირველი მე დაგადგამ დაფნის გვირგვინს
პირველად მე გიწოდებ ღვთის ძეს,
მე ახლა წინაწსართქმას ვაგვირგვინებ
და ვთლი ჩემი ხელით იმ ძელს...
სადაც დღეს საღამოს გაგაკრავ'ენ,
ჩემი (ასე რომ მგონია)მონდომებით...
(მგონია) ჩემი ძალით გაგაკვირვებ,
და საქმეს დავასრულებ მონდომებით...
იუდა მოვისყიდე ესეც ჩემი
მგონია გამარჯვება...უბედური.
რა ქრისტე მე მის სახელს შევაჩვენებ
თვითმარქვიაა და მებადური...
ვყვირი და გულში კი შიში მზარავს
ვინმე არ მიმიხვდეს ფიქრებს მზაკვრებს...
ხმა ბრბოსი ხმა ეშმაკის
ხმა ჩემი შესაზარი!
თავისუფლებაო ავაზაკებს!
და რა გასაკვირია,
(მგონია)
გავიმარჯვე,
ორ ავაზაკს შორის ნაწამები,
ჯვარს გაცვი...
ძმარი და აიაზმა მოვიმარჯვე
ტუჩები დაგისველე და
 წამწამები
სისხლით შეგიფერე ეკლის გვირგვინი რომ
თავზე დაგადგი და ვიღლიცინე,
შენ მზერა მომაპყარი ნაწამები
და თვალნი სიყვარულით მოციმციმე
დახუჭე,
რომ ტკივილი დაგეფარა
და დარჩი ერთგული შენი მამის...
ზეცა გაიხსნება
მიწა იბღავლებს და
მტრედი გარდამოვა ამ საღამოს...
შენ მამა ჩაგიხუტებს მესია...
ჩვენ ჩვენს ყოფას დღემდე ასე ვაიაფებთ...
ბოღმიანს...
შურიანებს...
გესლიანებს...
შეგვინდე იესო კაიაფებს!..
შეგვინდე
იესო კაიაფებს!..
შეგვინდე იესო კაიაფებს!..
შეგვინდე იესო კაიაფებს!..
დღევანდელი ჯვარცმა!..
30.04.2021წ

ჩაქოლეთ პოეტები!

ჩაქოლეთ პოეტები
"გიჟები"!...
ჩაქოლეთ!
სიმართლისთვის აწამეთ!
აუღეთ
მოთმინების
"სინჯები",
თუ რამ სიცრუეა დასწამეთ!
მერე წისქვილის ქვა მოაბით,
როგორც შეგიძლიათ
"ათრიეთ",
ერთმანეთს სასაცილოდ უამბეთ,
ეს რა დღე დააყენეთ "ხათრიანს"!.
დაუგმეთ რაც
მისთვის ყველაზე
სუფთა და
წმინდაა ღმერთამდე,
"შვილი" მოუკალით
ზედ კარზე,
თბილ სხეულს ხედავდეს
კვეთავდეთ!
ადროვეთ,
უთუოდ გამოვა
სიმშვიდის
პატარა ქოხიდან,
ჯერ გკითხავთ:-რას შვრებით?
რა დროა?
რად მიკლავთ
რა ოქრომ მოგხიბლათ!..
და ლომის ბოკვერის წამებით,
თავად ნაწამები პოეტი,
ხალხისგან ჯვარცმული იესო,
ილია
გრანელი
გოეთე...
შიგნიდან დაირღვევა
ციხე,
შიგნიდან მივეჩვიეთ
ღალატს,
სხეულში გაცივებულ სიცხეს,
სასწორზე აუწონავ ბალანსს...
ვერაფრით მოერევა პოეტი,
გახდება ქარიშხალი
ქარაშოტი,
და ჭორად დაყრილ
მიეთ მოეთებს,
მზეზე გამოიტანს გასაშრობად!
ისინი ვინც "შვილები"დაუმარხეს,
ცდილობენ დააბრალონ გიჟიაო,
პოეტი გადმოივლის გაუვალ ტყეს,
პოეტი
მართალსიტყვად
მოჟრიალობს!
და რასათქმელია
უდაოა,
ხელებს გაუკრავენ
დიდებულნი.
პოეტს არ შეუძლია
მუდარები,
პოეტი ბრობსგან ასე მიგდებული!
სიმართლის სახელით
შეწირული,
ღმუის და გაჰყვირის!
-საზარელნო!
ჩემი სიმართლისთვის გეწირებით!
იუდავ,
კაიაფავ,
აზაზელო!
დაე აღესრულოს უფლის ნება!
პოეტს ტყუილის თქმა არ ჩვევია!
სანამ თქვენ უფლისაგან მოგეზღვებათ,
პოეტი "გიჟი"ვიყო მირჩევნია!!!

რა თქმა უნდა მართალი პოეტი!
26.03.2021წ

თამრო სვანი-ნიჟარაძე

უთქვენოდ

უთქვენოდ დაჭრილ ყორანს ვგავარ,
დაქუცმაცებულ გვირილას,
უთქვენოდ არ ვიცი რავარ,
ნეტავ ვის გამოვადექი.
უთქვენოდ განვლილ წლებს მივსტირი,
უსიყვარულოდ გაფრინდა წლები,
ღამენათევი ვერ ვხედავ მზის სხივს,
და ყოველ დილით ცრემლებით ვდგები.
სახე მღიმარე თუ დამინახავთ,
გთხოვთ ნუ ჩამიქრობთ სახეზე, ღიმილს,
ჩამოსვლის იმედს ნუ დამიმარხავთ,
ხმები მაშინებს ზეციურ წვიმის.

მონატრება

მონატრებისგან დაღლილი სული,
კვნესის და ეს კვნესა მარტო მე მესმის,
მე სიყვარული მომაძლიერებს,
გული უთქვენოდ ტირის და კვნესის.
ჩემო ტანჯულო, ერო და ბერო,
ნუ შეგაშინებს მტრების სიმრავლე,
პატარავ მაგრამ დიდო და ბევრო,
კვლავ გაუძელი დროს ამ საშინელს.

დედობა

ჩემთვის გუშინ დაიბადე,
თუმცა უკვე დიდი ხარ,
გულში სევდა ამომბარდე,
შვილო გულში მიზიხარ.
შორს წასული ემიგრანტი,
ლოცვით გეალერსება,
შენს სიყვარულს არვის ვადრი,
თვალი ცრემლით მევსება.
დედა გლოცავს და უყვარხარ,
დედის გული ზღვა არის ...
შეგავედრებ დე უფალთან,
დედა მაინც სხვა არის!

ჩემი სევდა

სამშობლოა ჩემი სევდა,
ჩემი ფიქრის ოცნება,
სამშობლოა ჩემი დედა,
ფიქრიც დავწან კონებად.
სული კვნესის დარდს ვერ უძლებს,
დარდი ცვივა გუნდებად,
ტყვიებს გულში ნუღარ მესვრით,
უკან დაგიბრუნდებათ.

ქუჩაში

ქუჩაში გავედი დარდის გასაქრობად,
მოვტყუვდი არ გაქრა დარდი,
დარდი პირიქით ორმაგობდა,
ქალი დავინახე ჩადრით.
მივედი ვუთხარი რა გაწუხებს,
ცრემლებით მითხრა მტკივა,
გულიდან ვერ ვიგლეჯ იმ მარწუხებს,
დედისთვის ცრემლები მცვივა.
მომიკვდა, აქ ვტირი ვის ესმის,
ვინ დაიტირებს დედას,
უცებ გამახსენდა ჩემი წარსული და....
გულში შემომაწვა სევდა!

დარდთან მძინავს

მემონატრებით, ვიღვიძებ,
მე მონატეება მტკივა,
გული სევდისკენ მიბიძგებს,
თვალიდან ცრემლი მცვივა.
ხმას გავიგონებ ქართულს და
სამყაროს ვხედავ მაშინ ...
ვხედავ მთებს უფლის ნათლულს და...
დავცურავ ფიქრის ზღვაში.

სისხლით ქართველი

სჭირდება მამულს ნამდვილად,
სისხლით ქართველი სუფთა
არ დაიჩოქებს ადვილად,
წინაპრებს ასე უთქვამს!

როცა გიყვარს

როცა გიყვარს, რა კარგია,
როცა გულით ეფერები,
ნისლით სხივით ნაქარგია,
ქარშიც გხვდება სხვა ფერები.
შენ საუბარს უსმენს გულით,
ერთ სიტყვასაც არ დაკარგავს,
შენში არის შემოსული,
მოგისმენს და გულს დაგქარგავს.

მელოდება საქართველო

საქართველოს სიყვარულით
გული შფოთავს შორეთს,
დამაბრუნეთ ჩემს მამულში,
გთხოვთ, ნუ დამაშორებთ.



ქალი დედა

თქვენ მარტო ჩემი არა და...
თქვენა ხართ ქართვლის დედა,
მე განმარიდეთ ბოროტ ქარს,
თქვენ ამარიდეთ სევდას.
თქვენ სიყვარულით
დახუნძლული ხართ,
და მეც სიხარულს მჩუქნით,
მეც შემოგიღებ გულის კარს,
არ მინდა თამასუქი.
ჩემო დედავ და იმედო,
ჩემი სიცოცხლის ძალავ,
გნახავ, რომ დაგაიმედო,
გნატრობ და ცრემლებს ვმალავ!

არასოდეს მიმიტოვებია

იცის ღმერთმა როგორ მიყვარს,
მე არ მიმიტოვებია
საქართველო გულს ჩამიკრავს,
ჩემი მთა და თქორებია.
თუ წავედი გამიჭირდა,
ლუკმა უნდა მეშოვნა,
შვილებისთვის ეს მიღირდა,
შორეთს უნდა მეშრომა.

ქუჩაში

ქუჩაში გავედი დარდის გასაქრობად,
მოვტყუვდი არ გაქრა დარდი,
დარდი პირიქით ორმაგობდა,
ქალი დავინახე ჩადრით.
მივედი ვუთხარი რა გაწუხებს,
ცრემლებით მითხრა მტკივა,
გულიდან ვერ ვიგლეჯ იმ მარწუხებს,
დედისთვის ცრწმლები მცვივა.
ნომიკვდა, აქ ვტირი ვის ესმის,
ვინ დაიტირებს დედას,
უცებ გამახსენდა ჩემი წარსული და....
გულში შემომაწვა სევდა!

ITANJEBA SAQARTVELO

ჯვარზე გაკრულო,
მამულო ჩემო მიყვარხარ,
დედაღვთისშობლის ნათლულო,
შენ ვისაც უჭირს იქა ხარ!

ANA

თამარის დღეს მოვლენილო,
საყვარელო ჩემო ანა,
გთხოვ არავის აწყენინო,
მზემ სხივებით გითვალთვალა.
როგორ მინდა მოგეფერო,
შენთვის გავხდე ბებო ბავშვი.
ღამის მთვარის შესაფერო,
არ იარო მარტოდ კარში.
არ მომტაცონ შენი თავი,
ვიღაც უცხომ ბებიკონა,
ლამაზი ხარ ჩემო ანა,
ნეტავ შენთვის მეპატრონა.
აბა, რა ვქნა ემიგრანტმა,
როგორ მოგვწვდეს ჩემი ხელი,
გაირა უკვე მარტმა,
ზაფხულია უკვე ცხელი.
გლოცავს ბებო თამარის დღეს,
ლამაზი ხარ თამარივით,
ჩემი ფიქრი შენთანა დევს,
და მჭირდები წამალივით.

ლიანა კაკუბავა

ერთი უბრალო, ქერა ქალი ვარ

ერთი უბრალო, ქერა ქალი ვარ,
მხოლოდ ლექსები, თუ მაბადია...
ალბათ გავქრები უჩინარივით,
როცა ამ ყოფას დამამადლიან.

ნიავს მივყვები, ფოთლების შრიალს
ხმა დავაწიე ჩუმად ღელესთან.
სადაც იბანდა მზე პირს ღიმილით,
ღვთისგან ნაბოძარ საოცრებებთან.

ფრთებს შთაგონებით, შლიან რითმები,
წყვდიადში ელვამ გამოანათა.
ჩემი წილი მაქვს ზურგით საზიდი,
იღბალმა ბედად, რომ დამანათლა.

ზოგჯერ ნაბიჯებს ვითვლი ბარბაცით,
ერთი ცოდვილი უფლის შვილი ვარ.,
როცა მშფოთვარე გული ბობოქრობს,
გთხოვთ, მომიტევოთ, დაბნეული ვარ.

აღარ ვთამაშობ.... თავისუფლებას,
ვრისკავ მეორედ, ისევ ვიშვილე,
და მიხარია, "შექანების" ჟამს
ჩემი ლექსები, რომ ავაკივლე.

ერთი უბრალო, ქერა ქალი ვარ,
მხოლოდ ლექსები თუ მაბადია....,
ალბათ, გავქრები უჩინარივით,
როცა ამ ყოფას დამამადლიან.

დავეძებ ფერმწერს

ჭრელი ფოთლები, ჭადრის ძირში ბლომად ეყარა,
მზემ გაღიმება, ვარდის კოკრებს ვერ ჩაატია.
გულნაკლულივით გააყოლა თვალი ბულბულმა,
გვერდზე გადგომა ვინაიდან არ აპატია.

შეცვლა ვერ შევძელ, უდროობამ დრო გამითვალა,
მთვარეულივით უგზო-უკვლოდ დავეხეტები.
მაღლა კლდის ქიმებს შევრჭობილვარ ფიქრებით, როცა
ზღვაზე ნაპირებს ტალღებივით ძირს ვეხეთქები.

ქუჩა შორიდან, თავდაღმართში პალმებს გაევსოთ,
ქარი დევნიდა ჭრელპერანგა პეპლებს ბაღიდან.
ეწურებოდათ ბოლო წვეთი ზეცაში წვიმებს
და სუნთქვას სწყვეტდა ჩემი გული ისევ თავიდან.

ფანჯრის გადაღმა გალურსული ღამე ჩამოწვა,
კედლის ნაპრალში დღის სინათლე ელევა ელფერს.
მოხურულ კართან შემოყოლილ სიცივეს ვგუობ
და სიჩუმეში დამხობილი დავეძებ ფერმწერს.

ფუჭმა ფიქრებმა დამღალა კარგო

ფუჭმა ფიქრებმა დამღალა კარგო,
ვერ შევიგუე ბაცი ფერები.
ქრისტეს ემბაზში სულის სახატედ
მინდა მეწვოდნენ ტრფობით სანთლები.

გამიგონია: გულიც ხედავსო,
მე კიდევ თვალებს მეტად ვეწყობი.
მკერდზე ნაკრავმა მზერამ გამტეხა
მერე, სიზმრებში ხშირად ჩნდებოდი.

ის ერთადერთი, შენა ხარ მხოლოდ,
ჟამს მიმწუხრისას ვისაც ვენდობი.
მახსოვს: დამხატე და სასოებით
კესანიებით მორთე ფერდობი.

ამ ერთ გაზაფხულს კვლავ შემოგფიცავ,
გაისად იქნებ დააგვიანო.
მაცალე ქარო, საით მიმაფრენ?
ასე უნდობლად თავქარიანო...

რაა ნეტავი წუთისოფელი?
ერთი ტოტია ხეს, რომ ატყდება.
მოგეპარება ჟამი არყოფნის
მთელი ცხოვრება განზე გადგება.

ფუჭმა ფიქრებმა დამღალა-კარგო,
ვერ შევიგუე ბაცი ფერები.
ქრისტეს ემბაზში სულის სახატედ
მინდა მეწვოდნენ ტრფობით სანთლები.

ღამის სიჩუმე

ღამის სიჩუმემ გამომიხმო სხვა სამყაროდან,
თუთამ შემოჰკრა შუა გზაზე მძლავრი აკორდი.
შემომეშველა ტანშიშველა ზეცა მაღლიდან
თვალების ფშვნეტით ჩუმად ჩემთვის, როცა გავრბოდი.

ვხატავ ეულად, სიზმარივით ამ მოგონებებს,
დაჭრილმა სულმა კვლავ მოირგო ღამის პერანგი.
ნისლების გუნდი-მოსრიალე თავზე გადამსდის...
ფიქრის ქვესკნელში დაძრწის ისევ ქარი-ვერაგი.

გულის გადაშლა გაშლილ ვარდებს როდი წააგავს?!
ვითვლი ორჭოფულ ნაბიჯების შველას ქაოსში,
შემომეხია: აბრეშუმი, ფარჩა, ატლასი,
ფორთხვით მივფოფხდი ღვთაებრივთან სადა სამოსში.

იდგა, ოცნებით, მთაზე ხანის ქვაკუთხედს თლიდა,
ურიცხვ ვარსკლავთა ენთებოდა ცაზე ნათელი.
შექმნა სამყარო, ხვედრი სისხლი წილად გაიღო
და მოგვევლინა ხსნად, იმედად, ბედის მფარველი.

მაგრამ ბუნების სიდიადე ვერ გადმოვწერეთ,
ვერ შევიფერეთ, შენ-ჩემობას სატანა წვრთნიდა,
ის, რაც გვეგონა აღმაფრენის ტოლფასი იყო,
კლავინდებურად, მიტევებით უფალი გვცდიდა.

დავანაწევრეთ, გავყიდეთ და ჯვარს ვაცვით ბოლოს,
სასუფეველი ღმრთისა ჩვენში გარდაიცვალა,
შურისძიების ტყვეობიდან ანარეკლები
ისევ ცოდვილმა უცოდველთან გადაითვალა.

ღამის სიჩუმემ გამომიხმო სხვა სამყაროდან,
თუთამ შრიალით მომაგება მძლავრი აკორდი,
შემომეშველა მომზირალი ზეცა მაღლიდან
როდესაც გულში ჩუმად ჩემთვის ლოცვებს ვამბობდი.

გერმანე საზანოელი

**

ეხლაც რაოდენ მენატრება ის ნაზი გოგო,
ვფიქრობდი, ვფიქრობ, უფრო მიყვარს, ვიდრე მიყვარდა,
ისევ შორია და ვერ ვხვდები მოვკრიფო როგორ,
რომელსაც ჩემი გულისცემაც მზესთან მიჰყავდა!

შემიყვარდი

დავიწყება მინდა, მაინც ვერ გივიწყებ,
და ყოველ წუთს ახლავს, აზრთა აგონია,
დილის გულში შრიალს,ნიავივით იწყებ,
რა ვქნა რომ მიყვარხარ, შენ კი, რა გგონია?!

გული მაინც გზიდავს, თუმცა გარს ფრენ თლილი,
მაინც გეფერები, გიგებ, ზოგჯერ გძულვარ,
ტრფობაარეულად, ტრფობაგაუღენთილი,
შენთან? არასოდეს, არა, არ მოვსულვარ.

ზოგჯერ მაბრაზებ და სევდის ავდარს ვხვდები,
სიკვდილს სიყვარულო ბევრი არც მაკლია,
რაც კი რამ ჩარაზე მიმზიდველი ხდები,
უსიყვარულობა? ვიცი რაც ნაკლია.

ხშირად ვავადდები, გრძნობა დაფლეთილი,
შენი სიშორე მკლავს, მიღალატეს მხრებმაც,
ჩემი იმედი ხარ და ჩემში თვლემ თბილი,
შენით ვცოცხლობ კარგო, დანარჩენი ქრება.

დროც კი ეჭვიანობს ,სასულეთის მხსნელო,
მითხრა რა და როგორ, რა მასლაათია,
ვზივარ სიტყვებს ვებრძვი, არ მსურს დავისვენო,
თუმცა შუაღამის ,სამი საათია.

რადგან ოცნებებში ,ისე ჩავძირულვარ,
როგორც ნატყვიარი ნავი წყალთასიღრმის,
სტროფით ვეუბნები მე მას რასაც ვდუმვარ,
მბოჭავს უცნაური საქციელი ირმის.

თვალი წავდევი და მაინც მომაფხიზლა,
ისევ მიესალმა ტრფობის სიმს მეფურმა,
ვიცი სატრფიალომ დამიარა ხიზნად,
რაღაც სიამემ და რაღაც ღირებულმა

ჩემი სიცოცხლე ხარ, თან ღრმა საფიქრალი,
ქარი კი არადა, ზეცის შეხეთ ქებას,
აგერ, ამ ჩემს გულში, ჩემთვის სმად კრთის ქალი,
ტალღა ქარიშხალთა ,კედლებს ეხეთქება.

ვიცი რომ გამიგებ, შენც ხარ იქაური,
რატომ ვერ შევძელი ფიქრთა დამოკლება,
მითხარ სიშორე თუ, ხმა ვარ შინაური,
სივრცეს ეღობება მთათა დაბრკოლება.

როგორც შემიძლია ისე გიქმნი წიგნებს,
სიყვარული ქვეყნად ტკბილი ხსნის ფონია,
გზას ვულოცავ ყველას სუფთა რწმენის მიმგნებს,
მაშინ ბრწყინავს მხოლოდ ცრემლის სიმფონია.

ხან გიყვარვარ ვიცი, ხანაც გეჯავრები,
გკითხე ასე მითხარ, დიახ, არ გრცხვენია?
თითქოს ამ პასუხში, დარდი წავიკითხე,
ცივი სიყვარულიც ზოგჯერ რა ცხელია.

სუფთა სატრფოეთში ,ვაგე მე ოდები,
სიზმარშიც კი მახლავს , აზრთა აგონია,
ლოდინს ვერ ვიტან და მაინც გელოდები
მართლა შემიყვარდი შენ კი, რა გგონია!!

მშობლიურ ოდას

ძიებაში ენაც თვრება,
მსტუმრობს წვიმის წკაპუნი,
ოი, როგორ მენატრება
სახლი მამაპაპური.

ღრუბლებიც კი მოცურავდა
ტკბილი ხანის ენებად,
მაგრამ სხივი ომს ცრუს ჰგავდა,
აქ ჩემს დასასველებლად.

თვალს მიამებს რა ცაც იყო,
სახლს რომ დავემშვიდობე,
არც კი მახსოვს რად წამიღო,
მტოვებს და მეც მშლის ღონე.

ჩემი ნატვრა ძველი ოდა,
მწყალობს როგორც ტაძარი,
შეუვსებელ დარდთან მდგომად,
პოეზიის აღმძრავი.

ადრე როცა მივიდოდი,
ყველაფრისა მჯეროდა,
მზეც მზეობდა, მივხვდი დნობით,
მხოლოდ ეხლა, ჯეროვნად.

დაპირების დიდ ქურდს მშია,
ბოქლომი მწვავს მოდგმაში,
ოცნებებიც იმ ქუდშია,
იქ რომ დამრჩა ოდაში.

დაღვრემილი, მარტოსული,
ღრუბლის მესაიდუმლე...
მაყვლის ბარდში ამოსული,
ბრმა მეს, ის სად მიგულებს.

მისი მზერა ყოველ ღამით
სიზმარშიაც თან მახლავს,
როცა ნახვის მოდის ჟამი
ველოდები, გამლახავს.

მაგრამ არც კი მსაყვედურობს,
კრთება დედის ბარაქათ..
შებერებულ სახედ ყურობს,
მიძლიერებს არაქათს.

მე სტრიქონად გამოგზავნილს,
მიქებს ლექსის ძიებას,
მიმანიშნებს, ხარობს გზას ხსნილს
ლურჯმორწმუნე იებად.

ქარიშხალშიც კი ვეცადე,
ოდას დავბრუნებოდი.
აზრი მწვავდა ბეცს, ზეცამდე,
ვერც თავთავად ვხმებოდი.

ნიავსაც კი ვაწერინე
ჩემს ქებაზე პირჯვარი,
არც არავის ავერიდე
ჩემი სიტყვის, ხმლის ჯარით.

მაგრამ თურმე მთავარია
ქარიც არ ვაწუწუნოთ,
ეხლა ვხვდები, რაც დარია,
სოფელს ხმა დავუწუნოთ?

მარტოდ სახლი, გახდა მოდად
ჩემი ბედის მწერალი,
მე კი შევრჩი მშობელ ოდას,
ვით იანვრის მწევარი.

ზოგჯერ შევკრავ გუდა ნაბადს
აზრს შემიცვლის მე ვიღაც,
მეტყვის, დაგრჩენია მადანს
ორი პარასკევიღა.

მე მესმის, რომ სამართალი,
აქ არ არის გზაშია,
ორპირობას სამართავი,
მოვლებულა არშიად.

კალაპოტმა მიყოლია,
სისხლი ყელში მაწვება,
მდინარისთვის იოლია
ბედის აკვნის დარწევა!

ძიებაში ენაც თვრება,
მსტუმრობს წვიმის წკაპუნი,
ოი, როგორ მენატრება,
სახლი მამაპაპური.

ხათუნა ჩიტაძე

უიმედობა

ქარებს სისველის ფერად სურნელში,
ნოემბრის ღამე ერთვის, ნებდება,
ვაგროვებ წვიმის მძივებს, უკლებლივ,
– ხვდება?
– ვერ ხვდება!
– ხვდება?
– ვერ ხვდება!
ჩემს დიადემას იის ფოთლებით,
გალაღებული გული ამშვენებს!
სხვას რომ ჰგონია ვთვრები ოცნებით,
სხვამ სულ არ იცის, მე რა მახელებს!
თეთრი მწვერვალი უნდოდ დამყურებს,
გრძნობა ცივი აქვს,
თავად ღამეს ჰგავს!
დარდს დამიამებს სულის საყურე,
როცა დამიცავს ავი თვალისგან!
მე, გამომწყვდეულს ვგავარ საკანში,
ეს ნოემბერი ხელზე მაკვდება!
ოცნებას თბილად სძინავს საბანში,
ჩუმი ფიქრი კი კედელს აწყდება!
ნოემბრის დღეებს სდის სველი სუნი,
წვიმის წვეთები მეღვრება თმაში,
გადაკარგული, გრძნეულ სულივით,
უიმედობას დავყვები ქარში!

2015წ.

სათქმელი

გულს თუ მატკენ,
ყველა გრძნობა გაქრება,
გაზაფხულსაც გადაფარავს ბინდი,
მოლოდინებს ავი ქარი გაყვება,
– მე შენ ფიქრის სათავესთან გიცდი!
არ შეეხო
შემოქარგულ მზე-წნულებს!
დაუთმენლად არ გაწირო წამი,
იქნებ თეთრად გავათენე მეც წუხელ,
აბლაბუდა, მოქსოვილი ღამის!
შეგეჩვიე...
მტკივა შენი იარა,
სევდის მარცვლებს არ ვაღირსებ მიწას!
იმ ფესვგადგმულ, მახრჩობელა ხვიარას,
ჩემი ხელით ამოვძირკვავ, ვფიცავ!
... თუკი წყენამ ჩაიარა უკვალოდ,
თუ ჩემს სიტყვას აქვს რაიმე ფასი,
კარგად ვიცი, არავინ ვართ უნაკლო,
დამანახე ეგ ღიმილი მაშინ!
გულს თუ მატკენ,
ყველა გრძნობა გაქრება.....

2015წ.

მზე

მზეა!
დეკემბრის უცხო სტუმარი,
თბილისი ახლა ათინათს ხატავს!
შენც წამომყევი, არ თქვა უარი,
ეს საუკუნე დროს წამში ხაპავს!
შენც ამედევნე თეთრი ქარივით,
ამ სურვილს როგორც შეეფერება,
ცხოვრება გარბის,
დღეა წამივით,
მტკივა!
განვიცდი!
და მეჩვენება!
მზეა!
ჩემს გვერდით სულია შენი,
ფეხქვეშ ფოთოლთა ქარვის ციალი,
მე მარტო არ ვარ,
ეს ლოცვა მშველის,
დღევანდელი დღის ვარ მოტრფიალე!
მზეა!
ოცნება მოსასხამია!
ყველაზე თბილი, ყველაზე მყარი,
ჩემი სურვილი კი ზღაპარია,
შენს ფერებს ადევნებული ქარი...
მზეა...
და მაინც უცხო სტუმარი!

2015წ.

წამი

...საქანელები მიკვირდა,
ხელები, _ მზით გათხუპნული,
ბებიკო თმას რომ მიწნიდა,
მერე კი წელზე თმის წნული...
ისეთ სიამეს მომგვრიდა,
წვიმაში ცეკვის ხმაური,
შემოვირბენდი ჩემს მზის ბარს,
და რაღაცა სასწაულით,
გადვურჩებოდი ციებას!
მამაც ღიმილით მტუქსავდა,
ახლა კი ჩემს `გაციებას~,
მე ვიხდი მხოლოდ უფალთან!

2016წ.

* * *

(მაიკო წიქარიშვილის ლექსის საპასუხოდ)

ცას იისფერი ატლასის ფარჩა,
დილის ფთილებზე გადავაფარე,
თეთრი ლექსისთვის წამები დამრჩა,
რითმით ფურცლები კვლავ გავახარე!
ისევ იმედი მოვიდა, წყნარი,
მშვიდი თვალებით ბწკარედებს ქარგავს,
ვერ მომიხელთეს და წყალი, მტკნარი,
ხმაურით მიდის და მიწას ხლართავს!
კი, გადავასხი ცას ლურჯი ფერი,
პატარა დობილს ლექსი წყურია,
ოცნებისფერი და შუქურმფენი,
ჩემი და შენი! – ჩვენი გულია!

2016წ.

სამნი

ღრუბლებზე ეძინა,
ცამ გული დაწყვიტა!
მიწაზეც წვიმები
გულზე დაებნია...
მიწაზე!
მიწაზე დაშვება
დამძიმდა
ზღაპრულ ბილიკებზე
გზები აებნია...
მეც ღრუბლებს ზემოდან
დავცქერი სამყაროს!
არც ისე შორია
და არც ისე შავი!
სულო!
როგორ მინდა
მზის სხივით გაგათბო,
გრძნობით მოგიქსოვო
სხივთა ბეჭის შალი!
ოღონდ, არ შეგცივდეს!
მზერა არ გაგექცეს,
ტკივილით სიკეთეს
ფერი არ ეცვალოს;
ფეთქვა არ გამყიფდეს,
ტრფობა არ გადიქცეს...
და სევდის ტვირთისთვის
სულს კვლავ მოეცალოს!
გულო! არ გამიწყრე,
მოცლა ჩვენ არა გვაქვს!
დარდების მორევი,
ვფიქრობ, რომ შორია!
მხოლოდ სიყვარული,
-ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს,
გრძნობაა ულევი
მჯერა და მგონია!
ჩვენ მტერი არა გვყავს,
არც შავი ფერია...
და თუ ყველა გვიყვარს
უფალიც ჩვენშია!
მე მოვალ შენამდე,
ჩავჭიდოთ ხელები,
ყველაზე მთავარი
და თმენის ღმერთია!

2015 წ

* * *

ფიფქის ფიქრები შემოსხდომიან
სულის ხეივანს,
თვალებს მსტოვრებად შემოსევიან
ცრემლის ხუნდები,
დაბრუნებული,-
გაბზარული ხმით კვლავ მეუბნები...
დარო გადის...
და ვგრძნობ რომ სიტყვისთვის
უკვე ხუნდები!

ფიფქის ფიქრები,
უმოწყალოდ იწირებიან,
რადგან დილით მზის
სხივთა დენას
ეწირებიან!
არ დაგავიწყდეს,
მე მზის შვილი ვარ!

2016 წ

გოგუცა ხერგიანი

ღვაშ კოჯხანქა ირიქანალ

ღვაშ კოჯხანქა ირიქანალ,
ეჩი ლისგდის მამგვეშ ხოჩა,
ვიდიერდ ხულვა თხვიმ ჟიხიქაჲ,
ხეცივარალ კვიცრას მიჩა.

კოჯა დალ ბეთქილს ხეგვრინალ,
ათუ ქგმრალ ეშ ხოკვეთხე,
თვეთნგლ ჯვედიად მანგას ხატხეჲ,
მაჲ აშარდე ი მაჲ ხოფეჯგე.

მუზსხვირ უშბაჲ მარკლან გიო,
იბგრგიელხ ხოლამ გუჟი,
გიო აშხვრაკს დრაჭალს ხატყციჲ,
ჯაბრალშვ ხეგნი უშბას თხუმჟი.

გაბრიელ, ბექნუ, ჭიჭიკა,
უშბა კაცხჟი ლილეს ტულიხ,
მაქსიმე, გოჯი, ბესარიონ,
ხოშამ ჰერჟი ბანს ხატულიხ.

კოჯა ჲერსკან, კოჯა შდავალ,
მეპერ მარე, ვიდიერ მიშა,
ჩუ დას ხოწვა მიჩა კალიბ,
ჩიავ მეკვჰე, ჟი უკვიშა.

განხან მიხეილ ხონჭერდა,
ითნაღალდახ ვეფხრე გუარდ,
კოჯარხანქა კოჯართექა
იპერიაალდახ ვერბლე გუარდ

ჯიხვი კლდეზე გადმომდგარა

ჯიხვი კლდეზე გადმომდგარა,
ყელმოღერით სატრფოს უმზერს,
ის მთის შვილი ამაყია,
და ძლიერად გული უძგერს,

დალი ბეთქილს ებუტება,
თვალში ცრემლი ჩადგომია,
თეთნულდ ექოს ჩასჩურჩულებს,
მირანგულას ჰანგებია.

მრისხანებით თეთრი უშბა,
საჭიდაოდ უხმობს გმირებს,
ლომგულები ასრულებენ,
ცათამბჯენის დანაპირებს.

გიო უშბას ერკინება,
უმკლავდება როგორც მეხი,
მან პირველმა უშბის წვერზე,
ჯაბრალებით შედგა ფეხი.

გაბრილე, ბექნუ, ჭიჭიკა,
მყინვარზე ფერხულს უვლიან,
მაქსიმე, გოჯი, ბესარიონ,
იქვე ,,ლილეოს“ მღერიან

ფეხდაუდგმელ მწვერვალებზე,
მიშა მიდის ვით აფთარი,
გვერდს უმშვენებს მიხეილი,
უდრეკი და მუხლმაგარი.

ღო მეთხვიარ მახელვაჟარ,
ნათხვიარა ჟი იდრენიხ,
ხეპენჟუნალხ ლენთი-ლადაღ,
ქვაბარისგა ჟი ილგენიხ.

ღვაშა მუჭვარ ქარხსალდ ხუღვახ,
სიმქარ კუბდარალს ანყალიხ,
მირსგვენ ბარჯა დაფა ჯიჯვარს,
მურყვამისგა ადანწყალიხ.

ჯიჯრიკ მგსიპ მუშვან სიმაქ,
ლუვზერე ლიჲ, მანკიშდ ხოჩა,
ღო იმუვაჲჟი ნათხვიარე,
ლენდგვირად ლი მევარ ხოლა.

ღო სგა ლახ მოშ ახგნდგვირნე,
ისგუ ფაყვი ლეცვმის ესღვა,
განხან ჯინჭრი ივალადაღ,
მეგჭე უღვაჲ ლგჭმაშდ ესღვა.

სარსნაგაი, ხოჩა ლესგდი,
ჟახირიან ლი ლამვარისგა,
ჭირჟი, ლხინჟი, ლგსიმაქუდ
ისიპანალ ლამთილისიგა.

დემ ჯიღლატი ივალადაღ,
წესდ მად ხუღვა ღერბათხანქა,
მუშვან დივე ჯიშს ი ჯილაგს,
ივანღო ალა დესა ხამთქვა.

ღო ბეთქილ ი მარანგულა,
ხვაჲ ხორდალახ შვანრე სიმქარს,
ლადიხანქაჲ ჟივ ხაცხენა
მუშვან დივე ჟახაჲ იღბალს.

ცრემლისფრქვევით წურუნგალა,
ბენს ილიკოს ელოდება,
მაგრამ მწვერვალს ვეღარ აღწევს,
ტიანშანი ელოდება.

გამთენ დილას ამ ვაჟკაცებს,
უშბაზე აქვთ წვეულება,
ამათ გვერდით ხომ იკითხავთ,
სვანი კალის ჩვეულებას.

სვანი ქალი ტანს აიყრის,
ალმაცერად ვერ შეხედავ,
მოტრფიალეს გვერდს აუვლის,
ქედმაღლურად გადახედავს.

ქართულ სუფრას დასტრიალებს,
წელს ნარ-ნარად მიმოარხევს,
ჯიხვის კუბდარებს დაგიცხობს,
ზედ გიცრულსაც მიმოაბნევს.

სუფრას ასდის ოხშივარი,
ორნახადის სურნელება,
გამრჯე ქალსა და ოჯახის ბურჯს,
სიცოცხლე და ნეტარება.

გულს ადვილად ვერ მოუგებ,
ამაყია როგორც შველი,
თუ ცოლობას დაგპირდება,
ერთგულია მუდამ შენი.

ჭირში, ლხინში განურჩევლად,
მუდამ გვერდში მოგიდგება,
მას აკვნიდან დაჰყოლია,
სიმშვიდე და მოთმინება.

ირმა სარაული

სიტყვას არ გაკადრებს, უბატონოდ

უკვე აირია ამინდები,
ნეტავ შენ სადა ხარ, რომელ მხარეს.
გცივა? – ფიფქივით ნუ დამიდნები,
მერე რა ვუშველო ნატრულ თვალებს.
ჰაერს სუსხი უკვე შეერია
და მეც უშენობით ვიყინები,
შენსკენ ყველაფერი შენებრია,
ჩემსკენ – უშენობას ვერკინები.
ჯერ არც ზამთარია, შემოდგომაც
თვალებს უცნაურად აფახულებს.
უშენოდ გულს სუდარა აფარია,
მხოლოდ შენი ნახვა მაზაფხულებს.
ახლაც ფანჯრის რაფას დაყრდნობილი,
ფიქრებს აქეთ-იქით დავატარებ.
დარდი, ერთმანეთზე დაწყობული,
ურცხვად მიკაკუნებს გულის კარებს.
ყინვაც შეერია ჰაერს უხვად,
გულს ვგზავნი, იქნებ შენ უპატრონო.
მკერდი გაუხსენი ნამგზავრს ბუხრად,
სიტყვას არ გაკადრებს, უბატონოდ.

დედას ნუ ეტყვი

ნუ ატკენ დედაა, ქალია,
ნუ ატკენ, ორმაგად განიცდის,
ცხოვრება ზრუნვაში გალია,
იღლება და დაღლა არ იცის.
ნუ ეტყვი, ისედაც ბევრი აქვს
ამაგი, ნაზი მხრით ნაზიდი,
სხეული საწოლთან ვერ მიაქვს,
ჯერ შენი ტვირთი აქვს საზიდი.
გაფრთხილდი, მის გულში ისედაც
ტკივილის კოცონი ანთია,
შენა ხარ საყრდენად, იმედად,
ერთია, თუმც შენთვის ათია.
ათმაგად შრომობდა რომ შენთვის,
არავის მოეგო ზიანი,
მისი სიხარული ცას ერთვის,
თუ გნახა, ხარ ადამიანი.
ნუ მოსთხოვ ზედმეტად, საკმაოდ
ცდილობდა, საშენოდ შრომობდა,
ნუ გახდი მის ამაგს სადავოდ,
დათმობდა, მეტიც რომ ქონოდა.
გაფრინდა წლები და ბერდება,
ნელ-ნელა აკლდება ხალისი,
თუმც მაინც არაფრით ჩერდება,
ცდილობს გაიტანოს თავისი.
გაუგე, გაიღო ყოველი
დედაა, ის შენთვის ცოცხლობდა.
ამაზე მეტს ნუღარ მოელი
შრომობდა, ქარს ხომ არ მოქონდა.
ნუ ატკენ, ისედაც სტკიოდა,
უკეთეს მომავალს გიქმნიდა,
იბრძოდა, შრომობდა, შიოდა
წლები კი ულმობლად მიჰქროდა.
დედაა, დედაა რას ელი.
ქალია, ხან ოჯახნანატრი,
არასდროს არ ქონდა რჩეული,
ახალი წელი და რვა მარტი.
ნუ ატკენ დედაა, ქალია,
ნუ ეტყვი, ორმაგად განიცდის.
ის ერთი დაგითმობს სიცოცხლეს
– დედაა, უარი არ იცის.

ქალი – ქალია!

კაცი რომ ვიყო, ერთ დღეს ჯიბრით დავლევდი
სასმელეს,
ამ უცნაური ცხოვრებისგან გავიქცეოდი.
არ გავათევდი აუტანელ ფიქრებში ღამეს,
ამდენი დარდის ტარებით არ წავიქცეოდი.
არ მივაქცევდი ყურადღებას ვინ რას აბოდებს,
კაცი ხომ მაინც კაცია და... მაინც ვიტყოდი.
ქალი-ქალია, უფრო ნაზად უნდა ამბობდეს,
მე როგორც კაცი, მას დავწერდი რასაც ვიგრძნობდი.
არ მექნებოდა პრობლემები ლექსიკის, სიტყვის,
იმას ვიტყოდი ენაზე რაც მომადგებოდა,
არ ვიდარდები, რას იფიქრებს ვინმე, რას იტყვის,
ყველა ნათქვამი კაცის ენას მოერგებოდა.
ამოვიყრიდი ჯავრს, დავწერდი რისი თქმაც მინდა,
არ შემრცხვებოდა, ზოგჯერ თუკი წავიბილწებდი,
არ მექნებოდა ცენზურა და სიტყვები წმინდა,
მეც ორაზროვნად ვიტყოდი და დავიფიცებდი.
არ დავზოგავდი, არ დავთმობდი არც ერთ
მონაკვეთს,
უპატიებელს მაპატიებდით ვიცი ყოველნი,
ქალად რომ გავჩნდი, მიტომ ვამბობ უმარტივესებს,
სათქმელს ავწონი, ვიცი თქვენგან რისხვას მოველი
რა ვქნა რომ ქალად მოვევლინე ამ წუთისოფელს,
ყოველი სიტყვა მისხალ-მისხალ უნდა ავწონო,
უნდა ვუთმინო მოყვარეს და კეთილის მყოფელს,
ჩემს სატანჯველად გაჩენილხარ თურმე სასწორო.
ქალად რომ გავჩნდი, მიტომ ვწონი თითეულ ფრაზას,
მიტომ ვპატიობ, ენას ვაჭერ კბილს გამეტებით,
რა დავაშავე,
ქალი რომ ვარ დროს ტყვილად ვხარჯავ,
ცოტა მაცალეთ. თავზე ქორივით ნუ დამეცემით.
კაცი რომ ვიყო,
ამდენ წერას არ დავიწყებდი.
მაინც ვერა ვთქვი. რაც მინდოდა, ქალი – ქალია.
ნუ შეეცდებით გამაჩუმოთ ჩემი ქალობით,
"ქათამმა ზეცას ახედა და. წყალი დალია" .
ნუ შეეცდებით მოთმინების ძაფი გამიწყდეს,
დიდხანს ნათმენის ამოფრქვევა არის ვულკანი.
ქალი ვარ მშვიდი, შეეცადეთ გული გამითბეს,
ბრძენი მიხვდება, შტერს კი თუნდაც ასჯერ უთხარი

კარი გამიღე

მეუბნებიან არის გვიანი,
მე კი ვამბობ რომ ახლა ვიღვიძებ.
მშვიდად, ნუ ხარო მაღალხმიანი,
მე კი ჯიუტად მაინც გიმტკიცებთ.
რომ წუხელ გავჩნდი, მოველ მეორედ
ცამ რომ გახადა ღამეს პერანგი,
მიზანი ასჯერ გავიმეორე,
დარდი დავმარხე წუხელ ვერაგი
მეუბნებიან მქონდა წარსული,
ზღვის ტალღისფერი, შლეგი, მჩქეფარე,
მე კი გიყვებით, რომ წარსულიდან
წუხანდელ ღამეს შემოვეფარე.
ახალშობილი, უხორცო სხეულს
ვფრთხილდები და ვმალავ მტრისაგან,
ვერავის ვანდობ მარტოსულს, ეულს,
კვლავ ვაღორძინებ – არაფრისაგან.
ანჯამებიდან მოცვეთილ კარზე
ურჩხული დამხვდა, თვალებბრიალა.
შიშმა უხორცო სხეული დაწვა,
ცხელი წყალივით გადამიარა.
გადამიარა და თან წაიღო,
მომავლის შიში და ყველა განცდა.
გულმა ულევი ხარკი გაიღო,
საყვედური კი არასდროს დამცდა.
შემოვიძარცვე ტანზე ხორცები
ძველი ძონძივით,
ღმერთო გამიგე,
ხელუხლებელ სულს გადმოგაბარებ,
– გთხოვ, მოწყალების კარი გამიღე

ნანა მომცელიძე

არ ვიცი რა მჭირს

ყრუ იყო ირგვლივ სივრცე და ჟამი
დრტვინავდა ვნება წასული შორეთს,
უსიცოცხლო და მზაკვრული წამი
თავში ჩამიდეს და ჩამაგონეს.
მოლოდინს ვქარგავ ზეციურ ხატად
თან მიყურებენ წმინდა ხატები,
თვითუარყოფით თვითგვემას ვხატავ
გადამიჭირეთ სულზე ლახტები.

ყველა ისარი სამიზნეს სცდება
მარადიული სიცოცხლე მიხმობს,
ის ვინც მიყურებს,იქნება ხვდება
და სინამდვილის წამებსაც მიყოფს.
მე გადავლახე,გავინაპირე
ყოფნა არყოფნის სამან-საზღვარი,
სასრული წამი არ ინაპირებს
უსასრულო კი ახლოს არ არის.

არსად წავალ

მე შენ მიყვარხარ როცა ნისლია
როცა წვიმს მაშინ მიყვარხარ იცი?
წვიმის წვეთები კართან მიცდიან
ბუხარი სითბოს ნაპერწკლებს ისვრის.
მე შენ მიყვარხარ,როცა ზღვა ღელავს
როცა თოლიებს არა აქვთ გეზი,
როცა ტალღები გიჟურად ელავს
ჩემი სიგიჟე ჩარჩოში ვერ ზის.
ბობოქარ ტალღად ვიჭრები სულში
ბობოქრობს სულში ვნება და ჟინი,

არ მინდა ღელვა,ტკივილი გულში
არც მინდა ვიყო ზღაპრული ჯინი.
თავისუფლების ჰაერი მინდა
სულის მარწუხებს ვიშორებ,წავშლი,
მე გამოგყვები წვიმაშიც,გინდა?
დავტოვებ ტალღებს ფიქრებში აშლილს.
მე გამოგყვები,ცის კიბეს ავალ
და უსასრულო დასასრულამდე,
ნუ გეშინია,მე არსად წავალ
შენთან მოვდივარ აღსასრულამდე.

დამეხსენი განტოლებავ

ღრუბელ-ღრუბელ მოვქანაობ მოლივლივე ზღვაში
ერთი ფიქრი არ მასვენებს,მიტრიალებს თავში,
როგორც ღრუბლის ანარეკლი ვეხეთქები წყალში
და ეს ფიქრის ხეტიალიც აქ მთავრდება წამში.
ნუთუ ასე ადვილია თუ ცხოვრებას წაშლი
ნუთუ აღარ იშოვება დღეს სამოთხის ვაშლი,
ნუთუ ღალატს ვერ პასუხობ,ფრთებს დაკეცავ,არ შლი
და უსაზღვრო განსაზღვრებას უარაფროდ გაშლი.
მე ნუ მებრძვი განტოლებავ,მამრავლებად დაშლილს
ვერაფერი ამოვხსენი ვეღარ ვაღდგენ წაშლილს,
მსურს ამოვხსნა გამოცანა სამოთხის და ვაშლის
და მივუხვდე ამ საწუთროს როდის,რატომ რას შლის.
ასე როგორ გავიბზარე ბროლის მინის სარკე
რომ რაც გავჩნდი ქვეყანაზე სულ რაღაცას ვარკვევ,
რად არ მესმის სიმარტივე,რად არ მესმის ვაკე
მთა-კლდეებზე ხეტიალში სულს დავეძებ ცალკე.
ხოდა კლდეზე ღრუბლის ფთილას ჩავეჭიდე კიდევ
დავეკიდე საქანელას ზღვის ტალღების რიდევ,
ალბათ სადღაც აქ დაიხრჩო თავი სულის კიდემ
ამ უაზრო ხეტიალში სული ძლივას ვზიდე.
დამეხსენი განტოლებავ,მამრავლებად დაშლილს!!!

სულის ფიქრი

ამ ცხოვრებაში რა ჯობია ვეღარ გავიგე
პატიოსნებით,სიალალით ფონს ვერ გავედი,
სიკეთისათვის ბოღმა,ღვარძლი ტვირთად წავიღე
გავშორდი ბოროტს და ჩემი გზით ჩუმად წავედი.
მძიმე ჯვარს ვზიდავ და სიმძიმე სულ არ მაშინებს
სული მსუბუქი ეხეთქება უჩუმარ კედლებს,
სხვისი სიბეცე გულს მიტანჯავს,აღარ მაძინებს
და უპასუხოდ ეს გონება ვატყობ რომ ვერ ძლებს.
აპოკალიფსი ემუქრება სულის სიბეცეს
ამ ქვეყანაში,სამწუხაროდ,ბევრი ფლიდია,
არ მინდა ჩემი სულის ფიქრი ტანჯვას მიეცეს
რადგან უფალი ქვეყანაზე დიდზე დიდია.
მე კი დავფიქრდი,იქნებ ჯობდეს სადღაც გავჩერდე
ვერ შევეგუე ამ ცხოვრების ავანს და ჩავანს,
ალბათ არ მინდა სულიერად უცებ დავბერდე
და სიმარტივე დავაბედო ჩემს სულის წამალს.
ამიტომ ჩემგან სიმარტივე უნდა წავიდეს
რადგან უბრალოდ არაფერი ვარგა საცდელად,
იცით რა მინდა?-სიყვარულში წლები გავიდეს
და უფალს შევხვდე,გავამზადო სული საფრენად.

ჯუბა ღეგელი

ქარი ქრის

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
უფრთო და უსულო სხეულით ვცოდვილობ,
მაოცებს ეს ქარი თავისი ქარიზმით,
როდესაც, როდესაც, როდესაც თოვლი თოვს!..

ამ თოვლში, ამ ქარში, ნისლსა და წვიმაში,
ამ ცის და ამ მიწის ველზე თუ ხავერდზე,
ქედს ვიხრი, მუხლს ვიყრი მე კვლავ შენს წინაშე
და ყველგან შეშლილის თვალებით დაგეძებ!..

შეშლილი სამყაროს უდავო გიდი ვარ,
გაგაცნობ ვარსკვლავეთს, ჩემს ფიქრებს გაგანდობ,
თუ მოხვალ, მო... თორემ მე უკვე მივდივარ
და უკან ამ ფორმით არ მოვალ არასდროს!..

წახვედი

წახვედი, ღია დარჩა ჭიშკარი,
რომელიც აღარც ქარმა მიხურა,
არ მახსოვს, ჩუმად რაღაც მითხარი,
ვუცქერდი შენს ლანდს არახილულად,
ვიყავი ცხადში, როგორც სიზმარში,
ძარღვები, ძვლები, გული მიხურდა!..

წახვედი, სევდა დარჩა საწოლზე,
ზეწარიც თითქოს ნისლმა დათრთვილა,
ითვლიდა ჟამი ჩვენგან ამოდ წლებს,
გვიმზერდა ზეცის შიშველ თაღიდან...
ვისაც უჭირავს ხელი წამზომზე,
დროც წლებად იმან დაათარიღა!..

წახვედი, ბაცი გახდა სამყარო,
გარემოც თითქოს დაცარიელდა,
ვით ხეიბარი უყავარჯანო,
დავრჩი ბედის და ღმერთის იმედად...
დღემდე სიცოცხლის დღეებს ვდარაჯობ,
თორემ სიკვდილი მოვა ისედაც!..

წახვედი, სევდა დარჩათ ბილიკებს,
ღამეებს ვათევ ისევ ლოდინში,
ვძაბავ გონებას ქარის კივილზე,
ქარი ქრის გარეთ, სახლშიც, ლოგინშიც...
ახლა მეც ჩემს გზას ცისკენ მივიკვლევ
და შენ, მიწაო, დიდი ბოდიში!..

* * *

მზად ვარ მოგიყვე, როგორ ვიცხოვრე,
როგორ მოვედი დღემდე, შენამდე,
გითხრა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე,
წიგნის გაცრეცილ ფურცლებს შეადგენს!..

სად ჩემი ყოფის წამი ყოველი,
აღწერილია სისხლით, ცრემლებით,
ბედს, ჯალათივით მდევდა რომელიც,
სულმოუთქმელად გამოვექეცი!..

ბევრი ვიარე, რომ შენ მეპოვე,
რომ მომერჩინა გულის იარა,
დროის ქარცეცხლმა, როგორც ეზოპეს,
მეც გრიგალივით გადამიარა!..

ისე აჩქარდა ქარის წისქვილიც,
როგორც წისქვილის ლოდი- ბორბალი,
ჩემი ცხოვრების ერთი წილისთვის,
ბევრჯერ ვიყავი უკვე მომკვდარი!..

ახლა აქა ვარ მარტო, ეული,
როგორც მზის ხვატში ცხელი უდაბნო,
ცარიელია გული - რვეული,
ახლა ამასაც უნდა ვუამბო!..

ვისთან ვიყავი, როგორ ვიცხოვრე,
როგორ მოვედი დღემდე, შენამდე,
ვუთხრა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე,
წიგნის გაცრეცილ ფურცლებს შეადგენს!..

მ ა პ ა ტ ი ე თ!..

რა უცნაურია გაიღვიძო საშინელ სიცარიელეში!..
რა უჩვეულოა დაიწყოს დილა უშენოდ!..
რა მძიმეა გაიარო ასეთი გრძელი რთული გზა და გზის ბოლოს ახალი გაუცნობიერებელი მარაზმის დასაწყისში აღმოჩნდე!..
რა სამწუხაროა დაუტოვო ბავშვებს ასეთი სამყარო!..
რა უსამართლოა გესმოდეს რომ შენ ამ სამყაროს ნაწილი ხარ - დაუშვი, ესე იგი დაიმსახურე!..
რა უღირსობაა, რა სირცხვილია იყო ნაწილი ამ ბოროტების, რომელსაც არა აქვს უფლება არსებობის!..

გაიანე

მ ა პ ა ტ ი ე თ!..

მაპატიეთ ბავშვებო, რომლებიც ახლა კატაკომბებში ემალებით ბოროტების მანქანას და ცრემლიანი თვალებით შეჰყურებთ ცივ კედლებს!..
მაპატიეთ სარდაფებში დამალულო დედებო, რომლებსაც ჩვილი ბავშვები გყავთ ცივ მკერდზე მიხუტებული და ვერც ათბობთ და ვერც არწყულებთ!..
მაპატიეთ იძულებით იარაღასხმულო მამებო, რომლებიც თავს წირავთ, მაგრამ ვერაფერს შველით სამშობლოს და სიკვდილისთვის განწირულ ოჯახებს!..
მაპატიეთ შვილებო, რომლებიც ცივილურ სამყაროში ყველაზე დიდი უგუნურების მსხვერპლად იქეცით!..
მაპატიეთ მშობლებო, რომლებმაც ადამიანებად გაგვზარდეთ და ეს თქვენს მიერ ნალოლიავები სხეული ბოროტების მანქანად ვაქციეთ!..
მაპატიე შენც, ვინც ამ ბოროტების სათავეში ხარ, რომ ლუციფერმა შენდა უნებურად დაგსვა ამ სიკვდილის მესაჭედ!..
მაპატიე, უფალო, რომ მე, ნაწილმა ყოველივე ბოროტებისა, კვლისა, ძარცვისა, ვერ გავითავისე ვერც ერთი მცნება და ჩემივე ცოდვებმა მაქციეს ერთ-ერთ იარაღად ამ საშინელებისა!..
მაპატიეთ წინაპრებო, რომელთაც ადრე თუ გვიან პირშერცხვენილნი მოგივალთ და ვერაფერს გეტყვით!..
მაპატიეთ ბჭენო ჯოჯოხეთისანო, რომ მრავალთა ჩემთა და ჩემნაირთა გამოისობით კიდევ დიდხანს უნდა ეხვიოთ ცეცხლის ალში!..
დიდ არს ღმერთი და მცირედ მორწმუნენი!..
ნეტავ შეგვაყვარა ყველას ერთმანეთი, რა მშვენიერი იქნებოდა სამყარო, რა ბედნიერი იქნებოდა ადამიანი!..
მაპატიეთ რომ ვერ შევძელი იმ ტვირთის ტარება, რომელიც მსუბუქი და ღვთის ტაძრისკენ მავალი იყო!..
მაპატიეთ, რომ მე ამ ბოროტების იმპერიის ნაწილი ვარ!..
მაპატიე ძვირფასო, რომელიც მზეს შეგადარე, ყვავილთა ია-გუნდები დაგიწანი, ცივი ხელისგულები სინთქვით გაგითბე, სიყვარული შემოგფიცე, კეთილ რაინდად მოგაჩვენე თავი და მკვლელი აღმოვჩნდი!..
მაპატიე დედამიწავ, რომ გაბიჯებ და შენს ლორთქო ბალახს სისხლიანი ფეხებით ვთქერ!..
მაპატიეთ მთებს ოხშივრად ადენილო ნისლებო, ტყვიის კვამლით რომ გიჟღინთავთ კრიალა ფრთებს!..
მაპატიე ჩემო უმანკოდ შობილო და წითელ მხეცზე ამხედრებულო მკვდარო ცხედარო!..

მარინა იმნაიშვილი

არადა ცხოვრობ

როგორ გინდა ასე იცხოვრო?
ნახევარ სიხარულით, ნახევარ ბედნიერებით, ნახევარ
დარდით, ნახევარ ნაღველით,
ნახევარ...ნახევარ...ნახევარ...
რა არის ეს მდგომარეობა ჩემთვის, ერთი კონკრეტული
ადამიანისთვის?
რა უნდა გააკეთო შენ, ერთმა კონკრეტულმა ოცდამეერთე
საუკუნის ადამიანმა
და თუნდაც ერთმა სახელმწიფომ?
შენი საქმე უნდა აკეთო და ამაზე არ იფიქრო?
ისე აკეთო შენი საქმე, ვითომ არაფერი ხდებოდეს?
როგორია ისეთ სახლში იცხოვრო,
რომელსაც მორღვეული აქვს შემოსასვლელი კარი და
ვერც ვერაფრით ახერხებ
ეს კარი ჩამოკიდო
ან თუნდაც გაამაგრო...
შენ ცხოვრობ შენთვის ამ სახლში,
შრომობ, წვალობ, აშენებ, ალამაზებ,
ოცნების კოშკებს აგებ და
ყოველთვის თან გდევს იმის შეგრძნება,
რომ აი, ახლა ან სულაც ღამე,
როცა გძინავს, დაუკითხავად შემოიჭრება ვიღაც,
აგაწიოკებს მოულოდნელად,
ან ოჯახის წევრს გაგტაცებს,
ან თუ მოეპრიანა,
შენს სახლში თვითონ გაბატონდება და
შენ ყმად თუ დაგიყენა,
მადლობა უნდა თქვა...
შეიძლება თვალიც არ დაახამხამოს ,
ისე გაგსრისოს, როგორც ერთი უსუსური მწერი...
გამუდმებით დამყვება ყველგან ეს ფიქრი,
რასაც არ უნდა ვაკეთებდე,
ყველგან იჭრება,
მღრღნის შიგნიდან და მანადგურებს,
უსუსურობის შეგრძნება მანადგურებს,
ამაო ბრძოლის სურვილი მანადგურებს...
მე კი არა და ნახევარი მსოფლიო რომ დადგეს იმ კართან დარაჯად
მაინც დაუცველი ხარ, მაინც გამუდმებით ჩაგესმის ,,იქითა'' მხრიდან
უხილავი და უხმო უტიფარი ხარხარის ხმა.
შეიძლება ბოლომდე გახარებდეს რაღაც,
ბოლომდე იყო ბედნიერი,
როდესაც ეს ასე გაწუხებს?
როდესაც ეს გარდაუვალი რეალობაა?
როდესაც ეს მდგომარეობა ყველა ჭირზე უარესია?
ამიტომაც არ მიკვირს ჩემს გარშემო ჩაფერფლილი
სხივით მომზირალი თვალების სევდა...
და მაინც დროდადრო,
როცა ძალიან, ძალიან დავიზაფრები,
უცებ გულში, სადღაც სიღრმეში
შეიფრთხიალებს რაღაც იმედისფერი და თავს მახსენებს...
როგორ გინდა ასე იცხოვრო?

ნახევარ სიხარულით, ნახევარ დარდით,
ნახევარ...ნახევარ...ნახევარ...
არადა ცხოვრობ.
სხვა რა გზა გაქვს?

შენ

შენა ხარ ჩემი უკიდეგანო უდაბნოს ოაზისი,
ჩემს ამღვრეულ-აქაფებულ ზღვაში გადმოგდებული მაშველი რგოლი,
ჩემი ცეცხლმოდებული ტაძრის საშველად გადმოშვებული ზეციური თქეში
და უპურო შიმშილის სამფლობელოს მოვლენილი ციური მანანა.
სიყვარული შენი ჩურჩულია,
ნაცრისფერ გარინდებაში რომ მომეპარება და ჩამძახის: ,,მიყვარხარ!''
სიყვარული შენი ხელებია,
გულამოსკვნილი ჩახუტებიდან ყოველ ჯერზე რომ ხელს მიშვებს
და უსასრულოდ ბნელ ღამეში
თვალახვეული ხელისცეცებით სიარულისთვის მიმეტებს,
რომ ფრჩხილებით სალი კლდეები ჩამოვფხაჭნო,
ეკალ-ბარდებში ფორთხვით გავიხლართო და დავიკაწრო,
უსულგულო ცოფიანი ნაგაზების სისხლიანი ნაკბენები
ენით ვილოკო და ვიწამლო, რომ მერე ისევ
გარიჟრაჟზე ჩემი ღონემიხდილი ნათელი ბილიკები ვიპოვო
და ბედნიერებისგან სუნთქვა შემეკრას,
შემდეგ კი ჩურჩულით ვიყვირო:
,,სამყაროვ, მაინც რა მშვენიერი ხარ!''
სიყვარული მოულოდნელი ძახილის ექოა: ,,მიყვარხარ!''
სადაც არ უნდა ვიყო, ყურში რომ ჩამესმის
და ზარების რეკვას გამოდევნებულებს
სხვადასხვა ბოლოდან ერთმანეთისკენ თავგამოდებული სირბილით
ნაცნობ გზას გვაპოვნინებს, ჩაგვარბენინებს და მერე
ჩემსკენ გამოწვდილ ხელებს
ჩემს თავს ჩაგახუტებს...
სიყვარული შენი ჩურჩულია: ,,მიყვარხარ!''

ჩემი ფიქრები

(1)
ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,
უსახელო გემებით სავსე,
მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს
ხან გაღმა მივერეკები, ხან-გამოღმა...
აგერ ამ კუნძულს ,,ბავშვობა'' ჰქვია:
ცისარტყელას ბაირაღები მოუქარგავს
და ყველა აფიშა გვამცნობს, რომ
კუნძულზე გამოცხადებულია მარადიული დღესასწაული,
დღესასწაული, რომელსაც უკანასკნელ
ზღაპრების წიგნთან ერთად ვამთავრებთ
და ვიწყებთ ზრდასრულ ცხოვრებას,
ყოფითი დეტალებით სავსეს,
დევის თვალით რომ შევცქერით და
როცა დავიღლებით, თვალს მოვხუჭავთ,
ვიგონებთ ბავშვობას და მოვთქვამთ,
ერთთავად მივტირით.

ეს ,,უიმედობის'' კონცხია-ჯართის საწყობი,
დამტვრეულ-დაჟანგებული ფარ-ხმალისა
და რკინის ფრთებისა,
ცრემლის გუბეები კი ჭაობებად ქცეულა,
ან დაშრეტილა.
ვცდილობ, სრული სვლით ვიარო და არ მოვიხედო,
ვინაც სვლა შეანელა ან გაჩერდა,
მწარედ ინანა.
ესეც ,,სატანის'' კუნძული, არ შეგეშალოთ! ,,ჭინკების'' კუნძულს
შორიდანაც კარგად შეამჩნევთ,
ამ სასაცილო ზოოპარკში
უთავბოლოდ დაცუნცულებენ ადამიანის მსგავსი ჭინკები
და გულმოდგინედ ცდილობენ
დაფარონ ტანზე აკრული აბრები:
,,ორგულობა'', ,,გაუტანლობა'', ,,მტრობა'',
-აქ გასართობად მოვდივარ მხოლოდ.
,,სატანის'' კუნძული კი ,,სატანის'' სამკუთხედის ცენტრშია,
საითაც უნდა წახვიდე,
გვერდს ვერ აუვლი...
ძალიან უნდა ეცადო ისე გასცდე, რომ
სამუდამოდ არ დაგიტოვონ თავიანთ მიწა-წყალზე
კუნძულის ბინადრებმა-ადამსატანებმა,
რამდენჯერ მოვხიბლულვარ მათი სილამაზით,
აღზრდილობითა და მჭევრმეტყველებით,
თვალებდაბრმავებულს წაქცეული ამიყენებია,
მათი ჭირი გამიზიარებია, ცრემლიც მიფრქვევია
და ლხინის სუფრაც დამიმშვენებია,
და-ძმობაც შემიფიცია და მათთვის მილოცია,
რა საამოდ ჩამწვეთებია ყურში მათ მიერ წარმოთქმული
,,გეთაყვა'', ,,გმადლობთ'', ,,მომიტევეთ''.
ო, რა მწარე ნაღველით ვივსებოდი ხოლმე,
როდესაც უხილავი კუდების ნაკვალევ-ნაიარევს
აღმოვაჩენდი საკუთარ სხეულზე და სულზე მაშინ,
როდესაც ყოველთვის უკვე იყო გვიან...

(2)
ბედნიერია ის, ვინც ,,სატანის''კუნძულს გასცდება
და სულ მალე დაინახავს ,,იმედის'' კონცხს-
ამ ზღაპრულ წალკოტს,
მის ჩანჩქერებში იბანავებს,
მის ზვრებსა და მინდვრებს მოხნავს,
დათესავს და მოიმკის,
მის სიყვარულში დაიღლება,
სამშობლო მიწას გულ-მკერდს დაუკოცნის
და ღიღინ– ღიმილში ტკბილად ჩაეძინება...

ჩემი ფიქრები თეთრ ზღვაში აგორებული ზვირთებია,
უსახელო გემებით სავსე,
მე კი მწყემსი ვარ და ჩემს ქარავანს
ხან გაღმა მივერეკები, ხან-გამოღმა...

ირმა ალფაიძე
(ირმა იმერელი)

მივდივარ!..

მივდივარ!...
ნელა მივუყვები ცხოვრების ბილიკს...
ყურს აღარ ვუგდებ ბედისწერის დამცინავ ქილიკს...

მივდივარ!...
მუდამ მახვევია ფიქრები-უტყვი,
როგორც ზეციდან წამოსული ფიფქები უხვი...

მივდივარ!..
ბნელში გზას მივიკვლევ...დავეძებ ფერებს...
დაკარგულ, ობოლ ოცნებებებსაც გზადაგზა ვეძებ...

მივდივარ!..
თუმცა ცხოვრება ჰგავს უმთვარო ღამეს...
მაგრამ მე ვიჭერ და ვაგროვებ ბედნიერ წამებს...

მივდივარ!...
ერთი მაძლებინებს იმედი, მხოლოდ-
იქნებ, სინათლე დავინახო სიბნელის ბოლოს...

მივდივარ!...
ნელა მივუყვები ცხოვრების ბილიკს...
ყურს აღარ ვუგდებ ბედისწერის დამცინავ ქილიკს...

მივდივარ!..❀
(ირმა იმერელი)

ქ ა ლ ი

სიყვარულით უფალს რაც კი შეუქმნია
და ძვირფასი დაუხარჯავს წამი...
რაც არსებობს, მისი მადლით, სამყაროში...
ყველას ერთად გადაწონის ქალი!..

ქალი თავად ქმნილებაა-ზეციური...
ანგელოზის მიწიერი ყოფნა...
შუქციმციმა, მხიარულიც, დარდიანიც...
ქვეყნად ევას სრულყოფილი მოდგმა!..

ქალი მუზა, ჯადოსნური ავგაროზი...
ქარიშხალი თუ მზეწვია დარი...
ჩვენ რომ არა, ეს სამყარო გაქრებოდა...
დედამიწას ამოძრავებს ქალი!..

სიყვარულით უფალს რაც კი შეუქმნია...
და ძვირფასი დაუხარჯავს წამი...
რაც არსებობს, მისი მადლით, სამყაროში...
ყველას ერთად გადაწონის ქალი!..*❀

*

მივდივარ... ცხოვრების ბილიკზე
სულს სხივად უგალობს მზეწვია;
მე ერთი უბრალო ქალი ვარ,
ლექსებს ვწერ, თუ მუზა მეწვია!

მახარებს სიკეთის ციაგი,
ცას ვანდობ გადადგმულ ნაბიჯებს;
როდესაც გულს ღელვა შეიპყრობს,
შვილების თვალები მამშვიდებს!

ვალი მაქვს სოფლის და მამულის,
აკვანი ალერსით მირწიეს!
გამზარდეს გრძნობების დედოფლად,
სიცოცხლე სამოთხედ მიქციეს!

იმ წლების, იმ სითბოს, იმ განცდის
დამყვება საამო ფიქრები;
ბავშვობის სურნელი დამატკბობს
მე, ვიდრე ამქვეყნად ვიქნები!

მზის სხივებს დედის გულს ვამსგავსებ...
დედის ხმა ძილშიც კი ჩამესმის...
ჩამიკრავს, იმქვეყნად რომ მივალ,
რადგან აქ დამაკლდა ალერსი!..

მივდივარ...ცხოვრების ბილიკზე
სულს ნაზად უგალობს მზეწვია;
მე ერთი უბრალო ქალი ვარ,
ლექსებს ვწერ, თუ მუზა მეწვია!

ლამზირა შეყილაძე

ჩვენს უთბილეს და კეთილშობილ,
სულიერ დაიკოს ბელა ალანიას...

ნეტარებაში აიმწვერვალებ

შენ, გაზაფხულის თაიგული ხარ,
იწვი ღვთაებრივ სიმხურვალეთი,
დედა-მიწაზე ისე დადიხარ
ვით ანგელოზი მიწის ქალღმერთი.

ნათელ ჩამომდგარ იმედებს ჰგავხარ
ხარ ჟამსაწუთროს ასიმღერება,
მიწაზე დაგაქვს კაშკაშა მზე და
აუწონელი ბედნიერება.

შენი ლექსების შუქთა ნათებით
დაამწყურვალებ გულის ჩქერალებს,
კეთილშობილი გამონათებით
ნეტარებაში აიმწვერვალებ.

შენ არ ჩაფლულხარ უაზრო დარდში
გულს საამური დარი გკენწლავდა
ნეტავ რას გრძნობდა უფალი მაშინ,
შენ ასეთ სათნოს როცა გძერწავდა....

ციურ ანგელოზს

(ვიტა წულუკიძეს)

რატომ მიაპყარ ცას მშვიდი მზერა,
ვინ გიღიმოდა ლურჯი ზეციდან,
არ შეგიგრძვნია სამყარო ჯერაც
ისე გაფრინდი შენი ფანჯრიდან.
რატომ გაუშვი სიცოცლეს ხელი,
ქარის სიმძიმემ რად გადაგძლია,
რით ვანუგეშო მშობლები შენი,
რადგან სიტყვებმა დაკარგეს ძალა.
შენ რა იციდი ჯერ აღმაფრენა,
ქარს მისდევდი და ვერ დაეწიე,
შენ ასე წმინდა და სულით ბროლა
დედამიწაზე ვერ დაეტიე.
მიემგზავრები ცის ანგელოზი,
ცრემლი მიგყვება, მზისფერ ტალღებით,
მაისის მზე კი გაცილებს კიტა,
გულდაწყვეტილი სველი თვალებით.
იქ, გელოდება სულთა საუფლო,
ჟამსაწუთროზე უფრო მზიანი,
ქერუბინებმა უნდა გასწავლოს,
მარადისობის წრეზე ტრიალი.

მზეო უშენოდ რა გვეშველება

დედამიწაზე დავრჩით უმზეოდ,
და შეგვეყარა ციებ- ცხელება,
გავიყინებით მზეო უშენოდ,
მზეო უშენოდ რა გვეშველება.
ალბათ ღირსი ვართ რომ გაგვებუტე,
ფასი ვერ დაგდეთ საკადრისია,
არ დაგღვუპო და არ განგვიცხადო,
რომ შეასრულე შენი მისია.
გთხოვ, შენებურად ამოანათე,
გულში ყინვა და ცივი ნისლია,
ყველას თავისი მზე უწილადე,
ვინც რამოდენა სითბოს ღირსია.

* * *

მზე ციცაბოებს გადმოეკიდა,
მკერდიდან სითბო გადმოდიოდა,
მეგონა მინდორს ცეცხლი ეკიდა,
ყაყაჩოები ისე ღვიოდა.

უსამართლობის მკვესავი

(ხათუნა კილაძეს)

ერის საჩინო შვილი ხარ,
ღვთიური მადლის მთესავი,
ქრისტეს მცნებებით დადიხარ,
უსამართლობის მკვესავი.
თვალებით დაგაქვს სამშობლო,
ეტრფი და ეთაყვანები,
სამ შვილს ყოველ ღამს ჩაესმის,
ქართული იავნანები.
მადაც ამოდის მნათობი,
მზე ცეცხლისფერად ანთია,
მაგრამ შენ მაინც ესწრაფვი,
სამშობლოს ცისფერ განთიადს.
დღეს შენში გაზაფხულია,
დაბრუნდი შენი მერცხლებით,
სულსა და გულს უხარია,
აქ, არის შენი ფესვები.

გმირი დუნაი

სამშობლოს, მომხდურ მტრისგან იცავენ
ღირსებით სავსე მძლე ვაჟკაცები.
თავისი ქვეყნის გადასარჩენად,
ტირანს ებრძვიან გმირი ქალები.
ძაღლი დუნაი, მიხვდა გასაჭირს,
ფრიად საძნელო შეხვდა საქმენი.
სადაც ძალიან უჭირს მეომრებს,
სწორედ იქ მიაქვს მათთვის საკვები.
რა სანქციებით შეეჭიდებით,
სისხლზე დაგეშილს ვამპირს და ჯიუტს.
მე, რომ შემეძლოს ერთგულ დუნაის,
გმირობისათვის დაუდგავ ბიუსტს.
ადამიანო… რით ვერ გაიგე,
ომს ორთავ მხარეს მოაქვს ზიანი
სამწუხაროა მას ძაღლი ერქვას
ომის დამწყებს კი ადამიანი…

ნატალია სამუშია

* * *

ზეცა გაიხსნა ,ცა ცრემლებად იღვრება გიჟობს....
ფანჯრებს ახეთქებს...უმოწყალოდ ქარი ცრემლებს წვიმისას,
მე კი გავყურებ უსიტყვოდ და ჩემს გულში ვუბრობ,
ო!ღმერთო, ჩემო მიწა იძრა და ხე წაიქცა.

ხე შევადარე, ჩემს სამშობლოს მიწა გამოცლილს ...
ყველა მხრიდან რომ ტოტები აქვს შეჭრილი მტრისგან,
ერთი მიწის ძვრა, კიდევ ღმერთმა არა ქნას თორემ...
ო!ღმერთო ჩემო ,საქართველო...ხომ მთლად დაიქცა.

გული მეტკინა, უცებ გულში ვუხმე ჩვენს გმირებს...
თამარს, ვახტანგს და აღმაშენებელს...
ახლა ჭირდებით ჩვენს სამშობლოს ჩვენო გმირებო ...
თქვენი სისხლით მოპოვებულს ჩვენ დღეს
უომრად უსირცხვილოდ ვუთმობთ ტირანებს.

ჩვენო არწივნო, ძლიერებო შეუპოვარნო!...
შაჰ-აბასმა, ოსმალებმა ვერ დაგაჩოქეს,
მედგრად იდექით ქუდზე კაცი თქვენ მტრების წინ და...
ერთი წუთით არ დანებდით, დემონთ ეომეთ.

ახლა კი ნეტავ!?რა ვიფიქრო ვინ შეგადაროთ..
უხვად მომრავლდა ქვეყანაში შადიმანები
ვინც კი გამოჩნდა, რომ სამშობლო უნდა დაიცვას...
იმათ კლავენ და მტრებს ჩუქნიან მიწებს აბდლები.

არავინ ფიქრობს მომავალზე ოღონდ დღეს იყონ
დღეს იცხოვრონ და აიშენონ მათ გალავნები,
ნუთუ არ გესმით გამყიდველი მტერსაც არ უყვარს,
რომ გაქრებით და თქვენც ცოცხლები აღარ დარჩებით.

ო!როგორ მინდა ქართველებო აზრზე მოხვიდეთ!.
ფეხზე დადგეთ და ყველამ ერთად შეჰკრათ კამარა
იმის მაგივრად მტერს ჩუქნიდეთ თქვენს მიწას მამულს,
ომახიანად ყველამ ერთად დაჰკრათ ნაღარას.

იმედს ვიტოვებ გამოჩდნდებიან კიდევ ვაჟკაცნი...
რომელთ ქართული სისხლი უჩქეფთ კიდევ ძარღვებში
და მე მჯერა რომ ღმრთის მშობელი დაგეხმარებათ,
ოღონდ გიყვარდეთ ერთმანეთი, ერთად დადექით.

****

დარაბებს მიღმა გაზაფხულია,
მაგრამ ჩემს გულში ისევ თოვს,
ჩემი სამშობლო მომნატრებია,
ის სადღაც დარჩენილა ძალიან შორს...
ღამემ სიბნელემ მოიკალათა
ჩემს გულს უმოწყალოდ ფლობს...
იცის არ მიყვარს და მაინც
აღარ მეშვება მსპობს.

*** **** ***** ***

მე გადავწყვიტე რომ დაგხატო ცარცით დაფაზე,
როგორც იციან მონატრებისას ხოლმე მხატვრებმა,
მინდა რომ გავხდე დედოფალი შენი ოცნების..
ფიქრებში შენთვის რომ დახატოს რამე ამ ხელმა.

ვიცი რომ ოცნებობს გული შენი,
ჩემთან შეხვედრას ვეღარ ახერხებ,
ვიცი მუსიკა უკრავს გულში ნაცრისფრად
რომ აღარ დადგა ნანატრი ის დღე.

სხვა და სხვა ფერის ფანქრებს მოვიხმარ
ავავსო ეს გული ბედნიერებით,
მერე დავუკრა, მუსიკა ნაზი
რომ შენც დაგატკბო მადლიერებით.

დავსვი წერტილი! ფერადი ცარცით...
და გადავწყვიტე შენ რომ მოგძებნო,
დავტკბე მე შენი სანთლის სურნელით,
რომ შენთან დავრჩე და მოგეფერო.

* * *

იცით? რა არის ემიგრანტობა...
არ გამოცადოს არავინ მეტმა,
ძილი გინდა და ვეღარ იძინებ
და იცით? რატომ არ გაქვს უფლება.

ხან წამალიო,ხან მოვკვდებიო
ღამეს ვინ ჩივის, დარბიხარ ფრენით,
დაგიძახებენ, მშია, მწყურიას
ემორჩილები და ფეხზე დგები...

უძილობაა ემიგრანტობა
დარდია, ფიქრი გამოულევი,
ხელფასს გიხდიან მაგრამ მანამდე
ვაი რომ ხალხო ათასჯერ კვდები.

* * *

ცხოვრება დაუმთავრებელი
გზაა ჩვენთვის,
ცხოვრება გამოცდაა
კარგით თუ ცუდით.
ცხოვრება... სიბრძნეა,
ცხოვრება...კიბეა,
ცხოვრება...მასწავლებელია ბევრის .
ცხოვრებას...ნუ
ვეთამაშებით დაგვღლის,
მიზანს ვერ მივაღწევთ
შიგ გულში დაგვჭრის,
ცხოვრება ბრძენისთვის
გზა არის ბრძნული,
უვიცისათვის ძალიან რთული.
ნუ ვეთამაშებით ცხოვრებას
ის გზას მოგვიჭრის,
როცა გვგონია რომ
მწვერვალზე ვართ
ცხოვრება იქიდან
ძლიერ მოგვისვრის,
ამიტომ ვუფრთხილდეთ
ცხოვრების გაკვეთილს...
ის ხსნმოკლეა....
არაფერს მოგვიშლის.
მოდი ცხოვრებას..
ნუ ვეთამაშებით
ის ხომ ისედაც
გზაა ძნელად გასავლელი,
ამიტომ ვიცხოვროთ...
სიყვარულით, დღეით...
თორემ მაშინ
დამთავრდება როცა
ჩვენ მას...
ნაკლებად ველით.

* * *

ოცნებავ ჩემო, სუნთქვავ ჩემო,
სიცოცხლევ და ნეტარებავ,
მე შენს ცაზე შეყვარებულს
აქ სხვისი ცა მეფერება.
განზე ვიწევ, თვალებს ძირს ვხრი,
თითქოს ვემალები კიდეც.
არა და აღარ მეშვება...
შევუყვარდი თურმე ძლიერ.
არ მინდა რომ შევეჩვიო
არცერთ მხარეს, არცერთ კუთხეს,
რადგან შენ ჩემო სამშობლოვ
მგონია რომ ასე
უფრო გიერთგულებ.

* * *

ჩემს გულის ტკივილს ვინ გაიგებს ღმერთო შენს მეტი...
განა ოდესმე ვინმეს ჩემგან რამე უგრძვნია?
ტკივილი იყო, დარდი იყო, თუ სევდა იყო...
ყველა ჩემს გულში შენახული ერთი წიგნია.
რომ არ დამალო, ყველა იტყვის, ყველა დაგცინებს.
თითქოს ისინი უცოდველი ღმერთის შვილია.....
და ამიტომაც სიცილი და გულკეთილობა,
ყველაზე კარგი გადარჩენის მაგალითია.

* * *

მე გადავშალე ჩემი ბავშვობის სუფთა ფურცელი....
და ისევ გულმა ახლებურად ფეთქვა დაიწყო,
უცებ შევჩერდი დავფიქრდი და გამოვიფხიზლე,
თურმე ეს ჩემი ოცნებების ნაწილი იყო....

* * *

ყველა თვეები საყვარელია ხომ გაზაფხულის,
მარტი ჭინჭყლია, მაგრამ მაინც კვირტებს არიგებს...
აპრილის თვეში ტიტები რომ გაიშლებიან, გულს ახარებენ.

დღესაც მოსულა ეს აპრილი მაგრამ..ვერას ვგრძნობ
რადგან....აქ სულ სხვა ელფერი აქვს თურმე ყველაფერს...
ჩემი სამშობლოს გაზაფხული სულ სხვა ყოფილა,
უფალო შენ გთხოვ ჩემი სამშობლო შენ დაიფარე.

აპრილში მიყვარს მზის სხივები რომ გაცხუნებენ,
მიყვარს ჭიკჭიკით სისხამ დილით,მერცხლები რომ გესალმებიან.
და კიდევ მიყვარს...მტრედების ღუღუნი ტაძრის გუმბათზე,
ზამბახები და იასამნები მდელოს რომ ერწყმიან.

ჩემს სამშობლოში! სიყვარულიც ყვავილობს ახლად,
მიტომ დაერქვა აპრილის თვეს, თვე სიყვარულის,
მეც ხომ ამ თვეს მომავლინა ღმერთმა ამ ქვეყნად...
ამიტომაც ვარ მე ამ თვეზე შეყვარებული.
*** ***** ****

* * *

ახლა კი მართლა მომაგონდა თვალწინ დამიდგა,
ჩემი ლამაზი კოხტა ფშაფი სუფთა და წმინდა,
ბაღ ვენახებში, ციტრუსებში ჩაფლული მუდამ
და მეზობლების შეძახილი ხალისისნი...
აბა როგორ ხართ, სად მიდიხართ მეც თქვენთან მინდა

უფალო! შენ გთხოვ სხვა მშველელი აბა ვინა გვყავს...
შენ შეაჩერე ეს სატანა მეტს ნუ დაგვტანჯავ,
გემუდარები მე ცოდვილი ყველას მაგივრად,
შენ დაგვეხმარე, გზა მოგვიძებნე ჩვენ სახლში გვინდა.
****

ჩემი სოფელი

სულმა წამძლია და დავიწყე ჩემთვის ოცნება,
წავედი შენთან და მომინდა მე ჩახუტება,
გული ატირდა, უცაბედად რომ დაინახა.
ტყედ ქცეული ნასახლარი შემომეფეთა.

გაოცებული ვუყურებდი ამხელა ქუჩა,
როგორ შთაუნთქავს, ჩაუყლაპავს...ბარდ-ეკალს სუროს,
ჩასჭიდებია სარეველა ჩემს კარ-მიდამოს ,
და საცოდავად მხოლოდ კნავის, კი ვეღარ უბრობს.

ისე ავტირდი, მე რა მეთქვა აღარ ვიცოდი.
ხან სად მივედე, ხან სად მაგრამ ვეღარ შევედი.
და მოვტრიალდი, ელდა მეცა რა უნდა მექნა...
მე რას ვიზამდი, მარტოდ მარტო ან ვინ მიშვებდა.

***** ***** ******

ამ სილამაზის ნახვით და მოფერებით,
უცებ ფიქრები წამით ქრება თითქოს ჩერდება,
სიყვარულია ეს სამყარო თუ კი ვისურვებთ,
თუ გულს გავუღებთ...სიკეთეს და მადლიერებას.
ბოროტებისთვის როცა ჩვენ დროს აღარ დავკარგავთ,
სწორედ ეს არის უდიდესი ბედნიერება.

* * *

ისევ აკინძულან მარგალიტები ჩემს გულის ფსკერზე
და უშენობას მახსენებენ ათასმეერთედ.
რომ გადავშალე ჩემი გულის ფსკერის საკინძე,
იქ შენ ყოფილხარ ,არ წასულხარ და შეგეფეთე.
მერე დავჯექი უსიტყვოდ და ნოტები ვწერე,
როცა შევხედე გამახსენდა და წავიმღერე.
უცებ ლამაზი სილუეტი დავხატე ფერზე
ამ ოცნებებში მომპარვია თურმე სიბერე.
მე გზას ვაგრძელებ ჯიუტად და ფერების ქარგვით
არ ვუშინდები მე სიბერეს და წინ ვდგამ ნაბიჯს...
ისევ ვაგრძელებ ხატვას, ფიქრებს
და ჩემს სიცელქეს სანამ უფალი ძალას მომცემს,
მე სულ ვიმღერებ.

მირზა ვარძუკაშვილი

* * *

დღეს რომ ვუყურებ ცხოვრებას,
ჟამი დგას სულთა მომსრველი.
მკვდარი სჯობია ცოცხალსა,
თუ მას ყავს ხვთის წინ მლოცველი.
ისეთი დადგა დროება,
ქადაგებს ყველა მგმობელი.
გარდაცვალება სჯობია,
ყოფას ამ წუთის სოფელში.
კარზეა უკვე მომდგარი,
ჯოჯოხეთის დგას მორევი.
სიმართლეს ვეღარვინ ხედავს,
თვალთ უდგასთ სისხლის ტბორები.
ასეთ სიცოცხლეს სჯობია,
ხორცით სიკვდილი ყოველთვის.
სიკვდილი არაფერია,
თუ კი გყავ გულით მგლოველი.

* * *

თავშესაფარი მიწაა,
კაცის მოსვლიდან წასვლამდე.
იმ ქვეყნად სამკვიდრებელი,
ქვესკნელია და სამოთხე.
მიწიდან მოსულს მიწა სჭამს,
ის არის ხორცის საგობნე.
ღმერთო ამ ქვეყნად მოსული,
ყველა სიკეთით ამყოფე.
ვერ გამიგია შექმნილის,
შემქმნელს რად უნდა დაშორდე.
იქ ჩვენ არავინ მიგვიღებს,
აქ რომ სიყვარულ არ გვქონდეს.
სიყვარულია ამ ქვეყნად,
რაც არის სულის საგროვებ.
გრძნობა ვიმრავლათ ერთურთის,
იქ რომ სული არ დაობლდეს..

* * *

როგორ დასერა უშენობამ ქალო ეს გული,
ლამაზო იცი მე უშენო ღამეებს ვათევ.
სატანჯველია ფიქრითაც კი ჩემთან რომ არ ხარ,
მაგრამ ეს გული მაინც არის იმედით სავსე.

მე შენს ლოდინში ჩემო მზეო დავმუნჯდე ლამის,
ასე შორსა ხარ მაგრამ სულში უკვდავად სახლობ.
შენ რომ გაშორდე ჩემი სულის სალოცავ საყდარს,
ვერც კი მიხვდები ჯოჯოხეთში ისე მამყოფებ.

ოხ როგორ მინდა ერთხელ მაინც მითხრა გიყვარვარ,
ამ ერთი სიტყვით აქ შევიგრძნოთ სულით სამოთხე.
მეტი რაღა ვთქვა რაღა გითხრა ან რითი გამცნო,
რომ წრფელი გრძნობა ჩვენ გვიმზადებს
საღვთო სამყოფელს.

* * *

საფიქრალი მაქვს გული იწყებს თავისით მოთქმას,
ხმამაღლა მინდა დავიყვირო მაგრამ ვერ ვყვირი.
შევყურებ ზეცას აღარ მიკვირს მისი სიმაღლე,
ვდგევარ უჩუმრად და ჩემს ცოდვათ
თითებზე ვითვლი.

მოგიპარია? ვეკითხები ჩემ თავს თვითონვე,
კი როგორ არა მერამდენჯერ აღარც კი ვიცი.
კიდევ რამდენი სხვა რამე მაქვს განაკეთები,
კაციც მომიკლავს თვითმკვლელობაც მიცდია ფიქრში.

კიდეც ვიმრუშე თვალით გონით და სასმენელით,
ვილოთე ვსწიე სიგარეტიც რამდენი იცი?
ამპარტავნებამ რომ იცოდე ზურგზე მათრია,
სულ ტყუილადაც არაფრისთვის მითქვია ფიცი.

ყველაფერი მაქვს ცოდვათაგან განაკეთები,
ყველა ცოდვაში ჩადებული მაქვს ჩემი წილი.
სული როგორ დგას ამ შელახულ ხორცის საყდარში,
ცოცხალი რომ ვარ ჩემი თავის ისიც კი მიკვირს.

ღმერთო შემინდევ მომიტევე ა ჩემი გული,
თვითონ კი ვიცი რომ არა ვარ ღირსი ამ თხოვნის.
მაგრამ იქნება ჯოჯოხეთი იქ ამარიდო
ჩემს ცოდვათაგან სააქაოს მე უკვე ვიწვი.

* * *

მე განათლებას ქვეყანაზე ნურვინ დამწამებთ,
ცხრა კლასის იქეთ არაფერი არ მისწავლია.
მიტომ კი არა არ მინდოდა სწავლა რამისი,
ასე მოხდა და რაღას შევსცვლი იმ წარსულიდან.

წავიდა წლები დავრჩი ასე უპროფესიოდ,
ეგეც წყალს ჰქონდეს წასაღები თან გაიყოლოს.
უსიყვარულოდ უშრომელად არ მიცხოვრია,
და მომავალშიც ასე ვფიქრობ უნდა ვიცხოვრო.

იყო დრო როცა მინატრია ნეჭერი პურიც,
თავს არ ვიბრალებ სიმართლეა ვფიცავ ყველაფერს.
რაც იყო იყო ყველაფერი წარსულს ჩაბარდა,
ახლა იმ დროის გახსენებით შევცვლი ვერაფერს.

მე ერთი ის ვარ ვინც ვერ ნახა ახალგაზრდობა,
თაობებიდან ვიყურები მე დაკარგული.
ცოცხალს მე რა მაქვს სამდურავი ჩემი იღბლისა,
როცა ჩემ ტოლებს საფლავში აქვთ ძვლები დახრული...

* * *

საუბრით ყველა ისე მსჯელობს როგორაც ბრძენი,
გაგიკვირდება ისე ლამაზ სათქმელს გეტყვიან.
წაგიკითხავენ ნოტაციებს ჭეშმარიტების,
საქციელით კი უცაბედად ჭკუით შეგშლიან.

შეგაყენებენ ბერ მონაზვნად ვით მეუფენი ,
შეგახსენებენ მცნებებს საღვთოს ურცხვად გეტყვიან.
დაგაჯერებენ კაცთ მომსპობნი სიყალბეს ისე,
იფიქრებ კაცი სამოთხეში უკვე გელიან.

ეს რა დრო არის ყველა ცრუ რომ მართალს ღაღადებს,
რა დაემართა კაცთა მოდგმას გამაგებინა.
ყველა მლიქვნელი ყველა ქურდი სულით ყაჩაღი,
სიტყვით საუბრის მოქნილობით ყველა ბრძენია.

მოვალის ის დროც გადაივლის ესე სიბნელე,
შუაღმის მერე აისი ხომ მოსასვლელია.
მე თუ არ ვიყავ მომავალი მაინც შეიტყობს,
რომ ჭეშმარიტი სიყვარული კაცთა მხსნელია.

გამიხსენოდეთ შიგა და შიგ მეც სიყვარულით,
აბა ამ ქვეყნად სიცრუვეში რა დამრჩენია.
მივალ მივაღწევ სადანამდეც გამიძლებს გული,
მერე იქ წავალ სად მიმიჩენს ალაგს ღმერთია.

* * *

იასამნობის მორჩა აპრილი,
დადგა მაისი თვე ვარდობისა.
ისე დამშვენდი ამ გულის ბაღში,
ჟამი დგას შენი დედოფლობისა.

შენი სურნელით სულის ბულბულთაც,
შეიგრძნეს უკვე დრო თაფლობისა.
სიცოცხლით ტრფობა გამიასმაგე,
ქალო მე შენი ყვავილობითა.

მაისი დადგა გშვენის სიტურფე,
ვიწვები შენზე შორით ტრფობითა.
მაისი შენთვის შექმნა უფალმა,
გიდგას დრო ჟამი გვირგვინობისა.

* * *

ვფიქრობ ოცნებებს მიველტვი ტყვილად,
სინამდვილეში ცოდვებით მკვდარი.
მე რა ღირსი ვარ ნეტავი ღმერთო,
მიყვარდეს სულით ლამაზი ქალი.

მე უნდა ვტეხდე ღამეებს თეთრად,
სდიოდეს ჩემ თვალთ ცრემლების ღვარი.
ცოდვილი სულის დასაოკებლად,
ლოცვად ვდგებოდე უთენებ ღამით.

ღმერთს მივმართავდე შველას სულისას,
ვმადლობდე უფალს მშვიდი და წყნარი.
რაღა დროს ჩემი სიხარულია,
წლებს ემატება ფიქრი და ჯავრი.

ოცნებებისკენ მივიწევ ტყვილად,
ვის რაღად უნდა ბებერი ქმარი.
მე რომ ამ ქვეყნით გარდავიცვალო,
დამტირებელიც არა მყავს არვინ.

რაღა დროს ჩემი სიყვარულია,
თანდათან ქრება სიცოცხლის წამი.
მისიც არ ვიცი ჩემს მიმართ რას გრძნობს,
მიტომ დაჰკარგა ცხოვრებამ აზრი.

მგონებ ოცნებას ავყევი ტყვილად,
იქნებ მას ელის ყმაწვილი რაშით.
მასაც არ ამბობს ვუყვარვარ არა,
დრო კი ილევა სიკვეთის ცდაში.

* * *

რატომ ჰგონია ავის მქნელ კაცს თავის სიავით,
მისი ქმედებით რომ ვინმე სხვა დალახვრულია.
არა ძმობილო სიბოროტის ჩამდენი კაცი,
ვერც კი ხვდება რომ მომავლის
გზა დანაღმული აქვს.

სიკეთეს რას სჯობს ქვეყანაზე მზესავით ნათელს,
სულსაც კაცისას სიყვარული განაცხოველებს.
დედამიწაც ხომ უჩინარი სიკეთით ბრუნავს,
და სიყვარული ალამაზებს ამასოფლელებს.

მაშ დავივიწყოთ ავისა წილ ავის მიგება,
ამ სულმდაბლობამ მოგვიყვანა დღევანდლობამდე.
სიყვარულია თიხისაგან კაცის შემქმნელი,
შეგთხოვ უფალო სიყვარული ქართველთ
მოგვმადლე.

* * *

ჩემს გულში სახლობ ჩემო სამშობლოვ,
მე შენი ბედით დავალ დაღლილი.
მომხვდურის იქეთ სახლში გმტრობს ყველა,
შენივე მკერდით შვილი გაზრდილი.

ჩემო ქვეყანავ ჩვენა ვართ ერთნი,
ერთი ბედით ვართ ერთურთს შაყრილი.
შენი დაჭრილი გული მაწუხებს,
გმირთა საფლავზე ცრემლი დაღვრილი.

შენ ჩემი გულის ია ვარდი ხარ,
და ნაწამები სულის ნაწილი.
შენ საქართველოვ გმირთა სამჭედლოვ,
უფლის მადლით ხარ მუდამ აღვსილი.

იყავი მუდამ კიდეც იქნები,
რწმენის სავანე ცამდე აჭრილი.
შენს მკერდზე მოსულ ვაზის წვენისგან,
ბოლო ჟამს მოვა სავსე ბარძიმი.

მამუკა ოჩიაური

ბებერ ქვიტკირს

ჩამომიბერდი ქვითკირო,
ნაგებო პაპის ხელითა,
რა გრჩება, უნდა ითმინო
დროს გაჰყვე ოხვრის თმენითა.

დაბზარულია კედლები,
ბზარი უჩნდება ლიბოსა,
ისე კი არ დაბერდები
ვერ დახვდე, მტერ რომ იყოსა.

ნატყვიარი და ნახმლევი,
დადაღულივით გატყვია,
ბევრი მწარეც გაქვს ნახმევი
შენს ტანზე ვერ ვთვლი ნატყვიარს.

ირგვლივ მოიშთო ყოველი,
ვინც გვერდში გედგა მუდამა,
ტრიალებს დროის მორევი
არ ესმის შენი მუდარა.

დაბერებულო ქვიტკირო,
პაპის ხელით ხარ ნაგები,
რას იზამ, უნდა მოირგო
დროის ეკლიან საგები.

ჩამოღვენთილა იმ წელთა
ბევრი მწარეც და სიკარგეც,
ავის ატანაც გიწევდა,
მაგრამ მზით გადაიქარგე.

დაბერებულხარ ქვითკირო,
სიმაგრეევ პაპის ნაშენო,
რას იზამ, უნდა ითმინო
მომავალს ძველი აჩვენო.

გვერდჩამოშლილო ქვითკირო
ჩვენი წარსულის სიკარგევ,
ჯანღი გაფანტე წარსულის,
მზისფერად გადაიქარგე.

ვინ ხარ

ნეტავი ვინ ხარ, მოხვედი სიდან,
მოხვედი მოსვლით გაჩერდა წამი,
იქნებ სხივი ხარ მოსული ციდან,
ანდა ღრუბელთა ობოლი ნამი,
თუ ასე მწირობ მოსდევ ალალად
და ქარაშოტის კალთას ეკვრები,
რატომ ჩამდგარა ურყევ სამანად
ღონემოსული რითმის ეჟვნები,
რატომ დაფლითა ნისლის აფრები
ქარმა ძლიერმა, ქარმა მავანმა
ალბათ შენც რითმებს ისევ ადნები,
აროს გიცდია მათგან დამალვა.

* * *

ტუჩები ნაზად დასაკოცნები,
ცრემლები ღაწვზე წვანან ჯერ კიდევ,
შენ ვერ გაიგებ ბევრჯერ ოცნებით,
ბევრჯერ ოცნებით გამოგეკიდე.

გინატრე

ხო,
 გინატრე თანაც ბევრჯერ იცი? მერე,
მერე ქარმა ჩამომაწნა თეთრი თმები,
დამიჯერე, მენატრები დამიჯერე,
დამიჯერე, უსაშველოდ მენატრები.
ხო,
გინატრე ლოდინია უსრულები
ფიქრებია აშლილი და არეული,
შენთან ყოფნას სიკვდილამდე ვისურვებდი,
დაგხედავდი მძინარს ღიმილგარეული.
ხო,
გინატრე არასოდეს მავიწყდები,
ნუ დაზაფრავ სიზმარეულ ათინათებს,
ისევ დავალ ეული და მთვარეული
გარდასულით ამ გულს ისევ ვამუნათებ.
ხო, გინატრე არ დამძრახო უგულობა,
უსასრულო ფიქრს გავყევი ჩუმად მერე,
სამუდამოდ არ შეგვყარა ერთად დრომა,
დამიჯერე მენატრები დამიჯერე.
.....
ხო, გინატრე!

მერწმუნე ქალშავო

შენ,
    თავს დაგიბურავს მუდამჟამს მანდილი,
(აკვანთან ალიონს ექნება ფერხული),
ქალშავო, მერწმუნე არაა ადვილი,
ქმრად გყავდეს მთებიდან მოსული ხევსური.

სიშორე

იდგა სიშორე, ზღვასავით იდგა
ცაზე ღრუბლების ფთილები იწვა,
მთვარე ფრიალო ქარაფთან მიდგა
და გაანათა ყიოში მიწა.

არ თავდებოდა სიჩუმის ჰანგი,
ემატებოდა მთვარეს ნათელი
სიმებდაცლილი ფიქრების ჩანგი,
მოგონებები - გულის სანთელი.

ღამის სიბნელე ჩამოძენძილი,
სინათლისათვის ავად კეთილი
და კუნაპეტი ღამის მერდინი,
ვიწრო ხევებში გამოკეტილი.

დაკარგულ მოძმეს მისტირის ბუ და
ჭირხლიან თვალებს ცრემლები სცვივა.
მოთქმით დაცალა დარდების გუდა,
უხმობს და სტირის, თითქოს არ სცივა.

ჩვენ შორის ისევ სიშორე იდგა,
ცის სასთუმალზე ღრუბლები იწვა,
მთვარე ფრიალო ქარაფთან მიდგა
და გაანათა ყიოში მიწა.

ქალო არაგველო

ჯობდა არაგვზე რომ არ აგევლო,
ქალო თვალციმციმა არაგველო,
ჯობდა არ მენახე მანდლიანი,
მზერაც არ გესროლა მადლიანი,
ჯობდა ყოფილიყავ გულისსწორი,
ფიქრიც გამქრალიყო გრძნობის მზომი,
ჯობდა, მართლა ჯობდა ბევრი რამე,
წახველ და წარსულში დაივანე,
გულში დაივანე მუდამ ისევ,
სულ არ გებრალები, დარდებს მისევ,
ჯობდა არაგვზე რომ არ აგევლო,
ქალო თვალციმციმა არაგველო.

არხოტი

მე და მამა სანადიროში

შეხედე , ქარაფთან ხარჯიხვი ორია,
ვინ იცის მაგათთვის დღე დადგა ეს ბოლო
თოფისთვის მანძილი აქედან შორია,
უნდა მიეპარო და მერე ესროლო.

ყურებზე ვიაროთ ჯიხვთაკე მალვითა,
მერწმუნე ბილიკზე საძნელო არაი
მკაცრი ხმით, ო მაგრამ სითბო შეფარვითა
მასწავლის, მარიგებს მუდამჟამს მამაი.

იყავი ფრთხილი და ხან აუჩქარები,
ცხელ გულზე მოქცევას უთხარი უარი
აქ იდგა წლების წინ ჯიხვების ფარები,
დღეს თითო-ოროლა ხარჯიხვი თუ არი.

ქვა გორავს, ხომ გესმის ლოდების გრიალი
ფიჭვებში ექნება შუნ - თიკნებს ნადიმი,
შუადღეს ჭალიდან აღმა ქრის ნიავი
იარე, ისე რომ არ დაფრთხეს ნადირი.

ერთზე მეტს ნუ მოკლავ ეს მთების წესია,
თან მხოლოდ ამაყი, ხარლაღი, რქიანი
შენთვისაც, მთისთვისაც ეს უკეთესია
თორემ უძღებია დღეს ადამიანი.

ამ გორს რომ გადავალთ დარჩება მცირედი,
ჯიხვთაკე სავალი ბილიკი ქვიანი
არასდროს დაკარგო რწმენა და იმედი,
რომ შენი წერაა ხარლაღი რქიანი.

ეს წინათ, დღეს მუხლში არაა ძალაი
დრომ თვალებს აუგო ლიბრისგან კედელი,
უკურნელ სენისგან მომიკვდა მამაი
მეც არ ვარ ჭაბუკი დამერქვა ბებერი.

დღეს კედელს ამშვენებს იმ ჯიხვის რქები და,
გულია ნატრული იმ დღის და ღამისა
ყოველთვის ჩამესმის მაღალი მთებიდან,
წყნარი დარიგება გარდაცვლილ მამისა !

მოხუცი პაპა

ჭერხოში ძვრება ცელქი ნიავი,
მთებზე ნისლები შემდგარან ცერზე
ჭარმაგი პაპა, ნაჭრევიანი
შემოწოლილა ხის სარეცელზე.

არ უჩხუბია ალბათ წლებია,
არ გაუვლია ხანჯალზე ხელი
გაგას ქეიფი ვერ შესძლებია,
მოსძალებია მწარე სასმელი.

უშარა კობას,ნასვამმა გაგამ,
სრულად დალეწეს ტაბლა პატარა
ვერ მოითმინა ეს თურმე პაპამ,
მას არ შეეძლო ამის ატანა.

ესვათ არაყი ვერ ანაწონი,
ურიცხვი ყანწი გამოიცალა
ბევრას წაერთვა, ჭკუა და გონი
ჟიპიტაურმა როცა იძალა.

ჯერ წყნარად უთხრა იყუჩეთ, მორჩა
არ მიაყენოთ ეცხვას ზიანი,
მათ კი, კერაზე მიაფშვნეს ტოლჩა
ლომს გავდა ორი ადამიანი.

მერე ვით სხვები, ჩადგა მეშველში
მთის კაცს არ აკლდა ძალა და ჯანი,
პირველად დაჭრეს მარცხენა ხელში
მეორედ თავზე დაჰკრეს ხანჯალი.

გაბრაზდა პაპა გულდამეხილი,
სახეზე ბრაზმა გადაიარა
ვერ გრძნობდა ტკივილს, თავგაჩეხილი
ვერას აკლებდა ორი იარა.

დამჭრელს ეძებდა გაუტეხელი,
იმ კაცს ვინც ტაბლა არივ-დარია
ხანჯლის ვადაზე გაევლო ხელი,
გრგვინავდა პაპა უშიშარია.

ბოლოს მეშველმა შეუკრა რკალი,
პაპა დამჭრელთან არ დარჩა ვალში
აჯობა ყველას იძრო ხანჯალი,
დამჭრელი დაჭრა თავში და მხარში.

დილა თენდება ქარ - წვიმიანი,
ნისლმოხვეული დგანან მთებია
მშვიდად წევს პაპა ნაჭრევიანი,
კერასთან მჯდარი,ბრაზობს ბებია

დაბერებულხარ ვერ გაგიგია,
სიკვდილის დღემდე განა შორია
როგორ დინჯია ხვთისოთ გიგია,
მე როგორც ვიცი შენი ტოლია.

ჭკვა ვერ ისწავლე,კაცი დაბერდი
ხასიათს გირევს მოხუც კაცს ბანგი
აგერ წლებია რაც ვარ შენს გვერდით,
არ მინახია არასდროს კარგი.

ჰაერში გადნა ბებოს ჩივილი,
ჭერხოს კარებში ძვრება ნიავი
პაპას სახეზე რჩება ღიმილი,
ტკივილს არ იმჩნევს ნაჭრევიანი !

დღეს მწერ

დღეს მწერ, ხვალ იქნებ მომწერო აღარ,
ხვალემ ხვალისა მუდამჟამს იცის,
მე მივაქროლებ ფიქრების "საღარს",
ვგრძნობ, წარსულიდან მიგზავნი სიცილს.

დღეს მწერ, ხვალიდან იქნებ დამნაცროს
ამ წუთისოფლის დრომ უნდობელმა,
მოკლედ დაგიწერ, აღარ განვავრცობ,
რომ გზამ დამტანჯა სავალად ძნელმა.

რომ იქნებ ხვალაც მომწერო აღარ,
რომ წარსულიდან მიგზავნი სიცილს,
კვლავ მივაქროლებ ფიქრების "საღარს",
ხვალემ ხვალისა მუდამჟამს იცის.

ლეილა ვადაჭკორია

ვერ დაგამშვიდე

ჩვენი სამშობლო ერთია ვიცით,
ამ საზღვრის აქეთ, ამ საზღვრის იქით.
თუმცა მომხვდური სხვა სახელს არქმევს,
მაინც სიფრთხილით მივყვებით საქმეს.

სიფრთხილით ვზომავთ დროსა და მანძილს,
მტრის წისქვილს რომ არ დავასხათ წყალი.
ვინც მხდალს გვიწოდებს, ის ბრძენს არ უსმენს,
„სიფთხილეს, რომ არა სტკივა თავი“.

ნეტავი ასე გვეფიქრა მაშინ,
რომ დავაქუხეთ სიტყვა მაშინვე.
შენ რომ ეჭვობდი, ჩემთვის სხვა იყავ,
მეც ვერ მიგიხვდი, ვერ დაგამშვიდე.

* * *

უფალო შენ დაგვიფარე
ზარი შემოჰკარ ზეციდან,
სიცოცხლე რომ არ დაიწყოს
კოაცერვატულ წვეთიდან.

* * *

დაეძებ თურმე რაღაც ახალს,
ზეაღმატებულს...
აღარ გაღელვებს პაწაწინა
თრითინას თრთოლვა,
მაგრამ გახსოვდეს, ღალათისთვის
განგება დაგსჯის
და, რომ შენს სულში უსაშველო
ზამთარი მოვა.

ცოდვები არ მოგასვენებს

მეც ამ მიწიდან ვიზარდე,
მიწასაც როგორ ეამა.
მზის სხივმა გული გამითბო,
ნანა მიმღერა ნიავმა.

მეც ამ მდელოზე ვლაღობდი,
ამ მთებმა დამაფრთიანა.
შენ კი ფესვიდან მომწვიტე,
ნაკუწ-ნაკუწ და მთლიანად.

ვინ დაგვიამებს იარებს,
სიმწრის ცრემლებით ნასველებს?
ვერც შენ იხარებ სხვის ფესვზე,
ცოდვები არ მოგასვენებს.

* * *

ზოგჯერ ვერ ვარჩევთ
ყალბსა და ნამდვილს,
მინდობილები
ჩვენს გულის წადილს.
და ვრჩებით ასე,
ყალბის ამარა.
მერე ცხოვრება
აგვიხელს თვალებს,
ვეძებთ ნამდვილის
გზას და ნაკვალევს,
თუ რა თქმა უნდა
დრომ არ წაშალა.

რატომ დაგეძებ...

მაინც რატომ დაგეძებ,
ქარი თან მდევს მხარდამხარ.
რა უაზროდ ვირჯები,
რისთვის ვტირი ხანდახან?
ვიცი, განა არ ვიცი,
შენთვის „სხვისი ჭირი“ ვარ.
სულ რომ სანთლად დაგენთო,
მაინც „ღობეს ჩხირი“ ვარ.
განა ჩემი ბრალია,
რომ იქეცი ჩემს ხატად,
ისიც ამიტანია
შენ რომ უშნოდ დამხატავ.

დაგვლოცე

ფიქრი შორეულ წარსულსაც წვდება
თვალწინ უსაზღვრო სივრცეებს გაშლის,
მაშინაც იყო ყვავილობა და...
გამორევიათ ეკალი ქაცვის.

მაშინაც უცხომ დასცა კარავი,
არც განმკითხავი იყო არავინ,
შემორღვეული ქვეყნის საზღვრები,
მარტო ყაყანი ტვინის წამღები.

დღეს სხვანაირი აზრი და გონი,
ვცდილობთ ხანდახან მტერსაც გავუგოთ.
პატარა ტალღებს თავად მივაპობთ,
ცამდე აზიდულ ზვირთებს რა ვუყოთ?!

ახლაც უტიფარ ქარაშოტს ვებრძვით,
შემოგვაცვითა თითქმის სამოსი.
„მგელი და კრავის“ იგავს მაგონებს,
ჯავრი კლავთ ჩვენი ციცქნა სამოთხის.

და მაინც გული გაზაფხულს მიგრძნობს,
აწმყო ხომ ჩვენი მეგობარია.
წარსული ჩვენი სანთელ-საკმელი,
დაგვლოცე წმინდაო, დედაო მარიამ.

ნუ შემომწყრები ბუნებავ...

სითბო და სიყვარულისგან
ნეტა რამ უნდა დამცალოს?
როცა მზე ასე ანათებს,
უკიდეგანო სამყაროს.

უკუნეთს გავერიდები,
შორს მოვიტოვებ ურვასაც.
სიკეთედ დავიხარჯები,
წყალს მივწოდებ მწყურვალსა.

ოღონდაც ჯანმრთელად ვიყო,
ნუ შემომწყრება ბუნება.
ამ სილამაზის შემყურეს,
რა გამიფუჭებს გუნებას?!

* * *

დედამიწაო დაგღალეთ
ცოცხლები გძიძგნით ნიადაგ,
მკვდარსაც შენ ისვამ უბეში,
იტან ცრემლების ნიაღვარს.

შემომქმედსაც კი ვეურჩეთ,
როგორ გიცვალეთ იერი.
მოვშალეთ წონასწორობა,
მიწიერ და ზეციერი.

შენ, ჩვენს გამო ხარ სნეული,
ეს, ჩვენ გაქციეთ ცოდვილად.
თურმე ყველაზე საშიში
ადამიანი ყოფილა!

* * *

შენი სხივები
მე დღესაც მწვდება,
არც არასოდეს
დამტოვებს მარტო.
ნუ მკითხავ ასე,
რატომ ხდება და
ასე რომ ვფიქრობ
ვერ გეტყვი, რატომ...

თინიკო ხაბურზანია

ვულოცავ ჩვენს დიდ მგოსანს ბატონ ვაჟა ეგრისელს იუბილეს საუკეთესო სურვილებით და ჩემი მოკრძალებული ლექსით დიდი პატივისცემის ნიშნად.

პოეზიის ამირანი

პოეზიის მწვერვალზე დგას ერთი გმირი ამირანი,
მკლავმაგარი არა ღონით, მხოლოდ ცოდნის, სიბრძნის მადლით.

გული უდევს საგულეში ჩვილი, სათნო ბეღურასი,
თვალი უჭრის ვით მიმინოს, მხრები დააქვს კლდეთა მსგავსი.

ტანთ ასკდება საქართველოს სიყვარულის ჯაჭვ-პერანგი,
დროს და სივრცეს ომს უცხადებს, მხოლოდ წვერით კალმისტარის.

იბრძვის იწვის ბრძოლის ველზე, წვიმაში თუ ქარიშხალში,
დაუამოს ჭრილობები, მამულს დაჭრილს ცრემლად დაღვრილს.

უკანასკნელ სამოსს გასცემს, შემწე ყველა უპოვარის,
სიმართლის და ვაჟკაცობის ქომაგი და მეგობარი.

მოყვარესთან ყოვლის მთმენი, მტერთან ავი ლომის მსგავსი,
გულმხურვალე და უბიდან სიბრძნის მთესი და მომყვანი.

ხან აიწყვეტს, აიჭრება არწივული მძლავრი ფრთებით,
სიყვარულის ლექსით ნაგებ ბუდისაკენ ბედისწერის.

დასაპყრობად პოეზიის მეცხრე ზეცის ლურჯი თაღის,
სად გადიან ბეწვის ხიდზე წამებულნი და მართალნი.

ლექსის ყულფით გაიარა თვით უმადურობის რვალში
სამშობლოა მასთან დღემდე ამ თავდადებისთვის ვალში.

მთებად დადგა მომავლისთვის მადლცხებული კრებულები,
რომ ვერავინ ვერ აწონის, ვერც ოქროთი ვერც ფულებით.

მკერდზე ლექსად გადიწერა კოლხეთის მზის სიყვარული,
ფსალმუნების ოქრომკედით გულზე, რომ აქვს მიქარგული.

პოეზიის მწვერვალზე დგას, დღეს ეს გმირი ამირანი,
გვათბობს მკითხველთ ციდან უხვად პოეზიის ცეცხლის მადლით.

საბედნიეროდ

ვამაყობ ძლიერ, ყოველთვის როცა,
ვიხსენებ წარსულს და გმირ ქართველებს.
და გულში ყველა იმ დედას ვლოცავ
მათ სახელებს ვინც შვილებს არქმევენ.

და დღემდე ისმის: თამარი, ბექა,
ქეთევანი, საბა, ლუკა, ზვიადი.
გვაქვს ქვეყანა გმირთა სავანე-მექა
თვით უფლის ბედთან წილნაზიარი.

უფრო გიორგი, დავით - ძლიერობს,
ისმის შიგადაშიგ ამირანიც.
ჩვენდა იმედად და საბედნიეროდ,
არსად, არცერთი, ჯერ, შადიმანი.

რა გვიან მივხვდი

ეს, მერამდენედ უკან დამიგორდა,
აღმა ატანილი ლოდი სიზიფეს.
ხელმოცარულთა ხომ არ ვარ მოდგმა,
ეს, გულდაწყვეტილმა ბევრჯერ ვიფიქრე.

ძალა კი, რომლითაც ლოდს ვეზიდები,
მხოლოდღა რწმენის სიწმინდეშია.
სიმდიდრე, რომლითაც ბედს ვეჯიბრები,
მარტოდენ სულის სიდიდეშია.

არ კმარა თურმე მარტოდენ ბრძოლა,
ცბიერების უნდა გქონდეს უნარიც.
ცხოვრება ემსგავსება სიზმარს და ბოდვას,
თუ სინდისზეც არ თქვი ზოგჯერ უარი.

უთმენელის უნდა შეძლო მოთმენა,
ეშმას ხრიკებისაც გახდე ზიარი.
თუ ვერ შეძელი ვერცხლის მონება,
გაგიცამტვერდება ყველა მიზანი.

რა გვიან მივხვდი, რომ ლოდს სიზიფეს
ამატანინებს იქ მთაზე გრიალით,
არა სიმართლე ჯვრად, რომ ვიტვირთე,
ძალა სიხარბის და შურის გრიგალის.

ასე მგონია

თითქოს დამთავრდა გლოვა ცრემლებით,
დრომ მზე სხვა მხრიდან ამოგვიყვანა,
მაინც დავდივართ ხელის ცეცებით,
დიდმა მიზანმაც გვერდს ჩაგვიარა.
ჩვენ სულ სხვაგვარად ვჭვრეტდით მომავალს,
სიცრუის ხიბლით დრო მოიწამლა.
თავს ვეღარ ვაღწევთ უღირს მონობას
და მოგვიტანა:
სამყარო სადაც დიდი სიმართლე
სულაც ზედმეტი ბარგი ჰგონიათ.
სად ჩხრიალი ვერცხლის, მისი სიმრავლე,
კაცობის ასაწონი ჰგონიათ.

კაცი უბრალო, წყნარი მშრომელი,
სად განტევების ვაცი ჰგონიათ.
და შთაგონება სად შემოქმედის,
დახლზე სავაჭრო ნივთი ჰგონიათ.

სამშობლოს მცნება, ხატად ქცეული
სად დრომოჭმული მცნება ჰგონიათ
და სიყვარული ამაღლებული,
სად ერთჯერადი სექსი ჰგონიათ.

შეჯიბრი ღვარძლის გადმონთხევაში,
სადაც ცხოვრების ნორმა ჰგონიათ
და შავის ურცხვად გათეთრებაში
ბრძოლა ღირსება სადაც ჰგონიათ.

თავისუფლება აზრის და სიტყვის
სად სხვათა აზრის გმობა ჰგონიათ.
ვის მეტი ცოდვის ამძიმებს ტვირთი
მესია სწორედ ის, რომ ჰგონიათ.

სწრაფვა ერისა ღვთის გზაზე დგომის
ბნელი წარსული სადაც ჰგონიათ.
სად ღვთითგმობილი ცოდვა სოდომის
ნათელი მომავალი ჰგონიათ.

მსგავს სამყაროში კი ყოფნის მწარეს,
არყოფნა სჯობს სულაც ასე მგონია...
და მაინც მჯერა
ეს მღვრიე წყალნიც წამოვლენ, წავლენ,
ქვიშა დარჩება ბოლოს-მგონია.

ლეილა გაფრინდაშვილი

ო, რა ქარია

გარეთ ყინვაა, რა ზამთარია,
გულში დაიდო სევდამ გალია,
ო, რა ქარია!
მოაქვს, აგროვებს ნაღველს ფანჯრებთან,
ჰო, ჩემს ფანჯრებთან,
ჰო, ჩემს ფანჯრებთან...
თითქოსდა ეულს,
გათოშილ სხეულს
ეს ყოფა ზარავს,
წავალ და დავცემ იქ, უღრან ტყეში,
კოპიტის კარავს
და ჩავსახლდები...
და გავლაღდები...
დღეს ასე მინდა,
რა სიმშვიდეა!
მესმის გალობა,
გადაღმა მთიდან
და აღარ მცივა,

* * *
ჩამოინგრა სევდის გალია,
ო, რა ქარია!
შეშა მოვნახე,
შუა ცეცხლი ავაგიგინე,
მაჭირვებელნი
სიკეთისკენ გადმოვიბირე.
დღეს ასე მომწონს,
აქვე ვპოვე სულის მარაო,
ყურში ჩამესმის ტყის სიმღერა:
-სევდა კმარაო!
- სევდა კმარაო!

ეს დღე

გადაგორდება ეს დღეც და
კარს შემომიღებს ხვალე,
აღარც ხალისი მსტუმრობს და...
ვეღარც ვარსკვლავი ვთვალე.
უსიტყვოდ-ქცევის ნათოვლი
 ვეცადე, ვეღარ ვკვალე,
დაჭინჭრულ გულის იარა,
ფიქრების სკივრში ვმალე.
რას მომცემს, ქვეყანას მისწვდეს
ჩემი ტკივილის ექო?!
როცა სიყალბე ბობოქრობს
და ორპირობა მეფობს.
სჯობს გამოვკეტო გულაგში
სევდის, დარდების გუნდა,
თქვას შინაურმაც, მავანმაც,
ეწვოდა, მაგრამ დუმდა!

რადგანაც თმენას ელტვოდა,
რადგან მშვიდობა სურდა!!!

აქ, მხოლოდ აქ

აქ ჩემი ნაქსოვი ლექსებია,
ღამენათევი, ხან მზით ნაწერი,
აქ ყველაზე ნაზად მეხებიან
რითმები, გრძნობისკვალმინაწერი.

აქ ჩემი მამული მიერთგულებს,
აქ სევდას მოყვასი დამიამებს,
აქ დამიყვავებენ მეგობრები,
აქ მომიშუშებენ ნაიარევს.

აქ, მხოლოდ აქ დამეწერება ლექსები,
ღვთითციურმოფრენილი,
აქ, მხოლოდ აქ ამედევნება მუზები,
სიამით მოფენილი.

აქ, მხოლოდ აქ მომიქარგავენ
სირმებით სამოსს და გულისკარებს,
აქ, მხოლოდ აქ ვიგრძნობ მიწის სურნელს,
აქ, მხოლოდ აქ ... ნისლშიც გავიდარებ!

მერე კი... როდესაც საფრენ ბილიკს
ფეხს დავდგამ ზეცისკენ ასაფრენად,
ცრემლით არ დამალტოთ, მ ი გ ა ლ ო ბ ე თ,
სულის სიმშვიდედ და გადარჩენად!

მუზებს ავყევი

ფიქრი ბობოქრობს,
გამთენიას ამეკვიატე,
მთლად ამერია ერთმანეთში აწმყო, წარსული,
მუზებს ავყევი, საფლავს მოსვლა დავაგვიანე,
ალბათ, ლექსებიც სიშლეგეა ამ გაზაფხულის!

იქნებ გგონია მიგატოვე, გადამავიწყდი?!
ჩაჰყევ ნაწერებს, ჩაუღრმავდი და გაიაზრე,
ეს მელოდია დაგარწმუნებს, ხშირად ჩემთან ხარ...
ახლაც გიხილე სისხამ დილით, ამ განთიადზე!

და... ვანთებ სანთელს,
გლოცავ ღვინით, ალადასტურით,
იქნებ ეს ლექსიც სიშლეგეა ამ გაზაფხულის!

გამთენიისას

გამთენიისას ოცნებები აჰყვა ბილიკებს,
ჩადრიან ღამეს შავი კაბა შემოახია,
გადაალაჯა ბოროტების ბნელ ლაბირინთებს,
ბედნიერებით სავსე სკივრით შეხვდა განთიადს!

სისხამ დილაზე, სიხარულის მაუწყებელი
ზეცა, ლურჯ მანდილს დედამიწას მხრებზე აფენდა...
ჩემი მამული ამ სამოსში ჰგავდა პირიმზეს,
ერი ხარობდა და ნატვრის ხე ტოტებს არხევდა!!!

დღეს! მზის ასული კაშკაშა სხივი ეფინა არეს-
დღესასწაულზე მოუხმობდა მიმალულ მთვარეს!

ვით მელოდია!

/ილია პატაშურს/

მთის სისპეტაკე სახეს გაჩნია,
გუდიაშვილის მადლით ცხებულხარ,
ფუნჯით, ფერწერით, ილუზიებით,
სამშობლოს ხმაზე ამღერებულხარ!

უკიდეგანო სივრციდან უმზერ
მამულს, ანათებ ვით სხივი მზისა,
გადმოხეთქილა როგორც ჩანჩქერი...
ნიჭი ქართული გენის და ზნისა!

გადავიკარგე ფერთა გამაში,
ჟღერს ნახატები, კავშირი ღმერთთან
ვირწმუნე, შევსვი თასით ბადაგი,
„დიდგორის ბრძოლა“- სირცხვილი მტერთა.

ირმის რქა, პაპის ნანადირევი
ხელნაქსოვ ფარდაგს თავზე დაჰყურებს,
ხმალი, ხანჯალი და მუზარადი
ბრძოლის ჟინს მიჩენს, მავსებს, მაპურებს.

„ ხმელი წიფელი“, „ბროწეულები“...
სულს ჩაწვდა,ხიბლით ამიყოლია,
ისე დავფრინავ ამ სამოთხეში,
ვით ზღვის ტალღებზე თეთრი თოლია!

დღეს სტუმრად მოვედ ღვთის საუფლოში,
ტილოებიდან მესმა ხმაური
და გზად მიმყვება ვით მელოდია
ნიჭიერების აურზაური!

მტკივა

რატომ გიკვირთ თვალი რომ მაქვს სველი?
როს ზეციდან წვიმას ცრემლი სცვივა,
ტირის, ტირის, მეგობრობის ღმერთი,
სამაჩაბლო, აფხაზეთი სტკივა.

მავთულხლართებს, გზახერგილებს, ხრამებს,
ძალადობით გადათელილ მიწას,
გმირ ბიჭების შეშრობია სისხლი,
გახსენება მინგრევს გულის ფიცარს.

მკლავმაგარი, საჯიშე ბიჭები,
დაგვიხოცა უსამართლო ტყვიამ,
რატომ გიკვირთ თვალი თუ მაქვს სველი?
სამაჩაბლო, აფხაზეთი მტკივა.

სულს მიკაწრავს გმირ ქართველთა ბედი,
სიცოცხლე რომ დათმეს ბრძოლის ველზე,
მტლად დაედნენ მამულს სისხლის ფასად
და სამშობლო დაიწერეს მკერდზე!

ზელა ალანია

ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!

იანვრის სუსხი აღარ მაშინებს,
ვიდრე გიზგიზებს გულში ხანძარი,
არც მშველელს ვუხმობ, არც მოსეირეს,
ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!
როგორ ვეჩვევით და ვუძლებთ კიდეც
გამუდმივებულ ამბებს სიკვდილის.
ჭირისუფლობას იჩემებს ეშმა,
გავეშებული ყურში მიწივის.

ვერ გავერიდე წარსულის ლანდებს
ჩემთან რომ დარჩნენ, არ იქცნენ ფერფლად.
მკერდში ჩამიდნა მტკივანი გული,
ზოგჯერ მგონია, აღარც კი ფეთქავს.

ვერ გამოვლიე თალხი სიზმრებიც,
სარეველებით რომ მივსებს მინდვრებს,
ვერც მოყვრად მოსულ მტრებს გავერიდე
და მათთან ერთად ცხოვრება მიწევს.

მაგრამ ხომ არის სულის სვენება,
უკუნის მნათი ციდა ლამპარი?!
არც მშველელს ვუხმობ, არც მოსეირეს,
ეს ბრძოლა, ზუსტად ვიცი, რაც არის!

*

შენს დანახვაზე მინდა რომ თრთოდნენ
ჩემი მუხლები კვლავინდებურად,
რომ ისევ შენი იმედი მქონდეს,
ვითომ არც რამე დავიწყებულა.
არც მონატრებას ელევა სული,
როგორც დეკემბრის ქარში ბეღურას.
შენი ხმა ისევ ისე მიყვარდეს,
შენმა თვალებმა ცად მიმეგზუროს,
ღაწვებზე მესხას მაისის ვარდი,
მზის ოქროქარვა თავზე მებუროს,
სულში გნიასი იყოს პეპლების,
სასიყვარულო და საერთგულო.

*

წუხელ წვიმდა და
შენც წვიმასთან ერთად მოხვედი,
ბაღში დავტოვე
მოლბერტი ზედ შენი პორტრეტი.

აწვიმდა ღიმილს,
მეც მატანდა წვიმა შხაპუნა.
იმედმა, როგორც
დარმა კარი გაიჯახუნა.

მისველდებოდა
შუშაბანდის ძველი ფარდები,
ფანჯრის მინები
დაწინწკლული ძველი ამბებით...

მისველდებოდი,
მეშლებოდი ფიქრშიც, ტილოზეც,
ოცნებებივით
წლების წინ რომ გადმოგილოცე.

ეჯიბრებოდა
წვეთების მარშს ფიქრის ნაკადი,
წვიმაზე მეტად
მამცივნებდა შიში დაკარგვის.

მესმოდა როგორ
ხარხარებდა ცეცხლის თვალებით,
ელვა-ქუხილით
და ბნელ ცაზე გაგრიალებით.

ფიქრსაც გავასწარ,
ალუბლების ბაღზე მოფენილ
წვიმას მოვტაცე
მოლბერტი და შენი პორტრეტი.

ტილოს კაბა და
ტილო ბანზე წყვილად გავფინე,
შენი ღიმილი
წვიმით წაშლას გადავარჩინე...

წვიმს დღესაც, რატომ
გვიანდები, რად არ მოხვედი?!
ბაღში მოლბერტი,
მოლბერტზე კი შენი პორტრეტი.

პირველი სიყვარული

ცხოვრების წლებში მძივივით გაბნეული, ჯერაც სიხარულის, აღტაცების მომგვრელი; გულის ტილოს მზით, მთვარითა და ვარსკვლავებით მომხატავი. „დამნაშავის“ სახელი და გვარია – პირველი სიყვარული! ქვიშაში ჩაფლულ მანათობელ ნივთს რომ წააგავს და ქარის ყოველ შემოქროლვაზე მზის და მთავრის შუქი აბრწყინებს. შუა ზამთარშიც გაზაფხულად დაგყვება კუდში ჭირვეული და წვიმიანი, მაგრამ მაინც თავბრუდამხვევი, მაინც მუდმივად სასურველი, დაუთმობელი, მზის პირველსხივზე გაშლილ ტყემლისყვავილიანი...
სკივრში შენახულ სულ პირველი პერანგივით გულში ნანახი ახლაც რომ მოგწონს, თუმც არა და აღარ გეტევა გაზრდილსა და წლებით გამოცდილს.
რამდენი ხანი დადიოდი ბრმა ყრუ-მუნჯივით, უსიყვარულოდ.... მერეც, დიდხანს ვერც კი მიხვდი, რომ შეგეყარა, ბინდბუნდივით ფეხაკრეფით შემოგეპარა... და როცა მიხვდი, მას მერე ცხოვრობ სიზმარ-ცხადში, იმ კუნძულზე სადაც მუდამ გაზაფხულია და მინდვრებში ყვავის ბილილა გათოვს და გათოვს პირველთოვლივით მოულოდნელი, ეგეც პირველი... უხვად გათოვს, გულდაგულ და თანაც უმანკოდ. სიფაქიზით და სინატიფით მწვანე მდელოზე ამოყინწულ ბაბუაწვერას შეედრება - რომ შესცქერი და გეშინია, ქარიშხალივით მოვარდნილმა ბობოქარმა წლებმა უცებ არ გაგიძარცვონ, ხშირად ისედაც განწირული გასაძარცვად და დასაღუპად თქვენ ორს შორის კი გაბმულია უკვე ძაფები. გააბედინებ ფიქრს გააგნოს გზა მის გულამდე. თან დაადევნებ მონატრებას, სიტყვას ტკბილხმოვანს, „კვლავ შეხვედრამდე.“ მერე ერთურთში განზავდება თქვენი ცრემლი და სიხარული და ერთ საწოლში გაითევს ღამეს თქვენი სიზმრებიც. ამ ბლობიდან და კვლავ ბლობამდე, ამ ზამთრიდან და კვლავ ზამთრამდე, არ იცვლება ამ და იმ მთის სიყვარულის ძველი ამბები... არ იცვლება ზნე და წესი სიყვარულის და შეყვარებულის მიწიდან ცამდე მერამდენედ გაიხსენებენ, მერამდენედ დაბლანდავენ მათზე ჭორ-მართალს, თუმც ერთმანეთზე გადაბმულ მთებს, შეყვარებულებს, ვეღარავინ და ვეღარაფერი დააშორებს ამ ბლობიდან და კვლავ ბლობამდე, ამ ზამთრიდან და კვლავ ზამთრამდე ვეღარასოდეს!
და თუ ოდესმე დაძველებული, დაღლილი ფიქრი დაგიბრუნდება, გამოგონილი ალუბლების ბაღში იწყებ ისევ ხეტიალს, გელამუნება მწიფე-მწიფე ალუბლებით, გეჩურჩულება, აქ ერთდროულად შენთვის ჭიკჭიკებს, სტვენს და გალობს ყველა ფრინველი; მორცხვ და უფერულ ნიავს კი კვლავ შეხვედრების სურნელი მოაქვს;
ის კი, პირველი სიყვარული, მზესუმზირას ყვავილივით ყვავის და ყვავის და მის სითბოს ეფიცხება ირგვლივ ყოველი.

*

ხანდახან ისე მომინდება გულში ჩაგიკრა,
რა ვქნა თუ გრძნობა სტრიქონებმაც ვერ დაიტია?!
შენთან მომიყვანს, შემაშველო იქნებ ხელები,
სიყვარულის გზა საცალფეხო ბეწვის ხიდია!
თოვლის ფიფქივით მადნებიან ხელში წუთები,
ხელისგულზე კი ზიგზაგები ამბებს ჰყვებიან...
სანუგეშებლად მეხვევიან შენზე სიზმრები,
მერე ცხადშიაც დიდხანს, დიდხანს გამომყვებიან.
მომეცი ძალა, დავითმინო უმთვარო ღამე,
ამ გულში ახლა, დამერწმუნე, წვიმს და ბინდია,
ცა-ხმელეთს შორის გაბნეული ჩემი ფიქრები,
როგორ არ გითხრა, ცისკიდურთან ისევ გიცდიან...
შენკენ მოვყავარ უსასრულო სიყვარულის გზას,
ეს მონატრება სტრიქონებმაც ვერ დაიტია.

ლელა კობერიძე-ჭიაურელი

ერთი ფურცელი უახლესი ისტორიიდან „უკრაინის ომი“



შეჩერდით! რკინის ჩიტებო
შავად დაფრინავთ ცაზე,
პატარებს გულებს უხეთქავთ
ბომბებს რომ აყრით თავზე.
ვერასდროს წარმოვიდგენდი
რუსეთის ამგვარ ღვარძლზე,
ერთმორწმუნე ერს რატომღაც
ააფეთქებდით ნაღმზე.
არ გიფიქრიათ საერთოდ
თქვენს თავზე, ანდა სხვაზე?
ესაა თქვენი მრწამსი, რომ
ქრისტე გააკრათ ჯვარზე?
მაშ სამშვიდობო ძალები
რისთვისა გქვიათ ასე!
თუ მეზობლების სისხლს დაღვრით
და ცეცხლს აიყვანთ ცამდე.
თავისუფლებას ვერ ჩაკლავთ
ისეთ მეომარ ხალხთან,
როგორიც საქართველოა
და უკრაინა გახლავთ!
ეს რა წესია ომობდე
ვითომ მშვიდობის ხარჯზე,

მონიშნულ ადგილს „ბავშვები“
ბომბებს აყრიდეთ მარჯვედ.
ჰეი, თქვენ ბარბაროსებო,
ომი შეწყვიტეთ მალე,
ურწმუნო ფარისეველნო,
აქ დამარცხდებით მწარედ.
შეწყვიტეთ ომი, შეწყვიტეთ!
კმარა ამდენი დაბომბვა,
მიწა ხომ ისე მოწამლეთ
ბალახიც აღარ ამოვა.
ეგ ნაბიჯები არ გადის
ქრისტიანობის მრწამსზე,
სასტიკი დანაშაული
მოგეკითხებათ მალე!
ურჯულო ერად იქეცით
გაუთანაბრდით მხეცთა,
სულ ძალადობას აღვივებთ
თქვენს ხალხთანა თუ სხვებთან.
მეზობელ ქვეყნებს თავს ესხმით
გაუმაძღარნო მიწითა,

თქვენი წილ-ხვედრი არ გყოფნით
ცდილობთ წაიღოთ სხვისიცა.
სამხედრო დანაშაულის
გენოციდს აწყობთ ახლა,
თაობა არ გაპატიებთ
ერის გაჟლეტის ამბავს.
დიდი რუსეთის ელიტა
განვითარებას ასცდით
წარსულში გადაინაცვლეთ,
და ბოროტებით წახდით.
ომი მშვიდობით შეცვალეთ,
შეცდომებს უშვებთ „რაშა“!
ხომ ხედავთ სად მიგიყვანათ
თქვენმა ტანმოკლე-ფაშამ.
უძლეველობის მითები
დიდხანს ატარეთ კარგად,
ბევრი თაობა გაგვზარდეთ
როგორც ზღაპარში, მაგრამ
ბოლოს თავზე დაგვაქციეთ
თქვენ შხამით სავსე კათხა.
ტყუილი – გამოგონილის
იყო ზღაპრების დადგმა,
რუსეთის იმპერია ხომ
გახდა სისხლი და ჯვარცმა.
საბჭოეთს რას არ აძლევდით
თავისუფლების გარდა.
წადი შენი გზით იარე,
სისხლი სასჯელად გაგყვა,
ცხრა აპრილს გადაგვიარე,
ბოროტს პატრონი არ გყავს.
არ გვაპატიეთ რატომღაც
საბჭოეთიდან გასვლა,
ეროვნულ ღირებულების
დაბრუნება და მართვა.
ვერ აიტანეთ თქვენ ჩვენი
ცივილურ ერად აღქმა,
ბომბებიც არ დაიშურეთ
რბევა-გლეჯვა და ძარცვა.
სისხლით შეღებეთ ყოველი
საქართველოს გზა – მასკვავ,
პუტინის ავტორიტეტი
რაშიზმ-ფაშიზმთან წარსდგა.
იგივე გაიმეორეთ
კვლავ უკრაინელ ხალხთან,
ჯოჯოხეთი რომ მოაწყეთ
იქაც გმირები დაგხვდათ.
იცოდეთ, რომ დამარცხდებით
ირგვლივ მეზობელ ხალხთან,
რადგან სიმართლე არა გაქვთ
ვერც გამარჯვებას ნახავთ.
ნეტავ გონს მოეგებოდეთ
ნეტავ დაფიქრდეთ კარგად,
პუტინო ომი შეწყვიტე
მონსტრად არ იქცე მართლა.
შეწყვიტეთ ომი შეწყვიტეთ,
დრო ბოროტების კმარა,
ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეს,
ხალხს რა უფლებით პარავთ.



აზა შანავა

სამაისო

აუჭრელდა ატამს კაბა,
ტყემალს ქარი უფრიალებს –
საპატარძლო ლამაზ ფატას.
ალუბლების ყვავილები,
თითქოს თოვლის ფიფქებს ქარგავს.
არც ჭერამი არ ჩამორჩა
და ტოტებზე ყვავილები,
გამონასკვა როგორც ბაფთა.
დაჩითულა მთა და ველი,
დაემსგავსა ლამაზ ფარდაგს.
ზამთრისაგან დადაგული,
აყვავილდა ეს ქვეყანა.
გამიჭირდა, ვერ ვიცანი --
გულმა ისევ გაიხარა.
ყაყაჩოებს ყვავილები,
გაუშლიათ მზის სადარად.
პეპლები კი გვირილებზე ფარფატებენ,
უკოცნიან პაწაწინა ლამაზ გულებს.
საოცრებას თვალს ვუსწორებ...
მიკვირს ამის შემომქმედის,
ნუთუ, მართლა დავიჯერო?
მას არ უკვირს, შეუქმნია რაც მის ძალას!
საოცრების მოსწრენი ვართ...
სასწაულის ზეიმია...
შეიძლება?!
ამ ყველაფრის შემხედვარეს,
რომ სიცოცხლე არ გინდოდეს
ან ბრაზობდეს გული განა!
ცას შეხედეთ... მზეს უყურეთ...
ირისების ფერებია...
ნაწვიმარზე ცისარტყელას --
შუამავალს ცის და მიწის,
მადლის ნიშნად უფლისადმი,

დაიფარე შენ უფალო

ვარდი,დარდი, ფიქრი, ფიფქი ,
გაუვალი გზა, ბილიკი...
ხინჭკვი, ხიჭვი, ფეხშიშველი...
მარტო...მარტო, ნუ დადიხარ,
მე ვერ გშველი...
საით მიდის გზები ჩვენი,
ვერაფრით ვერ ამიხსნია...
ქარი, ფარი, არსად არის...
მთას არწივი, არჩვი, ჯიხვი.
ბარს ირემი -- რქა ქორბუდა...
წყაროს წყალი მორაკრაკებს...
გოგო დოქით, ყელი ბროლის,
მიგოგმანებს როგორც გნოლი,
გზად კი ვაჟის თვალი წყვილი,
თვალს აყოლებს როგორც გზირი.
გოგოს ლოყა აეფაკლა,
აუჩქარდა მკერდში გული...
დარდი, ვარდი,
გაზაფხული...
ყაყაჩო და გვირილები,
ვაჟი დაწნავს ლამაზ გვირგვინს...
ცა, ღრუბლები...
წვიმა, ქარი.
მინდორია წვიმით მთვრალი.
გზად გოგონას დაეწია,
სავსე არის წყალით დოქი...
ბაგე ლალი,
კბილი ბროლი.
თავს გვირგვინი,
მუხის ხე და წვიმა, თქეში...
შეამცივნა კოხტა გოგოს,
ჩაიხუტა ბიჭმა გულში...
დოქი იქვე წაქცეულა
და დაღვრილა კოკა წყალი...
ვარდი...დარდი...
სოფლის გზაზე მიდის წყვილი...
გავაყოლე და მეც თვალი...
დარდი, ვარდი, ფიფქი, ფიქრი.
დაიფარე შენ უფალო!
ეს გოგონა და ეს ბიჭი...

ზეცა დაუმშვებენია.

სევდა

ფიქრები სევდიანი ავკინძე მძივებად.
მკერდზე დავიბნიე როგორც ავგაროზი.
რაც უნდა სცადო სხვის დასანახად
რომ ითამაშო ხარ ბედნიერი,
საკუთარ თავს ხომ ვერ წაუხვალ, ვერ გაექცევი....
დღე თუ იცინე...
აგიწვავს ღაწვებს, ღამე ცრემლებით...
რაც დაუმალე მზეს... დღის სინათლეს...
ღამე პირბადეს აგხდის და მარტოობა,
მოჩვენებით სულის სიმშვიდეს,
წამში გააქრობს...
აკივლდებიან, როგორც ქარები --
 მაღლა მთის წვერზე
და ტკივილები, შენი ნერვის ყველა
ჯებირს დალეწს, დაანგრევს...
მერედა მთვარე, ვით დასტაქარი თეთრი ხალათით,
მოგევლინება და შეეცდება, ვითომ გიშველოს...
მაგრამ ამაოდ ეს ყველაფერი...
არ არსებობს რომ ტკივილები ასე გააქრო.
იყუჩე, სულო! ღმერთს ევედრე,
თმენის ფიალა რომ არ აგივსოს....
და ოდეს, როცა გადაივლის ეს დღეც და ღამეც,
სულ სხვა სამყაროს სიფერადით რომ ავივსებით...
ვინ იცის, ეგებ! აქ ნატკენი სულის სანაცვლოდ:
ყელსაბამი სევდისფერი ფიქრთა მძივების,
გარდაიქმნას, იმქვეყნიურ ულამაზეს მარგალიტებად!

რითმები!

გაბადრული სავსე მთვარე,
ცას უხდება როგორც ბროში.

დავალ ჯიბე ცარიელი,
არ მიჭყავის ერთი გროში.

ფეხზე კიდევ გამცვეთია,
საყვარელი ძველი ქოში.

კოდალა ხეს უკაკუნებს,
გაუმართლა დამპალ მორში.

მე, კი -- ისევ მენატრება,
შუა ცეცხლი ბებერ ქოხში.

დავალ მაინც იმედებით,
სეტყვასა თუ წვიმის თქორში.

ზურაბ მამულაშვილი

ზურა მამულაშვილი

გოგონა ჩითის კაბაში

მზე ერთნაირად ამოდის
სოფელშიცა და ქალაქშიც,
სახლიდან აღარ გამოდის
 გოგონა ჩითის კაბაში.
ყველას შარვალი აცვია
სამსახურში თუ ბაზარში,
მომნატრებია პრანჭია
გოგონა ჩითის კაბაში.
რამდენჯერ უცებ შევჭრილვარ
ლამაზმანების კარავში,
ერთი გოგონაც ვერ ვნახე
პეპლისფერ ჩითის კაბაში.
აღარც სოფელში დავეძებ,
აღარც-მეზობელ დაბაში,
მგონია,იქაც ვერ ვნახავ
გოგონას ჩითის კაბაში.
რაც ლექსი დამიწერია
სულერთიანად გადავშლი,
ოღონდაც ერთხელ მანახა
გოგონა ჩითის კაბაში.

დედას

გაზაფხულდა,დედი, ისევ თბილისში,
ჩემი გულიც უცნაურად აძგერდა,
მითხრეს, როგორ გაჩნდი ღიმილ-ღიმილში
და შენ აკვანს ქარი როგორ არწევდა.

რომ გაზრდილხარ ისე დამშვენებულხარ,
ჩვიდმეტი წლის მოგიტაცეს სულ ბავშვი,
შენი მსგავსი, როგორც აქ თქვეს ძველებმა
არავინ არ დადიოდა უბანში.

ბავშვობაში სურათებსაც მიღებდი
ცხოვრებაში არაფერი შეგშლია,
შენთვის ვიყავ ერთად-ერთი იმედი,
ჩემი თავი სიცოცხლეს რომ გერჩია.

კარგად იცი, მეც რა რიგად მიყვარდი,
უშენობით წუთითაც რომ ვერ ვძლებდი,
რა ვქნა , დედი, არაფრით არ მჯეროდა
შენს გარეშე სიცოცხლეს თუ შევძლებდი.

შუქი არ ჩანს ნახალოვკის ოდაში,
დარისათვის პირიც აღარ უჩანს მზეს,
შენი ლანდი, როგორც შენ ბავშვობაში,
დღესაც დადის იმერეთის ქუჩაზე .

***

ვეძებ, ვეძებ, ყველგან ვეძებ
იმ ხელსაყრელ მომენტებს,
იქნებ სადმე გადავაწყდე
მონატრებულ პოეტებს.

ვეფერები ქუჩებს და
ვეფერები მოედნებს,
მინდა, გვერდით ამოვუდგე
ახალგაზრდა პოეტებს.

დღეს კი, დღეს კი ამ დარბაზს რომ
ჟრიამულით მოედნენ,
რაღა მომკლავს, როცა ვხედავ
ერთად ამდენ პოეტებს.

როგორც უფალს ვევედრები,
ისე მიეთ-მოეთებს,
ჩემზე მეტი დღე მიეცი
გადარჩენილ პოეტებს.

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

დუმილით

მოსაღამოვდა მზე ჩაესვენა,
ათინათებად დილით ამოვა,
ოღონდაც ტკივილს ნუ გამახსენებ,
და ცრემლი თვალზე ნუღარ ჩამოვა...
რწმენის აღმართზე შემოვაბიჯე,
ღრუბლებო, ნისლში აღარ გამხვიოთ,
სიმშვიდით ვითვლი განვლილ ნაბიჯებს,
ხან ვფიქრობ წლები გადავახვიო.

დღე უფერული

დღე უფერული და უღიმღამო,
მიდის და უკან არც იხედება...
მოვა ღრუბელი კვლავ ამ საღამოს,
ჩემს და ძილს შუა გაიხიდება...

დღე არ ფუსფუსობს, დუმს ძველებურად,
არ ჟრიამულობს ქუჩის ბიჭები,
არ ჩანს გიორგი, არ ჩანს ჯამბულა,
გული გამიხდა დანაჯინჭრები.

ვირტუალური გახდა ცხოვრება,
იმედი უკვე კბილით მიჭირავს,
ვერ გამიგია, რას იფხორება,
მსოფლიოს სახრე გადაუჭირა.

რობოტივით ვარ სხვისი სამართი,
გულის ისრები ავიდ-ჩვიდა,
უნდა გავიგო მზის მისამართი,
იქნებ ამიხსნათ საით წავიდა?

დუმილი

არა არ იომო არავისთან,
გულო, სიმშვიდეა შენი ჰობი,
თევზი არ ამოდის არაგვიდან,
დუმს და სიჩუმეთი ყველას სჯობნის.

ძველი მითები

როგორც მეძუძურს ისე წასკდა რძე ლეღვს კანიდან,
თოთო ბავშვივით გამეთხაპნა,ხელის თითები,
ძირულის პირში ფესვები მაქვს დასაბამიდან,
იმ მთებში არის დამარხული ძველი მითები.
ტყის ნეკერჩხალი საპატარძლოდ გამოწყობილა,
მწვანე ძმერხლს გული შეუკრია წითელ ღილებით,
ამ სილამაზით თვით უფალი დაკმაყოფილდა
იქ იზრდებიან, პოეტესა სულის შვილები!

ბრმებია უფალო

არაფრის გულისთვის დარდში არ მაცხოვრონ,
შენ იცი უფალო, ვისთვის რა ვაშენე,
სიმშვიდით ცხოვრება ცოტახნით მადროვონ,
დავფიქრდი, სიბრმავე, უკვე მეც მაშინებს.
ვპატიობ, ასი წლის დიდი დღე ჰქონოდეთ,
იმღერონ, იცეკვონ, სულ ჰაი-ჰარალო,
ოღონდაც უაზროდ არავინ ომობდეს,
სიხარბით, ფულისთვის თავი დაკრძალონ!

ცხოვრებას ვაგრძელებთ

უფალი ჩვემშია სულშია სალბუნად,
გვფარველობს, მივიკვლევთ ბილიკებს
ღვთის რწმენით,
თუ ბედმა დარდი და ცრემლები გვარგუნა,
ცხოვრებას ვაგრძელებთ რწმენით და დათმენით.
ზეცამაც დაფანტა ღრუბლები ქარიშხლით,
იქროსფრად მოჩანან ვარსკლავი ზეცაზე,
წვიმები ჯიუტობს ჩამოსვლას არ იშლის,
უნაგირს მოაწყობს ცის სეტყვა ელვაზე.
და მაინც მაისმა, ღვთის რწმენის სურნელმა,
იმედის ვარდებმა დაათრო სამყარო,
ქარიც კი შეშინდა დაგვითმო სულელმა ,
რწმენა გვაქვს ფარხმალი რატომღა დავყაროთ!

ნამხეცარი

ისევ იწვიმებსო კარგახანი,
ციდან დაფარფატებს სევდის ფიფქი,
მიწა, სიკვდილის რქით გადახანი,
ღმერთმა ყველაფერი კარგად იცის.

შიშვლად მოხვედი და შიშვლად წახვალ,
მკლელო, გელოდება წასვლის ქარი,
მძულხარ! დაგიღია მგელო, ხახა,
მიწა იარსებებს ნამხეცარი!

ოქროს საწმისო

ვცდილობ გიპოვნო, ბედნიერების
გულის საწყისო,
ვიბრძვი წვიმებშიც, ვეომები ღრუბლებს
თქოროანს,
მაინც გიპოვნი, ერთგულების
ოქროს საწმისო,
საქართველოსთვის მჭირდება
და ვატყობ შორია.

გვერდზე არ დამიჯდეს

დავსველდი, წვიმაა, ნეტავ თუ იკარებს,
რას ვიზამ განვაგრძობ, წვიმაში ხეტიალს,
გამოცდას მითხარით ნეტავ ვინ იბარებს,
თუ წავალ მომავალს, ჩემზე რას ეტყვიან.
გართობას საერთოდ ისეც არ ვცდილობდი,
ვშრომობდი, ვწვალობდი, წიგნები მიყვარდა,
თავს ვხრიდი ყველასთან, არასდროს ვდიდობდი,
ის წლები წავიდა, შორს წარსულს მიბარდა.
ახლა მე ვინა ვარ, მჯღაბნელი რაღაცის,
თუმცა შენ უფალო, ამისთვის მადლობა,
სიმაღლით ვიარე, ჯაფით და ბარბაცით,
ჩემს გვერდით უშრომელს, აქვს თანაფარდობა.
ჯანდაბას „გაწყდეს იქ სადაც, რომ ვიწროა“
წინასწარ რას ვითვლი გადადგმულ ნაბიჯებს,
დროს მივყვე კვალ-დაკვალ, დრო მუდამ ოქროა,
სხვის ლუკმის ამღები გვერდზეც არ დამიჯდეს!

მომავლის რწმენით

მე ის ტოტი ვარ, რომ გადატეხა,
ქარიშხალმა და დიდმა ქარებმა,
გული დაიმსხვრა ნატეხ-ნატეხად,
ბედი მომექცა შეუბრალებლად.
მწამდა რომ მადლი წინ დამხვდებოდა,
შემისრულებდა მე ერთ პირობას,
და თუკი ისვ გაავდრებოდა,
მომირჩებოდა გულის ჭრილობა.
ამჟამად ჩემს ბედს არ ვემდურები,
ფესვიდან ყლორტმა ამოიყარა,
შვილიშვილების ნაფეხურებით
გულის წვიმებმა გამოიდარა.
ფუძის აივნის ფანჯრის რაფაზე,
ჩიტებმა ეზო ამიხმაურა,
ამ წუთში ბედზე რატომ გავბრაზდე,
მომავლის რწმენით შემეხმაურა!
+ + +
იცით რამდენი შვილია ჩემთან?
რამდენიც კიდევ მოსვლას აპირებს,
მათით ეს გული ცოცხლობს და ფეთქავს,
ჩვენ ყველამ ერთად გავიაპრილეთ!

თქვენით

სიტყვებს მოგიქარგავთ, სასმისებით
და თან დარიგებით გეტყვით,
უნდა ილავარდოთ მაისებით,
თანაც გეშინოდეთ სეტყვის.
მინდა მოგეფეროთ ისე ძლიერ,
ვით თქვენ გეფერებათ დედა,
მტრები ძმობით ერთად გადაძლიეთ,
თქვენით საქართველოს ვხედავ!

ღვთისმშობელი

აპრილია, ტყემ ჩაიცვა მწვანე კაბა,
ია-ია ეჯიბრება ყოჩივირდას,
შორს შროშანი მეგულება, სადღაც გაღმა,
იმ ნაზ ყვავილს, ტყის იელი შეუყვარდა.
ო, დავღონდი, სიყვარული ბრმაა ვიცი,
ჩემებურად დავარიგებ, ტყის ნაზ ყვავილს,
უღალატებს მისი გულის დანაფიცი,
იარებად შემორჩება, გრძნობის კვალი.
გამოვაღე სიყვარულით ფანჯრის კარი,
მოვეფერე ტყის ნაზ შროშანს, ვით მშობელი,
ახლა თუ წვიმს, იქნებ ჩადგეს ქარიშხალი,
ნაღდ სიყვარულს დაიფარავს ღვთისმშობელი!

გრძნობის საამქრო

რად არა გჯერათ ჩემი გულის სამყაროს შიგნით,
რომ სიყვარული შევინახე მარადიული,
აქა ხართ ყველა სულიერნი, აქ არის წიგნიც,
სხეული ჩემი იკვებება, გრძნობის დღიურით.
რად არა გჯერათ, სიძულვილი გარდაიცვალა,
ჩემში და სიყვარულის ჰიმნით მღერივარ,
ო, რახანია, ჩემმა სახემ ფერი იცვალა,
ბოღმიანების, ბოროტების დიდი მტერი ვარ
და დაწერილი ყველა სიტყვა განხილულია,
ავწონ დავწონე , მოსამართლე ზეცამ დანიშნა,
განაჩენად კი საქართველოს სიყვარულია...
გროძნობის საამქრო ბოროტებას სულაც არ ნიშნავს!

თუ რამ გამაჩნდა

გავიღე ყველა გასაღებიmთუ რამ გამაჩნდა,
გული გავწურე და საჩემოდ ან რად მინდოდა,
ვიბრძობდი, მაგრამ ჩემთან ომში ყველა დამარცხდა,
მათ რა იცოდნენ მადლი ჩემზე გადმოვიდოდა!

ხშირი წვიმები

როგორ მიყვარს ვარდობის თვე, წყალში თევზი მოშხმარკალე,
ღამეს ფიქრით როცა ვათევ, ბედისწერა მითვალთვალებს.
საქართველო არის ვარდი, კოკრები კი შვილებია,
თუმცა ბევრჯერ თოვლი ბარდნის, არის ხშირი წვიმებია,
მზეს დავეძებ რა ხანია, ჩაესვენა ზღვის ტალღებში,
ტირის სულის სავანე და... უცხო დადის ჩემს ბაღებში!

წიგნებო

წიგნებო, ისე მიყვარხართ,
შვილებს, რომ უყვარს დედები,
წავალ და ყველგან მიმყავხართ,
თქვენა ხართ სულის მტრედები!

არ მიხორცდება

და რომც აცივდე, დამილეწო სულის ჯებირი,
რომ იქარბუქო, გადაიქცე თოვლის ნამქერად,
ეს ცხოვრებაა, ასე ხდება მუდამ შეჯიბრი,
ცუდს არ ვიკადრებ, მოვიმარჯვებ სიტყვებს საქებარს.

მე გავიმარჯვებ, კეთილები უფლის შვილია,
გზად თუ შემხვდება, საბრალონი, შემეცოდება
და მადლისათვის კვლავ თუ გულზე გადამივლიან,
აქ დავმარცხდები, ენით ნასერი არ მიხორცდება!

მომახარეთ

მომახარეთ, ეს კოშმარი, რომ დასრულდა,
მსოფლიოში სიმშვიდეა, ქარი ჩადგა,
ხოცვა-ჟლეტვა, ადამის-ძის ვისაც სურდა,
ცოდვიანი რომ უბრსკულში გადავარდა.

მომახარეთ, ერთხელ მეც რომ გავიხარო,
რა იქნება, რომ დაამდეს ცა და მიწა,
ბუნტისთავი სულელია, დახარხარობს,
რომ. თვითონაც მოკვდავია დაავიწყდა.

გამოწურეთ შხამიანი სისხლი ბოროტს,
აფხაზეთში გველმა ტყავი გადაიძრო,
არა სტიკვა გული სად აქვს რკინის რობორტს,
კაცთ მოძულემ მუცელი ვერ გამოიძღო.

მომახარეთ, არ მოყინავს,ატმის რტოებს,
რომ ჯეჯილში მწყერი ბუდეს გაიკეთებს,
ღმერთო ჩემო, გულზე ნუღარ დამათოვებს,
ეს ჯალათი, სიკეთის ხედ გადაკეთდეს!

ცხრა აპრილი

ცხრა აპრილია, წარსული კვნესის,
მას შემდეგ დარდი გულში ბატონობს,
მოკლეს, მოწამლეს, ქართული ფესვი,
ღმერთო, ეგების მოგვეპატრონო!

არ მიყვარს ფიცი

მოდით სუყველა, ვინაც რომ იცით,
სიყვარულის და სიცოცხლის ფასი,
მხოლოდ იცოდეთ, არ მიყვარს ფიცი,
მეც ერთგულების წამალი მასვით!

ზამთარი მარტსაც გადაეკიდა

მზე ცისარტყელის თოკზე ეკიდა და...
ალერსს გვაფრქვევდა ნაზად,
ზამთარი მარტსაც გადაეკიდა და...
ნეტავი ვინ გააბრაზა??!

მიყვარხართ

დედაშვილობა ისე დიდია,
არც ცა არის და არცა სამყარო,
ეს ჩემი გული გრძნობის გიდია,
შვილებზე ძლიერ ვინ შევიყვარო?

რის რედაქტორი, რა ხელმძღვანელი,
დედის სტასუსი სულია ჩემი
...და ცნობისათვის ვარ საჩხერელი,
თქვენ შეაფასეთ სხვა დანარჩენი!

ქალის ფსიქოლოგია

ნდობის ჯებირი როცა იმსხვრევა,
ამოშენდება გული რიყის ქვით,
ქალი ქარივით გადაირევა,
თუ სიტყვა თქვით და ისევ გადათქვით.
ქალი იმ წამში ლაგამს იწყვიტავს,
უსამართლობის ზღვაში არ ცურავს,
მის სულში ვეღარ შემოიჭყიტავთ,
ქალს სიამაყის თავშალი ხურავს.

ქალი ვერ იტანს, ცრემლებს და ლოდინს,
ქალი ცეცხლია, გრძნობის საუფლო,
ქალი ფიფქია და არა ლოდი,
აჯობებს ნდობით მიისაკუთრო.

ათინათო

მივდევ ბილიკის უხილავ ძალას...
ჟურნალს რომ ვუშვებ, აღარც კი მიკვირს,
ყველა უმადურს, ლოცვის დროს ვმალავ,
უმადურები თავისით ტირის.

მკითხველებს იცავს წმინდა ნინო და...
მეც მივაშველებ, ნაზ და თბილ სიტყვებს,
ვცდილობ ყოველთვის რომ მოვითბინო,
ავტორებით კი ჟურნალს ვამშვენებ.

ნონოს მადლსა ვგრძნობ, ხატი გვმფარველობს,
აქ, ქილიკია უარყოფილი,
შენ ,,ათინათო", პურის მთაველო,
ხარ ჩემი სულის განუყოფელი!

თვალები ტირის

ყურის ტკივილსაც თვალები ტირის,
ცრემლი ბურთივით მოგორიალობს,
როცა ტკივილებს ვითმენ, არ ვყვირი,
მტკივა და მაინც არა ვღრიალობ,
ჩემთან ტკივილზე ნუ ისაუბრებთ,
განვიცდი, გდარდობთ ყველას ძალიან,
მე გეფერებით ჩემს ყველა უბნელს,
იცით პოეტი დარდის ქალია.
კლდე ნუ გგონივართ მეც გამიფრთხილდით,
რომ ისევ თქვენთვის ყანა დავთესო,
ნუ მესვრით სიტყვებს, რკინის მსგავს შვილდით,
უიმედობას აღარ მამწყემსოთ!

წყარო მოგიყვებათ წარსულს

(იზა მოშიაშვილს)

წარსულს მოგონება ახვევეს
ამბავს მოგვიყვება წყარო,
ქარი ჭადრის ხეებს არხევს,
წყალთან მამის სული სახლობს.
ქართველ ებრაელი ახსოვთ,
ქარელელებსა და წარსულს,
სული მტრედის სახით ახლოს,
ცის მზეს ამოყვება ჩასულს.
სახელს წაიკითხავს უტყვად,
ნისკარტს დაისველებს წყალით,
ქართველს ებრაელი უყვარს,
ხსოვნით მოიხადეს ვალი!

ძირულა

ცოტა იჩქარე მდინარის ტალღავ,
ნაპირზე გიცდი დარდის ხურჯინით,
ვერავინ მამჩნევს ნაღველს და დაღლას,
რადგან შენსავით ვტირი მუნჯივით.
წყალში ვისროლე სევდის კოლოფი,
გთხოვ, რომ ნაპირზე არ გამორიყო,
დედები ტირის საქართველოში,
არც ერთი შვილი არ მომკვდარიყოს!

მაინც ვაჯობებთ

ვდგავარ მარტოკა ფიქრის აღმართთან,
შეგუებული ვარ მარტოობას,
და ეს დღეები ისე დაღამდა,
იმედის ნამცეცს არ მიტოვებდა.

დუმილს ვუთხარი, მაინც ვაჯობებთ,
სევდის ღრუბლებო, ნუღარ ბინდდებით...
ბევრი თუ ყბედობს, ბევრსაც აბოდებს,
ჩვენით აყვავდეს ტყეში შინდები!

თუმც დავფიქრდები

ვერ დაგამწუხრებთ,
მზის ყანები უნდა გავთოხნო,
უნდა დავთესო, ქერი შვრია,
პურის მარცვალი,
თუ დამჭირდება სახნისები,
უნდა მათხოვოთ,
მომწყინდა უკვე სახლში ჯდომა,
ცრემლის ღვარღვალი.

სასჯელი არის უქმად ყოფნა,
ვერ შევიშნოვე,
დილა- საღამოს ყავის სმა
და დაწექ- ადექი,
ეს, თქვენთვის მინდა, მომავალო,
თუ კი ვიშრომებ,
უქმად ყოფნის დროს
სახლიც ხდება, ტაო-კლარჯეთი.

ბებერი ხარის რქებიც მოხნავს
მიწის ყამირებს,
ჩრდილში ამოსულ ყვავილს
არ გავს ჩემი სხეული,
მე კიდეც დავრგავ,
შემაჯიბრეთ თოთო აპრილებს,
თუმც დავფიქრდები,
შრომას უკვე გადაჩვეული!

თებერვლის თვეში

რა ფაფუკია ნაზი ია, ცისფერთვალება,
არ აატიროთ, ვერ აიტანს, სიტყვას ავდრიანს..
ან ვინ მიხვდება იმის დარდს და იდუმალებას,
თებერვლის თვეში... მისი მოსვლა იქნებ ადრეა!

გულის სამყარო

თუ აივსება გულის სამყარო,
ვითარც ბეღელი სარჩოთი სავსე,
ღმერთს სურს ცას მიწა, რომ შეაყვაროს,
და დილის ცვარით ღვთის შარბათს ასმევს.
სადღაც ჭილყვავი ისე ტრიალობს,
როგორც ღრუბლები ცათა ფონიდან,
ტყის ბუნაგიდან მხეცი ღრიალობს,
მახსოვს ის ხმები ფოთოლცვენიდან.
ჩემში სიკეთის დიდი ღმერთია,
გაზაფხულია პოეტის სული,
დარდები გულის შენაერთია,
დავიარები დარდწამოსხმული!

გთხოვთ დაფიქრდით

მაისის თვე ისე ჩქარა გაილია,
სევდის თოვლი სადღაც უნდა გადავყარო...
მხოლოდ გულზე ნუღარასდროს გადმივლიან,
მადლს ვთესავ და სამტროდ არვინ გამეკაროთ.
ვარდის ტოტებს დასაწიდნად ველოდები,
გავამრავლო ჩემიანთა გასახარად
და ეკლებო, ფეხზე ნუღარ მომედებით,
ვემზადები ახალ მიწის დასაბარად.
არ იწვიმო ზეცავ, სევდით არ იწვიმო,
ყველას მინდა უხარდეს, მაისობდეს,
გეფერებით, სიყვარული არ მიწყინოთ...
გთხივთ დაფიქრდით, სანამ ტყვიას გაისროდეთ!

მადლობის ბარათი

სიყვარულით წერილს მოგწერთ,
თბილს, ალერსით, დედაშვილურს,
დედამიწა ცრემლით მოვრწყე,
შევებრძოლე ბევრჯერ ურჩხულს.

არ დავნებდი დავამარცხე,
თქვენთვის დავწნავ სხივის კონებს,
წიგნის პური გამოვაცხვე,
ჩემს გულს აღარ დაგაშორებთ.

მზის ტაძარი

წიგნით ჩემი ნასახლარი,
იქნებ გაიხსენოთ,
ცას რომ წავალ მზის ტაძარში,
უნდა დაგასვენოთ!

მომენატრეთ

ნუთუ გზები აგერიათ ჩემი,
ნუთუ მზის სხივს აედევნეთ უცხოს,
პოეტებო, სული დაგრჩათ ჩემში,
მენატრებით...გელოდებით უხმოდ.

ბორგავს დედამიწა

მშობიარე ქალივით ბორგავს დედამიწა,
უფალო, იქნებ მშვიდობა დაიბადოს,
იმედი ბამბის ძაფივით გადამიწყდა,
ღრუბლები მზის ქვაბში უნდა გადავადნო!

წამწამები

თვალი ხედავს პირველად,
მერე გულში მხვდება,
ტკივილები მწვერვალად,
 ჩემში რჩება დედა.
ფსკვნილს ჩაუთქვავ სიკეთეს,
ჯვარს გავანდობ სათქმელს,
ჩიტი ბუდეს იკეთებს,
მე მივხედავ საქმეს.
წამწამები ცურავენ,
დარდის ზღვაში უხმოდ,
გულს ცრემლებით კურნავენ,
დავრჩი რადგან უძმოდ.
გულო, დაიამიდე,
აღდომის დღე დგება,
რწმენით დაგაიმედებ,
იმედებით გკვებავ!

არ მიხორცდება

და რომც აცივდე, დამილეწო სულის ჯებირი,
რომ იქარბუქო, გადაიქცე თოვლის ნამქერად,
ეს ცხოვრებაა, ასე ხდება მუდამ შეჯიბრი,
ცუდს არ ვიკადრებ, მოვიმარჯვებ სიტყვებს საქებარს.
მე გავიმარჯვებ, კეთილები უფლის შვილია,
გზად თუ შემხვდება, საბრალონი, შემეცოდება
და მადლისათვის კვლავ თუ გულზე გადამივლიან,
აქ დავმარცხდები, ენით ნასერი არ მიხორცდება!

რაც გამაჩნია

ეს არის ჩემი ქონება,
ჟურნალი, რწმენა, სანთელი,
ეს განძი არ იწონება,
ამით სულია ჯამრთელი.
რაც გამაჩნია არ ვმალავ,
ჩემს გვერდზე აგერ მიწყვია,
დარდებსაც რწმენით დავკრძალავ,
გულს, რომ უღმერთოდ წიწკნიან!

ჩემი სიკეთე

ღრუბლის ფერების სამოსს ცოტა ხნით,
 ვით გაბუტული, გამოვერიდე,
რატომ? ამ კითხვას ახლა არ ავხსნი,
გულით სიკეთეს ჩამოვარიგებ.
ჩემი სიცოცხლით ან რას ვაშავებ,
არასდროს ვყნოსავ მე სხვის ყვავილებს,
არ ავდევ ქარებს, თამამს, აშარებს,
მეგობრის ღალატს გულს არ გავივლებ.
არ გამაოცებს სხვისი ქონება,
სიტყვით არ დავსერ, გულღრძოს, შურიანს,
ჩემი სიკეთე ცას იწონება,
ნუ იტყვით ჩემზე სადურია.
საჩხერელი ვარ, სოფელ ხვანიდან,
ძირულის პირზე ნარბენ-ნახტომი,
მე იაკობის ვარ ანბანიდან,
უფალი არის ჩემი პატრონი!

ნატვრის თვალი

ნატვრის თვალს ვეძებ, მთელი ცხოვრება,
რა არ ვაკეთე, სად არ ვიარე...
სიკეთის მთები დავდგი გორებად,
მტერო, კვლავ გულზე გადამიარე.
გული აღარ მაქვს, აქაც შენ შეცდი,
გული კლდედ, არის გადაქცეული,
პირისპირ ბევრჯერ უშიშრად შეგხვდი,
რომ დადიოდი გადარეული.
ქრისტიანი ვარ, შენ კი ურჯულო,
ამით გაჯობე, სისხლის მწოველო,
შენ დაიბადე, ცივი, უგულო,
უხსენებელი შვილის მშობელო.
ნატვრის თვალს ვეძებ, უბით მამული,
რომ ჩავიხუტო გულში მთლიანად,
რა ჯაჭვები გაქვს, ჩუმად გამბული,
ვერ მოგაცილე, ქართვლის ნიადაგს.
სუყველაფერი შენი ბრალია,
რომ ეჯავრება ქართველს, ქართველი,
რომ გაღიარო, ჩემი ვალია,
რადგან სული მაქვს, შენზე ჯამრთელი.
ნატვრისთვალს ვეძებ, რომ მოგიშორო,
რომ გადაგხვეწო, სადღაც მთებს იქით,
ქართველი, ქართველს არ დამიშორო,
შენი მტრული და უაზრო ჯიბრით!

ღმერთმა დაგლოცოთ

გაიაღდომეთ, გახალისდით, ღმერთმა დაგლოცოთ,
ჯიშით ქართველნო, ჯიხვ-არწივნო ჯვარი გწერიათ,
შენ გთხოვ უფალო, მიწა ჩვენი გადმოგვილოცო,
ჰაი-ჰარალოს აფხაზეთში მტრები მღერიან.

სამაჩაბლოში, ცხრაკლიტული ადევს ჩვენს მიწებს,
ქართველთ საფლავებს ნარ- ეკალი გამრავლებულა,
სისხლიხვრეპია მტერი ისევ ჩვენაკენ მოიწევს
და ხარბი მხეცი თვალებითაც დაბრმავებულა.

ასე, ჩემო მომავალო

არ, არსებობს, სულ რომ წვიმდეს,
ან, ყოველდღე ქარი ქროდეს...
გზები ყველგან გადავწმინდე,
ქვა, რომ კლდიდან არ დაგორდეს.
ბილიკ-ბილიკ გამოყევით,
შემოგხვდებათ, ტკბილი ხახლი,
მტერ მოყვარე, დამოყვრდებით,
დროს, შრომით და ნდობით დაღლით.
ასე ჩემო მომავალო, ჩემს წლებს,
ასე შრომით ვჩეჩქვავ.
თქვენთვის უნდა დავიღალო,
რას მოითხოვთ კიდევ ჩემგან?

ერთი წლის წინ

ნერგი დავრგე ერთი წლის წინ,
ტანწვრილი, და მაღალი,
დაჭაობდა რადგან სულ წვიმს,
არ გაუდის ღაღანი.
შევეცადე, სასიცოცხლოდ,
მზესაც ვთხოვე სხივები,
აბა, როგორ მოვაცოცხლო,
კვლავ გახშირდა წვიმები!

უფლის რჩეულები

კვლავ როცა გული ცრემლში ლივლივებს,
და გადმოტეხავს სევდა ჯებირებს,
სულიერ შვილებს მაინც ვიშვილებ,
ბედს კვლავ სიკეთით გამოვაჯიბრებ.
რომ კვლავ ვიცოცხლო, უფლის ნებაა,
წმინდა წყლის შესმას ვარ მიჩვეული,
სიცოცხლე დიდი ხელოვნებაა,
უნდა მიყვარდეს უფლის რჩეულნი!

რა შემიძლია

(თამარ გველესიანს,
მამა ამირანაშვილის მეუღლეს)

რა, შემიძლია, ლოცვების მეტი,
მაისელები მინდა დაგლოცოთ,
გინდ იყოთ ბევრი და თუნდაც ერთი,
მოგეხვევით და უნდა გაკოცოთ.

გაუღიმილებთ, გაზაფხულს როცა,
გულს გამოილღობთ, ნათოვს და ნაყინს,
მაისს აჩუქებთ ფიქრების კოცნას
და სიმღერებით ცის ჭერსაც აყრით.

თვე ახლა დადგა, ვარდის ფერებით,
ყვავილთ სურნელი ბუნებას ათრობს,
დღეს ყველა თამარს მივეფერები უყვარს და...
გრძნობას არასდროს დათმობს.

მამა ამირანს მეუღლეს კრძალვით,
თამარს ლამაზს და ტანით ნარნარას,
შეხედავ, იტყვი, ეს, არის ქალი,
დიდთან დიდია, ზოგჯერ პატარაც.

დალოცვის მეტი, რა შემიძლია...
დღე გაუთენოს სიკეთის ღმერთმა.
მისი სულია, წმინდა ბიბლია,
ვლოცავ, დაბერდეს, ჩემს ძმასთან ერთად!

(მამა ამირან ამირანაშვილი დად მაღიარებს,
ამიტომაა, ლექსის დაბოლოვება ასეთი.
ვლოცავ დაბერდეს ჩემს ძმასთან ერთად)

მგის ფერებში

სიყვარულის დედოფალი

სიყვარულის სასმისს გვასმევ,
გრძნობის თასი აგივსია,
გვსურს იცოცხლო ნელი ას წელს,
გულში მუდამ მაისი გაქვს.
თბილი რომ ხარ ზაფხულივით,
ყვავი როგორც ნაზი ვარდი...
ახალ გამოზაფხულივით,
ლექსით ყველას შეუყვარდი.
პოეტების მუზა გახდი,
მარგალიტობ ნაზო ქალო,
მზეო, სულში შეუსახლდი,
ქარმა რომ არ უთვალთვალოს.

დედა ფესვი

თუ სიკეთით დიდ მწერვალებს უტოლდები,
სიყვარულის თუ გაქვს კარი გაღებული,
შენნაირებს უსასრულოდ ველოდები,
სხვისი ლუკმა, რომ არა აქვს აღებული.
სიკეთის მთა გაქვს მელანი აგებული,
კვლავ ააგე სხვათა გულის გასახარად,
შენზე ბევრი კარგი რამ მაქვს გაგებული
და წვიმებმაც ამიტომაც გადიკარა.
გაიხარე, იზეიმე სახვალიოდ,
მადლმოსილმა წმინდა წყალიც ბერჯერ შესვი,
შენნაირებს აბა როგორ შეველიო,
გაზრდილი ხარ საქართველოს დედა ფესვით!

შენი თვალებია ზეცა.

(თეა ჟვანიას)

შენი სინაზით და კრძალვით,
შვილო, განმაცვიფრე ბევრჯერ,
განა სიტყვებს დავწერ ძალით,
განა სიტყვებს სადმე ვეძებ.
გულში ჩაგიწნია ის რაც,
სხვას რომ არასოდეს არ აქვს,
შენი თვალებია ზეცა,
გულით დედამიწა დაგაქვს.

შვილის თვალებით

მჩუქნის სიხარულს მერე და როგორ,
მას სურს რომ მეცვას ვარდის სამოსი
და მეც ვუწოდე მას ჩემი გოგო,
ჩავიცვი რწმენის ტანისამოსი.
თავს დამტრიალებს, ცდილობს მაამოს,
ცდილობს ის მომცეს, რაც მე მაკლია,
მას სურს ცრემლები აღარ დავღვარო,
ვგრძნობ ჩემი შვილის ტყუპის ცალია.
ვირტულური სამყაროს ზღვაში,
რაღაცნაირად სხვა ფერებია,
გელას ხმა მესმის, მე ნინოს ხმაში...
შვილის თვალებით მომჩერებია.

ნატალი მომავალო ექიმო

საამაყო გოგო. გილოცავ
დაბადების დღეს.

სიყვარულის ლამაზ ყვავილს...
გეფერები ნატულია,
მაგ შენს სულში ვარდი ყვავის,
უფლის ხელით დარგულია.
სიამაყევ გვარისა და,
ნიჭიერო და ჭკვიანო,
ფიქრო, ღამის მთვარისა და...
ბედი არ დააგვიანო!

შეგავედრებ

(წანული ჯვარიშვილს)

ჩემი გულის გათბობა რომ შეძელი,
მოაღწიე ჩემი ეზოს დარაბას,
სუნი მეცა ყვავილის და ენძელის,
საფერებლად ქალბატონო მზადა ვარ.

მერე მიწვდი თქვენს ბათუმელ პატარძალს,
და ნანიკოს ტკბილად მიესათუთე,
შეგავედრებ, ატოცსა და მრავალძას,
შენ მოგვირჩენ ბედისწერის ნათუთქებს.

გილოცავთ

როცა ერთგულების ფიცს დადებ,
როცა სიყვარული გეწვევა,
ვინც რწმენით ლოცვას ქადაგებს,
უფალი მათ შეეწევათ.
წყალობას ნიშნავს ლაზარე,
ერთად ხართ განა თითოდ
გულს ერთმანეთში აზავებთ,
სხივებიც სხეულს გითბობთ.
იარეთ წყვილებო, ღვთის გზაზე,
აივსეთ გულები გრძნობით,
შვილებიც კარგი გაზარდეთ,
რაცა გაქვთ თქვენი შრომით!

მებრძოლი

იყო იჭვები რომ ვერ შეძლებდი,
თოვლის ნამქერში გზების გაკვალას,
ქარშიც სიკეთის ბილიკს ეძებდი,
დარდი მიგდევდა მამულის ვალად.
ქარბორბალაში გაძელით ერთად,
მეუღლე გყავდა გრძნობის სამყაროდ,
ის გისრულებდა რაც უნდა გეთქვა,
ას წლამდე ღმერთმა მას არ გაგყაროს.
და როგორც დედას გაქებ და როგორ,
სამი შვილი გყავს, ფრთებ გაშლილები,
უჭკვიანესი გყავს ორი გოგო,
გყავს საამაყო მამიშვილები.
ვაჟი გეზრდება ვეფხვზე ძლიერი,
უმიზნოდ ფეხსაც არ ადგამს ბალახს,
არასდროს არის სულით მშიერი,
შრომობს და ლუკმას არავის ძალავს.
ყველას უყვარხარ გულის სითბოთი,
ქარიშხალა ხარ ზოგრჯერ ბუნებით,
შემპიდი ამ გულს მეც გამითბობ და...
დამაიმედე, რომ დაბრუნდები!

სინაზის სიმბოლო

იას გამგვანებ დიდ ტყეში ამოსულს,
შროშანებს, გვირილებს, და ვარდის თაიგულს,
უყურებ ომის ცეცხლს, მართლაც და ქაოსურს,
ვაჟკაცებს დახოცილს, მტრის ხელით დანაგულს.
დედა ხარ პოეტი, შენ, გულით მებრძოლო,
ვარდები მოგართვი ნაზი და ცვრიანი,
სინაზის სიმბოლოვ, სად უნდა მოგძებნო,
პატივს გცემ რადგანაც, ხარ სამართლიანი!

ცრემლში ნალესი ხმალი

ცრემლში დაიწურა ის წარსული,
დრო კი ღრუბლებივით დაიფანტა,
საუკუნებია გასული და...
იმ დღეს სააკაძე დაიბადა,

ხმალი სისხლიანი, განიბანა,
ნოსტეს მტრედის გუნდი ღუღუნობდა,
მარტი გაისუსა, გაინაბა,
დათვი დაიჭრა და ბურდღუნობდა!

აბრამ პაატა

საქართველოს ჭირისუფალს გაუმარჯოს,
გული რომ აქვს სიყვარულით ავსილი,
მსურს კალამი კიდევ ერთხელ მოვიმარჯვო,
აბრამ, შენ ხარ, ამ სამშობლოს ნაწილი.

საქართველოს ტკივილებით დამძიმებულს,
დაბადებულს, ამ დალოცვილ მიწაზე,
შეაღვიძებ, ყველა ქართველს მიძინებულს,
გულწრფელობა შენი უკვე ვიწამე.

საქართველოს სიხარულს, რომ იზიარებ,
სიყვარული გაგყოლია ისრაელს,
ქართველი რომ ძლიერ გიყვარს აღიარებ,
სულით- ხორცით აბრამ წმინდა ებრაელს.

საქართველოს სიყვარულით დავადებულს,
მოგილოცავ, დღეს ძვირფასს და საუფლოს,
დღეს ფიქრების, სიყვარულის, ლამაზ კრებულს,
გიძღვნიან და ყველა შენზე საუბრობს.

საქართველო, გმირის მშობლებს ეფერება,
აბრამსა და ლოლას ღვთიურ ქალბატონს,
რასაც გასცემთ ცაში ღმერთთან იწერება,
სულის ფრთით კი მე გამგვანებ ,,ალბატროსს“

დიდი მადლობა ეკა
(ეკა ბრეგვაძეს)

თითქმის მიმინელდა ხმა იმ სეტყვის...
დარდი შენი ხელით გამითიბე,
დღეს ეს სურათები მაისს ეტყვის,
გული ო, რა ფრთხილად გამომითბე!

კალმით ნახატი

არა გავს რეალურს, იქნებ ნახატია,
ანდა გვირილაა, ასე რომ ფაქიზობს,
ვინ იცის ჩემსავით უყვართ და დანატრიან...
შვილივით მეც მინდა რომ მივეფაქიზო.

ნანული გვარიშვილი

ვუძღვნი
უნიჭიერეს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და ქალბატონ ნანა მომცელიძეს!

თითქოს მზესავით ამოანათეთ მთის მწვერვალიდან, გაყინულ, სევდით მოსილ არემარეს ულევი სითბო უწილადეთ,...

,,,ამომავალ მზეს დილიდანვე დაეტყობაო" და მართლაც; იმ დღიდანვე უქმად დრო არ დაგიხარჯავთ... ყოველი წუთი თქვენთვის ოქროს ფასია და ეს დრო ისე გაქვთ გათვლილი და საქმეზე მორგებული, ბევრიც რომ ეცადოს ვინმემ, არ გამოუვა.

ეს ორი ქალბატონი მესიასავით გამოეცხადა საქართველოს. უფალმა მათ
ნიჭიერებით სავსე კალთა დააბერტყა.
ეს ძვირფასი ქალბატონები
მუხლჩაუხრელად იღწვიან ხალხის საკეთილდღეოდ .

ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი თბილისში მოღვაწეობს. იგი ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტია, ხოლო ქალბატონი ნანა ქალაქ ბათუმში იგივე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

მინდა, ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა გადავუხადო მათ, რომ აკადემიის წევრად ამირჩიეს და გადმომცეს დიპლომი.

ქალბატონი გულნაზი მრავალი წიგნის ავტორი ბრძანდება. ახლახან გამოსცა წიგნი ,,ანთოლოგია", სადაც გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეების გვერდით წიგნის ფურცლებზე ჩემი ნაშრომიც დაიბეჭდა. ასევე ჟურნალ ,,ათინათშიც "მივიღე მონაწილეობა.

მადლობა მინდა აგრეთვე გადავუხადო ქალბატონ ნანა მომცელიძეს, რომელიც თავისი ბუნებრივი მიმზიდველი ღიმილით ვგონებ მთელ სამყაროს იპყრობს, ასევე მისი რედაქტორობით გამოცემული ჟურნალი ,,ხატიმამული" საკმაოდ პოპულარული გახდა.

ჟურნალი მრავალფეროვანია. რას არ ნახავთ იქ...

ლექსები, ხალხური მედიცინა, შელოცვები და სხვა.

ისღა დამრჩენია ამ ლამაზ ქალბატონებს მოგილოცოთ ყველა გადადგმული ნაბიჯი და წარმატებები გისურვოთ

ახლა კი ძვირფასებო მოკრძალებული ლექსით მინდა მოგეფეროთ;

ჩვეულებრივ ადამიანს
ვერაფრით ვერ მიგამგვანეთ,
გულის კარი გაგიღიათ,
სულ იღიმით შინ და გარეთ.

თქვენში შური არ არსებობს,
ყველას სითბოს გვინაწილებთ
სახით, სულით ლამაზებო,
მითი ხართ თუ სინამდვილე?

პოეზიის დედოფლებო,
გენი მოგდგამთ წინაპრების,
ჩემო ტკბილო მეგობრებო,
თქვენ გმირები ხართ ზღაპრების...

ვით ბაღნარის ყვავილები,
ყველა კუთხე-კუნჭულს შვენით,
სიყვარულით არ იღლებით.
მიგიწვდებათ ყველგან ხელი...

ვლოცავ დედებს, ვინც თქვენ გშობათ,
ვინც გაგზარდათ უფლის ნებით,
იმსახურებთ ყველგან ნდობას,
თქვენ ღირსნი ხართ ქებათ-ქების.

ფართოდ უღებთ ცოდნის ჭიშკარს,
პროზასა თუ პოეზიას,
დიდ- პატარა ამის ნიშნად,
პეპლებივით მოგესიათ...

სიბრძნის წიგნი თავადა ხართ,
ნაბიჯ- ნაბიჯ წაკითხული..
თქვენი წიგნიც მრავლადა გაქვთ,
ოქროს ფურცლით აკინძული.

რა ჟურნალი შეედრება,
,,ათინათს" და ,,ხატიმამულს"
თქვენეულად ეფერებით
საქართველოს ცრემლით ნამულს.

ჩვენო ქალბატონო გულნაზ,
ჩვენო ქალბატონო ნანა,
თქვენ სიკეთის ზეცა გხურავთ ,
ალამაზებთ ამ ქვეყანას!

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა

უნმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

ბეჟან ხარაიშვილი



* * *

ისევ გინატრე ყვავილობისას,
თოვს, ამ გაზაფხულს სად დავემალო...
კოცნა? არასდროს არ მითხოვია,
მე მინდა მხოლოდ თვალი შეგავლო!
და შორეული მგზავრივით დაღლილ
მზერაში ჩანდეს შენი თვალები –
მერე დავამსხვრევ ნიღაბს შიგნიდან
და ჩემშიც ვეღარ დამემალები...
ჩემი გულივით გელის და ღელავს,
ახლა კი თოვსდა... ალუბლის ტოტი
იელვებს ცაზე, როგორც ფურცლებზე,
ხელგაკვრით დაწერს შენს სახელს ელვა.
მე იანვარში დავბადებულვარ
და გაზაფხულზე მოვკვდები, ლელავ!

სიზმარი

ბაღი ვნახე და სიზმარი ერთად
ყვავილთა უცხოდ ნაფერი მოლით,
ბოლოკს ვარდების სურნელი ჰქონდა,
ვარდი ძალათი ისხამდა ბოლოკს!
მზე ანათებდა მაგრამ გზის პირად
მუხა ტოტებში ცრემლად დნებოდა...
“პლანი”, “პლანიო”, სტვენდა ნარცისი
მინდვრის ოხშივარს ეტანებოდა!
– გონს მოდით მეთქი! – ვიყვირე ერთხელ,
ვიდრე არ არის ბიჭებო გვიან,
– ჩვენ ქეშები ვართ! შეტყდი მანდედან
ჩაიხავილა ხახაში ხვიამ.
– არაყს მოველით;
ცის ნამს ვიღა სვამს,
გოიმებად და შტერებად გთვლიან,
– მეც მოდას მივდევ! მოდი, მაკოცე –
გამომწრიპინა ბუჩქიდან იამ!
ღმერთმა დასწყევლოს გადაგვარება,
არა და ბაღო, როგორ მიყვარდი.
შევეხე ვარდს და...
ბოლო კი დარჩა –
...ეს შენ იყავი...

* * *

ცა რომ მტრედისფერობს,
ტყე რომ ფერი-ფერობს,
მზე რომ ნისლის ყანწებს ეტანება,
ბუჩქთან წამოვწვები
სადმე ცვარიანში
ლექსებს დავაპურებ ნეტარებით!
უბეს გამიქექავს
ქარი თიბათვისა,
გულში ჩამეტკბობა პირველყოვლის,
რითმებს გამოაკრთობს
წვეთთა სინაზეში
და მზით გადაფერავს
მწვანე მოლი,
წყარო სისხლს გადუსხამს
ღელის ცისფერ ვენებს
და ძმას ჩაეხვევა
ძმადნაფიცი,
ამ მთებს ვენაცვალე,
ამ ტყეს ვენაცვალე,
მეტი რაღა დამრჩა დასაფიცი!
ერთი გაიხედე ქარი რა დღეშია,
როგორ გადალოკა არე-მარე,
ეს შენ გიმღერიან ზეცის ასულები
მუხავ, ჩამუხლული, გაიხარე!
რტომან შინდებისამ იყვავილა
და მზე ჩანჩქერების თარზე დნება,
გული სამარეშიც იმზიანებს,
გული სამარეშიც ამღერდება –
ჩვენში ასე იცის მზემ ამოსვლა,
ჩვენში ასე იცის გათენება!

ელგუჯა მგელაძე

*„არ დავიწყება მოყვრისა
ა როდეს გვიზამს ზიანსა“*

როსტომ სხირტლაძე



გვინდა გაგაცნოთ ერთი შესანიშნავი პიროვნება, რომელიც სამწუხაროდ ძალიან ადრე წავიდა ამ წუთისოფლიდან. მას უამრავი სასიკეთო საქმე დარჩა განუხორციელებელი, თუმცა რაც გააკეთა, ბარე ათ კაცს ეყოფა საამაყოდ.

როსტომ სხირტლაძე დაიბადა 1965 წლის 15 მარტს თბილისში. დაამთავდა 48-ე საშუალო სკოლა, 1990 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი – ეკონომიკის სპეციალობით. მუშაობდა ელექტრონული მანქანების შემკეთებელ ქარხანაში მთავარ მექანიკოსად, საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მომარაგების განყოფილების მთავარ საქონელმცოდნედ, შემდეგ კრწანისის რაიონის საზკვების გაერთიანების ეკონომისტად, სახელმწიფო საწარმო „ხმელი წიფელის“ გენერალურ დირექტორად, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექციის წამყვან სპეციალისტად.

როსტომ სხირტლაძე პარლამენტში

1993 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის წევრია ადგილმონაცვლის წესით. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით კვლავ აირჩიეს დეპუტატად. იყო სახალხო ფრაქციის წევრი და სახალხო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების, აგრეთვე დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტების წევრი. 1999 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე როსტომ სხირტლაძე იყო შ.პ.ს. „ჯისის“ კომერციული დირექტორი.



როსტომ სხირტლაძე ოჯახთან

როსტომ სხირტლაძე



როსტომი და მისი და ლელა სხირტლაძე



როსტომი მეუღლესთან ნინო მიქაძესთან და ქალიშვილთან ქეთევან სხირტლაძესთან

როსტომ სხირტლაძე მოულოდნელად გარდაიცვალა 2016 წლის 12 ოქტომბერს. იგი იყო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი. ყოველთვის იდგა იქ, სადაც ქვეყანას სჭირდებოდა. ბავშვობიდან წერდა ლექსებს, ძირითადად პატრიოტულ თემაზე. გარდაცვალების შემდეგ მას დარჩა მეუღლე ნინო მიქაძე და 20 წლის ქალიშვილი – ქეთევან სხირტლაძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. როსტომ სხირტლაძის და – ლელა სხირტლაძე სპეციალობით ექიმია. მას წითელ დიპლომზე აქვს დამთავრებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. მუშაობდა ქ. თბილისის მე-8 საავადმყოფოში, შემდეგ კი ჯანდაცვის სამინისტროში. ამჟამად მუშაობს „შპს“ „ჯისის“ კვების მენეჯერად. არის დასაოჯახებელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს როსტომ სხირტლაძის სული.

აქვე შემოგთავაზებთ როსტომ სხირტლაძის ბავშვობისდროინდელ რამდენიმე ლექსს.

საქართველოს

როცა მაღლიდან გავხედავ მთა-ველს,
მასზე მომდინარ მდინარის ლურჯ ზოლს,
გული თითქოს და ამითრთოლდება,
მინდა ვუმღერო ჩემს საქართველოს.
მინდა ვუმღერო მის ყოველ კკუთხეს
რაჭა-ლეჩხუმს და ქართლ-სამეგრელოს,
გურიას, კახეთს, სვანეთის კოშკებს,
მირონით ცხებულ ჩემს საქართველოს.
მთაც კარგი არის, ბარიც კარგია,
ჭორომებიც და ზღვის სანაპიროც,
ვიცი მრავალი ქვეყანა არის,
მაგრამ ერთია ეს საქართველო.
როცა მაღლიდან დავხედავ მთა-ველს,
მასზე მომდინარ მდინარის ლურჯ ზოლს,
მინდა ვემთხვიო მშობლიურ მიწას
და ვენაცვალო ჩემს საქართველოს.

შინმოუსვლელი

ომი დაიწყო, ჯარში წავიდა,
იბრძოდა როგორც ნამდვილი გმირი -
არ შერცხვენია და არ შელახა
სამშობლო მიწის სახელი დიდი.
მაგრამ დაეცა, ვეღარ წამოდგა
და სამუდამოდ დარჩა იმ ველზე,
ოქროს ასოთი ამოიკვეთა
მისი სახელი გმირების ძეგლზე.
სამშობლოს მთებს და სამშობლოს ველებს,
მომღერალ წყაროს, დაშაქრულ მტევნებს,
კავკასიონის თოვლიან მწვერვალს,
მასზე გადმომჩქეფ ანკარა ღელეს.
დამთავრდა ომი, აღარ დაბრუნდა,
ამ ქვეყნად დარჩა სახელი მხოლოდ,
მრავალი მოკვდა მაშინ ბრძოლაში,
ერთი არ იყო ეს გმირი მხოლოდ.

ირინა სხირტლაძეს

გზად მოგეწია ფაშისტის ტყვია,
თუმც არ იყავი სულით ეული
და პოლონეთის მიწას დააკვდა
მკერდგაგლეჯილი შენი სხეული.
მუდამ გიხსენებთ, თუმც არ გეღირსა,
უდროოდ მკვდარსა მამულის ნახვა,
გადმოგაყარეთ რაჭის შვილიშვილს
გულზე მუჭებით ქართული ქარვა.
თუნდაც წაგვიღოს დიდმა გრიგალმა,
თუნდაც კვლავ მოგვდგეს ომის ქარცეცხლი,
არ დაგივიწყებთ, გვემახსოვრება,
ჩვენთვის უკვდავი შენი სახელი.

თბილისო

ვარდის გული ხარ, მუდამ უჭკნობი,
გახარებული, გალაღებული,
მინდა გიხილო მუდამ ელვარე,
კოხტა თბილისო ამაღლებული.
ლამაზი ხარ და უფრო ლამაზი
მინდა, რომ გახდე დედაქალაქო,
ვარდი ხარ მუდამ ულამაზესი,
მუდამ ბაღი ხარ თბილის-ქალაქო.
შენ ხომ ია ხარ მახარობელი,
გაზაფხულის და სილამაზისა,
ვარდის გული ხარ, მუდამ უჭკნობი,
შენ სათავე ხარ აღმაფრენისა.

ქართლის დედა

ცხრა ვაჟკაცი ომში გააგზავნა,
პირველს მისცა ხელში ქართლის დროშა
და წარუძღვა შავმანდილით ხელში,
არ უღირდა თვით სიცოცხლე გროშად.
როცა, მტერმა წააქცია ველზე,
მისი შვილი ხელში ქართლის დროშით,
ქალი უცებ დევგმირივით იქცა
დროშა მისცა მეორე შვილს ლოცვით.
როს დაეცა ველზე ცხრა ვაჟკაცი,
მათ მაგივრად აღიმართა დედა,
არ დაეცა ბაგრატოვანთ დროშა,
არ ჩამკვდარა საქართველო ბედად.

შენი ვარ შენთვის მოვკვდები

შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
თან არ შევირხევ წარბსაო,
მახვილი მკერდზე მებჯინოს
არ ამოვიღებ ხმასაო.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენ განაცვალებ თავსაო,
მტერი რომ შამამეყაროს
მათზე გავლესავ ხმალსაო.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენთვის გავწირავ თავსაო,
თუკი ლაჩარი ვიქნები,
როგორ შევხედო ხალხსაო.
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
არ ვუშინდები სპარსსაო,
ოღონდაც შენთვის მოვკვდე და
სისხლით შევღებავ მტკვარსაო.

სამშობლოს

მე მხოლოდ შენი ცეცხლის ალი ვარ,
შენი სუნთქვა ვარ, შენი ძახილი,
მე ხომ ტოტი ვარ, ბალახის ღერო,
მიწის გულიდან ამოძახილი.
მე ხომ გოჯი ვარ პატარა მიწის,
ჩემი სამშობლოს ჩუმი სიმღერა,
მე ის ხმები ვარ და ის ჰანგები,
„დიდმა“ პაატამ რომ დაამღერა.

პეპელა

მისი ფარფატი ჰგავს სიმფონიას,
ნამდვილად ნაზი და საოცარი,
აქვს გამოხედვა - ვით ირონია
და სიყვარული გასაოცარი.
მე მიყვარს მისი ფერთა კრიალი,
დილის ნამი როს გააბანავებს,
მაკვირვებს მისი ფერთა ციალი,
ქარი რომ არხევს და ანანავებს.

უცხოეთში ამოკვნესილი ქართული

შორეული დედის ნანა,
თუმცა მაინც ქართული,
თუნდაც მესხურ-ჯავახური
და ან ძველი ლაზური.
თურქულ კილო გარეული,
იავნანა ქართული,
რომლის ხმაზე ცრემლი მომდის,
გაგონდება მამული,
საზღვარს იქით დარჩენილი,
მესხური და ლაზური.
ქართულ სიტყვას შერეული,
თურქული და სპარსული,
საზღვარს იქით დაკვნესილი,
მაგრამ მაინც ქართული,
მე მის ხმაზე მაგონდება
ჩემი კოხტა მამული.
ჩემი ტურფა საქართველო,
მესხური და ლაზური,
იქ შორეულ სანახებში
დაკვნესილი ქართული.

განშორება

აჰა, აჰა, განშორების სიმწარე
გულზე მადევს, როგორც მძიმე ლოდი,
მე ხომ შენგან მივდივარ და გშორდები,
კარგად იყავ, – შემოგძახებ ბოდვით.
მე მივდივარ ალბათ კვლავ დაბრუნდები,
უშენობას გული როგორ მოითმენს,
სამშობლოსგან განშორებით ყოფნას
ნეტავი ვინ, ნეტავი ვინ მოითმენს.
მე უშენოდ ყოფნას ვეღარ ავიტან,
მივალ, ალბათ კვლავ დავბრუნდები
შენი ნახვით გულით გახარებული
ალბათ ცაში, ცაში გადავფრინდები.
აჰა, დადგა განშორების სიმწარე
გულზე მაწევს როგორც მძიმე ლოდი
მე ხომ შენგან მივდივარ და გშორდები
კარგად იყავ შემოგძახებ ბოდვით.

ლაშქრული

ნუთუ არ გესმით მათი სიმღერა
საფლავის ქვიდან როგორ ამოდის,
მოდი ჩვენც მივცცეთ ვაჟკაცებს ბანი,
ხედავ ირემიც ბარში ჩამოდის.
ისე მოხიბლა ვაჟკაცთ სიმღერამ,
ყურდაცქვეტილი გარბი-გამორბის,
წინაპართ ხმების გაგონებაზე,
პატარა ბიჭი საფლავზე მოდის.
ხელში ყვავილი უჭირავს ფრთხილად
და დაუხრია კრძალვით მას თავი,
ჩვენც შემოვძახოთ ძველი ლაშქრული,
ძმანო ქართველნო მოგვეცით ბანი.

გავშალოთ ფრთები

არ არის გვიან, გავშალოთ ფრთები,
კიდევ მოვასწრებთ ზეცაში ფრენას,
დავხედოთ ქვევით ჩვენს საქართველოს,
ქვევით დავხედოთ ჩვენ მშობელ კერას.
გავშალოთ ფრთები, მე გეუბნებით
კიდევ მოვასწრებთ ზეცაში წასვლას,
გავინავარდოთ სანამდის ვარჩევთ
ნანგრევს და ნაშენს, ძველსა და ახალს.
ჩვენ ფრენა გვინდა, გვაკლია ახლა,
რომ გავეტოლოთ ზეცაში ღმერთსაც
და დავიყვიროთ ,,ქართველები ვართ“
გავაგებინოთ ბერსაც და ერსაც.
არ არის გვიან, გავშალოთ ფრთები,
კიდევ მოვასწრებთ ზეცაში ფრენას,
მაღლით დავხედოთ ახალ ტანაშლილს
ჩვენ საქართველოს, ჩვენს მშობელ დედას.
და საქართველო ქვესკნულისკენ წაუყვანია.
წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე.

ნატვრა

სადღაც ტირილი გაისმის მუდამ,
სხვაგან სიმღერა, სიცილ-ხარხარი,
იმიტომ არის, ერთს ძველი მოსწონს,
სხვებს კი ახარებს მუდამ ახალი.
მაშ გაუმარჯოს ლაღობას, ხმაურს,
მუდამ ისმოდეს ყველგან სიცილი
და არასოდეს არ დაეკვებოს
არსად არავის ტანჯვა-ტირილი.

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი)

სევდის ფერებში

უშანგი მოსიაშვილის დიდ ქართველობაზე, კარგა ხანია საუბრობს საქართველოს ის ელიტარული ნაწილი, ვინაც ნახა მისი ისტორიული სურათები, მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილის მიერ შესრულებული. ეს, უნდა ნახო, ისე ვერ დაწერ და ვერც ახვისი გადმოცემით აღიქვამ. თუ ნახავ კალამი, რომ მოიმაჯვო და ეცადო მთელი მონდომებით ფურცელზე გადაიტანო მაინც რაღაცა დაგაკლდება. დაგაკლდება იმიტომ, რომ ბატონი უშანგის საქართველოს(წარსულის საუკუნეები და დღევანდელი ყოფა ცხივრების მნიშვნელოვანი ისტორიული დეტალები აქვს ნახატებში მოქცეული), ვიმეორებ ნახატები მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილის მიერ არის შესრულებული. ბატონი უშანგი თითონაც ხატავს, მის ფუნჯს ეკუთვნის ქართველი მეფეები და სხვა ლამაზი ქართული ბუნების პეიზაჟები. საქართველოზე შეყვარებულ დიდ ბუნოვან ქართველს, დიდი გული აქვს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია, ამაღლების ეკლესიის მოძღვარს. მამა ამირან ამირანაშვილი დაუმეგობრდა მას და მამაომ ბატონი უშანგი თავისი მრევლი გახადა. ბედნიერი იყო უშანგი მოსიაშვილის ოჯახი და განსაკუთრებით მისი მეუღლე ქალბატონი ნანა. ბედნიერების ცას ეთამაშებიდა მთელი მისი შთამომავლობა, გოგიტას გარდაცვალებამდე. მოულოდნელად გარდაცვლიმა კეთილმა გოგიტამ გატეხა ოჯახის სიძლიერე. ქალბატონმა ნანამ (უშანგის მეუღლემ) დაკარგა სულის სიმშვიდე და სევდის ფერებში ხედავდა მზის ამოსვლას. შვილები და შვილიშვილები ბატონ უშანგის, მაშინაც და ახლაც თვალებში შეციცინებენ და სიცოცხლეს უხანგძლივებენ. მეუღლე ქალბატონი ნანა, რომელიც ქართველი ქალის ეტალონი იყო კოვიდის მსხვერპლი გახდა. ქალბატონ ნანას, სიცოცხლეშივე ლექსი მიუძღვენი ხუთი წლის წინ. ამ ფიზიკურად ულამაზეს ქალბატონს, ყველას ტკივილი ტკიოდა. მის ლამაზ სხეულში, ლამაზი სული ზეიმობდა. იმ ლექსს ახლა მიტომ გავიმეორებ, რომ ლექსით მისი სულის პორტრეტი შევქმენი. აი, როგორი იყო ქალბატონი ნანა.

* * *

ისეთი თბილი, თანაც კეთილი,
ქალი-- მე არსად არ შემხვედრია,
გული დარდით აქვს გადაფლეთილი,
ყველას ტკივილი მისი ხვედრია.
ტკივა და უყვარს, ირგვლივ მყოფები,
თავის შვილები, სხვისიც ასევე
და საქართველოს დანაყოფები,
კუთხე- კუნჭული მის ფიქრს ავსებენ.
ლოცვა ამშვიდებს, ლოცულობს დღისით,
ქალი - ქართველებს, უფალს ავედრებს,
თავისას ეტრფის არ უნდა სხვისი,
სიკეთის მარცვალს მტერშიც დაეძებს.
ლექსით რას ვიტყვი, მის დიდ ღირსებას,
ან რას ჩამოვთვლი, რითი შევამკო,
დღეს ჩემი ფიქრი მისით იწყება,
მაგრამ კალამით როგორ შევაქო?

დიახ! ასეთი იყო ქალბატონი ნანა. ის ყველა პოეტის მუზაა დღესაც. მან ყველა ცხოვრებისეული გამოცდა, პრწყინვალედ ჩააბარა ოჯახს, საქართველოს დედა ეკლესიას და მარადილად დატოვა ორი სახელი. აქ სიყვარული და მონატრება, ცაში კი უკვდავების მგზავრი გახდა. მამა ამირან ამირანაშვილმა არ მიატოვა თავისი მეგობარი, მაშინაც კი როცა კანონითაც კრძალავდნენ, კოვიდით გარდაცვალებულ ცხედრებთან მიახლოვებას. ღმერთის გზაზე მოსიარულე მამაომ თავისი სიცოცხლის რისკის ფასად აუგო წესი ქალბატონ ნანას. დღეს ლეგენდა ქალბატონის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ მამაო მართლაც გადაღლია, რადგან ის საერო ცხოვრებითაც ცხოვრობს და მოღვაწეობს აკადემიებში. მისი ლოცვით იხსნება აკადემიაში ყველა საღამო. მამა ამირანი უყვარს ყველას. მწერალთა კავშირის თავჯდომარის, ქალბატონი მაყვალას პატარა ანგელოზი შვილიშვილი მამაოს ,,ღმერთს“ უძახის. მამა ამირანი და აკადემიის რამოდენიმე წევრი ავედით ნანა საფლავზე, საიდაც ვნახეთ მისი გაცისკროვნებული თვალების სილამაზე ქვაზე დახატული. ტიროდა მისი ლამაზი ქალიშვილი, (იზა) იღვრებოდა ცრემლად. მზის სხივებში გახვეული მზე სევდის ფერებში იფერფლებოდა.



პლატონ ჩადუნელი
(1936-1974),

*

შესანდობარი

ჩემ სამზეოში ყრმობის ბილიკზე,
ვტკბებოდი ჯოხის ცხენის ჭენებით,
გავიღვიძებდი მამლის ყივილზე
და მთაში წასვლას დავიჩემებდი.
ბევრჯერ დამცვარა ხევში რიჟრაჟმა,
მე არ მქონია ნატვრა სხვა განძის,
მინდოდა მოხუც მამას იმჟამად
მივშველებოდი, როგორც ვაჟკაცი.
ბალღი ვიყავი და როგორც თასმა,
შემოხვეული ურმის ჭალაზე,
ვთვლემდი, სიმართლე უნდა თქვას კაცმა,
მაინც იმედად ვყავდი მამაჩემს.
მას შემდეგ გაცვდა მრავალი წელი
და მეც მრავალი წელი გამიტყდა,
იმ დღეს ვიგონებ მე გულნაწყენი,
ყრმობის სურვილი როცა ამიტანს.
ჟამი ბევრისთვის გახდა მბორკავი,
მერე ვგრძნობთ, დროს რომ გადავაბიჯებთ,
დავლიოთ მამის შესანდობარი...
ნაღვლიან გულზე ვეტყვი ძმა-ბიჭებს.

*

ტრამვაიში

ნაწვიმარზე ცისარტყელა ჰგავდა დიდ ხმალს,
ცვარს აფრქვევდა მთებს ნისლების ფარა.
ჩემ წინ მდგომმა სილამაზის ხატმა მითხრა:
– ჩადიხართო? – ვუპასუხე: – არა!
მაგრამ მივხვდი, ბეწვის ხიდზე დამრჩა ბედი,
როცა ჯადომ დარდის ყბაში ჩამსვა.
ახლაც ვფიქრობ: ნეტავ რატომ არ ჩავედი,
მე ხომ სწორედ იქ მინდოდა ჩასვლა?!

კაეშანი

კარზე მომადგა მუხთალი ბედი
და უცებ მძიმედ დაეშვა ფარდა,
მე კი რა მქონდა საუნჯე მეტი,
შენი უბრალო ღიმილის გარდა.
ვრცელი გზაშარა გავლიე ძებნით,
ვერსად წავაწყდი დაკარგულ ფერებს,
ოი, რამდენი გასულან წლები,
იმ ჭაბუკური ზმანების მერე...
მაგრამ მე დღესაც დავეძებ მნათობს
და განშორების ღრუბლები მაწვიმს,
მომავლის გზაზე ოცნება მართობს,
ცისკრის ვარსკვლავად ანთილი თვალწინ.
ახლა კი, როცა ვამზადებ სათქმელს,
ვგრძნობ საზეიმო იერი მახლავს,
შენზე ოცნება ტკივილებს მართმევს,
ხვალ იქნებ რამეს მივაგნო ახალს...
მერცხლების ჟღურტულს სიმღერად ვისმენ,
მიდამოს თაფლის სურნელი ასდის,
ფეტვივით ვფანტავ ეჭვების ნისლებს
და ჩემს ბაღნარში იშლება ვარდი.
მხოლოდ შენ ერთი მაკლიხარ თვალში,
როგორც სიცოცხლე მოწყვეტილ ფოთოლს
და მჯერა, მოსვლა მოგიწევს მაშინ,
როცა მთვლემარე ქედებზე მოთოვს.

*

იქნებ ქალს უნდა ეთქვა?

ნისლის ბეჭედში ჩასმული მთვარე
მორცხვად უმზერდა ბუჩქებს;
ფიქრობდა: „ვინ არ მომაპყრობს თვალებს,
ვისაც სიცოცხლე უჩქეფს?“
მაგრამ მთვარისთვის სადღა ეცალათ,
მათ ერთმანეთი ჭვრიტეს.
დუმილი მალე შემოეცალათ
ხევში მთვლემარე ჩიტებს.
ბაგე ფარავდა ბროლს და მინანქარს,
ღამე იმსხვრევდა ბექთარს,
ვაჟმა ვერ შეძლო ეთქვა: – „მიყვარხარ“,
იქნებ ქალს უნდა ეთქვა?

* * *

თავგამეტებით ჟღერდა გიტარა,
უხვად ცვიოდა თოვლის ფანტელი,
ზამთარმა სულში შემომიტანა
შენზე ფიქრების კორიანტელი.
უამინდობამ თავი მაცნობა
და გაზაფხულის ვიგრძენ დიდება,
როგორც ოდესღაც შენი გაცნობა,
არც დავიწყება გამიკვირდება.

*

დავდივარ, დავეძებ

ვიცი, მეც დამიწნავს დრო ულოს,
ტყემლები ყვავილებს მაყრიან,
დავდივარ, დავეძებ, ვპოულობ...
და მაინც რაღაცა მაკლია.
ტოლები მიწვევენ ნადიმად,
ვეცლები ფიქრების მარწუხებს,
ედემში სატრფოსთან დავდივარ...
და მაინც რაღაცა მაწუხებს.
ჩურჩულებს ოცნება მჩქეფარი,
სხივებმა ვაზები გაბარდნეს,
აკვანში სიცოცხლეს შევხარი...
და მაინც რაღაცა მადარდებს.
აპრილი მწვევია დროულად,
ტყემლები ყვავილებს მაყრიან,
დავდივარ, დავეძებ, ვპოულობ...
და მაინც რაღაცა მაკლია.

* * *

გნახე და სამყარომ იერი იცვალა,
ვეღარ მოგაშორე თვალი,
ო, ისე ბრწყინავდი, სიცოცხლეს ვფიცავარ,
ვით ვარდის ფურცელზე ცვარი.
შეტოკდი, ალბათ თუ იგრძენი შეხება,
საოცრად მწყურვალი მზერის...
მზემ თეთრი ქედები ვარდისფრად შეღება
მღელვარე ღაწვების ფერით.
იმ წუთის ხვაშიადს, აბა, რას დავმალავ,
რა გზითაც არ უნდა ვმალო,
მე თუ შენ გელოდი ფიქრების ამარა,
შენ რადღა მიმზერდი, ქალო?

* * *

როცა მიდამო მწუხრში ეხვევა,
მაქვს პაექრობა ჯიუტ პწკარებთან,
დაუდგრომელი ღამის მეხრე ვარ,
თვალებზე რული არ მეკარება.
მძლავრად გაუდგამთ ნერგებს ფესვები,
წინსვლა მალაღებს ახალ დროების,
ვენახის ძირებს ვეალერსები,
სურნელს მაფრქვევენ ატმის რტოები.
ბაგეს მიცვარავს მინდვრის ყვავილი,
მკერდზე ოცნების ტალღა მეხლება,
ახლა სამყაროს ისე დავივლი,–
მუხლი წამითაც არ დამეღლება.

*

ფიქრები ალიონზე

ალიონი, როგორც ბაგე საყვარელი ქალის,
მიღიმის და მივიჩქარი სიყვარულით მთვრალი.
ჩემს წინ მუხა, რომ ჩურჩულებს ვით მოხუცი პაპა,
მე მიყვება მიჯაჭვული ამირანის ზღაპარს.
მე იმ მუხამ შემაყვარა სიცოცხლე და სითბო;
სიჭაბუკე დამიმშვენა და მომავალს მიტკბობს.
სწორედ მისთვის იმ მწვერვალზე, მზე სხივებს რომ აფენს
და გრიგალი ვერას აკლებს სიჭაბუკის აფრებს,
ასვლა მინდა, გზაგზა ვტოვებ ენძელებს და იებს,
მათზე ფეხის უხეშ დადგმას არვის ვაპატიებ.
ალიონი, როგორც ბაგე საყვარელი ქალის
კვლავ ბრწყინავს და მეც ვიჩქარი სიყვარულით მთვრალი.

*

სადაც ორბი გადაჰყივის ორწოხს

სადაც ორბი გადაჰყივის ორწოხს,
როცა მწყემსი სალამურზე უკრავს,–
ერთი თხილის ცხრად გაყოფა მომწონს,
როგორც მოლზე გაფენილი სუფრა.
სადაც სიყრმის გარიჟრაჟმა მწველმა
დამაწაფა ძველი სიბრძნის წყაროს,
ტკბილმა სიტყვამ მთას ირემი წველა
და მართალ კაცს ბედი ყველგან წყალობს.
სადაც დღემდე ავყოლივარ ფიქრებს,
რომ არასდროს შევეყრები ბოროტს,
წინაპრებმა სინამდვილე მითხრეს;
რასაც დასთეს, მას მოიმკი ბოლოს.
სადაც ღვინომ დამისველა მკერდი
გადმოღვრილმა მოვერცხლილი რქიდან,
გამიფრინდა პირველ ტრფობის გედი
და ოცნება დამიტოვა წმინდა.

გაზაფხული

დგება საამო დრო,
სავარგულებზე წვიმს,
სურვილს არავინ თმობს,
ყველა მიიწევს წინ,
ბერი მუხების ტევრს
ახლავს სურნელი მთის,
ხავსი ლოდებზე თვლემს,
ხევში ჩანჩქერი თრთის.
სიო კორდსა და სერს
ჩურჩულით უვლის გარს,
მარად ელვარე მზე
მორთულ დედოფალს ჰგავს.

დალი აბესაძე



ჯუმბერ ლეჟავას გახსენება

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ,რაც ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ მარადისობაში გადაინაცვლა.

დღეს 23 ივლისს იგი 80 წლის გახდებოდა.

ჯუმბერ ლეჟავას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც უკეთურებასთან და სიკვდილთან მებრძოლს, ბოროტებასთან ურიდალს, შეუპოვარ, უდრეკ და დიდებულ პიროვნებას.არამარტო შთამბეჭდავი, არამედ განსაცვიფრებელია მის მიერ ღირსეულად მოპოვებული ტიტულები... მრავალგზის გინესის რეკორდსმენი, ქართველის სპორტსმენი, მსოფლიო მოგზაური,მსოფლო მოქალაქე და სხვა...

მოსაგონარი ბევრი მაქვს.....

მინდა დიდი სიამაყით აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში მასთან მიწევდა ინტენსიური ურთიერთთანამშრომლობა. ვიყავი მის მიერ დაარსებული ჟურნალ "მოგზაურის" ერთერთი რედაქტორი. მისმა სერიულმა გამოცემებმა ლამის მეც მასთან ერთად მთელი მსოფლიო შემომატარა და მაზიარა ამაღლებულ სულიერ ღირებულებებს... ორიოდე სიტყვით ძნელია იმის თქმა რამდენად საინტერესო იყო მასთან ერთად გატარებული ყოველი დღე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება დაუვიწყარ მოგონებად...

დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო მის ადამიანურ ღირსებებზე...პიროვნულად ისეთი კეთილშობილი, მზრუნველი, პატიოსანი, თავმდაბალი. მოსიყვარულე პიროვნება ალბათ იშვიათად იქნება...

უდიდესი დანაკლისია ბატონი ჯუმბერ ლეჟავა არამარტო ჩვენი ქვეყნისთვის არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც შეიძლება ითქვას.....

მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია.....

სხვადასხვა განყოფილება

ცაგო აბაშმაძე

ბარბი გოგო

დღეს ბარბარე ბაღში მიდის,
ცელქი გოგო,პრანჭია,
მამის გამოგზავნილები
წკაპუნები აცვია.

მიპაკუნობს პაკიპუკით,
მზის სხივს ეთამაშება,
ლექსიც იცის სხაპასხუპით
ბაღში,როცა წარსდგება.

დათვლაც იცის,წერაკითხვაც,
იცით, რა მაგარია?
გევედრები,გთხოვ დაიცვა,
ღვთიშობელო მარიამ.

დათა და ტორტი

დედამ ტორტი გამოუცხო
დიდი, ვეებერთელა,
გარს უვლის და ცეკვა-ცეკვით
ეპარება ნელნელა.

დედა სტუმრებს ელოდება,
დამაცაო,პატარა,
დათამ ტორტი აიტაცა,
ეზო გადაატარა.

ტორტით ხელში გარბის ბიჭი,
უკან მისდევს მურია,
ეზოს ბავშვებს გაახარებს,
ნოდიკოს და ზურიას.

ჭამე ფისო

ჭამე ფისო ჩემი ფაფა,
გემრიელად მიირთვი,
საიდუმლო შემინახე,
დედიკოსთან ნუ იტყვი.

ჩქარა, თორემ მოგვისწრებენ,
დათუნა და მაიკო,
თუ გაიგო,შენ გაჭამე,
ეწყინება მამიკოს.

დათუნა და კვატუნა

დათუნა და კვატუნა
მეგობრები არიან,
დილიდან საღამომდე
მინდორ მინდორ დადიან.

კვატუნია კვატუნას
თეთრი კაბა აცვია,
ოქროსფერი წინდები
ფეხზე შემოტმასნია.

შესციცინებს დათუნა,
თეთრკაბიან კვატუნას,
მოდი,ვითამაშოთო,
თავში ჩაუტატუნა.

არ იკადრა კვატუნამ,
როგორ გამიბედაო,
მეგობრობა მინდოდა,
მტრობა დამიბედაო.

ახლა ვნანობ,წუთის წინ
როგორ ჩაგეხუტეო,
აღარ მინდა თამაში,
უკვე გაგებუტეო.

* * *

კოლა მასწავლებელი,
ყვება ტყის ისტორიას,
ვინც არ უსმენს, მიიღებს
გრძელფეხება ორიანს.

ახლა პაწაწუნებო,
გავიაროთ ტყეშიო,
ვნახოთ რომელ ხეს უჭირს,
გავარჩიოთ ხმელშიო.

ძირი შემოვუბაროთ,
წყალიც ვასვათ კოკითო,
ხმელ-ხმელი ტოტები კი
უნდა შევკრათ თოკითო.

ახლოს თუ გაეკარა,
წუწკი ბრაკონიერი,
დავუწესოთ სანქცია,
მართლაც კანონიერი.

გამრჯე ციყვი

გამრჯეობით ცნობილია,
კუდბუთქუნა ციყვი,
ზამთრისათვის მოიმზადა
უამრავი ნიყვი.

გაახმო და გამოფინა,
მძივად აწყო თოკზე,
კაკალიც არ დაივიწყა,
შეაგროვა დროზე.

რომ ზამთარში არ მოშივდეს,
გაატაროს ლაღად,
პაწაწინა ციყვუნები
ეყოლება მაძღრად.

ბაქია თაგუნა

ერთ ჯადოსნურ სოროში,
არც მეტი,არც ნაკლები,
დაიბადა წრუწუნა,
სათაგვეთის ამკლები.

თეთრი იყო,ღუნღულა,
ნაცრისფერი კი არა,
გაიბღინძა, გალაღდა,
ეზო შემოიარა.

აქაოდა, მე ვარო,
უკეთესი ყველაზე,
მთელი ეზოს თაგვები
დააყენა,, სმენაზე."

ერთ დღეს თხილი იპოვა,
ეზო ააწრიალა,
კატუნიამ იპოვა,
სადღაც წააპწიალა.

მოიბუზა თაგუნა,
გახდა ცერისოდენა,
აწრიპინდა: მიშველეთ!
სათაგვეთი მოდენა.

ფისოს ევედრებიან,
აპატიე ბატონო,
ერთი ციდაც არ არის,
იმიტომაც ბატონობს.

გაიზრდება, ისწავლის,
წესებს, როგორ მოიქცეს,
არაფერს მოიპარავს,
ქვეყანაც რომ დაიქცეს.

როგორ ვენდო ამათო,
კატუნია დაფიქრდა,
ჩემთან დავიტოვებო,
თუმცა დიდად არც მინდა.

თაგვებს ასე უბრძანა:
მეყოლება ჩემთანო,
არაფერს დავუშავებ,
მართალს ვამბობ ღმერთთანო.

იმ დღის შემდეგ ფისუნამ,
მართლა ბევრი იწვალა,
დაუფასდა ამაგი,
თაგვმა ბევრი ისწავლა.

ახლა იცის წესები,
არც ქურდობს,არც თავხედობს,
ზის წყნარად და კუთხეში
ბებოს ზღაპრებს კითხულობს.

ირინოლა ტყეშელაშვილი

ქურდბაცაცა ქორუკა

ქორუკელამ ბებიას
შეუჭამა წიწილა,
საცოდმა საბრალოდ,
იწიწინა- იწივლა,..
რა ჯანდაბად მემეჩვიეთ
გაწყდა თქვენი სინსილა,
მიძახა ბებიამ
გადმომდგარმა მესერზე,...
ქოთქოთებდა კრუხი და
საქათმეთი სრულიად,
მერე კრუხიც წასცინცლა,
დიდხანს არ გაუვლია,...
ქურდბაცაცა საზიზღარს,
ასე რომ არ ეჩქარა,
გზაში სულს არ დალევდა,
ძვალი რომ გაეჩარა.

სურვილი



მავთულხლართს იქით
პაპა დგას,
იგი გმირია შინდისის,
ღმერთს სწვდება ჩუმი ვედრება,
ბავშვური სუფთა სინდისით,
უფრო ლაღად რომ მოფრინდეს,
ყოველ გაზაფხულს მერცხალი,
მთლიანი ვნახო სამშობლო,
ჩემი სურვილი ეს არი.

ორი ღუნღულა წიწილა

ორი ღუნღულა წიწილა
დახვდა ამ დილით ბუდეში,
ჩახუტებოდნენ დედიკოს
მასავით თბილად, უბეში,
ნეტავ რა გრძნობა უთრთოდათ
ამ პაწაწინა გულებში?!,
ბავშვურად მიესათუთა
თავის პაწაწა თითებით,
სახეს ღიმილი ეფინა,
ულამაზესი ფიქრებით...
სიცოცხლე სულ იზეიმებს,
სანამ თქვენ ქვეყნად იქნებით.



მელია

ეს გაიძვერა, კუდაგრძელია,
მშიერი დარჩა, ჩვენი მელია,
შარშანდელი სულ გადაავიწყდა,
ყველა სოროში წაარბენია,
გაბრაზდა კრუხი აღარ დაჩეკა,
უქათმოდ დარჩა ამ წელს ბებია.
ო, შე მსუნაგო, ცელქო მელაო,
კი მოგიხდება ეს მოწყენაო,
წაბრძანდი, ისევ ტყეს შეეფარე,
აღარ გაბედო გამოჩენაო.

ბუ და მათე

შესციებია საბრალოს,
მოუხვევია ბუაო,
მათე დგას გაკვირვებული,
ეს ჩიტი ნამდვილ ყრუაო,
ანუკიმ, ჩიტი კი არა,
რად ვერ იცანი, ბუაო.

ელე და ელი
ზღაპარგოგონები

ელე ორი წლის იყო როცა ბებო ემიგრაციაში წავიდა... მას უფროსი დაიკოც ჰყავს – მარი, 13 წელია სხვაობა მათ შორის და დეიდაშვილი გიო, ელის და გიოს ერთმანეთი ძალიან უყვართ, უერთმანეთოდ ვერ ძლებენ, თუმცა კიდევ ერთი პატარა გოგოს დაბადებამ სხვა სიხარული შესძინა ელეს.

ელი – ასე დაარქვეს პატარას, რომელიც ელეს დეიდაშვილია და გიოს ბიძაშვილი. ელი, ბებოს უცხოეთში წასვლიდან ერთი წლის შემდეგ დაიბადა.. ახლა ელი უკვე სამი წლისაა და ბებოს მხოლოდ კომპიუტერის ეკრანიდან იცნობს. ელე წელს სკოლაში მიდის, მარი სტუდენტია, გიო კი მალე 12 წლის გახდება... იზრდებიან ასე შორს ბებიას ჩახუტების გარეშე. საოცარი სიხარულია როცა ელეს და ელის დედიკოები უხმობს ეკრანთან,

– მოდით ბებიაა ხაზზეო, ასე ესიყვარულებიან ერმანეთს ბებია და შვილიშვილები. გიოს დედა ენატრება, ისიც ემიგრანტია. ნეტავ როდის აიჭრება ღრუბლებს მაღლა ის ლაინერი, ამათ ბებიას და გიოს დედიკოს შინ რომ დააბრუნებს.

სამი მეგობრის ამბავი

ჩემო პატარა მეგობრებო, რადგან ყველა ზღაპარი ,,იყო და არა იყო რა" – შესავლით იწყება, თავი რომ არ მოგაწყინოთ პირდაპირ ამბის თხრობას შევუდგები.

ლამაზ სოფელში, ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვი – ნისკარტა, ვარიკა – ჭრელა და მურია – ყურშა. ისე დამეგობრდნენ ერთმანეთის გარეშე ვერ ჩერდებოდნენ.

პატრონი ნისკარტას და ჭრელას საკენკ რომ დაუყრიდა, ყურშა იქვე ჩაცუცქდებოდა და მეთვალყურის როლს მოირგებდა, სხვა ფრინველებს მისი მეგობრებისთვის საჭმელი რომ არ მოეპარათ. იხვსა და ვარიკას ნამდვილად ეამაყებოდათ მურიას ერთგულება. როგორც ვიცით იხვს წყალში ცურვა უყვარს, მისი მეგობრებისგან განსხვავებით, როცა ნისკარტა ეზოში ბებოს სახელდახელოდ გაკეთებულ გუბურაში ჭყუმპალაობს, ყურშა და ჭრელა ნაპირზე მოძებნიან გასართობს.

მეგობრობა გასაჭირში გამოიცდებაო, ხომ გაგიგონიათ და აი, დადგა დრო მათი გამოცდის. ერთ დღესაც საიდანღაც ვეებერთელა ქორი მოფრინდა, მოინდომა ვარიკას მოტაცება, ის დრო იყო ნისკარტა წყალში ნებივრობდა და ყურშას მარტო მოუხდა მტაცებელ ფრინველთან გამკლავება. სადაცაა უკვე უნდა ჩაევლო კლანჭები საბრალო ვარიკასთვის, ეცა მურია ფრთაში ქორს, ნისკარტამაც შენიშნა მეგობრები გასაჭირში არიანო და მაშინვე ამოდგაფუნდა გუბურადან, ერთი კი შეიბერტყა სველი ფრთები და ნისკარტით თვალში ეცა ქორს, გამწარებულმა მაშინვე მიატოვა ვარიკა და ცაში გაუჩინარდა. ამის შემდეგ მათი მეგობრობის ამბავი მთელ უბანს მოედო და მისაბაძ მაგალითად იქცა.

წყარო და პატარა გოგონა
(წაუკითხეთ პატარებს)

იყო და არა იყო რა, ან უკეთესი რა იქნებოდა. ერთი დიდი, დაბურული ტყის განაპირას ცივ, კამკამა წყაროს დაედო ბინა. არც მას ახსოვდა აქ როგორ გაჩნდა და არც არავის. სამყაროს გაჩენიდან იყო ასე მთის კალთაზე დაბრძანებული და ყველა გამვლელ გამომვლელს არწყულებდა. პატარა გოგონასა და წყაროს მეგობრობის ისტორიაც რამდენიმე წლის წინ

დაიწყო, მაშინ როცა ღელის პირას ჩასული ფერადი კენჭების თამაშით ერთობოდა, უცაბედად ერთი კენჭი იქვე ბუჩქებში ისროლა, უცნაურად მოეჩვენა კენჭის დაცემის ხმა, რაღაც მუსიკალურ ბგერასავით მოწვდა გოგონას სმენას, ფრთხილად გადასწია ფოთლები და ოი, საოცრებავ, როგორც დედის ნაქონ სარკეში, ისე დაინახა თავისი სახე. სიხარულით აცეკვდა და აკისკისდა გოგონა, თავის მხრივ წყარომაც უმატა ლიკლიკს.

ამის შემდეგ ყოველ დღე სტუმრობდა წყაროს პატარა გოგო, თითქმის მთელ დღეს მასთან ატარებდა. საღამოს აავსებდა პატარა სურას და შინ მიჰქონდა ცივი წყალი. წყაროც მოუთმენლად ელოდა ქვებზე ასკინკილით მოცეკვავე მეგობრის გამოჩენას. გადიოდა დრო, გოგონა იზრდებოდა, წყარო კი იყო და იყო ისევ ისეთი პატარა მწვანე შქერის ფოთლებში ჩამალული.

გავიდა ხანი, ამაოდ ელოდა წყარო გოგონას გამოჩენას,

ის კი არა და არ მოდიოდა, აბა რა იცოდა, რომ მისი ოჯახი კარგა ხანია მთიდან ბარში გადასახლებულიყო. მოიწყინა წყარომ, მიუხედავად იმისა რომ ბევრი მნახველი ყავდა, გოგონასავით არავინ ეალერსებოდა, არავინ უყვებოდა ტიტინა ენით პატარა ლექსებს. საკმაო დროის გასვლის შემდეგ ვინ იცის იქნებ დაავიწყდათ კიდეც ერთმანეთის არსებობა, თუმცა არა, გოგონა უკვე დიდი ქალი გამხდარიყო, ოჯახიც შეექმნა და შვილებს უყვებოდა მისი და წყაროს მეგობრობის ამბავს.

ერთ დღეს ბავშვობის ნოსტალგიამ გაიღვიძა უკვე დედისა და ბებიის გულში, მოინდომა გაეგო ისევ იყო თუ არა მისი საყვარელი წყარო ღელის პირას, უთხრეს წყარო დაშრაო, ვერ წარმოიდგენთ როგორ დაიტირა დიდი ხნის მონატრებული ბავშვობის მეგობარი. მიუხედავად ამისა მაინც იმედი აქვს, დადგება დრო ისევ ესტუმრება იმ ადგილს, ისევ გადაწევს ფოთლებს და წყაროს წყალში ბავშვობას დაინახავს, როგორც დედის ნაქონ სარკეში ხედავდა ერთ დროს ნაწნავებიან გოგოს.

გამოცანები

1) უწყინარი მწერია
უყვართ ხტუნვა ძალიან,
აბა გამოიცანით,
რა იქნება?!_კ....

2) ნეხვსაც კი არ იწუნებს
ფრენა შეძლოს ოღონდ,
ოკუპანტი მწერი არის
თქვით რა ჰქვია_ კ...

3) მაშინ არის მხოლოდ ჩუმად
სასუსნავზე თუ ზის,
აბა გამოიცანით,
მაშ რა ჰქვია?!_ ბ...

4) დარბის ხმაურით,
თარეშით,
არასდროს არის წყნარი,
თუ დაფიქრდები
მიხვდები
რატომ დაარქვეს ქ...

5) ხან მყარია, ხან თხევადი,
როცა ციდან ცვივა,
სახელი აქვს ცხრაზე მეტიც,
თქვი რა ჰქვია_ წ....

6) უმისობით ვერვინ
ცოცხლობს,
თუნდ კლდე იყოს სალი,
აბა გამოიცანით,
ეს რა არის?!_ წ....

7) სტუმარი რომ შინ მოგივა
არ გჭირდება წამი,
თქვი, რა უნდა მიაწოდო
პირველ რიგში?!_ ს....

8) დაალაგე, აალაგე,
ისევ იწყებ თავიდან,
სატრაპეზოდ სხვა რა გინდა?!,
მარტო ერთი_ მ.....

9) ბაყაყების ადგილია
არ გეგონოთ წუმპე,
წვიმის დროს დაბადებული
სხვა რაღაა?!_ გ...

10) მაღვიძარას ეძახიან,
დადის დიდი ამალით,
სხვა რა უნდა იყოს აბა,
თუ არა და_ მ.....

11) დასისინებს როგორც
გველი,
დადის მუდამ ზანტი,
ყველა ზარმაცს ეძახიან,
რატომ ხარო_ ბ...

იგავარაკები

ნანული ჯავრიშვილი

ძვირფასო მეგობრებო, გთავაზობთ
იგავ-არაკებს- საკუთარი წიგნიდან
,,ცოდნის ბილიკებით".

ტრაბახა ბაყაყი

მდინარის პირას, მზისგან გამთბარ ქვებზე ბაყაყი დახტოდა და ტრაბახით იკლებდა მდინარის მობინადრეებს:

- ჰეი! შემომხედეთ! რა ძლიერი ვარ! წყალში ცურვა თქვენზე უკეთ შემიძლია და ხმელეთზეც კარგად დავხტუნავო. თქვენ კი ხმელეთის გეშინიათ. წყალი რომ დაშრეს, ერთიანად ამოწყდებითო.

იქვე, ახლოს, ცაში არწივი დაფრინავდა, არწივმა ბაყაყს გადმოსძახა:

- ვინ ხარ შე დალეულო ბაყაყო! ერთ ლუკმადაც არ მეყოფი, რას ტრაბახობ? ჩემზე ძლიერი არავინ მეგულება. ყველას ყურადღებას ვიპყრობ, შენ კი ყიყინის და ტრაბახის მეტი არაფერი შეგიძლია და არც არავინ გაგცევს ყურადღებას. მე სიკვდილიც ვერაფერს დამაკლებსო.

ამ დროს თოფის ხმა გაისმა. ამაყი არწივი ფრთების ფართხალით ძირს დაეცა. ბაყაყს კი, სისინა გველი წამოადგა თავს და წამში გადასანსლა.

ამგვარად დასრულდა ტრაბახა არწივისა და ბაყაყის სიცოცხლე.

შეშინებულმა თევზებმა ჩაილაპარაკეს:

სიკვდილო, არ დასანახო, მოსულო უკუნ-ბნელეთით,

სამსხვერპლოს ყველგან მიაგნებ, ცით, ოკეანით, ხმელეთით.

უკმაყოფილო მათხოვარი

ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი, რომელიც დაუღალავად შრომობდა, რომ ლუკმა-პური არ მოკლებოდა მის ობლებს. ჰყავდა საქონელი, ფრინველი, რამდენიმე ფუტკრის ოჯახიც. ძალზე მოვლილი ხეხილის ბაღი ჰქონდა. ეზო – ყველაფერს გამრჯე ადამიანის ხელი ეტყობოდა.

ერთხელ ქალმა ფუტკრის ოჯახს მიაკითხა. სკიდან ექვსი ლიტრი თაფლი ამოიღო. მერე გამჭვირვალე ქილაში ჩაწურა.

ამ დროს კარზე მათხოვარი ქალი მიადგა, რომელსაც არ გამოპარვია თაფლით სავსე ქილა. მან დიასახლისს მოურიდებლად მოსთხოვა თაფლი... – თაფლი გქონია, მკვდრების სულის საცხონებლად ცოტას ხომ არ მომცემო?

– არა, ეს თაფლი არ არის! ეს წამალია, რაც შენ არ გამოგადგებაო. – იცრუა ქალმა. ცოტაოდენ ფულს მოგცემო და ხურდა ფული ხელის გულში ჩაუჩხრიალა.

მათხოვარმა ჩუმად თავისთვის რაღაც ჩაიჩიფჩიფა და წავიდა. აშკარად დაიწყევლა.

დიასახლისმა აიღო თაფლით სავსე ქილა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ქილა ხელიდან გაუვარდა და ნამსხვრევებად იქცა. თაფლი დაიღვარა. ქალმა ბევრი ცრემლი ღვარა, მაგრამ რაღას უშველიდა?

ამის შემდეგ ფუტკრის ოჯახი მთლიანად ამოწყდა. გაწყდა ფრინველიც, საქონელიც, ხილიც გადახმა. ოჯახი განადგურდა.

გულდაწყვეტილი ქალი ტანჯვა-წამებით განაგრძობდა ცხოვრებას და ხშირად სხვებისგან ითხოვდა დახმარებას...

შეგონება:

ჩემო საყვარელო ბავშვებო, ტრაპეზის დროს მიცვალებულთა სულებიც არ დაივიწყოთ. გაიხსენეთ, ვისაც გყავთ მიცვალებულები. მათი სულების მოსახსენებლად საჭმელი სხვასაც უწილადეთ!

თქვენგან გამეტებული ლუკმა ულევ ბარაქას მოგიტანთ და ყველა მადლიერი გეყოლებათ.. მკვდრის სულებიც გაიხარებენ და დაგლოცავენ.

ანდაზა:

შესაწირს ნუ ეწირები, – ლუკმას თუ გაეტირები.

.....

ნეტავ იმას, ვინც სიკეთეს თესავს გზა-გზა,

გაიმზადებს საიქიოს მისთვის საგზალს.

❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤

თარგმანები

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

AUS SAMEBAS GLOCKENTURM
FORTSETZUNG

Laut Luara Sordia war die Seele von Bezhan Kharaishvili während seines kurzen Lebens aus irgendeinem Grund voller Gedankem an den Tod. Ihn als der Schöpfer sehnte sich danach, die Geheimnisse der Unterwelt zu erkennen, dort nicht zu bleiben und in das sichtbare Paradies zurückzukehren :"Vor kurzem beunruhigen mich die Nachrichten über die andere Welt sehr. Ich fürchte mich, dass mir nichts passieren /in letzter Zeit sind die Nachrichten über eine andere Welt sehr besorgniserregend/ ich möchte sterben , die andere Welt sehen, aber ich kann dort nicht bleiben, ich werde nur sehen und zuückkehren, sehen und zurückkehren."

In diesem Zusammenhang lenkt der Forscher unsere Aufmerksamkeit auf Bezhans Geschichte/ Erzählung " Die Toten ohne Nahmen", insbesondere auf die beeindrückende Episode, die hier gezeigt wird und sich auf den Inhalt eines Traums bezieht, den der Schriftsteller in Khevsureti gesehen hat. wird Luara auf das Thema ihrer Forschung näher eingehen.

Hier sprechen wir über einen Traum,/ hier geht es über einen Traum, der zweimal in der Geschichte gesehen wurde. Besonders hervorzuheben ist der Dialog zwischen einem Zwergmann und einem Dichter/ der Dialog zwischen dem Zwerg und dem Dichter verdient besondere Aufmerksamkeit.

Der Tod kann schliesslich von niemandem verwirbelt/ überweltigt werde. Wenn er wollte , würde der Tod Gott töten: Der Tod hat das Recht /die Macht die ganze Welt nicht existent zu machen/nicht existieren lassen und die Menschheit zersötren. So wird euer Gott sterben, es wird keinen Schöpfer und Anbeter geben, die Welt wird bleiben, aber niemand wird es wissen/ unter den Entdeckern wird es keener mehr existieren/. Ohne Erkenntnis sind die Welt und Ereignisse um sie herum Nicht-Existenz, Nicht-Existenz und Tod sind doch Brüder/ Gebrüder.

Oben haben wir Kharaishvilis Geschichte "Toten ohne Nahmen' erwähnt , die die Begegnung mit diesen beiden/ Doppellgängern/ eindrucksvoll beschreibt, /worauf/ auf die Laura Sordia in ihrem analytischen Buch besonderes Augenmerk legt/ eine grosse Aufmerksamkeit schenkt./Der Forscher interessierte sich für eine kleine Episode, in der eine grosse philosphische Aussage gemacht wir.d/wieder gegeben is, wirdt/.:Jeder Mensch trägt die angeborene Sünde, die ihn zu Boden senkt und das Ziel sollte sein, sich selbst zu erkennen, gegen die Anfänge der Bosheit zu kämpfen, von ihr gereinigt zu werden oder von einem Hindernis der Erhöhung.Nur so ist es möglich, in die Wohnstätte Gottes, der Engel, der heiligen Geister einzutreten /.zu erreichen.

Der Schwerpunkt des Buches liegt auf/ Das Buch konzentriert sich auf die prophetischen Visionen den prophetischen Visionen von Bezhan Kharaishvili, die separat/als einzellnes Kapitel/ hervorgehoben werden. Der Autor schreibt: Bezhan Kharaishvilis Poesie macht auf die unverkennbare Vorraussicht der öffentlichen/gesellschaftlichen und persönlichen Zukunft aufmerksam, die sich nur durch das Phänomen der Aufklärung erklären läβt.Der Gegenstand, das Objekt der Beobachtung und der Beuerteilung ist : "Schiksal der Dichter", "Zweifel", Bäche in den Bergen", "Es ist Frühling," "Verurteilung, Aberglaube, Vorurteil"/ Manuskript/" Lebe viele Jahre , mein Bezhan" und viele andere.

Sehr interessant wird das fünfte Kapitel gelesen-das sind "die Erinnerungen von Vazha Pshavela in den Kharaishvilis Werken."Dieser Aufsatz sollte unbedingt /eben nur von Luara Sordia geschrieben werden. Hier wird es das schöpferische Verhalten des jungen Dichters zur Lehrlinspoetischen Welt von Vazha Phshavela, das das nicht die Beziehung/die Haltung des Lehrlings zum Grossmeister, sondern das weise, aufrichtige Zittern seiner Stimme und Handschrift gegenüber dem Dichter war."

Das bezieht sich nich nur auf das ideologische Echo der Werke, sondern auch auf die Kraft des der charakteristischen Seite, des Gesichtsdenkens/ des Denkens der Gesichter.Die Beweise dafür liefert ein Gelehrter, der Vazhas poetisches Geistesgenie fast auswendig kennt.

Hören wir uns die Meinung an, die sich in Form eines Lebenslaufs eines Wissenschaftlers gebildet hat: Bezhan, wie Vazha Pshavela war ein Apologet für Spiritualität, Moral und nicht pragmatische, irdische Interessen.Er idealisierte den Berg wie Vazha, die ritterliche Natur der Bevölker, quälte die Bergregion, die auf einer leeren Strasse steht. Er sang wie Vazha zum Fluss Aragvi vor, für ihn waren Eiche, getrocknete Buche und Stier die Symbole der Nation. Er kämpfte gegen die Vermehrung der Reliquien, stieg als Sohn in den Himmel auf, sehnte sich nach dem Reich der Liebe, war dem Ideal von " Kai Kma'/guter Sklave/ treu.

In der Monographie sind die Fragen der Poetik und einige Aspekte der schöpferischen Eigentümlichkeiten durchgearbeitet.Im künstlerischen Denken sind folgende Arten ausgesondert worde: Der Eichen, der Ofen, das Wind, der Sperber, der Adler, der Schnee, der Wolf, das Ungeheuer, der Nebel, der Berg,das Vlies. Akzeptiert werden auch georgische Neologismen, wie: tchakornispherda, atkemlispherda, ichandjla, tchanamgaleba, mtredispherobs, davimaiseb, inamzochreben, gadathovleba und viele andere. Die Rede ist über die Rythmen, die metrischen Strukturen, über die öfteren Veränderung des Rythmus.

Wie der Leser schon bemerkt hat, haben wir Luaras interessantes Buch "Charaischwili Bejan- der Sperber der georgischen Poesie/ Dichtung"im allgemeinen fast fragmentalisch behandelt.Natürlich hat der Dichter verdient, ber seine Poesie und Dichtung ein Werk mit solchem Tittel zu schaffen. Dieses Buch sollte unbedingt und vor allem nur von Luara geschrieben werden.Ich verzwifle, das sich keiner ins Geheimniss der Dichtung von Bejan hätte vertiefen können. Derjenige, der bis heute die Bejans Sammlung der Erzählungen "das Schiksal der Poeten" und Luaras Buch – "Charaischvili Bejan- der Sperber der georgischen Dichtung" nich kennt, würde ich ihm einfach empfehlen, sich damit ganz aufmerksam bekannt zu machen. Diese Werke könnten sich mit höchsten Poesie und musterhaften wissenschaftlichen Werke als Garantie dienen.

Nischatni Sachangdapheni in der Poesie von Gulnasi

Im Jahre 2015 wurde in Tbilissi das nächste Buch von Luara Sordie "Dankbarer"-als Gulnasis Seelengesang ausgegeben worden. Als Doctor der philologischen Wissenschaften und Professorin ist Luara Sordia in der georgischen Literaturwissenschaft als eine der auserwählte Forscherin, produktive Wissenschaftlerin bekannt. Vor allem sind ihre Monographien über die Poesie von Galaktion Tabidse besonders berühmt. Diese Bücher nehmen in der Galaktionologie einen wicntigen Platz ein und werden definitiv für immer dem Namen dieses grossen Dichters lange folgen. Luara Sordia har auch tiefwissenschaftliche Bücher und Werke , Briefe und Artikel dem Schaffen von Schota Rustaveli, David Guramischwili, Nikolos Barataschwili, Ilja Tchawtchawads, Akakai Zereteli, Vaja Pschawela, Terenti Graneli, Konstantine Gamsakhurdia, Grigol Robakidse, Tchabua Amiredjibi, Otar, Tchiladse, Ana Kalandadse, Rewas Mischweladse, Goderdsi Tchocheli, Swiad Gamsachurdia, Merab Kostava gewidmet und ihre Werke aus verschiedenen Blickwinkeln studiert.

In ihren Untersuchungen zeigt Luara Sordia eine vorbildliche Gelehrsamkeit und Ausbildung in der Bibel , in der Theologie, in den mittelalterischen religiösen und weltlichen Schriften, in der georgischen verbalen Kultur des XIX und XX Jahrhunderts, in den östlichen oder eoropäischen Völkerschriften, in der Philosophie, in der Geschichte und Kultur der Renaissance u. s.w. u. s. f.

Nach der Veröffentlichung ihrer ersten Monographie war ich von der Tiefe und Gröβe der wissenschaftlichen Untersuchungen fasziniert und verwundert.Sie ist als Frau Mutter, Grossmutter, Hausfrau, Lktorin, Professorin, als Doctor der Wissnschaften, Akademikerin einiger nationalen, fachlichen Akademien. Durch solch eine erfolgreiche Verschmelzung entsteht eben Charme, Anziehung und Verwunderung, worüber oben gesprochen wurde.

Ich habe mich an die Rede von der Autorin von "Dankbarer" im Allgemeinen für diese Leser angewendet, die die Sordias wissenschaftliche Schriften nicht kennen. Damit könnten sie sich ganz klar vorstellen, wer dieses Buch geschrieben hat, wessen Feder die empfindliche , lyrikähnliche Themen von Gulnazi Charaischwili beürhrt hatte. Das ist nicht das erste Buch, das über die Werke des genannten Dichters erstellt wurde. Besonders hervorheben möchten wir die Monographie von Lomadse.

პროზა

ელგუჯა მგელაძე

მადლობა უფალს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ღვაწლი საქართველოს წინაშე ყველასათვის ცნობილია.

ღმერთს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ საქართველოს ტელევიზიაში ჩემი მუშაობის დროს საშუალება მომეცა უფრო ახლოს გავცნობოდი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებას. სწორედ მაშინ გავიცანი და დავუახლოვდი მის უწმინდესობას, რომელმაც თავიდანვე მამა-შვილურად მიმიღო, მომეფერა და განსაკუთრებული სითბო მაგრძნობინა.

ყოველთვის დიდი მოკრძალებით აღვნიშნავ, რომ წილად მხვდა პატივი მის უწმინდესობასთან ერთად გამეტარებინა უამრავი საეკლესიო დღესასწაული. განსაკუთრებით ვიხსენებ საზღვარგარეთ მისი ვიზიტების პერიოდში გატარებულ დღეებს, რაც დაუვიწყარი მოგონებაა ჩემს ცხოვრებაში.

კარგად მახსოვს 1996 წელს შვეიცარიასა და გერმანიაში მისი ვიზიტების დროს როგორი მოწიწებით, სითბოთი და სიყვარულით ხვდებოდნენ მას მსოფლიოს საპატრიარქოს და ევროპის ეკლესიების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები. მახსენდება ის ანთებული თვალები, რომლითაც ქართული სათვისტომოს წევრები შესქცეროდნენ პატრიარქს, რაოდენ დიდი იმედი და მოკრძალება იგრძნობოდა ამ თვალებში.

ჰანს დიტრიხ გენშერთან

ვიცე კანცლერ კლაუს კინკელთან ერთად

აღნიშნული ვიზიტი დაედო საფუძვლად საქართველოსა და შვეიცარიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას. აღსანიშნავია, რომ რუსეთ საქართველოს შორის დღევანდელი დაძაბული მდგომარეობის

დროს სწორედ შვეიცარიის დიპლომატები ასრულებენ რუსეთ- საქართველოს შორის დაძაბულობის შენელებისა და საკითხების მშვიდობიანად მოგვარების საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებულ მისიას.

ამავე ვიზიტის დროს გადაწყდა გერმანიის ქალაქ მიუნჰენში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაარსება, რომელშიც ამჟამად ქართულ ენაზე ტარდება წირვა-ლოცვები, ეს კი იქ მყოფ ჩვენს თანამემამულეებს საშუალებას აძლევს არ მოსწყდნენ მშობლიურ ფესვებს.

კარგად მახსოვს, როგორი მოწიწებით ხვდებოდნენ მის უწმინდესობას ისეთი რანგის პოლიტიკოსები როგორიცაა გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი, გერმანიის ვიცე კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრყ კლაუს კინკელი, გერმანიის ეკონომიკური განვითარების მინისტრ კარლ დიტერ შპრანგელი ზაარის მხარის ობერ-ბურგომისტრი ბატონი ჰოფმანი და სხვები.

შვეიცარიის საგარეო საქმეთა მინისტრთან

მსოფლიოს წითელი ჯვრის პრეზიდენტთან

შეხვედრა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში პანაიოტის ცაკოსი, ელგუჯა მგელაძე, მეუფე აბრაამი, პატრიარქი ილია II

ელგუჯა მგელაძე პატრიარქთან

სწორედ ამ ვიზიტის გაგრძელება იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის რომან ჰერცოგის ვიზიტი საქართველოში, რომელიც 1996 წლის ივნისში შედგა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტს გერმანიაში ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა იქაური პრესა და მასობრივი ინფორმაციის

საშუალებები.

მახსოვს, როგორ გულთბილად შემხვდა იგი საპატრიარქოს ახლად- გახსნილ საკონფერენციო დარბაზში, როცა საჩუქრად გადავეცი პირადად მასზე და საპატრიარქოზე ჩემს მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული 40 საათამდე ქრონომეტრაჟის ვიდეო მასალა და 3 ფოტო ალბომი, სადაც 700- მდე ფოტო იყო მოთავსებული.

უდიდესი მადლიერება მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო მის მიმართ იმის გამო, რომ 2011 წლის 13 ივლისს საპატრიარქოში ჩატარებული მე-18 საყოველთაო ნათლობის დროს, სწორედ მისი უწმინდესობა გახდა ჩემი ტყუპი შვილიშვილების თათია და თეონა მგელაძეების ნათლია, რითაც უდიდესი მადლი შემოიტანა ჩემს ოჯახში.

პატრიარქის ნათლულები თათია და თეონა მგელაძეები

ვფიქრობ, მარტო ჩემს მიერ დასახელებული შეხვედრებიც კი ნათლად წარმოაჩენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, როგორც უდიდეს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დამსახურებაზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მართლმადიდებლური რწმენის წინაშე.

ელგუჯა მგელაძე,
მწერალი,

ირმა კეკელიძე

ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე

ვუძღვნი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნას.

1993 წლის 7 იანვარს, გროზნოში ყოფნისას, ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა, ზვიადმა მისი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველ-ლება“ მაჩუქა, რა თქმა უნდა, მისივე წარწერით... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი... როცა ამ წიგნს დავხედავ, დღესაც იგივე გრძნობა მეუფლება...

მთელმა დღემ დაძაბულ ყოფაში ჩაიარა. სამსახურიდან სახლში მისვლა უნდა მომესწრო, შემდეგ ისე უნდა მოვმზადებულიყავი, რომ არავის არაფერი შეემჩნია, განსაკუთრებით დედას. რას ვაპირებდი, რისთვის ვემზადებოდი და სად მივდიოდი, ვერავინ უნდა მიმხვდარიყო. დაფეთებული და დაძაბული გარეგნულად არაფერს ვიმჩნევდი. ყავისფერ ჩანთაში ძველი გაზეთი და რამდენიმე თაბახის ფურცელი, რომელიც საიდუმლოდ მქონდა შენახული, ჩუმად მოვათავსე. ფეხაკრეფით დავდიოდი ოთახიდან ოთახში და ვცდილობდი, რაღაცნაირად შემენიღბა ჩემი განზრახვა... დედა დავარწმუნე, რომ ორი დღე დეიდასთან უნდა დავრჩენილიყავი, ბევრი საწერ-სამუშაოს გამო, სიმყუდროვე მჭირდებოდა.

საღამოს ათის ნახევარზე, ჩანთით ხელში, თბილისის რკინიგზის სადგურის ბაქანზე ვიდექი. დაძაბულობა უფრო მომემატა. ბაქანზე წინ და უკან გავდი-გამოვდიოდი. ნინო არ ჩანდა, დავიძაბე. „ნეტავ ხომ მშვიდობაა, რომ არ მოვიდეს, რა უნდა ვქნა?“ ამ ფიქრში ვიყავი, რომ შორიდან ლამაზ, ყავისფერ ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალბატონის სილუეტი გამოჩნდა. დაუინებით მივაჩერდი, „ნეტავ ნინო იყოს“ – გავიფიქრე. მომიახლოვდა და შვებით ამოვისუნთქე, ნინო იყო.

– დიდი ხნის მოსული ხარ? – შემეკითხა ნინო.

– არა, მაგრამ შემეშინდა, ვიფიქრე, რამე ხიფათი ხომ არ გამოგვიხტა-მეთქი, – მივუგე მე.

– არა, ნუ გეშინია, – მიპასუხა ნინომ.

ამასობაში ბაქანზე თბილისიდან ბაქოს მიმართულებით მიმავალი მატარებელი ჩამოდგა.

– ჯერ ნუ ავალთ, ნოდარ სივსივაძე უნდა მოვიდეს, ზვიადის ახალგაზრდობის მეგობარი, რაღაც უნდა გაგვატანოს პრეზიდენტთან, – მითხრა ნინომ.

უხმოდ დავეთანხმე, „რადგან ნინო ასე თვლის საჭიროდ, ალბათ იცის, რასაც აკეთებს“, – გავიფიქრე მე. მთავარი იყო, რომ ნინო გამოჩნდა და ვიცოდი, რომ ნამდვილად მივდიოდით.

რამოდენიმე წუთში ბაქანზე გამხდარი, ტანმორჩილი, თმაჭაღარა, სანდომიანი სახის მამაკაცი გამოჩნდა.

– მოვიდა, – თქვა ნინომ და ხელით ანიშნა მამაკაცს, რომ ჩვენამდე მოსულიყო.

მამაკაცი მოგვიახლოვდა, ხმადაბლა მოგვესალმა და ირგვლივ მიმოიხედა, შემდეგ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და ნინოს მიაწოდა.

– ეს წერილი მინდა გადასცეთ ზვიადს. წერილთან ერთად კონვერტში ცოტა დანაზოგი თანხაც დევს, მას უფრო სჭირდება, მე აქ როგორმე მოვახერხებ თავის გატანას... წერილში მივანიშნებ სამი ადამიანის საქციელზე, რომელიც წაღმა გასაკეთებელს, უკუღმა აკეთებენ. იცოდეს მაინც, ფრთხილად იყოს, იცის მან, რომ მე ტყუილად არაფერს ვიტყვი...

ნოდარმა მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვა და იქაურობა სწრაფად დატოვა...

.....

ზამთარი მიყვარს, ზღვაზეც მიყვარს ზამთარი. ჩემს გუდაუთში, გაგრაში, ბიჭვინთაში როცა ვიყავი, ზამთარი არ მაშინებდა. საოცრად მიყვარდა, სანაპიროს ჩაფიქრებული, ფეხით რომ მივუყვებოდი. ხშირად სიცივით ვცახცახებდი, მაგრამ ამავე დროს სიცივე მაფხიზლებდა... მართალია, ზღვის ნაპირზე არ ვსეირნობ, მატარებელში, საერთაშორისო ვაგონში, ორადგილიან ცივ კუპეში ვზივარ, მაგრამ მაინც მიყვარს ზამთარი. ცივი ჰაერი გონებას აჯანსაღებს, გაფხიზლებს, გაფრთხილებს – ზამთარი ამიტომ მიყვარს.

მიქრის მატარებელი, მიქრის ჩვენი ვაგონი ჩვენს კუპესთან და ჩვენთან ერთად. მეზობელი კუპიდან მამაკაცების ხმა ისმის. ხმამაღლა ქართულად ლაპარაკობენ. ჩვენ ვჩურჩულებთ, ჩუმად ვსაუბრობთ. ცოტა ხნის შემდეგ მამაკაცების საუბარი შეწყდა, აღარაფერი აღარ გვესმის.

– არ მეძინება, – მითხრა ნინომ.

– არც მე, – ვუპასუხე ფიქრში წასულმა.

– გინდა ლექსები წაგიკითხო? – მეკითხება ნინო და გაღიმებული ჩემს პასუხს ელოდება.

– დაიწყე, – მოკლედ მივუგე მე.

– რა დავიწყო? – ჩამეკითხა ნინო.

– რაც შენ გინდა ის დაიწყე, – ვპასუხობ მოკლედ.

– არა, შენ მითხარი, რა გესიამოვნება, – არ მეშვება ნინო.

– კარგი, მაშინ შენი მოგვარის ლექსები დაიწყე, – მოკლედ ვუპასუხე მე.

– გიყვარს ნიშნიანიძე? – გაღიმებული მეკითხება ნინო.

– ძალიან! დაიწყე, თუ იწყებ, – ვპასუხობ მე და თვალებით გვერდით კუპისკენ ვანიშნებ...

ნინო უსიტყვოდ მიმიხვდა, რაც მივანიშნე, ზურგით კედელს მიეყრდნო, მზერა კარისკენ გადაიტანა და დაიწყო:

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს, მზის და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი საგმირონი.
იღაღადეთ, ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მობრძანდებით, კონსტანტინე ბატონო!..“

კითხულობდა ნინო შოთა ნიშნიანიძის ლექსებს. ერთს ამთავრებდა და მეორეს იწყებდა. ბოლოს, როცა დაიღალა, შემეკითხა:

– ცოტათი მაინც გასიამოვნე?

– ცოტათი არა, ძალიან ვისიამოვნე, ვერ წარმოვიდგენდი, თუ მთელი მისი შემოქმედება ზეპირად იცოდი.

– რამე შენც წამიკითხე, – მთხოვა ნინომ.

– არა, რას ამბობ, შენს შემდეგ მე როგორ გავბედავ რამის წაკითხვას, – ვუპასუხე მე.

– თუნდაც ერთი სტროფი, ძალიან გთხოვ, – ჩამაცივდა ნინო.

– კარგი, ერთ სტროფს როგორმე მოვახერხებ, – ვუპასუხე მე და დავიწყე:

– „მოხდების ხოლმე არწივი დაჭრილი დაბლა დავარდეს, მაგრამ ქათამი ზეცაში ვერასდროს გაინავარდებს...“

– ვაჟა, ჩემი საყვარელი ვაჟა-ფშაველა, – ჩაილაპარაკა ნინომ და თვალები დახუჭა...

.....

დილით, როდესაც მატარებელი ბაქოს სადგურში ბაქანზე ჩამოდგა, ჩვენ ჰოლში გამოვედით და ჩასასვლელად ვემზადებოდით. გვერდით კუპიდან გამოსულმა ორმა მამაკაცმა საგანგებოდ შემოგვხედა. ერთ-ერთმა მათგანმა, წითურთმიანმა, თავზე შავი ფერის კეპიანი ქუდი დაიხურა, ცინიკური ღიმილით შემოგვხედა და გვითხრა:

– მთელი ღამე არ გვეძინა, ან რა დაგვაძინებდა, ისეთი პოეზიის ღამე მოგვიწყეთ, ისეთი შემართებით, არტისტულად კითხულობდით ლექსებს, რომ ცოტა არ იყოს, გაოგნებული დავრჩით.

გოგოებმა ერთმანეთს გადავხედეთ. უცნობისთვის პასუხი არ გაგვიცია. სწრაფად ჩავედით მატარებლიდან. სადგურთან ახლოს მდებარე ავტობუსის გაჩერებასთან თითქმის სირბილით მივედით. აქეთ-იქით შეშინებული ვიცქირებოდით. გაჩერებაზე ჩამომდგარ პირველსავე ავტობუსში ავედით. არც ვიცოდით, სად მივდიოდით, რისთვის მივდიოდით, მთავარი იყო იმ წუთებში იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით...

.....

შუადღემ მოატანა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი იყო, კასპიის ზღვის სანაპირო მზის სხივების ნაკლებობას არ უჩიოდა. სანაპიროსთან ახლოს მდებარე კაფეში ლამაზ მრგვალ მაგიდასთან ვისხედით და ერთმანეთს დამშვიდებული სახით შევცქეროდით. ფანჯრები ღია იყო და ციოდა, მაგრამ ჩვენ ცხელ ჩაის მივირთმევდით და ამით მეტ-ნაკლებად ვთბებოდით...

დაღამებამდე სანაპიროზე ფეხით გავისეირნეთ და დაქანცულები გრძელ სკამზე ჩამოვსხედით. იქვე ახლოს ჩვენს ფეხებთან ბეღურა დაფრინდა, დიდხანს იჯდა უძრავად. მზერა ბეღურასკენ გადავიტანე, ვუყურებდი და ვფიქრობდი: „ყველა ჩიტს ვერ მოკლავს ზამთარი“. მაინტერესებდა, როდემდე იჯდებოდა. ისიც ჯიუტად და უშიშრად იჯდა მანამ, სანამ სხვა ბეღურები არ შემოუერთდნენ. ჩვენდაუნებურად ბეღურების რკალში აღმოვჩნდით.

– შემცივდა, – ჩუმად წარმოთქვა ნინომ.

– მეც, – ჩუმად ვუპასუხე.

– მე მგონი, დროა სადგურზე წავიდეთ და ბილეთები ავიღოთ.

– მართალი ხარ, გარშემოც ისეთი არავინ ჩანს, რომ გვითვალთვალებდეს, – ვუპასუხე და კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი იქაურობას. სწრაფად წამოვდექით. ჩვენს წამოდგომას ბეღურების აფრენაც და ცაში ერთ გუნდად განავარდებაც მოჰყვა...

.....

ბაქოდან გროზნოს მიმართულებით ბილეთები ვერ ვიშოვეთ. სასოწარკვეთილები აქეთ-იქით ვაწყდებოდით. ბოლოს ვიღაცამ გვირჩია, „გამცილებელს სთხოვეთ და იქნებ უბილეთოდაც მოახერხოთ მატარებელში ასვლაო...“ ყველა ვაგონს ჩამოვურბინეთ. მხოლოდ ერთი გამცილებელი დაგვთანხმდა იმ პირობით, რომ მატარებლის ჰოლში, ფეხზე დგომით ვიმგზავრებდით. დაფიქრების დრო აღარ გვქონდა, სწრაფად ავედით და შევცვივდით ბაქოდან გროზნოსკენ მიმავალი მატარებლის გასასვლელში. ძველი ვაგონი იყო, ცივი ჰაერი ხან საიდან და ხან საიდან გვეხეთქებოდა. ვაგონის გასასვლელში ჩა-მოსაწევი, მრგვალი, პატარა დასაჯდომი შევნიშნეთ. გახარებულები იქითკენ გავემართეთ. კედლიდან გადმოვწიე მრგვალი ფორმის, ვითომ სკამის მაგვარი რამ და გათოშილი ჩამოვჯექი. ნინო თავზე დამადგა და მეუბნება:

– კარგია, ფეხებს მაინც დავასვენებთ.

ცოტა ხანში ნინოს დავუთმე „სავარძელი“ და ასე შემდეგ მორიგეობით ვენაცვ-ლებოდით ერთმანეთს. დაახლოებით ორი საათი ვიწვალეთ ასე. ბოლოს ნინომ ვაგონში კუპიდან გამოსულ გამცილებელს შეეხვეწა: „ფულს დაგიმატებთ და იქნებ სადმე კუპეში

ჩამოსაჯდომი ადგილი მოგვიხერხოო...“ გამცილებელმა ფული გამოგვართვა და თავისი პატარა ორადგილიანი კუპე დაგვითმო.

– რა ბედნიერები ვართ, გადავრჩით. იმედია, დილით გროზნოში ცოცხლები ჩავაღწევთ, – წარმოთქვა ნინომ და გაღიმებული, კმაყოფილი სახით შემომხედა.

– მართალი ხარ, გადავრჩით, – კმაყოფილმა ვუპასუხე მე.

– ასეთი ჭიდილი და გაუთავებელი დაბრკოლებები, ფათერაკიანი გზები, ეს რა დღეში ჩავვარდით, – მეუბნება ნინო.

მატარებელი ნელი სვლით მიიწევს იჩქერიისკენ. რკინის უსულო ბორბლები ნელა მიგორავდნენ. ირგვლივ დუმილი იყო. მხოლოდ უსულო და ცივი ბორბლების რახარუხი ისმოდა.

– კარგია, რომ ამჯერად მარტო წამოვედით და ვაჟა არ გამოგვყვა, – მითხრა ნინომ.

– ჰო, ხომ იცი, როგორი ემოციურია, ნამდვილი ხევსურია, თუ გაიგო, რომ წამოსულები ვართ, ძალიან გაბრაზდება, – ვუპასუხე მე.

– გაბრაზდება და გაბრაზდეს, ამ ეტაპზე მხოლოდ ჩვენ უნდა წამოვსულიყავით, – მიპასუხა ნინომ.

მართალი ხარ, მაგრამ ძალიან განიცდის პრეზიდენტის გარეშე ყოფნას, მიჩვეულია მის სამსახურს, არც გაემტყუნება, მისი დაცვა იყო, მუდამ გვერდით ედგა, – ვაგრძელებ მე.

– კი, მესმის. ამას წინათ ჩვენთან ერთად არ წამოვიდა?! როცა აუცილებელი იქნება, ვეტყვით და წამოვიდეს... ძალიან ახალგაზრდაა, მისი ასაკისთვის შეუფერებელი თავგანწირვით გამოირჩევა. ამას წინათ, ჩემთან მოვიდა სამსახურში, შემართებით, ყელმოღერებით და იცი, რა მითხრა? – მეუბნება ნინო.

– რა, რა გითხრა? – ინტერესით ჩავეკითხე მე.

– სანამ ვინმე ჩემს პრეზიდენტს რამეს დაუშავებს, ჩემს გვამზე, ვაჟა ჭინჭარაულის გვამზე მოუწევს გადავლაო!.. ხედავ რამხელა გული აქვს?! – სიცილით მითხრა ნინომ.

– რას ამბობ, – თავი ვერ შევიკავე და მეც სიცილი ამივარდა, – ისე იცოდე, რომ რასაც ამბობს, გულით ამბობს, – ისევ სიცილით ვაგრძელებ მე...

– მთავარია, არ გაიგოს, რომ გამოვეპარეთ და აღარაფერს აღარ დავეძებ, – აგრძელებს ნინო.

– ახლა მაგაზე ფიქრის დრო არ არის, მთავარია, მშვიდობით ჩავიდეთ და ჩვენი მისია შევასრულოთ, – ვპასუხობ მე.

– წამოსვლის წინ, დილით, ჩიტაძეზე რომ წმინდა ნინოს ტაძარია, იქ ვიყავი და უფალს შევევედრე, რომ მშვიდობიანი გზა მოგვცეს, – მითხრა ნინომ და მატარებლის ფანჯარაში გაიხედა.

– კარგია, მეც ვიყავი სიონში და შევევედრე ღვთისმშობელს, რომ დაგვიფაროს ყოველგვარი განსაცდელისგან... რა დამთხვევაა, ახლა დავფიქრდი, დღეს რა დღეა? – ვეკითხები ნინოს.

– დღეს 6 იანვარია, ნახევარ საათში შობა შემოდის, – მპასუხობს ნინო.

– ზუსტად ერთი წელი გავიდა, – ვამბობ მე.

– რა ერთი წელი? – მეკითხება ნინო.

– რა ერთი წელი და ერთი წელი გავიდა, რაც პრეზიდენტმა ქვეყანა დატოვა, რაც ზვიადი დევნილობაშია, შარშან 6 იანვარს არ მოხდა ეს? – ვეკითხები მე.

– კი, 6 იანვარი იყო, ამას რა დამავიწყებს?! – მპასუხობს ნინო და ისევ ფანჯარაში იხედება.

– გამოდის, რომ შობა დღეს, პრეზიდენტთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, იჩქერიაში ვიქნებით! – ფეხზე წამოდგომით, ხმამაღლა, მხატვრულად წარმოვთქვი.

– გარეთ გაიხედე, როგორ თოვს, ირგვლივ ყველაფერი გადათეთრებულია... რა სილამაზეა, ღამეც კი გაანათა, ისეთი თვალისმომჭრელი, თეთრი თოვლია, – აღტაცებული ლაპარაკობდა ნინო.

საათს დავხედე. ფანჯარაში გავიხედე, ფეხზე წამოვდექი და პირჯვარი გადავიწერე. ნინომ ამომხედა, მიხვდა, რატომაც მოვიქეცი ასე და ხმადაბლა წარმოთქვა:

– ჩვენს სამშობლოში უკვე ქრისტეშობის დღე დადგა!

შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო. ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, მაინტერესებდა, რას ეძებდა. ბოლოს ჩანთიდან პატარა, ლურჯი ფერის ლამაზი სასანთლე და ქარვისფერი პატარა, ცვილის სანთელი ამოიღო. სასანთლე მაგიდაზე საგანგებოდ მოათავსა, ზედ სანთელი დაამაგრა და აანთო კიდეც. შემდეგ ჩემსავით ფეხზე წამოდგა და პირჯვარი გადაიწერა... კარგა ხანს გარინდებულები ვიყავით. შემდეგ ისევ ჩამოვჯექით და ჩვენს პატარა კუპეში ანთებულ სანთელს იმედის თვალით შევცქეროდით...

ჩრდილოეთ კავკასიაში უხვად თოვდა, ვიყურებოდი ფანჯარაში და ჩემდაუნებურად გამახსენდა ზვიადის ლექსი, რომლის კითხვაც ხმამაღლა წამოვიწყე:

„ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს –
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი
ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა...“

გაღიმებული და სევდანარევი მიყურებდა ნინო, მეც ვაგრძელებდი და ვაგრძელებდი კითხვას, ბოლო სტროფებამდე რომ მივედი, ჩვენდაუნებურად ორივე ფეხზე წამოვდექით და ერთად წარმოვთქვით:

„რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი – უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად...“

დაღლილი ვიცქირებოდი მატარებლის სარკმელში და თვალებზე ძილი მეკიდებოდა... გამთენიისას, თვალი გავახილე თუ არა, სარკმლიდან თოვლის თვალისმომჭრელმა სითეთრემ შემომანათა, 1993 წლის ქრისტეშობის დილა, ჩვენთვის, ჩრდილოკავკასიაში, იჩქერიაში, გროზნოში თენდებოდა...

.....

გამთენიისას, ქურქებში გამოწყობილები, პატარა კუპეში გამომწყვდეულები, სულ-განაბულები ველოდებოდით, მატარებელი გროზნოს სადგურში როდის შევიდოდა. უცებ ვიღაცამ კუპის კარები უხეშად გააღო და ხმამაღლა, რუსულად, მკაცრი ტონით იკითხა:

– ესენი არიან?

ჩვენ ერთმანეთს შეშფოთებულებმა შევხედეთ. დაფიქრებაც ვერ მოვასწარით, რომ სამხედრომ კარები, როგორც გააღო, ისევე დაკეტა. ნინო ადგილიდან წამოხტა, ტანზე შემოკრული დოკუმენტების დასტა მოიხსნა, ჩანთიდან კიდევ რაღაც შეკრული ფურცლები ამოიღო და კუპის სარკმელი ჩამოსწია...

– რას აკეთებ? – დაბნეულმა ვკითხე.

– გადავყაროთ, თუ გვიპოვეს, დავიღუპებით, – შეშფოთებული მპასუხობს ნინო.

– ვინ რა უნდა გვიპოვოს? – გაოცებული ვეკითხები მე.

– ვინ და ვერ ხედავ, სამხედროები არიან, – გაკვირვებულმა შემომხედა ნინომ.

ფეხზე წამოვდექი, ნინოს ხელი მოვკიდე და ძალით ჩამოვაჯინე. შემდეგ სარკმელი დავკეტე და მშვიდად ვუთხარი:

– შეინახე ეგ ყველაფერი, ტანზეც ნუღარ შემოიკრავ, ჩანთაში მოათავსე.

– რისი იმედი გაქვს? – დაბნეულმა შემომხედა ნინომ.

მე მას თვალი თვალში გავუყარე და მშვიდად შევეკითხე:

– რისი უნდა მეშინოდეს?

– რომ გვიპოვონ და ყველაფერი წაგვართვან, არ გეშინია? – აგრძელებს ნინო... ამასობაში მატარებელი გაჩერდა. ნინო გაოგნებული მიყურებს. მე ღიმილით ვუთხარი:

– არა, უკვე აღარ მეშინია, რადგან გროზნოში ვართ. თუ ვინმე დაგვაკავებს, ვეტყვით, რომ პრეზიდენტთან მივდივართ და მორჩა, აქ რისი უნდა მეშინოდეს?.. ნინომ თავზე ხელი შემოიდო, შემდეგ სახე გაუნათდა, მომეხვია და მაკოცა. დამშვიდებულმა ბედნიერი სახით მითხრა:

– შიშისაგან და დაღლილობისგან გონება დამებინდა, არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

ამასობაში გამცილებელმა კუპის კარები გამოაღო და რუსულად ხმამაღლა გვითხრა:

– გოგოებო, გროზნოში ვართ, დროზე დატოვეთ მატარებელი, სადაცაა დავიძრებით. ფართხა-ფურთხით გამოვედით კუპიდან, მატარებლიდან ჩამოვედით და ჩვენ უკვე გროზნოს ირგვლივ თოვლით გადათეთრებულ სადგურში, გაბრწყინებული, ბედნიერი სახეებით ვიდექით...

ტაქსით სასტუმრო „კავკასიაში“ მივედით, რომელიც სამშობლოდან დევნილობაში მყოფი ქართველების ნავსაყუდელს წარმოადგენდა. იქ აფარებდნენ თავს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ეროვნული მთავრობის წევრები და მათი გულშემატკივრები...

ოჯახებით გადახვეწილ მთავრობის წევრებს ყველაფერი აინტერესებდათ, რა ხდებოდა, რითი არსებობდა და სუნთქავდა მათი სამშობლო. სამწუხაროდ, კარგს და საიმედოს ვერაფერს ვეუბნებოდით, მაგრამ ვაიმედებდით იმით, რომ პრეზიდენტის გარეშე დარჩენილ ჩვენს სამშობლოში ერის და ქვეყნის ერთგული ადამიანები თავგამოდებით ვიბრძოდით და ვიცავდით დევნაში მყოფი პრეზიდენტის და სრულიად ქართველი ერის ღირსებას...

პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალ, თოვლით გადათეთრებულ გზას ფეხით გავუყევით. მეგზურობას, როგორც ყოველთვის, ვიქტორ დომუხოვსკი და პეტრე გელბახიანი გვიწევდა. როგორც იქნა მივადექით წითელი აგურით ნაშენებ ორსართულიან ლამაზ ვილას, რომელსაც ქართველი და ჩეჩენი მებრძოლები ერთად იცავდნენ. დაცვას ვიქტორმა ხელით ანიშნა და გზა გაგვიხსნეს, შესასვლელში გაღიმებული სოსო თორია შემოგვეგება და მეორე სართულზე, პრეზიდენტის მისაღებისკენ წაგვიძღვა...

ვიჯექით უხმოდ სავარძელში და პრეზიდენტის შემოსვლას ველოდებოდით. პრეზიდენტი სულ რაღაც ხუთ წუთში შემოვიდა, მაგრამ ის ხუთი წუთიც საოცრად გაიწელა...

პრეზიდენტი იშვიათად იღიმებოდა. იმ დღეს კი გაღიმებული სახით შემოვიდა... ქრისტეშობა მივულოცეთ ერთმანეთს... ცოტა ხნის შემდეგ მე და ნინო ერთმანეთს არ ვაცლიდით, ვუყვებოდით ზვიადს, თუ რა, როგორ და რანაირად ხდებოდა მის სამშობლოში. ნინომ „დოკუმენტების“ დასტა გადასცა პრეზიდენტს. ზვიადმა ყველაფერს საგულდაგულოდ გადახედა. სახეზე კმაყოფილება დაეტყო.

– კარგია, კარგია, სწორედ ეს მაინტერესებდა, – წარმოსთქვა ზვიადმა და ნინოს მადლიერების ნიშნად მხარზე ხელი დაადო. როდესაც ჩემსკენ გამოიხედა, მორიდებით მივაწოდე ძველი, წლების წინანდელი გაზეთი „კომუნისტი“ და სულგანაბული მივაჩერდი პრეზიდენტს.

– მესამე გვერდზეა, ბატონო ზვიად, ის რაც ჩვენ გვინდა, – მივუგე მე.

ზვიადმა გაზეთი გადაშალა და გაფაციცებით დაიწყო კითხვა. შემდეგ გაოცებულმა შემომხედა და მკითხა:

– სად აღმოაჩინე ეს გაზეთი?

– საჯაროში, იქ ბევრი მომხრეები გვყავს და დამეხმარნენ, – მოკლედ მივუგე მე.

– ეს ნაძირალა, დღეს წამყვანი ძალოვანია, არადა ყაჩაღობისთვის, მკვლელობისთვის, ძარცვისთვის ნასამართლევი ყოფილა, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა.

– დღევანდელი მედია კი, როგორც პოლიტპატიმარს და დისიდენტობისთვის ნაჯდომს, ისე წარმოგვიდგენს, – თავისთვის ჩაილაპარაკა ვიქტორმა.

– ამას წინათ, აქედან რომ ჩავედით, უშიშროებაში დამიბარეს და ხუთი საათის განმავლობაში, პირადად ეგ მეჯდა დაკითხვაზე, – ვთქვი მე.

– რას ამბობთ, – გაოცებულმა შემომხედა პრეზიდენტმა.

– ვიქტორს და პეტრეს დაეძებენ ყველგან, მათი დაჭერის სურვილით არიან შეპყრობილი... მათდა სამწუხაროდ, ჩემგან სასურველი ინფორმაცია ვერ მიიღეს... ბოლოს დიდი გულშემატკივრობით და მზრუნველობით, პირადად მაგ ჩინოვნიკმა მირჩია, რომ ფრთხილად ვიყოთ, თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ მე და ჩემმა ტოლმა გოგონამ, – სიტყვა დავამთავრე და ჩემდაუნებურად ნინოს გადავხედე.

– და თქვენ ისევ აქა ხართ, – გაეცინა პეტრეს.

– ძალიან კარგია, რომ ეს ძველი გაზეთი ჩვენს ხელთაა, ეს ასე არ უნდა დარჩეს, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა.

– ყველას უნდა ვაცნობოთ, განსაკუთრებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, ვინ ზის დღეს საქართველოში, ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, – დასძინა ვიქტორმა.

– აუცილებლად, – დაეთანხმა პეტრე...

მთელი საათი ვესაუბრებოდით პრეზიდენტს, ბოლოს გავბედე და შევეკითხე:

– ბატონო ზვიად, როგორც გავიგეთ, ევროპაში ბრძანდებოდით და სულ ახლახანს დაბრუნდით, ძალიან გვაინტერესებს, მართალია?

ზვიადმა ღიმილით მიპასუხა:

– დიახ, მართალია, ვფიქრობ, რომ კარგი და შედეგიანი გასვლა იყო. განსაკუთრებით კარგი შეხვედრები მქონდა ავსტრიაში, რაც იმედის მომცემია ჩვენი შემდგომი მოძრაობისთვის... აუცილებელი იყო ჩემი გამგზავრება ევროპაში, აუცილებელი იყო და არის კანონიერი ხელისუფლების გარშემო არსებული დეზინფორმაციის რკალის და საშინელი ბლოკადის გარღვევა. გროზნოდან ამის გაკეთება ძალიან რთულია. ჯოჰარ დუდაევის გამარჯვების შემდეგ, მოსკოვმა მთელი კავკასია საინფორმაციო ბლოკადაში მოაქცია.

– იქნებ, თქვენი ყოფნა ევროპაში უფრო გამართლებული იყოს, – მორიდებით ვუთხარი მე.

ზვიადს გაეღიმა და ხმადაბლა გვიპასუხა:

– შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ ჩემი ჩეჩნეთში ყოფნა საქართველოში ყოფნის ტოლფასია, ფიზიკურადაც და სულიერადაც... მე და ჯოხარი ერთად ყოფნით ერთმანეთს ძალას და სიმტკიცეს ვმატებთ... ორასი წლის განმავლობაში, მიძინებული კავკასიის ერთიანობის გამოღვიძება აუცილებელია... ხომ ხედავთ, რა ხდება აფხაზეთში. იმპერიული ძალების ძირითადი მიზეზი კანონიერი პრეზიდენტის და ხელისუფლების დევნისა სწორედ ეს გახლავთ... კანონიერი პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება ქვეყნის ერთიანობის გარანტი ვიყავით და ვართ, თუნდაც დევნილობაში მყოფნი... მათი ძირითადი მიზანი აფხაზეთის, შავი ზღვის წართმევა და ხელში ჩაგდებაა... ეს ჭიდილი კი მანამ გაგრძელდება, სანამ კავკასიის პატარა ქვეყნები ერთ ძლიერ, დიდ ძალად არ გავერთიანდებით. ამ ერთიანობისთვის კი ჩემი და ჯოხარის ერთად ყოფნა და დგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია!.. – ზვიადმა რამოდენიმე თაბახის ფურცელი გადმოგვცა და გვითხრა:

– ეს ჩემი ახალი წერილია, როგორც კი თბილისში ჩახვალთ, ჩვენს რომელიმე გაზეთს მიაწოდეთ, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნონ!..

ნინომ პრეზიდენტს კონვერტი მიაწოდა და უთხრა:

– ბატონო ზვიად, ნოდარ სივსივაძემ გამომატანა თქვენთან, წერილი და რაღაც თანხა.

– ვინ არის ნოდარ სივსივაძე? – ჩაგვეკითხა პეტრე.

– ჩემი მეგობარია, მწერალი, პუბლიცისტი, – ჩვენს მაგივრად გასცა პასუხი ზვიადმა.

პრეზიდენტი დასცქეროდა კონვერტს და გაღიმებულმა ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– რას შვრება ეს საწყალი, ალალი კაცი, ჩემთან გამოსაგზავნი ფული სად ჰქონდა, სად იშოვა?! მომიკითხეთ და გადაეცით, თავს გაუფრთხილდეს, ჯანმრთელობას მიხედოს...

გამომშვიდობებისას ზვიადმა იქვე მაგიდაზე დადებული წიგნი „საქართველოს სულიერი მისია“ აიღო, წარწერა გააკეთა და ნინოს მიაწოდა. შემდეგ რაღაცის ძებნა დაიწყო.

– როგორც ჩანს მეტი აღარ დამრჩა, ახლავე მოვძებნი, იქნებ მქონდეს, – წარმოსთქვა პრეზიდენტმა და ოთახიდან გავიდა. მალევე უკან დაბრუნდა, ხელში მწვანეყდიანი წიგნი ეჭირა.

– მართალია, „საქართველოს სულიერი მისია“ აღარ მქონია, მაგრამ ნახეთ, რა აღმოვაჩინე, – გვითხრა ზვიადმა, მაგიდასთან ჩამოჯდა, წარწერა გააკეთა და წიგნი მომაწოდა. გახარებულმა გამოვართვი... როდესაც წიგნი ჩემს ხელში აღმოჩნდა, საოცრად ამაყი და ბედნიერი ვიყავი... წიგნის მწვანე ყდას დავხედე – „ვეფხისტყაოსნის სახის მეტყველება“ იყო...

.....

იანვარია, სიცივეა, ბაქოდან მომავალი მატარებელი თბილისს უახლოვდება.

– მოვემზადოთ ჩასასვლელად! – ხმამაღლა შემომძახა ნინომ.

– თითქმის მზადა ვარ, ქურქს ჩავიცვამ და მორჩა, – ვპასუხობ მე.

– ქურქი, სად არის ჩემი ქურქი? – შეშფოთებული კითხულობს ნინო.

– სად უნდა იყოს? – გაოცებულმა ვუპასუხე.

– აქ, კარებთან, დასაკიდზე დავკიდე, სად გაქრა?

– კუპეში მხოლოდ ჩვენ ვართ, კარები შიგნიდან არის ჩაკეტილი, ვის ან როგორ უნდა გაეღო? – კვლავ ვეუბნები მე.

მთელი ვაგონი შემოვირბინეთ, აქეთ-იქით მივედ-მოვედეთ, მაგრამ ამაოდ. ქურქი ვერ ვიპოვეთ.

– ჩემმა დამ მათხოვა, მისი ქურქი იყო, თბილად იქნებიო... ნეტავ არ ჩამეცვა, რა ვუთხრა?! – შეწუხებული სახით შემომჩივლა ნინომ... შემდეგ ჩანთები მოვიძიეთ. შვებით ამოვისუნთქეთ, როცა ვნახეთ, რომ პრეზიდენტის ნაჩუქარი წიგნები და გამოსაქვეყნებლად წამოღებული წერილი ჩანთაში „უვნებლად“ აღმოვაჩინეთ...

.....

2020 წლის ქრისტეშობის ღამე. დავით გარეჯის ნათლისმცემლის მამათა მონასტერი. 6 იანვარი იწურება, სულგანაბული მრევლი ლოცვას ვუსმენთ... სადაცაა ქრისტეშობა დადგება...

დადგა, შემოვიდა ქრისტეშობა, დაიწყო საზეიმო წირვა. კელაპტრების, სანთლების შუქით გაბრწყინებულია საუკუნეების, დიდი ისტორიული წარსულის მქონე ტაძარი... მგალობლები გალობენ – „ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო...“ ვდგავარ წირვაზე და ჩემდაუნებურად ის ღამე გამახსენდა, 27 წლის წინანდელი, ქრისტეშობის ღამე... მატარებელი, გროზნო, შეხვედრა პრეზიდენტთან. თვალწინ გაირბინა ქვეყნის უახლოესი წარსულის სხვადასხვა მოგონებამ.

.....

ქვეყანა დამოუკიდებლობის 25 წლისთავს აღნიშნავდა, ზეიმობდა. პირველი პრეზიდენტის ქვრივს ტელევიზიის სტუდიაში გადაცემის წამყვანმა ჰკითხა:

– ბოლოს როდის იტირეთ?

– წუხელ ღამით, – უპასუხა პრეზიდენტის ქვრივმა...

.....

რომელიღაც მემატიანემ ტელევიზიით გამოსვლისას თქვა:

– ქვეყნის პირველი პრეზიდენტის და კანონიერი მთავრობის წინაშე ყველამ ბოდიში უნდა მოვიხადოთ!..

– ბოდიში აფსაითშია, – პასუხობს პრეზიდენტის ვაჟი...

.....

გამახსენდა საინფორმაციო გადაცემა, სადაც გამოაცხადეს, რომ „პოლონეთში, ვარშავაში, გარდაიცვალა ქართველი პოლიტიკოსის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი – ვიქტორ დომუხოვსკი... გამახსენდა ვიქტორის სიტყვები გროზნოში ყოფნისას: „... ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი ხელმოწერა არის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის 1991 წლის 9 აპრილის აქტზე...“ „დომუხოვსკის არ აპატიეს, თვითმფრინავის ბიჭების გამო, მოსკოვში ჩასვლა და გამოძიების დაწყება“ – გავიფიქრე და ჩემდაუნებურად ღვთისმშობლის ხატს შევხედე... კვლავ ფიქრებში წავედი...

ვიქტორის გარდაცვალებამდე პეტრე გელბახიანი გარდაიცვალა. ხანმოკლე და წამებული იყო მისი სიცოცხლე, რომელმაც ლამაზად, თოლიასავით ჩაინავარდა მისი ერის ისტორიაში... ცნობილი ოჯახის შვილს არ აპატიეს მხარდაჭერა ზვიად გამსახურდიასადმი. პეტრეს თავისუფლად შეეძლო უზრუნველად ეცხოვრა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ვერ დათმო თავისი ერისა და ქვეყნის სიყვარული...“

გამახსენდა ვაჟა ჭინჭარაული, ირაკლი გოგაძე, ძველ ხიბულაში უგზოუკვლოდ დაკარგული ზვიადის დაცვის ბიჭები. გამახსენდა ვაჟას სიტყვები, რომელსაც ხშირად იმეორებდა – „პრეზიდენტს მაშინ მოკლავენ, თუ ჩემს გვამზე გადაივლიანო“, – როგორც ჩანს ზუსტად აუხდა ახალგაზრდა ვაჟკაცს, ვაჟა ჭინჭარაულს, მისი გულწრფელი გამონათქვამი.

.....

გარეჯში საზეიმო წირვის დამთავრების შემდეგ ტაძრიდან გამოსულს სიბნელე დამხვდა... „ზამთარია, მაგრამ არ ცივა“ – გავიფიქრე და ცას ავხედე, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედილიყო. მათ დანახვაზე კვლავ მომეძალა ფიქრები: „რა უცნაურია, ცაზე ბევრი ვარსკვლავია, მაგრამ მათ შორის ორი ერთნაირი არ არსებობს. ისინი მილიონი, ასობით მილიონი წელი ცხოვრობენ. ყველა თავისებურად განუმეორებელია... მაგრამ ჩვენ ვარსკვლავები არა ვართ და ხანგრძლივი ცხოვრება არა გვაქვს. მათზე გაცილებით ნაკლები დრო გვაქვს სიცოცხლისა და დრო, თუნდაც მცირე დრო, ჩვენი ცხოვრების შეგუებას გვასწავლის, მაგრამ დავიწყებას არასდროს...“

– ტრაპეზი! – დაიძახა მრევლთაგანმა ყველაზე პატარა ბიჭმა.

– ტრაპეზი! – გაიმეორა კიდევ უფრო ხმამაღლა...

მონასტრის წინ მდგარი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი. კვლავ ფიქრებში წავედი – „ყველაფერმა, ჩემი ქვეყნის უახლესმა წარსულმა და მასთან ერთად ჩემმა და ჩემისთანების ახალგაზრდობამ, რომელსაც 90-იანელების თაობას, დაკარგულ თაობას გვეძახიან, ჩემი ქვეყნის წარსულთან ერთად, ისევ ჩემს ფიქრებში, მოგონებებში გაირბინა... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გუშინ ნაღმი აფეთქდა და ახლა ყუმბარისაგან დაგლეჯილი ნერვებით ვაგრძელებთ ცხოვრებას, ყოფას, არსებობას... სადაც არ უნდა წახვიდე წარსული მაინც არ განებებს თავს. ძალიან მინდა წარსულის შეცვლა, მაგრამ არავინ არის ისეთი მდიდარი, რომ წარსული იყიდოს...“

.....

მონასტრის ეზოდან კვლავ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევყურებდი, ჩემდაუნებურად გავიფიქრე: „რა კარგია, რომ უფალი დღევანდელ დღეს აქ, გარეჯში, ჩვენი სულის ნავსაყუდელში გვმასპინძლობს...“

გარეჯში, ნათლისმცემლის ტაძარში, 2020 წლის ქრისტეშობის ლამაზი და იდუმალი დილა თენდებოდა...

მაყვალა გონაშვილი

ო, ეს წყურვილი არდაბერების

26 წლის ვიყავი, ქალბატონი ლეილა აბაშიძე რომ გავიცანი. მაშინ ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი, ჩემი ოფისი მეოთხე სართულზე იყო, მესამეზე კი რადიოკომიტეტი. რადიოს ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციიდან დამირეკეს, ქალბატონი ლეილა აბაშიძეა ჩვენი სტუმარი და თქვენი გაცნობა უნდაო. გადაცემაში ქალბატონ ლეილას უთქვამს, ჩემი საყვარელი პოეტი მაყვალა გონაშვილიაო. წარმოგიდგენიათ, რაოდენ სასიხარულოა, კინოვარსკვლავისგან ასეთი სიტყვების გაგონება. მსახიობისგან, რომლის ფილმებზეც გავიზარდე. სწრაფად ჩავედი მესამე სართულზე. ქალბატონმა ლეილამ რომ მნახა, ცოტა იწყინა, ჩემი თაობის მეგონე, რა ახალგაზრდა ყოფილხარო.

ლანა ღოღობერიძის ფილმში „ორომტრიალი“ ქალბატონი ლეილა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. ერთი ეპიზოდის გადაღებისას ლექსი უნდა წაეკითხა, შეთავაზებული ტექსტი არ მოსწონებია და ჩემი ლექსით („ვალი“) შეუცვლია, ოღონდ იქ, სადაც ეწერა: – „საქართველოში ათგზის ძნელია იყო პოიეტი და იყო ქალიო“, ...„იყო არტისტი და იყო ქალიო“, კითხულობს.

ჰო, ძნელია, ათგზის ძნელია საქართველოში იყო პოეტი, მხატვარი, არტისტი...(და ასე უსასრულოდ). დიახ, ძნელია ქალის ხვედრი... ლეილა აბაშიძემაც, ამ საოცარმა, ზღვა ნიჭიერების მატარებელმა ქალმა თავის თავზე გამოსცადა შემოქმედის აღზევება-დაცემის, დიდებისა და უარყოფის მთელი სიმძიმე.

მორის ფოცხიშვილის ერთი მშვენიერი ლექსისა („ნადირობა“) არ იყოს:

„ვიდრე მიწაზე დავდივარ,
ყველა სიკეთეს მგვრის, –
ავფრინდები და...
ვაიმე...
ავფრინდები და ფრრი...

ტყვიაც იწივლებს შურისა,
მთლად მომიმსხვრევენ ფრთებს,
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს... “

ის კი ბავშვობიდანვე იყო ვარსკვლავი, ათობით წელი ფრთებგაშლილი ეტოლებოდა ცის კაბადონს და ვინ აპატიებდა ასეთ სიმაღლეებს, მრავალი დაუვიწყარი როლის შესრულების მერე დიდების მწვერვალზე ასული ციცაბო კლდეს შეატოვეს, უყურადღებობით დასაჯეს...

გულისტკივილით მიამბობდა, ამერიკაში მიგვიწვიეს ის ვარსკვლავები, ვინც ბავშვობიდანვე იყო ცნობილიო, ასეთები კი სამად სამიღა დავრჩით, მე, რობერტინო რობენსი და ჩაპლინის ფილმის გმირი ბიჭუნაო. ამერიკაში მაღიარეს, საქართველოში კი რეჟისორებმა ისე მიმივიწყეს, ეპიზოდური როლიც კი სანატრელი გამიხდა, ხომ შეიძლება უბრალოდ, ერთწუთიან როლში მაინც გამომაჩინონ, ვითომ ჭიქა წყალს ვაწვდი რომელიმე გმირსო.

მაშინ შემომთვაზა, მოდი, ფილმი გადავიღოთ, შენ სცენარი დაწერე, მთავარ როლს მე შევასრულებ და რეჟისორიც თავად ვიქნებიო. ოღონდ, ერთის პირობით, ჩემი გმირი ახალგაზრდა ქალი უნდა იყოსო. მაშინ ქალბატონი ლეილა ორმოცდაათს იყო გადაცილებული. მშვენივრად კი გამოიყურებოდა, მაგრამ...

ო, ეს მარადიული წყურვილი არდაბერებისა...

როგორც ახალგაზრდებს ჩვევიათ, მე ცოტა უყურადღებოდ მოვიქეცი. ლეილას ნატვრა კი ნატვრად დარჩა... დაიწყო საშინელი 90-იანი წლები, ყველაფერი აირ-დაირია საქართველოში და ფილმის გადაღებისთვის ვიღას ეცალა.

ვნანობ? რა თქმა უნდა.

„როცა ცხელია თონე, პური მაშინ უნდა დააკრაო“.. უთქვამს ბრძენ წინაპარს. „გადადებული საქმე ეშმაკისააო“, ესეც ძველთაძველი შეგონებაა.

ე, მაშინ კიდევ ვერ შევიგრძნობდი მთელი სისავსით, რომ უნიჭიერეს მსახიობის, ნამდვილი კაშკაშა ვარსკვლავის შემოთავაზებაზე გულმავიწყობა სიბრიყვე იყო...

რამდენიმე კაფია მწერალთა კავშირის ყრილობის ფონზე (1981 წ.)

1981 წელს სრულიად ახალგაზრდა მწერალი ვიყავი, სულ რაღაც ოციოდე წლის. ტარდებოდა ჩემთვის პირველი და საქართველოს მწერალთა კავშირისთვის მეათე ყრილობა.

ეს ის პერიოდია თავმჯდომარეებად ერთმანეთს აბაშიძეები რომ ენაცვლებიან – ირაკლი და გრიგოლი. პირველი სიტყვაც მათია. გრძელი სიტყვები მოსაწყენია, ამიტომ მწერლები კაფიებით იქცევენ თავს. თემურ აბულაშვილმა ეს სტრიქონები გადმომაწოდა:

გაიხსნა დიდი ყრილობა,
ჩამოსხდა პრეზიდიუმი,
ირაკლიუმით გაიხსნა
და მოჰყვა გრიგოლიუმი.

ყრილობაზე სიტყვის სათქმელად ახალგაზრდა მწერლებიდან მე შემარჩიეს. 1940 წელს 20 წლის მირზა გელოვანის მწერალთა ყრლობაზე გამოსვლის მერე, ეს პირველი შემთხვევა იყო ახალგაზრდა მწერალს სიტყვის თქმის უფლება რომ მისცეს.

„მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მომაქვს მხრებით“ – წერდა მირზა.

მეც 20 წლის ვიყავი, არ ვიცი რამდენად შევძლებდი იმ არეულ-დარეული, ცრემლითა და სისხლით დამძიმებული XX საუკუნის მხრებით ზიდვას, მაგრამ ამ დროისთვის ჩემი ლექსები უკვე „ცისკარში“ იყო დაბეჭდილი, ვიყავი ტელეწამყვანი და სიტყვის თქმა არ მიჭირდა და ასაკიც შესაფერისი მქონდა.

ეს ის დროა, კომპარტია რომ ცდილობს „ახალგაზრდებისადმი მზრუნველი მშობლის როლი“ მოირგოს.

ყრილობაზე ახალგაზრდებიდან დელეგატებად მოწვეულნი იყვნენ პაატა ნაცვლიშვილი და გოდერძი ჩოხელი. ის ახალგაზრდები კი, ვინც ყრილობაზე არ შეუშვეს, გაბრაზებულნი ბორგავდნენ დარბაზის კართან. ზოგიერთმა ჭორად ისიც გაავრცელა, მაყვალა გონაშვილი იმიტომ გამოჰყავთ, კომუნისტურ პარტიას მადლობა რომ უთხრას და ედუარდ შევარდნაძეს, იმდროინდელ ცეკას მდივანს, ეპირფეროსო. დღეს ამ ყრილობის მომსწრე არაერთია მწერალია ცოცხალი და ტყუილის თქმის უფლებას არ მომცემენ. ჩემი სიტყვა სიმართლით იყო სავსე. ვისაუბრე ახალგაზრდა მწერალთა პრობლემებზე. ბოლოს კი სიტყვა ასე დავასრულე:

„ახალგაზრდა მწერალი ჰგავს გზა-ჯვარედინზე მდგარ ზღაპრის გმირს, გზაგასაყართან წარწერიანი ქვა გდია: მარჯვნივ წახვალ ცხენს დაკარგავ, მარცხნივ წახვალ – თავს, პირდაპირ წახვალ და შინ მშვიდობით დაბრუნდებიო“. ჭეშმარიტი მწერალი არც ცხენს გასწირავს და არც უდარდელობის გზას აირჩევს. მისი გზა თავგანწირვის გზაა და ვინც ამ გზით წავა, დალოცვილი იყოს, ამინ!“

ამას არავინ ელოდა. მაშინ „ამინი“-ს თქმა დანაშაულს უდრიდა. ტაშისცემამ მიმახვედრა, რომ მწერლობასთან პირველი გამოცდა ჩაბარებული მქონდა. მერე ჩემი უფროსი მეგობრები ჯანსუღ ჩარკვიანი და ნოდარ დუმბაძე სიცილით მეუბნებოდნენ: „ეს „ამინ“ როგორ აჭამე ცერბერივით მოადარაჯე უშიშროებასო“. გოდერძი ჩოხელმა სახელდახელოდ ლექსი მიძღვნა. ეს ლექსი დღემდე უცნობია და პირველად გთავაზობთ:

ყვავებს რაც აქვთ საწყლებსა,
ქარს მიაქვთ იმათ ყრანტალი,
მკვდარს მკვდარი აეკიდება,
მართალს გაუგებს მართალი.
ტურებს, ყვავებს და ყორანებს,
ყეფით ხმა აქუთ ჩამწყდარი,
დადიან გაბღენძილები,
გულგრილობა აქვთ საგზალი.
იქ ვაჟკაცობენ, თუ სადმე
ვაჟკაცი ნახეს მამკვდარი.

ახლა ამ ყრილობაზე გამოსულ მწერალთა მჭერმეტყველებით არ შეგაწყენთ თავს, ამ ყრილობაზე დაწერილი რამდენიმე კაფია მინდა შემოგთავაზოთ.



ყრილობაზე ჩემს გვერდით გოდერძი ჩოხელი და თამაზ წივწივაძე ისხდნენ. იქვე იყო პაატა ნაცვლიშვილი, უკანა რიგში კი – რეზო ინანიშვილი და ვახუშტი კოტეტიშვილი.

ბატონმა ვახუშტიმ ერთხანს უსმინა, უსმინა გამომსვლელებს და მერე ჩვეულ ხერხს მიმართა, გოდერძი ჩოხელს კაფია გადმოაწოდა:

– ყრილობა მიდის ტაატით,
მე ამას გირჩევ, ჩოხელო,
გვერდით რომ გიზის ლამაზი,
ვინძლო ეგ მაინც მოხელო,
თუ ეგეც ვერ მოახერხე,
მაშ აქ რაისად მოხველო?!

– რომ მოვხელო, მაყრად მზად ხარო? – იკითხა ჩოხელმა.

– მაყარიც მზადაა და გუდამაყარიცო, – უპასუხა ბატონმა ვახუშტიმ, მერე ერთხანს იყუჩა და ამით განაწყენებულმა, კაფიაში არავინ ამყვაო, თამაზ წივწივაძეს გაუგზავნა ბარათი.

შავმა ქალმა დაიუბნა,
რაისად ვარ ლამაზიო?!
თუ გოდერძი ვერას გახდა,
აგერა მყავს თამაზიო.

ახლა კი იკადრა ჩოხელმა კაფიაობა და ასეთი სტრიქონები გამოგზავნა:

ქალავ, წაგიყვან მთაშია,
მაშვლად მყავს ჩოხის ხატია,
ვერ დაგიფარავს საბჭოთა
კომუნისტური პარტია.

მეც გავეპასუხე. ერთი სიტყვით წერამ აგვიტანა:

ფუჭია შენი სიტყვები,
ჩალა-ბულა და ქარია,

პირის ფარეშად გაგიხდის
ჩემი მეფე და ქმარია.

ჩოხელი –

შენსა ქმარსაც სამ შამყარა,
მომავალს შარა გზაზედა,
გვერდით შენ ჰყავდე, მოვიდე
გაკოცო ორსავ თვალზედა.

ახლა მე გავეპასუხე:
დაიბღინძები, დადიხარ,
როგორც თეთრწვერა ვაცია,
მე შენ მაინც არ გაგყვები,
ქვეყნად რომ გაწყდეს კაცია.

ჩოხელმა ფარ-ხმალი დაყარა:
მწარეა შენთან ლექსობა,
შენს გვერდით ჯდომაც მწარეა,
ის დღე დაიწოს, რა დღესაც
ჩემს ჭირად გაგიცანია...

ბატონმა ვახუშტიმ, იმით კმაყოფილმა, რომ კაფიაობაში ჩაგვითრია, პაატა ნაცვლიშვილს გამოუგზავნა ბარათი (პაატას გვერდით ლამაზთვალება ჟურნალისტი იჯდა რეპორტიორით ხელში).

– ყველას მე როგორ გასწავლოთ,
შენც ამას გირჩევ, პაატა...
გვერდით რომ გიზის ქალაი,
ხელი გამოსდე, გაატა,
ასე რამ გამოგიყვანა
დარცხვენილი და მორჩილი,
რახან პაატა დაგარქვეს,
თავიც ხომ არ გაქვს მოჭრილი?!

ჩოხელმა ნაცვლიშვილს დაუჭირა მხარი და კოტეტიშვილს ასეთი კაფია გაუგზავნა:
ცუდად ნუ გადმოიხედავ
მეზობლის ღობე-ეზოსა,

გვერდით ვინც ღმერთმა გარგუნა
რა ვქნა, ის უნდა გეყოსა.

ბატონ ვახუშტის პასუხი არ დაუყოვნებია:
როგორ არ გადმოვიხედო,
მეზობლის ღობე ეზოსა,
გვერდით არ მიზის ლამაზი,
რას გამოვრჩ
ები რეზოსა,
ჩემო გოდერძი, სახეზე
გატყობ კმაყოფილ იერსა,
როდი ყოფილა მაძღარი
რამეს უგებდა მშიერსა?!

ვახუშტი კოტეტიშვილმა კაფიაობა დაამთავრა და კვლავ გამომსვლელებს დაუგდო ყური.

გიორგი კეკელიძე

///

მარტის დასაწყისის დაუმახსოვრებელ შუადღისას სკოლიდან შინ დავბრუნდი. რა აღსანიშნავი ამბავი ახლა ეს არის და მაშინ დღეც ზედმეტად ჩვეულებრივი იყო, დაზეპირებული და დაღეჭილი – ღობეზე მკვდარი ძარღვებივით შემოძენძილ ჟოლოს უსიამოვნო ჟრჟოლით, ქათმის წყლისასმელ თასში არეკლილი ბოტკინგადატანილი მზით, სადილად შემწვარი კარტოფილით და რაღაც ახლართული კომბინაცით დამზადებულ მჟავით. სწორედ სადილს მივუსწარი და მითხრეს, წადი, ბაბუაშენს დაუძახეო. ბაბუაჩემი უკან უნდა ყოფილიყო, თხილებში. გავიქეცი. უცნაურად იდგა. მაღლა. ხეზე. მერე მივხვდი, რომ კი არ იდგა – ქანაობდა. შემეშინდა და გამოვიქეცი.

25 წლის წინ ბაბუაჩემმა თავი ჩამოიხრჩო. თუ უფრო ზუსტად გაინტერესებთ – ქალაქ ოზურგეთისა და სოფელ ბოხვაურის საზღვარზე მდგარ თხილის ხეზე. თუ კიდევ უფრო ზუსტად გაინტერესებთ – ბაბუაჩემი დიდი და ვერახდენილი ოცნებების კაცი იყო, თავგადასავლებით და მარცხებით. მას მერე, მარტის სუნი შეგრძნობისას, მე გავრბივარ და ვცდილობ ბაბუაჩემი ჩამოვხსნა იმ თხილის ხიდან. იმ თხილის ხეზე ბევრი ტოტია და უამრავ რამეს გულისხმობს ის ტოტები – უიმედობას, ტკივილის, გასაჭირს, წარუმატებლობას. იმ ტოტებზე მეც ვკიდივარ და ასე საკუთარი თავის ჩამოხსნასაც ვცდილობ, ბაბუაჩემის მაგივრად.

///

ჩემი თაობის ადამიანებს, ადამიანებს თვალებში ოთხმოცდაათინების შესამჩნევი ტატუთი, იოლად ახსოვთ გაუქმებული ნივთების მუზეუმი.

უთო – ღუმელს ვადებდით და ასე ვახურებდით. ამის გამო ჟანგისფერი მუცელი ჰქონდა უთოს და ტანსაცმელსაც უზიარებდა. გაუთოებული ტანსაცმელს სამარკო ნიშანიც ეგ იყო.

რადიო, ხაზის რადიო – სადღაც კედლის მაღალ კუთხეში ეკიდა, უენო და გაშტერებული. გაწმენდით მაინც წმენდნენ, როგორც მავზოლეუმში დასვენებულ წარსულს, მაგრამ ეს რადიო მკვდარსაც არ ჰგავდა. ცოტა ხანში ასე გვეგონა – ისეთივე ნაწილი იყო ოთახის, როგორც რომ ჭაღი ან ფანჯრის სახელური. თავისთვის და აუცილებლად.

ტელეფონი, ხაზისვე ტელეფონი – ჰქონდა ათიდან ერთ მეზობელს და მეორე ათიდან ერთ მეზობელთან რეკავდა, სადაც ისედაც შეეძლო გადასვლა, თუმცა იმავდროულად იმავე კავშირში ჩართული იყო მესამე ათიდან ერთი მეზობელი, რომელიც მეოთხე ათიდან პირველ მეზობელთან რეკავდა და მათი ლაპარაკის მოსმენა, ცხადია, დიდად საინტერესო იყო პირველი ორისთვის. ხან, ღამის სიჩუმეში, ამ ტელეფონს მოკლე ზარით წამოაბოდებდა ხოლმე. არვინ იცის რას ნიშნავდა ეს ბოდვა, ეგებ რაღაც სიზმრის ნაწყვეტს. სიმზრისას, რომელიც აღარ ახდა. ტელევიზორი – ტელევიზორს თავზე რაღაც ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული, მტვრის და მზის სხივების ფარად – მზე ეკრანს აფუჭებსო, ფერებს ურევსო. მზეს ეცინებოდა, რადგან ამ ტერიტორიებზე მოგზაურობისას, არასდროს ენახა ჩართული ტელევიზორი.

ხოლო სარეცხი მანქანა ,,ოკა" ერთადერთი ცოტათი ცოცხალი მკვდარი იყო. მისი სიცოცხლე იმ დროის ამთვლელში შემორჩა, ტეტეკას რომ ვეძახდით, დედისგან უჩუმრად გადავწევდით და ტკ-ტკ-ტკ-ტკ. ერთი სიამოვნება იყო ამ ხმის მოსმენა, ამ ერთადერთი ტექნოლოგიური პულსის სრულიად უცნაურ, თითქოს ზღაპრულ სამყაროში, სადაც მოქმედი გმირები გაყინეს და ამაოდ ელიან გაცოცხლებას – მეცხრე ბლოკის ჯადოსნურ ჯოხს. ეს ტკ-ტკ-ტკ არის ჩემი ბავშვობა, ეს წუთნახევრიანი კავშირი ოცნებებთან, ეს გაუგებარი, ცოტა აკრძალული სიხარული. არის ქვეყნები, სადაც ბავშვები ცხოვრობენ ბედნიერად. არის, სადაც ომში და ტყვიების ქარში. ჩვენ ვცხოვრობდით სადღაც სხვაგან, შუაში თუ მიღმა. ამბავში, რომლის მოყოლაც მსოფლიოსთვის ღირს.

///

წუხელ მესიზმრა მამაჩემი. მითხრა წავიდეთ, სასაფლაო გავწმინდოთო. წავედით. მე ურიკაზე ვიჯექი და მიმაგორებდა. გვედო ტომსიკები ბალახისთვის და ნამგალი. მივიდეთ მამაჩემის სასაფლაოზე და კუთხეებს ვწმენდით სარეველებისგან. მოიხარა ცოცხალი მამაჩემი და მკვდარი

მამაჩემის საფლავს წმენდა. და არც მას უკვირდა. და არც მე. ფეხბურთზე ვლაპარაკობდით. მეუბნებოდა, პელეს გარინჩა ჯობსო.

იქ – არა, მაგრამ როცა გამეღვიძა, მაშინ შემეშინდა. ცოტა ხანი ვიფიქრე და მივხვდი, რომ ეს ისედაც ასეა. ისედაც ორი მამაჩემი არსებობს. ერთი იქ, კვირიკეთის სასაფლაოზე და მეორე აქ, ჩემ გვერდით. მივხვდი და შიშიც გაქრა.

///

ვისაც დასავლეთ საქართველოში უცხოვრია, ზეპირად იცის უმძიმესი რიტუალი – წამოდგომა შეზამთრებისას. ღუმელიან ოთახში იქ იშვიათად თუ წვება ვინმე. თუ ოდა– სახლია – ცხადია, რომ მეორე სართულზე, თუ ,,ბელეტაჟი" – ,,ფეჩიდან" რაც შეიძლება შორს. არის აქ რაღაც შუა მაზოხიზმსა და პაკაზუხობას შორის. ვინც თბილ, ყოველდღიურ ოთახში იძინებდა, თან რაცხა უცნაური ოჯახიდან იყო, თან გაუგებრად გვშურდა მისი, თითქოს ჩვენ არ შეგვეძლო. ჰოდა, დაწოლა ცალკე და წამოდგომა ხომ ცალკე და ცალკე. ტანსაცმელი ყინვაში რომ ცუდად გაწურულს გაფენ და ზევიდან თოვლი მოუსწრებს – ამგვარის მეზობელ დღეშია.

,,სირისტია, სირისტი იქინე" და იმიტომ.

მაგრამ არაფერია იმაზე უკეთესი, როცა ვინმე წამოდგება შენამდე და ცეცხლს დაანთებს. თუ სამოთხე არსებობს, ეს გზა იქნება სამოთხე, წუთნახევარი გზა ,,სპალნიდან" ,,ფეჩის ოთახამდე". გათბობის განცდით სავსე გზა. ვისაც ეს გზა არ გაგივლიათ, სამოთხეში ვერ მოხვდებით. და თუ მოხვდებით, ვერ მიხვდებით, რომ სამოთხეა

///

ერთხელ, ერთმა კაცმა, დიდად პომპეზურ საჯარო თავყრილობაზე, მხოლოდ კეთილი განზრახვით ჩაფიქრებული, ასეთი სიტყვები თქვა: აგერ, გიორგიო (ანუ მე), არავის შვილი არ არის და როგორ წარმატებას მიაღწიაო.

ამ შვილების და შვილიშვილების საზოგადოებაში, სადაც ადრე, სტუდენტობისას, იმის გაგების შემდეგ, რომ კორნელი კეკელიძის ნათესავი არ ვყოფილვარ, ცოტა მოიწყენდნენ და ერთი-ორი ანეკდოტის მოყოლა მიწევდა, ისევ რომ გამეღიმებინა, ბევრი არაფერი მიკვირს. მაგრამ ეს „არავის“, ყურს უცნაურად მოხვდა. არ მწყენია (გამომსვლელის აზრით საერთოდაც უნდა გამხარებოდა) – დიდი ხანია გარეამბებისთვის გულის კანი გამისქელდა და არც მარტივი კომპლექსების ტყვე გახლავართ. უბრალოდ დავფქირდი. სხვა მილიონი ადამიანის მაგივრადაც. რომ ეთქვათ, გლეხის, მუშის, აგრონომის და რა ვიცი – ათასი ვინმეს შვილიაო, შეიძლება, ფიქრიც არ შემეჩერიბინა. არადა, იმ კაცმა მართლა კეთილი განზრახვით თქვა და რაღაც აზრით, თვისობრივ ამბავში, სრულებით ზუსტი რამ.

საერთოდ, კარგი წინაპრით სიამაყე ცუდი საქმე როდია, მაგრამ აბა ვინ მიკარნახებს, რას ნიშნავს კარგი? მამაჩემი იმიტომ არის არავინ, რომ დღედაღამე მუშაობდა ხან ყანაში და ხან თხილში, ხან ძროხას უვლიდა და ხან წიწილებს? არ იპარავდა და საკუთარ ოცნებებს ჩუმად ხოცავდა, იმიტომ რომ გარეთ სხვები ერთმანეთს ხოცავდნენ და ამ მხოცველთა შორის ბევრი აგერ ვითომ საამაყო წინაპარი იყო? და მამაშენიც და მამამისიც იმიტომ არიან არავინ, რომ მათი ბიოგრაფიაში რაღაც ჯილდოები და ნაშრომები არ წერია? და საერთოდ, როგორ შეიძლება ადამიანი არავინ იყოს? ნებისმიერი ადამიანი. იქ კი, ბაბუათა და მამათა პანთეონში, მნიშვნელოვან ნაწილს, მხოლოდ იმიტომ ერქვა „ვიღაც“, რომ ცეკას შესასვლელთან ეძინათ და დღეს მათ სახელებს, რომელიმე სახლის შესასვლელთან დაძალებულ ლითონის აბრებზე სძინავთ. მაგრამ რაც უნდა ნაძირალა ყოფილიყო და ფსკერის ბინადარი – არასდროს დავარქმევ არავის „არავის“.

ამსიგრძედ იმიტომ ვწერე, რომ დღესაც, ბევრი განათლებული და დაწინაურებული ადამიანი მხვდება და როცა, ვიღაცაზე რამე კარგის თქმა უნდა, უკანასკნელ, რკინის არგუმენტად, იდუმალი ხმით მიჩურჩულებს: ხომ იცი, ეგ ფეშანგი ფაშვიბერტყაძის შვილიშვილია.

მე კიდევ მგონია, რომ „არავის შვილების“ დრო უნდა დადგეს. ოღონდ ეს „არავის“ ძალიან ბევრს ნიშნავს, ძალიან დიდს და მნიშვნელოვანს.

რეზო ადამია



ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა

(გენიით დამსხვრეული დრამა და ტრაგედია)

ველური ნებით ფუტკარ-მხატვარი, ამ უჩვეულო სახის სიკეთითვე ამდიდრებდა თავის ქვეყანას და სრულიად მსოფლიოს... ნიკო ფიროსმანაშვილთან, ფერთ წარმოსახვათა საკვირველი უცხო მოვლენა, იმდენად დიდი და მოზღვავებული იყო, რომ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, სიახლე მოულოდნელობათა სულიერად გარემოცვაში გაატარა; დიდ ხელოვანს თავისი თავი ბოლომდე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული თუ არა, უთუოდ როგორმე იხსნიდა დამოუკიდებელსა და განსხვავებულ უსასრულობისფერ გენიას უსულგულო და მასთან შედარებით, ბევრად დაბალი ზნეობის საზოგადოებისაგან.

სამწუხაროდ, უბადლო ფერმწერის თანამედროვეებმა კი, ახალშობილივით შიშველ მხატვარს (თავისი შედევრებისეული სიმდიდრე უკლებლივ უკვე გაცემული ჰქონდა) სიცოცხლეშივე და სიკვდილის პირას მისულ შემოქმედს სულიერ-მატერიალური პატივი ჩვეულებრივ ადამიანურადაც არ აღირსეს, და მგალობელი სათნოდ მიმქრალი შავბუმბულიანი შაშვივით გაძარცულ-გამხმარ თავის ბუდეშივე უმოწყალოდ ჩატოვეს. თუმცა ამ ღვთივგაჩენილ მგალობელ ფრინველს ცისქვეშეთური საუფლო ბუდე, ჩვენს სასახლეებს და ქარვასლებს ბევრად ურჩევნია... მოვლენით გარდამავალი მხატვრის გარდაცვალების შემდგომ ცხოვრებისეული წვრილმანებით დაკავებულებმა საკუთარი კი არა, მიახლოებითი სამარეც არ მიუჩინეს, იმას კი ვერ მიხვდნენ ის უბედურები, შემოქმედ უფალმა თბილ-კეთილ მოსიყვარულე ნიკალას სამარე-აკლდამად თუ პირამიდად, როგორც მოგახსენეთ, სრულიად საქართველო მიაკუთვნა. ტყუპისცალივით იგივე ბედი ეწია ადრეული ხანის საოცრება შემოქმედს, გენიალურ რუსთაველსაც. ეჭვგარეშე ნაფიქრალია, სადღაც ქვეყნიერების ზეენარულ კანონ-ნუსხაში, კოლხურ-იბერიულ სივრცეს, მედეა, რუსთველ-ფიროსმანისეული მიწა ჰქვია...

რამდენიმე წელი პარიზში, საფრანგეთის მიწვევით შემოქმედებით მივლინებაში ყოფნისას, სხვადასხვა მუზეუმებში შედევრების წინ მდგარმა, დავწერე ნაწარმოებები უდიდეს მხატვრებზე, მოქანდაკეებზე; ყოველ შედევრში სიღრმისეულად ვურთიერთობდი და გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა (ამიტომაც გავბედე, ლიტერატურული ნაწარმოები შემექმნა ფიროსმანზე), მათგან რამდენიმეს მოვიხსენიებ: ლეონარდო და ვინჩის მარადიული ქმნილება „ჯოკონდა“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვული მონები“, მოვლენა ფერმწერი ვან-გოგი, მხატვრული გემოვნების სიმბოლო მოდილიანი, რენუარი, ტიციანი, პიკასო, კანდინსკი, მოქანდაკე როდენი, ბურდელი, მური, უბადლო ფერმწერი მატისი, ხუან მირო – ოცდაშვიდ თუ მეტ მხატვარზე შევქმენი ესეები და გამოვეცი კრებული ერთ წიგნად: „შედევრები და მარადიულობა“. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს აქ ვერ მოვიხსენიებ, რადგან ვშიშობ, არ დავაზიანო ჩვენი მნიშვნელოვანი ნაწარმოების ფაბულა-არქიტექტონიკა. უმჯობესია, მეგობრებო, მივყვეთ ფიროსმანის შემოქმედებით მთლიან სულიერ სხეულთა უნაზესი და კონკრეტული, უკიდურესად მეტყველი ორგანიზმის ძირეულ განხილვა-გაშუქებას. დამოუკიდებელი ხედვით, გონებით, სულიერად ნელ-ნელა შევდივარ ფერმწერის ურთულეს სილამაზისეულ ფერადოვან უნაზეს ლაბირინთებში და შეძლებისდაგვარად ვეცნობი ფერთლაქებით მობრილიანტებულ სულჩადგმულ უმშვენიერეს ტონალურ სივრცეს. წმიდათაწმიდა უხილავი ქართული ხასიათ-კოლორიტით და ყოველი ფერის ჟღერადობით თუ ნიუანსური გარდამავლობით. რამდენადაც უფრო ვუახლოვდები ნაწარმოებთა ცოცხალ ორგანიზმში, უფრო მეტად ვლინდება უღრმესი ხალხური უძველესი ფილოსოფიის წარმოუდგენელი მისტიკა – უძირო, რომელიც სივრცისმიერი ეროვნული ცისა და მიწის უნაკლო მისეული ფერებით იწერება და ფერთა ურთიერთთამამი ჰარმონიით იძერწება. ისევ და კვლავ ვცდილობ ქმნილებათა მიუწვდომლობაში თავდადებით ჩავაღწიო, ყოველ ფერწერულ ნიუანსს სათუთი გრძნობით მოვეფერო და ჩემს წინ მატულობს თვალთგონების და ნერვიული ხედვის უცხო ნათება, მერმე, რაც შეიძლება ვაძალებ თავს და ისევ იმატა ცისარტყელას შუქთა სიკაშკაშემ, შემდეგ უკიდურესად აენთო გენიის უმთავრესი მზე და მისმა მოძალებულმა სხივებმა მოურიდებლად უკანვე დამახევინა, უკვე შეუძლებელი იყო გონებრივი ხედვაც და ვტოვებ ნიკალას მრავალშრიან შემოქმედებით მიუვალ, მარ-

თლაც ღვთიურ სივრცეს: აი და ამდაგვარია, მეგობრებო, ჩვენი გენიის სულიერ-ხედვითი, შემეცნებითი და გამომხატველობითი ფერთდაბინდული სურათის სხეული, რომლის თავიდან ბოლომდე ჩაწვდომა თავად ავტორსაც გაუჭირდებოდა, რადგან თურმე ღმერთი ყოფილა მთლიანობაში პატრონ-მიმხედვარედ მასში დასახლებული. ნიკალას შემოქმედება მიუწვდომლად წრიულია და, ნუ გაოცებთ, შედით მის სივრცეში თუ უძლურობას იგრძნობთ, მშვიდად თქვენც გაეცალეთ... ქვეყნიერების მარადისობის უფალს და მის განძს კი ვერავინ ეახლება რაც გინდ ნიჭიერ-თამამი ვიყოთ თუნდაც ღრმად მორწმუნენიც. ჩამავალი და ამომავალი მზის განწყობილებისაა ხელოვნების ნებისმიერი სახეობის შედევრი, თითქოსდა ახლოს ხარ მასთან და ძლიერი სურვილი გაქვს უფრო მეტად მიახლოებისა, მაგრამ უსაზღვრო მიუწვდომლობაა და შეუძლებელია მისთვის ყოველმხრივ თვალის გასწორებაც კი, როგორც უფალთან, და მაინც ღმერთის უფრო მეტად წარმოდგენითი მიახლოებითი პოვნა-ხილვა, ზოგადად ყველა შედევრშია შესაძლებელი: თითქოსდა თუ სინამდვილეში ილუზიურია მისი უდიდებულესობის რეალური სახება ჩვენთვის. მხოლოდ ხელოვანის საოცრება ნაწარმოებებში ნება-ნება ისვენებს უფლის უდიდესი და აღმატებული ორანი, რომელიც იქაც იდუმალ უსასრულო მოძრაობაშია. დაახლოებით ამდაგვარია სამყარო – უფალი, მზე, ვარსკვლავეთი და ხელოვნების ნებისმიერი ქმნილება შედევრი... ცხრა ნეტარებითი სიცოცხლეც არ გეყოფა, გენიალურ ნაწარმოებს ბოლომდე რომ ჩაწვდე. მაგალითისთვის ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი შემსრულებელმა, უნიჭიერესმა პიანისტმა ათასჯერ რომ დაუკრას ინტელექტუალური მაყურებელ-მსმენელი საზოგადოების წინაშე, ათასმეერთეჯერ მაინც იტყვის ერთგული და პატიოსანი მუსიკოსი, ამ კონცერტზე ალბათ უფრო მივუახლოვდები კომპოზიტორის მიუწვდომელ გენიასო, მაგრამ ისევ...

ასჯერ და ორასჯერ რომ წავიკითხოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოვლენა ლექსი „მერანი“, აქაც თითქოსდა სამყაროს სულიერ სიბნელეში მიუწვდომლობისგან მშიერნი დაფარფატებთ. აიდა, ამ ფორმისაა უფალ ღმერთის ნებისმიერი ქმნილება. და, გული ნუ დაგწყდებათ ჩვენეულ უძლურებაზე: იტყვიან, ადამიანი ყველაფერში და ყველაფრის მიმართ ძლიერიაო, მაგრამ სამყაროს, ვარსკვლავეთის, კოსმოსის და უფალთან მიმართებაში მთლიან სუსტი და ძალაუნებურად მორჩილი ქმნილება-არსებაა...

ეტყობა, ზოგ უმთავრეს შემთხვევაში მხოლოდ წარმოსახვები არ გვყოფნის, ალბათ ის ძალიან შორეულიდან გვეგზავნება, რომელსაც აზრთმიუწვდომლობის განმარტებები არ ახლავს. რა კარგი იქნებოდა, უფალი რომ გვამცნობდეს ჩვენთვის აუცილებელ ურთულეს ინფორმაციას, როგორც „ათი მცნებით“ ზნეობრივად სამუდამოდ და უსასრულოდ რომ გაგვამდიდრ-გაგვანათლა. უზომოდ ბედნიერები ვიქნებოდით, ნიკალასავით გენიათა ქმნილებებიც ძირითადად ღვთიურად განეხილ-გაერჩია ჩვენთვის და მთავარი ეწყალობა. ეჭვს გარეშეა, ამ ქვეყნად უაღრესად განათლებულები ვიქნებოდით, მაგრამ აქაც მხოლოდ უზენაესის იდუმალებათა საიდუმლო მოუსვლელობაა, ცის ხმა გვამცნობს, ალბათ ასეაო საჭირო...

ახალგაზრდობიდან ფიროსმანზე ბევრს ვკითხულობდი, ხშირად დავდიოდი მუზეუმში; განსაკუთრებულად ქართული ფრესკებით, ორნამენტით, ჩუქურთმებით, ხატ-მინანქრით, საოცრება ნაქარგობით, ჭედურობით ფიროსმანაშვილით და გუდიაშვილით ვიყავი გატაცებული, მთელი არსებით ვეთაყვანებოდი როგორც უძველეს ქმნილებებს, ასევე მათ ფერწერულ გენიას. უკვე პროფესიონალი მხატვარი, სოფლად რომ ჩამოვდიოდი მშობლიურ ძველისენაკში, თითქმის ყოველდღე, ირგვლივ გარემოს პეიზაჟების სახატავად დავდიოდი – ავტობუსით, სატვირთო მანქანით, ურმით თუ ფეხით. ვხატავდი როგორც სენაკის რაიონის სოფლის მოტივებს, ასევე მარტვილისას. სიხარულით მახსენდება, სანამ თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხდებოდი, მანამ სწავლა დავიწყე სოხუმში, სამხატვრო სასწავლებელში. ერთხელ, ფიქრებში ჩართულს, ცხელ აზრად მომივიდა, ძველისენაკის მთებს გაღმა მდებარე სოფელი კვარჩღალი დამეხატა. უთენია ავდექი, თითქმის ბნელოდა, ავიღე „ეტიუდნიკი“, ჩემს მიერ დამზადებული საშუალო ზომის ტილო და გავეშურე ფეხით. გადავიარე საუნანგეროს მთა, შევედი ადამიებისა და გუნიების სოფელში (ამჟამად, საუბედუროდ, ნასოფლარია იქაურობა), მაგრამ ვერცერთმა მოტივმა ვერ მიმიზიდა და შეუსვენებლივ დავადექი უცნობი ეკისაკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს, იქიდან თითქმის ხუთ კილომეტრზე მეტი ვიარე. მაშინ სოფელი ეკი პირველად ვიხილე და ძალიან მომეწონა თავისი მიმზიდველი ზომიერი მთაგორებით, ლამაზად მოწყობილი ეზოებით, ოდებით; ზოგან ყავრით იყო გადახურული. სხვადასხვა ზომისა და მოცულობის კერიის კვამლისგან გამუქებულ-გაშავებული სამზადისები, თითქმის ყველა ისლით მჭიდროდ დაფარული: ამ მშვიდ სოფელში მზე ლაღობდა

დღეს და, ბოლოს ერთ-ერთ ულამაზეს ეგზოტიკურ ეზო-სახლკართან შევჩერდი და მფლობელისგან ნებართვის აღების შემდგომ, მოტივი შეძლებისდაგვარად დავხატე; სწავლის დასაწყისშივე ხომ ჩემში იჩინა პეიზაჟისტის ჩვეულებრივმა ნიჭმა და ძალიან არ გამჭირვებია. ამ ფართომინდვრიან ეზო-კარიან ოჯახში საამოდ მოფუსფუსე მასპინძლები შესანიშნავი, აღაჟღაჟებული სახის ენერგიული მამაკაცი ბატონი სამსონ კეკუა და სანდომიანი შეხედულების ქალბატონი, მეუღლე ნინა, დღის ბოლოს თბილკაცურად გამიმასპინძლდნენ და დამაპურეს კიდევაც...

იმ დღეს ღმერთმა ასე ინება, როგორც მომავალ მხატვარს, უნდა მეხილა ის იდუმალი სოფელ-ადგილმდებარეობები და უშუალოდ გვარად კეკუებს ვსტუმრებოდი, რათა ფიროსმანაშვილის შორეულ ტრაგიკულ ლეგენდას ფარულად უკვე აქედანვე შევხებოდი და ღვთის ნებითაც სამომავლოდ მართებულად წარიმართა ყოველივე.

მის მერმე წლები გადიოდა, კვლავინდებურად ჩემი კუთხის სოფლების ისტორიული ძეგლებით, ოდებით თუ თანამედროვე მოტივების ხატვით ვიყავი გატაცებული. უფრო ზაფხულობით, თბილისიდან მშობლებთან ჩამოვდიოდი შვებულებით, იმჟამად ხელოვნების მუზეუმში, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილთან ვმუშაობდი მხატვარ-რესტავრატორად. ერთ-ერთ მზიან ზაფხულს სოფელში ვარ ჩასული, ხან ვთოხნი ჩვენი ეზოს ყანას, ხშირად კი ვხატავ და მშობლებმა მითხრეს, ჩვენმა მეზობელმა ნინუცა ბარკალაია-ანთელავამ სახლ-კარი გაყიდა, სოფელ ეკელებმა, შესანიშნავმა ხალხმა, კეკუებმა შეიძინეს და ხშირად ცოლ-ქმარი შენ თბილად გიხსენებენო. რა თქმა უნდა, მერმე სიხარულით შევხვდი მათ. ახალმოსახლეებს ახლომეზობლობა დავულოცე და უკვე ღრმად ასაკოვან ჩემს ეკელ ყოფილ პურმარილიან მასპინძელს ვეკითხები: – ბატონო სამსონ, ფრიად საინტერესო და ისტორიული თბილისელი მიკიტანი ივანე კეკუა რა იყო თქვენი-მეთქი? – მკვიდრი ბიძაშვილია ჩემიო, რომ მითხრა, სიხარულისგან ავღელდი, ბატონი ივანეს შესახებ თუ მომიყვებით როდისმე, რომ გთხოვოთ-მეთქი. – კი, შემოგევლეო, – მიპასუხა, – ის ხომ შენი კოლეგის, დიდი ფიროსმანის მეგობარი ბრძანდებოდა, იმ შეუდარებელი მხატვრის ათამდე სურათი ჩვენთან ინახებოდა ეკშიო.

შემდეგ, ისევ განვლო გარკვეულმა დრომ. დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის, მერაბ კოსტავას გარდაცვალების მერმე, ქართველთა ოცნება, ეროვნული მოძრაობიდან წამოვედი და შევუდექი, შემოქმედებასთან ერთად, ჩემი სოფლის, კომუნისტებისგან გავერანებული მაცხოვრის სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის აღდგენას, რაშიც უდიდეს თანადგომას მიწევდა უწმინდესი ილია II და ქორეპისკოპოსი, მეუფე კონსტანტინე (მელიქიძე). რაიონის ხელმძღვანელობა და ძველი სენაკელების აქტიური თანამშრომლობაც უთუოდ საქებარი იყო, ეკლესიისთვის და ჩემთვის... ერთ მნიშვნელოვან დღეს, ას წელს მიღწეული სამსონ კეკუას, თავის ჭიშკართან შევხვდი, მოხუცი ყოჩაღად გამოიყურებოდა. მივესალმეთ ურთიერთს. – კარგი გამარჯვება იყოს, ბაბა, შენიო, მომმართა. ბატონი სამსონის სახლ-კარი ჩვენგან სამასი-ოთხასი მეტრითაა დაშორებული. კაცური მორიდებით ვთხოვე ღიმილით მდიდარ ბატონ სამსონს: – ხვალ შეგიძლიათ ოჯახში გვეწვიოთ, ეზოში კარგ ყვავილნარს დაგათვალიერებინებთ და თანაც მოგონებები ჩავიწეროთ ნიკო ფიროსმანაშვილზე და საქებარი ივანე კეკუას ურთიერთობის თაობაზე-მეთქი. – კი, შურიგე (სულო), გესტუმრებით – ხალისით მომიგო.

მართლაც, მეორე დღეს მოვემზადეთ ოჯახი: ასაკოვანი დედა მინადორა ხორავა, შვილები, მედეა და მაია, ნანი – მეუღლე და გახარებულნი შევეგებეთ ეზოში მოციქულივით დინჯად შემოსულ ბატონ სამსონს, ლამაზად მოპირკეთებულ ჭასთან, ყვავილების ხეივანში, ხის ჩრდილში ჩამოვსხედით. იქვე ტაბაკი და მოკრძალებული სუფრაა გაშლილი, გამჭვირვალე გრაფინში ორნახადი არყით, პატარა ჭიქებით და მამაპაპურად დავილოცენით. ჩვენი ეზოს ბინადარი ნაგაზი მოშორებით, მუშმულის ხის ქვეშ იწვა და, ყურაცქვეტილი, თვალს არ აშორებდა სტუმარს. ამ დროს ბატონი სამსონი მეუბნება: – ცოტა ხანს დამაცადე, რეზო! და მაყურებინე ამ ვარდებზე, სული რომ მოვითქვა, ბიჭოო! – ჩემთვის საყვარელმა ბერიკაცმა შემდგომ მუხლებზე ასწლოვანი დაკოჟრილი ხელის მტევნები მშვიდად დაიწყო და დინჯად შეუდგა სულმდიდარ ეროვნულისა და ფრიად საინტერესო, გარდასულ დროთა ამბის მოყოლას, რასაც სიტყვასიტყვით გთავაზობთ.

– შვილო, რეზო! ცნობილი და კარგი კაცი იყო ივანე კეკუა, ადრე გარდაიცვალა, დაახლოებით დიდ სამამულო ომამდე; საფლავის ქვაზე აწერია ზუსტი თარიღი, რომელიც შემდეგში მოსანახულებელია. მისი ამ ქვეყნიდან წასვლის მერმე ოჯახში დარჩენილა რძალი, გარდაცვლილი ძმის მეუღლე. ივანეს ძმას ერქვა იოსები. სამი ძმა გარკვეული დროის განმავლობაში ერთად ცხოვრობდა. იოსების შვილიც უდროოდ გამოეცალა ოჯახს და ქვრივი დარჩენილა მარტოდმარტო.

კეკუების ოჯახი სოფელ ეკში, მაშინ შეძლებულ მოსახლედ ითვლებოდა. ბატონ ივანე კეკუ-ას ედგა სრული ოდა ხუთი ოთახით. სამზარეულო, დიდი მოცულობის. იქვე მარანიც, ბეღელი ქვედა (ჯიხურით) და ბაღუ – ხულა, სამ მომცრო სათავსოდ გადატიხრული. მაშინ მათი ოჯახი ცნობილი იყო კეთილ და პურმარილიან ხალხად და საკმაოდ ეკლესიურ-მორწმუნენი იყვნენ. უახ-ლოესი სალოცავი გახლდათ ეკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია – ბაზილიკა. ივანე კეკუა თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა 60 წლის განმავლობაში. ელიზავეტინსკაია ქუჩა, ეს სახლი შემდეგში მოსაძებნია: ძველ თბილისში იდგა ხუთსართულიანი სასახლე, სადაც ბატონ ივა-ნეს ჰქონია სამი ოთახი თავისი კორიდორით. ივანეს შვილი არ ჰყავდა და ძმისშვილი ღვიძლი შვილივით გაზარდა, რომელიც შემდეგ მუსიკალურ სასწავლებელში მუშაობდა ბუღალტრად. იქი-დან გადავიდა შვილებით და ივანეს ეკში წამოსვლის შემდეგ გადასახლდა ჩერნიშევსკის №17-ში. მერე მათი მდგომარეობა ჩემთვის გაურკვეველია ურთიერთკავშირის შეწყვეტასთან დაკავშირე-ბით. ბატონი სამსონ კეკუას მოგონებიდან ყურადღებით ვიწერ, რომ ივანეს გაზრდილის ოჯახ-შიც ინახებოდა თურმე ნიკალას სურათები. დიდი მოწონება გახლდათ ჩვენთან, ხალხში, ფიროს-მანის ნახატებზე და ძალიან ბევრნი მოდიოდნენ სანახავად. ეკის სკოლის მასწავლებელი, წარმო-შობით ქუთაისელი, ბრეგვაძე კოლია, ღრმად მოყვარული ყოფილა ნიკალას ნამუშევრების. მას სურათების დასათვალიერებლად ხშირად მოჰყავდა მასწავლებელ-მოსწავლეები და ინტელიგენ-ციის წარმომადგენლები. ეკის მაშინდელი ადგილობეივი ექიმი, გვარად ხუნჯუა აპოლონი, სილო-ვანის ძეც ძალიან შეყვარებული იყო ფიროსმანის სურათებზე. ასე რომ, ყოველდღე ხალხი მოდი-ოდა ჯგუფ-ჯგუფად ამ დიდებული ნახატების სანახავად.

როგორც ბატონი სამსონი გვამცნობს, ბატონი ივანეს ცხოვრების პერიოდში სოფელში სუ-რათების მოპარვის მცდელობები არ შენიშნულა. ივანეს სიკვდილის შემდეგ, მისი ძმის ქვრივს ვინმე ჩიქობავა, წარმოშობით უბრალო გლეხი ჩაესიძა, რომელიც არაფრით არ აღემატებოდა კე-კუების გვარს. და, კიდევაც მის ხელში სახლ-კარი უღვთოდ მოიშალა. უვარგისი ჩასიძებულის უყურადღებობასა და უყაირათობაზე დღესაც მსჯელობენ სოფელში, საუბედუროდ ოჯახის დაწ-ვასა და ხანძრის გაჩენაზე. ბატონი სამსონი იგონებს, სურათები დაახლოებით რვა, შეიძლება მე-ტიც ყოფილიყო. ამ დიდი, ულამაზესი მეგრული ოდის სამ ოთახში ყველა ნახატი ლამაზად ყოფი-ლა გამოფენილი და დარაბებიანი კარ-ფანჯრებით საიმედოდ დაცული. ბატონ ივანეს ჰქონია იმ დროისათვის ამსახველი მრავალი ფოტოკოლექცია, ალბომები და თავადაც ჩამოუტანია ფოტოა-პარატი. ძველებურ ოჯახს რომ უხდებოდა ისეთი ავეჯით ჰქონიათ გაწყობილი სახლი. პირადად ივანეს, ნიკალასეული კოლექციიდან ჩხეიძის პორტრეტით ძლიერ დაინტერესებული ვიყავი, ჰყვე-ბა ბატონი სამსონი. ჩხეიძეს ჰქონია თეთრი წვერი, ჩოხა-ახალუხით და მხარზე მოხურული თეთ-რი ნაბადი და ამ სურათს შორიდან რომ შეხედავდი, ნაბადის მორთულობა, ოქროსავით ბზინავ-დაო, მაგრამ ჩიქობავას უხეირობით, უცებ სახე შეუწუხდა მოხუცს და ამჟამადაც დაუვიწყარ წყრომას გამოხატავს ბატონი სამსონი; კეკუების სოფლის მუზეუმ-ოჯახი ხანძარმა რომ შთან-თქა, შეგნებულად სოფლის საზოგადოებას საერთო გლოვა გამოუცხადებია და ეროვნული განძის დაღუპვის დონეზე განუცდიათ (უფრო დიდი იშვიათობა რა უნდა დაღუპულიყო). ბატონი სამსო-ნი გულისწყრომით ყვება, რომ იმ უბედურების მომტანმა ხანძარმა მხატვრის რამდენიმე სურათი, ჩვენდა სამწუხაროდ, შთანთქაო, მაგრამ ზუსტ მონაცემს ვერ მოგცემ, რადგან ჩიქობავას მფლო-ბელობის ჟამს ყველაფერში ჩახედული არ ვიყავი. ეტყობა, ამ კაცის უზნეობას ახლო ნათესავი ბატონი სამსონ კეკუა, რა თქმა უნდა, უკიდურესად გაუღიზიანებია. მძიმედ ამოისუნთქა ბრძენმა მოხუცმა და ყვება: – ბოლოს, სახლის სახურავის უვარგისობის გამო, რომელიც დაძველებული ყავრით იყო გადახურული, აწვიმდა. ბატონ სამსონს რამდენიმეჯერ შემოუთავაზებია, აუცილებ-ლად ყველა სურათი ჩემ სახლში გადავიტანოთ, თუ არა, საუბედუროდ, გაფუჭდებაო, მაგრამ ჩი-ქობავას იმდროინდელი სახლის პატრონს ცივად უარი უთქვამს და დაუყოლებია, რა მნიშვნელო-ბა აქვს, ჩემთან იქნება თუ შენთანო. ეტყობა, ამ ნახატების ღირსება არაფერს წარმოადგენდა მისთვის.

ფიროსმანის შემოქმედების უმძიმესი მზეღრუბლიანი ბედი სამეგრელოშიც გაჰყვა.

ნიკალას სურათები ბატონ ივანეს სენაკის მაზრაში, მატარებლით ჩამოუტანია, ნახატები სა-გულდაგულოდ შეხვეულ-შეფუთული ყოფილა და საკუთარი თავივით უვლიდა თურმე მთელი სი-ცოცხლის განმავლობაში. იმ პერიოდში ბატონი ივანეს სახლში დიდი წვეულებებიც ხდებოდა და სურათები ყოველმხრივ დაცულ მდგომარეობაში იყო. ცოტა ხნით შეჩერდა, ჩაფიქრდა ბატონი სამსონი, მერმე ყვება თვით ბატონი ივანეს მოგონებას: პირველად დიდ მხატვართან შეხვედრა

ასე ყოფილა: ბატონი ივანე იმჟამად თბილისში შეძლებულ ვაჭრად ითვლებოდა. ჰქონდა დიდი მოცულობის სარდაფ-სამიკიტნო და ვაჭრობდა შერეული ღვინის მასალით, იქნებოდა კახური, იმერული თუ ჭაჭის არყით. ერთ მშვენიერ დღეს, მაღალი აღნაგობის, სქელი, ჩამოშვებულ შავი ულვაშებით, ხმელ-ხმელი, სანდომიანი სახის, კეთილი მორჩილი გამომეტყველების კაცი ჩემთან დინჯად შემოვიდა და მეგობრულად მთხოვაო ერთი ჩარექა ღვინო. მეც არ მიღალატა გუმანმა და პატივისცემით ალალად მივართვი კახური და „ზაკუსკაც“. მის მერე ჩემთვის ცნობილი გახდა, ეს კაცი იყო მხატვარი, რომელიც თავისი ბრწყინვალე ადამიანური სიკეთით ყველას აყვარებდა თავს. როგორც ივანეს გადმოცემით მახსოვს, ფიროსმანი იყო უსწავლელი, მაგრამ უჭკვიანესი ბრძენი კაცი და ხატვისას საოცრებებს ქმნიდა, რითაც ყველა განცვიფრებაში მოვყავდითო. შემდეგ ნიკალა ხშირად შემოდიოდა ჩემთანო. და მეც მეგობრულად, უფრო ნათესაურ დონეზე ვუმასპინძლდებოდიო. ზოგჯერ ძმაკაცურად ყველაფერში მეხმარებოდა კიდევაც. რომ გავიგე, ნიკო სამხატვრო მასალებით სიღარიბეს განიცდიდა, ხანდახან გარკვეულ თანხასაც ვაძლევდი, რათა შეეძინა საჭირო ფერები, მუშამბა და ჩარჩოები. მის მერე უფრო დაიწყო ჩვენი ახლო მეგობრობაო. – მე რითი გცე პატივი, ჩემო ივანე? შემიძლია მხოლოდ სურათები გაჩუქოო, – მითხრა ნიკალამ. მანაც არ დაიშურა და თავის საუკეთესო რამდენიმე სურათი დროთა განმავლობაში მისახსოვრა. ასე დიდხანს გრძელდებოდა ჩვენი კეთილკაცური მეგობრობა. ბატონი სამსონი, რომელიც გახლავთ თითქმის ასი წლის, სრულიად საღი გონებით იგონებს, ივანესათვის ყველაზე ძვირფასი თბილისური მოგონებანი ფიროსმანაშვილთან შეხვედრა-ურთიერთობით განისაზღვრებოდაო, სიკვდილამდე მხატვარი ნიკალა იყო მისი კაცურ-კაცობის კულტი და საოცრებათა მოგონების წყაროო...

მხატვარი ფიროსმანი ისეთი სანდო კაცი გახლდათ, რომ ზოგჯერ სავაჭრო სარდაფის გასაღებსაც ვუტოვებდი, რათა ჩემთვის საიმედო პიროვნებად ვთვლიდი და თავად ივანეც ხომ კეთილშობილი და შეგნებული მეგობარი ბრძანდებოდა, დაუმატა ბატონმა სამსონმა. ას კაცზე ღირდა ივანეს სუფრასთან თამადობა. მისი სიტყვამოუბრობა შეშლილსაც მოაჭკვიანებდა. ერთ-ერთი ქეიფის ჟამს, ღვინომორეული ახალგაზრდა, ეტყობა შარიანი, გაჯიქდა, მაგიდიდან გადმოხტა და რომელიღაც სუფრის წევრს დაემუქრა გაშიშვლებული ხანჯლით. მაშინ ბატონმა ივანემ მიმართა ღვინისაგან ტვინამღვრეულს: – თქვენ, ყმაწვილო, ახლავე ჩააგეთ ხანჯალი ქარქაშშიო. სახელი რა გქვია სტუმარო?! მას უპასუხნია: – ჩარიქა, ბატონო! ბატონ ივანეს მიუმართავს ხუმრობით: – ბიჭო, ჩარიქიანი კი არა, კრუშკიანიც არ ყოფილხარო. ასეთი თბილი იუმორით და თავისი მაღალი ავტორიტეტით დაუშოშმინებია ღვინისგან გახელებული კაცი. ამდაგვარი მრავალი სხვა საინტერესო შეხვედრა ჰქონია ხალხთან. ბატონი ივანე განუსხვავებლად ერთნაირად პატივს სცემდა და გულისმიერად ექცეოდა ყველასო. ალბათ ამიტომაც აირჩია დიდმა ნიკალამ სამეგობროდ ივანე კიკვაძე-კეკუა.

ბატონი ივანესგან გადმოცემით ნიკალა სოფელ ეკში არასოდეს ჩამოსულა. ხოლო მხატვარზე მოგონება ფიქრები, ქება-დიდება, მირზაანის დონეზე, სოფელ ეკშიც გახლდათო...

ივანე და ბატონი სამსონი მკვიდრი ბიძაშვილები ყოფილან. ბატონი ივანე გარდაცვლილა 78 წლის ასაკში და სამახსოვრო საფლავის ქვა ბატონ სამსონს შეუწირავს ბიძაშვილის მოსაგონებლად. ივანეს დაკრძალვის დღეს ბევრი თბილისელიც ჩამოსულა, რომლებიც კეთილად იგონებდნენ გარდაცვლილს, კეთილი პატრონის სიცოცხლის ჟამს, ოდა-სახლში ნიკალას ყველა სურათი მაღალ დონეზე დაცული და მოვლილი გახლდათო. მერე ხდება ამ შედევრების ბედის გამრუდება. ბებია, მამის დედა, როცა სოფელში დაქვრივებულა, ჭირზე, ივანეს კახური ღვინო გამოუგზავნია თურმე კასრებით და ასე ეხმარებოდაო ახლობლებს: სოფელ ეკში ოცდაოთხ ივნისს ტარდებოდა დიდი რელიგიური ზეიმი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან დაკავშირებით და ივანე განსაზღვრულ დროს ყოველ წელს საჩუქრებით ჩამოვიდოდა. ასევე სახლში ჰქონია ჩასახედი უცხოური აპარატი და სხვადასხვა ზომის ყუთებით ჩამოუტანია თავისი დროის თბილისური და მსოფლიო მოვლენების გამომსახველი დიაპოზიტივის მსგავსი სურათები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №№28-43-ში
და ანთოლოგიის 10-11 ნომრებში)

* * *

ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა ნორმალური ცხოვრების საიდუმლოებას და თუ ერთეულებმა ვიცით ეს, შეიძლება გიჟებად მოგვნათლოს იმედით მაცხოვრებლებმა.

ეჭვი არ მეპარება პანდორეს არსებობაში, რომელიც ღმერთმა მიწისა და წყლისაგან შეჰქმნა, ქალღმერთის გარეგნობა და ადამიანის ხმა მისცა, აფროდიტემ მას მომხიბლაობა და სინარნარე დაანათლა, ჰერმესმა – ეშმაკობა და ვერაგობა, ათენა პალადამ კი ხელსაქმე ასწავლა და პრომეთეს ძმას ეპიმეთევსს შერთეს ცოლად, რადგან ღმერთს ადამიანთა ყოველგვარი საიდუმლოებანი გაეგო. პანდორემ თავი ახალ ყუთს, სადაც ადამიანთა უბედურება ინახებოდა, ამის შემდეგ ბოლო მოეღო ადამიანთა ბედნიერებას, რათა სამზეოზე უბედურებამ აიშვა, ღმერთის ნებით ყუთს თავი მხოლოდ მაშინ დაეხურა, როდესაც შიგ მხოლოდ იმედი დარჩა. ახლა მხოლოდ ამ იმედით სულდგმულობს ადამიანი, რადგან მათი აზროვნების სფერო ჯერ კიედვ ვერ გაცილებია ჯადოსნურ ყუთს, რომელშიც იმედი ინახება.

– შენ თუ განათლებული ხარ და მიჩერებიხარ ადამიანებში იმედის გაცრუებას, შენი სიბრძნე და შეხედულება ხალხს მოახმარე. არცერთ განათლებულ ადამიანს არ უძებნია ფუფუნება. თვით დიოგენე სინოპელმაც კი უარყო ამქვეყნიური ფუფუნება და კასრში გადასახლდა საცხოვრებლად.

– დიოგენე ბრძენი კი არა გიჟი ყოფილა, თუ ჰქონდა და უარყო კომფორტული ავეჯი და კასრში გადასახლდა საცხოვრებლად, მაგრამ არავინ მოგვატყუოს, მას არაფერი ჰქონდა იმ ძველი კასრის მეტი, ან რომელ პატიოსან სწავლულს გააჩნია ცხოვრების ნორმალური პირობები?

– შესაძლებელია, მას მართლაც არ გააჩნდა ფუფუნების საგნები, მაგრამ მას გააჩნდა სიბრძნე, რომელიც კაცობრიობას დაუტოვა და დღესაც ვხელმძღვანელობთ იმისი მოძღვრებით ისტორიამ კი უკვდავჰყო იმისი სახელი და სანამ კაცობრიობა იარსებებს უკვდავი იქნება დეოგენე სინოპელი, დეოგენე აპოლონიელი, დეოგენე ლაერტიელი და სხვანი, რომლებიც არა მახვილითა და ფუფუნებით, არამედ სიბრძნით იბრძოდნენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

– ისტორიამ ნერონიც შემოგვინახა, რომელმაც დიოგენე სინოპელი ჯვარზე გააკრა და იმისი კასრი საქვეყნოდ დასწვა.

– მხოლოდ სხვადასხვა დიდებით, პირველი, როგორც ბრძენი და მეორე, როგორც ტირანი, რომელმაც საკუთარი დედა და ცოლიც კი არ დაინდო.

– შორს სად მიდიხარ, თბილისშიდაც იმყოფებოდა ტირანი. ის მოკლეს თუ თავი მოიკლა ამას მნიშვნელობა არა აქვს და მაინც საშინელი იყო ეს სიკვდილი, როგორც ყოველი მკვლელობა, მაგრამ როცა ორი საშინელებიდან ერთ—ერთს ვამჩნევთ, ჩვენ უფლება არა გვაქვს არ გავამართლოთ ხალხი ან ტირანი, ასევე მოძღვარი ფიქრობს სიცოცხლეზე. მაგრამ ყველაფერს დაისი ანაზღაურებს, როდესაც მზერა შორს ვეღარ აღწევს, შენს წინ ყველაფერი მუქდება, ჩამავალი მზისა და მომაკვდავი დღის ხილვისას სულს უცნაური სიმშვიდე ეუფლება და გვჯერა, რომ ჩვენ არ ვკვდებით, ვრწმუნდებით სულის უკვდავებაში და სრულებითაც არ გვეძნელება ამქვეყნიური ბრძოლისა და არეულობის განშორება. დასანანსაც ვერაფერს მივჩერებივარ, ან კი რას უნდა მისტიროდეს კაცი ამქვეყნად? ნუთუ ის გვენანება, რომ ოფლის შედეგს ლუკმ—ლუკმა ვჭამთ და მაინც მშიერები ვართ?

თქვენ როგორ გგონიათ, რომ ვმსჯელობ სიყვარულის არარსებობაზე და სინდის—პატიოსნების სიკვდილზე, მე თვითონ არ განვიცდი ამ დიდ დანაკარგს? განვიცდი და მივსტირი კიდეც, მაგრამ მე არ ძალმიძს შევაჩერო დროის დინება. რამ განაპირობა, ნუთუ დრომ თბილისის დაწვა, მაგრამ არ ვჯავრობ, რადგან შეიძლება იმისი ხელახლა აშენება, ვინაიდან საქართველოს სულს ქვები და კრამიტი როდი შეადგენს. მაგრამ აბა მითხარით, როგორ დავიბრუნოთ საქართველოსათვის თავდადებული ადამიანები? გადამთიელ მტრებზე არა მაქვს საუბარი, მათ ქართველები უმკლავდე-

ბოდნენ, მაგრამ ვერ გაუძლო თვით ქართველების შემოტევას, რადგან ქართველმა კარგად იცის ქართველის სუსტი მხარე. თვითონ ქართველმა, დაქირავებული ჯარით, ქართველების გაწყვეტით და უბილწური ბოროტმოქმედებით გაითქვა სახელი. მე არ ვიცი როგორ აღვწერო მათი ავკაცობის ამბავი? როდესაც საქართველოში გრიგოლი (ორჯონიკიძე) დაბადებული კონსტანტინეს უთქვამს: – „მე და ჩემს ცოლს სხვა რა უნდა გაგვჩენოდა გარდა უბედურებისაო" და სულმნათ მამას შვილის დაბადებისთანავე უწინასწარმეტყველებია საქართველოს ბედი.

თქვენ ისე არ გამიგოთ, მე თითქოს სწავლისა და სიბრძნის უარმყოფელი ვიყო, მაგრამ ჩვენ თვითონ ვხედავთ, რომ სიბრძნეს გასაქანს არ აძლევს ძალმომრეობა და სახელმწიფოს სათავეშიდაც ყოველთვის ეს უკანასკნელი ზეიმობს, რომელი სახელმწიფოს მმართველი ყოფილა ბრძენი და სწავლული? უვიცობა ყოველთვის ამარცხებდა სიბრძნეს და ძალმომრეობით სახელმწიფოს სათავეში ექცეოდა, რევოლუციით, ბრძოლითა და ომებით. დაპატიმრებებითა და სიკვდილით დასჯით აღწევდნენ ზეციურ ადამიანთა სახელს. რა თქმა უნდა მიღწეულ სახელსაც გაფრთხილება და თანამდებობის გამოყენება უნდა, მაგრამ ჯადოსნურ სავარძელში მოკალათებულნი ამას ადვილად ახერხებდნენ. თუგინდ ჩვენი პარტიის ფუძემდებლები ავიღოთ, რომელი პიროვნება იყო მათ შორის განათლებული? ჩვენმა თანამემამულემ, რომელსაც სასულიერო სასწავლებლის სრული კურსიც არ ჰქონია დამთავრებული, ლეგენდარულ თანამდებობას მიაღწია და მსოფლიო ტაშს უკრავდა იმის წარმატებას.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, უცოდინრობით მიაღწია მსოფლიო წარმატებას იმ ჩვენმა თანამემამულემ? – საუბარი შეაწყვეტინა გამომძიებელმა შორენას.

– უფრო გამბედაობით, ვიდრე ცოდნით, – უპასუხა ქალმა, – მაგრამ ყველა ტერორთა შორის ის კეთილსინდისიერ და კეთილგონიერ პიროვნებად მევლინება, იმისი „იმპერატორობის" დროს ყოველდღე იგრძნობოდა, თუ როგორ ამოდიოდა ნელ—ნელა ხალხი გაჭირვების ჭაობიდან და ბოლოს ტიტველმა ხალხმა ჩაიცვა, მშიერი გაძღა კიდეც. როგორ მრავალ სხვა სახელმწიფო მმართველს არ დაუტოვებია საკუთარი ოჯახისათვის უხვი სიმდიდრე, გარდაცვალების შემდეგ ერთადერთი სიმდიდრე – ჩიბუხიც – ვეღარსად იპოვეს მისი და რით გადაუხადა მისი სიბრძნითა და პურით გამაძღარმა ბრბომ ამაგი?

„ზარბაზნის ლულაში ჩავდოთ და იქით ვისროლოთ, საიდანაც მოვიდა" – წამოაყენეს „ბრწყინვალე" წინადადება მიცვალებულის „უკვდავსამყოფად".

ახლა თვითონ მე გეკითხებით: შეიძლება თუ არა დახმარების ხელი გაუწოდო ადამიანს? არსებობს სიყვარული და სინდის-პატიოსნება?

– როგორ? თქვენ ხომ არ გინდათ დამამტკიცოთ, რომ ბელადის სიკვდილთან ერთად მოკვდა სიყვარულიცა და სინდის-პატიოსნებაც?

– თითქმის! ასე მინდა რომ ვთქვა. ადამიანი რომ გქვია, ამაგი არ უნდა დაუკარგო მავანს, თვით ტერორსაც კი. პიროვნებაზე შენი განაწყენება საქვეყნოდ არ უნდა აღიარო და მიცვალებულზედ ცილისწამება მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნია.

თუ რევოლუციითა და ტერორით მიაღწია მან „იმპერატორის" სავარძელს, ამას დრო განაპირობებდა და სამაგიეროდ ხალხმა ამოისუნთქა იმის „მეფობის" დროს. მე ასე მგონია, რომ ეს პიროვნება ღმერთისაგან მოვლენილი იყო კაცობრიობის გადასარჩენად. სიკვდილის დროსაც, რომელიც ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული, საიდუმლოებათა შორის თავი იჩინა სინამდვილის ნაპერწკალმა, საიდუმლო არქივში ვკითხულობთ: „ბელადმა ხალხისადმი უკმაყოფილება უზარმაზარ ულვაშებში ჩამალა, მარჯვენა ხელი შემართა, საჩვენებელი თითი უსასრულობისაკენ გაიშვირა და თავისი რჩეული დარბაისლური მტკიცე ხმით წარმოთქვა: „უმადური მოდგმით აღსავსე... სამყარო ვშობე..." შემდეგ ოდნავ ჩაფიქრდა, როგორც ტრიბუნაზე იცოდა ხოლმე და ისევ იგივე, მხოლოდ ოდნავ გაბზარულიხმითა და მეტი ქართული აქცენტით წარმოთქვა: „გააჩერეთ დედამიწა, მე ჩავდივარ"... სიტყვის გაგრძელება აღარ მოისურვა, ან ვეღარ შესძლო, ზეცის უსასრულობისაკენ შემართული ხელი მძიმედ დაუშვა და ესოდენ დიდი ღვაწლითა და შრომით დაქაცული სული უკანასკნელ ამოოხვრასთან ერთად გაფრინდა და თვითონ განსაჯეთ საით?

დიახ, შეჩერდა დედამიწა. ის ჩავიდა, მზისებრ ჩაესვენა, ეს კატასტროფა იყო პლანეტისათვის. წყვდიადმა მოიცა სამყარო, სწორედ მაშინ მოკვდა სინდის—პატიოსნება. ფეხქვეშ იწყო გათელვა ადამიანთა ღირსებებმა და კეთილშობილებამ.

იქნებ ჩემშიდაც მაშინ მოკვდა სიყვარული და დაიბადა ახალი გრძნობა, „მისწრაფება ფუფუნებისაკენ". იქნებ ეს დრომ მოიტანა და რომელიღაც პლანეტის ზეგავლენით მოხდა თითოეული ადამიანის ორგანიზმში ევოლუცია, გარდაქმნა, გარდატეხა, ზოგი კეთილისაკენ, ზოგი ბოროტებისაკენ, ზოგი რწმენისა, ზოგიც ურწმუნოებისაკენ, მე მართლაც ბავშვური, გიჟური სიყვარუ-

ლით მიყვარდა შმაგი, ის არის შემოქმედად მოვლენილი სამყაროსათვის, ეს არის ადამიანი „ცოცხალი ხელოვნება".

ის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ხმაზე ლაპარაკობდა. გააჩნდა ქალის ნაზი, მომხიბლავი ხავერდოვანიხმა და ამასთანავე ერთად მხედართმთავრის მგრგვინავი ბარიტონი.

ის რომ ბოშა ქალს გამოაჯავრებდა და კეკლუცად ბანქოს გაშლას დაიწყებდა, ეს მართლაც ბოშა ქალის პიროვნება იყო და არა იმისი ორეულის განსახიერება. შმაგი ყველას უყვარდა და მე როგორ შემეძლო უარი მეთქვა იმის მიერ შემოთავაზებულ სიყვარულზედ? ეს ხომ იგივე იქნექოდა, რომ მონაზონმა უარი განაცხადოს მონასტერში სამსახურზედ?

მე სიხარულთან ერთად დამეუფლა სიყვარული. მუდამ ერთად ვიყავით მე და შმაგი. ოცნებით ვაგებდით მომავალს და ხშირად ვიმეორებდით ვლადიმერ სოლოვიოვის ლექსს:

„დრო და სიკვდილი არ აკლებს ზრუნვას
ხალხს და ქვეყანას ანგრევს ღალატი
ყველაფერს შთანთქავს პლანეტის ბრუნვა
სიყვარულის მზე არის მარადი"...

მაგრამ ეს ხომ პოეტის ნათქვამია. არ ყოფილა სიყვარულის მზე მარადიული. ისე ისე კვდება დაკვირვებების შედეგად ორგანიზმში, როგორც იბადება ახალგაზრდობის აყვავების პერიოდში.

– შმაგიმ თუ შეინარჩუნა ის ბავშვური სიყვარული და დღესაც უყვარხართ, თქვენ რატომ ჩაინერგეთ სიყვარულის უარყოფითი მცნება?

– ხომ გითხარით, ჩვენ რომ შევუღლებულიყავით ის პირველი შემიძულებდა, რადგან მისი უმაღლესი განათლებით გაგვიჭირდებოდა ოჯახის რჩენა. მე ჩემი „კაპრიზები" ვიცი, დამეწყებოდა ფუფუნების მოთხოვნილებები, რომლის შესრულებას შმაგი ვერ შესძლებდა და იძულებული გავხდებოდით ერთი—მეორეს გავშორებოდით.

ქალს სილამაზე აინტერესებს, სამკაულები, ფული და სიმდიდრე, რომელ ქალს უნდა შენი უმაღლესი განათლების დიპლომი, თუ მას მატერიალური შემოსავალი არ ახლავს თან?

– შენი აზრით, უმაღლესი განათლების მქონე ყველა სიდუხჭირეში ვიმყოფებდით?

– ყველა არა, მაგრამ შმაგი ზედმიწევნით პატიოსანია, მე მგონია ეს სიტყვა კი ყველაფერს გეუბნებათ:

„ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების
და ლანდები გზას მივყვებით ეკლიანს
სააქაო შორეული სანთლების
წმინდა დღეთა მკრთალი ანარეკლია"...

თუ ნებას დამრთავთ ერთ ანეგდოტს მოგახსენებთ:

– ბრძანეთ! თქვენთან საუბარი მართლაც საინტერესოა.

– „ერთ-ერთ ზოოლოგიურ პარკში სენსაცია მოხდა, მაიმუნმა ადამიანთა ენაზე ლაპარაკი დაიწყო. მივიდნენ მეცნიერები და უთხრეს: ადამიანთა წრეში გადმოსახლებულიყო და ადამიანურად ეცხოვრება. მაიმუნი ჩაფიქრდა და უარი განაცხადა შემოთავაზებულ დიდებაზედ.

მეცნიერებს გაუკვირდა თდა შეეკითხნენ: – რატომ ამბობთ უარს?

– „იმიტომ რომ, – უთხრა მაიმუნმა, – მე თქვენ ახლა წამიყვანთ, საბავშვო ბაგაში მატარებთ სამ წელიწადს, რომ ბავშვობაცა და მაიმუნობაც დავივიწყო, შემდეგ ბაღში მატარებთ კიდევ სამ წელიწადს, რომ მთლად დამავიწყდეს ჩემი წარმოშობა, შემდეგ სკოლაში მატარებთ თერთმეტ წელიწადს. შემდეგ კი უმაღლესში მომაწყობთ და დამამთავრებინეთ, ბოლოს კი სამსახურში მომაწყობთ უმაღლესი განათლების დიპლომით, თვეში მხოლოდ ერთხელ მომცემთ ფულს, რომელიც თხილის საყიდლადაც არ მეყოფა და იძულებული გახდები თავიდანვე დავიწყო მაიმუნობა. ამდენი ტანჯვა-წვალება რომ არ გავიარო, ვარ მაიმუნი და ღმერთი იწამეთ, დამტოვეთ მაიმუნად".

ზვიადაურს გაეღიმა, ბაგის გასწვრივ პეპელა გაუთამაშდა. შორენასაც გაეღიმა, მხოლოდ სარქისამ ისე გადაიხარხარა, რომ სიცილის მეტს ყველაფერს ჰგავდა. ქალმა დამტუქსავი თვალით გადახედა „საყვარელ მეუღლეს" და იმიასაც ისე შეეყინა სიცილი სახეზე, რომ დიდხანს ვერ მოახერხა ტუჩებით კბილების დაფარვა.

ქალისათვის ამ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია და ისევ ძველი, ხავერდოვანი ხმით განაგრძობდა საუბარს:

– დიახ, მე ძალიან ახლოს ვიყავი შმაგის ოჯახთანაც კი; მაგრამ, როდესაც დავინახე ჩვენ უნდა „გვემაიმუნა", გადავწყვიტე სიყვარული ფუფუნებაზე გამეცვალა და მეუღლედ სარქისა ავირჩიე.

ალბათ ასე ინება ღმერთმა რომ მომხდარიყო ჩვენი საქმე. მისი ნებისა და თანხმობის გარეშე ხომ არავითარი საქმე არ წყდება?

– ღმერთსაც გადაწვდა შენი „ბრძნული" აზროვნება? ოდნავ დამცინავი კილოთი ჰკითხა ქალს გამომძიებელმა.

– რატომაც არა! ღმერთი ხომ ჩვენი შემქნელია და მცირეოდენი განსჯის თემა ვიცოდეთ მშობლის შესახებ, რა გასაკვირია?

– გწამს ღმერთის არსებობა?

– მწამს და მერე როგორ, ღრმად ვარ დარწმუნებული იმის არსებობასა და ძლევამოსილებაში, მაგრამ სიყვარულით კი არ მიყვარს!

– ვიცი არ გვეყვარება, შენში ხომ სიყვარულის მცნება არ არსებობს, მაგრამ საინტერესოა, თუ გყვარებია ვინმე და თუ არის შემორჩენილი შენს გრძნობაში ვინმეს სიყვარული?

– კი მიყვარს: გველი და პრომეთე!

– ა? – თვალები გაუფართოვდა გამომძიებელს და ოდნავი დუმილის შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა – პირველ ადამიანს ვხედავ, მითუმეტეს ქალს, ვისაც გველი უყვარს.

ქალს გამარჯვებული ადამიანის იერით გაეღიმა. გამომძიებლის დაბნეულობას თვალი გაუსწორა და ოდნავი დამცინავი იერით წარმოთქვა:

– თქვენ ხომ კვალმაძიებელი ბრძანდებით, მოდით მართლმსაჯულების ენით ვილაპარაკოს და მე თქვენ დაგარწმუნებთ ყოველ კეთილსა და ბოროტში.

– განაგრძე, განაგრძე, მართლაც რომ საინტერესო და სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, გველის სიყვარულსა და ღმერთის სიძულვილს კი ზევით ღმერთი შეგინდობს.

– ეს ფრაზა „შეცდომას ღმერთი შეგინდობს" მღვდლებისაგან მოგონილი ცრუ მცნებაა! ღმერთი დანაშაულს არასოდეს არ შეგვინდობს, ვიმსჯელოთ საღვთო ისტორიით ე. ი. „ბიბლიით". ღმერთმა ადამი შექმნა თავისი მსგავსი, თავის შვილად და ხატებად, მიუჩინა ბინა ედემის ბაღში, მაგრამ ეშმაკმა აცდინა ადამიანი და აკრძალული ხილი შეაჭამა. განრისხდა ღმერთი და ადამიანი სამოთხიდან გამოაძევა. ამის შემდეგ ადამის მოდგმა ღმერთთან ლოცულობს, რომ მას შეცოდება ეპატიოს, მაგრამ ის პირველი შეცოდება, რომელიც უნებლიედ ჩაიდინა ჩვენმა დიდმ აწინაპარმა დღემდე ვერ უპატიებია ადამიანისათვის. მე მგონია თვით ღმერთი არის როგორც სიკეთის, ასევე ბოროტობის სათავე. ღმერთმა შექმნა როგორც ადამიანი, ასევე ედემის ბაღი, შიგ დარგო ხე „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა", თან აუკრძალა ადამის, რომ არ ესარგებლა ამ ხის ნაყოფით: – „ყოვლისა მის ხის სამოთხისა ნაყოფი სჭამოთ, ხოლო ხისგან მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ" – ისმის კითხვა: – თუ არავის უნდა ესარგებლა „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა" ხის ნაყოფით, მაშინ რისთვის დარგო ღმერთმა ეს ხე, როდესაც სამოთხის ბაღში ადამისა და ევას მეტი არავინ იყო?

– განაგრძეთ! – თქვა გამომძიებელმა – მე ბოლომდე თქმული სიმართლისა მწამს. ამიტომ თქვენს საუბარს არ გავაქარწყლებ ბოლო დასკვნამდე იმ მონაცემებით, რომელიც თქვენი საუბრის გასაბათილებლად მე გამაჩნია.

– ბესო ჟღენტის ენით ლაპარაკობთ! – ღიმილით შენიშნა ქალმა.

– ბესო ჟღენტის ენისა რა მოგახსენოთ, – ხმის აუმაღლებლად უპასუხა გამომძიებელმა, – მაგრამ თქვენი მსგავსი ადამიანებით სავსე სამყაროსაგან დაღლილი კაცის ენით კი გელაპარაკებით.

– იცი რას გთხოვ, ცხოვრებით დაღლილო გამომძიებელო!? როდესაც მე იმ სიყვარულის ხელით ცოცხალი აღარ ვიქნები, როდესაც თქვენ ასე აუფორიაქებიხართ და თქვენ მხოლოდ შემდეგ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში, ჩემს სადგომთან ქუდი მოწიწებით მოიხადეთ.

– მე თქვენ არ გამტყუნებთ, ისე როგორც არცერთ ბოროტმოქმედს, ის რაც მართებული არ არის ყველა ამქვეყნიური კეთილშობილების მიმართ, მართლებულია ბოროტმოქმედების მიმართ. თქვენ შეიძლება მცდარმა წინდახედულმა ნაბიჯმა კიდევ აგამაღლოთ, მაგრამ ჩვენ არა მართლმსაჯულების კანონით, არამდე ადამიანთა თვალით, როდესაც ვხედავთ ჩვენი მოძმის მწუხარებასა და ტანჯვას, გიჟი, ბრმა ან ლაჩარი უნდა იყო, რომ შეურიგდე ადამიანის მიერ ჩადენილ საქციელს, რომელიც გაკიცხვის ღირსია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ხათუნა დოლიძე

ოტია მესაფლავე

ოტიას ნამდვილი სახელი, აღარავის ახსოვდა. შუახნის ასაკს მიღწეულ მესაფლავეს, სოფელში დიდ-პატარა დევის ეძახდა!

მართლაცდა,დევივით უზარმაზარ და მუდამ დაღვრემილ პირისახიან ოტიასთან შეხვედრას, უბანში შეკრებილი მოზარდები, ძალიან უფრთხოდნენ!

საღამო ხანს, აგუზგუზებულ კოცონთან თავშეყრილი ახალგაზრდები, ათასგვარ საშიშ ისტორიას ჰყვებოდნენ და ამ გამოგონილი ამბების ნამდვილობა თავადაც სჯეროდათ.

– თურმე, კარგად რომ შეღამდება, სასაფლაოზე ავსულთა მფარველი ჰეკატე გამოჩნდება ჯოჯოხეთის კარიბჭის მცველ ქოფაკთა და ჯადოქართა თანხლებით! – ყვებოდა ამიკო, რომელსაც თანატოლები "მუცლითმეზღაპრეს" ეძახდნენ!

– არაერთხელ დაუნახავთ დევი, სულებთან ერთად, საფლავებზე გაშლილ სუფრასთან როგორ ილხენდა…

ამ რამდენიმე თვის წინ, დათიას გზად შემოღამებია თურმე და სასაფლაოს სიახლოვეს გავლისას, შემზარავი ხმები გაუგონია. გულგახეთქილს, სოფლისკენ მიმავალი აღმართი, სულ სირბილ-სირბილით ამოურბენია.

იმასაც ამბობენ, მესაფლავეს მიწის გათხრაშიც მოჩვენებები ეხმარებიანო! – მეტი სიმძაფრისთვის, თრთოლვა შერეული ხმით უმატებდა ანატოლი. კოცონის ირგვლივ შემომსხდარი ბავშვები, უეცრად, წარმოიდგენდნენ მესაფლავისა და ალქაჯების ღრეობის

სურათს და შიშისა და გაოცების გამომხატველი ოვაციები,ერთბაშად აღმოხდებოდათ ხოლმე!

…სოფლის შარაგზაზე მიმავალ, ბრგესა და ახოვან მესაფლავეს, შეკრებილი მოზარდების შემცბარი გამომეტყველების დანახვაზე, გული ტკივილით მოეწურებოდა. სევდიანი სახე, საავდროდ გამზადებულ ცასავით მოექუფრებოდა.

არადა, თანასოფლელები დიდი მოწიწებით ეგებებოდნენ – ყველა ეპატიჟებოდა და დასაჭაშნიკებლად, სახელდახელოდ გამოხდილ არაყსაც სთავაზობდა. დევი ეზოში არაფრით შევიდოდა, სასმელს ჭიშკართან გამოატანინებდა, ოჯახს დალოცავდა და გზას გაუყვებოდა...

დანტე ერთადერთი იყო მთელ სოფელში, რომელთანაც სიტყვაძუნწი და გულჩათხრობილი

მესაფლავე, საერთო ენას პოულობდა.

– დევი, წლებია რაც სოფელს ემსახურები. მძიმე შრომაში გართულს, სასაფლაოზე მრავალჯერ შემოგთენებია. ნუთუ, მოჩვენება ერთხელაც არ გინახავს?! – უკვე მეათასედ ეკითხებოდა იგი ოტიას.

– არანაირი მოჩვენება არ მინახავს!სასაფლაოზე ღამითაც და დღისითაც, სრული სიმშვიდეა. დამერწმუნე, იქ, განსაკუთრებული არაფერი ხდება!

პასუხობდა ღიმილით გამომცდელად მომზირალ მეგობარს ოტია.

– დევი, ძმაო შენ მთელი სოფლის იმედად ითვლები,თუმცა,გულახდილად გეტყვი,რომ მეტად უცნაური კაცი ხარ – ხალხში იშვიათად გაერევი, მთელ დღეებს სასაფლაოზე ხეტიალში ატარებ.უპატრონო საფლავების მოვლა და მიცვალებულებზე ზრუნვა დიდი

მადლია,მაგრამ ცოტაოდენი დრო ცოცხლებსაც უნდა დაუთმო! – საყვედურობდა მესაფლავეს დანტე.

– შენ ხომ მაინც იცი, ჩემს სულს რამხელა ტკივილი ამძიმებს. მართალია, ყველა პატივისცემით მეპყრობა, თუმცა, ვგრძნობ, რომ ჩემი დანახვისას ადამიანებს, გულს რაღაც გაუცნობიერებელი შიში უღრღნით...

ძალაუნებურად, სიკვდილზე ფიქრს იწყებენ და თავისი გარდაცვლილი ახლობლები ახსენდებათ. აბა, შენ თვითონ განსაჯე: ყველა ქელეხის სუფრაზე მეპატიჟება, ქორწილში

კი თითქმის არავინ – მესაფლავე ლხინის სუფრაზე არავის სჭირდება! არც გაემტყუნებათ დანტე,მე მათიც მესმის...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ყმაწვილი ვიყავი, თანასოფლელებმა სამოსახლოს გასათხრელად დახმარება რომ მთხოვეს... თანდათან ამ საქმეს ისე შევეჩვიე, რომ გარდაცვლილებზე პატივის მიგება და უკანასკნელ გზაზე გაცილება, სულიერ მოთხოვნილებად მექცა! ეს ჩემი არჩევანიცაა და ამავდროულად ჩემი ჯვარია, ჩემი სატარებელი გოლგოთაა!

ამ სიტყვების შემდეგ, დანტე მეგობარს ვეღარ ედავებოდა და ცდილობდა საუბარი სახალისო თემით შეეცვალა.

– დევი, ერთი ის გაიხსენე, ღამით სასაფლაოზე მუშაობისას, შიშისგან თმა რომ კინაღამ გაგითეთრდა. ამ სიტყვებზე დევის ჯმუხ, დარდიან სახეზე ღიმილი გადაურბენდა ხოლმე და მოყოლას ემოციურად იწყებდა: მახსოვს, მოხუცი მეწისქვილე გარდაიცვალა. ზამთრის პირი იყო, საშინლად ყინავდა. სამოსახლოს დილიდან მოყოლებული, გვიან ღამემდე ვთხრიდი.შუაღამისას, გათოშილმა გასათბობად სახლში გადავირბინე, ცოტაოდენი არაყი გადავკარი და ისევ სასაფლაოსკენ გავეშურე. გზად მიმავალს რაღაც უცნაური ხმები შემომესმა, თუმცა, ამისთვის თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია. წერაქვს ხელი დავავლე და ის-ის იყო დაწყებული საქმე უნდა გამეგრძელებინა,რომ შემზარავი ყვირილი გაისმა. გათხრილი ორმოდან, ვიღაც გიჟივით ამოხტა.

მოულოდნელობისაგან, წერაქვი ხელიდან გამივარდა. მთელ სხეულში ცახცახი დამაწ-ყებინა. ეს ჭაღარა სწორედ მაგ დღის შემდეგ გამიჩნდა!

– წლებია ამ საქმეზე ვმუშაობ და ამასაც მოვესწარი,მიცვალებული გამომეცხადა თქო! – ვლუღლუღებდი ჩემთვის დაზაფრული.სინამდვილეში კი, თურმე, მეზობელი სოფლიდან, ახალგაზრდა ბიჭი გადმოპარულიყო ახლადგანსვენებული, გაბოს საფლავის გასაძარცვად, რომელსაც უამრავი ოქრო და ძვირფასეულობა ჩააყოლეს.

ასე გვიან, სასაფლაოზე არავის ელოდა და იქეთ მიმავალი რომ დავუნახივარ, ორმოში ჩამალულა.

– ახალგაზრდა კაცი ასე რამ წაგახდინა, ეს ხომ საფლავის და მიცვალებულთა სულების წაბილწვაა თქო! – ვუყვირე განრისხებულმა, ხელები გადავუგრიხე და თოკით საფლავის რიკულებზე მივაბი. – ძალიან ვნანობ სიხარბემ ასეთი სამარცხვინო საქციელი რომ ჩამადენინა, ოღონდაც ახლა გამიშვი, ნუ გამცემ და გპირდები, დღეიდან პატიოსნად ვიცხოვრებო! – შემევედრა მუხლმოდრეკილმა.

თოკი შევხსენი, ვიცანი ვინც იყო, თუმცა, რადგან პირობა მივეცი,მისი ვინაობა დღემდე არავისთვის გამიმხელია. დანტესთან გულახდილი საუბარი, მესაფლავის დარდიან გულს დიდ შვებას ჰგვრიდა. იქედან წამოსული სახლის ნაცვლად, პირდაპირ სასაფლაოს მიაშურებდა და შეღამებამდე იქ ფუსფუსებდა. ყველა საფლავს ჩამოუვლიდა, სარეველასგან გაწმენდდა, დაასუფთავებდა და თან ხმადაბლა რაღაცას ჩურჩულებდა, თითქოს და გარდაცვლილთა სულებს ესაუბრებოდა და ეფერებოდა.

– ოჯახში გული არასდროს გიჩერდება. ნეტავი გამაგებინა, სასაფლაოზე რა დაგრჩენია,ან სხვისი საფლავების მოვლა-პატრონობა როდიდან გევალება? – ბრაზობდა ქმარზე განაწყენებული კესო.

სიტყვაწუნძი ოტია, თავს ჩაღუნავდა და კამათის ასარიდებლად,მეორე ოთახში გავიდოდა. უნდოდა, მეუღლისთვის გულახდილად ეთქვა, რომ სულის სიმშვიდეს სწორედ იქ,

გარდაცვლილთა შორის პოულობდა, რომ იმიერ საუფლოსთან, რაღაც უხილავი ძაფი აკავშირებდა და ცოცხალთა შორის, ამ ცოდვით დამძიმებულ წუთისოფელში, საკუთარ ადგილი ვერაფრით ენახა! თუმცა, მესაფლავემ ისიც იცოდა, რომ მეუღლე მის სიტყვებს ვერასდროს გაიგებდა. …ახალი წელი ახლოვდებოდა. ყველა, წინასაახალწლო სამზადისში იყო გართული. უეცრად, სოფელში მეხის გავარდნასავით გაისმა ჭაბუკი დანიელის ტრაგიკული გარდაცვალების ამბავი. საახალწლო სამზადისი გლოვამ ჩაანაცვლა.

ოტია მესაფლავე, ძლიერ თოვასა და ქარბუქში, მთელი დღე და ღამე მუშაობდა. სრულიად სველი და გათოშილი, სიღრმიდან ამოღებულ მიწას, ცრემლით ასველებდა. საშინელი ამინდის მიუხედავად, სამგლოვიარო პროცესია, სრული წესების დაცვით ჩატარდა. საფლავთან თავშეყრილი ახლობლები და ჭირისუფლები, ახალგაზრდა დანიელს, უკანასკნელად ემშვიდობებოდნენ. ის-ის იყო, დევიმ სასახლის ჩაშვება დაიწყო, რომ გამწარებული დედის-ძაძებში მოსილი მატრონას ხმამაღალი მოთქმა გაისმა:

– ეს რა სამართალია უფალო! ჩემს პირტიტველა დანიელს მიწას ოტია როგორ უნდა აყრიდეს?!

ამ სიტყვების გაგონებაზე ოტია, ადგილზე ჩაიკეცა.როცა ცოტათი მოსულიერდა, სახლისკენ მიმავალ გზას ბარბაც-ბარბაცით გაუყვა. იმ დღის შემდეგ, მესაფლავე სოფელში არავის დაუნახავს, სახლში ჩაიკეტა, ერთბაშად მოტყდა და მთასავით კაცი, დარდისგან გაილია… ვინ აღარ მიდიოდა ბოდიშის მოსახდელად,თუმცა, არავის ენახვებოდა, არავისთან საუბარი არ სურდა!

ოტია სასაფლაოზე, არც სააღდგომო დღეებში გამოჩენილა. დანტე მრავალი მცდელობის მიუხდავად, მეგობრის სანახავად სტუმრობას,მაინც ჯიუტად აგრძელებდა. იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, დევის სახლისკენ მიმავალ აღმართს გაუყვა. სასაფლაოსთან მიახლოებულს,

მოთქმა-გოდების ხმა შემოესმა. გაკვირვებულმა მიიხედა. კარგად რომ დააკვირდა, ოტია დაინახა, რომელიც დანიელის საფლავზე ჩამუხლულიყო და გულამომჯდარი ზლუქუნებდა.

– ამის შემხდვარე დანტეს, ცრემლები მოადგა: – იტირე მეგობარო,გული ამოირეცხე. შენი სუფთა და ალალ-მართალი ცრემლების ფასი, გარდაცვლილებმა უფრო იციან! – ჩაილაპარაკა დანტემ და მისი გამოჩენით შემცბარ მესაფლავეს, თანაგრძნობის ნიშნად მხარზე ხელი ჩამოჰკრა.

თენგიზ დარსანია

ოპტიმისტი

გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ. ეშაფოტზე რომ ამიყვანონ და მიბრძანონ, აღიარე, რომ აფხაზეთს საქართველო ვერასოდეს დაიბრუნებს და გადარჩებიო,მაშინაც ვიყვირებ – აფხაზეთი საქართველოა და დედის ძუძუს ჩვილის მოშორებას ჰგავს უაფხაზეთოდ საქართველო-მეთქი. ცოტნეს და ჟიულის მაგალითი მინდა გავიმეორო, მაჩაბელივით სიმღერით მოვკვდები, გმირებს მოვიგონებ და ვიყვირებ, – თქვენი დაღვრილი სისხლი არ დაიკარგება და ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს და მერე დავბრუნდებით იქ.

ზუსტად ამ გრძნობით გთავაზობთ კიდევ ერთ ლექსს.

,,მარადისობის კანონი''

1983 წელია. ჯარში ვმსახურობ ქ. ერევანში. ჯარის პირობებზე ბევრი თავისუფალი დრო მაქვს. ქალაქში აფიშა გამოჩნდა, რომ ერევანს 12 დღიანი გასტროლით რუსთაველის თეატრი ესტუმრა. თეატრის შენობა კი ჩვენი ნაწილის წინ არის, სადაც ყოველ საღამოს 8 საათზე იქნება სხვადასხვა სპექტაკლები.

ბილეთები არ იშოვება და აქვე ,,ჩავრთე მარიფათობა". ჯერ ჩემს უფროსს ავუხსენი ეს მდგომარეობა და ვთხოვე ყოველ საღამოს, 12 დღის განმავლობაში დაერთო ნება, დავსწრებოდი თეატრს. თვალის დაუხამხამებლად დამთანხმდა და მითხრა – ნოდარ დუმბაძის რომელიმე ნაწარმოებიდან სპექტაკლი თუ იქნა, მეც შემატყობინეო. [საქართველოში ნამსახურები ყოფილა 8 წელიწადი და გიჟდებოდა ქართველებზე].

გავიგე სად დაბინავდა დასი და მივადექი ერთ სასტუმროს.ბალკონებიდან ქართველების ხმა გავიგონე და ვთხოვე, ამოსვლა მინდა და ადმინისტრატორის ნახვა მეთქი.სიხარულით შემხვდნენ, როგორც ქართველს.

მოვუყევი ჩემი წუხილი, ბილეთების შესახებ. ამ საუბარში ბატონმა რამაზ ჩხიკვაძემ ჩამოიარა და გაჩერდა. სამხედრო ფორმიანი რომ დაინახა, იკითხა – რაშია საქმე??ომს ხომ არ გვიცხადებს ეს ყმაწვილიო.

უთხრეს, რაც ,,მიჭირდა" და შემომხედა.სადაურობა მკითხა .გამეცნო და ეს დიდი პატივი იყო ჩემთვის. მხრებზე ხელი მომხვია და მითხრა, ყოველ საღამოს ჩვენთან იქნებიო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა 12-ვე სპექტაკლის ,,აბონემენტი" ხელში მეჭირა.

პარტერში პირველ რიგზე ვიჯექი და ,,სინქრონული თარგმნის ყურთსასმენი" მომიტანეს. რა თქმა უნდა, არ ავიღე. და ამაყად ვუთხარი – ქართველი ვარ მეთქი.

მეორე თუ მესამე წარმოდგენაა. ჩემს უკან ყოველ საღამოს იაპონელი დედა~შვილი ზიან.

ანტრაქტის დროს მომიახლოვდა ეს იაპონელი გოგონა [ასე 25 წლის] და მკითხა რუსულად ,,ვი გრუზინ"?? ,,და" – ვუპასუხე. ,,ია ეტო სრაზუ პონიალა ..ვი ბეზ ნაუშნიკოვ, მოჟნო ვას ნა კოფე პრიგლასიტ??? და წამიყვანეს ბარში. დავჯექით,10 წუთი გვაქვს დრო.

ამ გოგომ ნოდარ დუმბაძის ყველა რომანი თუ მოთხრობა ჩამომითვალა და როცა ვპასუხობდი, რომ წაკითხული მქონდა ,გამომცდელად შემომხედა და მკითხა – ,,ა ზაკონ ვეჩნოსტი"???

გავწითლდი და როცა ვუთხარი, არ მაქვს წაკითხული მეთქი, მითხრა ,,ზნაჩიტ ვი ნე ზნაეტე ნოდარა დუმბაძე".

სპაქტაკლი რომ მორჩა ,გავიქეცი ფოსტაში და სასწრაფოდ შევუკვეთე ,გალში დამარეკინეთ მეთქი.

არასოდეს დამავიწყდება დედაჩემის შეშინებული ხმა ღამის 11 საათზე რომ ვრეკავდი.

დე, ნახე წიგნებთან აუცილებლად ნოდარ დუმბაძის ,,მარადისობის კანონი" მეთქი და თუ არ გავქვს, სადაც არ უნდა იყოს მიშოვე და ხვალვე ,,როსტოვ-ერევნის "მატარებლით გამომიგზავნე მეთქი.

ალბათ შეშინებული მამაჩემი იტყოდა მაშინ – ოფურინუანს თე კოჩია[აფრენს ეს კაციო].

მესამე დღეს ,,მარადისობის კანონი" ე.წ. ,,ტუმბოჩკაზე" მედო და ერთ ღამეში წავიკითხე.

ახლა მე დავპატიჟე ყავაზე იაპონელი დედა-შვილი და 15 წუთში მოვუყევი ,,მარადისობის კანონის" მოკლე შინაარსი.

არასოდეს დამავიწყდება იმ იაპონელს განცვიფრებული წვრილი თვალები როგორ ,,გაუფართოვდა" და მითხრა – ვოტ ვი უჟე ზნაეტე ნოდარა დუმბაძე ი ვ ეტომ ესტ ი მოია ზაბოტა".

დავემშვიდობეთ ერთმანეთს და თვალცრემლიანმა მითხრა – მე ბედნიერება არ მაკლია, მაგრამ უბედნიერესი ვიქნებოდი, ქართველი რომ ვყოფილიყავიო.

2022 წ.

ნელი საგინაძე

სიტყვაშეფიცულები

გვიანი შემოდგომა მომდგარიყო სოფელში.

დუხჭირის სუნი უდოდა ირგვლივ ყველაფერს.

დიდ სამამულო ომს ჩამოესვენა სოფლად და ყველას, იქ მცხოვრებ ახალგაზრდა ვაჟების, საბრძოლო ფრონტის ველისკენ გასტუმრებას ელოდებოდა.

– ხომ მალე დაბრუნდები ნიკო, ხომ მალე?!

– ძალიან ხომ არ დააგვიანებ ჩამოსვლასა, ბიჭო!

– ხომ იცი, მოხუცი მშობლებიც ჩვენს იმედზე არიან და მე, მარტო უშენოდ, როგორ მივხედავ ან იმათა, ან ამ ოთხ ბავშვსა.

– შემპირდი, რომ, ბევრს არ დააგვიანებ და ძალიან მალე დაგვიბრუნდები!

– კი, ჩემო თამარ,შენ არა იდარდო რა,მალეც ჩამოვალ და მშობლებსა და მოხუც მეზობელ – ნათესავებსაც მივხედავთ მე და შენ.

სიყვარულით ჩაიკრა გულიში ნიკომ თავისი თამარა და ხმადაბლა, ჩურჩულით უთხრა

– მე არასოდეს ტყუილს არ გეტყვი, ხომ გჯერა ჩემი!

– არაფრის შიში არ გქონდეს!

– მალე დამთავრდება ომი და აუცილებლად დავბრუნდები ჩემო კარგო!

თამარას თვალზე ცრემლი მოადგა.

– როგორ არ მჯერა ნიკო შენი, დამთავრდება, მაშ რას იზამს ეგ ტიალი და ყველა ამოვისუნთქებთ!

– მჯერა, მჯერა, როგორ არ მჯერა!

ამ ახალგაზრდა გოგონამ, პატარამ, მაგრამ უკვე ოთხი შვილის დედამ , თავის ქმარს თვალი თვალში გაუყარა და მეტად გაბედული, დამაჯერებელი და სიყვარულნარევი ტონით ასეთი სიტყვა შეაპარა.

– არც შენა გქონდეს არაფრის შიში ჩემო ნიკო, ჩემი მხრიდანა!

– მე სიტყვა შემოგფიცე და შენ შეგიძლია თამამად ენდო ჩემს ნათქვამს. – შენც ხომ მენდობი? – უთხრა ახალგაზრდა გოგომ ქმარს და თვალზე მომდგარი ტკივილნარევი ცრემლი ჩუმად, გულზე სევდა შემომდგარმა მეუღლის შეუმჩნევლად ჩაყლაპა.

– თვალდახუჭული გენდობი ჩემო თამარ, თვალდახუჭული!

უთხრა ნიკომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გულში ჩაიკრა მეუღლე.

ასე ერთმანეთის დაპირებებში და ბავშვების მომავალზე ფიქრში თეთრად გაატრეს ის ღამე ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა.

გათენებისას კი, წინანდლის სადგურზე ფრონტზე გასასვლელი ეშალონის მატარებლი საყვირის ხმას იძლეოდა.

ამ დღეს მთელი სოფელი გარეთ გამოშლილიყო და თავისი მკვიდრი, ახალგაზრდა მომავალი ვაჟკაცი თაობა ბრძოლის ველისკენ გაესტუმრებინა.

გვიანი შემოდგომის გრილი მზე მოსდგომოდა ხოდაშენს.

იქვე, უბნის სკამზე მარტოხელა ახალგაზრდა ქალებს, შვილები გამოეყვანათ გარეთ და თვითონაც მეუღლეებზე და ომის საჭირბოროტო საქმეებზე საუბრობდნენ.

დღეც უკვე საგრძნობლად შემოგრილებულიყო.

მზისვის მიეფიცხბინათ გული მიქელაანთ ფლორას, ჭოლოაანთ ელოს, ფრატინეაანთ მარუსას, მიქელაანთ თებროს, ხოხნიაანთ ქეთოს, ჩოდრიაანთ თამარას, წივილაანთ თებროს, და ბატიაანთ ტასიასა.

იქვე ეზოში მოფუსფუსე თამარა, რომ დაინახეს ქალებმა სახეზე ხელი აიფარეს, სინანულით თავები გააქნიეს და ძალაინ, ძალიან ამ ახალგაზრდა გოგოსადმი თანამგრძნობი სიტყვებით გადაულაპარაკეს ერთმანეთსა.

– რა ეშველება ამ ბეჩავსა ნეტავ?!

– ჩვენ ერთი და ორი შვილით დავრჩით, რაღაცას გავახერხებთ, მაგრამ, ამან ასაკითაც ასე პატარამ, ნეტავ რა უნდა ქნას და გააწყოს

– ოთხი შვილი აქეთ, მოხუცი მშობელ-ნათესავები იქეთ.

– ქალებო, რაღაც უნდა მოვახერხოთ. ყველა ერთმანეთს ვაჟკაცებივით დავუდგეთ მხარში და ერთად უნდა გავიტანოთ ამ გაჭირვების ჭაპანი.

– ერთად უნდა გავწიოთ ეს ოხერი წუთისოფელი ქმრების მოსვლამდინა.

ასე, ერთმანეთს ამშვიდებდნენ შუადღის მზის მყუდროზე გამოსული, უქმროდ დარჩენილი ახალგაზრდა ქალები და თან, თავიაანთ ასაკზე გაცილებით პატარა ასაკის თამარაზეც ფიქრობ-დნენ.

შემოდგომაც ნელა- ნელა მიილია.

სოფელში, ყველას ეზო-კართან, მშიერი მგელივით შემოპარულიყო მკაცრი და სუსხიანი ზამთარი. იდგა მოსახლეთა ეზო-კარებთანა და თოვლგადაუღებელი და გულზე ყინვაჩამოწოლი-ლი, არსადაც არ აპირებდა წასვლას ამ დუხჭირი სოფლის ცხოვრებიდან.

დედისერთა გოგონა ყოფილა თამარი.

ადრეულ პერიოდში ჩვენი წინაპრები, ცოტა ადრეულ ასაკში ათხოვებდნენ ქალიშვილებს და როგორც მაშინ იტყოდნენ, პატრონს აბარებდნენ.

მართას და ალექსის 15 წლის თამარი ქვემო ხოდაშნელ მშრომელ ბიჭისათვის ნიკოლოზ ახვერდაშვილისთვის მიუთხოვებიათ.

ყოფილა ჯვრისწერა, ბეჭდების გაცვლა, ქორწილი,საჩუქრები, ლამაზი ახალი კაბები და ბიჭის პერანგები, ეგრეთ წოდებული „საროჩკები“.

მოკლედ, სიხარული, სიყვარული და ბედნიერება ზეიმობდა ამ ახალგაზრდების გვერდით.

შეიქმნა ერთი ლამაზი ახალი ოჯახი და დაიბადა ოთხი შვილი. უფროსი აპოლონო, შემდეგ ვაჟა, ნანატრი ქალიშვილი და ნაბოლოვარა აკაკი.

ხალისიანი ცხოვრებით ცხობრობდა ნიკოს და თამარას ოჯახი.

მაგრამ ყველაზე დიდიმა საშინელებამ, ომმა დააშორა ეს ლამაზი წყვილი ერთმანეთს.

მოსდიოდა ფრონტიდან თამარას სამკუთხა წერილები.

პირველად ორლოვში დაჭრილა ნიკო და რეაბილიტაციის შემდეგ ,ისევ ომის წინა ხაზზე გაუგზავნიათ.

მის შემდე ცოტა არ იყოს წერილმა შეაგვიანა თურმე.

ბევრს ფიქრობდა და დარდობდა თამარა.

– ნეტა საითაა ის ბიჭი, მაცოდინა!

– ნეტავი ისევ ფრონტზე ხომ არ დააბრუნეს!

– ნეტავ კი რაიმე შემძლოს ღმერთო, რომ რითიმე მივეშველო ჩემს ნიკოსა!

ასეთი დარდიანი ფიქრებითა და მომავლის ოცნებებით ათენებდა და აღამებდა თამარა და ასე, გაილია ერთი, ორი, სამი.. წელი

ომი არ წყდებოდა.

ერთ დღეს თამარას ფოსტალიონმა დაუძახა და ნიკოს გამოგზავნილი სამკუთხა ბარათი გადასცა.

გული ისე აუჩქარდა ქალს სიხარულისგან, რომ ლამისაა გარეთ გადმოვარნაზეღა ჰქონდა.

– ვაიმე ნიკო, შენ გენაცვალე, ცოცხალი ყოფილხარ ბიჭო!

– მადლობა ღმერთო, გამოჩნდა!

შევიდა სახლში.

წერილს თბილი თითებით გულში იხუტებდა.

თვალიდან წამოსული ცრემლი, თავისდაუნებურად ლოყებზე უგორდებოდა და ცოტა ქვე-ვითაც, ყელის მხარეს სველ ხაზად რჩებოდა.

თამარა ცოტა დამშვიდდა.

ცრემლისგან აბუნდებული თვალები შეუმჩნევლად მოიწმინდა, გახსნა წერილი და დაიწყო კითხვა.

1943 წელი იყო.

ლენინგრადის ბლოკადიდან წერდა ნიკო ცოლსა.

პირველ რიგში, ნიკო მონატრებულ ცოლშვილს და მშობლებს კითხულობდა, არც ნათესავ-მეზობლების სახელების ჩამოწერა დაზარებოდა და ყველას სიყვარულით იხსენებდა და მოკითხვას უგზავნიდა. სულ ბოლოს კი მეუღლეს ებოდიშებოდა.

– თამარ ბოდიშს გიხდი, რომ ასე ძალიან დავაგვიანე ჩამოსვლა!

– მეც არ მეგონა თუ ომი ამდენი ხანი გასტანდა!

– თამარ იცი?! – ნემცებს ალყაში აქვთ მთელი ქალაქი მოქცეული. ხოცავენ ბავშვებსა და ქალებს.ამას როგორ მოვუთმენთ და ამას როგორ ვაპატიებთ. პროდუქტს სალდათებს თვითმფრინავიდან გვიყრიან. აქ ძალიან ცივა და ჭაობიანი ადგილებია.

– თამარ გენეცვალე გაუფრთხილდი შენ თავსა და ჩემს ჩამოსვლამდე ბალღებს მიმიხედე!

– მერე კი, რომ ჩამოვალ მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ!

ეს წერილი იყო და მის შემდეგ თამარას ეზოში ფოსტალიონს აღარ დაუძახია და აღარ შეუწუხებია ოჯახი სამკუთხა წერილების გადაცემით.

დამთავრდა ომიც.

სამამულო ომის გამარჯვების დღესასწაულად 9 მაისი დადგინდა.

მრავალმა ლამაზმა და გულაფეთქებულმა ვარდობისთვემ ჩაიარა სოფელში.

მრავალჯერ აყვავდნენ თამარას ეზოში ვარდებიც.

მაგრამ – არსაიდან ხმა!

თამარამ დახარა თავი და ოჯახსა და ბავშვებს გაუძღვა წინ.

არანაირი უცხო თვალები!

არანაირი გულის სხვისკენ გახედვა – გაპარება!

მისი ცხოვრების მიზანი შვილები, მოხუცი დედა და უპატრონოდ დარჩენილი ნათესავ --- მეზობლების გვერდით დგომა და ოჯახში პატიოსანი შრომით შეტანილი ლუკმა-პური იყო.

თავის თავთან მარტოდ დარჩენილს და ფიქრებად დაცლილს

ხშირად დასთენებია დილა თავზე.

– იქნებადა ცოცხალია?

– იქნებადა ტყვედ წაიყვანეს სადმე?!

– ღმერთო, იქნებადა სასწაული მოხდებოდეს და დამიბრუნდებოდეს – ხშირად, ძალიან შირად ასე ფიქრობდა თამარა!

იტყვიან, იმედი ბოლოს კვდებაო და უკვე ამდენ ჭირვარამ გამოცდილი დედაკაცი, მაინც იმედს ეკიდებოდა ხავსიან ქვაზე.

თავისი ნიკოს კვლავ დაბრუნების იმედი, გინდაც ამდენი წლის შემდეგ, ძალიან დიდ ძალას აძლევდა და მის გულს ასულდგმულებდა.

წლები ერთმანეთს მისდევდა.

შვილები დაეზარდნენ თამარას და ყველა დააბინავა კიდეც.

თამარას დედამ, ტკბილმა და კეთილმა უსინათლო მართა ბებომაც, მალე ზეციურ სამკვიდ-რებელში გადაინაცვალა.

კარგი შვილებით და შვილიშვილებით ხარობდა ცხოვრებისგან დაჩაგრული ქალი, მაგრამ უთქმელად მის თვალებში ხშირად წაიკითხავდით, რომ

სულიერი მარტოობა და დარდები გამხდარიყვნენ თამარას ცხოვრების მეგზურები.

დრომ, ნელა-ნელა თამარას ასაკზეც და სხეულზე დაიწყო გამეფება და ქალს ისე შეადგმევი-ნა კიდეც ხანდაზმულობაში ფეხი, რომ ამდენი ჯაფისაგან არც არა გაუგია რა.

დაიღალა, შრომაში გაცვდა მისი სხეული და, როდესაც სიბერემ ასაკის ზღურბლზე კარი შე-მოუხსნა და სნეულებამაც შეაწუხა იგრძნო, იგრძნო თამარამ ამ ქვეყნიდან გასვლის მოახლოვება.

სიცოცხლის ბოლო წუთებში, მხოლოდ თავისი ერთადერთი ქალიშვილი მიიხმო და გაანდო ის საიდუმლო, რომელიც მისი გულის მეტმა არავინ იცოდა, არც დედამ, არც შვილებმა, არც ნათე-სავმა და არც თავისმა ტოლმა მეგობარმაც კი.

უკვე ძლიერი სენისგან შეწუხებულმა ქალმა შვილს მიმართა.

– ანგელინ შვილო,აქა ხარ?!-- მოდი ერთი რაღაც უნდა გითხრა.

– რაო დედა, რამე ხომ არ გინდა?!

თამარამ შვილს ალერსიანი თვალი შეავლო და უთხრა.

– შენ ხომ იცი შვილო, ოთახში ტანსაცმლის სკივრი, რომ მიდგას.

– კი დედა, შენი ახალგაზრდობის დროინდელი სკივრი, როგორ არ ვიცი!

– ხოდა შვილო, მანდ სკივრში, ჩემი ტანსაცმლის ძირში ჩემი ქორწილის დღის, მამაშენის ნაყიდი „პერანგი“ მიდევს, მაგის ქვეშ კი მამაშენს ქორწილში, რომ „საროჩკა“ ეცვა ისა მაქვს შენახული.

– ეგ „პერანგი“ ჩამაცვი შვილო ზედ და „საროჩკ“ა კი გულით გამატანე!!

ოთახში გამაოგნებელი სიჩუმე ჩამოვარდა.

თამარამ ბოლო სიტყვები უთხრა ქალიშვილს.

– მე შვილო, პირნათელი, შეუბღალავი სინდისითა და მართალი თვალებით უნდა შევხვდე ჩემს ქმარსაო!

– ოცი წლის გოგომ სიტყვა შევფიცე და ისე გამოვიარე ცხოვრების ამხელა ჭირ-ვარამი, რომ ეს სიტყვა არ გამიტეხია!

გამოგიტყდებით ჩემო მკითხველებო და გეტყვით, რომ ეს ყველაფერი ნახა ჩემმა თვალებმა.

ნახა ეს, ამხელა დროის მანძილზე დაკონკილი ქალის ქორწილის“ პერანგი“ და უკვე, ამდენივე დროის ძაფებჩაწყვეტილი ახალგაზრდა ბიჭის „საროჩკა“, რომელიც უკვე ხანდაზმულ ბებოს, ღვთიური სიხარულით მიჰქონდა ყველასათვის ამოუცნობი ცათა სასუფევლისაკენ, ნიშნად ამ წუთისოფელში ახალგაზრდად დარჩენილი ქალის სინდისის შეუბღალაობისა.

გამოგიტყდებით და იმასაც გეტყვით, რომ ეს ქალბატონი იყო ჩემი დედის დედა-ჩემი თამარა ბებო!

ეს ის ისტორია და რეალობა გავაცოცხლე თქვენს წინაშე, როდესაც გაოცებულ-გაკვირვებული ვუყურებდი ყველაფერ ამას. ვიდექი და ვერ გამეგო, რა დამერქმია ბებოს ასეთი გრძნობისა და მოქმედებისთვის.

მაშინ, როდესაც ცრემლიც მდიოდა ტკბილი, ამაგიანი მოხუცის გამო, მტკიოდა კიდეც, მიხაროდა კიდეც,მეამაყებოდა კიდეც, მიკვირდა კიდეც და გაოცებულ- გაოგნებულს, ყელში ბურთგაჩრილივით და გულიდანა და თვალიდან ცრემლნაწვეთი ვითმენდი და ვუყურებდი ამ რეალურ სიტუაციას!

და რამდენი, ასეთი სუფთა სინდისის ბებოები ყავდა ამ სოფელსა და ქვეყანას!

და აი ისინიც, სულ დასაწყისში, უბანში პატარა შვილებთან ერთად, შემოდგომის მყუდრო მზეს, რომ ეფიცხებოდნენ გასათბობად და ბედუკუღმართი ცხოვრების გატანას ერთმანეთის გვერდით ვაჟკაცურად დგომით, რომ აპირებდნენ, არც ერთ მათგანს არ დაბრუნებიათ მეუღლეები ფრონტიდან.

მწარედ, მაგრამ იმედიანად გალეწეს ცხოვრების წლები და წუთისოფელს სუფთა სულით, თვალებითა და გულით დაემშვიდობნენ!

ასე ყოფილა, დუხჭირ და გაუსაძლის ყოფაში, ცხოვრება ქალსაც კი თურმე დედაკაცად აქცევს.

დიახ, კაცის მოვალეობასაც მხრებზე ადგავს და ასე აზიდინებს ცხოვრების ჭაპანს გაუსაძლის წუთისოფელში.

ამ ყველაფრის ზიდვა კი, იმ დროიდან დღემდე თურმე შესძლების ქართველ ქალს!

შესძლებია კი არა, მეტიც!!!

დარეჯან ფერაძე

პროფესიით ჟურნალისტი დარეჯან ფერაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ბაღდათში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციებზე, წლების მანძილზე კი რაიონული გაზეთის რედაქტორად. ახლა ამერიკაშია და მისი ცხოვრების მთავარი ძალა და მოტივაცია მისი ორი კარგი შვილია თედო და ირაკლი ჟვანიები. თედოც ამერიკაშია და ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შოუბიზნესის და ხელოვნების თანამედროვ ტექნოლოგიების ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენდია. ირაკლი ექიმი მეანგინეკოლოგია, მუშაობს თბილისის ონკოლოგიურ ცენტრსა და სამშობიარო სახლში „ემბრიო“...

მზისგულა და ნიჭიერი ქალბატონი წერს ლექსებს და ნოველებს... თეთრ ფურცლებზე დახვავებული სტრიქონები ემიგრანტულ სევდიან ყოფას, სამშობლოს ნოსტალგიას უიოლებენ...

თოკზე გაფენილი ბავშვობა

დრო მიჰქრის...

მიჰქრის კოსმოსური სიჩქარით და ღვთისგან ბოძებული სიცოცხლის წლები ისე მადნება უცხო მიწაზე, როგორც თოვისას, ხელისგულზე დაცემული თოვლის ფიფქი. ჩემი ცხოვრების ნახევარიც გავლიე თითქმის, ლხინიც და ჭირიც ჩემი წილი ვიგემე კიდეც,მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდები დაღმართის ბოლოს, მით უფრო ჯიუტად ვებღაუჭები ბავშვობის მოგონებებს. თავად ცხოვრებაა ასე მოწყობილი, სიცოცხლის მანძილზე, უფალი განსაცდელებთან ერთად გვიგზავნის პაარპატარა დღესასწაულებს, რომ შემდეგ ლამაზ მოგონებებად ავკინძოთ და სიბერის ჟამს, მწუხრისას ან მარტოობისას, ჩვენივე თავში ნავსაყუდელი ვპოვოთ.

სადაც არ უნდა ვიყო და რასაც არ უნდა ვაკეთებდე, სიზმარში თუ ცხადში, ფიქრებით სულ იქ ვარ, ჩემი მშობლიური იმერეთის ერთი ულამაზესი სოფლის, ყვავილებითა და ხეხილის ხეებით სავსე, ადესის ტალავრით გადახურულ ეზოში, მუდმივად ვგრძნობ ვარდებისა და ვაზის ყვავილობის სურნელს, ჭიშკრის შეღებისთანავე ცხვირში რომ მიღიტინებდა და მსგავსი არსად, აღარასოდეს მიგვრძვნია.

ჭიშკარს შევაღებ თუ არა,დედას ვეძებ და ვეძახი, ჩანთას იქვე მივაგდებ

საქანელაზე და ველოდები,ვენახიდან გამოსული როდის მიპასუხებს – მოხვედი შვილო? მერე კი ცხელი კეცებიდან ნეშოიან მჭადებს „აყრის“ გაგრილებას არც ვაცდი და უგემრიელეს ყველთან ერთად ისე ვილუკმები, ვერც ვგრძნობ როგორ მეთუთქება პირი, დედაჩემი კი ძველებურად მსაყვედურობს, ნეტა დაჯდე და ისე ჭამო,სულ გადარბენაზე როგორ უნდა იყოო...

რა ბედნიერებაა, როცა დედა სახლში გხვდება,როცა მშობლების ფრთებქვეშ ხარ შეყუჟული და ჯერ კიდევ არ იცი ,რა მძიმეა წუთისოფლის ბორბლის ტრიალი...

მაშინ რა ვიცოდი, რომ გავიდოდა წლები და ის რუტინული,ყოველდღიური ერთფეროვნებით დატვირთული სოფლის დღეები, სანატრელ მოგონებად იქცეოდა,რომ ჩემი სამშობლო ამ ეზოდან იწყებოდა, რომ ჩემი წილი სამყაროს საწყისიც ეგ იყო და ბედისწერისგან ოკეანის იქით გადასროლილს, იქედან წამოღებული დღეების სითბო, მთელი ცხოვრების საგზლად გამყვებოდა.

....

ზაფხულში ჩვენი სახლი სანატორიუმს ემსგავსებოდა,სტუმრები და ,,დაჩნიკები,, (დასასვენებლად ჩამოსული ქალაქელი ნათესავები) არ გვაკლდა. ისედაც დიდი ოჯახი გვქონდა და ხანდახან საწოლები რომ აღარ გვყოფნიდა,ლეიბებს პირდაპირ იატაკზე გავყრიდით და სტუმარმასპინძლის ბავშვები, ყველანი ერთად ვკოტრიალობდით. გვიანობამდე ისმოდა ჩვენი სიცილ-კისკისი და როდის-როდის ჩაძინებულებს,დილით ადგომა გვეზარებოდა.

„სახლი-სანატორიუმის“ სიყვარულისა და ჩვენსკენ სწრაფვის საიდუმლოს, პირველი რიგში დედაჩემის ხელგაშლილობა და სტუმართმოყვარეობა, მერე კი მდინარე ხანისწყალი განაპირობებდა, რომელიც ეზოდან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო (არის) და ჩვენთვის წარმოადგენდა:

– საზაფხულო არდადაგების თავგადასავლებს;

– გასართობ ცენტრს;

– „პლიაჟს“ სადაც მშვენივრად ირუჯებოდი;

– ჩამოსულ და ადგილობრივ, წვერულვაშშეღინღლულ ყმაწვილებსა და მკერდდამჩნეულ გოგოებს შორის შეფარულ-შეპარებული თვალების ციმციმის, ფლირტაობისა და კუპიდონის ისრების ტყორცნის საიმედო ადგილს;

– მეზობლის ყანებში მოპარულ (ძირითადად მამაჩემის ყანა ზარალდებოდა) და ნაკვერცხალზე შემწვარი ჭყინტი სიმინდის დაუვიწყარ სურნელს;

– გზადაგზა ხელს გამოყოლებული საადრეო ყურძნის,თხილის,ლოყაწითელა ვაშლების, ალუჩის, ტყემლისა თუ მაყვლის შეუდარებელ გემოს;

– დილის რიჟრაჟზე, უზარმაზარი ზარის შემოკვრით სოფლის დაფეთებას და ჭალაში სავარჯიშოდ თავმოყრილი გოგო-ბიჭების მხიარულ ყიჟინას.

– სოფლის კლუბებში, ინდური ფილმების ყურებისას მოსმენილი ჭორების და თვალმოკრული „ახალი ამბების“ განხილვის ადგილს.

– და ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენი ამბავი იყო...

ამიტომაც,ჩემი ბავშვობის მოგონებების უმრავლესობა მდინარე ხანისწყალს უკავშირდება, რომელიც სათავეს მაღალმთიანი სოფლის, ხანის მთებში იღებს, მოედინება ხან წყნარი, ხანაც აზვირთებული, გზადაგზა იერთებს პატარა ნაკადულებსა და მდინარეებს, ჩაუყვება ბაღდათის დაბასა და სოფლებს და ვარციხეში, მდინარე რიონთან შეუღლებული, გზას შავი, ზღვისაკენ აგრძელებს.

სოფლების, ფერსათისა და დიმის გზაგასაყარზე კი,სწორედ იმ კლდეს ეჯახებოდა და საცურაო მორევს ქმნიდა, რომლის თავზეც ჩვენი სიმინდის ყანა მწვანედ ბიბინებდა.

ჭიშკრიდან ორღობის ბოლომდე ორასი ნაბიჯი (დათვლილი გვქონდა) და... ცენტრალურ ქუჩას ელვის სისწრაფით გადავჭრიდით, სიმინდის ყანის შუაგულში უკვე გათელილ სიმინდებს გადავუვლიდით, ყანის ბოლოს, მარჯვნივ, ტყემლებთან ჩავუხვევდით და საცალფეხო ბილიკს დავადგებოდით ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა და დინჯად,რადგან ისეთი ვიწრო და დამრეცი იყო,უნებლიე შეცდომა და ეკლიან ძეძვნარში ამოყოფდი თავს.

ყველა დღე მდინარით იწყებოდა და მთავრდებოდა, თუმცა დედაჩემის მკაცრ წესებს ვემორჩილებოდით, ჩვენს ჭკუაზე და „უპრაკონოდ“ ფეხსაც ვერ გადავადგამდით. ეზოში ერთი ნაძვის ხე გვედგა, სიმაღლით სახლს აცილებული, ვიდრე იმ ხის კენწეროს ჩრდილი ჭიშკარს დაეცემოდა, ჩვენს მიერ შესასრულებელი საქმე უნდა მოგვესწრო, უფრო სწორად, უფროსებს უნდა მივხმარებოდით... ვინ ჭურჭელს რეცხავდა,სახლსა და ეზოს გვიდა, სადილ-ვახშმისთვის თუ რამე მოსაკრეფი და ამოსატანი იყო ვენახიდან, ეგეც უნდა დაგვეკრიფა და რაც მთავარია, ჩვენი წიგნებიდან რამდენიმე ფურცელი უნდა წაგვეკითხა, რომ მუდამ საქმეში გართული დედასთვის დროდადრო შინაარსი მოგვეთხრო.

დედას დრო გამოთვლილი ჰქონდა, იმ ხის ჩრდილი მდინარის ნაპირზე ჩამომდგარ ჩრდილსაც მოასწავებდა, სადაც მას შეეძლო მშვიდად მჯდარიყო,სარეცხიც ერეცხა და ჩვენც თვალსაწიერში ვყოლოდით.

მდინარეზე სარეცხის რეცხვა კი ერთგვარი რიტუალი იყო.

დიდხანს არ ჰქონდა სოფელს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა, ჭის გაჭრა და ამოშენება კი არც იოლი და არც იაფი ფუფუნება იყო, ამიტომ სამეზობლო ჭის წყალს მოვიხმარდით და ვისაც უცხოვრია ასეთ ადგილზე, ის მიხვდება, რატომ იყო სოფლის ქალებისთვის ზაფხული და მდინარე სამოთხის ტოლფასი, თანაც თუ მდინარესთან ახლოს ცხოვრობდი.

როცა სტუმრების ნაკადი შეიცვლებოდა, ან თეთრეულის შეცვლის დრო დადგებოდა, გამოვყრიდით საბნებსა და ლეიბებს მზის გულზე, გადავინაწილებდით სარეცხს სიმძიმის მიხედვით,მე და ჩემს ძმას დიდ სახარშ ქვაბს მოგვაჩეჩებდა ხელში დედაჩემი და ასე ,,ტაშტ-ლახანკებით,, დატვირთულები ჩავუყვებოდით დაღმართს ფერაძეების მორევისაკენ.,

უფროსებს არ ველოდებოდით, ჩავივაკებდით თუ არა,სირბილით მივიტანდით ,დავყრიდით ნაპირზე სარეცხს და

მცხუნვარე მზისაგან სულშეხუთულები ,დგაფადგუფით ჩავცვივდებოდით წყალში.გულს ვიჯერებდით ცურვით, გავგრილდებოდით,ამასობაში დედაჩემი დაავსებდა ტაშტებს წყლით, ააქაფებდა სარეცხის ფხვნილს და დასალბობად ჩაყრიდა თეთრეულს, ჩვენ ჩამოვუვლიდით სანაპიროს,

შევაგროვებდით წყლისგან გამორიყულ ფიჩხს და შეშას, ჩემი ძმა, რიყის მაღალი, ბრტყელი ქვებისგან ქვაბის შემოსადგმელს გააკეთებდა, ქვაბს წყლით ავავსებდით, ცეცხლს დავაგუზგუზებდით და დედა აქაფქაფებულ საპნიან მდუღარეში, პირველჭუჭყგაცლილ სარეცხს ჩაყრიდა. მერე ქვაბს აღარ გაგვაკარებდა, ემანდ მდუღარე არ გადაისხათო...

თვითონ ისევ ჩამოჯდებოდა ნაპირზე და ვიდრე ქვაბი თუხთუხებდა, შავი სარეცხის რეცხვას იწყებდა, დროდადრო ქვაბს დახედავდა, ხის ორკაპით სარეცხს ამოატრიალებდა და რომ დარწმუნდებოდა, საკმარისი იყო, ოხშივარავარდნილ თეთრეულს, ისევ ტაშტებში გადატანილს, შევაცურებდით მდინარეში.

ახლა ისე უნდა გაგვევლო ეს სარეცხი მდინარეში,რომ წყლისგან ხავსმოდებულ ქვებს მასზე კვალი არ დაეტოვა, ამიტომ ყველა ერთმანეთს ვეხმარებოდით, საცუროად ჩამოსული უბნის ბავშვებიც ხელს წაგვიკრავდნენ, ვინ ხელით, ვინ ფეხით, ვინ იქვე ნაპოვნი „ჟესტის“ ნაგლეჯით ქვებს მივწევ-მოვწევდით,სილასა და ღორღს ამოვიღებდით იმ ადგილზე, სადაც ჩქერი კარგად ურტყამდა და საკმაო სიგრძისა და სიგანის ორმოს გავაკეთებდით, მოვაგორებდით დიდ ქვებს, ჯებირივით შემოვუწყობდით ორმოს გარშემო, წყალი რომ კარგად დაგუბებულიყო, რამდენიმე წუთი დავიცდიდით, რომ გამდინარე ტალღებს ყველაფერი გადაერეცხა და როცა წყალი გაკამკამდებოდა, ვიწყებდით სარეცხისა და საპნის ერთმანეთისგან დაცილებას.ვიდექით დედასთან ერთად შუა გუბეში და ვავლებდით. მდინარეს სწრაფად მიჰქონდა ქაფი და ვიდრე ბოლომდე არ შევიგრძნობდით სისუფთავის სურნელს, ვატყაპუნებდით სარეცხს წყლის ზედაპირზე რაც ძალი და ღონე გვქონდა. ბოლოს ამ გაფითქინებულ თეთრეულს, ლილისა (ლურჯი სითხე იყო, ზოგჯერ ფხვნილიც, რომელიც თეთრეულს საუცხოო ცისფერს აძლევდა) და პურის ფქვილისგან მოდუღებულ ფაფის წყალგარეულ ნაზავში გავავლებდით,გავახამებდით და დავწურავდით. სველი სარეცხის ბეკზე (აღმართი)ატანით წელი რომ არ ჩაგვეწყვიტა, დედაჩემი იქვე, ჭალაში, თუთის ხეებს შორის თოკებს გააბამდა, ამ გაქათქათებულ სარეცხს გააფენდა და მდინარიდან მონაბერ ნიავსა და ცრათვალა მზეს უტოვებდა საალერსოდ, ჩვენ კი წამოღებული საგზლით წავიხემსებდით, ისევ მდინარეში გადავეშვებოდით და გალურჯებამდე ვცურავდით.

ზეწრები კი პეპლებივით ფარფატებდა, ნიავჩაყლაპული „ჩიხოლები“ მუცლებს დაიბერავდა და თითქოს აწყვეტას ლამობდა... კრიალა ცის ,კაშკაშა მზისა და ჭალის ხასხასა სიმწვანის ფონზე თავი ზღაპარში მეგონა და უსაზღვრო იყო ჩემი ბავშვური ფანტაზია.

ამასობაში ნაპირს ჩრდილი ემატებოდა და სარეცხით დატვირთული, საოჯახო საქმემოლეული მეზობლის ქალებიც გვიერთდებოდნენ ბავშვებით, სტუმრებით, ამბებით...

ყველას თავისი ადგილი ჰქონდა, თავისი ქვის სკამი...

საგულდაგულოდ ჩაიკეცავდნენ კაბა- სარაფნებს, მოიქცევდნენ ტაშტებს ფეხებშუა და ხელის რიტმული მოძრაობით ირეცხებოდა თეთრი თუ შავი, ფერადი თუ ჭრელა-ჭრულა და პარალელურად, უწყვეტ რეჟიმში იწყებოდა საინფორმაციო ამბები „რაიონისა და უბნის ჭორები“

აი, იქ იყო თუ იყო...

ცურვისგან დაღლილები,ქვებზე ჩამოვსხდებოდით და ყურს ვუგდებდით ქვეყნისა და სოფლის ჭორ-მართალს .სულ ზეპირად იცოდნენ :

ვინ-სად-როდის-როგორ -?!

ახალი ჩამოსულები და უცხოები შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ,გენეალოგიას წერტილდასმულად გამოარკვევდნენ.

დროდადრო მეორე ნაპირზე გადასულ ქმრებს გასძახებდნენ,ვინმესკენ თვალი არ გაექცეთო, თავს შეახსენებდნენ...

აქა-იქ ერთმანეთსაც გაკენწლავდნენ, იუმორში შეაპარებდნენ დაგროვილ წყენას,გასაჭორს გაჭორავდნენ,მოსაწონს შეაქებდნენ...

გვყავდნენ ენამოსწრებული, ცხოვრებისგან გამობრძმედილი დეიდა-ბიცოლები,რომლებიც ბილწსიტყვაობასაც არ ერიდებოდნენ ხოლმე და მაშინ უნდა გენახათ მათი სიცილ-ტკვარცალი...

ჩადგებოდნენ ქალები მორიგეობით იმ ჩვენს გუბეში მუხლებზევით აწეული კაბებით,ახლა ისინი ავლებდნენ სარეცხს და ნაჯაფ-ნაშრომ მხარმკლავებსა და სახეებზე მარგალიტებივით ედებოდათ ხანისწყლის შხეფები... იქ მაშინ

სულ სხვა სითბო და სიყვარული ტრიალებდა,მეგობრობაც და მეზობლობაც გამორჩეულად იცოდნენ, ლხინიც და ჭირიც საზიარო ჰქონდათ...

მოსაღამოვდებოდა, მზეც კლდის თავზე, დასავლეთისკენ, ხის ტოტებში გაიჩხირებოდა. დავავსებდით ტაშტებს ახლა უკვე დარეცხილ-დამშრალი, ზოგიც სველი სარეცხით და ავუყვებოდით აღმართს, ჩვენ წინ მივდიოდით, უფროსები უკან მოგვყვებოდნენ, ვინიცობაა ფეხი დაგვცენოდა, დაგვიჭერდნენ.

შევიდოდით ეზოში და ახლა ის სველი სარეცხი უნდა მიგვებარებინა თოკებისთვის,არ იყო იოლი საქმე, ყველაფერი სიგრძისა და ფერების მიხედვით უნდა დაგვეკიდა, წესები აქაც მოქმედებდა, დაარღვევდი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა, ამიტომ ვემორჩილებოდით...

მდინარეზე დიდხანს ყოფნა და ცურვა ისე გვაშიებდა, სული ძლივს ამოგვქონდა სახლამდე, ამიტომ დედა ვახშმის გაწყობას იწყებდა და როცა ჩვენ-ჩვენ საქმეს მივაკეთებდით, სტუმარ-მასპინძლიანად მაგიდას შემოვუსხდებოდით და რაც არ უნდა უბრალო ვახშამი გვქონოდა,იმაზე გემრიელი არაფერი იყო.

ვახშმის შემდეგ, მამაჩემი, ყავისფრად დაბრაწული და დაკროლილი თხილით სავსე დიდ თასს, შინგამოხდილ არაყსა თუ მზეზე დამზადებულ ალუბლის ლიქიორს ჩამოდგამდა მაგიდაზე და იწყებოდა სიცილ-ხარხარისა და ტაშ-ფანდურის საღამოები.თქვენს ხმაურზე მაინც ვერ ვიძინებთო,გვიერთდებოდნენ მეზობლებიც და ჩვენი „სახლი-სანატორიუმიდან“ გვიან ღამემდე ისმოდა საყოველთაო ჟრიამული.

დამთავრდებოდა საზაფხულო არდადაგები, გაილალებოდნენ სტუმრები, მონატრების ცრემლებით და სოფლის ნობათით დატვირთულებს გააცილებდნენ ბებია-ბაბუები ქალაქელ შვილიშვილებს, დაიცლებოდა, ჩაწყნარდებოდა სოფელი...

შემოდგომა იწყებოდა....

ხვავიანი და ბარაქიანი შემოდგომა...

პირველ სექტემბემბერს ჩამოკრავდნენ სკოლის ზარებს და ჩვენც, მდინარეზე დარუჯულ-დაშავებულები შემოვუსხდებოდით მერხებს...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრჯერ შეეხეთქა იმ კლდეს აბობოქრებული ხანისწყალი და ჩვენი საყანე მიწების ნახევარიც შთანთქა, თაობებმაც ჩაანაცვლეს ერთმანეთი, წყლის პრობლემაც მოგვარდა და თანამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა სოფელსაც გაუადვილა ცხოვრება, მაგრამ მაინც მგონია, რომ კომპიუტერებსა და ტელეფონებში თავჩარგული დღევანდელი თაობა, მუდმივად ვირტუალურ სამყაროშია ჩაკეტილი და ის ლაღი, ადამიანური ურთიერთობები, მეგობრობისა და მეზობლობის სანიმუშო მოგონებები და ყველაფერი, რაც ჩვენ გავიარეთ, მათ ზღაპარი ჰგონიათ.

ჩემს მეხსიერებაში კი, ბაღდათი, სოფელ ფერსათის ის პატარა უბანი, მდინარე ხანისწყალი და დედაჩემის ხელით მორთულ-მოკაზმული ეზო, იმ თუთებს შორის გაფენილ, ჯადოსნურ, ბავშვურ მოგონებად დარჩა.

05.05 2020

აშშ. ნიუ იორკი

ნინო რეხვიაშვილი

ქართველი მზეწვია
(ჩანახატი)

უცხო მიწაზე ქართულად, ამაყად მხრებგაშლილი დააბიჯებს მოწიფული ქართველი მზეჭაბუკი და თითქოს სივრცე არ ყოფნის, რომ ფრთა გაშალოს, მიწა არ ყოფნის, რომ ტერფი მყარად დაადგას, ჟანგბადი არ ყოფნის, რომ ფილტვი ფართოდ გაშალოს, დადის და უცხო მზის სხივ ნაფერებ გულ-მკერდს ძალუმად უშვერს ამ ვეება მცხუნვარე ბურთს, იქნებ ისე გამათბოს, როგორც იქ, ჩვენებურმა მზემ იცისო, მაგრამ ამაოდ!.. რა არის სამშობლო?.. ეკითხება საკუთარ თავს, ნოდარ დუმბაძის არ იყოს, პასუხს ეძებს, მაგრამ თავში იმდენნაირი აზრი მოსდის, რომ პრიორიტეტის მინიჭება უჭირს.

ერთ სისხამ დილით, მშობლიური ქვეყნის მონატრებითა და ქართველური სიამაყით აღვსილი საჭეს მიუჯდა. იმ ქვეყნის, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდის ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაცია ვერ შეძლო და უცხოობაში, მოჩვენებითი სიამისთვის გაიმეტა. და აი, პირველი მგზავრიც. ლამაზი, მოხდენილი უცხოელი გოგონა უკანა სავარძელზე დაჯდა და მომღიმარი სახით შესცქერის მძღოლს, რომლის სილამაზეც მზეჭაბუკს წააგავს, მაღალი ქართული შუბლით, ფაფარ-აშლილი, ბაში-აჩუკის მსგავსი ვაჟკაცია. მოსწონს გოგონას. უეცრად, რაღაცის თქმას რომ აპირებდა, ნერწყვი გადასცდა და სპაზმური ხველა დაეწყო. - თქვენ წყალი უნდა დალიოთ, აქვე, ბენზინგასამართ სადგურზე გავაჩერებ, უთხრა ქართველმა ჯენტლმენმა და გაჩერებული მანქანიდან მკვირცხლად გადახტა, ხველისგან შეწუხებულმა გოგონამ მარცვალ-მარცვალ სიტყვებით მიაძახა: - არა, მე ვიყიდიო! ვაჟმა ამასობაში წყალი მოუტანა, ბოთლი გახსნა და გოგონას ჩვენებური, ქართული კრძალვით მიაწოდა. გოგონამ წყალი მოსვა, სული რომ მოითქვა, მადლობა მოუხადა და წყლის თანხა შესთავაზა. - არა, რას ბრძანებთ, უთხრა ქართველმა მზეწვიამ, მე ქართველი ვარ, ჩვენში ქალს განსაკუთრებულ პატივს სცემენ. გოგონამ თვალები დახარა, ხშირი და გრძელი წამწამები ცრემლით დაენამა და გაჩუმდა. ვაჟმა ქართული ხალხური სიმღერა ჩართო, - ეს ჩვენებური ჰანგებია, აქაც თავი მოიწონა და ამასობაში მარშრუტიც დასრულდა. გოგონამ მძღოლს მადლობა მოუხადა და წავიდა.

საღამო ხანია. სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი ქართველი შინ მეგობრებთან ერთად ისვენებს. მობილურ ტელეფონზე შეტყობინების ხმა გაისმა, - თქვენს ანგარიშზე 50 ზლოტი ჩაირიცხა, ქართველო! კითხულობს მზეწვია ჭაბუკი ტექსტის შინაარსს და ყველაფერს მიხვდა, ეს პოლონელი გოგონას მადლიერებით აღსავსე ჟესტი იყო! თავადაც ცრემლი მოერია. მეგობრებს იმ დღის ამბავი მოუყვა და დასძინა, აი, თურმე რატომ ატირდა გოგონა, თავი დაემართლა, ქმედება ეუცხოვა. არა და, ჩვენთვის ხომ ამაში უცხო და საკვირველი არაფერია?!

რამდენიმე დღის შემდეგ, ფიქრებში გართული მზეწვია ჭაბუკი ფეხით მიუყვება ვარშავის ქუჩებს. ქვეითად მოსიარულეთა ბილიკზე გადასვლისას გაჩერებული მანქანიდან ქართული სიმღერის ხმა მოესმა. გაოგნდა, ვიდრე გონს მოვიდა, შუქნიშანზე მწვანეც აინთო და ჭაბუკი დაძრულ მანქანას აედევნა, - ქართველოო, ქართველოოო! ქართველმა უმალვე მანქანა დაამუხრუჭა და მამლუქებად ქცეული საჯიშე ბიჭები ერთმანეთს ჩაეხუტნენ.

ასე დადის უცხო მიწაზე ქართველი მზეწვია ჭაბუკი და ყველგან თავის სამშობლოს ეძებს...

დედა-შვილის აღსასრული!..

2022 წლის 11 მარტი! უკრაინა. ქალაქი ირპენი! ირგვლივ გავეშებული სიკვდილი დაძრწის, ვის როდის მოცელავს არავინ იცის! ბომბების ხმასა და განგაშის სიგნალს შორის ქვიშის საათივით იცლება სიცოცხლის საწყაო. საშინლად ყინავს, გათბობის სისტემა მოშლილია, ელექტრო ენერგიაც აქა-იქ მიეწოდება ქალაქს. ღამე ხომ სინათლეს ვერ ანთებენ, მტერს სიცოცხლის ნიშანს განგებ ვერ მისცემენ, ისედაც აგნებთ ის ურჯულო, ერთმორწმუნეს რომ ეძახდნენ ადრე!

შუა ღამეა!..დუმს ყველა და ყველაფერი!.. იულიას თვალზე რული არ ეკარება. დრო და დრო თავის შეციებულ ცხრა წლის ბიჭუნას, ივანს დასცქერის, საბანს უსწორებს, შუბლზე კოცნის, თან სახეს ცრემლის ნაკადით უნამავს... - ნუ გეშინია დედიკო, ღმერთი არ დაგვტოვებს, შენ აუცილებლად ბედნიერი მომავალი გელის...დასჩურჩულებს თავს ბიჭუნას აცახცახებული დედა და ამ დროს ჭურვის გამაყრუებელი ხმა გაისმა!.. იულიამ შვილი გულში ჩაიხუტა და სიკვდილს კიდევ

ერთხელ ჩახედა თვალებში... ივანმა ტირილი დაიწყო... როცა ხმა მიწყნარდა, იულიამ ფანჯრიდან გაიხედა და რას ხედავს... მის წინ მდებარე კორპუსი მიწასთან არის გასწორებული!..

– ივანჩიკ, უნდა გავიქცეთ, აბა, ჩქარა, ჩქარა, დამეხმარე, ტანსაცმელი ჩემოდანში ჩავალაგოთ და სოფელში წავიდეთ, იქ შედარებით სიმშვიდეა. ივანი მთელი სისწრაფით ეხმარება დედას. იულიამ ტაქსი გამოიძახა, რომელმაც რის ვაი-ვაგლახით ადგილამდე მიაღწია. ის იყო, ჩანთებით დატვირთული დედა-შვილი სადარბაზოდან გამოვიდნენ, რომ ოკუპანტების ტანკმა ეზოში გაიგლიჯინა და გზად, მიზანმიმართულად უცოდველი დედა-შვილის სიცოცხლეც თან გაიყოლა!..იულია და ივანი ნაფლეთებად იქცნენ!.. მეზობლებმა მტარვალთა მსხვერპლნი კორპუსის ეზოში ერთმანეთთან ჩახუტებული დაკრძალეს. საფლავის გორაზე კი ფიცარი ჩაარჭვეს და ზედ სახელები ამოტვიფრეს! ფიცარი, რომელსაც როდის გადათელავს სისხლისმსმელი მტერი, არავინ იცის!..

ნინო რეხვიაშვილი

მიმწვარი კვახი

დღეს დილით კვახი მოვხარშე, ისე მოხდა, რომ საქმეს შევყევი და ცოტა მიმეწვა, სახლში სპეციფიკური სუნი დადგა, სუნი, რომელმაც არა კარის გაღებისა და სახლის განიავებისკენ, არამედ წარსულზე ფიქრისკენ მიბიძგა. როგორც დოსტოევსკი წერს: ,,...რაც წლები მემატება, მით უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ბავშვობის მოგონებები საუკეთესოა, რაც კი სიცოცხლეს შეუძლია მოგვცეს." მიყვარს დოსტოევსკი, მაგრამ ამ ფრაზების შემდეგ ერთიორად უფრო შემიყვარდა. ნახევარსაუკუნოვანი სიცოცხლის გადმოსახედიდან ჩემი ბავშვობა ოქროს ხანად მეჩვენება, ჩემი დიდებული მშობლები, დიდებულის დიდებული ბებიები და ბაბუა, რომელიც მუდამ ჩემს წარმატებებზე ფიქრობდა...ჰოდა, მიმწვარი კვახის სუნმა ჩემი ლამაზი ჭიორა გამახსენა, კოხტა სახლ- კარი და ,,ეზო- რიადაგი"...

ზამთრის არდადეგებზე მამა და დედა ოთხივე შვილებს მანქანაში ჩაგვსხამდნენ და სოფლისკენ მივიჩქაროდით, გზად,, იაუაო უაო, იაუაოს" მივიმღეროდით, ჩემს შუათანა დას, სოფოს მანქანის უკანა საქარე მინასთან წოლა უყვარდა, მშობლები ჩვენი ბედნიერებით ხარობდნენ. ჭიშკართან ბებია და ბაბუა გვეგებებოდნენ. იღვიძებდა კედელ- ყურე...დილა სხვადასხვა სასიამოვნო სურნელით თენდებოდა. ნინა ბებო გარიჟრაჟს ლოცვით ეგებებოდა, ღმერთო, ჩემ მონაგარს გაუმარჯვეო, მერე შეშის ღუმელში წვრილად დაჩეხილ ფიჭვის შეშებს ჯვარედინად დააწყობდა, კვარს ხელში ვერტიკალურად იჭერდა და ქვემოდან ცეცხლს უკიდებდა, შემდეგ აალებულ კვარის ნაჭერს ღუმელში, შეშებს შორის მოაქცევდა და ცეცხლის ენები უკვე რიკტაფელას თამაშში, ტკაცა-ტკუცის ხმებს გამოსცემდა. ნელ-ნელა ღღვებოდა ზამთრის ჭირხლმოკიდებული ფანჯრის მინები, სახლში ჯანსაღი, სიცოცხლის სურნელი ტრიალებდა, ამასობაში ბებო ცომს აკეთებდა, ყველის გულს ამზადებდა, შვილიშვილებისთვის დილაობით აუცილებლად ხაჭაპურები უნდა მოერთმია, თან ალადების გამოსაცხობად ემზადებოდა, ერთი ალუმინის ლიტრიანი ხელიანა დო ან შრატი, 2 კვერცხი, შაქარი, ფქვილი და ბებიას ოქროს ხელები... ,ფეჩუკას" მეორე მხარეს ღორების საუზმე იხარშებოდა, წვრილი კარტოფილი, რომელსაც ბებია საღორეს ეძახდა და წვრილად დაჩეხილი კვახი თუჯის, როგორც ბებია ამბობდა, ჩოინაში იხარშებოდა, კარტოფილი და კვახი რომ ჩაიხარშებოდა, ბებია ქატოს ურევდა, დიდი ხის საზელით პროდუქტს ერთგვაროვან მასად აქცევდა, მდუღარე წყალს ამატებდა და ბოსელში, ღორებთან ხელდამშვენებული მიდიოდა. აი, სწორედ ეს სუნი გამახსენა ჩემმა წყალდამშრალმა, მიმწვარმა კვახმა...

ჩემი უბანი

(წიგნიდან ,,მე და ჩემი ოჯახი")

ვსაუბრობთ მე და ფინჯანი ყავა... მდუმარედ მისმენს, ჩემს ბუტბუტში გული გაუგრილდა, მე კი ყურადღება ვეღარ მივაქციე და ფიქრებში გართულს მისი არსებობა დამავიწყდა.

***

ცაზე ვარსკვლავებს ქორწილი გაუმართავთ, სუსტი ნიავი ატოკებდა ალანდულ კენწეროებს, მერე მეც შემომკრავდა ალიყურს და მაფხიზლებდა, ვუძალიანდებოდი, რადგან ფიქრი, რომელიც ზღვასავით მომეძალა, იყო დიდხანს ნანატრი და სანუკვარი... გამოფხიზლება არ მინდოდა. ჩემი გონება ათეული წლების მიღმა დაძრწოდა, იმ დროს, როცა მე სულ რაღაც 6-7 წლის გოგონა ვიყავი და პატარა, კოპწია სოფელ ლაჩითაში ვცხოვრობდი. ლაჩითა რაიონის ცენტრს, ონს – მზის ქალაქს რომ ეძახიან, ზემოდან მედიდურად დასცქერის. ციცაბო, დაკიდებული გზით ძალიან მალე უკვე სოფლის შარას მიადგები, სადაც კარიბჭეს რაჭული სიდარბაისლით განთქმული რეზო და ასმათ ჩიკვილაძეების ოჯახი გვიღებს, ოჯახი, რომელსაც გამრჯე, მეურნე კაცის ხელი ატყვია. კოხტად მოვლილი ვენახი მიგაცილებს სახლმდე. სისუფთავე და წესრიგი თვალში საცემია. ამ

კერაზე აღიზარდნენ საამაყო ახალგაზრდები... ცრემლი მახრჩობს... ეს ჩემი მშობლიური ადგილის დედაა, სადაც ახალშობილი სამშობიარო სახლიდან პირდაპირ წამიყვანეს და აი, აქედან დაიწყო ჩემი სამყაროსთან შერწყმა. აქ ავიდგი ფეხი, აქ ავმეტყველდი, ამ გზებზე დავრბოდი ჩემ მეგობრებთან, ეკა და შორენა ჩიკვილაძეებთან ერთად, ხან დიდობანას ვთამაშობოდით, ხან მასწავლებლობანას, ხან ექიმობანას... ფიქრი გამექცა... სანამ სოფლისკენ მიმავალ გზას გავუყვებით ხელმარჯვნივ, გზის დაბლა ბლაშე წყალუკა გუბდება, „კრუშკით“ ვიღებდით და ასე ვავსებდით თიხის დოქებსა თუ პლასტმასის ჭურჭლებს.

ამ „წყალუკაზე“ გავიზარდე, სასმელად მთელი უბანი მას ვიყენებდით. ახლაც ყურში ჩამესმის მეზობლები რომ ამბობდნენ, `ბლაშუკაზე~ მივდივართო.

და აი, დავადექით გზას სოფლისკენ, სადაც მარჯვენა მხარეს გაშენებული აკაციის ხეები თითქოსდა ქედს გიხრიანო, გზისკენ გადმოზნექილნი თავის გამაბრუებელ სურნელს გატანენ საგზლად. ორ ნაბიჯზე უკვე ხელმარცხნივ შეუხვევ და ჩემი უბანია. ერთ დროს ახმაურებული, აჟრიამულებული უბანი. საღამოს ჭრიჭინობელების აკომპანიმენტის თანხლებით სანახშოზე თავს რომ ვიყრიდით და ახლანდელისგან განსხვავებით ბევრად სუფთა და ჯანსაღ თემებზე ვსაუბრობდით, უფრო სწორად, საუბრობდნენ, მე ხომ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. უბანში შესვლისთანავე სოფლის ბიბლიოთეკა მოგხვდებოდათ თვალში, ხის გრძელი „სახლი ბელეტაჟზე“... უამრავი კოხტად ჩამწკრივებული წიგნი, მიჯრით დალაგებული თაროები, მდიდარი და მოწესრიგებული კარტოთეკა, სუნი, რომელიც ახლაც მცემს, წიგნის მტვრის სასიამოვნო და დაუვიწყარი სურნელი. ბიბლიოთეკარი გულნაზი დეიდა (კობერიძე), დედიკოს ნათესავი, რომელიც შემდეგ ამ უბნის რძალი გახდა... ბიბლიოთეკის კედელზე მიჯაჭვული გრძელი ფიცრისგან გაკეთებული სკამი... გულნაზი დეიდას მუხლის თავებზე ნებივრობა, ყვითელი, ფუმფულა დათუნია და ყვითელივე ბაჩაჩები, რომელიც გულნაზიმ მიყიდა... დღესაც თვალწინ მიდგას. ახლა მარჯვნივ გავიხედოთ: - ჟორა ბიძია და დაშა ბიცოლა თავის დიდი და მრავალრიცხოვანი ოჯახით. დილაობით ჟორა ბიძიას „კოლხოზნიკის“ ხმა მთელ უბანს აღვიძებდა. იგი ძალიან თავშეკავებული, თბილი და სიტყვაძვირი კაცი იყო. სამაგიეროდ, დაშა ბიცოლა სათქმელს ხმამაღლა გამოხატავდა, მარილიანი სიტყვა-პასუხი ჰქონდა, ჩითის ხალათზე წინსაფრითა და ჭრელი თავსაფრით თავწაკრული მახსოვს სანახშოზე რომ გამოდიოდა. ხანდახან ლექსებსაც წერდა. მათ სამი შვილი გაზარდეს: თეზიკო, ზურიკო და ლეილა ერაძეები.

მახსოვს ფედოსია ბებია, ჟორა ბიძიას დედა და მისი შვილები ვალოდია და ნოდარ ერაძეები.

ახლა თამარა ბიცოლაზე გეტყვით ორიოდ სიტყვას; – იქვე, ერაძეების გვერდით ცხოვრობდა. სხვებისგან გამორჩეულ კილოზე საუბრობდა, თავს ხშირად იტკიებდა, თუ სადმე წამლის სახელს გაიგონებდა, ყველას ეუბნებოდა, – უიმე, მომეცი ბეჩა, მეც უნდა დავლიოო. ახლა მისი მეუღლე, ნიკალა ბაბუა მინდა გავიხსენო: – კარგი კაცი იყო, ძალიან ვუყვარდი, წიპტა-წიპტას მეძახდა. თამარის და ნიკალას ოჯახში სამი ბიჭი გაიზარდა: თენგიზი, თამაზი და ავთო (ატია) ჩიკვილაძეები.

ბუნდოვნად მახსოვს თებრონია ბებია, ნიკალა ბაბუას დედა. სამაგიეროდ, არ მავიწყდება ნიკალა ბაბუას უმცროსი ძმა გივი, რომელსაც სოფელში ზარალას ეძახდნენ, მისი მეუღლე მარო ბიცოლა, შვილები: ვოვა, ია, იური ჩიკვილაძეები. ზარალა მამას მეგობარი იყო.

...მაშიკო, უბნის კოლორიტი, ერთი უშვილო ქალი გახლდათ, თალხითა და ძონძებით მოსილი. ისეთი სუნი ასდიოდა, გვერდით ვერ მიუჯდებოდი. ... წარმოიდგინეთ ბავშვური ახირება... უსაზღვროდ მიყვარდა, საჭმელს მხოლოდ მის გვერდით ვჭამდი, დედა ერთ მათლაფას გამივსებდა და მაშიკოსთან მივდიოდით, ოღონდაც ჭამოს და რას დავეძებო.

და აი, მივადექი ადგილს, რომელიც დღემდე სისხლს მიჩქროლებს და ჩემი სული მპყრობელია... კაკო ბაბუა! ქეთო ბებო! ჩვენი სახლები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო... მოკლედ, ჩვენ ხომ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით. ჩემი ღვიძლი ბაბუა სევარა და არანაკლებ მასზე ღვიძლი კაკო ბაბუა ერთმანეთის მიჯრით დასახლებულან. იმ დროს ამაზე ვინ იფიქრებდა, მაგრამ „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“, ისე გამოვიდა! როცა სევარა ბაბუა მეორე მსოფლიო ომიდან დაჭრილი ჩამოვიდა, დიდხანს ვეღარ იცოცხლა და ოჯახზე მზრუნველობა მისმა ბიძაშვილმა, კაკომ ითავა. ამ დროს შურა ბებია ძალიან ახალგაზრდა იყო, დედამთილთან, ოლღასთან ერთად ცხოვრობდა დ ორი თვის ობოლს ზრდიდა. ახალგაზრდა ქვრივმა სინდის-პატიოსნების მანდილით იარა და მაზლის ოჯახის დახმარებით გოგონა წამოზარდა, ფეხზე დააყენა. მხოლოდ შვილის თვალებით ხედავდა სამყაროს. ცოტა უცნაური სახელი დაარქვეს – ლაური. ახლა ვნანობ, როცა პასუხის გამცემი აღარავინ მყავს, ნეტა საიდან მოიგონეს ლა-უ-რი! კაკო ბაბუა და ქეთო ბებო პატარა, ობოლ გოგონას მზრუნველობას არ აკლებდნენ, მაგრამ ბებიას ხომ თავის პასუხისმგებლობა ჰქონდა? საწყალი ქალი ვენახსა და ბოსტანში თავჩარგული შრომობდა. სოფლის სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა და შვილს შეძლებისდაგვარად არაფერს აკლებდა. მახსოვს

ბებიას მონათხრობი, თუ როგორ ისტუმრებდა დედას გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში სასწავლებლად. დედა დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა, დაწყებითი კლასების სპეციალობით. ერთი თვე სესიებზე ყოფნა უწევდა. რა უნდა ექნა ბებოს, ქალიშვილისთვის ცალკე ბინის ქირის გადასახადი უნდა შეეგროვებინა და ცოტაც საჭმლის ფულიც უნდა გაეტნია.

- ბებო, სესიებზე წასასვლელად მეც კარგი სტუდენტივით ვემზადებოდი, ერთ კალათა კვერცხებს ვაგროვებდი, 2-3 დედალს წავიღებდი ბაზარში და დედაშენს ამ ფულით ვუშვებდი სასწავლებლადო.

გარდა ამისა, დედაც ძალიან ხელმარჯვე გოგონა იყო. ჭრა-კერვა ეხერხებოდა, ახალზე რა მოგახსენოთ, მაგრამ თავის და ბებოს ძველ კაბებს მოაგროვებდა, დაჭრიდა, გადააკეთებდა, გადმოაკეთებდა. ზოგ ქსოვილს შიდა მხრიდან კერავდა, რომ უცხოდ გამოჩენილიყო და გარეთ ყოველთვის მოხდენილად გამოდიოდა. ყველაფერი უხდებოდა, ლამაზი, კოხტა გოგო იყო, უკან გადაწეული თმით, გიშერივით თვალწარბით, თხელი პირსახითა და მუდამ ღიმილიანი გამომეტყველებით. ობლობაში გაზრდილი გოგონა სოფლის სანაქებო ქალიშვილად იქცა და ყველას ისე შეუყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ. დედა სტუდენტობის პარალელურად თავისივე მშობლიურ სკოლაში მუშაობდა, სკოლის დირექტორმა ბებიას ხელი შეუწყო, მცირეოდენი ჯამაგირი დედა-შვილს უკვე რაღაცაში წაადგებოდათ.

ასე გაიზარდა ჩემი დედიკო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უკვე დიპლომირებული პედაგოგი სკოლაში დამკვიდრდა და დაწყებითი კლასების პედაგოგად დაიწყო მუშაობა.

დედას ხსენებისას, სოფელსა თუ რაიონში მის გვერდით ყოველთვის ეთერის მოიხსენიებდნენ, ან პირიქით! ეთერი და ლაური, ლაური და ეთერი! ეთერი, რომელიც ჩემს მეორე გამზრდელ დედად იქცა, სიყვარულით ეთოს ვეძახი, იგი, ზემოთხსენებული დიდებული ოჯახის, კაკო ბაბუასა და ქეთო ბებოს ერთადერთი ქალიშვილია. ბიძაშვილისშვილებმა ერთმანეთს დობა შეფიცეს და როგორც იტყვიან, ერთ ლოგინში ამოიზარდნენ, ერთმანეთის ლუკმას იყოფდნენ, ერთმანეთის ტანისამოსს იცვამდნენ და უფროსების შეგონებით, ბოლომდე ერთმანეთისთვის შეუცვლელ ადამიანებად დარჩნენ.

ეთერი ოჯახის უფროსი შვილია. მის შემდეგ მშობლებს ორი ბიჭი შეეძინათ, მერაბი და როლანდი. ეთომ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სწორედ მისმა პიროვნებამ გადაწყვიტა ჩემი მომავალი პროფესია. ეთო და ლაური სიმღერის გუნდშიც ერთად იდგნენ, თუ სადმე მიდიოდნენ, აუცილებლად ერთად უნდა წასულიყვნენ. სწორედ ეთერისთან ერთად გაიცნო დედაჩემი მომავალმა საქმრომ.

ერთხელ, როდესაც სადედამთილოს, ანუ ბებიას დედას ნახვა გადაუწყვიტავს, მის ბიძაშვილ, ეთერში არევია, თურმე გოგოებს ქურთუკები გაუცვლიათ და ბებიას ამით თავგზა აუბნიეს.

კაკო ბაბუა მშრომელი, პატიოსანი, ერთგული და სტუმართმოყვარე ადამიანი იყო. მისი ხმამაღალი უბანში არავის სმენია. მთელი ცხოვრება ფუტკარივით შრომობდა, ხე-ტყის გადამამუშავებელ ცეხში მუშაობდა, შინ დაბრუნებული ყანა-ვენახისკენ მიიჩქაროდა და გვიანობამდე მუხლჩაუხრელად შრომობდა.

მაღალი, თხელი აღნაგობის ლამაზი კაცი იყო. ქართველი გლეხკაცის სიწმინდე - ულვაში ყოველთვის ამშვიდებდა მის იერს. მახსოვს მისი დამოკიდებულება ვაზთან, როგორ ეფერებოდა თითოეულ ფოთოლს, ჭიგოზე ახვევდა, ფურჩქნიდა, ზედმეტი წამონაზარდებისგან ათავისუფლებდა და შვილივით ეალერსებოდა. ასეთივე ნაფერებ და უტყუარ ღვინოს აყენებდა.

მახსოვს ქვევრებით მოფენილი მარანი, რომელიც სამზარეულოს გასასვლელი კარით უკავშირდებოდა, პატარა სამფეხა სკამს დაიდგამდა, ნელა და გულდაგულ ხსნიდა დაგოზილ ჭურს, ხრიკათი წითელ კამკამა ღვინოს იღებდა და მუცლიან დაზოზილ გრაფინში რაკრაკით ასხამდა.

ქეთო ბებო თავის ამოყვანილ კრაჭუნა ჭყინტ ყველს დაჭრიდა, კომბოსტოს მწნილსაც თეფშზე დააწყობდა და კეთილი გულის თანხლებით სუფრაც მზად იყო.

ახლა ქეთო ბებოზე გიამბობთ: ლამაზი, მრგვალი სახით, კოხტა ტან-ფეხით, მუდამ ჭრელა-ჭრულა თავსაფრით თავწაკრული, ჭრელი ჩითისა და „შტამბოვკის“ ხალათითა და წინსაფრით, ტკბილ მოუბარი, თბილი და მოსიყვარულე. როგორ მახსოვს მის გაკეთებული კარაქის პატარ-პატარა ბურთულები.

როლანდი ოჯახის მეორე შვილია, პროფესიად კულინარობა აირჩია, მაგრამ საბოლოოდ, მაინც მამის გვერდით ყოფნა ამჯობინა. სამსახურშიც ერთად დადიოდნენ და ვენახშიც ერთად შრომობდნენ. ლოლო, როგორც მას შინაურულად ვეძახით, იშვიათი გულის ადამიანია; - კეთილი, თბილი, ზრდილი და თავაზიანი.

მერაბი მესამე, ნაბოლარა ბიჭია. იგი ბიძა-ბიცოლამ, ნოემ და ლამარამ თავისთან ქალაქში წაიყვანეს და შვილივით გაზარდეს. ასწავლეს, დაასახლეს, დააოჯახეს და ღირსეული მეურვეობა გაუწიეს.

მერაბს დღეს ულამაზესი ოჯახი ჰყავს. მეუღლე, ნარგიზი ლამაზი და მოხდენილი ქალია, ქმრის ნათესაობა უყვარს და პატივს სცემს. სამსახურში დიდი სიმპატიით სარგებლობს. დიდებული დედა, ბებია და მეუღლეა. ორი შვილი შეეძინათ, ნოე (ნუკრი) და ეფემია.

შეუძლებელია უფრო ფართოდ არ დავახასიათო ლამარა ბიცოლა და ნოე ბიძია. უტკბილესი, თბილი და ყურადღებიანი ხალხი. მოგეხსენებათ რა არის ბავშვური მეხსიერება. ორივე ცოლ-ქმარი თითქოს და-ძმანივით გავდნენ ერთმანეთს. ყოველთვის ლამაზად, კოპწიად გამოიყურებოდნენ. ლამარა ბიცოლას წითლად შეღებილი თმა თეთრ პირსახეს უფრო მეტად უმშვენებდა. ლამაზი, პუტკუნა ხელის მტევნები ჰქონდა, გრძელი ფრჩხილებითა და წითელი ლაქით დამშვენებული. ნოე ბიძიას მუდამ დიდი ზომის ოქროს ბეჭედი ეკეთა. მეტისმეტად სასიამოვნო და საყვარელი ცოლ-ქმარი იყვნენ.

ჩემი ეთო... აქ შევჩერდები! პატარა ვიყავი, ალბათ 7-8 წლის, ეთერი რომ გათხოვდა. ქორწილის შემდეგ პატარძლის წაყვანის დრო რომ დადგა, ის განცდა დღემდე მახსოვს, გულამოსკვნილი ვტიროდი, ეთო დეიდას მართმევენ-მეთქი და ლევანი ბიძიას ბრაზიანი თვალებით შევცქეროდი.

თუმცა გავიდა დრო და ჩვენი სიძე, ლევან კუხიანიძე ჩემთვის ისეთი შინაური და ახლობელი გახდა, რომ უსაზღვროდ მიყვარდა, უყვარდა ყველას, მისმა გარდაცვალებამ სერიოზული დაღი დაგვასვა ახლობლებს. ჭკუითა და გონებით სავსე ადამიანი იყო, ყოფილი პარტიული მუშაკი, მათემატიკოსი, სკოლის დირექტორი. სმა არ უყვარდა, არც შეეძლო. როდესაც სუფრასთან აძალებდნენ, გინდა თუ არა დალიეო, ღიმილით ეუბნებოდათ, აღარ მინდა და რა ვქნაო, 2-3 ჭიქას დალევდა და ქეიფსაც ამთავრებდა.

ერთხელ, ჩემი შვილის ნათლობაზე დიდი წვეულება გადავიხადეთ. სუფრის ალაგების დროს კედელზე უცნაურად მიყრდნობილი 1025 მლ. ლიტრიან, სავსე ჯიხვის ყანწს წავაწყდი. გავგიჟდი, ჯერ ყანწის მიყუდება თუ შეიძლებოდა, ვერ წარმომედგინა და თანაც სავსე? აღმოჩნდა, რომ ეს ლევანი ბიძიას შემოქმედება იყო.

ეთოს და ლევანს სამი შვილი შეეძინათ: თინიკო და ტყუპი ბიჭები, კახა და დიტო. დღეს ეთო უფრო ბედნიერი დედა და ბებია იქნებოდა, რომ ასეთი ტკბილი მეუღლე გვერდით ჰყავდეს.

ახლა ჩვენი ეზოს გვერდით მცხოვრები შურა და საშა კერესელიძეები მინდა გავიხსენო. ღობის ღრიჭოში ვძვრებოდი და შურა ბიცოლას გვერდით ვუჯექი ხოლმე. შურა მკერავი იყო, თბილი, ალალი და პატიოსანი. `ვიდიჩკა~ პირველად მისგან გავიგე, ოთხი შვილი გაზარდეს; მზია, სვეტა, ნოე და ნანა. მზია რეხვიაშვილების რძალია, მითხრა ჩემს გოგონას შენი სიყვარულით ნინო დავარქვიო. ნოე მამაო გახდა.

ჩემი შურა ბებო! ალბათ ადვილი წარმოსადგენია რა რთულია ატარო ქვრივის თალხი, პატიოსნად გაზარდო შვილი და ოჯახის ფუძე-საძირკველი არ შეარყიო. მით უფრო ომის შემდგომ პერიოდში, საყოველთაო გაჭირვების ჟამს.

ეს ყველაფერი ჩემმა ბებომ სახელოვნად შეძლო. მან ოთხი შვილიშვილი გაგვზარდა, არც შრომა დაკლებია და არც ჯაფა, დედას ბოლომდე მხნედ ედგა გვერდით.

როგორ ტკბილად მახსოვს „სათონეში“, როგორც თავად ეძახდა, ერთმანეთის მიჯრით დაწყობილი ცხელ-ცხელი, ოხშივარში გახვეული ლამაზ-ლამაზი თონის პურები, კოხტა და გემრიელი ხაჭაპური – ლობიანი. მინდვრის ფხალი ცაცხვის ნორჩი ყლორტების და პიტნით შეკმაზული, რომელიც ძალიან მიყვარდა.

აი, ასეთ უბანში გავიზარდე. ასეთი პატიოსანი და მოსიყვარულე ხალხის გვერდით, რომლებსაც ლხინიც ერთი გვქონდა და ჭირიც.

მე ამ უბნის პირველი შვილიშვილი ვარ, ყველას ძალიან ვუყვარდი, მეფერებოდნენ, მათამამებდნენ...

სახლი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, ჩემი ბავშვობის ტკბილი და წარუშლელი მოგონებაა.

ეზო-კარ-მიდამო, ყოველი კუთხე-კუნჭული შთამბეჭდავი და დაუვიწყარია. სიზმრად მხოლოდ ამ სახლს ვხედავ...

მონაზონი იოანა

მადლიერება

"ღვთისადმი რწმენა-მინდობა;
სამშობლოსადმი ერთგულება-თავდადება;
მოყვასისადმი სიყვარული-მორჩილება.
გწამდეთ ღმერთი!"
მონაზონი იოანა (ონიანი)

უფლისაგან ვითხოვ შენდობას, რომ მადლიერების გრძნობა გამოვხატო პირველ რიგში ჯუმბერ ლეჟავას სახ. მეცნიერ. მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრების მიმართ და ყველა იმ მეცნიერ-მწერალ-პოეტსა თუ სხვა მესვეურთა მიმართ, რომლებმაც ესოდენ გულისხმიერებით, სიყვარულით, სრულყოფილებით, შემწყნარებლობით, სიყვარულით გაიხსენეს და პატივი მიაგეს გამოჩენილ მსოფლიო მოგზაურსა და საქართველოს ღირსებისა და სიყვარულის დესპანს... ბატონ ჯუმბერ ლეჟავას. კიდევ ერთხელ ვწირავ ღმერთს მადლობას, რამეთუ მასშია ჭეშმარიტება და სიყვარული, რომელიც ასე უხვად იგრძნობა მონა ჯუმბერისადმი მიძღვნილ მოგონებებში, ამავე აკადემიის მიერ სპეც. გამოცემული ანთოლოგიის, მე-8 ტომის ნომერში. ნამდვილად დღევანდელ დღეს, როდესაც ასე მძვინვარებს სიყვარულის, მადლიერების, ურთიერთპატივისცემისა და ურწმუნოების ხანა, მიუხედავად ყოველივესი, რამდენიმე ასობით ადამიანმა გამოთქვა სიყვარული, ინტერესი და პატივისცემა ჯუმბერ ლეჟავას მიმართ. რაც, თითქმის, საქართველოში მცხოვრებ მორწმუნეს, ღვთისმოსავს, მეცნიერს, გამომგონებელს, პოეტს, მწერალს და ა.შ. არა თუ სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის შემდეგაც არ ღირსებიათ ასეთი სქელტანიანი(თითქმის 300 გვერდიანი) ტომეულის გამოცემა, რომელიც მიეძღვნა ჯუმბერ ლეჟავას 80 წლის იუბილეს. უფლის ნებით ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მის სიცოცხლეშივე დაარსდა მისივე სახელობის აკადემია, რომლის შემოქმედი, დამაარსებელი, შემქმნელი ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი აღმოჩნდა. მანვე დაუდო საფუძველი სპეციალური ანთოლოგიის მე-8 ტომის გამომცემლობას, მანვე მოაგროვა ყველა ის მასალა, რომელიც აღნიშნულ წიგნშია გამოქვეყნებული. დაწყებული სულიერებიდან, მამა ამირან ამირანაშვილის მოგონებებდიან მოყოლებული, სხვადასხვა მეცნიერების, პოეტების, საქართველოს მოქალაქეების, ახალგაზრდა მეცნიერების თუ ნორჩი ათინათელების ინტერვიუები, ჯუმბერ ლეჟავასთან დაკავშირებით სხვადასხვა აკადემიის პრეზიდენტებთან თუ მის უახლოეს მეგობრებთან, რეჟისორებთან, მსოფლიოში ცნობილ სამხატვრო აკადემიკოს-ისტორიკოსებთან. ყველას, ყველას მიმართ, რომლებმაც რამდენიმე სიტყვით მაინც მოიგონეთ ჯუმბერ ლეჟავა, მადლიერებას, გულისხმიერებას, სიყვარულს გამოვხატავ და ვევედრები უფალს, შეგვაძლებინოს მეტი და მეტი ურთიერთსიყვარული, რამეთუ "გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი, მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი (ლუკა10, 27). სწორედ ეს დავინახე ყოველი სტატიის წაკითხვისას, რაც ჯუმბერ ლეჟავას, მისი მოგონების, გახსენების, სიყვარულის ჩასახვაა ყველა მათგანის გულში. სწორედ ამ სტატიების ავტორების გულებში დავინახე სულიწმიდის მიერ გადმოსული სიყვარული. „არავის არ შეუძლია, რომ მთელი გულით შეიყვაროს ღმერთი, თუ მას მოყვასი არ უყვარს. თუ წინასწარ ღვთის შიშს არ

გაიღვივებს, რადგანაც სული მხოლოდ მას შემდეგ შედის ჭეშმარიტ სიყვარულში, რაც განიწმინდება და ღვთის შიშის მოქმედებით დარბილდება.

სიყვარული უშიშრობისაგან იბადება, უშიშრობა – ღმერთზე სასოებისაგან, სასოება – მოთმინებისაგან და დიდსულოვნებისაგან, ეს ყველაფერი კი – თავშეკავებისაგან. თავშეკავება – ღვთის შიშისგან, შიში კი – ღვთის რწმენისგან". (ღირსი მაქსიმე აღმსარებელი (+662). სწორედ მაქსიმე აღმსარებლის მიერ ზემოთ წარმოთქმული სიტყვებითაა შემკობილი ჯუმბერ ლეჟავას მიმართ გამოხატული მოგონებები.

როგორც მოგეხსენებათ, სიყვარული ყველაზე ამაღლებული სათნოებაა და ამიტომაცაა, რომ ლეჟავას მიმართ გამოთქმულ ყველა რესპოდენტის მოგონებაში იგრძნობა სიყვარული, სინანული, მწუხარება, რომ ასე მოულოდნელად გადასახლდა მეორე მარადიულ სიცოცხლეში.

მსურს ისევ მადლიერების გრძნობით, დიდსულოვნებით, სიტკბოებით, სიკეთითა და რწმენით გამოვხატო ჩემი ღვთიური სიყვარული ყველა რესპოდენტის მიმართ.. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბ. გულნაზი ხარაიშვილის თავდადება, არა მარტო ჯუმბერ ლეჟავას მიმართ, არამედ ყველა ამ ქვეყნიდან გადასახლებული მეორე ცხოვრებაში, როგორც სასულიერო პირთა – მეუფე თადეოზ იორამაშვილი, ასევე რიგითი ადამიანების მიმართ. არც ერთ ჟურნალ ათინათინსა და მრავალ ტომეულ ანთოლოგიას თითქმის არ დაუბეჭდავს არცერთი ნომერი, რომ მათ შესახებ გახსენება-მოგონება არ იყოს, პირიქით, ყველა ნომერსა და ტომში სპეციალური თავია გამოყოფილი გარდაცვლილთა მოგონება-გახსენების შესახებ. აქვეა აღნიშვნის ღირსი ყველა მისი საქმიანობა, რომელიც ეხება შეჭირვებულთა, უძლურებაში მყოფი ადამიანების მიმართ გულისხმიერებას. არ შემიძლია, არ გამოვყო ის ფაქტი, რომ შვილმკვდარი მამის, მხედველობადაკარგული, ღვთის ანაბარა მყოფ ჯონი კიკნაველიძის მიერ (დაწერილი ლექსის აკროსტიკით) ჯუმბერ ლეჟავას მიმართ მიძღვნილი ლექსის გამოქვეყნებით, რაოდენ დიდი სიხარული გამოიწვია მასში, როცა გაიგო რომ ანთოლოგიის სპეციალურ ნომერში მისი ლექსი იყო დაბეჭდილი. წიგნზე ხელის შეხებით გამოხატა უსაზღვრო სიხარული და აღნიშნა, რომ ათასობით ლექსი ჰქონდა დაწერილი და არც ერთს არ უნახავს მზის სხივი და ეს იყო თავისი პირველი ლექსი, რომელმაც იხილა დღის სინათლე. არასდროს დამავიწყდება ჯონის ბედნიერი სახის გამომეტყველება, რაც რამდენიმე წლის მანძილზე არ ჰქონია. ეს იყო თავისი პირველი ვაჟის – კახაბერის გარდაცვალების შემდეგ. უდიდესი სიხარული და მადლიერება გამოხატა რედაქტორის მიმართ.

ჩემო ღვთისნიერო, თავმდაბალო, ყველას მიმართ სითბოს, სიყვარულის, მოწყალების გამღებელო, გვერდით მდგომო ყოველგვარი ანგარების გარეშე, საქმის დამგვირგვინებელო, გისურვებთ კვლავაც შეგძლებოდეთ მრავალი ათეული წლების განმავლობაში გეკეთებინოთ ასეთი ღვთიური საქმეები, რომელთაც ემსახურები დღევანდელს დღეს და კვლავაც გაგეცოცხლებინოს იმ მივიწყებული ადამიანების შრომა და ამაგი, იმ მწერლების, პოეტების მიმართ, რომლებიც საზოგადეობას თითქმის მივიწყებული ჰყავს.

ღვთიური სიყვარულით და თქვენზე მლოცველი
მონაზონი იოანა (ონიანი)
09.09.2019

გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

ცისკარელი

ცასა და დედამიწას აერთიანებს ჩემი ფიქრი. ხანდახან ჩემს თავზე ვბრაზდები, სულ ზეცაში რატომ ვიხედები, ვის უღიმი, ვინ გყავს ასე ტკბილი და კარგი. აბა, რა გითხრათ, რითი გაგაკვირვოთ, ამ გარდაცვალებულთა წელიწადში. ვინ მყავს და შვილი მყავს. მეუღლე და ხუთი ძმა, ძმიძვილიშვილი დათა. მაზლი და მაზლიშვილი. საყვარელი მული და საყვარელი დეიდაშვილ-ბიძაშვილები. ვინ მყავს და ყველა გარდაცვლილი შვილი ჩემი ტკივილი და ცრემლია. ვინ მყავს და სიყვარულით ნაშენი ოჯახი, სხვისიც ჩემი ტკივილია, მერე გარდაცვალებულებით დაშორებული. წადი ჩქარე, ორიათას ოცდაერთო წელიწადო. თვე ნახევარი დაგრჩა, წადი! მე ჩემი ტკივილით დამძიმებული ისეც დავდუმდი. რამდენი დედა, ჩამონისლე და ააცრემლე. რამდენი დედა მისვამს კითხვას, რითი გადაიტანეო. რა ვუპასუხო, ორიათას ოცდაერთო წელიწადო, გადავიტანე? ვინ გადაიტანს იმნაირი შვილის დაცილებას, როგორიც მე მყავდა. შვილი, რომელიც ყველა ლამაზ ქალში მე მხედავდა. მე არაფრით არ განვსხვდები არავსგან. ჩემი შვილისთვის ვიყავი ყველაზე, თბილი და კარგი. არა ჩემი შვილი იყო ცარიელი გული. ჩემ შვილს არ შეეძლო ღალატი, იყო ვაჟკაცი და თბილიც. ეს, გაცისკროვნებული თვალები, წარმოსახვით ხედავს თეთრ ღრუბლებში შვილს და უღიმის. დილით ცისკარსაც შვილთან ფიქრით ეგებება ამიტომ მქვია ცისკარელი.

მე ვარ, დარდის მდინარედან გამორიყული (სიპის) ქვა. ვზივარ, ჩემს სამუშაო ოთახში, კედლიდან გარდაცვლილების სურათები მიყურებენ. სურათებს თვალს ვარიდებ და მივჩერებივარ ზეცას. იმდენი ხანი ვუყურე, ცა გადავღალე ყურებით. ვაიძულე, რომ კარები გაეღო. გამოაღო ვებერთელა კარები ზეცამ. შევედი ცის სახლში და გავხდი (ცისკარელი). ცისკარში დავიწყე სიარული. ჩემს წინ წალკოტი გადაიშალა. წმინდა წყლის ჩანჩქერები იდუმალი ხმის ნოტებზე უკრავდნენ და საცეკვაოდ მიწვევდნენ. მარად მწვანე მცენარეები, მდუმარების სტატუსს ინარჩუნებდნენ. სიჩუმის ფონს ჩიტების ჭიკჭიკი უხდებოდა. მათმა ჭიკჭიკმა გამომაფხიზლა. მერცხლები ცის ფანჯრებზე ბუდეს იკეთებდნენ. ერთი მერცხალი ბუდიდან ამოფრინდა, მხარზე დამაჯდა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა, დღეს ჩემი დაბადების დღეა. ეს ხმა ვიცანი. დავფიქრდი, დათას ხმაა. (დათა), ნუთუ და ცრემლები წამომცვივდა. ეს დათა შუბითიძე იყო, ჩემი ძმიშვილიშვილი თვრამეტი წლის დედისერთა, რომ დენის მსხვერპლი გახდა. ცას მისი სახით ერთი ვარსკვლავი მიემატა. დღეს მისი დაბადების დღეა. გილოცავ, ვუთხარი და გავახსენე ბავშობა. ლოგინში რომ შემომიწვებოდა და მეტყოდა მიყვარხარ ბებოვო. ახლა მე ვიმეორებ შენს სიტყვებს დათა. ,,მიყვარხარ უზომოდ და უსასრულოდ“. ტკივილი??? მტკივიხარ, უკიდეგანოდ.

ეს ძველი კადრებია

ვინ იცის უკვე რამხელეები ხართ. ეს ანგელოზები თბილისის საჯარო სკოლის ნომერ ოცდამეთექსმეტე სკოლის მოსწავლეები არიან. ამ სკოლის დირექტორი არის ქალბატონი მაია კვინიკაძე. ანგელოზების პედაგოგი კი გახლავთ, პედაგოგი ციური ხუჭუა. მას შემდეგ წლებია

გასული. მახსოვს სკოლაში მიმიწვიეს. თავიდან ვუარობდი მე საბავშო პოეტი არ ვარ და ბავშვები ჩემს პოეზიას ვერ მიხვდებიან და მიპატიჟებაზე თავიდან ვუარი ვთქვი. მაშინ ჯუმბერი ხარაიშვილი ცოცხალი იყო. ჯუმბერიმ მირჩია წავიდეთ, ეგ სკოლა დამთავრებული ჩემს მეუღლეს აქვსო და მეც მაინტერესებს, პირველი კლასელების თვალით დანახული ჩემი ბიძაშვილის პოეზიაო. ჯუმბერის სიტყვა და რჩევა ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა და დათქმულ დროს ვეწვიეთ ქალბატონი ციური ხუჭუას კლასს. მიწვეულ სტუმრებში იყვნენ, ჯგუფ ზღვარის პოეტები. სერგი ლომაძე და კახა ბაციკაძე, ლამზირა შეყილაძე, ჯუმბერ ხარაიშვილი და მე პირადად. პირველ კლასელების მერხებში ძლივს მოვთავსდით. ზრდილობის გულისთვის სიჩუმეში ჩავიკარგეთ. დაიწყო ღონისძიება. ორმოცდახუთ წუთში, გაშუქებული იყო, ჩემი პოეზია ისეთ დონეზე ყველა აღფრთოვანებული დარჩა. „დედაენის ძეგლთან“, „დაჭრილი ჩიტი“, „თუკი მიმიხმობს ფშავ ხევსურეთი“ „იმერეთი“ და ასე შემდეგ. ორმოცდახუთ წუთში ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილიც გამიცოცხლეს პოეზიის სახით. დამთავრდა ორმოცდა ხუთ წუთიანი საღამო. ყველას აინტერესებდა ჩემი აზრი. აპრილის თვე იყო. მაისში პარლამენტის ბიბლიოთეკაში უნდა ჩატარებულიყო ჩემი წიგნის „დარდის პირამიდების“ პრეზენტაცია. გამოვედი და ყველასათვის მოულოდნელად წარმოვთქვი. ეს ბავშვები გახსნიან ჩემს ღობისძიებას. დანაპირები შეუსრულე პატარებს, პარლამენტის ბიბლიოთეკაში, ციური მასწავლებლის პირველ კლასელები ლიდერობდნენ. უფრო მეტიც, თბილისის მერიის პროექტით, დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარუბულ ღონისძიებაში, ციური მასწავლებლის ბავშვები ჩემი ლექსით „დედაენის ძეგლთან“ გამოვიდნენ და წარსდგნენ მაყურებლის წინაშე. ამ პატარებმა არა ერთ ცნობილ სახეებთან აიღეს ინტერვიუ. ჟურნალ „ათინათში“ მაქვს ასეთი რუბრიკა „პატარების თვალით დანახული ცნობილი ადამიანების სახეები“. ფეისბუქმა ამოაგდო ეს სურათი და ვერ მოვითმინე, სიყვარულმა გადმომძლია. სკოლის დირექტორის, ქალბატონი მაია კვინიკაძისა და პედაგოგი, ქალბატონი ციური ხუჭუასკენ. თქვენ კი, როგორ შეიძლება არ მიყვარდეთ პატარებო, ოთხი წელი ჩემს გვერდით იტრიალეთ თქვენი აქტივობით. როცა უკვე მეხუთე კლაში გადახვედით, მე და მამა ამირან ამირანაშვილი გყავდით მოწვეული, ჯუმბერ ხარაიშვილთან და დანარჩენ აქტივისტებთან ერთად და გზა დაგილოცეთ წინ წარმატებებისკენ. ჩემო პატარებო, თქვენ იზრდებით, იცვლებით, იქნებ წინაც მხვდებით და ვეღარ გცნობთ. თქვენ თუ გახსოვართ კიდევ შემეხმიანეთ. იცით როგორ მენატრებით???

სიმშვიდის მორევი

ზოგჯერ უნდა გაექცე დარდის ტალღებს. უნდა ეცოდო, რომ მოძენო სიმშვიდის მორევი. წააგებ თუ მოიგებ ამას არანაირი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭო. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი არის მთავარი. უნდა დამშვიდდე. როდესაც მე და ჩემი ძმიშვილის მეუღლე (ლაშა) ნარდის სათამაშოდ დავსხედით, ჩემი ფიქრი გაექცა დარდის ტალღებს და სიმშვიდის მორევში დაიწყო ტრიალი. გავხალისდი იმიტომ რომ, ჩემს გვერდით იყო ჩემი აწ გარდაცვლილი, პატარა (დევის ბარტყის, ამირან ძამიკოს) სიძე გვანცას მეღლე ლაშა.

მადლობა უფალო, ამ ლამაზი დღისათვის.

გულის მერცხალი

ეს ლამაზი გოგონა პოეტი გვანცა ხარაიშვილია. ერთი ოჯახის ფესვზზე ამოზრდილი მესამე პოეტის ახალგაზრდა ყლორტი. ერთ ოჯახში სამი პოეტი ბეჟანი, გულნაზი და გვანცა. ბეჟანის პოეზიას სხვა დარტვითვა აქვს. მისმა ფილოსოფიურმა, პატრიოტულმა პოეზიამ დროს გაუძლო. ბეჟანი ოცდაათი წლის გარდაიცვალა. მას, რომ ეცოცხლა ამჟამად 68 წლის იქნებოდა. პირველ იანვარს დაბადებული პოეტი, პირველ იანვარს ესტუმრა ზეცას. ბეჟანის პოეზია დააფასა მწერალთა კავშირმა და დაარსა ბეჟანის სახელობის პრემია. მიხარია იმიტომ, რომ ბეჟანის პრემიის დაარსებას, მწერალთა კავშირში მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია. პირიქით აღფრთოვანებით, შეეგება ამ იდეას, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და თანათავჯდომარეები, მადლობა და ღვთის წყალობა მათ ამისათვის. ბეჟანის საუკეთესო მეგობარი იყო აწ გარდაცვლილი ქალდანი, რომელიც მცხეთაში განისვენებს. რომ არა ლევან ბაბუხადია ბეჟანის პოეზია დაიკარგებოდა. ახლახან გამოჩნადა მისი მეგობარი ბაბუა ალუდაური და სწორედ ბეჟანის პრემიამ მაპივნინა ბაბუა. როდესაც, პოეტ მამუკა ოჩიაურს უთქვმს ბეჟან ხარაიშვილის პრემია მივიღეო, ბაბუას ლამაზ ეპითატად დაუყოლებია, დიდი კაცის პრემია მიგიღიაო. ბეჟანის პოეზია ლამაზ მოგონებად შემორჩა ერეკლე საღლიანს. როდესაც მე გამოვჩნდი მწერლობის ასპარეზზე, ლევანმა ოცდაათი წლის გარდაცვლი მეგობრის ლექსები (ხელნაწერები) მომიტანა და ერთად გამოუშვით ბეჟანის კრებული „ხვედრი პოეტთა“. ლევანიმ უფრო ადრე დიდი ტირაჟით გამოუშვა მისი პოეზიის კრებული „სადღეგრძელო“. ჩემი კალამი ოც წელს ითვლის. ახლახან ბაბუამ გადმომიგზავნა ოცდათვრამეტი წლის წინ ბეჟანის დაწერილი ლექსი. მანანა ბრაჭულმა ოცდათ წელზე მეტ ხანს შეინახა, ბეჟანის ლექსი და ხელნაწერის სახით გადმომცა. ვინ იყო ბეჟან ხარაიშვილი კარგად იცის თემურ ჩალაბაშვილმა, (თანაკურსელები იყვნენ) ასეთი პოეტები რომლებიც გარდაცვლილ პოეტს (ბეჟანის) არ ივიწყებენ, ერთი ლექსის ავტორებიც, რომ იყვნონ ცამდე მაღლებია და უფალი მათ უფრო მეტს მიაღწევინებს. ასე, რომ ბეჟანი უკვდავია თავისი პოეზიით. მე პირადად, პოეტი არა ვარ, ეს რომ ვთქვა, უფალი დამსჯის. ყველა ჩემი ლექსი ციდან მოდის, რომელსაც ღებულობს ჩემი გონი და დაუზარებლად ყოველგვარი ეპითეტების გარეშე გადამაქ პირდაპირ ფეის გვერდზე. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ ვინმეს ვჯობივარ. ლექსი ჩემთვის სიმშვიდის წამალია, მეგობარია, ტკივილების გამზიარებელია, ჩემი სულის ზიარია, მე და ჩემი პოეზია, ერთად ვიცრემლებით, თანაც ვფრთხილობ, ჩემი უფლის გზავნილით, სხვა არ დავამძიმო. სევდა იმაზე ათჯერ მეტი მაქვს, ვიდრე ვამბობ ან ვწერ. გვანცას პოეზიის შემფადესელი სოხუმის უნივერსიტეტის სრული პროფესორი ქალბატონი ლუარა სორდია ამბობს: – გვანცა გარკვეული წლების მერე პროგნოზირებადი პოეტი არისო. სხვათა შორის, ჩემზე წიგნი დაწერა ქალბატონმა ლუარამ და წიგნს უწოდა: „მადლშემოსილი“ ბეჟანის პოეზიაზე აღფრთოვანებულმა მეცნიერმა, წიგნის სათაურად აირჩია „პოეზიის მიმინო“. ბოლოს უდიდესმა მეცნიერმა შეაფასა გალაქტიონოლოგმა, რომელსაც შვიდი წიგნი მარტო გალაქტიონ ტაბიძეზე აქვს შექმნილი. სამი პოეტი, განსხვავებული ხედვით. პროფესორმა ტიტე მოსიამ კი, რომელიც თვითონ სამოცდაათი წიგნის ავტორია, ბეჟანის პოეზიით აღრფრთოვანებულმა ლექსიც მიუძღვნა. რამდენიმე წლის შემდეგ, ქალბატობმა ლუარამ გამოუშვა წიგნი ,,სამების სამრეკლოდან“. ამ წიგნში განხილულია, ბეჟანის, ჩემი და გვანცას პოეზია. გვანცა ფილოლოგია, ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელიც ხარისხის ასამაღლებლად კვლავ სწავლის პროცეშია. ამჟამად აპრილის თვეა, ჩქარე ბრწყინვალე აღდგომის დღესაწაული შემოაღებს კარებს. ჩემმა საქმიანმა გოგომ მამიდასთვის მოიცალა, რათა ჩემი ძმის მაგივრადაც მომფერებოდა. ჩემზე რვა წლით პატარა ძამიკო ამირან ხარაშვილი, რომელსაც ჭიათურაში დევის ბარტყის სტატსით იცნობდნენ, კოვიდმა წამართვა. მადლობა მამიდას სიხარულო, ჩემი გულის გახარებისათვის!

შვილიშვილი და ძმიშვილი

ნანა და გვანცა

ნიჭით მართლაც გავრან ერთმანეთს. ორივე ფილოლოგია და ორივეს ჯავახიშვილი აქვს დამთავრებული. ორივეს მეცნიერებისკენ აქვთ მიმართულება დაგეგმილი. განსხვავება ის აქვთ, რომ ერთი ინგლისურის სპეციალისტია და მეორე ქართულის. ერთი პოეტია და მეორე კი ქარგავს, კერავს და ბრწყინვალე კულინარია. ერთი სხირტ-ლაძეა და მეორე ხარაიშვილი. გარდა ნიჭისა ფიზიკურადაც გავრან ერთმანეთს. გვანცა და ნანა, ორივე ძალიან დინჯები და მოჭარბებულად სერიოზულები არიან. აი, მაგალითად: თუ რამე საკითხის გადაჭრაში ვჭოჭმინობ, ნანას ვეკითხები. ისეთ რჩევას მომცემს და თან შორს გააზრებულად, ბევრჯერ მიკვირს კიდეც. გვანცა პოეტია, გარდა იმისა, რომ მამიდა ძმიშვილი ვართ, სულიც საზიარო მოგვცა უფალმა. ახლა რა ეპითეტები უნდათ ამ ლამაზებს. არც არაფერი, რა მხატრული სახეები უნდა მოუძებნო, თითონ დახატულ შვილიშვილს და ძმიშვილს. არც თვალები აქვთ ათასნაირი ფერებით შეღებილი და არც თმები. ბუნებით ლამაზებს ხასიათიც ბუნებრივი აქვთ. არიან სამართლიანები და პირდაპირნი. ღმერთმა ნანას კარგი ბედი მიცეს და გვანცა თავის მეუღლესთან (ლაშასთან) ერთად გამიმრავლდეს.

ერთი ლამაზი დღე

იტალიიდან ჩამოსულმა, ჩემმა დაიკო ანერი შუკაკიძემ, ლამაზი დღე მაჩუქა. იმ დღეს დედაჩემისა და დეიდაჩემის სულის სიახლოვეს ვგრძნობდი. ისინი ზეცის ფანჯრებიდან უყურებდნენ, თავიანთ გოგონებს და სიმშვიდე იმიტომ ექნებოდათ, რომ ჩენ ერთად ვიყავით. დედა და დეიდა სიყვარულსა და ერთმანეთის პატივისცემას გვასწავლიდა. ყურებში ჩამრჩა დეიდას ამოკვნესება, გულს, რომ ამოატანდა ხოლმე. დები ერთმანეთის გვერდით ტრიალებდნენ და ერთმანეთით სუნთქავდნენ. სიტყვა (დეიდაშვილს) არ ვეგუებოდი, ხშირად გამოვთქვავდი საყვედურს. არა დეიდაშვილი არა, ჩვენ დები ვართ. ასე გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი და ამ სიყვარულით წავალთ, როცა უფალი ჩათვლის საჭიროდ. როცა ჩვენი ბედისწერა დაუკითხავად შემოგვიღებს კარებს. ამ სურათის ათინათები დათამაშებს, წამიერად დარდი მზის სხივებმა აიკრიფა და ცას მიმოფანტა. ბრწყინავს, მზე და ხარობს, ჩემი ანერი თავისი ქალიშვილი (შორენათი), რძლით (ანათი), აქ არის ესმა ხარაიშვილი ჩვენი ულამაზესი დაიკოს (ლილის) ქალიშვილი და ჩემი და ეთერ ხარაიშვილი. ვუყურებ სურათს და ვხედავ, რომ მზის ყველა სხივი ანერისთანაა თავმოყრილი თუ, ანერის გულის სითბო სიხარულის სხივებს აფრქვევს, ვეღარ გამიგია რა. ახლა აპრილია. ანერ დაიკო, კიდევ გამახარე, ზაფხულში შენი ჩამოსვლით. გაგვახარე მე და ეთერი და შენი ოჯახის წევრები გულის ათინათებით. გელოდებით!!!!!

ორი ღონისძიება ერთად

თუ ღმერთს უნდა შეუძლებელს შეგაძლებინებს. ორი ღონისძიების ერთ დღეს ჩატარება, არ არის ადვილი ნამდვილად დამეთანხმებით. ბატონ ნიკო ხერკელაძეს მთელი საქართველო და საზღვარგარეთის ქვეყნები იცნობს. მისი უნიკალური შემოქმედება (ნახატები) მსოფლიოს მუზეიმებს ამშვენებენ. დღეს აკადემიაში ბატონი ნიკო წარსდგა აკადემიის წევრებთან, როგორც მწერალი. განხილული იყო, მისი წიგნი ,,ცრემლში ნალესი ხმალი“. უფრო ვრცელ წერილს დავწერ რამ-

დენიმე ხანში. ამ დაღლილობის ფონზე მწირ ინფორმაციას გაწოდებთ, ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულო კეთილო ხალხო. ღონისძიებამ ორ საათს გასტანა. მეორე ღონისძიება ჩავატარეთ, ვარკეთილში ქალბატონი ნელი გიუნაშვილის სახლში.

ეს თბილი ქალბატონი აკადემიის წევრია. მას ფიზიკურად ამჟამად არ შეუძლია. მისი თხოვნა იყო, რომ გვენახა. სურვილი აუსრულეთ და ვეწვიეთ. ოპერატორი წავიყვანე და მის სახლში მისივე პოეზიის საღამო ჩავატარეთ. დასასრულს წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ, უკრაინაში უდანაშაულო ადამიანთა ხსოვნას. პოეტებმა წაიკითხეს, პატრიოტული ლექსები. ამჟამად ამ ინფორმაციის დადება საჭიროდ ჩავთვალე, რადგან ეს არ არის სულის ზეიმი. ეს არის ტკივილი, ბატონი ნიკო ხერკელაძის „ცრემლში ნალესი ხმლიდან“ გამომდინარე ღონისძიება და ომის ფიქრში დაღამებული ქალბატონი ნელი გიუნაშვილის პოეზიის საღამო.

ამ ფერებში

ამ ფერებში ფიქრის სამყარო უნდა შევქმნა. ყველას ცეცხლის ფერი კაბები უნდა ეცვას. მამაკაცები თეთრ რაშებზე ამხედრებულები საქართველოს საზღვრებს უნდა იცავდნენ. ცეცხლოვან ხეებს შორის მარადმწვანე ხეებია. მარადმწვანე მამაკაცების სიმბოლოა. მამაკაცი შორიდანაც რომ აყურადებდეს თავის მამულებს მაინც იმედია. ჰოდა უფალო, არ გამოულიო საქართველოს იმედი ხვალისა. ორი აპრილის დილა რომ გათენდება, ცეცხლის ფერ სილამაზეში გაახვიე საქართველო. აალამაზე და ააზეიმე ოჯახები. მაშინ ვმშვიდდები, როცა ხალხის სახეზე მომღიმარ სახეებს ვხედავ. მაშინ არის გემრიელი ლუკმა, როცა ვიცი რომ ბავშვებს არ შივათ. არ აქვს მნიშვნელობა, რა ეროვნებუსა იქნება ის. მუხას ტოტები შემოასხვიპა გაუმაძღარმა გველაშაპმა. ის ტოტები ნაყოფით ხვავრიელი იყო. დაუბრუნე საქართველოს უფალო, დედა ღვთისმშობლის წილნაყარი მიწა. გველეშაპს დიდი ხახა აქვს დაღებული და მთელი მსოფლიოს ჩაყლაპა უნდა. ლამაზ ფერებში გამითენე დილა, გვედრი უფალო!

ქართველი ქალის ეტალონი

როცა სხვისი წარმატება გიხარია, მაშინ დარდიან გულსაც შეძლებია გაღიმება. ოცდა რვაში ამაღლების ეკლესიის მამა ამირანის საღამოზე, ქალბატონი მაყვალა მზესავით გულს უთბობდა ყველა ღონისძიების მონაწილეს. მამა ამირანიც ამაყობდა რუსთაველის პრემიის ფლობელის ქალბატონი მაყვალა გონაშვილის გვერდში ყოფნით. ჩვენ ერთად მოგვიწია გვერდი-გვერდ სკამზე დაჯდომამ. ვუყურებდი ამ ქალური ღირსებით აღსავსე ქალბატონს და გულში სითბოს ვგრძნობდი, რადგან ქალბატონი, რომელიც ლექსთან ერთათად, დედაა, მეუღლეა, ბებიაა და სულის სიმაღლით, მიწიდან ცამდე ამაღლებულია, ქართველია და ჩემი საქართველოს შვილია.

პოეტური ურთიერთობები

ლამზირას და ეთერიში, ღვთიური, თვალ-თუხილავი უფლის რჩელი სულია ჩამალული. ყოველგვარი სიტყვა (ქალბატონების) გარეშე, შეგიძლიათ ისაუბროთ ამ ქალბატონებთან. ოცი წელიწადია ლამზირას გვერდით ვტრიალობ. არ მახსენდება, რამე მწყენოდეს. ლამზირა, ყოველ-თვის ცდილობს დამიმალოს ის რაც აწუხებს. ჩემ დაჭრილ-დასერილ გულს უფრთხილდება. მან იცის, რომ მისი ტკივილი ისე მეტკინება, რო-გორც მას ტკივა. ასე ვარ მეც მის მიმართ. ჩვენ სულიერი დები ვართ ერთმანეთის. ეთერი ჭელიძესაც ანალოგიური ხასიათი აქვს. ეთერი ბრძოლის უნარიანობით განსხვავდება. ეთერის ბრძოლა შეიძლია. ეთერის შეუძლია შენი გულისთვის (მხოლოდ მართალი უნდა იყო) სიზიფეს ლოდი მხრებით ატაროს. ღმერთო, დამილოცე ორივე და წელთა სიმრავლით დამისაჩუქრე!

მინიატურული პროზა-პოეზიის ზეიმი

ორ მაისს მწერალთა კავშირში, ვიყავი მიწვეული. ქალბატონი ირინა ხურციძისა და ქალბა-ტონ რუსუდან მიქენაიას, რედაქტორობით გამოცემულ წიგნების დაბადებას ზეიმობდნენ უფლის რჩეულნი. პოეტები, სქელი ყდით გამოცემულ ლამაზ ფერებში შეხამებულ წიგნებს, ისე ეფერე-ბოდნენ, როგორც საკუთარ შვილებს. გზა გადატვირთვილი იყო და დამაგვიანდა. ღონისძიება დაწყებული იყო. პოეტებით სავსე დაბაზში უკანა რიგებში ცარიელ სკამზე უხმაუროდ ჩამოვჯექი. არ გასულა ალბათ ხუთი წუთი, ერთი ახალგაზრდა მოვიდა, წიგნები ხელში ზრდილობიანად მომაწოდა. წამში გადავათვალიდრე და რედაქტორებისა და ავტორების მიმართ მოკრძალებული სიმპატია გამიჩნდა. გამოცემული წიგნების ხარისხმა გამაკვირვა. თუმცა არ უნდა გამკვირვებოდა, თითქმის ჩემი სიცოცხლის ნახევარზე მეტი წიგნებში ვტრიალობ. სიმართლეს ვაღიარებ, მართლაც ძალიან მომეწონა გამოცემული წიგნის ხარისხი. იყო ემიგრანტი, წიგნებს ხელით არ ეხებოდე, საზღვარგარეთიდან, კულტურულ ღონისძიებაში იყო ისევ ჩართული ეს უკვე გმირობაა. ჩემს გულში ირინა ხურციძე, გმირად მოვნათლე და დაველოდე მოვლენებს. მიკროფონთან მიმიხმეს ახალგაზრდებამა. დარბაზიდან სიყვარულით გაბრწყინებული თვალები მომჩერებოდნენ. მეც თბილი სიტყვებით მივეფერე ყველას და ჩემი აკადემიის წევრის თვალიერება დავიწყე. თან ვსაუბრობდი. ვეძებდი იმ ქალბატონს, რომელმაც აკადემიას საჩუქრად ქალბატონი ირინა ალფაიძის ხელით შუშანიკის წიგნი გამოუგზავნა. ქალბატონი ლიანა კაკუბავას ფიზიკურად არ ვიცნობდი, ჟურნალ ,,ათინათში“ დაბეჭდილი სურათის მიხედვით კი იმდენ პოეტებში გაცნობა გამიჭირდა. საუბარში ავღნიშნე, რომ ქალბატონი ლიანას გაცნობა მაინტერესებდა. წინა რიგებში

ლამაზი კოპწია ქალბატონი წამოდგა და გადამეხვია. ცრემლნარევი სიტყვებით მოვეფერე გალიდან გადმოსულ ქალბატონს. დარბაზში კიდევ რამოდენიმე ჩემი აკადემიის წევრი ისხდნენ და ყველას ნახვა ძალიან გამეხარდა. უფლის რჩეულო ქალბატონებო და ბატონებო, ყველას ბოდიშს გიხდით, რომ ჩქარე დავტოვე აუდიტორია. დავტოვე იმიტომ, რომ სხვა მნიშვნელოვან საქმეზე მისასვლელი ვიყავი და ძალიან მეჩქარებოდა. იმ წამიერათაც კი სიხარული ვიგრძენი თქვენთან სიმშვიდისა და სიყვარულის საუფლოში ყოფნით. წარმატებებს გისურვებთ, კალმოსნებო.

პოეტის უკვდავება

დიდუბის პანთეონში მზის სხივებს ადევნებული მტრდების ღუღუნი სიჩუმის მყუდროებას არღვევდნენ. ქვაზე შეყინულ სახეებს აპრილის მზე ეფერებოდათ. საქართველოს ლამაზ წარსულს ჩამოესვენა პანთეონში. ლეგენდად ქცეულ მსახიობებს, პოეტებს, მხატვრებს, ერთ სივრცეში მოქცეულებს, ჩიტების ჭიკჭიკი ურღვევდათ მყუდროებას. საქართველოს კორიფეებს, ერის წინაშე ვალმოხდილებს, ერთად მოეყარათ თავი თავიანთი ლამაზი ბიოგრაფიებით. ქვის ქანდაკებად ნაქცევი თითქოს და თვალით ათვარიელებდნენ ვინ შეჩერდებოდა მათთან და ვინ დაურღვევდა მყუდროებას.

ორი ყვავილის კალათა ვიყიდე, ერთი ალიო მაშაშვილ-მირცხულავას საფლავზე დავდე, მეორე დიდი მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას საფლავზე მივიტანე. ბატონი ბადრი ქუთათელაძე, პანთეონის დირექტორი (პოეტი), მასპინძლობას უწევდა უამრავ სტუმარს. ბოლოს ყველამ თავი მოვიყარეთ, სიცოცხლეშივე უკვდავ პოეტთან, ალიო მაშაშვილ-მირცხულავას საფლავთან. რამოდენიმე წლის გარდაცვლილ პოეტს, თავისმა დისშვილმა, ბატონმა ვაჟამ ეგრისელმა დაბადების დღე აღუნიშნა. პოეტის ხმა მიწიდან ზეცას უერთდებოდა. ხოლო ციდან მზე, სხივის ხელებით ტაშს უკრავდა მოწონების ნიშნად. ბატონმა ვაჟამ, წაიკითხა პოეტის ლექსები თუმცა ომახიანად, მაგრამ მაინც წამოცდა, იქნებ ეს ჩემი უკანასკნელი გამოსვლაო. მის სიტყვებს

ცრემლებით იმეორებდნენ ღონისძიების დამთავრების შემდეგ, (ცნობილი პოეტები) ეთერ ჭელიძე და ნინო უძილაური. მე კი პოეტის სიტყვები ასე აღვიქვი, ვინ როდის წავა, ეს განაჩენი ცაში იწერება. ის დედმამიშვილებში მეცხრე შვილია. თავისი ნიჭით სიცხლეშივე დადგა (პოეზიით) უკვდავების ძეგლი. ვაჟა ეგრისელმა ისაუბრა თავისი დედის (ფედოსიას) ძმის, ალიო მირცხულავას ლამაზი წარსულის შესახებ. ვგრძნობდი, რომ ღონისძიებით კმაყოფილი მდუმარე ქანდაკაბები, პოეტის ალიოს ქანდაკებას კმაყოფილებით, დუმილითვე ხვდებოდნენ. ბატონმა ვაჟამ სიტყვა სთხოვა, რუსთაველის პრემიის მფლობელს, მწერალთა კავშირის თავჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს. ქალბატონმა მაყვალამ ისაუბრა, აწ გარდაცვლილ პოეტზე და აღნიშნა, რომ პოეტმა ალიო მირცხულავამ საქართველოს, უკვდავი ლექსები დაუტოვა. მაშაშვილის ლექსებზე გაიზარდა თაობები. მარტო ეს სიტყვები ღირს მის შესაფასებლად. ,,წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლოს დროს, ტყვიით სავსე ყუმბარა“. სიტყვები წარმოთქვეს ყველასათვის ცნობილმა ბატონებმა: – ერეკლე საღლიანმა, გივი სიხარულიძემ, ვახტანგ გაჩეჩილაძემ, ელგუჯა ადეიშვილმა, აპოლონ გადელიამ. სიტყვაში გამოვიდნენ (პოეტესა) ქალბატონები: – ნინო უძილაური და ეთერი ჭელიძე. როცა გარდაცვალებულს ასეთ პატივს მიაგებენ, ესაა პოეტის უკვდავება. ამ შემთხვევაში სული ცაში ჩვეულებრივად განაგრძობს უსასრულო ცხოვრებას და დედამიწაზე კი უკვდავად რჩება მისი სახელი საზოგადოებაში. დასასრულს, ასორმოცდაათი ტომის ავტორმა ბატონმა ვაჟა ეგრისელმა, თავისი წიგნებით დაასჩუქრა მოწვეული სტუმრები.

როცა ხალხს უყვარხარ

მამა ამირან ამირანაშვილი, მოძღვარი ამჟამად ამაღლების ეკლესისა, ძალიან უყვავარს თავის მრევლს. მამა ამირანი, როცა თავისუფალია, ისევ საერო ხალხის გვედით ჰპოვებს თავისი სულის სიმშვიდეს. უყვარს იმ ადამიანების გვერდით ტრიალი, რომლებიც ხელოვანთა ჯგუფს წარმოადგენენ. ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული დარგია ლიტერატურა. საკაცობრიო ისტორია მრავალ პროზაულ თუ პოეტურ ქმნილებებს იცნობს, ამათგან ერთ-ერთი მამა ამირანის წიგნია „ჩემი წუთისოფელი“. მამაო, რამოდენიმე წიგნის ავტორია, „ჩემი წუთისოფელი“ კი, მკითხველების სამაგიდო წიგნი გახდა. მამა ამირანმა იმ დიდი წარსულიდან, სადაც ის მოღვაწეობდა, (თეატრი, ოპერა) ეკლესიის სულიერებისკენ გადმოინაცვალა, ეკლესიაში. თავისი მოზღვავებული ნიჭი კი მოძღვარმა (ფიქრის ღამეები) კალამს დაუთმო. ნაფიქრი წიგნებად იქცა და მკითხველიც არა ერთხელ გაახარა, თავისი ნააზრებით. წერა მამაოს პრაგმატული რეალიზმის სასოწარკვეთილებას უმსუბუქებს და წერა, სიმშვიდესა და ნეტარებას ჰგვრის. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბიოგრაფიით ძალიან დიდია. მისი ხელწერა უბრალოა, ამასაც თავისებური გამართლება აქვს. ის მოძღვარია. მამა ამირანი თავისი უბრალოებით უყვარს ხალხს. მის ხელწერას არ ახასიათებს ხელოვნურობა და ულოგიკო სიტყვები. თუ როგორ უყვარს ხალხს დააკვირდით ამ სურათში მისი თვალების ბრწყინვსლებას და შეიცნობთ მისი სულის სიდიადეს.

ამაღლებული სული

სული ამაღლდა აზეიმდა, აცისკარდა. ვგრძნობდი, რომ ცაშიც მარადისობის მგზავრი სულებიც ზეიმობდნენ 2022 წლის ოცდარვა აპრილს. ზეიმობდნენ იმიტომ, რომ სული ხომ თავისუფალია არსად არ ეჩქარება. ვალმოხდილი ცის უსასრულო მარადილ სამყოფელშია. თუ დედამიწიელებისგან დარდი მოხვდებათ ტირიან და წვიმის სახით დაბლა მიწას ენარცხებიან. როცა უხარიათ, მზესთან ერთად დასეირნობენ და სხივებთან ერთად, ხან ქარს ჩაეცეკვებიან და ხანაც კიდევ ადამიანებს. იმ დღეს მამა ამირანის საყვარელი მეგობარის, აწ გარდაცვლილი (ანზორ ჯაფარიძის) სული მამა ამირანთან ერთად იქნებოდა. მამაომ დარბაზს სთხოვა და დარბაზში მყოფმა რჩეულთა საზოგადოებამ, ფეხზე წამოდგომით და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ანზორ ჯაფარიძის სულს. მერე კი მამაომ დარბაზში გადმოინაცვლა და ბატონ უშანგის მიაწოდა მიკროფონი. ბედისწერით გულდასერილ მეგობარს, თითქოს რაღაცა ღვთიური ძალა ალაპარაკებდა. დარბაზი სმენად გადაიქცა. ეს ღონისძიება ბატონი უშანგი მოსიაშვის მეორედ დაბადებაც გახდა. ხოლო დიდი

მხატვარი და მწერალი, ბატონი ნიკო ხერკელაძე და მოქანდაკე და ხატმწერი გელა ლარიაშვილი სცენაზე მიიხმო, რომლებმაც დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს მამაოს მიმართ. მზეც თავისი სხივებით, ოცდარვა აპრილს ცეკვის ,,მუსტანგთან" ყველანაირ როლს ასრულებდა. საერო ცხოვრებაში, ოპერის მომღერალი, მოცეკვავე, მსახიობი, ახლა კი მამაო, მამა ამირან ამირანაშვილი ამაღლების ეკლესის წინამძღვარი, მრავალფეროვან როლს მორგებული, ლაღად ფრთებგაშლილი ხან სცენაზე იყო და ხან დარბაზში მეგობრებთან.

ღონისძიება მიყავდა, დიდ და აღიარებულ მსახიობებს: ზურაბ ცინცქილაძეს და ნიკოლოზ წულიკიძეს. ბატონ ზურაბ ცინქილაძემ წაიკითხა, მწერალთა კავშირის თავჯდომარის ქალბატონი მაყვალა გონაშვილის ლექსი, მამა ამირანზე მიძღვნილი. რუსთაველის პრემიის მფლობელმა ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა, მამაოს გადასცა კულტურის დეკანის წოდება. იმდენად ეწყობოდნენ მამაოს ხასიათს იმ დღეს წამყვანები: – ბატონი ზურა ცინცქილაძე და ბატონი ნიკოლოზ წულიკიძე, რომ მართლაც ბევრჯერ გაოცებას არ მალავდა მაყურებელი. ყველანაირ როლს მორგებული მამაო, უხდებოდა სცენას, თავისი ხმის ტემბრით, ფიზიკურობით, იუმორით. ოცდა რვა აპრილს მამაო მსახიობიც იყო, თან (ყველანაირ როლის შემსრულებელი) ოპერის მომღერალიც და ინსტრუმეტის გარეშე სიმღერებსაც ასრულებდა . ღონისძიების მსვლელობისას, თვითონვე გამოაცხადა და ჩვენ, სამივე აკადემიის წევრები, პოეტები:-- ეთერ ჭელიძე და ლამზირა შეილაძე ერთად მიგვიხმო (სამეული) არ დაგვაშორა. არ გამოგვყო, ესეც მისი თბილი ხასიათიან გამომდინარე ბუნებრივად მოხდა. ასე აკეთებდა ყველა პიროვნებების მიმართ. არ არჩევდა არავის. ეს არ იყო დაგეგმილი ღონისძიება. ეს იყო დაუგეგმავი, თავისუფალი, ზეცამდე ამაღლებული, უბრალოებით, სისადავით, სითბოთი სავსე ღონისძიება. ამ დიდებული საღამოს მიმართ კიდევ ბევრი დაიწერება. ეს პატარა იმერული წკვარ-ნამი კი ჩემგან, ჩემი ფეისბუქის მკითხველებს. აუცილებლად დავწერ და ავღწერ იმ დღის მნიშვნელოვან მზის ხავერდოვან დღეს. დავწერ რადგან, მამაომ მე ამაღლების ეკლესიაში, ხარაიშვილების საგვარეულოს ლომისის წმინდა გიორგის ხატთან დად მაკურთხა.

,,დად მაღიარა მეც ძმა ვუწოდე,
აპეწენიკდნენ ჩვენს წინ ვერხვები,
თუ გინდა დარდის ცეცხლში ვიწოდე,
როგორც ძმას ისე გადავეხვევი!

გილოცავ ძმაო (მამა ამირან) დაბადების დღეს. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები ხვალისთვის გადავდე, რომელსაც უფლის ჩაგონებით ფრთებს შევასხამ და მკითხველამდე მივიტან.

ათი მაისი

რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პოეზიის საღამო. ,,პატრიოტული და დიდაქტიკური პოეზია“ გულნაზი ხარაიშვილის შემოქმედებაში. საღამო მიყავდა პოეტებს: ბატონ თემური გოგსაძეს და ქალბატონ შორენა მამალაშვილს. რუსთავში ჩამოსული იყო, რუსთაველის პრემიის მფლობელი მწერალთა კავშირის თავჯდომარე, ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. მხატვართა კავშირის თავჯდომარე, ბატონი გურამ ცერცვაძე. სახალხო პოეტი ერეკლე საღლიანი. ამაღლების ეკლესიის მოძღვარი მამა ამირან ამირანაშვილი. საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ,,გულანის“ პრეზიდენტი, ქალბატონი ნაირა მარშანია. საქართველოს სიამაყე ქალბატონი ციცო ერისთავი. აჭარის რეგიონის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზდენტი ქალბატონი ნანა მომცელიძე. აღიარებული პოეტები: ბატონი ჯუბა ღებელი, ქალბატონი ბელა ალანია, ნინო უძილაური, ლეილა გაფრინდაშვილი. მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი. ხაშურიდან მოწვეული იყო საკრებულოს წევრი, ქალბატონი მარინე დიდებულიძე. ღონისძიებას ესწრებოდნენ, ადგილობრივი, რუსთავში მცხოვრები აკადემიის წევრები (პოეტები) ქალბატონები: ეთერ ჭელიძე, ლამზირა შეყილაძე, ლია ოსიაშვილი, თინათინ ხაბურზანია, ლია ბეჟანიშვილი და პოეტი და სპორტსცმენი გიგი თეთრაძე. ღონისძიებას ესწრებოდა, ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება, ბატონი გოგიტა მელიქიძე. სკოლის დირექტორებიდან, მობრძანებული იყო, ჩემი შვილიშვილების დირექტორი, ქალბატონი ბელა ჯანგიძე. ღონისძიების პროექტის ხელმძღვანელებმა, პოეტმა შორენა მამალაშვილმა და ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა თეა ჟვანიამ, თითქმის უშეცდომოდ გათვალეს, დარბაზში სკამების რაოდენობა და ინტელიგენციით სავსე აუდიტორიაში, სული აზეიმდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლები მოკრძალებულ პატივისცემას იჩენდნენ, ჩამოსული სტუმრების მიმართ. დამსწრე საზოგადოებაში შინაგან სიამაყეს მალავდნენ ჩემი შვილიშვილები. თამუნა, ვახო და ნანა სხირტლაძეები. მალავდნენ იმიტომ, რომ სხვა უამრავ საჩუქრებთან ერთად, მწერალთა კავშირის თავჯდომარემ გადმომცა, 2022 წლის რჩეული მოღვაწე ბანოვანის წოდება. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა თეა ჟვანიამ კი მადლობა გადამიხადა, წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის. ბიბლიოთეკის თაროს ამშვენებდა, ჩემს მიერ გამოცემული წიგნები, ანთოლოგიები, და სამეცნიერო შემეცნებითი ჟურნალი ,,ათინათების“ ნომრები. ბიბლიოთეკას საჩუქრად გადავეცი, ქალბატონი ნინო რეხვიაშვილის წიგნი ,,საქართველოს რჩეული ქალბატონები“, სადაც ჩემი ავტობიოგრაფიაცაა შესული. ჩვენი აკადემიის წევრების თხოვნით, ბატონმა ალექსანდრე ციხელაშვილმა, ქალბატონი მაყვალა გონაშვილის პორტრეტი შექმნა. ამით აკადემიამ პატივისცემა გამოხატა ყველასათვის საყვარელი პოეტის (ქალბატონი მაყვალას მიმართ). ვიჯექი რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში საჩუქრებისა და ყვავილების ოაზისში და სიხარულის ცრემლები არა ერთხელ წამსკდა. თვალს არ ვაცილებდი გემოვნებით შერჩეულ ვარდის კალათას, რომელიც ემიგრანტ (პოეტ)მალვინა ჭელიძის დავალებით გადმომცა, მისმა.დაიკო ცნობილმა პოეტმა, ეთრი ჭელიძემ. თავჩაღუნული ვიღებდი დაბადების დღის მოლოცვებს. უფლის მიერ გზავნილ ჩემს ლექსებს კი პოეტები კითხულობდნენ. უნდა ვაღიარო შორენა მამალაშვილის და თემურ გოგსაძის წაყვანილი მაღალ კლასიკურ დონეზე ჩატარებული ღონისძიება. მაყურებლისთვის საინტერესო და მხატრულად წაკითხული ლექსებით გულის სანთელი მშვიდად იწვოდა. შორენასი და თემურის

ნიჭით შექმნილი ჩემი სულის პორტრეტს, დამსწრე საზოგადოება ტაშს უკრავდა. მოწვეულ სტუმრებში ჩუმად იჯდა ეკა ბრეგვაძე, რომელმაც ღამის სამ საათზე გადმომიგზავნა ფოტო კოლაჟი. უკანა რიგებში მჯდომი მამაკაცი, რომელიც ჩემი შვილივით საყვარელ ხაშურის საკრებულოს წარმომადგენელ მაკა დიდებულიძის გვერდით იჯდა, ვერ შევამჩნიე, რადგან ჩემი თვალები სიხარულის ზღვაში ცურავდა. ამღვრეული თცალების მხედველობას კი შეიძლება ბევრი რამე შეუმჩნეველი დარჩა. ვიჯექი თავდახრილი. თავდახრის მიზეზი კი, დარდის მდინარე იყო. მდინარე

ჩემს წინ მიედინებოდა, მდინარეში ცურაობდა გელა სხირტლაძე (ჩემი შვილი). გელასთან, ალიკა და დათო მელიქიძე იყო. ლამზირას და ლიას შვილები. ასე ნაღვლიან - სიხარულიან განცდებით გადავინაცვლე ბოლოს რესტორან ,,ლაზიკაში". უნდა ავღნიშნო ამ რესტორანის ბრწყინვალე მომსახურეობა. ნახევარი საათის შემდეგ რესტორანში შემოდის წითელი ვარდებით ხელდამშვენებული მაღალი ქართველი რაინდი. საპატრაქიოსთან არსებული ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი ზვიადი სეხნიაშვილი. ვუყურებ ამ ახოვან ახალგაზრდას, რომელის გვერდით ქალბატონი მაკა დიდებულიძე იდგა და წამიერად დავიბენი. მერე კი, ჩემსკენ წამოსულ ბატონ ზვიადის და ქალბატონ მაკას სიხარულით შევძახე. ეს, რა დიდებული სურპრიზი გამიკეთეთ და ზვიადის დედაშვილურად გადავეხვიე. ბატონი ზვიადი თამადასთან, ბატონ თემურ გოგსაძესთან მივიდა, დამლოცა და განაცხადა. ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილი არჩეულია ჩოხოსანთა საზოგადოების წევრად. ათ მაისს კიდევ ერთი ერისადმი საპასუხისმგებლო მისია დამეკისრა. მაკა დიდებულიძის რეკომენდაციით ჩოხოსანთა არმიას უფლის ნებით შეურდები, რათა ყურძენივით გამოვწურო ჩემი შესაძლებლობები და მერე კი წავრსდგე უფალთან, სადაც ქმარშვილი და დედმამიშვილები მელოდებიან. დიდება უფალს,! შემაძლებინე ღმერთო, ამ საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვა. ვუყურებდი ერთად გაერთიანებულ ხელოვანთა ჯგუფს და მიხაროდა!

საჩუქარი

ეს ლამაზი თაიგული, იტალიიდან, პოტი მალვინა ჭელიძის თხოვნით, მომიტანა, საკმაოდ აღიარებულმა პოეტმა, ქალბატონ ეთერი ჭელიძემ. ღონისძიება ჩატარდა რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში. ამ ღონისძიების პროექტის ავტორები არიან. ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი თეა ჟვანია და პოეტი შორენა მამალაშვილი. საქართველოდან მივმართამ მალვინა ჭელიძეს. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ემიგრანტი ხართ იტალიაში, მინდა გჯერროდეს ერთი რამ. წასვლის დღიდან დღემდე, თქვენ დარჩით თქვენი დედმამიშვილების გულში. თქვენ ხართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ყველა წევრის გულში. მწერალთა კავშირის იმ პოეტების გულში ვინც ,,თინათის"ავტორებიან, რადგან თქვენი ლექსები ჟურნალში და ანთოლოგიაში იბეჭდება. თქვენ წმინდა სულის მალვინა, გჯეროდეს, რომ ძალიან გვიყვარხარ. ახლა როცა, შენი დაკვეთით, მორთმეული თაიგული, ჩემი ოთახის კუთვნილება გახდა, იცი რას ვგრძნობ? შენი გულის სუნთქვას, სითბოს შენსას. ყველა ყვავილის ღეროში ვგრძნობ, ჩაღვრილ შენ სიტყვებს, რაც იმ დღეს შენმა დაიკო ეთერიმ, ჩემი თხოვნით წაიკითხა.

,,სევდის ფერებში შემოსილს,
ია- ვარდებით სამოსით
გეტრფით და გეთაყვანებით,
იმ დღიდან რაც
თქვენ გამოჩნდით,
იქნებ და ღმერთმა გაგყაროს,
ირგვლივ რაც სევდის ფერია,
სევდას რომელიც გზა- დაგზა
ხალიჩად დაგიფენიათ.

ეს წლებიც ნაზად ჩაგივლით,
შენ ჩემო სულის გენიავ,
იცით?... რომ თქვენნაირები
ქვეყნად არც ისე ბევრია.
მაისის ვარდებს დაგიფენთ,
დღე თქვენით ბრწყინავს მზიანობს,
უფალს ვთხოვ, ამ ქვეყანაზე,
რომ ისევ დიდხანს იაროთ".

მალვინა ჭელიძე

მადლობა იმ უშგულის წმინდა მთების მადლს და თქვენს სალოცავ ,,ლამარიას“ რომ ასეთი თბილი და მებრძოლი ქალი მოავლინა ქართველი ხალხის იმედად. მალვინა შენ მადაც და აქაც დიდი იმედი ხარ. სიტყვით და ფიზიკურად არსებობითაც. მე პირადად ჩემი დაიკო ანერისგან მომისმენია შენი მისამართით საქებარი სიტყვები. დიახ! ანერისგან, რიმელიც იტალიაშია, თქვენ ერთ ქალაქში, გიწევთ მძიმე ემიგრანტის ტვირთვის ზიდავა. ამ ყვავილის თაიგულში შენი შრომის ოფლია ჩაწურული, შენი სიყვარულის სუნი უდის. შენი ლექსის სტროფები კი გულის სისხლითაა დაწერილი. მიყვარხარ მალვინა, გულში ხარ, ფიქრით გნახულობ და გიყვები საქართველოს ამბავს.

როგორ გამახარე თემურ

გარეთ უნდა გავსულიყავი, ჩემ პირადულ საქმეზე. ტელეფონი მაგიდაზე მქონდა დადებული, ზარმა შემახსენა, რომ ტელეფონი მრჩებოდა და შემოვტრიალდი. გისმენთ, ვუპასუხე. ხმა უცხო ჰქონდა. – ვერ მიცანი? – იყო ძალიან ზრდილობით წარმოთქმული სიტყვები. დავფიქრდი, მართლაც ვერ ვიცანი. გულო, შენ ხმას ვენაცვალე. რა დამავიწყებს, ბიბლიოთეკაში, რომ შემოვიდოდი, შენ გამოხედვას. მერე წიგნის შერჩევას. ზრდილობის გულისთვის მოვდიოდი, შენი სიძე მინდოდა გამხდარიყავი და თავს გაწონებდი. ამჟამად, ჟურნალის რედაქტორი ვარ და სამასგვერდიან სამენიერო შემეცნებით ჟურნალში ბევრი ატორები იბეჭდება. მეტ წილს ხმაზე ვიცნობ. ეს ხმა ნამდვილად არასოდეს გამიგონია. უცხოა ნამდვილად და კითხვა შეუტრიალე. -- ვინ ბრძანდებით?--- გულო, შენ ხმას ვენაცვალე, როგორ მენატრები, კვლავ მეორდება უცნობის ხმა. (გულო) -- ასე სოფელში მიძახდნენ, თავიდან როცა გავთხოვდი მოფერებით და მერე და მერე შემომრჩა სახელად (გულო) გულნაზის მაგივრად. როცა სამაჩაბლოს ომის შემდეგ, აუნაზღაურებელი ხელფასის გამო საარსებო ლუკმისათვის დავიფანტეთ. მე მომიწია რუსთავში მუშაობამ. ამჟამად კი თბილისში ვმუშაობ და დამიბრუნდა ნამდვილი სახელი მოფერების გარეშე(გულნაზი). ტელეფონში საუბარს განაგრძობს უცნობი და მახსენებს წარსულს. გამიხსენე, გამიხსენე, შენი სიძეობა ხომ მინდოდა. მერე კი ისე მოხდა, რომ ჩემ ქორწილში, შენ თავქალობდი. ამ სახელს ეძახდნენ ვისაც ევალებოდა საქორწილო სუფრის მომზადება. ქორწილის სუფრის ზედამხეველობა. მაინც ვერ მივხვდი ვინ მესაუბრებოდა. სანამ სოფელში ვცხოვრობდი ამ საქმით სისტემატიურად ვიყავი დაკავებული. საუბარი გააგრძელა უცნობმა, ჩემი შვილი (გელა) გაიხსენა. აბსუს რა ვაჟკაცი წავიდა, მაინც როგორი ძლიერი იყო. ვიფიქრე ჩემი შვილის (გელას) ამხანაგია ნამდვილად. გულო, ისევ უცნობის ხმა. მე თემურ მჭედლიძე ვარ. – თემური? დავიბენი. ვიცი, რომ თემურ მჭედლიძე კოვიდით არის ავად. თითქმის ხუთი თვეა, მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა. და მე ის თემურ მჭედლიძე რომელსაც კრიზისი აქვს არ დამირეკავდა. უსიტყვოდ ჩემ ,,მეს“ ვესაუბრები. გულო, განაგრძობს უცნობი, შენი გელა, რა ადრე წაჯიდა. რა ბედნიერი ოჯახი გქონდა. ძალიან მიყვარდი, გაფასებდი, მინდოდა ძალიან ახლობელი გამხდარიყავი, მაგრამ არ მოხდა. მოიტაცეს ვინც გულით მიყვარდა. თემურ შენ ხარ? და სიხარულით, აღარ ვიცოდი, როგორ მოვფერებოდი. ვიფიქრე, აი, სასწაული, თემური გადარჩა. თემური მესაუბრება. თემურ კარგად ხარ ხომ? ვკითხე გახარებულმა.

საღამოს შვიდი საათია. სიხარულისგან თვალები ისე მიბრწყინავს, ღამის მაგივრად, ახლად ამოსულ მზეს ვხედავ. სხივები იშლება, იფანტება. მზის სხივები მოეფინა სოფლის სასაფლაოს. ყველა საფლავის უსულოდ ნაქცევ ქვებს მიუალერსა. ჩემი შვილის გელასი და რამაზის საფლავის ქვა გაათბო. მერე სამაჩაბლოს ომში დაღუპულ ბიჭებს გადაწვდა, ლერი მჭედლიძეს და კახა ქელეხსაშვილს. ბოლოს მზის სხივები, თემურ მჭედლიძის მშობლების გულზე მოკალთდა და ისევ თემურის ხმამ გამომარკვია. გულო, მესაუბრე, მინდა შენი ხმის გაგონება. რატომ გაჩუმდი? - არ გავჩუმდი თემურ, უბრალოდ დავიბენი. ნამდვილად არ ველოდი შენ ზარს. ვიცოდი ცუდად იყავი. აი, გადარჩი ხომ ხედავ , გადარჩენილხარ თემურ. გულოვო და ხმა დადუმდა. მე ცოტახნის სიცოცხლე მიწერია. ალბათ სამი თვე თუ გავძლებ. რას ამბოვ თემურ! ინსტიქტურად წამოვიყვირე. აქამდე თუ გაუძელი შენ აუცულებლად გადარჩები. არ გადავრჩები, ჩემი დღეები დათვლილია, მე წავალ შენ შვილთან. არ მეშინია, მივდივარ, გემშვიდობები, მაგრამ სანამ წავალ თუ ნებას მომცემ, დაგირეკავ მინდა გავიხსენო წარსული. აქამდე ვერ ვსაუბრობდი, ხმა არ მქონდა. ახლა საუბარი შემიძლია. დაგირეკო? კი, თემურ, როცა გინდოდეს, ოღონდ კარგად იყავი. გულო, ერთი სათხოვარი მაქვს შემისრულებ? – რა თემურ თუ კი რამე შემიძლია, არც დავფიქრდები. იქ სოფელში, სამოსახლოები , რომ დაარიგეს , მაშინ შენ დეპუტატი იყავი. კი, თემურ მერე რა, ცუდი გახსოვს რამე? არა, რას ამბობ გულო, მიყვარხარ და გაფასებ, ძალიან გაფასებ. შენი სიძე ვერ გავხდი, მაგრამ გულში სულ

გჩემიანობდი. ჩემი კუთვნილი სამოსახლო სადღაც მიიმალა, ორ გლეხს შორის. თუ დაგირეკონ იცოდე. მე მივდივარ, ჩემმა კუთვნილმა მიწამ უნდა გამიხსენოს. სხვა იქ, ჩემ სახელზე მიწა არ არსებობს. მესაუბრებოდა, თემური და ცრემლები ჩამომდიოდა. თემურ მჭედლიძე, ამჟამად ორი შვილის მამაა. თბილისში ცხოვრობს, არაჩვეულებრივი მეუღლე ყავს, ქალბატონი მანანა. სოფელში გამოირჩეოდა სილამაზით ვაჟკაცობით და კარგი ბიჭობით. ღმერთს ვთხოვ, რომ კარგად იყოს. იქნებ ჩემი გულიდან წამოსულმა ლოცვა მისი ავადმყოფობის მკურნალი გახდეს. თემური თავს იდანაშაულებდა. კოვიდი როცა შემხვდა, სასწრაფო მოვიდა და სავადმყოფოს უნდა წავეყვანეო, არ წავყევიო. ჩემი სიჯიუტით ფილტვები დამიზიანდაო. გული ისეთი ჯამრთელი მაქვს, გავფრინდებიო. მივდივარ გულო, და მინდა ვიდეო თვალით დაგინახო, ყველა მენატრებით, მე ჩქარე წავალო და ტელეფონი გაითიშა.

თემურის ამბავი უნდა დამემთავრებინა, მაგრამ ტელეფონის ზარმა, ისევ თემურისკენ მიმატრიალა. დამირეკა, გულო გცალია? - თემურ შეხვედრაზე ვარ, როგორც კი გავთავისუფლდები, იმ წუთში დაგირეკავ. ასეც მოვიქეცი გადავრეკე. ექიმი ყავდა, არ მიპასუხა, ნახევარ საათში თვითონ დამირეკა. გულო, ვისაუვროთ, კარგი თემურ ვისაუბროთ. გულო, იცი სასწაული ხდება მგონი, ექიმმა იმედი მომცა, ცალი ფილტვი გაიხსნაო. გამეხარდა, ძალიან გამეხარდა. თემურ ეს როგორ, გუშინ იმედი გქონდა გადაწყვეტილი. მიხარია, თემურ. ნუთუ ერთმა სიტყვამ მოახდინა სასწაული ღმერთს, რომ ვთხოვე ღმერთო, კარგად ამყოფეთქო. გულო, იცი რა გავიარე? ჯოჯოხეთი. ორი თვე სიკვდილთან ერთად ვცხოვრობდი. ხო, მე და სიკვდილი, ერთად ვიძინებდით და ერთად ვიღვიძებდით. მეორე დღეა, გლოცავ თემურ, ხვალამდე. აბა, შენ იცი რწმენით იცხოვრე.

ხვალ როცა დამირეკავ, კიდევ უკეთესი ამბავი გამაგებინე.

ნიჭიერი ლიტერატორი

რუსთავს შორენა მამალაშვილის სახით ჰყავს ნიჭიერი ლიტერატორი. მას შეუძლია პოეტის სულში მოგზაურობა. გავიმეორებ ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის სიტყვებს. „ამ დღეს ველოდი, ვდუმდი, ვდუმდი ათეულ წლობით“, დიახ! ვდუმდი ათეულ წლობით, არავის ვაწუხებდი, ვშრომობდი და ვქმნიდი. არავის ვეცილებოდი არაფერში... ჩემი პოეზია, რომელიც გულიდან გამოწურული სისხლით იწერება, ამის დანახვა ერთეულებს შეუძლიათ. უნდა გიყვარდეს და უნდა გტკიოდეს. შორენა მამალაშვილი, ის პოეტია (ლიტერატორია) რომელსაც თავისი ხედცა აქვს. არსად არ ჭირდება სიტყვის ძიება. რა თქვას ან როგორ თქვას. ანდა კიდევ, რატომ უნდა თქვას. მადლობა შვილო, ჩემი გულის სარქველი, რომ გამოაღე, თუმცა აუარები მასალაა, გულის ჭურჭელში მოთავსებული. ისევ ბეჟან ხარაიშვილის სიტყვებს მოვიშველიებ.,, ყველაზე დიდი სასაფლაოა გული. ჩემი გულის სამარხის გაჭრა ერთეულებს შეუძლიათ. შენ შეძელი და გამოაღე კარები. თუ უფალს უნდა შიგ იმოგზაურო ე, მაშინ კი ... ერთი სიტყვით კალამმა შემიყოლია ... და ბოლოს მადლობა ნიჭიერო ლიტერატორო და კეთილი თვალის ხედვით დაბადებულო პოეტო.

ძალა ერთობაშია

იმედი

აბრამ პაატა იოსებაშვილის სიტყვები ყურებში ლამაზი მუსიკასავით ხმაურობს. ქალბატონო ნინო, გულნაზის არაფერი გაუჭირდეს. თუ რამე მოხდა ისეთი, რომ მას რაღაცა უჭირს პირველი მირეკავ მე. ამ სიტყვების მომსწრე თვით ჩემი შვილი-შვილი იყო. (ნანა სხირტლაძე). ყველას ვალია მის გვერდით ვიდგეთ, რადგან ეროვნულ საქმეს აკეთებს. მე მიყვარს ჩემი საქართველო, ამბობს აბრამი. ვხედავ, რასაც აკეთებს ქალბატონი გულნაზი აი, ამიტომ მის გვერდში ვიქნები ყოველთვის. ვიხსენებ ამ სიტყვებს და გულში იმედის სხივმა შემომანათა, იტრიალა და ბოლოს თანდათან დაიმკვიდრა გულში ბინა. ხოლო ფოლადივით ძლიერი სიტყვა ალბათ ოთახის კედლებში ექოს გამოძახილით ისევ ხმიანობს. მე შვიდ ქვეყანაში განაცხადი მაქვს შეტანილი. ამბობს, ცნობილი ადვოკატი და პოეტი ბატონი თემურ გოგსაძე. მალე ჟურნალ ,,ათინათს“ დიდი მოთხოვნები ექნება. ჰო, ნამდვილად ვამაყობთ, ერთხმად აღიარებენ, პოეტები: ერეკლე საღლიანი და ნინო უძილაური.

მე კი სიცოცხლეზე შექეზებული, კვლავ ჟურნალს მიუტრიალდი და 44-ე ნომერზე დავიწყე მუშაობა.

* * *

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის ყველა წევრი და საერთაშორისო - სამეცნიერო აკადემია, ,, ბუდარიას“ წარმომადგენლობა საქართველოდან და საფრანგეთიდან, დაბადების დღეს ულოცავს: ==== ქალბატონ ლოლა (მარინა) იოსებაშვილს. ქალბატონს, რომელმაც გმირი შვილი გაზარდა. ქალბატონო ლოლა, თქვენ ხართ ულამაზესი სულის ქალბატონი.

მზეს შეგადარებ, სითბოს სხივებით,
ხან კი სიმშვიდის სიოს ნარნარას,
სულ იარსებებ, სულ გაბრწყინდები,
უთბილესო და წყაროვ ანკარავ,
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი)

აბრამ პაატა

ებრაელებსა და ქართველებს შორის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის. ეს, მეგობრობა უსასრულოა. ისე დიდია ვით ზეცა უკიდეგანო. ბატონი აბრამ პაატა ის ადამიანია, ვისი სიტყვავა და საქმე ერთია. მისი ცხოვრება ერთი დიდი მერიდიანია, ქართულ-ებრაულ ურთიერთობების განმტკიცებაში. საქართველოში დაბადებული ქართველი ებრაელი, საქართველოს ჭირისუფალია. მისი გული საქართველოს ნაწილია. ვწერ სიტყვებს და ლექსის სტრიქონები მეჩურჩულება.

საქართველოს ჭირისუფალს გაუმარჯოს,
გული რომ აქვს, სიყვარულით ავსილი,
დროა უკვე, კალამი რომ მოვიმარჯო,
აბრამია საქართველოს ნაწილი.
საქართველოს ტკივილებით დამძიმებულს,
დაბადებულს, ღთისშობელის მიწაზე,
შეაღვიძებს მუხის რტოებს მიძინებულს,
თუ დაჭირდა, უშურველად უწამლებს.

ბატონი პაატა იოსებაშვილის საქმე, იქ იკვეთება სადაც სიყვარულია. ამიტომაა, რომ ჯუმბერ ლეჟავასვსახელობის საერთაშორისო აკადემიის წევრობაზე დაგვთანხმდა. მისი რეგალიებიდან გამომდინარე, არქიტექტორს, პროფესორს, კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა აკადემიკოსის წოდება. არ შემიძლია აქ, პოეტესა ქალბატონის ნინო უძილაურის როლი არ ავღნიშნო. ქალბატონი ნინოთი მოხდა ბატონი აბრამის დაახლოვება აკადემიასთან. რაც შეეხება მისი არაჩვეულებრივი კეთილშობილ მეუღლეს, ქალბატონ ლოლას კი თვითონ ბატობმა აბრამ- პაატამ გაუწია რეკომენდაცია. ქალბატონი ლოლა არის გმირი შვილის დედა. ამ არაჩვეულებრივმა წყვილმა სულით და ხორცით თანაზიარმა, საშვილიშვილო საქმე წამოიწყეს ორი მოძმე ერის საკეთილდღეოდ. მათი ჟურნალი ,,მეგობრობის მერიდიანი“ სიყვარულს ასწავლის მომავალ თაობას, არ დაავიწყებს და უფრო განამტკიცებს, ორი ერის საუკუნეების მეგობრობას. არის ასეთი ფრინველი, ,,ალბატროსი“, რომელსაც ყველაზე დიდი ფრთები აქვს. ბატონ აბრამსა და ქალბატონ ლოლას, ალბატროსივით დიდი ფრთები გაუშლიათ და ფრთების ქვეშ შეუმალიათ, საქართველოსა და ისრაელის სიყვარული. შეუმალიათ იმიტომ, რომ ავმა თვალმა არ ავნოს, მეგობრობის მერიდიანს.

საქართველოც გმირის მშობლებს ეფერება,
აბრამსა და ლოლას ღვთიურ ქალბატონს,
მადლის საქმე, ცაში ღმერთთან იწერება,
სულის ფრთებით, როგორ გავრან ალბატროსს.

გულნაზ ხარაიშვილი – ჯუმბერ ლეჟავას სახელიბის, საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი და ჟურნალ,,ათინათის“ მთავარი რედაქტორი (პოეტი) გალაქტიონ ტაბიძის პრემიის მფლობელი.

ნორა ედიშერაშვილი

ქართულ-ებრაული საერთაშორისო ორგანიზაცია "მეგობრობის მერიდიანების"

ს ა ა მ ა ყ ო დ ა
ს ა ს ი ხ ა რ უ ლ ო ც ნ ო ბ ე ბ ი
რომლებიც გულში ჩამწდომია.
დრო მიდის და ფუჭად არ იხარჯება...
ასოციაცია "მეგობრობის მერიდიანები" ფართოვდება და მდიდრდება ღირსეული საზოგადო მოღვაწეებით, პოეტებით, მწერლებით, სპეციალისტებით, მოლოცვებითა და მომართვებით.
შემოგვიერთდნენ კეთილის მსურველები ამერიკიდან, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორები, სურვილით ჩვენ ორგანიზაციში ერთობლივი თანამშრომლობისა, სულ მალე მათ ჩემი შვილი რანი შეხვდება ნიუ-იორკში, სურვილი აქვთ ერთის მხრივ იმუშავონ უანგაროდ და წვლილი შეიტანონ კეთილი საქმის კეთებაში, მეორე მხრივ გაამდიდრონ ჟურნალი შინაარსით და ხარისხით. მოსწონთ ეპოთეზა "ქართულ-ებრაული" ურთიერთობა, გაღრმავება და გაძლიერება, უყვართ ისრაელი და საქართველო!
სურვილია შემოგვიერთდნენ ებრაელები მსოფლიოს ქვეყნებიდან, მათთან საინტერესო ლაპარაკი მიმდინარეობს.

– ამ წლის 4 მარტს, მწერალთა სახლში ჩატარებული ნანა დავარ შაბათაშვილის სახელობის პრემიით დაჯილდოების ცერემონიალის დროს ჩატარდა ჟურნალ
"მეგობრობის მერიდიანის" მე-2 ნომრის პრეზენტაცია, დამსწრე საზოგადოება აღტაცებით შეეგება, ადგილზე დარიგდა 100-ზე მეტი ჟურნალი.

– ჩვენ ორგანიზაციას 3 ღირსეული და ქართულ საზოგადოებაში ცნობილი და პატივცემული ქალბატონები შემოურთდნენ საკუთარი ინიციატივით, და დიდი სურვილი გამოთქვეს გახდნენ ჩვენი ორგანიზაციის და ჟურნალის რედ.კოლეგიის აქტიური წევრები:

ნ ო რ ა
ე დ ი შ ე რ ა შ ვ ი ლ ი
პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე,
ღირსების ორდენის კავალერი,
ნანა დავარ-შაბათაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ვ უ ძ ღ ვ ნ ი
ბ-ნ პ ა ა ტ ა ი ო ს ე ბ ა შ ვ ი ლ ს,
მ ი ლ ო ც ვ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა
„მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს მ ე რ ი დ ი ა ნ ე ბ ს“!

ვერ გეტყვით, როგორი ატმოსფერული, ან ცხოვრებისეული მდგომარეობა იყო საქართველოში, როცა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეექვსე საუკუნეში, ბაბილონის დამპყრობელი მეფის, ნაბუქოდონოსორის მიერ იავარქმნილი იერუსალიმიდან თავდაღწეული, ებრაელების პირველი ტალღა შემოვიდა და დასახლდა ჩვენთან, კერძოდ, ქართლში.

ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედვით, ელინისტურ ხანაში, ქართლის ქალაქებში, მცხეთასა და ურბნისში, უკვე არსებობდნენ ებრაელთა უბნები...

ქართულ-ებრაულ ურთიერთობას, ქართულ მიწაში, ღრმად აქვს ფესვები გართხმული, მას დრო და ვითარება ვერაფერს დააკლებს. ამის მაგალითები ბევრი გვაქვს... ერთ-ერთი მათგანია ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანი“ და ამავე სახელწოდების ჟურნალი, რომლის სულისჩამდგმელი, დამფუძნებელი და ორგანიზატორია დიდებული მამულიშვილი, არქიტექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი, ბატონი პაატა იოსებაშვილი.

ბატონმა პაატა იოსებაშვილმა სიტყვა საქმედ აქცია. როცა მთელი სამყარო, ორი წელიწადია მძიმე განსაცდელს ებრძვის, პანდემიის გამო, ძნელია მოიცალო უანგარო საზოგადოებრივი საქმიანობისა და ახალი ინიციატივისათვის, ეს მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ, ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივს საკუთარზე მაღლა აყენებენ, ვისთვისაც ადამიანის სიყვარული სამყაროს მთავარი ფორმულაა. სწორედ ასეთ იშვიათ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ბატონი პაატა იოსებაშვილი. მასზე და მისი ოჯახის საქმიანობაზე, ბევრი რამ მსმენია. ახლახანს, ემოციის გარეშე ვერ შევხვდი ცნობას, რომ მათი ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსდა ორგანიზაცია „მეგობრობის მერიდიანი“, ჩემთვის, დიდი პატივი იქნება ვიყო ამ ორგანიზაციის წევრი, აქტიური მონაწილეობა მივიღო პროექტების განხორციელებაში, ვითანამშრომლო ჟურნალის რედაქციასთან და მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართულ –ებრაული ურთიერთობის განმტკიცებაში.

დაარსებას ვულოცავ, „მეგობრობის მერიდიანს“...

ყველა სიკეთე, წარმატება, სიყვარული, დღეგრძელობა და მზეგრძელობა – ალალმისი!...

პატივისცემით,
ნ ო რ ა
ე დ ი შ ე რ ა შ ვ ი ლ ი

ხათუნა კვესელავა

სითბო და სიყვარული...

არც თუ ისე ცოტა ადამიანში არსებობს ჩაკეტილი: „მე“.

ემოციების გამოხატვის საჭიროებას ბევრი ვერ აცნობიერებს. საჭიროა სათქმელი გადმოსცე არა ისე სხვებს როგორ მოეწონება, არამედ გამოვხატოთ ისე როგორც ჩვენ გვსურს, ჩვენებურად მაგრამ გასაგებად.

ხშირად ადამიანები მთელ ცხოვრებას ემოციების გამოხატვის გარეშე ატარებენ. მოგვიანებით ხვდებიან, რომ სათქმელი უნდა ეთქვათ, ემოცია უნდა გამოეხატათ და მეტიც, სხვებისთვის გაეზიარებინათ.

საოცარი მაგიის მატარებელია გულწრფელი, სითბოთი სავსე სიტყვები.

ყველამ ვიცით, რომ ხვალინდელი დღე გარანტირებული არავის გვაქვს. შესაძლოა დადგეს დრო, როდესაც დროის დაკარგვას ვინანებთ, იმას რომ არ ვიყავით საკმარისად გულწრფელი, თბილი, არ გამოვხატავდით გრძნობებს, არ ვამბობდით რასაც ვფიქრობდით. სათქმელს გზა არ მივეცით და სითბო და დადებითი ენერგია ჩვენში ჩავკეტეთ.

უნდა ავივსოთ სიყვარულით და გავუზიაროთ სხვებსაც.

სითბო და კარგი განწყობა გაზიარებით იზრდება.

გავცეთ სითბო და სიყვარული...

წყენა და დათმენა...

ყველას აქვს თავისუფალი ნება, მოიქცეს ისე და იმოქმედოს მისი შეხედულებებისამებრ. თუ გააცნობიერებთ ამას, ნუ დაელოდებით სხვისგან იმას, რაც შესაძლოა არასდროს მოხდეს. მიიღეთ სხვა ისეთივე პიროვნებად თავისი ინდივიდუალურობით, როგორიც თავად ხართ.

წყენა-ეს როგორც წესი სუბიქტური გრძნობაა, მაგალითად რაც ერთი ადამიანისთვის საწყენი იყოს, მეორესთვის ეს წვრილმანია, რომელიც ყურადღებასაც კი არ იმსახურებს. ეს ამტკიცებს ,რომ ჩვენ ყველა განსხვავებულები ვართ:ჩვენი ხასიათით, აღზრდით,ემოციური მგრძნობიარობის დონით.

მოთმინება - შესანიშნავი უფლისმიერი ძღვენია, იგი განაგდებს გაღიზიანებას, მრისხანებას, სიძულვილს და სულს მშვიდობას ანიჭებს.

ბედნიერება დროსტარებასა და გართობაში არ მდგომარეობს, ის სათნოების თანახმად მოქმედებაშია.

ადამიანისათვის სპეციფიკურია გონებრივი ცხოვრება, რადგან სწორედ ესაა, პირველ ყოვლისა, ადამიანი...

ნდობა და ეჭვიანობა

ნდობის მოპოვება საკმაოდ რთულია,ხოლო დაკარგვა 1წამის საქმეა.კარგ ურთიერთობას არ სჭირდება პირობები,წესები და კანონები, სჭირდრბა მხოლოდ ორი ადამიანი, ერთი ვინც ენდობა და მეორე ვისაც ნდობა ესმის.ჩვენ ყველანი სრულფასოვანი ადამიანები ვართ ჩვენი ღირსებებით და შეცდომებით.ჩვენი შეცდომები კი ჩვენი პირადი პასუხისმგებლობაა, ამიტომ თითოეული ჩვენი ქმედება უნდა ვაკონტროლოთ,რადგან მასზე პასუხი მხოლოდ ჩვენ მოგვეთხოვება.

რაც შეეხება „ეჭვიანობას“-

ადამიანთა უმრავლესობა,ვისაც არუნდა კითხოთ ეჭვიანობაზე, გეტყვით რომ ის ცუდი თვისებაა,მაგრამ იგივე ადამიანები დიდი ალბათობით, გარკვეული დოზით ეჭვიანები არიან.

მცირე დოზით ეშვიანობა სასიამოვნოც არის საყვარელი ადამიანისთვის,რადგან ერთგვარი ყურადღების გამომხატველია და უტყუარი დასტურია იმისა რომ, შენდამი გარკვეული ინტერესი გააჩნია.

ეჭვიანობა უნდობლობის შვილია,ხოლო სადაც სიყვარული და ნდობაა ეჭვიანობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

და ბოლოს თუ სიყვარული გულწრფელია არიც ცოტა ეჭვიანობაც.მთავარია ნდობა...

სევდის ქარაფები...

მიდიან დღეები ....

გზნება-ზმანების, თავდავიწყების, შფოთვის, შმაგობის, სურვილთა შეუვალობის გახსენება სულის ტკივილად მექცა. თვალები ხომ სულის სარკეა და კარგად ჩანს ყველაფერი.

ო, ღმერთო ჩემო მომეცი ძალა, შთამაგონე რომ ავმაღლდე იმედის ფრთებით, რომ კვლავ შევძლო მხრების გამართვა, მეყო ტკივილი რომელიც ჩამეზიარა წუხილით, ცრემლით. სიცოცხლის დღეო შემაძლებინე, მანუგეშე, გამატანინე დღენი ბოლომდე სიყვარულით და სითბოთი სავსე. არ მინდა მერქვას: "დარდიანი". არ მინდა მოლოდინი ლოდინით დასრულდეს. მოგონების მწარე იარა გულზე მაწევს და ტკივილისგან ფართხალებს...

მოლოდინმა ვერ გადალხა აღმართი და წუხილში წუხილს იკლავს. რთულია ცხოვრება, ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ბრძოლის ველია სამყარო:ხან უღრანში იკარგები, ხან მზე აცხუნებს, ხან ყინვა სწვავს სხეულს, ხან ქარიშხალი გაბორიალებს.

ეჰ, რა მძიმედ მიედინება ჩემი გზა..

მაინც ვიღიმი, რადგან ვიცი სადაცაა მზე ამოვაა...

ოდეს მოდგება ჩემს ფანჯრებზე ნათელი შუქი და გავაცილებ შემოსახლებულ დარდის ქარაფებს, სულ სხვა აღმართიდან ამოვა მზე გულყვითელა და მწველი მზერით ჩემს ოთახში სხივებს გააფენს.

* * *

ყველაზე დიდი ნიჭი, რაც ღმერთმა ანამიანებს დაანათლა, სიყვარულის ნიჭია.არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ყველა ადამიანების სიყვარული შეუძლიათ, ისინი ყოველთვის კმაყოფილნი და ბედნიერები არიან. მაგრამ, სამწუხაროდ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არავინ უყვართ საკუთარი თავის გარდა და რათქმაუნდა ისინი ყოველთვის უბედურები არიან.

– ადამიანებმა ერთმანეთის განსხვავებების მიღება უნდა ვისწავლოთ, რადგან სწორედ ეს გან-

სხვავებები გვეხმარება განვვითარდეთ და გადავრჩეთ!..

– მივიღოთ ერთმანეთი,როგორებიც ვართ.

– არ ვეცადოთ ერთმანეთის გადაკვეთას .

– ვიყოთ გულწრფელები და გულახდილები.

– შევეგუოთ იმ აზრს,რომ იდეალურები ყოველთვის არავინ არის.

– ვისწავლოთ ძალაუფლების გადანაწილება.

– პატივი ვცეთ ერთმანეთის განსხვავებებს.

და გავიაზროთ, რომ გზა ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი ვერ იქნება...

როგორც ყველა ნიჭი, სიყვარულის ნიჭიც თავისთავად არ იფურჩქნება, არამედ მას აღმოჩენა და ხელშეწყობა უნდა.

გვიყვარდეს ერთმანეთი...

გაუღიმოთ ერთმანეთს...

ბედისწერის ავგაროზი

ვარსკვლავებმა გაშალეს სხივების მთები და გადარეკეს სევდის ღრუბლები.

უსიტყვო იდუმალი გრძნობა ჟრუანტელად დაირხა ტანში. საკუთრებად მიიღო გულმა მთავარი გმირისგან ბედისწერის ავგაროზი.ფარული ცრემლით ამევსო თვალი, შთაგონებამ ამინთო ღამე. ნახვისა და მონატრების წყურვილად გაება ცაზე ვნებით ანთებული თვალების ღელვა. ბედისწერის ავგაროზი მიმშვენებს სავსე მკერდს. წამწამთა რხევით დნება ფიქრები, რომელსაც საგზლად მოაქვს თბილი ღიმილი.

– იყო დრო, როცა დუმილის ლოცვა წუხდა ალიონზე, ქარს მიჰქონდა ჩაძირული ღამე. მოგონებით ვდუმდი და მიტოვებული ბავშვივით მეტირებოდა. რადგან გაქრა ოცნება ტრფობის ღადარში ვიდექი უქმად, მოწყენილი წუთისოფლის გარაჟში, როგორც ცეცხლს მონატრებული სახანძრო მანქანა...

მაგრამ.... გამოჩნდნენ ვარსკვლავები და გაშალეს სხივების მთები, გადარეკეს სევდის ღრუბლები.

დღეს შევყურებ ალიონს, საოცრად ლამაზია მზის ამოსვლა.

ვარსკვლავები, რომ დაცლილ ჯამებს ჰგვანან...

– ბრწყინავს ბედისწერის ავგაროზი...

იამ, ჩემს გზაზე ცეცხლი დაანთო
და მე მის სურნელს დავნებდი ასე:
„დარჩება ჩემში ვით ანგელოზი,
რადგან გამოჩნდა ტკივილის ჟამზე.

ღიმილი

ღიმილი ყველაზე სასიამოვნო საჩუქარია,რაც შეიძლება ადამიანებმა ერთმანეთს გაუზიაროთ. მიუხედავად ამისა, ხშირად გვავიწყდება, რომ გავიღიმოთ და გავაბედნიეროთ როგორც ჩვენი თავი, ასევე გარშემომყოფები: მეგობრები, თანამშრომლები, მეზობლები და ნათესავები. ზოგადად რასაც გავცემთ ცხოვრებაში, ის აუცილებლად გვიბრუნდება დროთა განმავლობაში. ღიმილიც ასეა. როდესაც მუდმივად კარგ განწყობას გავცემთ და ადამიანები ბედნიერები არიან ჩვენს გარშემო ეს კარგად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე. ღიმილი ბევრად მეტია, ვიდრე კეთილგანწყობის გამოხატვა. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი,რომ როცა ადამიანი ხშირად და გულწრფელად იღიმის, მეტად სანდოდ გამოიყურება. სამუშაო განწყობაზეც მოქმედებს.

ყველაზე მთავარი მეგობრებო:

ღიმილი უფასოა და გადამდებია.ამიტომ გავცეთ და უკან მეტი სარგებელი დაგვიბრუნდება.თუ გინდათ რომ ცხოვრებამ გაგიღიმოთ ,ჯერ თქვენ გაუღიმეთ მას!

...გეფერებით ...

დუმილი

დუმილი მოთმინების დიდი ცრემლია, ლოდინის გზაზე გაფენილი, რომელშიც ირეკლება: თვალები ვნებით სავსე, წუთები და საოცნებო წამები, სახე და დაუვიწყარი სხეულის სურნელი... დუმილიში დევს უთქმელობა,რომელიც გაწერინებს. შეიძლება იყოს უსასრულო: შეჰყურებდე გზას მოთმინებით მთელი ცხოვრება და არავინ მოდიოდეს... ამ დროს

თვალი ცვითავს გზას სადაც წვიმა, თოვლი და ქარი შლიან კვალს, რომელიც ერთდროს გაზაფხულის ფუნჯის წვერით იყო აკრეფილი სხვადახსვა ფერით შემკული, როცა სიახლოვეს ენთო მწვანედ აბიბინებული ბალახი და მზერა დაისრული.

ძნელია დუმილში ყოფნა, როცა მწუხარება უღალატოა, იცი არსად წახვალ, გაქცევის ფიქრს არ გაიკარებ და არც უცხო ბილიკზე გადახვალ. უბრალოდ გულში გაქვს მალულად.

დრო, დრო გადისო ამბობენ, მკურნალიაოო... დრო არსად მიდის, ის ერთადგილზე დგას მოგონების ლიბრით მოსილი, რომელიც თავს გახსენებს როგორც მოესურვება: მსხვერპლს, რომ ჩაყლაპავს და უკბილო ბაგეს გადახსნის – აქა ვაროო – ჰაჰ! გაირინდება ისევ და ასე...

ეჰ, გული რამდენ რამეს იტევს, მათშორის ყველაზე ბევრის მთქმელი დუმილშია დაღლილი მზერით.

მხოლოდ ღამეა ჩემი ფიქრების შემკრები, ან სიზმრად ხედავ იმ ნეტარ დღეებს.

არ მინდა დრომ დროს გადასცეს მარტოობა სევდისკენ მიმავალი გზის ნაპირივით.

არც ეს ჩანახატიც მინდა ჩათავდეს გაბმულ დუმილში...

გულო, მოლოდინს ცოტაც აცალე...

ნელი გიუნაშვილი

სიხარულის ზეიმი

გუშინ 27 მარტს ჩატარდა ჩემი პოეზიის საღამო.ფიზიკურად ვერ ვახერხებდი აკადემიაში მისვლას და ღინისძიებებზე დასწრებას. ძალიან მენატრებოდა ჩემი მეგობრები, ამიტომ ვთხოვე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, ჩემს მეგობარ პოეტებთან ერთად მოსულიყვნენ ჩემთან ბინაში, რომ შემძლებოდა მათი ნახვა.

გუშინ 27 მარტს მეწვივნენ და ჩატარდა ჩემი პოეზიის საღამო. დიდი სითბო და სიყვარული შემოიტანეს ჩემს ოჯახში. გამახარეს და ეს სიხარული დიდხანს გამყვება.ჩემი მეგობრები ჩემი დიდი საჩუქრები არიან. ისინი უსაზღვროდ მიყვარან, რადგან განსაკუთრებული ბუნებით და განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩევიან.

ძალიან მიყვარს და დიდ პატივს ვცემ ქალბატონ გულნაზის, რომელიც ძვირფასია არამარტი ჩემთვის, არამედ მთლიანად აკადემიის წევრებისთვის.

ქალბატონი გულნაზი მუდმივად ცდილობს გული გაგვიხაროს და გვასიამოვნოს. ქალბატონმა გულნაზიმ მომიძღვნა ლექსი, რომლის სათაურია,

"სიყვარულის დედოფალი" ამ ლექსში მთელი გულია ჩადებული. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ სიყვარულის დედოფალი თავად ქალბატონი გულნაზი ხარაიშვილია, რადგან სიყვარული მისგან ვისწავლეთ ყველამ. ისეთი მოსიყვარულე და თბილია. უყვარს აკადემიის თვითოეული წევრი. სიკეთითა და მადლით სავსე ადამიანია.

მე მინდა დიდხანს იცოცხლოს ქალბატონმა გულნაზიმ. იხაროს და იბედნიეროს. უფალმა უმფარველოს, გააბრწყინოს მისი სიცოცხლე და მისი ცხოვრება. მიყვარხარ ჩემო საამაყო ქალბატონო. უნიჭიერესო, უკეთილშობილესო, მადლიანო, მოამაგე და მოსიყვარულე ძვირფასო ადამიანო.

მიყვარხართ ჩემო მეგობრებო!

მეამაყებით ჩემო ნიჭიერო პოეტებო, თქვენ ხართ ჩემთვის დიდი საჩუქრები და სიმდიდრე ჩემი ცხოვრებისა.

სხვისი ქონება არაფრად მიღირს,
სიყალბე ჩემად არ მგონებია,
ღმერთო! მიცოცხლე, მიხარე მუდამ,
სიმდიდრე ჩემი მეგობრებია.

დიდი მადლობა მობრძანებისთვის, დიდი მადლობა სითბოსთვის და სიყვარულისთვის. იხარეთ და იბედნიერეთ.

მზია ელიაძე

ბგერათ კორიანტელში უკარაინა

უჭირს უკრაინას, უტევს უდანაშაულოს უსამართლოდ: უგვანი, ულმობელი, უსულგულო, უხეში, უხორცო, უბადრუკი, უტვინო, ურცხვი, უძღები, უგრძნობი, უბოროტესი, ურგები[1], უხიაგი, უთავბოლო, უზარმაზარი, უხსენებელი ურითი[2].

გლეჯს, უმტვრევს, უმსხვრევს, უწეწს, უფლეთს, უფერფლავს, უკლავს უკრაინას ურყევ, უნიკალურ, ულამაზეს, უძლიერეს ურის[3], უბეს...

უძლებს უკრაინაც: უშატთ[4], უშქართ[5], უჭანგთ[6], უკლით[7], უნდილთ[8], უსურმაგთ[9] უფლით... უფალი უწამლებს, უწილადებს, უსახსოვრებს უძლეველობას უნიკალურ უკრაინას უდრტვინველად, უსათუოდ... უწყალობებს უხვად: უწმინდესი, უბრწყინვალესი, უნეტარესი, უკეთილშობილესი, უზენაესი, უსათნოესი უფალი ერი, უშიშარი უკრაინას უკეთეს უსასრულობას...

უკრაინელნიც უბედო, უშიშარი ულაყივით უსწრაფესნი, უპატიოსნესნი, უძლეველნი უკლებლივ შეძლებენ ეგვანოს უთავბოლო უზარმაზარ ურის...

[1] ურგები – აქ, არაფრის მაქნისი
[2] ურო – აქ, ცარიელი თავი (უხსენებელი)
[3] უძლიერესი ურო – აქ; მკლავი ძლიერი
[4] უშატი – იგივე, რაც მრავალი, უამრავი, ბევრი
[5] უშქარი – იგივე, რაც მრავალი, უამრავი, ბევრი
[6] უჭანგი – აქ, უბრჭყალებო ვეფხვი
[7] უკლო – იგივე უმადური, საწყალი
[8] უნდილი – იგივე უფხო
[9] უსურმაგი – ბილწი, ბოროტი სული

მამაზეციერთან მადლიერ მზიასგან მეგზური მზეწვია (აღდგომა)

მზია: – მიამბე, მომიყევი, მიჟღურტულე, მიგალობე, მიმღერე მშვენიერო, მოხდენილო მზეწვია! მიმახარობლე მე მზიას, მომითხრე მამასთან მაწევართა[1] მოქმედება-მდოგმარეობაზე. მათ მადლზე მამის მიმართ მოკრძალებულება-მოპყრობა-მოქცევაზე. მზირი[2], მაკრატელა მერცხალიც მრეში[3]. მოღუღუნე მტრედიც, მშვენიერყელიანი, მოხდენილი მოლაღურიც მომითთხრობენ, მიამბობენ მიღიმურ მეტრდოტელთა[4] მადლზე. მათ მარადიულ მადლიან მოქმედებაზე მამაზეციერთან მიმართებაში...

მზეწვია: – მამაზეციერი – მამა მედიდურად მჯდომი მიღმურ მარადიულობაშია. მომიხმო, მე, მზეწვია, მკითხა მიწიერ მოკვდავთა მოდგმაზე, მათ მდგომარეობაზე. მომეფერეა, მომეალერსა, მადლი მომფინა. მითხრა: – მჭირდები მეგზურად, მაცნედ მოდგმათ მაამებლადო! მიყვარსო მოდგმა... მათთვის: მოვრთე, მოვქარგე, მოვხატ-მოვაგვირისტე მამული!.. მათთვის მემეტება: მზე, მთვარე, მდინარე, მთა-მინდვრებით, მზვარე[5] მიწით მოკაზმული მამულიო!..

[1] მაწევარნი – ღვთაებათა დამხმარენი
[2] მზირი – მაცნე, შიკრიკი
[3] მრეში – წაბლისფერი
[4] მეტრდოტელი – მსხურთა უფროსი (რესტორან-სასტუმროებში)
[5] მზვარე – მზიანი ადგილი

მზია! – მოლაღურო, მე მზიას, მიყვარს მამა, მარად მოდგმაზე მშობელი, მოკეთე, მოსიყვარულე! მჯერა მისი მზრუველობის, მფარველობის მომავალზე. მუდამ მეიმედება მომავალი მონაგრისათვის. მოეფერე, მიუალერსე, მიეახლე მზიასგან მუხლჩოქვით, მუხლდრეკით... მადლობა, მადლობა, მადლობა მოახსენე მამაზეციერს მფარველობისთვის, მშვიდობისთვის, მშობლებისთვის, მშობლობისთვის, მომავლისთვის მონაგრისთვის!.. მზის, მთვარის, მიწის მზერისთვის...

მიამბე, მომითხრე, მახარე, მახალისე, მალაღე, მაბედნიერე მშვენიერო მზეწვია მამაზეციერის მშვენიერებაზე, მის მარადიულ მადლზე... მზესთან მოცეკვავევ, მთვარენანახო, მამაღმერთთან მყოფო, მიმღერე მამასთან მაწევართა მოკრძალებულ მოქმედებებზე... მათ მსახურებზე...

მზირი, მაკრატელა მერცხალიც, შრეში, მოლუღლუღე მტრედიც, მშვენიერყელიანი, მოხდენილი მოლაღურიც მომითხრობენ, მიამბობენ, მიმღერებენ, მიჟღურტულებენ, მიჭიკჭიკებენ, მიღუღუნებენ მამის, მამაზეციერის მარადიულ მუდმივ მადლზე; მის მშვენიერებაზე მოკვდავ, მადლიერ მზიას!

მადლობა! მადლობა! მადლობა! მამაზეციერო! მადლობა, მე, მზიასაგან!..

ბურიანი

ბრიან[1], ბაგირებიან ბონდზე[2] ბაბაჭუები[3] ბარდავენ, ბანდავენ[4] ბრჭყვიალა ბაწარს[5]...

ბეჯითობენ ბაბაჭუები; ბოთე ბუზები ბზუილ-ბზუილით, ბორიალ-ბორიალით ბრიყვდებიან, ბრუვდებიან ბარდის ბუჩქზე, ბალბაზე, ბალზე, ბოსტნის ბოძებზე.

ბეტონის ბოძზე ბგერდალოცვილი, ბგერამადლიანი ბულბული ბეჯითობს... ბუნება ბულბული ბგერებით ბედნიერია... ბარდნის ბედნიერი ბუნება ბევრ-ბევრ ბაიებს: ბარდის ბუჩქზე, ბალბაზე, ბალზე, ბებერ ბროწეულზე...

ბელტიან ბოსტანში ბოჩოლა ბღავის. ბელა ბუზღუნ-ბუზღუნით ბელავს[6] ბაწრიან ბოჩოლას. ბოჩოლასთან ბელას ბანტიანი ბატკანია.

ბაბალე ბებო ბიებისთვის, ბატებისთვის ბალბას ბოჭავს[7].

ბიძინა ბაბუსთან, ბონდზე, ბოთე ბათურა ბილიკ-ბილიკ ბეჯითობს...

ონდთან, ბერდოს ბოცვრები ბალახს ბალბას ბელავენ... ბიძინა ბაბუ ბერდოსთან ბაასობს. ბოცვრები ბოსტანში ბორიალობენ...

ბინდდება. ბოჩოლა ბღავის. ბებია ბოსტნიდან ბოსელში ბრუნდება. ბარდის ბუჩქზე ბებერი ბუ ბუ-ბუ-ბუ-ბუთი ბურბურებს. ბებია ბრაზობს...

ბადრი[8] ბორბალა ბორიალებს ბურიანში... ბუზი ბაბუსთან ბაასობს...

[1] ბრე-მტვერი, ბრიანი-მტვრიანი
[2] ბონდი – ბაგირზე დაკიდებული ხიდი
[3] ბაბაჭუა – ობობა
[4] ბარდავენ, ბანტავენ – აქ; წნავენ
[5] ბაწარი – აქ; თოკი
[6] ბელავს – აქ; გადააბა, ადგილი უცვალა
[7] ბოჭავს – აქ; ჭრის, კაფავს
[8] ბადრი ბორბალა – აქ; მთვარე

ნანა მომცელიძე

შინდისფერი წერტილი

თვალი გავახილე, სითეთრემ შემომანათა. ჩრდილსაც ვერსად ვხედავდი. სხეული დამძიმებული მქონდა. სხეულთან ერთად სულიც. თითქოს ყინულის ლოდი ვიყავი. რამ გამომფიტა ნეტავ?ან ამ სითეთრეში რა მინდა? გამახსენდა - შინდისფერი ანუ ბორდოსფერი მიყვარდა:

ფარდებიც, გადასაფარებლებიც,თეთრეულიც. კი,კი, მახსოვს, ნამდვილად ასე იყო. სითეთრეს ვერ ვიტანდი, საავადმყოფოს ფერს მაგონებდა და იმიტომ. ზემოთ ავიხედე. სარკმელი დავინახე გისოსებით. კარი ვერ ვიპოვე ვერსად. ღმერთო მიშველე! - ნუთუ რამე დამემართა? სად ვარ? საწოლზე წამოვჯექი. თვალი მოვავლე ოთახს. ერთადერთი საწოლი იდგა, სადაც მე ვიჯექი. ყველაფერი თეთრი იყო. ჯერ ვიფიქრე, თვალზე ლიბრი გადამეკრა მეთქი. გონება დავძაბე, სული ამიფორიაქდა, თითქოს სხეულის გაგლეჯას ლამობდა. თითქოს თავი დავკარგე და ჩემს "მეს" ვეძებდი. გონებაში სიტყვების კორიანტელი ქარიშხალივით დაქროდა ლექსად. მინდოდა მეყვირა:

"არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა.

მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში.

ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა, გამიშვით,ამ ჩემს სულს არ უნდა მარწუხში.

ცხოვრება ისედაც უაზროდ გავიდა, არ მინდა ვიქექო უაზრო წარსულში. არ მინდა ბორკილი, ჩაკეტვა არ მინდა მინდა, რომ ჩემი "მე" არ იყოს ნაჭუჭში".

ასე მეგონა ბოლო ხმაზე ვყვიროდი. კარის გაღების ხმა გავიგე. თეთრი ადამიანები შემოვდნენ, არა თეთრხალათიანები. ხმა მესმოდა, მაგრამ ვერ ვპასუხობდი: "ეს უბედური ისევ უაზრო თვალებით იყურება, გაუკეთე ნემსი, დაიძინოს იქნებ დამშვიდდეს"- არა, მე მშვიდად ვარ!- მეგონა ვლაპარაკობდი. მე არაფერი მჭირს! - რატომ ვარ უბედური?- რა მოხდა? ისევ წამოვწექი. თვალი გისოსებიან სარკმელს გავაყოლე და გამიშტერდა.შინდისფერი წერტილი დავინახე, რომელიც ნელ-ნელა გაიზარდა და ჩემს სახლში აღმოვჩნდი.

ვარაზისხევით მივუყვებოდი უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას. ლიმნისფერი კაბა მეცვა. ძალიან მიხდებოდა. ლამაზი მეთქმოდა. გრძელი, ტალღოვანი თმა, წვრილი წელი. სახეზეც არა მიშავდა. სულ რაღაც 18 წლის ვიყავი. თავში მიქროდა. ნელი ნაბიჯების ხმა ვიგრძენი. ვიღაც მიახლოვდებოდა. ხელი შემეხო წელზე და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. - ოხ, შენ ხარ? - გამიკვირდა მისი დანახვა. - კი მე ვარ, რატომ გაგიკვირდა? - ხომ იცი, შენი აჩრდილი ვარ. ხომ იცი, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია? - კარგი რა! - ხელი გავაშვებინე.-ვერ შეგიყვარებ. ხომ გითხარი, რომ შენთან ვერ ვიცხოვრებ. დამანებე თავი, რას დამდევ? - არ შემიძლია, - გესმის?- სადაც წავალ შენი სურნელი თან დამდევს. შენი სახე მელანდება. ჩვენი პირველი ღამე მოსვენებას არ მაძლევს. შენ ჩემი სულის ნაწილად იქეცი. ნუთუ ვერ გრძნობ ამას? იქვე სკამზე ჩამოვსხედით, ამაღლებულ ადგილას. მდუმარედ გადავყურებდით ზოოპარკს. დუმილი მან დაარღვია: - გახსოვს, როგორ გეხვეწებოდი ცოლად გამომყოლოდი? - უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი დღეს. იმ ღამეს არც კი გამომაცილე. ღამის 2 საათზე სახლიდან დამითხოვე და მას შემდეგ აღარ მიკარებ. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რატომ? გაჩუმდა. დუმილი მე დავარღვიე,- უნდა წავიდე, მეჩქარება.ხელი ჩამოვართვი ცივად და უკანმოუხედავად გავიქეცი. გავრბოდი და ვგრძნობდი, როგორ მწვავდამისი ორი თვალი. იმ დღის მერე აღარ მინახავს. აფხაზეთის ომში

წავიდა. როცა მითხრეს რამოდენიმე დღეში გაგრასთან დაიღუპაო ,იმ დღეს შევიტყვე, რომ მისგან შვილი მეყოლებოდა.

როგორც იქნა უნივერსიტეტი დვამთავრე. ჩემი პატარა გოგო ნელ-ნელა იზრდებოდა.. ძალიან გავდა მამას. ეშხიანი და ლამაზი იყო მასავით. მე სკოლაში ვმუშაობდი და ასე გადიოდა დრო.ცოტა დანაზოგი მოვაგროვე. მინდოდა სალონი გამეხსნა

და ჩემი ერთადერთი შვილისთვის უზრუნველი ცხოვრება შემექმნა. ფართი ვიქირავე, ნელ-ნელა ისეთი სილამაზის სალონი გავაკეთე, რომ სულ მოკლე დროში დიდი პოპულარობით ვსარგებლობდი. სკოლიდან წამოვედი. ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა ჩემში.როგორც ჩემი შვილი იპრანჭებოდა , ისე მინდოდა გაპრანჭვა მეც. მივხვდი , რომ სიყვარული მჭირდებოდა. მამაკაცის ხელი , რომელიც, მთელი ცხოვრება მაკლდა. ჩემთან სალონში ერთი სიმპათიური მამაკაცი შემოდიოდა ხოლმე. პირველივე დღეს ჩემიყურადღება მიიპყრო მისმა ათლეტურმა აღნაგობამ და ხალასმა იუმორმა.ვგრძნობდი, რომ არც ის იყო გულგრილი ჩემს მიმართ.რესტორანში დამპატიჟა .გული პატარა გოგოსავით მიცემდა. მივხვდი , ის მე მჭირდებოდა. მიუხედვად იმისა, რომ 7 წლით პატარა იყო ჩემზე ,მაინც გადავწყვიტე მასთან ურთიერთობა.არ მაინტერესებდა ვინ იყო. არ მაინტერესებდა რა ქონდა. შემიყვარდა და მორჩა. ერთ კვირაში ხელი მოვაწერეთ. ჩემი შვილიც ნორმალურად შეხვდა ამ ამბვს .შევქმენი ბედნიერი ოჯახი. მართალია მხოლოდ მე ვმუშაობდი, მაგრამ ჩემს13 წლის ქალიშვილს და ქმარს არაფერს ვაკლებდი. ასე გავიდა 8 თვე. შემდეგ სიცივე ვიგრძენი, ხმამაღალი ტონიც შეეპარა მის ხმას. სახლში რომ ავდიოდი, რამდენჯერ მისი დბნეული თვალები შემომფეთებია. მიკვირდა, ბოლოს საძინებლიდანაც აღარ გამოდიოდა. იწვა ჩემს შინდისფერფარდებიან, შინდისფერგადასაფარებლიან და შინდისფერთეთრეულიან ოთახში. იწვა და მოვალეობის მოხდის მიზნით მეფერებოდა. ჯერ კვირაში ერთხელ, მერე თვეში ერთხელ და ერთხელ.....სალონში ვიყავი წასული.ჩემი ამხანაგი მოვარდა, მიშველე, ჩემს ბიჭს უბედურება შეემთხვა და სასწრაფოდ 2000 დოლარი მჭირდებაო. ფული არ მქონდა ამდენი. ვუთხარი, სახლში გავიქცევი, მანქანის საბუთებს ავიღებ, დავალომბარდებ და მოგცემ მეთქი. სასწრაფოდ სახლში გავიქეცი და.....მახსოვს როგორ გავაღე კარი. როგორ წავედი საძინებლისკენ. კარი შევაღე, ფეხქვეშ ყველაფერი გამომეცალა., ცა გაიხსნა და მეხი დამეცა. ჩემს შინდისფერ თეთრეულში ჩემი გოგო და ქმარი ერთად იწვნენ. გაოგნებული შევყურებდი ორივეს. ვითომც არაფერი, - გამომიცხადეს ერთმანეთი გვიყვარს ,ბავშვსაც ველოდებითო.. მეტი აღარაფერი მახსოვს....ნელ-ნელა გავახილე თვალი. ისევ დავინახე გისოსებიანი სარკმელი, მაგრამ შინდისფერი წერტილი გამქრალიყო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

ლუარა სორდია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს

გალაკტიონ ტაბიძის სახელს, დიდებასთან ერთად, იმთავითვე აემგზავრა ბახუსისმოყვარეობის ლეგენდა, რაც თითქოს შთამბეჭდაობას სძენდა პოეტების მეფის პორტრეტს. ამ ლეგენდიდან კი ამოიზიდა მწარე სინამდვილე, რომელიც ერის სათაყვანო პოეტს არათუ არ ეფერებოდა, ფიალას დარდით, შხამით, საწამლავით უვსებდა.

გალაკტიონი გამუდმებით ნათელშემოსილი, მზითშემოსილი იყო, სამშობლოს ფიცით სავსე თასი ეპყრა, ქვეყნის, ხალხის სადღეგრძელოები არ ელეოდა.

პოეტი მთვრალი იყო დარდით, ფიქრით, პოეზიით, ყვავილებით, სიყვარულით, ყვითელი ფოთლებით, ზღაპრით, თოვლით, ყოფნით, ცეცხლით, დღის სიელვარით.

გამაოგნებელი იყო ხილვები და სახეები, რაც გალაკტიონს საუკუნის ყველა პოეტისგან გამოარჩევდა: „ალის თასი, სიხარულის ჭიქა, ცეცხლიანი აზარფეშა, ზამბახეული თასი, დღის ხმათა თასი, ოცნების ზოლი ფიალით, მარადი ჭიქა, სიმართლის თასი“...

მკითხველი მთელი არსებით იყო მიყურადებული საოცარ განაცხადს: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით“, „ლანდები გვიანი ავსებენ ფიალებს“, „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“...

პოეტი თასით თუ წიგნით „უკვდავ ღვინოს“ ეწაფებოდა, „ცისფერ ღვინოებს“ დაეძებდა, ანკარა ღვინოში ბეჭედი ჰქონდა ჩაშვებული, „ღვინის ფარები“ მოემარჯვებინა.

გალაკტიონის, ერთი შეხედვით, „გაუგებარი გენია“ მკითხველის სულს არაცნობიერის თუ მისტიკის სფეროში იწვევდა.

ღვინის სიმბოლური გააზრების მაგალითები ძველი აღთქმიდანვე იქცევს ყურადღებას: „ღვინო ლმობიერებისა“ (დავითი, 19.75) „ღვინო უსჯულოებისა“ (დავითი, 283.17), „ძველისძველი ღვინო“ (ესაია, 25.16), „ღვთის მძვინვარების ღვინო“ (გამოცხადება, 14.10) „მეძავების ღვინო“ (გამოცხადება, 14.8).

სახარებაში ქრისტე საიდუმლო სერობაზე პურს თავის ხორცს, ხოლო ღვინოს სისხლს უწოდებს.

გალაკტიონის პოეზია ამ ასპექტში სრულიად გაუგებარი იქნება, თუ მისი შორეული წყაროები არ მოვიძიეთ.

აკი თვით პოეტი ხაზს უსვამს, რომ „წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ (ძველისძველ ღვინოს).

წარსულის ვალებში ხომ მუსიკასთან და ყვავილებთან ერთად, ღვინოც მოიხსენია: „კარებთან კივის წარსული ვალი: მუსიკა, ღვინო და ყვავილები“ (საახალწლო ეფემერა).

ღვინო და ყვავილი საღმრთო სახელებია, ზემოთდამოწმებული ფრაზით პოეტი ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზის გაგრძელების მოთხოვნას აყენებს, რწმენის ერთგულებას ავალებს მომდევნო თაობებს.

პოეტი ეწაფება „ძველისძველ ღვინოს“, „ფეერიულ აკიდოს“ და წარსულის გადაუხდელი იმედები აგონდება: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფეერიულად მკრთოლავ აკიდოს სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს. გამოფხიზლება მისი უდაო სხვა მოგონებებს უტოვებს სირცხვილს, რადგან წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ (ძველისძველ ღვინოს).

ძველი ღვინის უგონოდ, მძაფრად სმაზე საუბრობს ლექსში „ვერხვები“, რომელიც რელიგიურ თემაზეა. პოეტის თანამედროვეობას ზღაპრად უქცევია რწმენა. დაუკარგავს გვირილები (ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია), ლექსის ლირიკული გმირი კი ისევ თვრება ძველი ღვინით, აძრწუნებს ვერხვის კვნესა (ვერხვი სიცოცხლის ხეა, ქრისტიანული ღმერთის სიმბოლო), იგი ისევ ერთგული პაჟია ყვავილების (ქრისტეს სიმბოლოა), პრინცესის (მარიამის, რომელიც მეფის ასულია ბიბლიის და სასულიერო პოეზიის მიხედვით), ანუ დედა-ძის მარადიული ხატების.

ღვინის, როგორც უზენაესის სიმბოლოს, წყარო ბიბლიაში მოიძიება.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახით ასე წარმოადგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით, ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (ესაია, 25,16).

ვფიქრობთ, „ძველი ღვინის“ საღმრთო სახელად გაგების ტრადიცია გალაკტიონს წარსულმა უანდერძა და ისიც ერთგულებს მას, მაგრამ, ამასთანავე, საოცრად ამრავალფეროვნებს წინაპართა

მიგნებებს.

ლექსში „მოგონება“ „ძვირფასი ღვინო“, „უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა, „მემარნე“ და „წიგნი“ – მამაღმერთი, თასი მარიამი: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით, ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“.

„ზღვის ეფემერაში“ გემის ბაქანზე სიხარულს იწვევდა ღვინო, მაგრამ გემი აივსო წყლით, ანუ მოკვდა რწმენა.

პოეტი მეზღვაურებს მოუხმობს ღვინისთვის და მკითხველი გრძნობს ამ ფრაზის იდუმალებას: „მეზღვაურთ ღვინო დაურიგდებათ, მოგროვდით!“

ლექსში „ეს მძინარე მთა და ველი“ მამაღმერთი მოიაზრება, როგორც მეღვინე, ძე ღმერთი კი – ღვინო: „შენ, მეღვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“.

„ისევ ოცნება და სიყვარული“ ღვინის სმაზე, მარადიულ ცეცხლზე ოცნებაა, ღვინოც და მარადიული ცეცხლიც საღვთო სახელებია.

პოეტი წუხს, რომ „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“.

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეა. მივმართოთ სახარებას: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ (იოანე, 14,6).

უსხეულო ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი საღვთო სახელებია.

პოეტი ავლენდა „ცისფერი ღვინოების“ წყურვილს, სხვანი კი მიწიერი ვაზის ღვინოს ეწაფებოდნენ: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით და უცნობ ტანჯვის პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით. როგორც მრავალი ვარდების მფენი, მას სული ჰქონდა უხვად ციური, მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი ფანტასტიური“.

„ცისფერი ღვინო“ მიწის ვაზის ნაყოფი კი არ არის, არამედ ზეცის ვაზის, ანუ უფლის სიმბოლოა, რაც ბიბლიური ტრადიციის გამრავალფეროვნებას მოასწავებს.

გალაკტიონის „სადღეგრძელოც“ (ანუ პოეზია,) ზეცის შვილის (ქრისტეს) ერთგულება – სიყვარულს ამკვიდრებს: „ისევ ის მშვილდი დაჰხარის მდელოს. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი, იმ სადღეგრძელოს“ („მაისის ისრით“).

ემზარ კვიტაიშვილის თქმით, გალაკტიონის ლექსებში „ხშირადაა ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაულეველი სადღეგრძელოები. ეს თრობა სხვა თრობა იყო, უმაღლესი პოეზიის ნეტარი წუთებით გაბრუება; მის ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით კი არა, ფიცით იყო სავსე, მამულისთვის თავდადების ურყევი ფიცით“ („დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1981 წ. გვ. 85).

ლექსში „პუშკინი პარიზში“ ისევ არაჩვეულებრივ სახეებთან გვიწევს შეხვედრა: ბახუსის ალი, ღვინოში ჩაშვებული ბეჭდები, ჩარჩოს გადაცდენა, თასში მოქცეული ვარდების ბუჩქის ჩრდილი.

ვფიქრობთ, აქ ისევ მისტიკური შინაარსით დატვირთული ხილვებია: „გადავერიოთ ბახუსის ალებს, შორს სევდა-დარდი... სავსე თასების ცბიერ ძალაში ნუ დავეჭვდებით. ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები, ასწით თასები. გადავკრათ უცებ, გადავცდეთ ჩარჩოს. ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს, აზრს გაუმარჯოს, მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“ (პუშკინი პარიზში).

უაღრესად დამაფიქრებელი სახეა ღვინის სიანკარეში ჩაშვებული ბეჭდები, რომელსაც ჩვეულებრივი მიწიერი ლოგიკა არ ეძებნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ანკარა ღვინო, საერთოდ, ღვინო, ღმერთის სიმბოლოა, ხოლო ბეჭედი – მარიამისა, თითქოს იფანტება ბინდი და გასაღები ეძებნება ამ ენიგმას.

მივმართოთ საღვთო და საღვთისმშობლო სახისმეტყველების აღიარებულ მკვლევარს – პროფესორ ტიტე მოსიას: „ნევმირებული ძლისპირნის“ თანახმად, მარიამ ღვთისმშობელი არის... ზეცის ბეჭედი“ (ტ. მოსია, „საღვთისმშობლო სახისმეტყველება“, ზუგდიდი, 1996 წ. გვ. 43).

მაშ, ამ ბეჭდის და, ღვინის ზემოხმენებულ გაგებას თუ დავემყარებით, ამ ორი სახე-ცნების ერთად ხსენება სრულიად ექვემდებარება ლოგიკას და, ღვთისმშობელთან ერთად, ქრისტეს მოაზრებაა. მგოსნის მუზა, ამჯერად, როგორც მრავალგზის, დედა-ძის სათაყვანებელი, მარადიული სახეებია.

არანაკლებ თავგზისამბნევი ფრაზაა: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ვარდი საღმრთო სახელია, ხოლო თასი მარიამისა, ისევ ქრისტესა და მარიამის სანუგეშო სახეებთან გადაიზამთრებს ჩვენი უღმერთობით შეციებული სული და კიდევ ერთხელ გახდება ნათელი, რომ რელიგიურობა, ქრისტიანობის ერთგულება გალაკტიონის პოეზიის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა.

სწორედ რწმენა, ღმერთი, ღვინის სახეში მოაზრებული ქრისტე უქცევია პოეტს ფარად, რომლის გარეშეც ვერ გადარჩება სიკეთე, „ლამაზი არსი კაცობისა“.

„ღვინის ფარის“ საოცარი სახით გვაოცებს ლექსი „ეს იყო 15 წლის წინათ“: „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ღამეა, საცაა სინათლე ჩამიქრება. ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები, საცაა სანთელი ისევ ჩამიქრება. უეცრად გრიგალმა დააღო კარები და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ, ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. მე თვალით ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“.

ლექსში საღმრთო სახელებია: ღვინო, სინათლე, ცისფერი ვარდები (ქრისტე). „ზამბახის პრინცესა“ მარიამის სიმბოლოა, იგი ხომ „მეფის ასულია, ასული სიონეველი“.

ურწმუნოების სიმბოლოა გრიგალი და ამ სულიერი კატაკლიზმების ფარი პოეტისთვის არის

ღვინო – ანუ ქრისტეს რწმენა. „ღვინის ფარი“ სრულიად ორიგინალური სახეა და მას წყარო არ ეძებნება ჯერჯერობით.

ნათელი ხდება, რომ გალაკტიონის ლექსში არც თრობას აქვს პირდაპირი აზრი, რის გამოც ეს ცნება სხვადასხვა სახესთან არის დაწყვილებული: ვარდით თრობა, პოეზიით თრობა, ფიქრით თრობა, ზღაპრით თრობა, ყოფნით თრობა, თოვლით თრობა, ბროლის თითებით თრობა, დღის სიელვარით თრობა.

უმეტეს შემთხვევაში, თასიც გადატანითი მნიშვნელობისაა: ალის თასი, ფიცის სავსე თასი, სიმართლის თასი, ბედთან არდარიდების თასები, ვარდის ბუჩქების ჩრდილის თასი, სიხარულის ჭიქა, ცეცხლიანი აზარფეშა, მარადი ჭიქა, ზამბახებით სავსე ფიალა.

გვხვდება ღამის ფიალა, ელექრონების ფიალა, ყვავილების თასი, გატაცების თასი, შხამიანი თასი, თვალების თასი, წინაპართა ელვარე თასი, კელაპტრის თასი, ლალის თასი...

ღვინით, პოეზიით ან სულის სილამაზით თრობაზე გალაკტიონის ფრანგი წინამორბედი ბოდლერიც მოგვიწოდებდა, აკი უკვდავყო კიდეც ქართველმა პოეტმა უცხოელი წინაპრის სახელი ლექსში „რომელი საათია?“

იყო ნათელშემოსილი, სიხარულშემოსილი (ნათელი და სიხარული საღმრთო სახელებია) გალაკტიონი, პოეტი მისტიკოსი, ცის ბილიკებით მავალი, ზეცის ვენახის ნაყოფს დაწაფებული, რომელიც მარადისობაში ბინადრობდა სიცოცხლეშივე და მიწიერი გალაკტიონი, სამყაროს გადასასხვაფერებლად მოვლენილი, პოეტი-ტიტანი, მიწის ტკივილებს, შხამის ფიალას დაწაფებული, რომელიც გაუძლის ცხოვრებას, გულის სისხლს ღვინის ფიალას შეუდგამდა, თვრებოდა ჯოჯოხეთური ყოფის დასავიწყებლად, დარდისაგან განმუხტვის მიზნით, მაგრამ ვერ ახერხებდა არსებულიდან გაქცევას, რეალობის დავიწყებას და ქვითინებდა დაკარგულ რწმენაზე, უღმერთობაზე: „დამათრობელი – როგორც ჩემი მოგონებები, წინ მიდგას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო. ვსვამ განუწყვეტლად, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით, რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო... ოჰ, რად მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე, სადაა ჩემი ყვავილები, სადაა, რწმენა, ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე“ (ელეგია). ყვავილები ქრისტეს სიმბოლური სახელია.

ამავე ლექსში უარყოფილი ღმერთის გამო სევდის გამომხატველი სტრიქონებია: „რა ადრე გაქრა გაზაფხულის მზიანი ჩრდილი, რა ადრე გაქრა ჩემი ყრმობა, ჩემი სიზმარი, დროო წყეულო, სად წარიღე ჩემი ფიქრები, დროო ბოროტო, სად დამარხე ოცნება წყნარი?“

„გაზაფხული“ (ძველი ქართულით ზაფხული) საღმრთო სახელია. ეს სახე მომდინარეობს დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნიდან“: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 68,12).

ღმერთის უარყოფა დროთა სიკვდილს, გაუთენებელი ღამის მოვლინებას, მხეცის, უკეთურების გაბატონებას მოასწავებდა. საშველი არ ჩანდა და პოეტიც ამ გაუნელებელი ტკივილის დასავიწყებლად ეწაფებოდა ღვინოს: „ღვინის გადაჰკარ თასი, ათი ათასი ასწი! ეს ადვილია უფრო, ვინემ ღამეა კუპრი, დროთა სიკვდილი როა, ასწი, გადაჰკარ, დროა!“

დარდით და ღვინით ერთდროულად თვრებოდა, რადგან გაუძლისი იყო მისთვის ზამთარიც და გაზაფხულიც: „ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი. ზამთარს წაჰყვა თებერვალი და თებერვალს მიჰყვა მარტი“ (ისევ ერთად).

აი, რა სწერს გალაკტიონის სიმთვრალის პოეტურ ასპექტზე პროფ. მიხეილ კვესელავა: „ასეთი თრობა ხომ პოეტური ალეგორიაა... გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო... პოეზიით, შინაგანი შემოქმედებითი დაძაბულობით, მწუხარებით, სილამაზით, სიკეთით, სიყვარულით, საკუთარი სიდიადის შეგნებით, სრულყოფილი მშვენიერების ხილვის სიხარულით და... ზოგჯერ ღვინითაც, რა თქმა უნდა“ („პოეტური ინტეგრალები“, თბ. 1977 წ. გვ. 326).

გალაკტიონის პოეტურ პორტრეტსაც ღვინის გამოყენებით შექმნილი მეტაფორა ანიჭებს მომხიბვლელობას: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“.

რაკი ქართველი კაცისთვის ვაზი სიცოცხლის ხის ტოლფარდია, ბუნებრივია საქართველოს შედარება ღვინით სავსე თასთან: „ეს საქართველო იმ თასივით უნდა დავქარგოთ, ისტორიაში რომ ხატავენ... ჩვენი ვალია, გვექნეს ის თასი სულ პირსავსედ, საძმოდ, საკარგოდ“ (ქიტესა).

პოეტების მეფემ თავისი მზე ამოიყვანა ცაზე, თავისი ვენახი დარგო, ახლებური სასმელი დაწურა მიწიური თუ ზეციური ვაზიდან, აქცია იგი ღვთაებრიობის, სიწმინდის, სიდიადის, ეროვნულობის, სულიერების სიმბოლოდ და შორს გასცდა წინაპართა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს.

თითქოს უფლის იდუმალი ხმა ესმოდა მეოცე საუკუნის ორფეოსს:

„ღვთის დიდების მშვენება შეიმოსე საუკუნოდ. მოისხი ორმაგი მოსასხამი ღვთისმიერი სიმართლისა და დაიდგი თავზე საუკუნო დიდების შარავანდი“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, 15, 12).

მანანა კვატაია

თაურმცენარის კონცეპტის გოეთესეული და რობაქიძისეული გაგებისათვის

საკუთარი შემოქმედების არსებით პარადიგმათა დახასიათებისას გრიგოლ რობაქიძე "სიმბოლოს", "მითოსს", "მარად მყოფადს" მწერლური შთაგონების მასაზრდოებელ "ცეცხლად", საკუთარი სიცოცხლის წყაროდ მიიჩნევს. მითოსი შემოქმედისათვის მარადი მყოფადის გამოხატულებაა. შესაბამისად, მისი ფესვები მრავალ თხზულებაში იკვეთება. "რობაქიძის ადამიანები მითიური ფენებიდან ამოდიან" (რ. კარმანი). მითიურის, მარადი არსის, ერთ-ერთ განზოგადებულ გამოვლენად მწერლისათვის გოეთესეული თაურმცენარის პარადიგმა იქცა. "ვაჟას ენგადში" ავტორი წერს: "მე ყოველთვის ვიგონებ ხოლმე გოეტჰეს სწავლას "ურფენომენზე" (თაურმოვლენაზე), რაც უგენიალურესი ცნაურებაა დასავლეთის კულტურაში გონისა". თაურმცენარის პარადიგმას რობაქიძე ასე განმარტავს: "მცენარე ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თავისი ვითარებისა: ან მორჩობისას, ან ცენებისას, ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას, ასე ვთქვათ, "წილობით" და არა "მთლად".. მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შესაძლოა წარმოიშვას მთელი მცენარე".

გრიგოლ რობაქიძე გადმოსცემს გოეთეს მიერ თაურმცენარის (პირველმცენარის) შემეცნების ისტორიას: ვაიმარელ ბრძენს სიცილიაში ყოფნისას წარმოსახვით აღმოუჩენია "თაურმცენარე" მცენარეში, ესე იგი: შინა-სახე მცენარისა. "თაურმცენარე" იღებს სახელს "ურფენომენი", "შინა-სახე".. იგივე "იდეაა" პლატონისა არსებითად". რობაქიძის დასკვნით, "თაურმცენარე" მცენარისათვის მითოსია — ვითარ არასოდეს ხილული მყოფადი, ხოლო ყოველთვის გაელვებული" (რობაქიძე 1996: 166-167). მწერლის მითითებით "შინა-სახის" (ურფენომენის) კონცეპტი გადმოიცემა ქართული სიტყვით "ხატი".

ცნობილია დიდი გერმანელი პოეტის ზეგავლენა რობაქიძის აზროვნებასა და შემოქმედებაზე. "გოეთე ჩემთვის გამოცხადება იყო.. გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა", - აღნიშნავს ქართველი მწერალი. თაურმცენარის იდეა კი მისი შემოქმედების ერთ-ერთ ცენტრალურ იდეად იქცა.

"მცენარის მეტამორფოზა" — ასე ეწოდება გოეთეს ტრაქტატს, რომლის დედააზრიც მხატვრულად ცხადდება "გველის პერანგში". უმთავრესი დებულება გოეთეს ტრაქტატისა იმაში მდგომარეობს, რომ მოვლენის ასახსნელად უნდა ვიპოვოთ მისი პირველსახე ("ურფენომენი"). ის, "განსაკუთრებული, როგორც მოვლენის საფუძველში მყოფი, მოიცავს თავის თავში იმ საყოველთაოს, რაც ცალკეულში მჟღავნდება" (გომართელი 1997: 163).

1790 წლით დათარიღებულ ლექსში "მცენარის მეტამორფოზა" (Die Metamorphosen der Pflanzen) (Goethe 1980: 160-162) თაურმცენარის გოეთესეული კონცეფცია მხატვრულად არის გახსნილი. ამ ქმნილებაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით გატაცებულ პოეტს თავისი სამეცნიერო იდეები განუზოგადებია. გოეთე მიმართავს ბაღში ნაირფერ ყვავილთა შორის მოსეირნე მეგობარ გოგონას, კრისტიანას, რომელიც მასთან შეხვედრამდე მეყვავილე ყოფილა:

"Alle Gestalte sind ahnlich und keine gleicht der andern
Und so deutet das Chor auf ein geheimes Gesetze,
Auf ein heiliges Ratsel.".
("ყველა ფორმა (სახე) მსგავსია და სხვას არცერთი ჰგავს
და ამგვარად ხსნის ქორო საიდუმლო კანონს,
წმინდა გამოცანას").

პოეტის რწმენით, ყვავილთა და მცენარეთა ნაირგვარობის მიუხედავად, ყველა მათგანში ერთი საწყისი შინა-სახეა (Vorbild) დაუნჯებული:

"Einfach sclief in dem Samen die Kraft, ein beginnendes Vorbild
Lag, verschlossen in sich, unter die Hulle gebeugt".
("კრძალვით (უბრალოდ) ეძინა თესლში ძალას, საწყის ხატს,
იწვა საკუთარ თავში ჩაკეტილი, გარსში შეკეცილი").

თუმცა ყველა მათგანი სხვადასხვაგვარად იბადება:

"Aber einfach bleibt die Gestalt der ersten Erscheinung".

("თუმცა უბრალო რჩება პირველ-მოვლინების ფორმა (სახე)").

აქ პოეტი უმთავრეს საიდუმლოს ხედავს:

"Und so erreicht er zuerst die hochst bestimmte Vollendung,
Die bei manchen Geschlecht dich zu Erstaunen bewegt".

("და თავდაპირველად ასე აღწევს იგი უმაღლესად განსაზღვრულ სრულქმნას,
რომელიც ზოგიერთ ჯიშთან მიმართებაში შენს გაოცებას იწვევს").

მეორე ლექსში, რომელსაც "ცხოველის მეტამორფოზა" ჰქვია, გოეთე წერს:

"Alle Glieder bilden sich aus nach ewigen Gesetzen,
Und die seltenste Form bewahrt im geheimen das Urbild".

("მისი ყველა ნაწილი მარადიულ კანონს გამოხატავს
და ყველაზე იშვიათი ფორმაც იდუმალ თაურხატს ინახავს").

"გოეთეს საუბრები ეკერმანთან" საყურადღებო დეტალს გვაცნობს. პოეტი იხსენებს: "მცენარის მეტამორფოზების" ამბავი ცოტა თავისებურად მოხდა.. ბოტანიკასთან მე მიმიყვანა წმინდა ემპირიულმა გზამ.. რამდენადაც ახლა მაგონდება, სქესთა წარმოქმნამდე რომ მივედი, საკითხის სივრცემ დამაფიქრა და ლამის გადავწყვიტე, ამ მოძღვრებაზე მუშაობა შემეწყვიტა.. სითამამე არ მეყო. ამან მიმიყვანა განზრახვამდე, რომ საგანი საკუთარი გზით მეკვლია, მენახა ის, რაც ყველა მცენარისათვის საერთოა და ასე აღმოვაჩინე მეტამორფოზის კანონი.. მე მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა — ცალკეული მოვლენები ერთი ძირითადი კანონით დამეკავშირებინა" (გოეთე 1988: 132).

ცნობილია გოეთეს განსაკუთრებული სიყვარული მცენარეთა და ყვავილთა მიმართ. იმავე ეკერმანთან საუბარში ის აღიარებს: მე ვარ მცენარეთა მეგობარი, მიყვარს ვარდი, ყველაზე უფრო სრულყოფილი რამ, რაც კი გერმანიის მიწას შეუქმნია. პოეტის აზრით, მცენარეული სამყარო ადამიანებზეც ზემოქმედებს: კაცი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მრისხანე მუხნარში ცხოვრობს, განსხვავებულია იმ ადამიანისაგან, ვინც მუდამ არყის ხეთა შორის დაიარება. გოეთე ბუნებას განიხილავს, როგორც მთლიანობას, "მხოლოდ კანონზომიერების ასპექტში ხედავს ბუნების ყოველგვარ საოცრებას. მას არაფერი არ აკვირვებს, ყველაზე უფრო არაბუნებრივიც კი ბუნებრივიაო, - ამბობს ის" (კვესელავა 1961: 382).

ოთარ ჯინორია განმარტავს გოეთესეულ "მეტამორფოზას", რომელიც განვითარების პოეტისეული კონცეფციის ცენტრალური ცნება და მისი მსოფლაღქმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია: "მეტამორფოზა" განუყრელადაა დაკავშირებული "ურფენომენის" სიმბოლოსთან. ეს ერთი მოვლენის ორი მხარეა. "ყოველი "ურფენომენი" თავის "მეტამორფოზას" განიცდის: თუკი მცენარეს, ცხოველს, ადამიანს, ქალს, სილამაზეს და ასე შემდეგ, დაუსრულებლივ, თავისი "ურფენომენი", ე.ი. შესაბამისი ტიპი აქვს, ასევე აუცილებელია მათი "მეტამორფოზაც", ამ ტიპის სახეცვლილება, რის შესაბამისადაც გოეთე, მაგალითად, ეკერმანთან საუბრებში ლაპარაკობს არა მარტო მცენარეთა და ცხოველთა მეტამორფოზებზე, რომელთაც სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა, არამედ, ასევე, საერთოდ, "მიწიერი ყოფიერების მეტამორფოზაზეც", რომლის არსს გაუთავებელი "აღმოცენება, ზრდა, რღვევა და კვლავ აღმოცენება" შეადგენს" (ჯინორია 1966: 219).

მეცნიერის დაკვირვებით, "მეტამორფოზის" შესახებ გოეთეს მოძღვრების პირველი დიდი მონაპოვარია "ამაღლების" (ზეაღსვლის, Steigerung) კანონი, რომლის თანახმად, "ყოვლის განვითარება მარტო უწყვეტელ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ "სპირალურადაც" მიმდინარეობს, თანმიმდევრულად ზეაღმავალი თვისებრივი ცვალებადობის ხასიათს იძენს" (იქვე: 220). ასე, მაგალითად, მცენარეში განვითარების პროცესი მარტო "კვანძიდან კვანძამდე" კი არ ხორციელდება, არამედ აგრეთვე "უმარტივესი ფორმის" მქონე ძირითადი მორფოლოგიური ელემენტის, ფოთლის, "თანმიმდევრული უაღრესი გართულების" მიმართულებით. გოეთე კი მცენარეთა მაგალითზე ასე აყალიბებს თავის კანონს: მცენარის სხვადასხვა ნაწილები წარმოდგებიან ერთი სავსებით მსგავსი ორგანოდან, რომელიც თავის საფუძველში მუდამ

ერთი და იგივე რჩება, მაგრამ მოდიფიკაციასა და ცვალებადობას განიცდის პროგრესული განვითარების გზით.

პოეტის ამ აღმოჩენას საფუძვლად დაედო ორგანიზმსა და მის სასიცოცხლო გარემოს შორის დიალექტიკური კავშირის ღრმა გაგება, რომელსაც ის ასე გამოხატავს: მცენარეთა მეტამორფოზა "ამ ორმაგ კანონზე ამახვილებს ჩვენს ყურადღებას: 1) შინაგანი ბუნების კანონზე, რომლის მიხედვითაც აგებულია მცენარე და 2) გარეგანი პირობების კანონზე, რომლის თანახმადაც მცენარეთა მოდიფიკაცია ხდება" (ჯინორია 1966: 220). პოეტი ამ ფორმულას მთელი ბიოსფეროს მიმართ განაზოგადებს: ცოცხალი არსება მარად იგივე რჩება, მისი ნაწილები კი მუდამ აუცილებელ ურთიერთმიმართებაში იმყოფება და გარეგანი ზემოქმედების შედეგად იცვლება. "მეტამორფოზის შესახებ გოეთეს საბოლოო ფორმულა კი ასეთია: "მარად ზეაღმავალი ბუნების უკანასკნელი შედეგია მშვენიერი ადამიანი"" (იქვე: 226). თ. ფრიდრიჰს უთქვამს: "რამდენიმედ ადრე, სანამ თავის "ფაუსტზე" მუშაობას განაახლებდა, მან გამოაქვეყნა "მცენარეთა მეტამორფოზა". ამას მოჰყვა "ცხოველთა მეტამორფოზა". ამაღლების აზრით ცვალებადობის იდეა საერთოდ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა მას და საბოლოო მნიშვნელობით "ფაუსტი" წარმოადგენს ადამიანის მეტამორფოზის სახოვან გამოხატულებას" (იქვე: 228-229).

როგორც აღინიშნა, გრიგოლ რობაქიძე სრულად იზიარებდა გოეთეს მოძღვრებას თაურფენომენსა და თაურმცენარეზე. ეს კონცეფცია მან მოგვიანებით მარადიული დაბრუნების იდეას დაუკავშირა. ეს ნათლად იკვეთება მის გერმანულენოვან ესეებში "თაურშიში და მითოსი" და "სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში" (კრებულიდან "დემონი და მითოსი", იენა, 1935) (იხ. Robakidze 1935). პირველ ესეში ვკითხულობთ: "თაურსაწყისი ჩვენში წარუშლელად ციალებს — ის იდუმალად ყველა საგანსა და ყოველ მოვლენაში ბატონობს. ამგვარად, ყოფიერების მითიური აღქმა წარმოიშობა, რომელიც ამ სახით მარადიული დაბრუნების საიდუმლო იდეაში ჰპოვებს გამოხატულებას. ყოველ საწყისში თავისი გამომჟღავნებით დავანებულია თაურსაწყისი: შინაგანი გამახვილებული მზერა" (რობაქიძე 2012: 32). მწერლის მითითებით, ეგვიპტურ საიდუმლოებებს ნაზიარებმა პითაგორამ მსოფლიოს მარადი უკან დაბრუნების იდეა გააცნო. მრავალი საუკუნით გვიან ის ევროპულ აზროვნებაშიც გაიხსნა, თუმცა, როგორც რობაქიძე ფიქრობს, მთლიანად დამახინჯებულად. მისი თქმით, ეს იდეა ფრიდრიხ ნიცშეს სილს-მარიას მთაზე ღვარცოფივით დაატყდა თავს.

"თაურშიშსა და მითოსში" მარადიული დაბრუნების იდეის რობაქიძისეული განზოგადება ასეთია: "არა ერთეული (ცალკეული) უბრუნდება მარად საკუთარ თავს, არამედ მარადიული ცალკეულში, ე.ი. თაურსაწყისი" (რობაქიძე 2012: 34). ეს თაურმითოსია ყოველივე მომხდარისა". მწერალი შენიშნავს, რომ ამ იდეას ოდენ განჭვრეტით თუ მივეახლებით. მისი თქმით, საგნების მითიური წვდომისათვის ამგვარად მოიქცა გოეთე, რის შედეგადაც მან შექმნა მოძღვრება თაურმცენარეზე, რომელიც, "უგენიალურესი მიგნება ევროპისა, მარადიული დაბრუნების თაურმითოსს სიმბოლურად ხსნის".

ამ ესეში რობაქიძე მსჯელობს საკითხზე - როგორ მივიდა ვაიმარელი ბრძენი თაურმცენარის იდეამდე? პასუხი ასეთია: "ის მუდმივად ცდილობდა მოვლენათა საწყისები და ბოლოები ერთმანეთის პირისპირ შეეჩერებინა". აქ, მწერლის აზრით, გოეთეს დასავლურ-აღმოსავლური არსი ჩანს, რადგან ერთმანეთს ერწყმის მოვლენის "წინ" ჭვრეტის დასავლური მანერა (დასავლეთი კითხულობს "საით?") და დაკვირვების აღმოსავლური მანერა (აღმოსავლეთი კითხულობს: "საიდან?"), კვლავ "უკან" რომ განვჭვრიტოთ იგი. თაურმცენარის საიდუმლო გოეთესათვის პადუას იტალიურ ბაღში გახსნილა, სადაც ის მცენარეებს მოწიწებით, გულმოდგინედ, რწმენით იკვლევდა. რობაქიძე აღფრთოვანებულია ვაიმარელი ბრძენის მიგნებით. მისი აზრით, თაურხატი მცენარისა — თაურმცენარე — ევროპის უდიდესი პოეტური სურათია.

"თაურშიშსა და მითოსში" რობაქიძე იხსენებს გოეთესა და შილერს შორის პირველ შეხვედრას, რომლის დროსაც გოეთეს თანამემამულისათვის მცენარის მეტამორფოზაზე უამბია. კანტიანელ შილერს თავი გადუქნევია და უთქვამს: "ეს ცდა არ არის, ეს იდეაა", რაზეც გოეთეს უპასუხია: "ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, იდეები რომ მაქვს. არა მხოლოდ ვიცნობ

მათ, არამედ თვალითაც ვხედავ". რობაქიძე დასძენს: ეს ორი განსხვავებული სამყარო, ჭვრეტის ორი სახეა. გოეთესეული თაურმცენარის პარადიგმის მეშვეობით კი, მწერლის აზრით, "პირველად ყოფიერება მთლიანად, როგორც მითიური რეალობა, სურათოვნად და ბუნებრივადაა წარმოდგენილი." თუ რეალური მცენარე მხოლოდ დროის ერთ მონაკვეთში აღიქმება, თაურმცენარე ყოველთვის მთლიანადაა მოცემული. მცენარის ყოველ ფაზაში ის ყველა მაფორმებელი ძალით ცოცხლად არსებობს. "თაურმცენარე მცენარის მისტიკური რეალობაა -—არა ერთჯერადი ისტორიული ფაქტი, არამედ კოსმიური მოვლენა, რომელიც მარადიულად ხდება.. თაურმცენარე მითოსის გრძნობით განხორციელებული ხატია", - ვკითხულობთ ესეში. თაურმცენარის პარადიგმის ამგვარი გააზრების შედეგად მწერალი დაასკვნის: "ყოველ საწყისში თაურსაწყისი თვლემს და მარადიული ცალკეულშია წარმოდგენილი და თუ ცალკეული თავის თავზე მარადიულის გამანაყოფიერებელ ზემოქმედებას შეიგრძნობს, ასე ის მარადიულის წილნაყარია". მითიური რეალობის ცოცხალი ზემოქმედება ადამიანზე რობაქიძეს თაურშიშის (სიკვდილის შიშის) დაძლევის ერთადერთ გზად ესახება.

"დემონსა და მითოსში" წარმოდგენილი მეორე ესე "სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში" კიდევ უფრო განაზოგადებს თაურმცენარის გოეთესეულ კონცეფციას. აქ, როგორც სიმბოლო, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მაგალითებზე განხილულია შინაგანი დაძაბულობა მცენარესა და თაურმცენარეს შორის. მწერალი ფიქრობს, რომ აღმოსავლურ ყოფიერებაში თაურმცენარე უფრო ხაზგასმულია, ვიდრე მცენარე, დასავლეთში კი მთავარი თვით მცენარეა. "აღმოსავლეთი თავის "მე"-ს ("მე თვითონ", selbst) თაურსაწყისში შლის. ყოველი საწყისი მისთვის თაურსაწყისია. დასავლეთი პიროვნული მონადებისათვის ვითარდება და დასაწყისი მისთვის თითქმის მუდამ ერთჯერადად ახალ საწყისს ნიშნავს" (რობაქიძე 2012: 44). იმავე ესეში მწერალი მიუთითებს: ჩინელი უკუმიმართულებით გაზრდას ცდილობს: არა ღივიდან ყვავილამდე, არამედ პირიქით: ყვავილიდან ღივამდე.. იქაურ ბრძენკაცთა საიდუმლო სიბრძნე - "ქმედებაში არა ქმედება"- მწერლისათვის ნიშნავს: "მოვლენასთან მოჩვენებითად მივიდეთ, მაგრამ შინაგანად თაურ "მე"-ში დავრჩეთ". ამ იდეის გათვალისწინება რობაქიძეს ათქმევინებს: თესლისთვისაც კი, ოდენ შემოქმედისათვის, აუცილებელია ხელმეორედ გაბატონება, ე.ი. თვითგანაყოფიერების უნარის შენარჩუნება. აქ ის იმოწმებს უცნაური წიგნის - "ოქროს ყვავილის საიდუმლოს" - ფრაზას: "თუ თესლი გარდაქმნილია, სხეული ჯანსაღი და თავისუფალია". თესლის ეს უნარი თვით მცენარის მარადიულობის საფუძველიცაა.

გრიგოლ რობაქიძემ განავითარა თაურმცენარის გოეთესეული კონცეფცია: მან ის მარადიული დაბრუნების იდეას დაუკავშირა, რომელიც ფრ. ნიცშეს ერთ-ერთი ცენტრალური იდეაცაა. "ასე ამბობდა ზარატუსტრას" მესამე ნაწილი გვაუწყებს: "ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება, მარად ბრუნვს ბორბალი ყოფის. ყოველი განიყრება, ყოველი ახლად შეიყრება; მარად ერთგულია თავისი წრე ყოფისა" (ნიცშე 1993: 166). იქვე ვკითხულობთ: "მრუდეა ბილიკი მარადისობისა.. ჰე, ადამიანი მარად უკუ მოიქცევა!.. მე თვით მარადი უკუბრუნვის მიზეზისა ვარ! კვლავ მოვალ ამა მზესთან ერთად, ამა მიწასთან, ამა არწივთან, ამა გველთან" (იქვე: 168).

მარადიული დაბრუნების ფილოსოფიური იდეა ჯერ კიდევ ეკლესიასტეს უკვდავ ტექსტში ნათლად იკითხება: "თაობა მიდის, თაობა მოდის, ეს ქვეყანა კი უცვლელია უკუნისამდე. აღმოხდება მზე და ჩადის იგი, უბრუნდება თავის ადგილს და კვლავ იქიდან ამობრწყინდება.. რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი" (ბიბლია 1989: 387).

ნიცშეს კონცეფციას თამაზ ბუაჩიძე ასე განმარტავს: "ნამდვილი სინამდვილე" დროში არსებული, ქმნადი, ცვალებადი, წარსულის, აწმყოსა და მომავლის მქონე სინამდვილეა. დრო ყოფიერების არსებითი ნიშანია, ყოფიერება ქმნადობაა. ის, რაც არ იცვლება, რაც წარმავალია, ზარატუსტრასათვის მხოლოდ სიმბოლოა" (იქვე: 258) (მსგავსი აზრია გოეთეს "ფაუსტის" ბოლო ნაწილში: "ყოველი წარმავალი არის მხოლოდ სიმბოლო"). თ. ბუაჩიძის მითითებით, "ზარატუსტრას პოზიცია ტრაგიკული გმირის პოზიციაა, მისი ხედვა ღრმა და კონკრეტულია.. ყველაფერი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მოხდა, მოხდა მარადიულ, უსახე-

ლო წარსულში.. ეს კი ნიშნავს, რომ წარსული და მომავალი არ არიან დაპირისპირებულნი" (ნიცშე: 267).

მეცნიერის აზრით, გმირისა და, შესაბამისად, მწერლის პესიმიზმი სამყაროს ონტოლოგიური სურათით არის ნაკარნახევი: ღმერთი მოკვდა, აბსოლუტური ღირებულებანი არ არსებობს. "ჩვენ წინაშეა სიცოცხლის, როგორც მთელის, "გეშტალტის" არსებობის წესი, ფორმა. სიცოცხლე, როგორც მთლიანობა, არის მარადიული განმეორება.. მარადიულობა ამ შემთხვევაში არ გამორიცხავს დროში ყოფნას.. დროში არსებული საგანი მარადიულია იმ აზრით, რომ მარად მეორდება" (იქვე: 268).

ამგვარადვე გაიაზრებს მარადიული დაბრუნების იდეას გრიგოლ რობაქიძე. მისი მითითებით, მითიურმა არ იცის დროის დინება, არ იცნობს წარსულს, აწმყოს და მომავალს. "მითიურში მარადიული აწმყოა. მაშასადამე, ის, რაც მითიურში არსებობდა, არსებობს დღესაც" (ბაქრაძე 2003: 94). აკაკი ბაქრაძის მითითებით, ეს იდეა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში კონკრეტულ სახეს იღებს: არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი, ის არის, რაც დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძეა. მეგი მედეაა და პირიქით, ივლიტე, რაც დალია და პირიქით. ბრუნდება არა მარტო "გეშტალტი", არამედ ბუნება, ხასიათი, თვისება.

თაურმცენარის პარადიგმის მხატვრულმა და ფილოსოფიურმა გააზრებამ გრიგოლ რობაქიძე მარადიული დაბრუნების იდეამდე მიიყვანა, რომელიც, მისი რწმენით, "თაურმითოსია ყოველივე მომხდარისა".

დამოწმებანი:

ბაქრაძე 2004: ა. ბაქრაძე. თხზულებანი, ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა "ნეკერი", "ლომისი", 2004.

ბიბლია 1989: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი, 1989.

გოეთე 1988: გოეთეს საუბრები ეკერმანთან (რჩეული ფრაგმენტები. ა. გელოვანის თარგმანი). ბათუმი: "საბჭოთა აჭარა", 1988.

გომართელი 1997: ა. გომართელი. ქართული სიმბოლისტური პროზა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1997.

კვესელავა 1961: მ. კვესელავა. ფაუსტური პარადიგმები, ტ.1. თბილისი: "საბჭოთა საქართველო", 1961.

ნიცშე 1993: ფრ. ნიცშე. ესე იტყოდა ზარატუსტრა (ე. ტატიშვილის თარგმანი). თბილისი: საგამომცემლო საზოგადოება "ფილოსოფიური ბიბლიოთეკა", 1993.

რობაქიძე 1996: რობაქიძე გრ. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი: შ.პ.ს. "ჯეკსერვისი", 1996.

რობაქიძე 2012: რობაქიძე გრ. დემონი და მითოსი (გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ). თბილისი: "არტანუჯი", 2012.

ჯინორია 1966: ო. ჯინორია. გოეთეს შემოქმედებითი გზა. თბილისი: "საბჭოთა საქართველო", 1966.

Goethe 1980: Johann Wolfgang Goethe. Gedichte. Moskau: Progress. 1980.

Robakidze 1935: Robaridze Gr. Damon und Mythos. Iena: Diederichs-Verlag. 1935.

გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი საღამო

ავტ. -- შორენა მამალაშვილი

ხვანის მთები
,,როდესაც მზე თვალებს მილულავს,
ცა გულზე ვარსკვლავებს დაინთებს,
მე ვდგები ნაპირზე ძირულას,
გავყურებ ბუმბერაზ ხვანის მთებს.

იქ, ოდეს ჟამთა სვლის ბორბალი
ბრუნავდა, მიჩენდა ფიქრებს...
ახლაც ტრიალებს და მიყვება:
მათზე ლეგენდებს და მითებს...“

ლიხის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდინარე ,,ძირულას“ ხეობაში მდებარეობს უმშვენიერესი სოფელი – ხვანი. ტყისპირა ფერდობზე შეფენილ სოფელს ზევიდან ბუმბერაზი მთა ჩამოსცქერის, ხოლო დაბლობში წყალუხვი მდინარე ძირულა მიუყვება. სწორედ აქ, ამ სამოთხის სადარ, მადლიან მიწაზე, 1950 წლის 5 მაისს მოევლინა სამყაროს მრავალი ნიჭით და რაც ყველაზე უმთავრესია, უფლისა და ადამიანების სიყვარულით, მათი უანგარო მსახურების ნიჭით დაჯილდოებული პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქ-ნ გულნაზ ხარაიშვილი. ჭიჭიკო ხარაიშვილისა და დოდონიკა შუბითიძის 7 შვილიან ოჯახში ორი ვაჟიშვილის შემდეგ, რიგით მესამე ქალიშვილი, ნატვრის ასრულებად და იმედად მოევლინა დედას. სიყვარულითა და ზრუნვით გათამამებულმა, მდინარე ძირულას პირას გაატარა უდარდელი ბავშვობა და თითქოს, დაუშრეტელი ენერგია და სიცოცხლის ძალა ჩაეღვარა იმ მდინარიდან... მის ტალღებში გამოწრთობილი მოგვიანებით, ბედისა თუ უბედობის ორომტრიალში ხან შავსა და მღვრიე წყალს ებრძოდა, ხანაც მირონივით წმინდა დაკამკამა წყაროს წყალი ესალბუნებოდა და უამებდა გულის იარებს...

,,მე დავიბადე 1950 წელს,
ხუთი მაისი გახდა ჩემთვის ცხოვრების წილი,
უფალს უნდოდა მოვსულიყავ გაზაფხულის დღეს,
გულს მიმებნია სიყვარულის, გრძნობების ღილი.
თუმცა ავდარმა ამატირა, ბევრჯერ დამძალა,
არ დამცდენია სამდურავი, ბრძოლა ვარჩიე,
თუ კვლავ იავა, ავ ქარიშხალს თავად დავკრძალავ,
ამ სიძლერით მე სიცოცხლე გადავარჩინე!“

ჭალვანის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ იყო სასწავლებელი, ბიბლიოგრაფიისა და ჟურნალისტიკის კურსი... 1970 წელს საკუთარი ბედი დაუკავშირა ღირსულ და ერთგულ ახალგაზრდას -- ვახტანგ სხირტლაძეს... ბედნიერ ოჯახში დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გამოზარდეს ორი საამაყო შვილი: დავითი და გელა სხირტლაძეები... ჰყავს 5 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი, რომლებიც ღისეულად აგრძელებენ კეთილშობილი ოჯახის ტრადიციებს... 30 წლის განმავლობაში, გ. ხარაიშვილი ერთგულად ემსახურა ქარელის რაიონს, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წლების განმავლობაში იყო შეუცვლელი დეპუტატი... საუბედუროდ, ავმა ბედისწერამ 2000 წელს მეუღლე, მოგვიანებით კი უმცროსი შვილის, გელას სიცოცხლე წაართვა ... დიდმა ტკივილმა წელში მოდრიკა, მაგრამ ვერ გატეხა... ცრემლი დამალა, სახეზე ღიმილი აიფარა და ოთარაანთ ქვრივივით ამაყმა, ღისეულად გასწია ერთიათად დამძიმებული ცხოვრების ჭაპანი. საკუთარი დარდების ჭირისუფალმა, სხვისი საწუხარ-სატკივარიც გათავისა და შავთავსაფრიანი დედების მეოხად და სულის მკურნალად იქცა, მას აქეთ სულის საგზალივით არიგებს ლოცვად აღვლენილ იმედიან ბწკარედებს:

,,გაათენე, ღმერთო, მშვიდად გაათენე,
რომ ცეკვავდეს ძველებურად ცისკრის დილა,
ეს ღრუბლები ერთიანად გადათელე,

თორემ დარდმა მზეს საერთოდ გამაცილა.
გაათენე, დღეს იმედი არ დააკლდეს,
ისევ უნდა იყვავილოს ჩემმა ფესვმა,
გევედრები -- შვილი მტერსაც არ მოუკვდეს,
არასოდეს დედის კვნესა არ მომესმას...
გაათენე, იზეიმოს ჩემმა გულმაც,
დედამიწა დააბნელა ამ შავებმა...
ცდება ქარი, თუ სუსტ ქალად დამიგულა,
მიტომ ვდუმვარ, არ ვიკადრებ, რომ შევება....
გაათენე, გულის ეზო ახმაურდეს,
სახლის ჭერზე დავინახო მერცხლის ბუდე,
ყინვის ლოდზე ურემი არ გადაბრუნდეს,
ღმერთმა ნუ ქნას, მერცხლები არ დამიბრუნდნენ!

გულნაზ ხარაიშვილის მოღვაწობა მჭიდროდაა დაკავშირებული საბიბლიოთეკო საქმინობასთან, ამ სფეროში მუშაობის 30 -წლიანი სტაჟით. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ დღევანდელი საღამო სწორედ რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში იმართება და რომ არა, სხვადასხვა გარემოებები, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე ომი, გადაწყვეტილი იყო დღევანდელი საღამო ,,საბიბლიოთეკო დღეების ფარგლებში“ გამართულიყო.

საბიბლიოთეკო საქმიანობის პარალელურად, რამდენიმე ათეულ წელს ითვლის ქალბატონი გულნაზის ხელოვნების სამსახურში ყოფნა. იგი გახლდათ თბილისის კულტურის ცენტრის წარმომადგენელი, უამრავი ლიტერატურული შეხვედრისა და ღონისძიების ავტორი. ამასთან, უძღვებოდა დავით მენაფირის, --,,ზვიად გამსახურდიას სახელობის მრავალპროფილიან კოლეჯს“. ქ-ნ. გულნაზმა არაერთ ძნელად აღსაზრდელ მოზარდს გაუკვალა გზა ცოდნისა და ნათელი მომავლისკენ. სწორედ აღმზრდელობით დარგში გაწეული ღვაწლისთვის გადასცა კულტურის სამინისტრომ ი. გოგებაშვილის სახელობის მედალი.

გულნაზ ხარაიშვილის ხელოვნების სამსახურში ყოფნა ვახსენეთ და არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი შრომისა და დამსახურების შესახებ ,,ფაზისისა და ქალდეას'' აკადემიებში,

რომლებშიც დღემდე იკავებს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. დღეს კი, ,,ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის“ პრეზიდენტი, ,,ანთოლოგიისა“ და ჟურნალ ,,ათინათის“ გამომცემელი რედაქტორი, ,,დიდ ოჯახს“ უძღვება... ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთათვის ქმნის იმ ასპარეზს, სადაც ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი თავისა და ქვეყნის წარმოჩენის შესაძლებლობა ეძლევათ.

********** **შემოქმედება** **********

,,კალამი ცრემლით ამილესია,
ლექსია ჩემი ოცნების კიდე,
ლექსი, მწვერვალზე უმაღლესია,
ლექსი მხარს შირმად გადავიკიდე!“

მიუხედავად იმისა, რომ წიგნისა და ხელოვნების მსახურებას ადრე შეუდგა, მუზა მოგვიანებით ესტუმრა. მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოლილი მადლი! -- ასე შეიძლება ვუწოდოთ პოეზიის აფეთქებას მის სულიერ სამყაროში, რადგან სწორედ ამ სასწაულით ებოძა, როგორც თავად ამბობს მეორე სიცოცხლე:

,,მადლი მაფრქვიე, კვლავ ლექსად ვიშვი,
არ მოველოდიმეორედ მოსვლას,
როცა გულს სტკივა ფიქრს გადაგიშლი,
მწამს და... იმ წამში საშველად მოხვალ.

დაჭრილ იარებს შემომიშუშებ,
მარტოდ არ მტოვებ საჯიჯგნად ქართან,
ჩემს გასათბობადმზე სხივებს უშვებ,
რომ არ დავიხრჩო ცრემლების ზღვასთან.“

გულნაზ ხარაიშვილი 11 პოეტური და 1 პროზაული წიგნის ავტორია, მისთვის, პოეზიაც მსახურებაა -- უფლის, სამშობლოსა და ადამიანების წინაშე... ,,თუ სამშობლოს აღარ გამოვადექი, მე პოეტი რატომ უნდა მერქვას?!“-- ასეთ მაღალ საზომს უწესებს ის პოეტს და ამ პათოსით იწერება ღრმა ადამიანური განცდებითა და გზნებით აღსავსე პატრიოტული, დიდაქტიკური, ფილოსოფიური, ლოცვად და საგალობლად აღვლენილი ლექსები... ცხოვრებასთან ჭიდილისა და პიროვნების შინაგანი ბრძოლისა თუ ძიების გზაზე პოეტურად გაცხადებულ კრედოს ვხედავთ:

,,ძნელი არის სწორი გზების პოვნა,
შენ გაკაფე თუკი შეგხვდეს ლელი,
სულ გახსოვდეს გარდაცვლილთა ხსოვნა,
ძირს წაქცეულთ შეაშველე ხელი.
თუ ქალი ხარ არ დალიო არსად,
მღვრიე წყალი, ანდა სხვისი წყარო,
რომც დაგიჯდეს ეს სიცოცხლის ფასად,
სხვისი ცრემლით შენ არ გაიხარო.
თუ კაცი ხარ კაცი უნდა იყო,
ყველაფერში, განა მარტო ქალთან,
მტერს დასჭირდე, ისიც არ გარიყო,
ღმერთი შველის ალალსა და მართალს!“

გულნაზ ხარაიშვილის პოეზია არაერთი მკვლევარის ინტერესის საგანი გამხდარა, ვრცლად განიხილა და წიგნი, სახელწოდებით: ,,სამების სამრეკლოდან“, მიუძღვნა გულნაზ ხარაიშვილისა და მისი ნაადრევად, ტრაგიკულად გარდაცვლილი ძმის, დიდებული პოეტის, ბეჟან ხარაიშვილის შემოქმედებას, ფილოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა ლუარა სორდიამ.

წარმოგიდგენთ ნაწყვეტს მისი კვლევიდან: ,,გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში შესასვლელ კარს ძალიან გარკვევით აწერია: ,,მამული, ენა, სარწმუნოება“. მისი წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული, მაღალზნეობრივი ადათ-ტრადიციები.ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ, მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით. მძიმე ჟამს პოეტი ცდილობს ეროვნული გენის, ძირების, ფესვების, ეროვნული ტრიადის -- მამულის, ენისა და სარწმუნოების“ -- ერთგულება ჩააგონოს თაობებს. მისი რწმენასთან წილნაყარი სიტყვა სიცოცხლის არსია :

,,ლექსი მამშვიდებს, ლექსი მშია, ლექსი მწყურია,
სიცოცხლე არის ზეციური ღმერთის წყალობა,
ჩემი ლექსები, სიოსავით საამურია,
მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა.“

გულნაზ ხარაიშვილის ლექსების თემაა ჩრდილოელი მონსტრის მარწუხებში მოქცეული, მისი ბინძური ჩექმებით გათელილი, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წმინდა მიწა,მუხანათურად წართმეული სამაჩაბლო და აფხაზეთი, აგვისტოს ომში დაღვრილ ქართველთა სისხლი, სამშობლოს გამათხოვრება, გაღატაკება, გაუტანლობა, ქუჩაში ხელგაწვდილ უპოვართა არმია, სხვა ქვეყანაში ლუკლა-პურის საშოვნელად ნებაყოფლობით მონად ქცეული რჩეული ერის შვილები. ცრემლი და გლოვის შემაძრწუნებელი სურათები სერავს გულს და პოეტი ქალი ილოცება ქვეყნის გამთლიანებისთვის, ცხოვრების ჩვენეული წესის ასრულებისთვის:

ღმერთო სამშობლო გამიმთლიანე,
ერთად ავასხამ იმედის მძივებს
ჩემი სამშობლო მინდა მთლიანი,
რომ შემოვძახო ,,რერო-დიელო“,
ქართველი ვარ და მეგობრიანი,
შენ შორს იყავი გადამთიელო...“

გულნაზ ხარაიშვილს აწამებს ყოფნა-არყოფნის მარადიული კითხვები, ადამიანის რაობა, ვინაობა, დანიშნულება, არსებობის მიზანი, სულისა და ხორცის მიმართება, სიცოცხლის წარმავლობა, მზადება ,,გასამგზავრებლად იმ სამყაროში," სადაც სამართალი არ მრუდდება და ადამიანები თავიანთი ცოდვა-მადლის მიხედვით უცდომლად განიკითხებიან ღმერთის სამსჯავროზე. ცხოვრების ნარ-ეკლიან გზაზე ბეწვის ხიდზე უწევს გავლა ადამიანს, ამიტომ სიდინჯე, სიფხიზლე და ღვთის რწმენა უნდა იყოს მისი წინამძღვარი.

,,რანი ვართ და რა ვიქნებით ცას რომ წავალთ,
სიცოცხლის გზა ნარ-ეკლებით სავალია,
ამიტომაც უნდა იყო დინჯად...
უფლის რწმენა, ეს ხომ სულის წამალია,
ბეწვის ხიდზე გაიარე ფხიზლად..."

ქრისტიანული მრწამსით ნასაზრდოები მორალი იკითხება პოეტი ქალის მთელ შემოქმედებასა და ცხოვრებაში, საკუთარ სიმართლეში, სულის სიწმინდეში დარწმუნებული უზენაესის გადასახედიდან სჯის თავის გზებს: ,,გული წმინდაა, როგორც ბიბლია..."

გულნაზ ხარაიშვილმა ორი პოემა, ერთი მოთხრობა და უამრავი ლექსი მიუძღვნა სიკვდილის თემას, უნდა ითქვას, რომ სიკვდილის ყველაზე იდუმალი, ამოუცნობი, თავზარდამცემი, მარადიული პრობლემაა და ამ საიდუმლოებებით სავსე მოვლენის ამოცნობა მიღმიურ სამყაროში ჭვრეტის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს. სწორედ ამ უნარით დაჯილდოვებული გულნაზ ხარაიშვილი სულებთან მოსაუბრე პოეტია, მან თავის თავს იმთავითვე განუსაზღვრა მისიად იმ ქვეყნად გარდასულ სულთა სიმშვიდეზე ზრუნვა, ხოლო ამქვეყნად, ჭირისუფალთა ნუგეში.

მეტად საყურადღებოა გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი თავისებურებების ზოგიერთი ასპექტი, რამდენადაც, მისი სიტყვა წილნაყარია ბიბლიურ ღვთისმეტყველთა სიბრძნესთან, ისევე როგორც ხალხურ სიბრძნესთან, ხალხურ ინტონაციებთან, მისი პოეტური სახეების უმეტესობა ხალხური ელფერით, ხალხური ინტონაციებითა და სასაუბრო ლექსიკით სავსეა. ხალხურ ფრაზებში -- რვა, ათმარცვლიან და თორმეტმარცვლიან ლექსებში შეჭრილია ახლებური ელფერით აელვარებული სახეები. მისი პოეზია ავლენს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს. ლექსებში გვხვდება შეგონებები, ბრძნული აზრები, არც პოეტური ბგერწერაა პოეტისთვის უცხო: ,,მოგონებები აგოგმანდება, დარდით გავფითრდი, ისე, ვით ფითრი.“... ცალკე ყურადღების ღირსია მისი აკროსტიხები, ამ ურთულესი პოეტური ხერხის გათავისებით შექმნილი პოემები. ნეოლოგიზმები -- ორიგინალური სიტყვათა შეთანხმებები... და ყოველივეს გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გულნაზ ხარაიშვილის სულის ყვავილი ზრდის სტადიაშია, თამამად უსწორებს თვალს ზეცას, მიწას, მიღმიერს, დროის ქარბორბალასა თუ ეპოქის უამინდობას. ღრუბლის კიბეს მიჰყვება მაღლა, უხილავის შეცნობას ესწრაფვის და საბოლოო გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობს, რადგან უზენაესის ძალით გაბრწყინებული ნათელშემოსილი, მადლშემოსილი და სხივშემოსილია...“

ავტორი: შორენა მამალაშვილი
ფილოლოგი
პოეტი
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

SPRACHENVIELFALT IN ANDEREN KULTURELLEN KONTEXTEN

Kultur und Sprache sind zwei solche semiotische Systeme, die viele Gemeinsamkeiten und Eigenschaften haben, die auf strukturelle Unterschiede zurückzuführen sind. Die Sprache als Grundlage und ein wesentliches Merkmal von Kultur, wird mit ethnischen, ethno differenzierenden Mitteln interpretiert.. Die Bestimmung und die genaue Interpretation des kulturellen Hintergrundes soll es für den Sprachträger als obligatorischer Begleitmoment für die linguistischen Forschungen angesehen werden.

Die Hauptaufgabe des Artikels ist, die Themen Interkulturalität und kulturelle Diversität aus kulturvergleichender Perspektive in den Blick zu nehmen. Es ist ganz interessant, etwa der Frage nachzugehen, wie die beiden Themen in anderen kulturellen Kontexten diskutiert werden können. Dabei könnte uns die präzisse Bestimmung folgender Begrifflichkeiten helfen, wie es Interkultur, Integration, Kulturbegriff, Kulturelle Diversität, Sprachenvielfalt, sprachliche Kompetenz und Kultur der Kommunikanten, kulturelle Ebene und Faktoren, kultureller Hintergrund, Kommunikations- und Lingvokulturologischer Prozess sind.

Es sei erwähnt, dass eine Komponente der kulturellen Vielfalt die schprache Vielfalt ist. Der Begriff der kulturellen Vielfalt oder der kulturellen Diversität wurde in weiteren internationalen Erklärungen und Übereinkommen aufgegriffen.Durch die internationale Diskussion, vor allem die Aktivitäten der *UNESCO*, hat sich etwa seit der Jahrhundertwende die Begrifflichkeit *Kulturelle Vielfalt* in Deutschland verbreitet.

In den interkulturellen Diskursen haben in den letzten Jahren auch immer stärker die Begrifflichkeiten „Diversity“ oder „Cultural Diversity“, Verbreitung gefunden. Sie bedeuten mehr als das deutsche „Vielfalt“ im Sinne von Mannigfaltigkeit, sondern auch *Diversität* und *Verschiedenheit*. Darin werden ,,die differierenden Werte, Traditionen, Erfahrungen, Lebenspraxen erkannt, zueinander in Bezug gesetzt, in der gesellschaftlichen Interaktion erprobt und einvernehmlich in diesem Prozess entstandenen Regeln unterworfen. Dieses Konzept von *Vielfalt* und *Verschiedenheit*, das *diversity* bedeutet, scheint die einzig mögliche langfristige Leitlinie für moderne demokratische, plurale Kulturpolitik und damit Förderung zu sein“.

Diversität behandelt heterogene Zusammensetzungen der Belegschaft in Hinblick auf Kultur, Alter und Geschlecht. Die Herausforderung des „Diversity Management“ besteht weltweit.

Die Industriegesellschaften sind durch Immigration geprägt. Insbesondere multiethnische Nationen aber auch Länder mit sehr hohen Anteilen an Migranten betroffen.

In Georgien sind beispielsweise zunehmend Mitarbeiter mit asiatischem Hintergrund zu integrieren.

Das Schlagwort "Diversität" beschreibt die Entwicklung, die zu sozialen Effekten führen. Bevölkerungen und Mitarbeiter werden im Zuge des Schlagwortes "Globalisierung" zunehmend kulturell divers. In Georgien kommt zu den Migrationsströmen aus anderen Kulturen verschärfend die Abschmelzung der etnischen Bevölkerung dazu.

Dabei hat diversity zwei entscheidende andere Stoßrichtungen als andere Konzepte: „Zum einen zielt“, wie Mark Terkissidis schreibt, „das Konzept auf die Institutionen selbst **[...],** nicht auf die Personen**,** die in diesen Institutionen nicht der Norm entsprechen. Zum anderen stehen nicht bestimmte Gruppen im Zentrum des Konzepts, sondern das Individuum. Hierin besteht **der** Unterschied zum Ansatz der Integration. Dieser geht weiterhin davon aus, dass es ein großes Ganzes gibt mit einer Normgruppe und abweichenden Gruppen. Das Ziel ist erreicht, wenn die abweichenden Gruppen in der Norm aufgehen und so ein idealer, aber letztlich nie da gewesener Ursprungszustand wiederhergestellt wird“ (2007:15).

Unter kulturellen (selten auch als Soziodiversität bezeichnet) und sprachlichen Vielfalt versteht man die Existenz von vielfältigen Kulturen zwischen menschlichen Gruppen und Gesellschaften. Eine Gesellschaft, in der eine Vielzahl von Kulturen nebeneinander existieren, ist – rein begrifflich – eine *multikulturelle Gesellschaft***.** In diesem Verständnis sind auch alle ethnisch homogenen Gesellschaften – **(**Benjamin Barber 1999:18) **–** multikulturell, denn ab einer bestimmten Stufe ihrer Entwicklung bestehen dort immer mehrere Kulturen nebeneinander. Schon bei einem engen

Kulturbegriff stehen in entwickelten gegenwärtigen Gesellschaften neben der traditionellen „legitimen“ staatlich geförderten Kultur verschiedene Formen **von Breiten-,** Sub- und Alternativkulturen, vielfältige Jugend-, Frauen-, Senioren- und sonstige Kulturen, die Kulturen der jeweiligen Lebensstilgruppen und Milieus und Ähnliches

Die *Allgemeine Erklärung zur kulturellen Vielfalt* der Vereinten Nationen postuliert, dass kulturelle Vielfalt *– als Quelle des Austauschs, der Erneuerung und der Kreativität – für die Menschheit ebenso wichtig wie die biologische Vielfalt für die Natur ist*.[2]

Kulturelle Vielfalt wird als eine der Wurzeln des Kulturwandels betrachtet, wobei dieser nicht allein im Sinne des wirtschaftlichen Wachstums gefasst werden soll, sondern als Weg zu einer erfüllteren intellektuellen, emotionalen, moralischen und geistigen Existenz.[3] Ein Versuch zur Erfassung und Klassifizierung der Vielfalt auf der Erde stellen die Modelle der Kulturareale dar.

Eine besonders große Vielfalt verschiedener indigener- und lokaler Kulturen findet sich insbesondere in Gebieten, die sich ebenfalls durch eine außergewöhnlich hohe Biodiversität auszeichnen.[4]

Kulturelle Vielfalt bezieht sich danach „auf die mannigfaltige Weise, in der die Kulturen von Gruppen und Gesellschaften zum Ausdruck [...] gebracht, bereichert und weitergegeben (werden und auf die) vielfältigen Arten des künstlerischen Schaffens, der Herstellung, der Verbreitung, des Vertriebs und des Genusses von kulturellen Ausdrucksformen, unabhängig davon, welche Mittel und Technologien verwendet werden“ (Deutsche UNESCO-Kommission 2006:20, 17f.).Zentrales Ziel der Konvention ist„a) die Vielfalt kultureller Ausdrucksformen zu schützen und zu fördern; b) die Voraussetzungen dafür zu schaffen, dass Kulturen sich entfalten und frei in einer für alle Seiten bereichernden Weise interagieren können;c) den Dialog zwischen den Kulturen anzuregen, um weltweit einen breiteren und ausgewogeneren kulturellen Austausch zur Förderung der gegenseitigen Achtung der Kulturen und einer Kultur des Friedens zu gewährleisten; d) die Interkulturalität zu fördern, um die kulturelle Interaktion im Geist des Brückenbaus zwischen den Völkern weiterzuentwickeln ...“ (ebd.).

Kulturelle und sprachliche Vielfalt soll als Weg zur interkulturellen Existenz betrachtet werden. **Interkulturalität**“ (siehe Susanne Keuchel/Ernst Wagner „Poly-, Inter- und Transkulturalität“), heißt es im *UNESCO*-Übereinkommen über den Schutz und die Förderung der Vielfalt kultureller Ausdrucksformen, „bezieht sich auf die Existenz verschiedener Kulturen und die gleichberechtigte Interaktion zwischen ihnen sowie die Möglichkeit, durch den Dialog und die gegenseitige Achtung gemeinsame kulturelle Ausdrucksformen zu schaffen**“** (Deutsche UNESCO-Kommission 2006:21).

ლალი რატიანი

ენობრივი მრავალფეროვნება სხვა კულტურულ კონტექსტებში

რეზიუმე

კულტურა და ენა ორი ისეთი სემიოტიკური სისტემაა, რომლებსაც აქვთ ბევრი საერთო თვისებები, რომლებიც განპირობებულია სტრუქტურული განსხვავაბებით. ენა, როგორც კულტურის საფუძველი და არსებითი ნიშანი, განიხილება ეთნიკური, ეთნოდიფერენცირების საშუალებებით. კულტურული მრავალფეროვნების ერთ-ერთი კომპონენტი ლინგვისტური მრავალვეროვნებაა.

Ratiani Lali

Linguistic Diversity in other Cultural Contexts

Resume

Culture and Language are two such semiotic systms that have much in common and properties that are conditioned by structural differences. Language as a foundation and an essential sign of culture will be treated throiugh ethnic, ethnodifferentiating means. One component of cultural diversity is linguistic diversity.

ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე

„შეიცან თავი შენი!“
სიტყვაა უდიდესი!

გაგრძელება.

დედამიწაზე გამოსახული სამკუთხედები და ოთხკუთხედები, რიცხვით 4, 3. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერია ბატონობს სულზე.

„რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა
მე რად გავცვალე მოყვასი, ძმა უტკბილესი ძმობისა.“

ვეძიოთ ერთმანეთში ღირსება, ღირსებით მაღლდება ადამიანი.

თვითმკვლელობა სიწმინდის უარყოფაა.

ყველა გზა მიდის რომში, ეს კი გულია!

შეისწავლე შენივე უდაბნო და აქციე წალკოტად!

ადამიანი იმიტომაა ბნელი, რომ ვერ ხედავს თავის ნატიფ სხეულს, ვერც მზეს და ვერც სინათლეს.

დიდებასთან ასოცირდება მზე!

ელექტროობის სხვადასხვა დონე აღნიშნავს ცნობიერების დონეს.

და ეს გონია!

ანუ მცენარე, რომლის მიმართულება მზეა, აქ სიცოცხლის მიმართულებას წარმოადგენს.

ჟანგბადი კი ელექტროობის გადამტანია.

გემო – განსაზღვრავს აზროვნებას, შემდეგ კი მოდის ჯამრთელობა და ერთგულება, ხალისიანი ცხოვრება, რომლის მსგავსად დაფუძნდა მშვიდობიანი ცხოვრება კოსმიურ სიმაღლეზე ასული.

დავუბრუნდები სამოთხის იდეას!

სამოთხე – ხე განავრცობს ამ პროცესს, სამოთხე, სამსა და ოთხს შორის კავშირს.

ხე განავრცობს და მისია ეს აღმატებული მაგალითი ბუნებაში .

ანუ როგორ ანვითარებს და ათანხმებს ცისა და მიწის ერთობლივ კავშირს, ის შედის გულიდან და ფესვიდან, აქ ვითარდება სამოთხის უნივერსალური შეგრძნება და სამყაროს ქმნის!

ეს სამყაროს შექმნის კავშირი აუცილებელი შეგრძნებაა და მოქმედებს ადამიანზე, მის განვითარებაზე, გაღვიძება არის აუცილებელი, უნდა მოვიდეს ყოველის სხეულში გაზაფხული, უნდა დადგეს.

უნდა მივაღწიოთ განახლების პროცესს, და ეს არის ღმერთი ცვენივე სხეულში.ეს იქმნება ერთობლივი მოქმედებით და სიყვარულით.

ირმის ნახტომი, ზუსტად ეს პროცესია, ბუნების ქმნილება, უხილავიდან ხილულში გარდასახვა. ეს უნიკალური მეთოდი სხეულს, – სა-ტანა-ს გარდაქმნის ტანში.

მარადიული ნახტომი – ირმის ნახტომი კი ზუსტად ამას გულისხმობს.

იუდა – იდეაა!

მისი მსახურება კი განისაზღვრება, როგორც რას ემსახურება ადამიანი.

წმინდა სახარების მიხედვით არსებობს ორი იუდა, ეს კოდური შიფრია, რომელიც გულისხმობს თევზის ორ მიმართულებას, თუ როგორ მიმდინარეობს მისი მოძრაობა წყალში,

ერთმანეთის საპირისპირო მოძრაობაა აქ ნაჩვენები.

თევზს კი ქრისტიანულ რელიგიაში დიდი დატვირთვა ააქვს.

მოაზროვნე სული აღწევს ირმის ნახტომს სულიწმინდის ფონზე,ადამიანი თავისივე სულის გასაღებია, სული კისხეულის სრულყოფილებაზე მუშაობს.

სიმართლის გაგება და სწორი შემეცნება სიცოცხლის ხეს წარმოშობს.

ხე კეთილისა და ხე ბოროტისა შეცნობის ფონზე მუშაობს, საკუთარ თავში ხდება საინფორმაციო პროგრამის განხორციელება და სიცოცხლის გაგრძელება.

შემომქმედი, – შენივე შემოქმედებით ხდები, როგორც ღმერთი სამყაროში აღწევს სრულყოფილების უწყვეტ პროცესს, ასევე ხდება ადამიანშიც.

2022წ. მაისი.

კვ -ერ - ცვ - ხი !

უკვდავების საიდუმლო!

მიზანი!

ზუსტად პარასკევს ხდება აქ ფერთა ცვლილება, გამორჩეულობის ნიშანი.

წითელი კვერცხობა არის მიზანი, მიღწევა და სამყაროსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი.

მისი გახსნა და ნახვაა საჭირო, ანუ შეღწევა მასში, მისი ცილისა და გულის ათვისება, ანუ დ ა პ ყ რ ო ბ ა!

ეს ახალი გამოწვევაა სამყაროში!

გააჩნია რამდენ კვერცხში შეაღწევ სიცოცხლეში ცნობიერად და რამდენად განვითარდები.

ეს ახალი სამყაროს, ახალი პლანეტის დაპყრობაა, ქერქის მოცილება ჩვენი მოვალეობაა. აქ ჩადებულ ინფორმაციას ღვთაებრივი სრულყოფილება მოაქვს, მას წითლად ვღებავთ და აღდგომის კვერცხს ვეძახით.

წითელი კვერცხი თავისთავად ფერთან და ცეცხლთან ასოცირდება, რაც უარყოფითი ენერგიების წვის პროცესს წარმოადგენს ,შემდეგ კი აღდგომა მოაქვს. კვერცხზე დახვეული ქვეწარმავალი კი ყველა დროის ძირითადი საიდუმლოებაა,ცოდნის მანიშნებელია.

ლაყე კვერცხი კი ამ საიდუმლოების ნაწილია, რაც გაფუჭებას ნიშნავს ანუ ვერ გაგებას, ვერ შეღწევას მის ცნობიერებაში.

ა -და -მი -ანი კვერცხთანაა კავშირში, ზუსტად ამ კვერცხის გახსნა, ადამიანის გახსნას ნიშ-ნავს, ცხოველური და ადამიანურ თვისებებისაგან გამიჯვნას.

ანუ კვერცხისგან იშობა სიცოცხლე და მას სხვადასხვა სახე აქვს, მარადიული ღი-რებულებისთვის კვერცხის არსი მუდმივ ამოუცნობ ფაქტად რჩება, მას მხოლოდ ცხოვრების გზაზე სწავლობს ადამიანი, მისი მდგომარეობა მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობაში ვლინდება, ანუ წლებში და ცნობიერებით იკვლევს გზას..

ინფორმაცია კი კვერცხის შიგნეულზე, მის ცი -ლა -ზე და გულზეა დამოკიდებული,მათ გაერ-თიანებაზე და ჩამოყალიბებაზეა გათვლილი, ანუ აზროვნების გარდაქმნაა საჭირო. ზებუნებრივი ძალის მქონე, ვარსკვლავურ- ზეციურ კავშირზე.

გამოდის, რომ ყოველი კვერცხი დიდ ძალასა და მნიშვნელობას ატარებს, რომ არ გ ა ლ ა ყ დ ე ს.

განსაკუთრებულობაა აუცილებელი,

ამას კი წითელი კვერცხი ჰქვია სახელათ!

კვერცხი არის ფუძე, კვერცხში არის სულის უკვდავება,

საგანძური კი ოქროს კვერცხშია!

რატომ ბრწყინდება აღდგომის კვერცხი ქრისტეში?!

ამ საიდუმლოებას ენა, – ქართული ენა ხსნის და ამაღლებს, აქ მოცემული ბგერების ურთიერთმოქმედება და აზრის სიმაღლე ახდენს ამ სასწაულს.

შიმშილი კუჭნაწლავიდან იწყება, – შია!

შიმშილს უსიყვარულობაც განიცდის, ანუ სიცარიელე ახდენს ამ გრძნობის გამოხატვის უნარს,

სიყვარულის ითხოვს!

გააჩნია რითი ვაკმაყოფილებთ მას!

არ შეიძლება გალაყება!

წითელი კვერცხი მკვდრეთით აღდგომას, ანუ ახალ ცნობიერებაში შესვლას ნიშნავს, გონების გაბრწყინებას,რომელსაც მხოლოდ სიცოცხლეში აღწევს ა დ ა მ ი ა ნ ი!

ცი - ლა ! ცი -სა და „ ლა „ ნოტის ერთობლიობაა, „ლა“ ნოტი კი ბუნებასთანაა კავშირში, უზენაისთანაა შეერთებული,ანუ მკვებავია, სულიერი განათლების მიმცემი, ზუსტად აქ ხდება შესისხლხორცება, წი -წი - ლა და ნაყოფიც რეალიზდება.

და თუ სიტყვა ლაყე გახდა მოქმედებაში, მაშინ ეს ღვთიური კავშირი არ დგება, „ ლა-მ“შეიძინა დაკარგული თესლის ფუნქცია.

სასწაული შინაარსის მქონეა სიტყვა.

ჩემი აზრით გავხსენი კვერცხის უზენაესი მხარე, რომლითაც ადამიანმა უნდა შეაღწიოს ღრმა ცნობიერებაში,ანუ გააცნობიეროს თუ კვერცხი რას ბადებს, რას შობს!

კვერცხის გული კი სიცოცხლის ენერგიაა!

ცილა კი უკვდავება!

უნდა დავბადოთ სიბრძნის ოქროს კვერცხი!

წითელი კვერცხი!

დავდოთ!

დადება! – ადამიანს ცნობიერად უწევს საკუთარი თავის, ღვთიურ საწყისთან მიერთების დადება.

არა კაცთკვლა!

აქ ათი მცნებაა შესული.

საიდუმლოება, რომელიც ადამიანს სწორ გზას უჩვენებს სიცოცხლისას!

ელვა, ქუხილი, წვიმა, სეტყვა, ქარი, ეს ბუნებრივი მოვლენები იწყებს გაღვიძებას და დამოკიდებულებას არსის ცვლილებაზე, კვერცხი ბ სადაც განვითარება იწყება ,სივრცეა კოსმოსის, შემოსაზღვრული სივრცე კი კვერცხის ნაჭუჭია, რომელიც უნდა გაირღვეს.

ყოველი ადამიანი თეთრი კვერცხით იბადება, მაგრამ ოქროს კვერცხში დაბადებას კი უკვე ნიჭი და სიბრძნე ქმნის.

უი შე ლაყე ! – ადამიანია!

ოქროს კვერცხი კი სასწაულის შემძლე.

ადამიანის აღორძინების ზუსტი მეცნიერება დევს სამყაროს გრაფიკში და ეს კ ვ ე რ ც ხ ი ა!

სილამაზე განსაზღვევავს ცნობიერების უმაღლეს საფეხურს, ზნეობრივი პოტენციალი, გონებრივი შესაძლებლობები და შინაგანი სულიერი მხარე, კეთილშობილური აზრები ამაღლებს ადამიანს.

არ უნდა დავეცეთ!

და თუ დავეცით ადგომა უნდა სწრაფად შევძლოთ!

ბუნება ეძებს კეთილ ადამიანებს და თუ ვერ იპოვის მას ტანჯვის გზაზე აყენებს.

კვერცხი ინფორმაციული შინაარსის მატარებელია, მან კარგად იცის ,რა დევს შიგ!მისი გახსნა, გამოჩეკვის პროცესი გვიჩვენებს მის ნამდვილ სახეს, მის ვარგისიანობას !

და თუ ის არ გალაყდა, მაშინ მასში ღვთის განხორციელების იდეა აღმოჩნდება!

იბადება მგოსანი!

და ის, ვინ რა საგანძურს აგროვებს, ან ბრწყინდება და წითელი კვერცხის იდეას განავითარებს ოქროს კვერცხში, ან .....

გაგრძელება იქნება.
2022 წელი,
მაისი.

სიგრძნის სკივრი

გონების ზღვარზე

(აზრები)

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი

***

ერთ დღეს მოიცალე და შეხვდი საკუთარ თავს, მაგრამ... ჯერ იპოვე იგი.

***

პიროვნების, მოვლენის, შეხედულებათა შეფასებისას; რომელიმე საკითხზე აზრის აღიარებისას, ადამიანი იძულებულია დაეთანხმოს სხვათა აზრს შემდეგი მიზეზით:

თავისი აზრის უქონლობის ან ჩამოუყალიბებლობისას ხათრით – სხვათა აზრის თანამონაწილედ წარმოჩენისას (ავტორიტეტების ზეგავლენით) გაუბედაობით – არ აღმოჩნდეს გამონაკლისი (თეთრი ყვავი) შიშით – არ დასწამონ უცოდინრობა- არაკომპეტენტურობა. ეს ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია იმისთვის, რათა ადამიანი სხვათა უგნური აზრის, სურვილების, გეგმების ან ავანტურის გაუცნობიერებელი მონაწილე-მსხვერპლი გახდეს...

***

ცხოვრებამ კი არ უნდა გაგიტანოს, ცხოვრება უნდა გაიტანო…

***

შეუძლებელია, ცხოვრობდე ეპოქაში და მისი სულისკვეთებით (პრობლემებით) არ იყო გამსჭვალული.

***

დღეს, დაისმის კითხვა: რას ვჭამთ, რა გარემოში ვიმყოფებით, რით გვასხივებენ, ზემოქმედებენ, გვაზომბირებენ, – რას გვაჩეჩებენ ხელში... ეს ნიშნავს, რომ ადამიანებმა ირგვლივ მიმოიხედეს, გამოფხიზლება დაიწყეს – ეს კარგია... რაღაცას რომ მოიკითხავ, მისი მოძებნაც მოგიწევს, _ დასმულ შეკითხვაზე, ადრე თუ გვიან, პასუხს მიიღებ და პრობლემების გადაჭრის გზებზეც იზრუნებ.

***

ზოგი ადამიანი რომ მიუშვა, _ ქვეყნიერებას გადაყლაპავს...

***

სიტყვიერმა რახარუხმა ადამიანის აზროვნებაში ვერაფერი შეცვალა...

***

ადამიანი მარადიულობის შეგრძნება-შეგნებით უნდა იზრდებოდეს, იფურჩქნებოდეს, ყვაოდეს, მოღვაწეობდეს, თაობებში ტოვებდეს კვალს, რომ მან ნამდვილად ადამიანურად იცხოვრა, ხოლო ამ სამყაროდან თანდათანობით გარდასვლა-გარდასახვებით გასვლისას, შთაბეჭდილებას _ რომ ის ჭეშმარიტად აღესრულა.

***

ზოგჯერ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ფენომენებს და მოვლენებს ადამიანთა ჯგუფები,

პოლიტიკოსები, ხელოვანები, ფილოსოფოსები, ლიტერატორთა წარმომადგენლები დიდი რიტუალებით, გაზვიადება-გაბუმბერაზებით (უტრირება- ამფლიფიკაციით) თავიანთ მიმდინარეობად გადააქცევენ და წარმოადგენენ. ამ მიმდინარეობას ინარჩუნებენ, იცავენ და ებღაუჭებიან მანამ, ვიდრე ახალი თაობა ზეაღტკინებული მდგომარეობიდან კარგი სილის გარტყმით ან სრულიად უცერემონიოდ არ ჩამოართმევს წლობით გამოზომილ საარსებო-საცოხნ მასალას...

***

თავისი ნამოქმედარის აწონ-დაწონისას და თავის თავთან ჭიდილში ყველა ადამიანში იღვიძებს სინდისი.

***

ადამიანური მორალი საუკუნეებია ღვივის და ღვივის _ არ ჩამქრალა და არც ჩაქრება.

***

ამ ცხოვრებაში არამარტო იმისათვის ვართ მოსული, რომ ჩვენ-ჩვენი საჭვრეტიდან ვიცქიროთ, არამედ, ზოგიერთი რამ შევცვალოთ და გადავაკეთოთ.

***

როდესაც ჰომოსექსუალური წყვილების „ბავშვები“ გამოჩნდებიან არენაზე, ისინი, საუბედუროდ, საზოგადოების ნეგატიური რეაქციების მსხვერპლად გადაიქცევიან და ისედაც დასაღუპად განწირული კასტის გაქრობის წინაპირობად იქცევიან...

***

საუბედუროდ, ზოგიერთ ადამიანს, მის მიერ მეორე ადამიანის გამოყენებას და ჩაგვრას „კვების ინსტინქტები“ კარნახობს...

***

გამუდმებულად მზამზარეულის მიღების სურვილი ადამიანს ამორალურს ხდის…

***

ხელაღებით რაიმეს მტკიცება ან უარყოფა დოგმატიზმის, ფუნდამენტალიზმის განვითარების წინაპირობას და საშიშროებას წარმოადგენს.

***

მართო ადამიანები – ურთულესი პრობლემაა, მართო „ავადმყოფები“ – აზრდაკარგულია...

***

მტრის ხატის თანხლება ადამიანს აგულიანებს, ბრძოლის უნარს უყალიბებს – „სტიმულატორის“ როლს თამაშობს...

***

ახალ ცხოვრებას შეხვდი გახარებული და გალაღებული. ნუ ეცდები უკან დაბრუნებას, მით უფრო, არ ეცადო გაიმეორო განვლილი ცხოვრების ურთიერთობები ან რომელიმე ეპიზოდი. ის არასდროს იქნება ისეთი, როგორც წინათ და საკმაოდ იმედგაცრუებული დარჩები.

***

თუ სასახლე მოგინდება ან დამოუკიდებელი ცხოვრება, შექმენი შენ თვითონ, თორემ იმ სასახლეს და იმ ცხოვრებას, რომელსაც სხვისგან მზამზარეულად მიიღებ, არც ხიბლი ექნება და არც მადლი.

***

ფიქრი – რასაც მინდა იმას დავწერ, იმას ვიტყვი, როგორც მინდა ისე მოვიქცევი ან ვიცხოვრებ და მაინც გამივაო – ეს შეცდომაა.

***

დაფიქრდი: ყოველთვის შენ არ ხარ მართალი...

***

არ დაზოგო ძალა და ენერგია, რათა განსაზღვრო და იპოვო შენი ადგილი ცხოვრებაში.

***

ადამიანებთან ზედმეტი სიახლოვე, ზედმეტი საუბარი, ასევე ზედმეტი ბჭობა საჭირო არ არის.

***

მაქსიმალურად აამუშავე წარმოსახვები, რათა კარგად წარმოიდგინო, ვინ იყავი, საიდან მოდიხარ, ვინ ხარ აწმყოში და ვინ იქნები მომავალში.

***

შეამცირე წყენადობა...

***

უკიდურესობებს უიღბლობა თან სდევს და მარცხისთვის ან, სულაც, დასაღუპავად ამზადებს ადამიანს.

***

როდესაც ადამიანს რჩევები მხოლოდ სხვებისთვის აქვს გამზადებული – ეს თვითდაჯერებულობა არაა. იგი სიბრიყვეზე მეტყველებს.

***

იმის დემონსტრირება, რომ ნიჭიერი ხარ, მაგრამ ზარმაცი – შეგიძლია, მაგრამ არ გსურს, სიგლახის ნიშანია.

***

ზოგიერთ ადამიანს მხოლოდ სიტყვა „არა“ აქვს პირზე მიკერებული, – ამ სიტყვით იწყებენ და ამ სიტყვით ამთავრებენ. თუ კარგზე კარგს ამბობ არ მოწონს; თუ ცუდზე ცუდს – არ გეთანხმება. ასეთი ადამიანები მსჯელობის დროსაც იგივე მეთოდს იყენებენ: თუ ერთ აზრს იტყვი შეგეწინააღმდეგება, ასევე შეგეწინააღმდეგებოდა, ამ აზრის საწინააღმდეგო რომ გეთქვა. „არას“ სტიქია მათ ცხოვრებას განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რომელიც მუდამ მოუწესრიგებელი აქვთ, ურთიერთობები კი – დაულაგებელი.

***

ის დღეა ცუდი, როცა არ იცი, რას აკეთებ.

***

ყოველთვის ელი „ვიღაცას“ და გაინტერესებს „ვინ“ არის იგი...

***

თუკი საკუთარს არაფერს ქმნი, დამოუკიდებელი აზრი არ გაგაჩნია და სხვათა სიტყვას გაუკონტროლებლად, ანდა, გამორჩენის მიზნით ახმიანებ, მაშინ უღირსი და უგანაჩენო ადამიანი ხარ.

***

თავის თანატოლებთან შეხვედრა ადამიანს იმდაგვარად აღაფრთოვანებს, რომ უპრობლემოდ გადაისვრის ბავშვობის ხანაში. ამიტომ ხშირად უნდა იმოგზაუროთ ბავშვობის სამყაროში. ნუ დაიზარებთ, მოუყარეთ ბავშვობის მეგობრებს თავი – იმხიარულეთ და „იცელქეთ“ მათთან ერთად. ეს ძალიან გჭირდებათ ხანდაზმულობაში.

***

არ ეცადო, მზის ელვარება და სიკაშკაშე გააუფერულო და გადაფარო შენი „სიკაშკაშით“.

***

ძალიან ცოტაა ადამიანები, რომლებიც „საჭირო“ ცოდნას აგროვებენ.

***

ნაკლის სხვებში ძიებას სჯობს, საკუთარ ნაკლს და შეცდომებს გამუდმებულად ჩხრეკდე...

***

ადამიანებთან მიდგომის სტრატეგია მათი ხასიათიდან გამომდინარე შეიმუშავე. გაითვალისწინე, რომ მათი ბუნება, ხშირად, კეთილშობილური არ გახლავთ.

***

ნუ აღგაფრთოვანებს საკუთარი წარმატებები!.. მხოლოდ ერთს ეცადე: შენი არსებობით, სიტყვით, საქმით და მოღვაწეობით გაალამაზო ცხოვრება შენს ირგვლივ.

***

ნუ აიძულებ თავს, სხვისი აზრით, განკარგულებებით ან მითითებებით იარო; სხვისი გემოვნებით მოაწყო შენი ცხოვრება ან შეიმოსო. ამის საპირისპიროდ გამოიმუშავე საკუთარი აზრი და დახვეწე შენი გემოვნება.

***

თუ გინდა ეზიარო უმაღლეს ღირსებას, პატივი ეცი შენს სურვილებს, ნიჭს და უნარს. ბოროტი სურვილები ჩაახშვე, კეთილი წაახალისე, ნიჭი განავითარე, უნარები დახვეწე. ხშირად განიკითხე საკუთარი თავი, ვიდრე სხვები.

***

თუ ადამიანი მოიძულე, კარგად გააანალიზე, რატომ მოიძულე ის. თუ მისი ღირსებების, ქველმოქმედების და წარმატებების გამო გასწირე და ამას ვერ აცნობიერებ, მაშინ ბნელეთის მოციქულებთან თანამშრომლობ და, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა მოიძულო...

***

ადამიანს გონებაში სიტყვიერი და აზრობრივი მასალისთვის მთელი რიგი საკნები და საწყობები გააჩნია. მათი აქტივაცია, მოქმედებაში მოყვანა და გამოყენება მთელ რიგ ძალისხმევას და ოსტატობას მოითხოვს. ვაითუ! ყველაფერი ეს მხოლოდ წინა ერთ საკანშია თავმოყრილი და დანარჩენი მარაგები არ არსებობს... მაშინ ადამიანი ცირკის მსახიობს დაემსგავსება, რომელიც რამოდენიმე გირზით ჟონგლიორობს და მისი დახვეწილი მოძრაობები მხოლოდ მაყურებელთა გასართობადაა გამიზნული...

თეა გურგენიძე

აზრები

* * * *

თითში შერჭმული ეკალივით მაწვალებს ეჭვი, სუნთქვაც კი მ,იჭირს, თითოს დაბლა დაეშვა ზეცა...
სადღაც, შორიდან, თვალს მადევნებს, მე ვიცი, ღმერთი
და არ დაუშვებს, ჩემი სული დაჯიჯგნოს ეშმამ...

* * * *

დაცემა არაფერია, როცა იცი, რომ ადგომაში დაგეხმარებიან. ფეხზე გამართულად დგომაა ძნელი, როცა ასობით ადამიანი შენს წაბორძიკებას ელოდება კბილებალესილი...

* * * *

თუ შენთვის ჯერ არავის უსვრია ტყვია, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ მიზანში არავის ჰყავხარ ამოღებული.

* * * *

ზოგი სიკვდილისთვის დაგენანება, ზოგისთვის– სიცოცხლე.

* * * *

სანამ ვიოლინოს დაამტვრევ, დარწმუნდი, რომ ხემი უკვე გატეხილია.

* * * *

ფაქტია, ბევრი საკუთარ დაცემას უფრო ადვილად გადაიტანს, ვიდრე სხვის წინსვლას.

* * * *

ზოგჯერ კარგია საკუთარი თავიდან გაქცევა, მაგრამ ისე შორსაც არ უნდა წახვიდე, უკან დასაბრუნებელი გზა დაგავიწყდეს.

* * * *

სიცოცხლე ზოგერ იმ ლოდს ჰგავს, სულს ბალახის ღერივით ქვეშ რომ მოიყოლებს და წელში გაშლის საშუალებას არ აძლევს.

* * * *

ყველა გაშლილ კვირტში ნაყოფი არ გამოინასკვება, ზოგი ყვავილობაში რჩება, ან ყინვა დაარტყამს და ან ვინმეს მზაკვრული სურვილის მსხვერპლი გახდება.

❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤ ❤

ლიანა კაკუბავა

მინიმეები

****

საუკუნეებს ღირსეული ადამიანები ქმნიან, უღირსნი რყვნიან.

****

ვინც დინებას მიჰყვება
ვეღარც მაღლა მიძვრება.

****

სიკვდილსაც ადევს ფერი
ნათელი ან ნაცრისფერი.

****

დღეს სიკეთით ვერ ვივსებით,
სიძულვილი სჭარბობს...
გვავიწყდება უფრო მეტად
ვინც გაჩენას ნანობს.

****

ქედმაღლობა-სიმდაბლეა,
თავმდაბლობა-სინაზე.
არაფერი აკეთო,
მხოლოდ სხვების ჯინაზე.

****

ვნება და გრძნობა არის დასაცავი,
ჭკუა და გონება კი სამართავი.

****

კონკიას კონკები ეცვა და თამასუქში შენახულ ოქროსავით ბრწყინავდა.

****

ვისაც ხალიჩებს გაუფენ,
ვისაც ფეხქვეშ გაეგები,
იმის თვალში მიტოვებულ
ცეცხლივით განელდები.

.**********

შუქნაფენი გონება მეტია, ვიდრე ანთებული ჩირაღდანი.

****

პათოსით წაკითხულ ნაწარმოებში თუ უნიჭობამ გაჟონა, შეიძლება მეტად დაკნინდეს.

. **********

კეთილ ადამიანებს ჭკუა ეხმარება სამოქმედოდ, ძუნწებს კი, ის არ ჰყოფნით.

. . **********

ეს ცხოვრება სამოთხე ან ბაღნარი როდია,
შემოღობილში ერთი მომცრო, მუჭა კორდია.

****

ზარალდება არა ის, ვინც არ უყვართ, არამედ ის ვისაც არ უყვარს.

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

ევოლუცირებისკენ, ჰარმონიზირებისკენ, ტრანსის მდგომარეობაში მოხვედრისკენ სვლის პროცესი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-10 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-43-ში

ფილოსოფია და ფსიქოლოგია

ფსიქოლოგია არსებულის, იდეის მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიის ანალიზის, განხილვის კვლევა-ძიებაა.

ფილოსოფია ობიექტურ რეალობაში, არსებულში ჯერ არარსებულის, იდეის შემოტანა გახლავთ.

ამ წიგნის I თავიდან, ინტერესების სფეროს განშტოებებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ის იყოფა ოთხ ნაწილად. კერძოდ: ორიენტაცია, ადაპტაცია, ინერცია და იმპროვიზაციული ინტერპრეტაცია. ფილოსოფიური სუბსტანცია დგას ორიენტაციასა და ინერციაზე. ფილოსოფიას ენიჭება წამყვანის როლი და ფუნქცია. ის არის მიმმართველი ძალა ზოგადი ცნობიერებისა, იმისა, რომელზეც არის აგებული ნებისმიერი საზოგადოება. ხოლო ფსიქოლოგიური სუბსტანცია დგას ადაპტაციასა და იმპროვიზაციულ ინტერპრეტაციაზე. ფსიქოლოგიას ენიჭება წარმართვის, სამართავის როლი და ფუნქცია, ის არის მიმყოლი, მიყოლის ძალა ზოგადი ცნობიერებისა, არსებული საზოგადოების ღირსეულ წევრად გახდომისა.

როდესაც ორიენტაცია და ინერცია არსებულ რეალობაში ხდება დომინანტი, შედეგად ვღებულობთ მატერიალური განვითარების მდგომარეობას, საზოგადოების ერთგვარი ტიპის „კლინიკურ სიკვდილს“. ეს თვალნათლივ რომ გადმოვცე, ამ საზოგადოების მაგალითად მოვიყვანდი ამერიკელი ინდიელების მენტალურ ცნობიერ აღქმას იმ შედარებითობის, ფარდობითობის ფონზე, როდესაც ევროპელების შესვლა მოხდა მათ ყოფით რეალობაში. ანუ ობიექტური რეალობის ევოლუციის აუცილებლობის უზენაესი პრინციპი ამ მდგომარეობაში აყენებს ადაპტაციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის პროპორციულ გაზრდას დომინანტურ მაჩვენებლებთან, ანუ ორიენტაციასთან და ინერციასთან. მკვეთრად გამოიკვეთება იდეათა სიჭარბე, მაშინ როცა მათი ხორცშესხმა ჯერ არ მომხდარა. ფაქტიურად ხდება იდეათა დაგროვება და ისინი უბრალოდ უსარგებლონი არიან, რამეთუ მატერიალურ სამყაროში იდეის განხორციელება თუ არ მოხდება, სხვა იდეის შექმნაზე ზრუნვას აზრი არ აქვს მთელი საზოგადოების მხრიდან. ეს შესანიშნავი იქნებოდა თუ საზოგადოების ერთი ნაწილი შექმნიდა იდეას, მეორე ნაწილი კი მათ განახორციელებდა. ეს იქნებოდა ჭეშმარიტად დიდად ამაღლებული, სულიერების დიდი პოტენციალის მქონე საზოგადოება, რომელთაც მატერიალური სამყაროსთვის შესაბამისი მატერიალური ფუნქციის შესრულების აუცილებლობა დაივიწყეს. მე მათ ვუწოდებდი ასე: სულიერი გიგანტები და ამავდროულად მატერიალური ჯუჯები. ერთადერთი რაშიც ამ მიდგომას შეიძლება არ დავეთანხმო გახლავთ ის, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტების ბუნებრივი სვლის, ევოლუცირების დაჩქარების ტენდენციაა გამოკვეთილი, მი-

სი რეალურად არ აღქმით. ამის შინაგანად აღიარების და აღქმის შემთხვევაში, მე ვიტყოდი, რომ ეს არის მატერიალურ სამყაროში შესაძლო თვითრეალიზაციის უმაღლესი ფორმა.

სამაგიეროდ, ამ პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების ინტერესი ბუნებრივად უჩნდებათ მათ, რომელთა ზოგადი ცნობიერება ადაპტაციისა და იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის დომინაციაზე დგას ორიენტაციასა და ინერციასთან შედარებით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს საზოგადოება ახალ იდეათა ქრონიკულ შიმშილს განიცდის. ის მკვეთრად მიდრეკილია იდეის მატერიალიზაციისკენ და ძალიან მალე ჩნდება იდეის დეფიციტი, ანუ იდეოლოგიის არსის ამოწურულობის ტენდენცია. აქ იკვეთება სულერებასთან დაპირისპირების, მატერიალურის უპირატესობის დამტკიცების მცდელობა. ამის შედეგად ხდება სულიერი დაცემა. მე მათ ვუწოდებდი შემდეგნაირად: მატერიალური გიგანტები და ამავდროულად სულიერი ჯუჯები. ნამდვილად გამიჭირდება ამ მიმართულებას არ ვუწოდო ნეგატიური მიმართულების სახელი. ისინი, ვინც ამ მიმდინარეობას მიჰყვებიან აბსოლუტური ჭეშმარიტების მიერ გათვალისწინებული ბუნებრივი სვლის, ევოლუციერების შენელებას ცდილობენ მატერიალური განვითარების, ხელოვნური განვითარების ჩანაცვლებით. ვფიქრობ, საკმაოდ ფუჭი მცდელობაა ამ მიდგომის მიმდევრებისთვის რეალობის დანახვება სცადო. არაგააზრებულად, ინტუიციურად ისინი ცდილობენ ახალი იდეების პოვნას, რისთვისაც თავის ე. წ. უპირატესობას, მატერიალური განვითარებულობის ძალას იყენებენ მატერიალურად ნაკლებად, მაგრამ სულიერად დიდად განვითარებულთა დასაპყრობად დიპლომატიური თუ ძალისმიერი საშუალებით. შორს რომ არ წავიდეთ, ისევ ამერიკის კონტინენტზე მომხდარ მოვლენებს შეგვიძლია დავუბრუნდეთ არცთუ შორეულ წარსულში. სხვა ყველა დანარჩენი მიზეზი კი, რომელიც ითქმება და აფიშირდება, უბრალოდ საბაბია და ვიზუალური ფონია და მეტი არაფერი. აი, ამ ყველაფრის უკან კი დგანან ისეთი სუბსტანციები, როგორებიცაა ფილოსოფია, გონების სიღრმეში წვდომის მეცნიერება. ის, რაც ევროპელი, დასავლეთის მეცნიერებისათვის შეუძლებლად (ქვეცნობიერის შეცვლას ვგულისხმობ) არის მიჩნეული, აღმოსავლეთის მეცნიერებისათვის, ბრაჰმანებისთვის, ლამებისთვის, ბუდისტებისთვის ეს სრულიად შესაძლებელია, უფრო მეტიც, აუცილებელია და უფრო მეტიც, ერთადერთი საჭირო საკეთებელია მატერიალურ სამყაროში ადამიანად, სხეულად არსებობის პერიოდში.

დასკვნის სახით მინდა დავწერო, რომ **აგრესორი, მოძალადე, ზემოქმედების მოსურნე, დამპყრობელი ყოველთვის უფრო მცირეა სულიერად აგრესიის ობიექტზე, შემოქმედების მოსურნეზე, დაპყრობილზე და სწორედ იმიტომ სჩადის ძალადობას, რომ სურს ეს სულიერი უპირატესობა მიითვისოს, რამეთუ საკუთარი სულიერი სიმცირის აღიარების უნარი არ გააჩნია და ვიზუალურად მატერიალური უპირატესობის დემონსტრირების სურვილს აღტაცებაში მოჰყავს ის თავად, რითიც კიდევ ერთხელ სურს ხაზი გაუსვას მატერიალურის უპირატესობას სულიერებასთან შედარებით.**

როგორც ფილოსოფიაში ისე ფსიქოლოგიაში არის საფეხურები, რომლებიც ორივეს ერთი და იგივე აქვს, მაგრამ რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა აღქმით წარმოჩენილები საკუთარ არსში. ეს არის საკმაოდ მკვიდრი და ყველას მიერ აღიარებული საფეხურები, თანამიმდევრულად არიან განლაგებულნი და მთლიანად საზღვრავენ და აწესრიგებენ ადამიანთა ყოფისა და ცხოვრების ყოველ უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვან ნაწილს. ისინი არიან უკლებლივ ყველგან და ყველაფერში და შემდგომი განშტოება ამ თავში ამ ნაწილებს, ამ საფეხურებს დაეთმობათ.

შემეცნებითი სამყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი)

ბრალის თეორია

(გაგრძელება)

დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის № 10-11 ტომსა
და ჟურნალ ათინათის №38-39-40-41-43-ში

ბრალის სახეები და ფორმები

(სისტემატიზირებული)

კულტივირებული ბრალი

ა) რელიგიურ, ეთნიკურ, რასობრივ ნიადაგზე აღმოცენებული მტრობა და ბრალი

მსოფლიოს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა დაპირისპირება რელიგიურ, ეთნიკურ და რასობრივ ნიადაგზე. განსხვავებულობა ბადებს გაუგებრობას, ეჭვს, უნდობლობას, ერთმანეთის მიუღებლობას და, აქედან გამომდინარე – ბრალს. ამ საზოგადოებების შიგნით, სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, ხდება ნეგატიური ენერგიების (ბრალის) მოკრება-კულტივირება და ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართვა. განსხვავებული რელიგიის, ეთნოსისა და რასის მიკუთვნებულობა ბევრჯერ გამხდარა მტრობის, წინააღმდეგობა-ჭიდილისა და ომების მიზეზი. ის, რომ წინააღმდეგობები ბუნებრივად არსებობს განსხვავებული კონფესიის, ეთნოსისა და რასების წარმომადგენლებს შორის, ხშირად ხდება შუღლის გაღვივებით დაინტერესებული ძალებისათვის მანიპულირების იარაღი და საშუალება. წამქეზებელი ძალები შეიძლება იყოს როგორც ამ საზოგადოებების შიგნით მყოფი ერთეული ლიდერები, მასები ან პოლიტიკური ორგანიზაციები, ასევე, ამ საზოგადოებების გარეთ მყოფი დაინტერესებული მესამე ძალა, რომელიც თავისი მიზნის განსახორციელებლად ახერხებს წინააღმდეგობის ჩასახვას და ბრალის კულტივირებას იმდაგვარად, რომ ვითარება დაიძაბოს და მოხდეს კონფრონტაცია. ეს ძალები იყენებენ ისეთ ამორალურ მეთოდებს, როგორიცაა ცილისწამება, ტყუილი, წაქეზება, ისტორიული ფაქტების გაყალბება და სხვა; ასევე, ამარაგებენ მათ მიერ წაქეზებულებს იარაღით და ჯარით; პირდებიან და უწევენ სხვადასხვა დახმარებას.

წარმოდგენებისა და შეხედულებების განსხვავებულობამ, არათუ რელიგიებს შორის, თვით ერთი რელიგიის შიგნითაც წარმოშვა ბრალი და გამოიწვია წინააღმდეგობა. ამის გამო, უძველესი რელიგიებიც კი დაიყო სხვადასხვა მიმდინარეობად და განშტოებად, რომელთა წარმომადგენლები ბრალითა და სიძულვილით არიან ერთმანეთისადმი განწყობილი. რეფორმაციის სახელწოდებით ცნობილი რელიგიური ომები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის წიაღში წარმოიშვა, ას წელზე მეტხანს გაგრძელდა ევროპაში, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ომები არ იყო წმინდა რელიგიური წინააღმდეგობებით გამოწვეული. აქ იყო ეკლესიის, ხელისუფლების, სახელმწიფოს სხვადასხვა ფენების წარმომადგე-

ნელთა მერკანტილურ მოტივსა და შინაარსზე აგებული მიზნები და აქედან გამომდინარე ბრალი. სარგებლის მოლოდინში ამ ომში ჩართული ბევრი მონაწილე თავისი მრწამსის საპირისპირო მხარესაც კი დგებოდა და მისი თანამოაზრე ხდებოდა. რელიგიურმა ომებმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ზოგიერთი სახელმწიფო დაშლის პირას მიიყვანა. განსხვავებული შეხედულებების გამო, ბრალით განმსჭვალულები ერთმანეთს სასტიკად უსწორდებოდნენ; მაგალითად, ცნობილი ფრანგი პროტესტანტი ჟან კალვინი დიდხანს სდევნიდა ესპანელ ანაბაბტისტს მიგელ სერვეტს და იმდენი რამ იღონა, რომ ის საბოლოოდ კოცონზე დააწვევინა. ამ საქმის აღსრულებით ის ამაყობდა კიდევაც და ამბობდა: „უნდა განადგურდეს ესენი (ანაბაბტისტები) ისე, როგორც ესპანელი სერვეტი გავანადგურე...“

მესამე ძალის მიერ ბრალის კულტივირების მაგალითია ოსებისა და აფხაზების დაპირისპირებულობა და ომი ქართველ ხალხთან. კავკასიაზე გავლენის შენარჩუნების მიზნით, რუსეთმა გააძლიერა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ოსეთსა და აფხაზეთში, რითაც ხელი შეუწყო კონფლიქტის ესკალაციას. ამას მოჰყვა ომი და დაუსრულებელი კონფლიქტები. საუბედუროდ, რუსეთის წაქეზებით და ხელშეწყობით, დაძაბულობა კვლავ გრძელდება და სეპარატისტები საქართველოს საზღვრებისაკენ იწევენ.

წარმოდგენათა და შეხედულებების ფუნდამენტური განსხვავებულობის გამო, რელიგიური, ეთნიკური და რასობრივი საზოგადოებები ბრალის კულტივირებისათვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენენ. ბრალის, შურის და შუღლის მარცვალი აქ ადვილი გასაღვივებელია. შიდა და გარე ავანტიურისტების ჯგუფები კი გამუდმებულად იჩეკებიან. ისინი თავიანთი მიზნების მისაღწევად კარგად იყენებენ ამ საზოგადოებებს; ხელსაყრელ მომენტებს ხელიდან არ უშვებენ მათ დასაპირისპირებლად; შედეგად, ეს საზოგადოებები ზარალდებიან ან საერთოდ ნადგურდებიან, ომის გამჩაღებლები კი ხელს ითბობენ..

ბ) ძალაუფლების კულტივირება რელიგიაში – ინკვიზიციის ბრალი

ძალაუფლების ერთ შემზარავ ბრალს განეკუთვნება ინკვიზიციის ბრალი – „კუდიანებზე ნადირობა“, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ტრიბუნალმა შექმნა ერესთან საბრძოლველად მე-13 საუკუნეში, სინამდვილეში კი სახელმწიფოს და რელიგიის ძალაუფლების შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად გამოიგონა. ინკვიზიციის აბსურდული ბრალდებები – დანაშაულის დამტკიცების გარეშე დასჯა (ჩრიმენ Eხცეპტუმ) და დასჯის საშინელი ფორმები იყო ძალის დემონსტრირება, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებას. მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა სამართლიანობასთან და რწმენასთან. ეს იყო ბრალი ადამიანების და თავად უფლის წინაშე. თუ ვინმე შეეცდება, ოდესმე, ინკვიზიციას რაიმე დადებითი როლი მიაკუთვნოს რწმენის შენარჩუნების ან მაშინდელი სახელმწიფოს გაძლიერებისათვის საჭირო და აუცილებელი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, ის შეეცდება უფლის მიერ დაარსებული საზოგადოებების „ძალადობის“ გამართლებას, რაც აბსურდამდე დადის (შეგახსენებთ, რომ რინო კამილერის წიგნი – „ინკვიზიციის ჭეშმარიტი ისტორია“, მოყვანილი ფაქტებით და არგუმენტაციებით, ინკვიზიციის გამართლების მცდელობაა). ინკვიზიციის მძვინვარების

პერიოდში, ხალხში ჩანერგილი შიშისა და ტერორის გამო, მაშინდელ საზოგადოებაში არსებობდა ერთი ასეთი ჩვევა: მამები თავიანთ ქალიშვილებს განზრახ ასახიჩრებდნენ, რათა ინკვიზიციას ისინი „კუდიანებად“ არ შეერაცხა და ბრალი არ დაედო. ასეთი სამარცხვინო ისტორიები ინკვიზიციის ბრალით მაღალ დონეზე გაჟღენთილობას მოწმობენ და მათ საპირწონედ და გასამართლებლად არგუმენტების მოყვანა ნაკლებად სარწმუნოა დღევანდელი საზოგადოებისთვის.

გ) ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიცია და ბრალი

ადამიანის მსხვერპლშეწირვის ტრადიციას ვხვდებით როგორც პრეისტორიულ, ასევე, ანტიკურ და შუასაუკუნეების თითქმის ყველა წარმართულ კულტში – ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და ავსტრალიის ხალხებს შორის. ამჟამად ის შემორჩენილია მხოლოდ ზოგიერთ არაცივილიზებულ ტომში.

როგორც არქეოლოგიური გათხრები, ასევე იმ ეპოქებში მოღვაწე ცნობილი ადამიანების გადმოცემები ადასტურებენ მსხვერპლშეწირვის ამაზრზენი ფორმების არსებობას. მსხვერპლშეწირვას ჰქონდა დღესასწაულის სახე და მოიცავდა სხვადასხვა რიტუალს. ამ რიტუალებში თითქმის ყველგან იყო განსაკუთრებული სისასტიკით ადამიანების წამება, დასახიჩრება, აჩეხვა-დაკუწვა, დანაწევრება, დაწვა და ა. შ. ბევრგან იყო ქალებისა და ბავშვების მსხვერპლშეწირვის წესიც.

მაია-აცტეკების მეზოამერიკულ კულტურებში, სპეციალურად მოწყობილ სამსხვერპლოებზე – პირამიდულ ტაძრებზე, ათასობით ადამიანს წირავდნენ მსხვერპლად. ამ ტრადიციებთან ახლოს დგას, სხვადასხვა ხალხში არსებული წეს-ჩვეულება – მეფეების, იმპერატორების და დიდებულების გარდაცვალებისას მათი მონა-მსახურების ან ახლობელი ადამიანების მსხვერპლშეწირვა, ასევე, მათი ცოცხლად ჩაყოლება სამარხებში. შენობის სიმყარისა და მედეგობის შენარჩუნების მიზნით, წინა საუკუნეებში იყო ტრადიცია საძირკველში და კედლებში ცოცხალი ადამიანების ჩაყოლებისა. საქართველოში ამ ტრადიციის არსებობას ადასტურებს სურამის ციხის და ხონის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საძირკველში ადამიანის ცოცხლად ჩამარხვის თქმულებები. საინტერესოა, მსხვერპლშეწირვის შინაარსების გაცნობა. ზოგჯერ ეს რიტუალი შეიცავდა ბრალისმართლებისდაგვარ შინაარსსაც, რაც მდგომარეობდა მსხვერპლშეწირვის ობიექტის „დანდობაში და პატივისცემაში“ – მას მსხვერპლშეწირვის წინ კარგად კვებავდნენ და უვლიდნენ... სხვა შემთხვევაში, მაგ. მიწათმოქმედ საზოგადოებებში მსხვერპლს წარმოსახავდნენ მეფე-ქურუმად, რომელიც განასახიერებდა ნაყოფიერების ღმერთს და გარკვეული პერიოდის შემდეგ წირავდნენ მსხვერპლად, რაც მსხვერპლშეწირულის „პატივად“ იყო მიჩნეული... ამ ტრადიციის და „ასეთი რწმენის“ სიმყარის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაიას ქალაქში მეფეები, ასევე აცტეკი იმპერატორები ხშირად საკუთარ სისხლს სთავაზობდნენ ღმერთს საჩუქრად.

საინტერესოა, ასევე, ადამიანის მსხვერპლშეწირვის რიტუალის ახსნა თავად ამ ტრადიციის მატარებელი ხალხების მხრიდან. აცტეკების წარმოდგენით ღმერთმა თავი გასწირა ადამიანების და სამყაროს შესაქმნელად – ერთ-ერთი ღმერთი აალებულ კოცონში შევიდა და მზედ გადაიქცა. თუ ღმერთმა გაიღო მსხვერპლი, ადამიანებმაც უნდა გაიღონ

მსხვერპლი და ამით უნდა ასიამოვნონ ღმერთებს. მათი აზრით, რიტუალების დროს დაღვრილი სისხლი ღმერთებს აძლიერებდა და საშუალებას აძლევდა სამყარო გადაერჩინათ. ვიკინგები 9 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ და 99 ადამიანს სწირავდნენ მსხვერპლად. მათ მიაჩნდათ, რომ მსხვერპლად შეწირულები მკვდართა სამეფოში მათგან ჩადენილ ცოდვებს გამოისყიდდნენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ მსხვერპლშეწირვის ძირითადი შინაარსი იყო უკვდავი ღმერთების მომადლიერება ადამიანების სისხლით – რომ შეწირული მსხვერპლი ხალხთა კეთილდღეობის გარანტორი უნდა ყოფილიყო...

ძნელია, დღევანდელი ეპოქიდან და აზროვნებიდან ვისაუბროთ, ვიმსჯელოთ და ანალიზი გავაკეთოთ ველური და ნახევრად ველური საზოგადოებების პირქუშ წესებსა და ადათებზე. მსხვერპლშეწირვის ვნება და ბრალი მაინც ადამიანური არსის – როგორც ფენომენის, ძირის-ძირების, ქვეუცგანწყობილებების, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების ნაირგვარი შინაარსების და ფორმების კვლევა-ძიებასთან მიგვიყვანს. ბრალის ანალიზში აღვნიშნეთ, რომ ადამიანი ბრალს ხშირად მიმართავს საკუთარი კეთილდღეობის, გულდამშვიდების, თავისი უდანაშაულობის განცდის განსამტკიცებლად, შინაგანი ენერგიის ბალანსის შესანარჩუნებლად, უარყოფითი ენერგიების განსამუხტავ-გასანეიტრალებლად, ჭარბი ენერგიის გარეთ გამოსატანად... იგივე მსჯელობები შეიძლება აქაც გამოგვდგომოდა და ამას შეიძლება გარკვეული შვება მოეცა ჩვენთვის, მარტო ამით რომ აიხსნებოდეს ადამიანის მსხვერპლშეწირვის ვნებიანობა წარსულ კულტურებში. უნდა ვთქვათ, რომ, ჯერ კიდევ, ცხადსა და სიზმარეულ-გაბუნდოვანებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები არ შეიძლება ღმერთის წინაშე „სახდელით“ ყოფილიყვნენ დავალდებულებულები. ის, რაც ამ საზოგადოებებს გულდამშვიდების, კმაყოფილების, დაიმედებულად ყოფნის განცდას აძლევდა ადამიანის ენით აღუწერელი ტანჯვისა და დამცირების სანაცვლოდ, არ შეიძლება ყოფილიყო უფალი. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სისხლისმსმელი სატანა და მისი ბრალი უფლისა და ადამიანების წინაშე. მსხვერპლად შეწირული ადამიანები იყვნენ ეშმაკის „წილი“... არ არის გამორიცხული სატანას თავისი წილი ჩვენს დროშიც მიჰქონდეს, ოღონდ, სხვა ფორმით. ამის გააზრება დღევანდელობაში თავისუფლად შეიძლება იმ უბედურებებისა და კატასტროფების გაცნობიერებისას, რასაც პრესა და ტელევიზია გვამცნობს ყოველდღიურად.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მსხვერპლშეწირვა, თითქოს ადამიანების საკეთილდღეოდ, თანაც ღმერთის სახელით, რომ შეეძლო გამოეგონებინა მხოლოდ სატანას და თავს მოეხვია მათთვის, იმ საზოგადოებებს, იმ დროს, გააზრებული ვერ ექნებოდათ... რასაკვირველია, ამ თემას ასეთი მსჯელობებით, ვერ ამოვწურავთ. ეს თემები მუდამ დარჩება საფიქრელ- სააზროვნოდ და ყოველთვის წარმოშობს დილემას ადამიანის არსის, აზრის და ყოფიერების ახსნაში.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ცრემლში ნალესი ხმალი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-43-ებში
და ანთოლოგიის მე-5-11 ტომებში)

ბაზალეთი

ასეთი კაცი მეფის მოქმედებას, სტრატეგიასა და თადარიგიანობას, ავსა და კარგს ზერელედ და პირობითად ვერ შეაფასებდა.

ვფიქრობ, სააკაძე პირადი „მე“-ს მდგომარეობიდან არასოდეს გამოდიოდა. ორჯერ სასიკვდილოდ გამეტების, შურის, ღვარძლისა და ცილისწამების მიუხედავად, მართლაც ბევრი მოითმინა და დიდი სულგრძელობაც გამოიჩინა. ხაზი უნდა გაესვას, რომ ითმენდა და შემრიგებლურ ხელს უწვდიდა თავის მტრებს მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს ხსნისთვის ერთად დგომა, ქართველი ხალხის ერთსულოვნება იყო საჭირო, სამეფოსა და ხალხის პატრონობის საქმე – გასარკვევი და დასამთავრებელი და ღირსეულ მოღვაწეს ელოდა.

პირადული და საქვეყნო ინტერესი ისე იყო შენიღბული და ერთმანეთში გადახლართული, არსებულ მოვლენებში ჩაუხედავ ხალხს უჭირდა ძირითად არსში გარკვევა.

თეიმურაზისა და მის მომხრეთა მიზანიც, დაუთ-ხანთან შეხვედრიდან გამომდინარე, უკვე თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ დასმა გამხდარიყო.

კახეთის მეფე იყო და იქნებოდა თეიმურაზი, მართებულად ეჭირა კახეთის ტახტი და კახეთისა და ქართლის დიდებულებს ამ მხრივ არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ. მთავრი აქ ქართლი იყო ან გაერთიანებული საქართველო და მისი მომავალი მესაჭე მეფე გვირგვინოსანი.

ბაზალეთის მოვლენების განხილვისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ მეფის გონებაში ქვეცნობიერად მოქმედებდა საკუთრების განცდა: მისი მეუღლე ხორეშანი და იყო ქართლის მეფის ლუარსაბ მეორისა, დედა კი ასული ქართლის დიდი თავადის აშოთან მუხრანბატონისა.

თუ საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ, აღარ უნდა გვაკვირვებდეს, რომ თეიმურაზს ქართლიც თავის სამფლობელოდ მიაჩნდა. ალბათ ამიტომაც დაასაჩუქრა თავისი სიძე ზურაბ არაგვის ერისთავი თავისი პაპის, აშოთანის მიწა-მამულებით; მისი ასეთი მოქმედება მიუღებელი გახდა გ.სააკაძისა და მისი მომხრეებისათვის, რამაც განაპირობა, სხვაგან ეძებნათ ერთიანი საქართველოს მეფე.

ადრე ვთქვით და ახლაც აღვნიშნავთ, რომ ბაზალეთის ომის მიზეზი აიხსნება ორი საპირისპირო მხარის სურვილებით. ორი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ფაქტიურად, ბაზალეთის ომი პროვოკაციული ომი იყო, რაც შაჰ-აბასმა ქართველების დაპირისპირებით გამოიწვია.

1. გიორგი სააკაძისა და მის მომხრეთა მიზანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მის სათავეში მხოლოდ ღირსეული და მტკიცე მეფის მოყვანა იყო;

2. თეიმურაზ I-ლსა და მის მომხრეებს ქართლ-კახეთის ტახტის შენარჩუნება უნდოდათ.

სააკაძეს ოპონენტები საყვედურობდნენ იმასაც, რომ თვითნებურად მოქმედებდა და სამოკავშირეო ურთიერთობებს აბამდა ოსმალეთთან, თავად კი სიამოვნებით თანხმდებოდნენ პირობებს, რაც იმჟამად საქართველოსთვის ბევრად მეტი უბედურება იყო. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თეიმურაზი იმყოფებოდა ოსმალეთში იგივე სამოკავშირეო გეგმით და ქართული ჯარით იბრძოდა ირანის წინააღმდეგ, თანაც ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას.

ქართველების დაპირისპირებაში, მათი ინტერესების შეუთავსებლობის გარდა, დიდია შაჰის „დამსახურებაც“. მას ერჩია ქართლ-კახეთის ტახტზე ისევ თეიმურაზი ყოფილიყო მისი მორჩილი დიდებულებით, ანუ ქართლ-კახეთი ისევ ირანის გავლენის ქვეშ დარჩენილიყო, ამიტომ გამოგზავნა თბილისში დაუთ-ხან უნდილაძე მოსალაპარაკებლად და დაჰპირდა თეიმურაზს, რომ სააკაძის გზიდან ჩამოშორების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფედ ისევ მას გამოაცხადებდა და სწორედ ეს შეიქმნა

კატალიზატორი ბაზალეთის ომისა.

საგანგაშო ზარების ხმა ავის მოლოდინში გარინდებულიყო, თითქოს მიჩვეულიყვნენ ხმლისა და შუბის ტრიალს და დიდად არაფრად აკრთობდათ ერთმანეთისგან დადენილი სისხლი. თანამოძმეებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-დიდებულებს, გაჭირვების ჟამს ერთმანეთს რომ იფარავდნენ, ახლა ერთმანეთში მორიგება გასჭირვებოდათ. განა ისეთი რა მიზიდულობა ჰქონდა იმ სამეფო გვირგვინს, ძმათა შორის დაღვრილი სისხლიც რომ ვეღარ ეწონებოდა და მტერთა გასახარად მტრის საქმეს თვითონ აკეთებდნენ.

ბაზალეთის ომის შეჩერება-განმუხტვა ისევ ზ. ერისთავს შეეძლო. მას ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, – იყო ცოლისძმა სააკაძისა და სიძე თეიმურაზ მეფისა, – სიტყვაც ეთქმოდა, ძალაც შესწევდა და ანგარიშსაც გაუწევდნენ, მაგრამ ანგარებით ნაკარნახევმა მისმა პოზიციამ, – „ბატონს მივდგომივარ, ვერ ვუღალატებო!“, – შეჩერების მაგიერ უფრო გახსნა შურის კალაპოტი და იმ მოვლენებში მონაწილე ხალხის, სამწუხაროდ, თანამოძმეთა, უკვე საომრად აშლილ-აზავთებულ ბედუკულმართთა თვალში, როგორც ახლობელმა, სახლიკაცმა, შექმნა გ. სააკაძის, როგორც არასანდო, მერყევი ადამიანის ბუნდოვანი სურათი.

ზოგიერთი თავადის სიბეცე და შორსგაუხედაობა სააკაძისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ზურაბ ერისთავმა თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად თეიმურაზის მხარე აირჩია და სააკაძის საწინააღმდეგოდ ხმალიც აფხიანა, მუხრანბატონების მამულები დაგულებული ჰქონდა და ბაზალეთის ომის თავიდან აცილებას თუნდაც მხოლოდ სიხარბის გამო ვეღარ შეეცდებოდა.

თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის სააკაძის საწინააღმდეგო თათბირები სწორედ დუშეთში, მის სამფლბელოში იმართებოდა. ეს მომენტიც ადასტურებს, რომ არაგველი ერისთავი სიძის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და არა შერიგების სურვილით, იმდენად იყო გაჟღენთილი მათი გონება ბევრი მათ მიერვე მოგონილი ჭორით.

„მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!
ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეჭამა პურია?!“
(იოსებ თბილელი).

თვით ბაზალეთის ტერიტორიაზე ომის გამართვა მიგვანიშნებს, რომ ზ. ერისთავი ამ სამარცხვინო საქმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იყო. იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ კარგად ასახავს სააკაძის გულისტკივილს ერისთავის განდგომის გამო:

„მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი!
მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენი დღისაც გასათავი?“
...
„ეგებ მაბეზღარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია?
ბატონისას კი არ ვღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!“

ზ. ერისთავი ქართლში ერთ-ერთი ძლიერი გავლენიანი ფეოდალი იყო, ვის მხარესაც ის დაიკავებდა, უპირატესობაც იმ მხარეზე გადადიოდა.

მას რომ გამოეჩინა გონივრული ნება და არ ჩარეულყო თანამემამულეთა დაპირისპირებაში, ხელი დაებანა და განზე გამდგარიყო, მისგან ეს იქნებოდა დიდი კაცობის გამოხატვა. ამის საფუძველს სააკაძესთან სამოყვრო კავშირი აძლევდა. თეიმურაზ მეფისა კი სიძე იყო, ნეიტრალიტეტის ნება ჰქონდა. ასე თუ მოქცეულიყო, ზურაბი შეიქმნიდა სამაგალითო კაცის სახელს და ისტორიასაც ლამაზად დარჩებოდა. სამოქალაქო ომის ასაცილებლად გზის მოძებნა მომხდურ მტერთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებაზე ნაკლები ღირებულებისა არ იქნებოდა, მიეცა საშუალება, ერთხელ კიდევ მარტყოფისებურად ეკისრა ქვეყნის სამსახური, მაგრამ, სავალალოდ, მან ეს შანსი ვერ გამოიყენა.

სამწუხაროდ, ქართველებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და სისხლისღვრამდე მიიყვანეს საქმე. დადებითი მხარე ამ ომისა ის იყო, რომ გამოაშკარავდა, ვინ ვინ იყო და ვის რა ასულდგმულებდა. ბაზალეთის ომს არ უნდა შევხედოთ მარტო როგორც ძმათა შორის ომს, მას დადებითი მხარეები აქვს, რაც საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა.

ნიშანდობლივია, რომ ყველა ბრძოლაში უძლეველმა სააკაძემ ბაზალეთი წააგო, თანაც მას მეტი მეომარი ჰყავდა; მცირე რაზმით მტრის დიდ ჯარს ამარცხებდა, აქ კი ქართველის წინააღმდეგ, ეტყობა, ხმალი გულიანად ვერ მოიქნია. ბევრი რამაა დამაფიქრებელი და გულდასაწყვეტიც. ფაქტი ერთია: უცხოეთსა თუ საქართველოში მტრის წინააღმდეგ გამართული ყველა ომი სააკაძემ მოიგო, ბაზალეთში, თავისი თანამოძმეების წინააღმდეგ კი დამარცხდა.

გ. სააკაძის ცრემლში ნალესმა ხმალმა ვერ გაიმეტა თავისი თანამოძმენი.

ბაზალეთის ომის წინაც კი სააკაძეს მაინც ჰქონდა იმედი, რომ თეიმურაზი მას, ჯერ ქართველს და მერე ამხელა დამსახურების კაცს სასიკვდილოდ არ გაიმეტებდა. მოითათბირეს, გიორგის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი დავით გოგორიშვილი გასულიყო საომარ ველზე მის შემცვლელად მისი საომარი აღჭურვილობით. სააკაძეს უნდოდა, დარწმუნებულიყო, შერჩა თუ არა მეფეს ლმობიერება და იმედი ჰქონდა, რომ მცირედი გაბრძოლების შემდეგ დაზავდებოდნენ (როცა დასჭირვებიათ, ჩვენს მეფე-დიდებულებს მტერთან საზავო შეთანხმებაზე უკან არც დაუხევიათ), მაგრამ როგორც კი სააკაძედ შეიცნეს გოგორიშვილი, „დაგვიდექ, მოურავოო!“ – შესძახეს და მიესივნენ ზურაბ ერისთავის რაზმები; გოგორიშვილი მამაცურად იბრძოდა, მაგრამ რას გააწყობდა, ეს უბადლო ვაჟკაცი დაიღუპა. ხმა გავარდა, სააკაძე მოკლესო. მისიანები აირ-დაირივნენ...

სააკაძემ რა შეხედა თეიმურაზიანელების დაუნდობლობას, ველარ მოინელა ერთგული კაცის ასე გამეტება და სიკვდილი, ბრძოლაში ჩაება. ახალგაზრდა თავადმა ედიშერ ვაჩნაძემ თავი გამოიდო, „მე, მეფის ყმას, ვალდებულება მაქვს, შევება მოურავსო“ და ხმალმაც იელვა მის ხელში. მძიმედ დააჩნდა „გმირი“ ედიშას ნახმლევი სააკაძეს, მაგრამ უმალვე ვაჩნაძეც თავგაპობილი დავარდა ძირს. მყისვე სააკაძემ თავისი რაზმით თეიმურაზისკენ გაიწია და ხმლის მაგივრად ლახტი გადაჰკრა ესოდენ უგუნური უმადურობისთვის.

„მოურავმა ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და წავიდა“ („ქართლის ცხოვრება“).

საკმარისი იყო სააკაძეს თეიმურაზი სასიკვდილოდ გაემეტებინა, რომ ბრძოლის სასწორიც უმალ მის მხარეზე გადაიხრებოდა, მაგრამ მას ეყო სულგრძელობა და ხალხს და ქვეყანას მეფე შეუნარჩუნა.

მეფის დანდობა რაინდობა იყო სააკაძის მხრიდან, რასაც ვერ ვიტყვით მოწინააღმდეგე დიდებულებზე. ყველა ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ სააკაძის ცხენზე მჯდარი და მის ჯაჭვის პერანგში გამოწყობილი დავით გოგორიშვილი უმოწყალოდ აკაფეს.

სააკაძეს წესად ჰქონდა – ქვეყნის მტერს უკიდურესი თავგანწირვით ფეხდაფეხ მისდევდა და მის ბოლომდე ამოძირკვას ცდილობდა; როცა დაამთავრა ყიზილბაშთა განდევნა და უკვე შვებით უნდა ამოესუნთქა მის ამაგიან გულსა და ქვეყანას, სწორედ მაშინ დაიწყო სატანისაგან გაღვიძებულმა შურმა და უგუნურებამ მოქმედება ქართულ ფსიქოლოგიაში.

გიორგი სააკაძის ირანიდან დაბრუნებამ გააღვივა ნაცარწაყრილი ნაღვერდალი წინააღმდეგობისა, გამოაღვიძა ეროვნული ნერვი, მისი უზღვავი ენერგია გადაეცემოდა და აღანთებდა ყოველ ქართველს... უზენაესიც ეწეოდა და გაშმაგებულ შეტაკებებში ათასი შემართული ხმლის ქვეშ მყოფს თავისი შავი ფრთა ვერ გაჰკრა თვით სიკვდილმა, თითქოს საქართველოს თანამდევი უკვდავი სული მიმოტრიალებდა გ.სააკაძის გარშემო და იცავდა მას, რამეთუ მისი სიცოცხლე საქართველოს მტრისგან გასათავისუფლებლად იყო საჭირო.

კახეთს ყიზილბაშური ჭირი შესჩვეოდა, ქართლშიც გაეღწია და აოხრება-გადასახლების შიშქვეშ გაეთანგა მოსახლეობა. დანაწევრებული ქართული ფსიქოლოგია მოკლებული იყო მთლიანობის განცდას... უფლის შეწევნით კი დამდგარიყო ჟამი, გადამრჩენი, ძლიერი და გონიერი კაცი მოვლენოდა ქვეყანას, იბრძოდა მისი გათავისუფლება-გაერთიანებისათვის, რაც ეწინააღმდეგებოდა დიდებულების ამბიციას, მარაბდის ომის შემდგომ სააკაძისაგან უკვე ძლეული შაჰის საზავო პირობებს ხალისიანად რომ ეთანხმებოდნენ. მტერთან ლოიალობა რომ დამღუპველი იყო, ამას ქართველები გრძნობდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევას უშედეგოდ მიიჩნევდნენ, მტრის ფსიგოლოგიასთან შეგუება კი მტრისავე გაშინაურებას ნიშნავდა. იმდენად მაცდური პირობების შეთავაზებით ცდილობდა შაჰი ქართველი დიდებულების გულის მოგებას, რომ შემდეგ ეს საჭირო ნორმადაც აღიქმებოდა.

გ. სააკაძის სამართლიანობისაკენ სწრაფვა და მასთან შეზავებული ადამიანური სიმკაცრე მტრისაგან დაცვის წესადაც აღიქმებოდა ქართულ მოსახლეობაში. გიორგის ფიზიკური ძალმოსილება მისავე მძლავრ გონებას და მასშტაბურ წინდახედულებას ემორჩილებოდა. ცხადია, ბევრს არ მოსწონდა მისი ამგვარი უკომპრომისობა, ბევრი წინააღმდეგობა და მუხთლობა შეახვედრეს–ყველაზე უარესი, იძულებული გახადეს ორჯერ მიეტოვებინა სამშობლო და საბოლოოდ უცხო მიწას ამოჰფარებოდა.

საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშალა, გ. სააკაძე დამარცხდა – ქვეყნის მტრებთან ყოველთვის გამარჯვებული, მაგრამ თანამემამულეთა ურთიერთშეტაკებაში დამნდობი, ვერგამმეტე-

ბელი თავისი სისხლისა და ჯიშისა, მერე მიწა-წყლისა, იმ საფიცარი მიწისა და წყლისა, რომლისთვისაც შვილის სიცოცხლე გაიღო ზვარაკად, მისი კი მუდამ ბეწვზე ეკიდა!

გიორგი ჭყონდიდელი მუდამჟამს შთააგონებდა დავით აღმაშენებელს, იაკობ მოციქულის შეგონებას. „ყოველი საჭეთმპყრობელი ადამიანი სმენაში უნდა იყოს მკვირცხლი, რისხვაში კი ნელი“.

ომებში გამარჯვების მოპოვება იცოდა სააკაძემ, მაგრამ ქვეყნის საკეთილდღეოდ გამარჯვების შენარჩუნებას არ აცდიდნენ შაჰ-აბასისაგან ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობით მის გავლენაში მოქცეული დიდებულთა ნაწილი.

ისევ თავს დაგვტრიალებს და დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს მოუსვენარი კითხვა: ბაზალეთის ომში დამთმობი უფრო იყო სააკაძე თუ დამარცხებული? რა მოხდა? როგორი სამზადისით მიიყვანა მარტყოფის ომი სრულ გამარჯვებამდის და მის მედროშეს რაღა შეეშალა ან ვის რამდენი შეეშალა?

როცა ვაანალიზებთ ქსნის ომის შემდეგ მომხდარ მოვლენებს, ვასკვნით, რომ შაჰს ერთადერთი გზა დარჩენოდა, ზავის პირობების ულტიმატუმად წაყენება ქართველ დიდებულებთან, რასაც ირანული ფარჩა-ატლასებით, სახელოებით დასაჩუქრება, თავიანთ სამფლობელოებში უფლებების განმტკიცება და სხვა ასეთები ახლდა თან. ბაზალეთის ომის აცილება შეუძლებელი გახდებოდა სწორედ იმიტომ, რომ დაუდ-ხან უნდილაძე ჩამოვიდა საქართველოში, თეიმურაზს, შაჰის სახელით, ქართლ-კახეთის ტახტზე გაძლიერებას დაჰპირდა. მათ გეგმაში სააკაძის როგორც შაჰ-აბასის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე პირის ლიკვიდაციაც შედიოდა. ყიზილბაშური ჯარების განადგურების ამბები საქართველოდან ირანში ხშირ-ხშირად ჩადიოდა. შაჰ-აბასს ისეღა გაუხდა საქმე, რომ აცხადებდა, თავის სახელმწიფოს ნახევარს დასთმობდა იმისათვის, ვინც გურჯი მოურავის თავს საჩუქრად მიუტანდა.რადგან მარტყოფის ომში ირანული არმია დამარცხდა, ამ მოვლენამ პირობა შექმნა ქართლ-კახეთი ერთი დროშის ქვეშ დამდგარიყო. რამაც ბუნებრივად შაჰ-აბასის მიერ ქართლში დანიშნული სიმონ II-ის გამგებლობამ იგივე მეფობის იგნორირება გამოიწვია.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე. როდესაც მარტყოფის გამარჯვებით და სააკაძის ინიციატივით, თეიმურაზ I-ის მოწვევა აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა ქართლ-კახეთი ერთი მეფის ხელში ყოფილიყო, ამ მოულოდნელმა მოვლენამ შაჰ-აბასი საგონებელში ჩააგდო. მან იცოდა თეიმურაზ I-ის ხასიათიც და ბრძოლისუნარიანობაც. გამომდინარე, კახეთზე თავდასხმების დროს, რა დროსაც თეიმურაზი დასავლეთ საქართველოს აფარებდა თავს, ამდენად ქართლ-კახეთის გაერთიანება მისაგან შეუძლებელი იყო. შაჰ-აბასმა იცოდა, მარტყოფის ომში თავისი ჯარების დამარცხებამ ქართლ-კახეთი გააერთიანა. მან ამ მიზეზებით სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და აღმოსავლეთ საქართველოს ძირფესვიანად მოსათხრელად თავი მოუყარა 50 ათასიან ირანულ ჯარებს. შაჰ-ბენდე-ხანსაც ბრძანება შეუთვალა, 10 ათასი მეომრით მხარში ამოსდგომოდა ირანელებს.

თუ წინა წლებში შაჰი თეიმურაზს კახეთის სამეფოდან ჩამოშორებას უპირებდა ირანში მიწვევით (იქ კი მის სიცოცხლეს რა მოელოდა ეს მარტო შაჰმა იცოდა), მარაბდაში ასეთი რაოდენობის ჯარი რომ შემოვიდა, შაჰს თეიმურაზის ან ცოცხლად შეპყრობა ეწადა, რაც მისთვის უკეთესი იქნებოდა, ან ბრძოლაში განადგურება, რომ ქართლ-კახეთში მეფობის მსურველი აღარ დარჩენილიყო.

რადგან შაჰ-აბასმა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი მიზნები ვერ აისრულა, თან ამდენი ჯარი გაუნადგურდა, მიზეზი კი სააკაძე იყო, მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მოკაკვა თითი, გამოიყენა ცბიერი ხერხი, შეამზადა დაუდ-ხან უნდილაძე საქართველოში გამოსაგზავნად,

დაუდ-ხან უნდილაძე, მისი მამა ალავერდი-ხან და ბიძა იმამყული-ხან უნდილაძეებისაგან მაგალითაღებული, რომ სამსახური უნდა გაეწია ირანისათვის: მან საქართველოში შაჰ-აბასისაგან ისეთი საზავო პირობა ჩამოიტანა, რომ ბაზალეთის ომი გარდაუვალი იყო.

ბაზალეთის ომში ორივე მხარეს ქართველები იბრძოდნენ. ღმერთმა დაგვიფაროს იმ განცდისაგან, რომელიმე მხარის გამარჯვება ან დამარცხება გაგვიხარდეს, მათ შორის კი შაჰისაგან ისეთი სატანა ჩამდგარიყო, შუა საქართველოში, დუშეთთან ახლოს, ბაზალეთზე, საქართველოს გაერთიანების იდეას ნიადაგი უნდა გამოსცლოდა.

შაჰისაგან შეთავაზებულ ზავზე, ზოგი ქართველისაგან თავის კანტური, საქციელი იყო არა ქართული.

ხელოვნება

აზა შანავა

ფიზკულტურა და სპორტი

ჯემალ არობელიძე

ყველაზე პოპულარული და გავრელებული თამაშის – "ფეხბურთის" ისტორიული მონაცემები, რომლის განვითარებას და პოპულარიზაციას რესპუბლიკის და აჭარის მასშტაბით საინტერესო გზა აქვს.

სტატიაში წარმოდგენილი მასალები აღებული მაქვს პირადი არქივიდან, სპორტული პუბლიკაციებიდან.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internationale de Football Association-FIFA) დაარსდა 1904 წლის 21 მაისს პარიზში(საფრანგეთი). დამფუძნებელი ქვეყნები: ბელგია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვედეთი, შვეიცარია და ჰოლანდია. აერთიანებს 205 ქვეყნის ფერედაციასა და 6 კონფედერაციას.

ევროპის ფეხბურთი(Union des Associations Europeanes de Football-UEFA) დაფუძნდა 1954 წლის 15 ივნისს ბაზელში (შვეიცარია). აერთიანებს 52 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1990 წლის 15 თებერვალს. 1992 წლის 25 თებერვლიდან ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIFA) დროებითი წევრია, იმავე წლის 3 ივლისიდან — მუდმივი წევრი, 1993 წლის 17 ივნისიდან – ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირის (UEFA) მუდმივი წევრი.

პრეზიდენტები: ნოდარ ახალკაცი(1990-1993), მერაბ ჟორდანია(1998-2005),
ნოდარ ახალკაცი-უმცროსი(2005-2009), ზვიად სიჭინავა(2009 წლიდან).

აჭარის ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 1992 წლის 24 მაისს.

პრეზიდენტები: ენვერ ნაკაშიძე (1992-1993), ნოდარ დიასამიძე (1993-2003), ალექსანდრე ახვლედიანი (2003-2007), დავითჲთავართქილაძე (2007-2008), ვახტანგ ქორიძე (2009 წლიდან).

ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1960 წლიდან, ქალთა შორის – 1984 წლიდან.
მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა შორის იმართება 1930 წლიდან, ქალთა შორის 1991 წლიდან;
ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია: 1900წლიდან – კაცები, 1996 წლიდან ქალები.

ფეხბურთის მსგავსი თამაშის კვალი ნაპოვნია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში(ეგვიპტე, ჩინეთი), ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. 180 წლით დათარიღებულ ბერძნულ ლექსიკონში (პოლუქსი) აღწერილია ბურთით თამაშის ერთ-ერთი ნაირსახეობა: მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ და ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანას ცდილობდნენ. თანამედროვე რაგბის მსგავსად ნებადართული იყო ძალისმიერი ილეთები, მაგრამ ხელით თამაში იკრძალებოდა. ინგლისური წყაროებით, დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე ბურთის ფეხით თამაში IX საუკუნეში გავრცელდა. თამაშობდნენ ყველგან — ქალაქებში, სოფლებში, დღესასწაულებზე. თუმცა ზოგჯერ ორი 500-კაციანი გუნდის შეჯიბრება მუშტი-კრივით მთავრდებოდა და არა კარში ბურთის გატანით. ამიტომ 1313 წელს ინგლისის მეფე ედუარდ II-ის ბრძანებულებით თამაში აიკრძალა, "რადგან დიდი ბურთის გორება ხმაურსა და ალიაქოთს იწვევს, ვკრძალავ ბურთაობას ქალაქის ფარგლებში". როგორც ჩანს, ამან შედეგი ვერ გამოიღო, რადგან 1389 წელს კიდევ ერთმა მეფემ, რიჩარდ II-მ

ურჩ მობურთალებს სასჯელი გაუმკაცრა და მათთვის სიკვდილით დასჯა დააწესა. ეს კანონი მხოლოდ 1603 წელს გაუქმდა.

ფეხბურთის განვითარების ახალი ეტაპი იწყება XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან, როცა ინგლისის კერძო სკოლების ფიზიკური აღზრდის პროგრამაში ბურთის ფეხით თამაში შეიტანეს და პირველი ბტურნირები მოაწყვეს. 1857 წლის 20 ოქტომბერს ინგლისში ფეხბურთის პირველი კლუბი ("შეფილდ ფუტბალ კლაბი").

შეიქმნა. 1863 წლის 8 დეკემბერს ლონდონში გამოქვეყნდა თამაშის პირველი წესები, რომელიც 6 მუხლისაგან შედგებოდა:

1. მოედნის სიგრძე —არაუმეტეს 200იარდისა(183მ), სიგანე — არაუმეტეს 100იარდისა (91.5მ), კარის ორ დგარ (უძელოდ) შორის მანძილი — 8 იარდი(7.32მ);

2. გუნდები მხარეებს ცვლიან ყოველი გოლის შემდეგ;

3. კარი აღებულად ითვლება, თუ ბურთმა გაიარა ძელებს შორის (წარმოსახვითი გაგრძელების ჩათვლით);

4. გვერდით ან პირით ხაზს იქით გადასულ ბურთს თამაშში აბრუნებს ის გუნდი, რომლის ფეხბურთელიც მასთან ყველას მიასწრებს;

5. ფეხბურთელი, რომელიც ბურთის დარტყმის მომენტში მეტოქის კართან დამრტყმელ თანაგუნდელზე ახლოსაა, თამაშგარე მდგომარეობაში ითვლება და ბურთის მიღება ან მეტოქის ხელის შეშლა ეკრძალება;

6. ნებადართულია ბურთის ხელით დაჭერა ან შეხება, მაგრამ აკრძალულია ბურთის ხელში მოძრაობა და ბურთის ხელით გადაცემა.

რაგბისგან ფეხბურთის საბოლოოდ გამიჯვნის მოსურნეებმა საწადელს 1869 წელს მიაღწიეს, როცა ხელით თამაში მეკარეებისათვისაც აიკრძალა, მხოლოდ 1871 წელს ნება დართეს მეკარეს, თავის ბაქანზე ხელით ეთამაშა. 1902 წელს კი ეს წესი მთელ საჯარიმოზე გავრცელდა, შვიდი წლის შემდეგ მეკარეს განსხვავებული ფორმით თამაში დაევალა; 1933 წელს ინგლისის თასის გათამაშების ფინალში გუნდები პირველად გამოვიდნენ დანომრილი მაისურებით, რაც ოფიციალურად 1939 წელს დაკანონდა.

1878 წელს საფეხბურთო მინდორზე პირველად გამოჩნდა მსაჯი- მანმადე ის თამაშს მოედნის გარედან ადევნებდა თვალს და სადავო სიტუაციებს მხოლოდ მოთამაშეთა თხოვნის შემდეგ აგვარებდა. 1891 წელს საფეხბურთო კარს პირველად გაუკეთეს ბადე, შემოიღეს 12 იარდიანი (10.97მ) დარტყმა (პენალტი), მსაჯს კი ორი თანაშემწე დაუნიშნეს.

უნივერსალობისა და ხელმისაწვდომობის გამო, ფეხბურთი სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. გახშირდა საერთაშორისო შეხვედრები, რომელსაც სათავე დაედო 1872 წლის 30 ნოემბერს ინგლისისა და შოტლანდიის ეროვნულ გუნდებს შორის გლაზგოში გამართულმა მატჩმა. იმავე წელს მოეწყო ინგლისის თასის პირველი გათამაშება(მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო ტურნირი). 1885 წელს ინგლიოსშივე დაკანონდა პროფესიონალური ფეხბურთი. საერთაშორისო ფედერაციების ჩამოყალიბებამ 1904 წელს კიდევ უფრო გააააქტიურა საფეხბურთო ცხოვრების მსოფლიოს ჩემპიონატის შემოღებამ კი (1930) ფეხბურთი პლანეტის ყველაზე უფრო პოპულარულ თამაშად აქცია. XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო ოცწლეულში ფართოდ გავრცელდა ქალთა ფეხბურთიც. ფიფას 2004 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში ფეხბურთის 240 მილიონიანი ადამიანი მისდევს.

პირველი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი 1896 წელს ათენში გაიმართა (ჩატარდა ორი მატჩი), თუმცა ისევე, როგორც მომდევნო თამაშებზე, პარიზისა და სენტ-ლუისში, მას მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლის სტატუსი მიენიჭა, ამიტომ ოფიციალურ ოლიმპიურ სახეობად ფეხბურთი 1968 წლიდან ითვლება დამ ას შემდეგ, 1932 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის გარდა, ყველა თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი.

მეორე მსოფლიო ომამდე განსაკუთრებით საინტერესო იყო 1924 და 1928 წლების ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირები, რომლებიც მომავალი პირველი მსოფლიო ჩემპიონის, ურუგვაის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ომის შემდგომ ოლიმპიადებში წარმატებას უმეტესად სოციალისტური ქვეყნების გუნდები აღწევდნენ, ვინაიდან წმინდა სამოყვარულო ტურნირებში ამ ქვეყ-

ნების ოფიციალურად მოყვარულნი, ფაქტობრივად კი პროფესიონალები თამაშობდნენ. ფიფას გადაწყვეტილებით 1960 წლიდან ოლიმპიადაზე გამოსვლა აეკრძალათ წინა მსოფლიოს ჩემპიონატების მონაწილეებს, რამაც პრობლემ ავერ გადაჭრა, ტურნირის მნიშვნელობა კი დააკნინა. ვითარება გამოსწორდა 1980-იან წლებში, როცა ოლიმპიური თამაშების კარი პროფესიონალებისთვისაც გაიღო. ამჟამად ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირებში თამაშის უფლება მხოლოდ 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს აქვთ, 1952-1980 წლებში ოლიმპიური ჩემპიონები სოციალისტური ქვეყნების (უნგრეთი, იუგოსლავია, სსრკ, პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია) გუნდები ხდებოდნენ. ამ დროის განმავლობაში, ფაქტობრივად, ე.წ. "სოციალისტური ფინალები" იმართებოდა (1960 წელს დანიისა - გამონაკლისია) თუმც ამ ყველაფრის მიუხედავად, ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, რომ სწორედ ოლიმპიადაზე გაუცნიათ საფეხბურთო სამყაროში შემდგომი აღიარებული ვარსკვლავები: ფერენც ფუშკაში, ედუარდ სტრელცოვი, ფლორიან ალბერტი, ვლოძიმეჟ ლიუბანსკი, კაზიმეჟ დეინი, ანჟეი შარმახი, იურგენ კლინსმანი, რომარიო, ჩირო ფერარი, დრაგან სტოიკოვიჩი, ბებეტო და სხვები. ქალთა შორის ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი სულ ოთხჯერ გაიმართა: 1996-აშშ; 2000-ნორვეგია; 2004-აშშ; 2008-აშშ.

საქართველოში ფეხბურთი, ისევე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ინგლისელებმა შემოიტანეს ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში ჩამომდგარი ბრიტანული გემების მეზღვაურები ერთმანეთში ხშირად თამაშობდნენ "ფუტბოლს", რომელიც მალე ქართველმა ლელობურთელებმაც აითვისეს. ძნელი სათქმელია, ზუსტად როდის გაიმართა ჩვენში პირველი საფეხბურთო მატჩი, თუმცა ფაქტია, რომ სპორტის ეს სახეობა ქართულ პრესაში პირველად 1890 წელს მოიხსენიება.

ზღვისპირეთიდან ფეხბურთი სწრაფად გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მალე მისი განვითარების ცენტრად თბილისი იქცა. 1906 წელს სწორედ დედაქალაქში ჩამოყალიბდა "ბურთის ფეხით მოთამაშეთა" პირველი გუნდი. ამ საქმის თაოსანი იყო ტანვარჯიშული საზოგადოება "სოკოლის" პრეზიდიუმის წევრი ადოლფ ელზინგერი. მანვე თარგმნა ინგლისურიდან ფეხბურთის წესები. 1907 წლის წლის 23 თებერვალს თბილისის გუბერნიის საზოგადო საქმეთა საკრებულომ განიხილა ფეხბურთელთა პირველი ოფიციალური გუნდის — "კომეტის" განცხადება და მცირე შეზღუდვებით მისი წესდებაც დაამტკიცა. ამის მიუხედავად, თბილისში საფეხბურთო მატჩის გამართვა ვერ მოხერხდა, ვინაიდან "კომეტას" მოწინააღმდეგე არ ჰყავდა.

1908-1909 წლებში ფეხბურთის გუნდები შეიქმნა თბილისის სასწავლებლებში 1909 წლის 22 ოქტომბერს ქუთაისში ექსკურსიაზე მყოფმა თბილისის ვაჟთა I და II გიმნაზიების გუნდებმა საქართველოში პირველი ოფიციალური საჩვენებელი მატჩი გამართეს. შეხვედრა პოლერ კაზაკთა პოლკის მოედანზე მოეწყო დამ ას ქუთაისის გუბერნატორიც კი ესწრებოდა. 1912 წელს ჩატარდა თბილისის პირველობა, რომელიც I გიმნაზიის გამარჯვებით დამთავრდა. ამავე ხანებში ათეულობით გუნდი ჩამოყალიბდა სოხუმში, ბათუმსა და ფოთში. თუმცა პირველი მსოფლიო ომის წლებში საფეხბურთო ცხოვრების რიტმი შესამჩნევად შეიცვალა. დამოუკიდებელ საქართველოში(1918-1921) ასამდე გუნდი მაინც არსებობდა. იმ დროს ჩვენში ვერ შეიქმნა ერთიანი საფეხბურთო ორგანიზაცია, რომელიც შეიძლებოდა ფიფას წევრობას. 1924 წლისთვის საქართველოში უკვე 120 გუნდი იყო, თუმცა უმრავლესობას სავარჯიშოდ მუდმივი ადგილი არ ჰქონდა და არც მწვრთნელი ჰყავდა.

1923 წელს გაიმართა თბილისის პირველი ჩემპიონატი, რომლის საგაზაფხულო და საშემოდგომო ტურნირებში დედაქალაქის "ასკ" და ავიაციის გუნდებმა გაიმარჯვეს. 1925 წლის მოემბერში შეიქმნა თბილისის "დინამო", რომელიც 1936-1989 წლებში ფაქტობრივად საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა სსრკ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში. პირველი მატჩი სსრკ უმაღლეს ლიგაში 1936 წლის 7 სექტემბერს გამართა კიევის "დინამოსთან" (2:2). იმ პირველ სეზონში ქართულმა გუნდმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და თასის გათამაშების ფინალშიც გავიდა. ქართველ ფეხბურთელთა პირველმა თაობებმა ვერ შეძლეს საკავშირო ჩემპიონატებში გამარჯვება და თასის მოგება, თუმცა "დინამო" ყოველთვის ითვლებოდა სსრკ ფეხბურთის გათამაშების ერთ-ერთ გამორჩეულ და თვითმყოფად გუნდად. სწორედ იმ დროს, მეორე მსოფლიო ომის წინა და შემ-

დგომ პერიოდში, "დინამოში" თამაშობდა არაერთი გამოჩენილი ფეხბურთელი: ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი, ავთანდილ ღოღობერიძე და სხვები.

პირველი დიდი გამარჯვება "დინამოელებმა" 1964 წელს იზეიმეს, როცა ტაშკენტში გამართულ "ოქროს მატჩში" 4:1 დაამარცხეს მოსკოვის "ტორპედი" და სსრკ ჩემპიონობა მოიპოვეს. ამ დროს გუნდის მთავარი მწვრთნელი რუსი სპეციალისტ გავრილ კაჩალინი იყო. მეორედ და უკანასკნელად "დინამომ" სსტკ ჩემპიონატი მოიგო 1978 წელს. მაშინ გუნდს ნოდარ ახალკაცი წვრთნიდა. სწორედ ახალკაცის თავკაცობით მოიპოვა ჩვენმა გუნდმა სხვა დიდი ჯილდოებიც: 1976 და 1979 წლებში — საბჭოთა კავშირის თასი, 1981 წლის 13 მაისს კი —ევროპის თასების მფლობელთა თასი. ამტურნირის ფინალური მატჩი გაიმართა დუსელდორფის "რაინშტადიონზე", სადაც "დინამომ" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იენის "კარლცეისი" 2:1 დაამარცხა. საბჭოური დროის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები სსრკ ნაკრების ღირსებას იცავდნენ. სხვადასხვა დროს ამ გუნდის კაპიტნები იყვნენ — მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონები გახდნენ (1960), გელა კეტაშვილმა კი სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა (1988). თბილისის "დინამოს" გარდა, სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სხვადასხვა დროს კიდევ ოთხი ქართული გუნდი გამოდიოდა(თბილისის "ლოკომოტივი" და "სპარტაკი", ქუთაისის "ტორპედო" და ლანჩხუთის "გურია"), თუმცა "დინამოელთა" მსგავსი წარმატებებისთვის არცერთ მათგანს არ მიუღწევია.

1990 წლის 15 თებერვალს შეიქმნა საქართველოდს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია, რომლის პირველ პრეზიდენტად ნოდარ ახალკაცი აირჩიეს. დამოუკიდებელი ფედერაციის პირველმა ყრილობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — ყველა ქართულ გუნდს დაეტოვებინა საბჭოთა შეჯიბრებები. იმავე წლის30 მარტს გაიმართა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი: თბილისის "იბერია" — ფოთის "კოლხეთი 1913" (0:1). პირველი ჩემპიონატი მოეწყო გაზაფხული-შემოდგომის სისტემით, მეორე- ერთ წრედ, მას შემდეგ კი შეჯიბრებები შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება. საქართველოს ეროვნული თასის პირველი გათამაშებიდან (1990) ფინალური მატჩი 26 მაისს ყოველწლიურად იმართება თბილისში. 2001 წლიდან გათამაშებას დავით ყიფიანის სახელი მიენიჭა. ორწლიანი იზოლაციის შემდეგ, 1992 წლის 25 თებერვალს, ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერ- დროებით, იმავე წლის 3 ივლისს კი მუდმივ წევრად მიიღო. მალე სფფ "უეფას" წევრიც გახდა. მას შემდეგ საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში გამოდის, საკლუბო გუნდები კი ევროთასების გათამაშებაში ღებულობენ მონაწილეობას.

ასობით ქართველი ფეხბურთელი უცხოურ კლუბებში თამაშობს. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია კახა კალაძემ, რომელმაც იტალიის "მილანის" შემადგენლობაში ორჯრ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

* * *

აჭარაში პირველ საფეხბურთო გუნდი "ხოლოდნაია სლობოდა" XX საუკუნის ათიან წლებში ბათუმის ე.წ. ცივ დაბაში — გოროდოკში შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ პირველი თაობის ფეხბურთელები: კ.სესენკო(კაპიტანი), რ.ჭეიშვილი, კ.შილინი, ი.ოდიკაძე, ვ.ტანცუროვი, ბ.ზამოროკო, ვ.დახნოვიჩი, ი.გავრიში, ა.სიჭინავა, ი.დახნოვიჩი, ა.თავართქილაძე და ა.ბელოუსოვი.

1912-1913 წლებში ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის ფიზკულტურის მასწავლებლის- ჩეხი Vაცლავ კოუბას თაოსნობით გიმნაზიასთან და სატანვარჯიშო საზოგადოება "სოკოლთან" საფეხბურთო გუნდები- "გიმნაზიჩესკაია" და "ვოლნიე სოკოლი" ჩამოყალიბდა, რომლებშიც თამაშობდნენ: ნ.დიმიტრიადი, , ა.პაპომოვსკიჩი, ლ.ფრანკერბერგი, ბ.ხოჟაკოვი, ძმები ნ.და ი. გუძოვსკები და სხვა.

1913 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სხვა გუნდების დაფუძნებაც, რომლებიც ძირითადად ეროვნული ნიშნით ყალიბდებოდა. "არაქსში" გაერთიანებული იყვნენ სომხები, "ოლიმპია" ბერძნული კლუბი იყო, არსებობდა მეკასრეთა რუსული გუნდიც. ბათუმში შეიქმნა ასევე "სელექტე-

დი", რომელშიც არისტოკრატთა შვილები ირიცხებოდნენ. დღევანდელი ბათუმის მერიის ეზოც სავარჯიშოდ მათ განკარგულებაში იყო. არისტოკრატებს ინგლისისა და საფრანგეთის საკონსულოების თანამშრომლები — პოკოკი, ბრომბერგი და დე ლა კრუა მფარველობდნენ. "სელექტედი" ქუჩის ფეხბურთელებთან შეჯიბრებას თავს არიდებდნენ და მხოლოდ გიმნაზიისა და უცხოური გემების მეზღვაურთა გუნდებთან თამაშობდა.

იმ დროისთვის ფეხბურთელები სპორტულ ფორმას და საჭირო ინვენტარს საკუთარი ხარჯებით ყიდულობდნენ. თამაშები ბათუმში ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა და მსაჯის გარეშე იმართებოდა.

1913 წელს სხვადასხვა კოლექტივის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ბათუმის გუნდი პირველი საერთაშორისო მატჩის გასამართავად ფოთში გაემგზავრა და 0:8 დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ ფოთს "ვოლნიე სოკოლი" ეწვია, რომელმაც რევანშის აღება და კოლხთა დამარცხება (1:0) შეძლო. 1914 წლის მაისში ბათუმის "არაქსი" სოხუმში ჩავიდა და იქაურ ფეხბურთელებთან მატჩი უგოლო ფრედ დაასრულა. მომდევნო წელს კი ბათუმს სოხუმელები ესტუმრნენ. ამჯერად "არაქსმა" სტუმრები 5:0 დაამარცხა.

1916წლისთვის ბათუმს რამდენიმე გამორჩეული გუნდი ჰყავდა: "ვოლნიე სოკოლი", "სელექტედი", "დრუჟბა", "არაქსი", "ბოევაია", "გიმნაზიჩესკაია", "გრეჩესკაია", "პობედა", "ბონდარი", "რიცარი", "მარსი", "სპორტი", "სლიოტი", "ხოლოდნაია სლობოდა", "მორიაკი" და სხვა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, თითქმის ყველა რჩეული ფეხბურთელი არმიაში გაწვევამ, კავკასიის ფრონტზე წარმოებული საომარი ოპერაციების ასპარეზად აჭარის გადაქცევამ(მათ შორის ბათუმის დაბობმბვამაც), 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ბოლშევიკური რევოლუციებით გამოწვეულმა ქაოსმა და მომდევნო წლის ოსმალთა თარეშმა ბათუმში საფეხბურთო ცხოვრება მნიშვნელოვნად შეაფერხა. 1918 წლის შემოდგომაზე ოსმალები დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარებმა ჩაანაცვლეს, რომელთა რიგებში ბევრი იყო ფეხბურთის მოყვარული. იმ დროისათვის ბათუმის ნავსადგურში ინგლისის კრეისერი "ტეზეოც" იდგა, რომლის მეზღვაურ ფეხბურთელთა შორის მღვდელიც თამაშობდა. ინგლისური კრეისერის გვერდით ღუზა იტალიურ დრედნოუტ "რომასაც" ჰქონდა ჩაშვებული.. ბათუმელებმა მათ ეკიპაჟებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს, რის შემდეგაც ეგრეთწოდებული სამთა ტურნირი გაიმართა. "ტეზეომ" პირველი შეხვედრა "რომასთან" წააგო, სამაგიეროდ, ინგლისელებმა ახლად ჩავოყალიბებულ ადგილობრივ გუნდს "22"-ს 2:1 მოუგეს (ბათუმელებს ამ მატჩში შავი ტრუსები და თეთრი მაისურები ეცვათ ბურთის გამოსახულებითა და მატჩის მონაწილეთა საერთო რაოდენობის გამომსახველი ციფრით — "22"). მეორე შეხვედრაში "22" "რომას" ფეხბურთელიბს ბოლო წუთამდე ორი ბურთის სხვაობით ამარცხებდა, მაგრამ მოსალოდნელი წაგებით გაგულისებული იტალიელები შეურაცხყოფაზე გადავიდნენ და თამაში ჩაშალეს. ბათუმელები იძულებული გახდნენ თამაში მიეტოვებინათ. ოკუპაციის პერიოდში ბათუმის ფეხბურთის ისტორიაში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა — ქალაქში უცხოელთა პოლიციეს პარპაშის დროს "22"-ს აიძულებდნენ პოლიციელებთან ეთამაშათ, თუმცა დაპატიმრების შიშით ბათუმელები ყოველთვის აგებდნენ, როცა ბათუმის ოლქიდან ინგლისელთა განდევნის დრო მოახლოვდა, "22"-მა ჯავრი ერთბაშად იყარა და ბოლო შეხვედრაში პოლიციელებს 9 მშრალი ბურთი გაუტანა. შემდგომ წლებში ინგლისელებს და იტალიელებს ხშირად ეჯიბრებოდნენ სხვა ადგილობრივი გუნდებიც: "სლიოტი", "ხოლოდნაია სლობოდა" და "მორიაკი", ყოველივე ე სკი საქართველოში საერთაშრისო სპორტული ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა.

1920 წლიდან სისტემატურად იმართებოდა შეხვედრები ამიერკავკასიის გუნდებთანაც. "22"-მა პირველად ბაქოელებთან ითამაშა და 1:3 წააგო, ქვეყნის მასშტაბით კი იმავე პერიოდში თბილისელებთან ორი შეხვედრა გამართა. სტუმრად ფრე ითამაშა, საკუთარ მოედანზე კი 1:2 დამარცხდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქალაქის ყველაზე ძლიერ გუნდად "სოკოლი 1" ითვლებოდა, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ: მეკარე- ს.იოაკიმიდი, მცველები: ლ.ფრანკერბერგი, ლ.ტუპინიანი, რ.პოღოსოვი, ნ.დიმიტრიადი, ბ.კაზაჩენკო; თავდამსხმელები: ა.სარქისიანი, ვ.დახნოვიჩი, ლ.სიდიროპულო, ვ.დარჩია, ა.ბიბაევი და სხვები(გუნდის

კაპიტანი ივან ატროშენკო). "სოკოლმა" რამდენიმე საქალაქთაშორისო შეხვედრა ჩაატარა ბორ-ჯომის, ფოთის, სოხუმის, კისლოვოდსკის, ორჯონიკიძის, ნოვოროსიისკის გუნდებთან და ყველა დიდი ანგარიშით მოიგო. 1921 წლის 21 ოქტომბერს ბათუმს კისლოვოდსკის ნაკრები ეწვია, რომელთანაც "სოკოლმა" საკავშირო ამხანაგური შეხვედრა გამართა. ბათუმელთა უპირატესობა თამაშის მე-10 წუთიდანვე გამოიკვეთა, რაც მთელი მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში შეიმჩნეოდა. "გამარჯვება "სოკოლი 1"-ია ფეხბურთელთა გაბედულმა თამაშმა განაპირობა, რომლებმაც 5:0 დაამარცხეს მეტოქე"(შაენ ავაქოვი, ჟურნალი "სოკოლი" 1921 წელი, 25 ოქტომბერი). იმავე წელს "სოკოლი 1"-ის ფეხბურთელებმა ორჯონიკიძის ნაკრებ გუნდსაც უმასპინძლეს და 9:0 დაამარცხეს. "სოკოლი 1"-ის პარალელურად, დროთა განმავლობაში შეიქმნა საფეხბურთო კლუბი "სოკოლი II". აღდგა "ხოლოდნაია სლობოდა". ჩამოყალიბდა ასევე სპორტსაზოგადოება "შევარდენის" ფეხბურთელთა გუნდი.

1922 წლის მარტში "სოკოლი I"-ის ფეხბურთელთა შორის მომხდარი უთანხმოების გამო გუნდის კაპიტანმა ივან ატროშენკომ "მერკური " დააარსა, დანარჩენები "ბდპო"-ს გუნდს შეუერთდნენ(სხვადასხვა დროს ამ გუნდში გამოდიოდნენ თბილისისა და მოსკოვის სამხედრო ოლიმპიადების მონაწილეები: ა.პოპოვი, კ.ბორმანი, ნ.ანიკინი, რ.ფალავანდიშვილი და სხვები). მომდევნი წლის ოქტომბერში კი "ბდპო"-ში "მერკურის"ახალგაზრდა ფეხბურთელებიც —ძმები ს, და ა. იოაკიმიდები, ლ.ლაზარევი, გ.ფაჩულია, კ.პსაროსი, ს.კარაკულიანი, ვ.დარჩია, ლ.აბაშიძე, ა,ბიბაევი და მ.ბაუერი გაწევრიანდნენ.

გასული საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში ბათუმში 16-მდე გუნდი არსებობდა: "მეზღვაური", "ჭაობი", "უნიტასი", "მერკური", "კსმ"(კომკავშირული საფეხბურთო გუნდი), "სლობოდა", "სლიოტი", "კრასნი რიცარი", "აზიზიე" და სხვები. არმიელთაგან გამოირჩეოდნენ-"ბურას"(ბათუმის სიმაგრეთა რაიონის ნაკრები), აჭარისტანის ცაკ-ის სახელობის პოლკის, განსაკუთრებული განყოფილებისა და ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ფეხბურთელთა გუნდები.

1923 წლის 23 თებერვალს ბათუმში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა "ბდპო"-სა და ინგლისური გემის "ტირიას" მეზღვაურთა შორის, რომელიც მასპინძელთა გამარჯვებით — 8:0 დასრულდა. იმავე წელს ბათუმელებმა სხვა ინგლისური გემის ფეხბურთელებსაც დიდი ანგარიშით მოუგეს (7:0). მალე ბრიტანელებიო გაძლიერებული შემადგენლობითჩამოვიდნენ ბათუმში, თუმცა კვლავ დამარცხდნენ(1:2).

1923 წლის სექტემბერში მოეწყო ბათუმის პირველი ჩემპიონატი "კსმ"-ის , "ლიბერტასის", "მერკურისა" და "ხოლოდნაია სლობოდა II"-ის გუნდების მონაწილეობით, რომელიც "ლიბერტასის" გამარჯვებით დასრულდა.

1924 წლის აპრილში აჭარას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენთა გუნდი ეწვია და ახალჩამოყალიბებულ ბათუმის ნაკრებს 2:0 სძლია. ერთი წლის შემდეგ ბათუმელებმა იგივე ანგარიშით თბილისში რევანშის აღება მოახერხეს. ამავე პერიოდში ბათუმის ნაკრებმა ამიერკავკასიის პირველობაზე თბილისელებს კიდევ ერთხელ მოუგო (3:0), ბაქოს გუნდთან კი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით 1:2 დამარცხდა. მესამე მატჩში თბილისის გუნდმა ბაქოელები დაამარცხა, თუმცა ტურნირი დაუმთავრებელი დარჩა, ვინაიდან საკავშირო ოლიმპიადა ახლოვდებოდა.

იმავე წლის ნოემბერში თბილისს ხარკოველი ფეხბურთელები ეწვივნენ. პირველ სამ შეხვედრაში უკრაინელებმა დაამარცხეს "კიმი" 11:2; "სახუნტი"-2:0 და თბილისის ნაკრები 3:0, რის შემდეგაც თბილისში ბათუმელთა გუნდი "ბდპო" მიიწვიეს, რომელმაც ხარკოველებთან მატჩი ფრედ 2:2 დაასრულა. რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა საქართველოს ნაკრებმა სტუმრებს 1:0 მოუგო.

1923 წელს დაარსდა საფეხბურთო კლუბი ბათუმის "დინამო". იმავე წელს 6 გუნდს შორის გამართული თბილისის პირველი ჩემპიონატი თბილისის არმიელთა გამარჯვებით დასრულდა, საშემოდგომო გათამაშება კი "ავიაციამ" მოიგო.

1925 წელს აჭარაში შეიქმნა მსაჯთა პირველი კოლეგია. მასში გაერთიანებული იყვნენ გამოცდილი ვეტერანი ფეხბურთელები: ს.იოაკიმიდი და ი.ატროშენკო. ამავე პერიოდში პროფკავშირების აჭარის რესპუბლიკურმა საბჭომ შექმნა ფეხბურთელთა ახალი გუნდი – ოლეინიკის(მეკარე), კილაძის, არუთინოვის(მცველი), პოლიაკოვის, მამუდოვის(ნახევარმცველები), კაჭახიძის, სი-

მეოფორიდის, ჩულოიანის, ნეკეროვსკის, კუზნეცოვის(თავდამსხმელები), არუთინოვის(გუნდის კაპიტანი) და სხვათა შემადგენლობით(გუნდის მწვრთნელი -პსაროსი).

1925 წელს ქალაქის ზღვისპირა პარკის 3.5 ჰა ტერიტორიაზე აშენდა ცენტრალური სტადიონი, რომელსაც 1936 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. 1996 წლამდე კი ბათუმის "დინამოს" სახელით იყო ცნობილი და 20 ათასამდე მაყურებელს იტევდა. 2007 წელს მოხდა სტადიონის სრული დემონტაჟი.

1925 წლის 25 ოქტომბერს, ტრაპიზონში(თურქეთი) შედგა აჭარის ფეხბურთელთა დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე, სადაც ბათუმის გუნდმა სტაპიზონის ნაკრები 7:1 დაამარცხა. მომდევნო შეხვედრაში მასპინძლებმა სტამბოლიდან და თურქეთის სხვა ქალაქებიდან პროფესიონალი ფეხბურთელები ჩამოიყვანეს და ბათუმის ნაკრები მინიმალური ანგარიშით 2:1 დაამარცხეს. ორი წლის შემდეგ ფოთში მოეწყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ქვეყნის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული ბათუმის ნაკრები გახდა. მომდევნო წელს საჩემპიონატო გუნდებს გორის ნაკრები შეემატა. ამჯერად უძლიერესის წოდებაქ თბილისელებმა მოიპოვეს, რომლებმაც მხოლოდ ერთი ქულა დაკარგეს სოხუმელებთან შეხვედრაში.

რესპუბლიკური ჩემპიონატი საკლუბო დონეზე პირველად 1936 წელს გაიმართა, იმავე წლიდან დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატებიც საკლუბო გუნდებს შორის. იმ დროისათვის ბათუმელ ფეხბურთელთა შორის გამოირჩედა ბორის ფროლოვი, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა 1936 წელს სსრკავშირის თასზე თბილისის "დინამოსთან" გამართულ მტჩში (0:0). მხოლოდ მეორე დღეს დაძაბულ ასპარეზობაში შეძლეს დედაქალაქელებმა გამარჯვების (2:0) მოპოვება. ახალგაზრდა ფროლოვის ჩინებული თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენია თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას და დაუყოვნებლივ მიიწვიეს ქვეყნის პირველ გუნდში, სადაც მალე დაცვის ბურჯად იქცა.

1937 წელს ბათუმში საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი ალექსანდრე ელიავა ჩამოვიდა, რომელიც სპორტსაზოგადოება "დინამოს" ცენტრალურმა საბჭომრეგიონში ახალგაზრდა ფეხბურთელების გამოვლენისა და აღზრდისთვის გამოგზავნა. 1933 წლიდან იგი ქართული ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებთან თამაშობდა, როგორებიც იყვნენ: ბორის პაიჭაძე, დრიგოლ გაგუა, ვლადიმერ ჯორბენაძე, მიხეილ ბერძენიშვილი და სხვები. სწორედ ალექსანდრე ელიაბვას დამსახურებაა, რომ ბათუმის "დინამო" სულ მალე საქართველოს გამორჩეულ გუნდად იქცა.

მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში, საქართველოში ცხრაჯერ გათამაშდა სსრ კავშირის კონსტიტუციის თასი, რომლის პირველი გამარჯვებულები ბათუმელები გახდნენ..

1939 წელი მნიშვნელოვანი თარიღია "დინამოს" ისტორიაში. ამ დროიდან გუნდი სსრ კავშირის პიერველობის "ბ" ჯგუფში დაუშვეს და ბათუმელებმა პირველობისთვის ინტენსიური მზადება დაიწყეს ჩეხი სპეციალისტის — ჟიულ ლინბერგის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოთამაშეთა ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას. ამ პერიოდში "დინამომ" რამდენიმე ამხანაგური საკონტროლო თამაში გამართა, მათ შორის ყველაზე საინტერესო იყო მატჩი ლენინგრადის "დინამოსთან", რომელიც ბათუმში საწრთვნელ შეკრებაზე იმყოფებოდა. იმ დროისათვის ეს გუნდი სსრ კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო და ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გამოდიოდა. მატჩი სტუმართა გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

1939 წლის 12 მაისს სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ სადებიუტო შეხვედრაში ბათუმის "დინამო" მოსკოვის "პიშჩევიკს" მასპინძლობდა და შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. მომდევნო მატჩში ბათუმელებმა ქალაქ ნიკოლაევის "სუდოსტროიტელს" უმასპინძლეს. ძალიან საინტერესო და დაძაბული თამაშის შედეგად მატში ფრედ 4:4 დამთავრდა. მორიგ კალენდარულ შეხვედრაში, 24 მაისს ბათუმის "დინამომ" ლენინგრადის "ავანგარდს" უმასპინძლა და პირველ გამარჯვებასაც (2:0) მიაღწია. გოლები კარამატოზიანმა და მარუაშვილმა გაიტანეს. 30 მა-

ისს "დინამოელები ლენინგრადის "ზენიტს" დაუპირისპირდა და გამარჯვების ერთადერთი გოლი იმნაძემ გაიტანა.

სსრკავშირის ჩემპიონატის მორიგ V ტურში "დინამოელებმა" კვლავ ლენინგრადის გუნდს, ამჯერად "სპარტაკს" უმასპინძლა, პირველი ნახევარი ფრედ 1:1 დასრულდა, ხოლო მეორე ნახევარშისტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ ელიავას შესანიშნავი დრიბლინგით და ეფექტური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა და მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა. პირველობის მომდევნო მატჩი ბათუმელებმა თბილისის "ლოკომოტივთან" გამართეს და 0:1 დამარცხდნენ.

1939 წლის სსრკ პირველობის II ჯგუფის საფეხბურთო სეზონში ბათუმის "დინამომ" სულ 22 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 8 მოიგო, 7 ფრედ დაამთავრა და 7 წააგო; 44 შესაძლებლობიდან 23 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილში XIII ადგილი დაიკავა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ "დინამოელებმა" ორი ამხანაგური შეხვედრა მოიგეს. ჯერ ფოთელი ფეხბურთელები დაამარცხეს 11:1, შემდეგ კი —ბათუმის ნაკრები 10:0.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ბათუმის "დინამომ" მოწინავე პოზიციები ნაწილობრივ დათმო, თუმცა ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკლლებობას არ განიცდიდა. მათ შორის გამოირჩეოდნენ: ი.სარჯველაძე, ფ.მახარაძე, შ.დევდარიანიმ.დარმანიანი და სხვები. დიდ ფეხბურთში პირველად ბათუმში დაისტატდნენ: დ.ხირიტიდი(შემდგომში განთქმული ქირურგი), რ.ყარიჩევი, ი.დათუნაიშვილი, ა.კავაზაშვილი, ი.ფროლოვი, ტ.ტანტიბა და სხვები. 1950 წლის ნოემბერში ბათუმის სპორტკომიტეტის თაოსნობით ფეხბურთის პირველი ოფიციალური ორგანო — ბათუმის ფეხბურთის საქალაქო სექცია შეიქმნა, რომელსაც წლების განმავლობაში ივანე აბსავა ხელმძღვანელობდა.

1950-იან წლებში ფეხბურთი ვითარდება ქობულეთშიც, სადაც ალექსანდრე ელიავას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდი "კოლმეურნე", თავდაპრველად იგი საქართველოს პირველობის II ჯგუფში ასპარეზობდა და მას შალვა იანქოშვილი, შემდეგ კი ვიქტორ ბერეჟნოი ხელმძღვანელობდა. ამ დროისათვის ქობულეთელთა გუნდში გამოდიოდნენ: ომარ ქუთათელაძე, დავით ჭავჭანიძე, პავლე პოლტაჩიდი, დავიტ ჟღენტი, გაიოზ თათარაშვილი, როსტომ თხილაიშვილი, ზურაბ მესხიძე, ვაჟა გოგიბერიძე, ავთანდილ ხუციშვილი, კარლო კალანდაძე, ბორის სახვაძე, თბილისის "სპარტაკის" ყოფილი ფეხბურთელი გივი ბუიღლიშვილი და ტარიელ ეპიტაშვილი.

აღსანიშნავია, რომ "კოლმეურნემ" 1951 წელს კიშინიოვში სოფლის გუნდებს შორის სსრკავშირის სპარტაკიადა მოიგო. იმავე წელს ამხანაგურ შეხვედრაში, ბათუმში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ სსრ კავშირის "ა კლასში მოასპარეზე მოსკოვის "ვვს" (სამხედრო საჰაერო ძალების გუნდი) შეხვდა. მოსკოველთა შემადგენლობაშI თამაშობდნენ იმ დროისათვის ცნობილი ფეხბურთელები: აკიმოვი, ბობროვი, შუვალიოვი, კრიჟევსკი და სხვები, რაც თამაშს მეტ მიმზიდველობას სძენდა. მატჩი ბათუმის "დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა და იგი ქობულეთელთა უპირატესობით წარიმართა, შეხვედრის მე-15 წუთზე გამარჯვების გოლი როსტომ თხილაიშვილმა გაიტანა.

1955-1958 წლებში ქობულეთელთა რიგებში გამოდიოდნენ გამოცდილი ფეხბურთელები: ანზორ შაფათავა, ვალერი ჩხარტიშვილი, გურამ წერეთელი, ცაცო ადამოვი, ჯიმშერ ლანჩავა, ამირან შუბლაძე და სხვები, რომელტა გუნდიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელმა ტარიელ ეპიტაშვილმა ახალგაზრდებს, ძირითადად ბობოყვათის კოლმეურნეთა გუნდში მოთამაშე ფეხბურთელებს მოუყრა თავი, რომელთაც ფეხბურთის ენთუზიასტი მიხეილ კაჭახიძე ხელმძღვანელობდა.

1960 წლის მაისიდან "კოლმეურნე" "შუქურას" სახელით ასპარეზობს. ამ პერიოდში ქობულეთელთა ღირსებას იცავდნენ: ჯონი ანდღულაძე, მირზა თხილაიშვილი, ედნარ მანელიშვილი, ზურაბ ურუშაძე, თენგიზ ვერულიძე, ვიქტორ დიმანოვი, ჯიმშერ ჯობავა, დავით გუგუშვილი, ჯემალ სორდია, ნიკოლოზ ჩაჩუა, თამაზ ხოფერია და სხვები.

1966 წლის საფეხბურთო სეზონში "შუქურამ" ლანჩხუთის გურიასთან ერთად I-II ადგილები გაიყო და საკავშირო პირველობის "ბ" კლასის IV ზონაში თამაშის უფლება ოიპოვა, სადაც სამი წლის განმავლობაში ასპარეზობდა. ამ მიღწევისათვის უფროს მწვრთნელს ტარიელ ეპიტაშვილს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მომდევნო წელს ქობულეთში 3 ჰა

ტერიტორიაზე დაეწყო ცენტრალური სტადიონის მშენებლობა, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 1973 წელს. ძველი თაობის გულშემატკივრებს დღესაც ახსოვთ 1967-1969 წლების საფეხბურთო სეზონში "შუქურას" შთამბეჭდავი გამარჯვებები: ლანჩხუთის "გურიასთან" (5:0), სოხუმის "დინამოსთან"-(3:1), კიროვოკანის "ლორთან"-(4:1), ნოვოროსიისკის "ცემენტთან"-(4:0), გასვლით შეხვედრებში: კისლოვოდსკის "ნარზანთან"- (4:0) და პიატიგორსკის "მაშუკთან" —(3:1).

1970 წლისთვის "ბ" კლასში მონაწილე გუნდების რაოდენობა შემცირდა, რაც "შუქურასაც" შეეხო იმ მოტივით, რომ საკავშირო პირველობაში აჭარიდან ბათუმის "დინამოც" გამოდიოდა. ამის შემდეგ ქობულეთს "შუქურა" საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობს.

1956 წლის სექტემბერში ბათუმში აჭარის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა პირველი საფეხბურთო სკოლა დაარსდა (დირექტორი გიორგი თინიკაშვილი), რომელიც თავდაპირველად მოსწავლე ახალგაზრდობის (ამჟამინდელი 6 მაისის) პარკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. 1986 წელს იგი რესპუბლიკურ საფეხბურთო სკოლად გადაკეთდა, რომელსაც სხვადასხვა წლებში რევაზ მეტრეველი(1958-1971), ვლასი კობიძე(1972-1974), ანზორ კვაჭაძე(1974-1988), გარი ქიქავა(1988-1995) და გია ჯორბენაძე(1995-2007) ხელმძღვანელობდნენ.

1958 წლის 20 სექტემბერს საქართველოს თასის მფლობელი ბათუმის "დინამო" ზონალური საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალში ბაქოს "სკვო"-ს დაუპირისპირდა. მატჩი ბაქოს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა და მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. მეტად დაძაბული და შთამბეჭდავი თამაში "დინამოელთა" გამარჯვებით 6:1 დასრულდა და მეოთხედფინალში გადავიდნენ, თუმცა მომდევნო ეტაპზე ლენინგრადის "დინამოსთან" დამარცხდნენ და გამოეთიშნენ ასპარეზობას.

1960 წლის თებერვალში ბათუმში ჩატარდა ფეხბურთის საქალაქო სექციის მეორე არჩევნები, რომლის თავნჯდომარედ ლევან ხვიჩია აირჩიეს.

1963 წელს "დინამოელებმა" მოკავშირე რესპუბლიკების "ბ" კლასის I ზონაში 43 ქულით ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს(30 შეხვედრიდან 16 მოიგეს, 11 ფრედ დაამთავრეს და 3 წააგეს), თუმცა სსრკ ჩემპიონატის "ა" კლასში გადასასვლელ ტურნირში II ზონის გამარჯვებულ თბილისის "ლოკომოტივთან" დამარცხდნენ (1:0; 1:5).

ანალოგიურ წარმატებას მიაღწიეს ბათუმელებმა 1964 წელსაც, როცა ახალგაზრდა მწვრთნელის რევაზ ძნელაძის ხელმძღვანელობით რუსეთის ფედერაციის "ბ" კლასის IV ზონაში 45 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს და კლაიპედაში სხვა ზონებში გამარჯვებულებთან ერთად "ა" კლასის ერთადერთი საგზური გაითამაშეს, საბოლოოდ კი მეოთხე ადგილზე გავიდნენ. იმავე წლის გაზაფხულზე ბათუმს ირანის თორმეტგზის ჩემპიონი "შაჰინი" ესტუმრა, რომელიც საბჭოთა კავშირში სათამაშოდ ჩამოსული პირველი უცხოური გუნდი იყო. ჩვენს ქალაქში სტუმრობამდე ირანელები ერევნის "არარატთან" და თბილისის "ლოკომოტივთან" დამარცხდნენ. წარუმატებელი სერია გაგრძელდა ბათუმშიც. "შაჰინთან" მატჩი 5:0 დასრულდა ბათუმელთა ბრწყინვალე თამაშის შედეგად.

1966 წელს "დინამომ" სსრკ ჩემპიონატის "ა" კლასის მეორე ჯგუფში 32 ქულით მეცხრე ადგილი დაიკავა, საკავშირო თასის გათამაშების პირველივე მატჩში კი სტავროპოლის "დინამო" (1:0) დაამარცხა, თუცა მომდევნო ეტაპზე ფოთის "კოლხეთთან" (0:2) წააგო. იმავე წლის შემოდგომაზე "დინამოელებმა" მონაწილეობა მიიღეს თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც, რომელშიც სსრ კავშირის კლუბებთან ერთად ჩეხოსლავაკიის "ტატრანიც" მონაწილეობდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ბათუმელები თბილისის "ლოკომოტივს" შეხვდნენ. ფრედ დამთავრებული თამაშის შემდეგ მატჩის შემდგომი ბედი პენალტების ორმა სერიამ გადაწყვიტა. პირველი გამარჯვება არ გამოვლინდა (8:8), მეორეში კი უფრო ზუსნი თბილისელები აღმოჩნდნენ. ბათუმელთაგან სპორტის ოსტატის წოდება პირველებს მიხეილ მინაევსა და ბორის ფროლოვს მიენიჭათ (1938), მეორე ლიგის ფეხბურთელთა შორის კი "დინამოელ" ტარიელ ილურიძეს (1968), რომელიც ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც იმავე წელს საკავშირო ჩემპიონატის II ლიგიდან სსრ კავშირის "33" საუკეთესო ფეხბურთელთა შორისაც დაასახელეს.

70-80-იან წლებში აჭარის მსაჯთაგან საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებს ემსახურებოდნენ: ი,რუსეიშვილი, რ.ლაზიშვილი, ო.მურვანიძე, გ.ბაშკოვი, ვ.ჩიბურდანიძე, ნ.შავიშვილი, ო.სიორიძე, ნ.მუხაშავრია, ნ.ნაკაიძე, კ.დავიდიანი და სხვები. ამ პერიოდის მსაჯთა კორპუსის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკური კატეგორიის პირველმა არბიტრებმა — ი.კუსიდმა და ვ,კალოიანმა.

სხვადასხვა წლებში ბათუმის "დინამოს" შემადგენლობაში გამოირჩეოდნენ: გ.ჩავლეიშვილი, ვ.ჯოხაძე, ტ.ვერულიძე, ა.შაფათავა, ვ.ქორიძე, ი.ესებუა, თ.ცინარიძე, ვ.კვიტაიშვილი, გ.ქიქავა, ბ.გიორგაძე, ვ.ჩიტაური, ვ.პავლოვი, გ.გოგიჯანაშვილი, ნ.სურგულაძე, ა.გიორგიადი; ა.სირბილაძე, ვ.დიმანოვი, რ.ჩელებაძე, ნ.ხიზანიშვილი, მ.გაგუა, ა.გორგილაძე, თ.ესებუა, მ.სარიშვილი, რ.შელია, თ.ბეჟანიძე, გ.ხახუბია, ნ.ხაჩიძე, ვ.ჩაზმავა, ხ.წუწუნავა, ა.ბალაძე, გ.ჯორბენაძე, გ.ზედანია, გ.ჩიქოვანი, ტ.დურდიაძე, რ.შაკიროვი, ჯ.მენაბდე, გ.კედელაძე, ე.კაკაბაძე, მ.მახარაძე, გ.შეყილაძე, ვ.შანიძე, პ.მაჭუტაძე, ვ.მახარაძე, ლ.ხომერიკი, თ.ტუღუში და სხვები.

1970-იან წლებში თავი ისახელა ბათუმის "დინამოს" ახალგაზრდულმა გუნდმა, რომელმაც სსრ კავშირის პირველობაზე 8 ქულით ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

1983 წელს გაიმართა საკავშირო პროფკავშირების თასის გათამაშება "ა" კლასის მეორე ლიგის გუნდებს შორის, რომლის ერთ-ერთ ჯგუფში გამოდიოდნენ — ბათუმის და სოხუმის "დინამო", ფოთის "კოლხეთი" და ოზურგეთის "მერცხალი". ქვეჯგუფში გამარჯვებულმა დინამოელებმა მეოთხედფინალში დაამარცხეს კიროვობადის "ქიაფაზი" 2:1, თუმცა მომდევნო ეტაპზე, ნახევარფინალში იგივე ანგარიშით წააგეს აბოვიაის "კოტაიკთან".

ამ დროისათვის ბათუმელთა შემადგენლობაში შვიდი დებიუტანტი თამაშობდა: ნუგზარ სვიმონიშვილი, ვალერი შანიძე, აკაკი ათუაშვილი, ომარ ნაგერვაძე, ზურაბ თოფურია, ამირან პაიჭაძე და რიფათ შაკიროვი.

ყველაზე დიდ წარმატებას ბათუმის "დინამომ" 1983 წელს მიაღწია, როცა სსრკ ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში ბათუმელებმა კუიბიშევის "კრილია სოვეტოვი" 2:0 დაამარცხეს. ამ წარმატებამდე "დინამოელებმა" რთული გზა განვლესგადასასვლელ ფინალურ ტურნირამდე სამი დღით ადრე მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრეს "ა" კლასის მეორე ლიგის (IX ზონა) უშუალო კონკურენტს აბოვიანის "კოტაიკს" კენჭისყრის შედეგად ასპარეზობაში IV ზონაში გამარჯვებული "ნეფტიანიკი" ფერგანაც მონაწილეობდა, რომელიც "დინამოელებმა" კუიბიშევში მინიმალური ანგარიშით წაგების შემდეგ შინ ორბურთიანი სხვაობით დაამარცხეს (გოლები გაიტანებს ა.გორგილაძემ და რ.ჩელებაძემ). საპასუხო მატჩი ფერგანაში ფრედ დასრულდა. ბოლო შეხვედრის წინ კუიბიშეველებს 5 ქულა ჰქონდათ, ბათუმელებს – ორით ნაკლები.

12 ნოემბრის ისტორიული მატჩის დღეს, ბათუმში გადაუღებლად წვიმდა, თუმცა ამას გულშემატკივრებისთვის ხელი არ შეუშლია- ბოლომდე ერთგულად ექომაგათ საყვარელი გუნდისთვის. 20 ათასი მაყურებელი ესწრებოდა მატჩს, რომელიც ბათუმიდან პირდაპირ ეთერში პირველად გადაიცემოდა. დაძაბული ასპარეზობის პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა, შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა უფრო ენერგიულად შეუტიეს. ვოლგისპირელები ღელავდნენ და საკუთარ საჯარიმო თამაშის წესებს ხშირად არღვევდნენ, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. თუმცა თერთმეტ მეტრიანი საჯარიმო დარტყმა "დინამოელებმა" ვერ გამოიყენეს (57 წუთზე რ.ჩელებაძემ). მიუხედავად ამისა, ბათუმელთა შემართებამ შედეგი გამოიღო და მატჩი ანგარიშით 2:0 დასრულდა. ასეთი შთამბეჭდავი თამაშით მოიპოვა ბათუმის დინამომ I ლიგაში თამაშის უფლება, სადაც იმ დროისათვის საქართველოს კიდევ ორი გუნდი — ქუთაისის "ტორპედო" და ლანჩხუთის "გურიაც" გამოდიოდა.

12 ნოემბრის დაუვიწყარ მატჩში ბათუმელთა ღირსებას იცავდნენ: იური მამინაშვილი, ხასან წუწუნავა, ამირან გოგიტიძე, ედიშერ კაკაბაძე, ნუგზარ სვიმონიშვილი, ვალერი შანიძე, გელა კედელაძე, ზურაბ თოფურია, რიფათ შაქიროვი, ავთანდილ გორგილაძე და რევაზ ჩელებაძე, რომელიც ერთადერთი ფეხბურთელია აჭარიდან, ვინაც სსრკ ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა(1980 წ. მოსკოვი). ოლიმპიადის შემდეგ სსრ კავშირის სპორტკომიტეტისა და

ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით რევაზ ჩელებაძეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა..

1983 წელს ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, ფეხბურთის საქალაქო სექციასთან ერთად დაასახელა წლის 5 საუკეთესო მსაჯი: იური ესებუა, ტარიელ ილურიძე, კონსტანტინე კაზანციდი, ომარ სიორიძე და ალექსანდრე ჩოგაძე.

1990 წლის 30 მარტს ბათუმში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატს, რომლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს უამრავი მაყურებელი დაესწრო.

პირველი მატჩი ცენტრალურ სტადიონზე 19 საათზე გაიმართა ბათუმის "ბათუმისა" (ყოფილი "დინამო") და რუსთავის "გორდას" შორის შედგა, რომელშიც ბათუმელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს.

1992 წლის მაისის თვეში დაფუძნდა აჭარის ფეხბურთlს ფედერაცია.

1993 წლის ოქტომბერში დაარსდა ფედერაციის პირველი გაზეთი "ფეხბურთი"(გამოვიდა 12 ნომერი, რედ. ალექსანდრე ჩხარტიშვილი).

1994 წლიდან ბათუმელთა გუნდი კვლავ "დინამოს" სახელით ასპარეზობს.

ბათუმელთა დებიუტი ევროტურნირებზე 1995 წელს იუგოსლავიაში შედგა, სადაც "დინამოელებმა" ბელგრადში "ობილიჩი" 1:0 დაამარცხეს. დამოუკიდებლობის წლებში ყველაზე დიდ წარმატებას ბათუმელებმა 1998 წელს მიაღწიეს, როცა საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელები გახდნენ.

1990-იანი წლების მიწურულს ნიკოლოზ ბარამიძის თაოსნობით შეიქმნა ქალთა პირველი საფეხბურთო გუნდი "თოლია", რომელმაც 1997 წლის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა და მესამე ადგილი დაიკავა. მომდევნო წლის სექტემბერში ბათუმელმა გოგონებმა საქართველოს თასის ფინალშიც ითამაშეს და თბილისის "ავაზასთან" 0:2 დამარცხდნენ. 2006 წლის შემოდგომაზე "თოლიას" ბაზაზე გოგონათა გუნდი "ბათუმი" დაფუძნდა, რომელმაც 2008 წელს საქართველოს ტიტული პირველად მოიპოვა.

1995 წელს ბათუმში დაარსდა საფეხბურთო კლუბი სოხუმის "დინამო", რომელიც 2000-2004 წლების საფეხბურთო სეზონის საქართველოს ჩემპიონატის II ლიგაში მონაწილეობდა. 2006 წლის 26 ოქტომბერს უმაღლესი ლიგის ბოლო კალენდარულ შეხვედრაში ბათუმის "დინამო" თბილისის თანაკლუბელებთან დამარცხდა (1:3).

სხვადასხვა დროს აჭარაში ფეხბურთის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ივან ატროშენკომ, პავლე ფილიპოვმა, ალექსანდრე ელიავამ, ჟიულ ლინბერგმა, ვიქტორ პანიუკოვმა, ვიქტორ ბერეჟნოიმ, ბორის ფროლოვმა, გივი ურუშაძემ, ლევან ხვიჩიამ, შალვა იაგოშვილმა, ნიკოლოზ კეშელავამ, ნესტორ ჩხატარაშვილმა, არტემ ჩოლოკიანმა, ვახტანგ რამიშვილმა, რევაზ ძნელაძემ, ვაჟა ჯოხაძემ, გენადი მენაბდემ, ვლასი კობიძემ, გიორგი ანთაძემ, ტარიელ ეპიტაშვილმა, რუბენ ეგიზარიანმა, ზაურ პატარაიამ. ანზორ კვაჭაძემ, ივანე კუსიდმა, ბორის ცირიკმა, ვალერი ჩხარტიშვილმა, ლერი ვერულიძემ, ვალერიან მჟავიამ, შოთა ჭეიშვილმა, გარი ქიქავამ, ვაჟა კვიტაიშვილმა, მოგელი გაგუამ, თამაზ ცინარიძემ, რევაზ ჩელებაძემ, გია ჯორბენაძემ, ასლან ბალაძემ, ამირან გოგიტიძემ, ავთანდილ გორგილაძემ, მერაბ გოგიტიძემ, თემურ მჟავანაძემ, თამაზ ("ბარსკი") ბარამიძემდა სხვა დამსახურებულმა ფეხბურთელებმა, მწვრთნელებმა და სპორტის მოღვაწეებმა.

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

თამარ კვინიკაძე
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ

ეკონომიკის ზრდის გენერირების ფუნქცია, ბანკის რესურსების მულტიპლიკაციის პრაქტიკუმი

ა) ეკონომიკის ზრდის გენერირების ფულქვია: აღნიშნული ფუნქცია გამოკვლეული აქვთ ისეთ მეცნიერებს როგორცაა: D. Hodgman, S. King. იგი ეფუძნება დეპოზიტურ-საკრედიტო ექსპანსიის ეფექტზე, ანუ საკრედიტო-საინვესტიციო დაბანდებების ქვეშ ფულადი მასის მოცულობის ზრდაზე, რაც წარმოების ზრდას და განვითარებას განაპირობებს.

დეპოზიტურ-საკრედიტო მექანიზმის ქმედების განმარტება შეიძლება შემდეგ მაგალითზე იქნას განხორციელებული. დავუშვათ, რომ ქვეყანაში ფუნქციონირებს ერთი ბანკი, მიმოქცევაში იმყოფება ფულადი სახსრების რაოდენობა (ფულადი მასის სიდიდე) – Q, ყველა აღნიშნული ფული განთავსებულია დეპოზიტურ ანგარიშებზე, ცენტრალური ბანკის სავალდებულო რეზერვირების ფონდში (სრფ) გადასახრიცხი სიდიდეა R. ფულადი სახსრები ჯამში KR (თანაფარდობა 1), მიღებული ბანკის მიერ მეანაბრეებისაგან რეზერვების სიდიდის გამოკლებით (ამოღებულები მომოქცევიდან სავალდებულო რეზერვირების ფონდში), შეიძლება მიმართული იქნან საწარმოებისა და მოსახლეობის დაკრედიტებაზე, ტოლი იქნება:

$$KR = Q - R.$$

დავუშვათ, რომ რომელიღაც კლიენტმა მიმართა K სიდიდის კრედიტზე და ბანკმა გაუხსნა მას ანგარიში აღნიშნულ თანხაზე. მაშინ ფულადი მასის მოცულობა გაიზრდება K სიდიდეზე და ტოლი იქნება Q-სი (თანაფარდობა 2):

$$Q = (KR + K).$$

ბანკის მიერ განხილვადი ფუნქციის რეალიზაციის გამარტივებული სქემა ნახაზი 1-ზეა ჩამოყალიბებული.

პრაქტიკაზე მოცემული მექანიზმი მუშაობს ბევრად უფრო რთულად იმის გამო, რომ ქვეყანაში, რეგიონში ან ქალაქში არსებობს არა ერთი ბანკი, არამედ მრავალი ბანკები, ანაბრების, კრედიტების განსხვავებული ტიპები, ასევე დეპოზიტურ-საკრედიტო საქმიანობის განხორციელების წესის მარეგულირებელი საბანკო ნორმების სისტემა.



ნახაზი 1. ეკონომიკის ზრდის გენერირების ფუნქცია

ბ) ეკონომიკური ზრდის გენერირების ფუნქციას ჩვენ შეგვიძია ასევე ვუწოდოთ საბანკო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ რესურსების საბანკო მულტიპლიცირების საფუძველზე ჯერადად გადიდების შესაძლებლობა და მოვიყვანოთ მისი პრაქტიკული მაგალითი.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის უსაზღვროა საბანკო სისტემაში კომერციული ბანკებისა და მათ მიერ განხორციელებადი დაკრედიტების როლი: თანამედროვე პირობებში ახალ ფულად მასას ქმნიან არა მარტო ქვეყნის ცენტრალური ბანკები, არამედ თვით კომერციული ბანკებიც თითოეული კრედიტის გაცემისას.

აქედან გამომდინარე, კომერციული ბანკების მიერ კლიენტებისათვის კრედიტის მიწოდება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მხოლოდ მექანიკურ აქტად, საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისადმი ნეიტრალურად ჩაითვალოს. იგი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამიტომ საკრედიტო სისტემის ინსტიტუციონალური სტრუქტურების განმტკიცება და მასში სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის მკვეთრად ამაღლება თანამედროვე პირობებში აუცილებელ პირობად უნდა იქცეს.

პროპორცია, რომლის ჯერადობით შეიძლება მიმოქცევაში ფულადი მასა (საკრედიტო რესურსი) მთლიანობაში საბანკო სფეროში განსაზღვრული „პროპორციით“ გაიზარდოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში **საბანკო მულტიპლიკატორის სახით არის ცნობილი.** მისი არსი იმაში გამოიხატება, რომ ფულადი მასის კუმულაციური გადიდება იმის ძალისხმევის ხარჯზე ხორციელდება, რომ რეზერვები (ჭარბი რესურსები) ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან სხვა სუბიექტებისაკენ (მოცემულ შემთხვევაში ბანკებიდან არასაფინანსო სექტორის ეკონომიკური აგენტებისაკენ და უკუ) მოძრაობენ. ფორმალურად, საერთო სახით, საბანკო მულტიპლიკატორი განისაზღვრება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში **მთლიანი ფულადი მასის** (მფმ) შეფარდება **მაღალი ეფექტიანობის ფულის (მეფ)** მოცულობასთან, ანუ ერთი შეფარდებული **სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან (სრნ),** რაც შემდეგი სახით გამოიხატება:

ბმ = მფმ / მეფ, ანუ ბმ = 1 / სრნ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, მაგალითად:

- 10%-ის ტოლია, მაშინ ბანკის მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,10 = 10-ისჯერადია,
- 20%-ის შემთხვევაში ბანკის მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,20 = 5-ის ჯერადია,
- 5%-ის შემთხვევაში საბანკო მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,05 = 20-ის ჯერადია,

თვალსაჩინოებისათვის ბანკის მულტიპლიცირების მექანიზმის მოქმედება უფრო დეტალურად პირობით მაგალითზე განვიხილოთ. დავუშვათ, რომ N 1 კომერციულმა ბანკმა დეპოზიტების სახით 1000 ლარის ოდენობის რესურსი (დეპოზიტი) მიიღო. ამ ბანკმა აღნიშნული რესურსის საკრედიტო რესურასად გამოყენების მიზნით, ჯერ ცენტრალურ ბანკში საკუთარ ანგარიშზე უნდა გადარიცხოს (გაყინოს) სავალდებულო რეზერვები, დავუშვათ ჩვენს შემთხვევაში 10%-იანი ნორმატივისას (1000 x 10%) = 100 ლარი და საკრედიტო რესურსად მხოლოდ დარჩენილი (1000 – 100) = 900 ლარი გამოიყენოს. კრედიტის მიმღებს აღნიშნული თანხა მის ანგარიშზე მომსახების N 2 ბანკში ჩაერიცხება, რაც უკვე ამ ბანკისათვისაც უნებლიედ როგორც კლიენტის ანგარიშზე ნაშთი, კვლავ საკრედიტო რესურსი გახდება. აღნიშნული თანხის საკრედიტო რესურსად გამოყენებისათვის N 2 ბანკი 10%-ის ოდენობის თანხას კვლავ ეროვნულ ბანკში საკუთარ ანგარიშზე გადარიცხავს (90 ლარი) და უკვე (900 – 90) = 810 ლარის ოდენობის კრედიტის გაასცემის შესაძლებლობა წარმოექმნება. აღნიშნული რესურსიდან N 3 ბანკი კვლავ დაარეზერვებს ცენტრალურ ბანკში 10% რეზერვს (81 ლარს) და სესხად უკვე გასცემს (810 - 81) = 729 ლარს და ა.შ. ეს პროცესი კვლავ და კვლავ მათემატიკური უსასრულობის ჯაჭვის შესაბამისად გაგრძელდება. მაგრამ ეკონომიკაში ფულადი მასის გადიდების საერთო თანხა მხოლოდ განსაზღვრულ ზღვრამდე გაგრძელდება, რომლის მნიშვნელობა გეომეტრიული პროგრესიის ჯამის ცნობილი ფორმულით შეიძლება იქნას გაანგარიშებული:

$$1\,000\,(1 + 0{,}9 + 0{,}9^2 + 0{,}9^3 + \ldots) = 1\,000 / (1 - 0{,}9) = 10\,000 \text{ ლარი.}$$

ამრიგად, ერთი ბანკის მიერ მიღებული 1 000 ლარიანი დეპოზიტი (რესურსი), ბანკის მულტიპლიკატორის საფუძველზე, საკრედიტო რესურსად, 10%-იანი სავალდებულო სარეზერვო ნორმატის პირობებში, შეიძლება 1 / 0,10 = 10-ჯერადად, ანუ 10 000 ლარის ოდენობით იქნას გამოყენებული (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1. ბანკებში დეპოზიტების (რესურსების) საბანკო მულტიპლიცირების შედეგად მრავალჯერადად გაზრდის პრაქტიკული მაგალითი

ბანკების ან ოპერაციები N:	ბანკის დეპოზიტები, ანუ რესურსები, ლარებში	კრედიტად შესაძლო გასაცემი თანხა, ლარებში	ბანკის მიერ ცენტრალურ ბანკში დასარეზერვებელი სავალდებულო თანხა, ლარებში
1	2	3	4
1	1 000	900	100
2	900	810	90
3	810	729	81
4	729	656	73
5	656	590	66
6	590	531	59
7	531	478	53
8	478	430	48
9	430	387	43
10	387	349	39
10 ბანკის ან ოპერაციის ჯამი	6 513	5 862	651
სხვა ბანკების ან ოპერაციების ჯამი	3 487	3 138	349
ყველა ბანკების ან ოპერაციების ჯამი	10 000	9 000	1 000

ამრიგად, ერთი ათასიანი მოცულობის დეპოზიტის გამოყენებით, ბანკის მულტიპლიკატორის მექანიზმის საფუძველძე (10% სავალდებულო რეზერვების ნორმატივისას), ბანკებმა უკვე დაკრედიტების მეათე საფეხურზე 6 513 და ყველა ბანკების საფეხურზე 10 000 ლარის, ანუ მათი წარმოშობადი დეპოზიტის 10-ის ჯერადად მეტი მოცულობის სესხები გასცეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., - საბანკო საქმე - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ხიდირბეგიშვილი ნ. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები. თბილისი გამომცემლობა ,,დანი“ 2017
3. ცაავა გ. – „ფინანსები, ფულის მიმოქცევა, ფინანსური ინჟინერია, კრედიტი“. - თბილისი, გამომცემლობა „სს პირველი სტამბა“, 1999.
4. ცაავა გ. – „ოქროს კვეთას“ პროპორცია ბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებ-ლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსებში, საბანკო საქმეში: ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები, მონოგრაფია. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2016.
5. ცაავა გ. - საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი (მონოგრაფია), ტომი 2 – „ფინანსური მენეჯმენტი: ფინანსური საქმიანობის ანალიზის რაოდენობრივი მეთოდების პრაქტიკუმი“. - თბილისი, სს „პირველი სტამბა“, 1999. –
6. ცაავა გ. - საბანკო მენეჯმენტის განვითარების პრობლემები საქართველოში. - სადოქტორო დისერტაცია, თბილსი, 2003.
7. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
8. http://eprints.tsu.ge/1457/
9. https://bit.ly/3lnNcU7
10. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287

გულნაზ ხარაიშვილი

დაბადების დღის მოლოცვა

ამ ამბის აღწერის დღე, ოთხი მაისია, 2022 წლის საღამოს ექვსი საათი. თბილიში მიმიწვიეს ჩემს შვილიშვილთან (ნანა სხირტლაძესთან) ერთად. კულტურის დესპანმა, ისრაელსა და საქართველოს შორის მოტრიალე (ღმერთკაცმა). ,,მეგობრობის მერიდიანის“ მთავარმა რედაქტორმა, საქართველოს მეტი წილი რაიონების საპატიო მოქალაქმ, არქიტექტორმა, (აკადემიკოსმა) ბატონმა აბრამ პაატა იოსებაშვილმა. ბატონმა აბრამმა, ოცდა შვიდ აპრილს, პოეტი ნინო უძილაური გაახარა და მიულოცა, დაბადების 55 წლის იუბილე. პირველ მაიისს, თავისი დადად ნაფიცი (პოეტი) მანანა დანგაძეს აუზეიმა ვარდობის თვე და მიულოცა დაბადების დღე. ხუთ მასს უკვე მიფრინავდა ისრაელში (ჩემ დაბადების დღეს), ამიტომ ოთხ მაისს ჯერ ქარელი მოირა ბატონი აბრამის სამკაციანმა დელეგაციამ. შეხვდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ბატონ ჯუმბერ შუბითიძეს. როგორც ვიცი, სამომავლოდ ორი ერის მეგობრობისა და პერესპექტივებზე ისაუბრეს. საღამოს ექვ საათზე კი მე მაჩუქეს მზესავით ლამაზი და თბილი დღე. ბატონმა აბრამმა და მისმა მეუღლემ, (ქალბატონმა ლოლამ), პოეტმა იზოლდა მოშიაშვილმა, პოეტმა ნინო უძილაურმა, ბატონებმა: მსოფლიოში აღიარებულმა ადვოკატმა თემურ გოგსაძემ და პოეტმა ერეკლე საღლიანმა. ეს დღე ჩემთვის ყველა დღისგან განსხვავებული იმითაც იყო რომ, ჩემს გვედით იყო შვილიშვილი, ფილოლოგი, საერთაშორისო სამეცნიერო აკადემია ,,ბუდარიას“ პრეზიდენტი ნანა სხირტლაძე, რომელსაც გულს უხარედა ჩემი გაღიმებული სახე. მსახიობის ოსტატობით დასრილობდა ჩემი ნინო პირველ--მეორე სართულზე. ვგრძნიბდი, რომ რაღაცა სურპრიზი მზადდებოდა. სასწაული ოსტატობით მოახერხა, ის რომ დაბლა პირველ სართულზე უცხო საზოგადოება და მაღლა გააერთიანა და ხუთი მაისის სანაცვლოდ, ოთხ მაისს მომილოცეს დაბადების დღე. არ დამავიწყდება ბატონი აბრამ პაატას სიტყვები: – ნონო, გულნაზის არაფერი გაუჭირდეს და თუ რამე მოხდა ისეთი ბედით თუ უნებლიეთ, მირეკავ პირველი მე. გულნაზი ჩვენი დიდი დედაა და ჩვენ ორი ერის შვილები, მისი შვილები ვართ. დიდი მადლობა ამ ლამაზი დღისათვის ჩემო სულიერო შვილებო. დიდი მადლობა აბრამ პაატა. თქვენში ორი ერია გაერთიანებული ისრაელი და საქართველო. თქვენ ხართ, უფლის დიდი საჩუქარი საქართველოსთვის. მადლობა უფალო, ამ შეხვედრისთვის.

ისათვის, რასაც ერთად დგომა და სიყვარული ჰქვია.

სხედრან: **მარჯვნიდან მარცხნივ, გოგიტა მელიქიძე, ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე, ლია ოსიაშვილი,** ფეხზე დგანან: **მარცხნიდან, თემურ გოგსაძე, ციცო ერისთავი, ლექსანდრე ციხელაშვილი, ვახტანგი სხირტლაძე, ეკაბრეგვაძე, გულნაზი ხარაიშვილი, ნანა მომცელიძე, თინათინ ხაბურზანია, თამარ სხირტლაძე, შორენა მამალაშვილი, გიგი თეთრაძე.**

რუსთავის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარებულმა, პატრიოტულ-დიდაქტიკურ თემაზე ჩატარებული საღამო დაბადების დღის მილოცვებში გადაიზარდა.

მარცხნიდან: **ეკა ბრეგვაძე, ეთერი ჭელიძე, გულნაზი ხარაიშვილი, ლეილა გაფრინდაშვილი, ნანა სხირტლაძე, მაკა დიდებულიძე, თემურ გოგსაძე.**

დაბადების დღეს გილოცავთ

ნანა მომცელიძე



რაც არ უნდა ვთქვა ყველა სიტყვა ცოტა იქნება
რაც არ უნდა ვთქვა ბევრი რამე მრჩება სათქმელი,
დიდსულოვნება თქვენს გარშემო ისე იქმნება
ისე იღება ყველას გულში ოთხი სარქველი.
სიყვარულს აფრქვევთ უანგაროს,წრფელს და მადლიანს.
თქვენს წინ ანთია გულწრფელობის წმინდა სანთელი,
ყველას უკვალავთ გზა-ბილიკებს ყველა აზრიანს
თქვენი წყალობით წინ გზა გვხვდება უკვე ნათელი.
მინდა იცოცხლოთ საუკუნოდ,ჩვენს საიმედოდ
მინდა სიცოცხლის ნაპერწკალი ღვიოდეს მარად,
და სიყვარულის ქალბატონო, ჩვენო იმედო
ყველას გულებში ისევ რჩები უდიდეს ქალად.

ნანული ჯავრიშვილი

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს ჩემი მოკრძალებული ლექსით ვულოვავ დაბადების დღეს!..

თქვენს გულში მარად სანთელივით ცრემლები წვეთავს,
ყოველ სიხარულს ის წვეთები ჩრდილივით დასდევს,
გულის იარა ვერ მოიშუშეთ შვილმკვდარმა დედამ,
მაგრამ არავის არ უჩვენებთ მწუხარე სახეს!

ყველას გულს უთბობთ, დიდ სიყვარულს ვერასდროს მალავთ,
თოვლის ფიფქივით ჩამოარიგებთ ყველგან ღიმილებს,
ცრემლი და ფიქრი მოხვევია თქვენს საწერ-კალამს
და სევდანარევ ლექსებში კლავთ სულის ტკივილებს...

იცოცხლეთ დიდხანს ქალბატონო, იბრწყინეთ ცამდე,
უფლის იმედით გაგიგრძელდეთ თქვენი ცხოვრება,
თქვენი პირმშო არ მომკვდარა-ეს უნდა გწამდეთ
წლები გემატოთ მისი სულის მოსახსენებლად!!!

ანა მარია ლილუაშვული

გილოცავ იუბილეს ქ. გულნაზ

კელაპტარს გინთებ ყოველთვის გულში
სამაგალითო ლიდერობისთვის
ამბობ და საქმით მეტსაც ასრულებ,
დამშეულ სულებს ლაღად აპურებ.
მინდა რომ უფლის ხელი და მადლი
და ღვთისმშობელის გფარავდეს მადლი.

მაია ტყემალაძე

გილოცავთ ქალბატონო გულნაზ!

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს,
ს ი კ ე თ ი ს
ქალბატონო!
გ ი ლ ო ც ა ვ თ!
ცაში ვარსკვლავთოდენი სიხარული,
მზის სხივთაოდენი სითბო,
წვიმის წვეთთაოდენი წარმატება,
ზღვის ქვიშათოდენი მოთმინება,
დროისებრ უსასრულო სიკეთე მისურვებია!
გეფერებით,
გაკოცებთ ჭკვიან შუბლზე
და
ლამაზ თვალებში!!!

გულნაზ ხარაიშვილს ♥□♥ ♥ ♥ ♥ ბრწყინვალე ქალბატონს, ნიჭიერ პოეტს, დიდხან სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებ. იყავით დღეგრძელი, გილოცავთ იუბილეს.

♥ ♥□♥

ძვირფას ქალბატონს, ჩემს და თითქმის მთელი საქართველოს დედიკოს, განსაკუთრებული გულის და სულის პატრონს, ვულოცავ დაბადების დღეს! მინდა ასეთივე შემართებით და სიყვარულით იცოცხლოს ძალიან დიდხანს! ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანია ❤ ❤

სიკეთის ქომაგი
გულნაზ ხარაიშვილს!

მაშინაც, როცა ღამესაც
ჩაუთვლემია დაღლილსა,
შენ დგახარ სხვათა ზრუნვაში
გულსავსე უფლის მადლითა,
დაუწვიმდება ავდარშიც
საყანეს სიტყვას მარცვლისა,
შენში სიკეთის განგაში
დედას მაგონებს ქართლისა!
პოეტს, უბრალოს, მუზებში,
იმედი ჩაუქარგია,
აგიმღერია, მზის ტევრში
მისი გზა მოგიქარგია!
ლეკვი, ქუჩაში მძინარე,
კალთაში გაგიხვევია,
დედაშვილობის მხურვალე
მადლი გზად მოგიბნევია!
ჭირსა შიგანო, იწვნიე,
თვალ, ცრემლით გაგიხედნია,
დაბნეულს გზად დაეწიე
სიბრმავე აგიხელია!
დღეს, ვერ შეცნობილ ძალასაც
გულით და მხრებით ატარებ,
ზღვა სიყვარულის ბალადავ
მე, ქართლის დედას გადარებ!!!

ეთო
Eteri Chelidze

ჩემო გულნაზი.... უსაყვარლესო ადამიანო.. ერზე მოამაგე .. გილოცავ ჩემო ტკბილო იდღეგრძელე და იმზეგრძელე მრავალ ჟამიერ

ნორჩი ათინათელი

გიორგი ქენქაძე
ქართველი მთიელი

უჩვეულო გაზაფხული

გაზაფხული ყველასათვის საყვარელი წელიწადის დროა,გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება, შემოდგომა ზამთრისაგან გაშიშვლებული ხეები ლამაზი ჭრელა ჭრულა კაბებით იმოსება.უამრავი ყვავილი იშლება და მათი სურნელი არემარეს ათრობს.

გაზაფხულის პირველი თვეა, მარტია.რატომღაც ყველაფერი შეიცვალა და უჩვეულო გაზაფხული დაგვიდგა.მარტის თვეა და ყვავილების ნაცვლად თეთრ საბანში გაეხვია დედამიწა, ქათქათა თოვლმა დაფარა ირგვლივ ყველაფერი, საშინელი სუსხია, თოვს, ქარი ქრის, ხანდახან დავფიქრდები ნეტავ მარტია თუ დეკემბერი?

მეცოდება ია იები თოვლის საფარის ქვეშ, ნარცისები, სუმბულები თუ რომელი ერთი ჩამოვთვალო, ხეებს ამოხეთქილი კვირტები.რა მკაცრია მარტი.ნეტავ მზე სად გაქრა, რატომ გაგვიბრაზდა ასე.მგონი მზის სხივები ღრუბლებმა მოიტაცეს და გადამალეს.როგორ მოგვენატრა მზე და მისი სითბო.

მზეო, ცხრათვალავ ნუ გვიბრაზდები,გამოანათე, შენი მწველი სხივები გადმოფინე არემარეს და გვითხარი რომ აღარ გვებუტები, ძალიან გვჭირდები, უშენოდ ვერ გავძლებთ ძალიან გვიყვარხარ,შენს გარეშე გაზაფხულს სითბო და სილამაზე აკლია.

მარტის თვეა...
თოვლის ფიფქის უსასრულო ზეიმია
და მას ახლა
უჩვეულო გაზაფხული ჰქვია....

2022 წელი 9 წლის

გულკეთილი გოგონა

ერთ მეტად საოცარი გარეგნობის მქონე ბიჭს, სიარული არ შეეძლო და ინვალიდის ეტლში იჯდა.დედას გამოჰყავდა ბავშვებთან და სტოვებდა გასართობად, მაგრამ ბიჭს რომ სიარული არ შეეძლო ეტლში იჯდა და მოწყენილი უყურებდა ბავშვებს.თვალები ცრემლებით ევსებოდა და ჩუმად ტიროდა.

ერთმა გოგონამ ეს შენიშნა ბიჭი ძალიან შეებრალა და გადაწყვიტა დახმარებოდა.არც დაფიქრებულა ისე მივიდა გოგონა ბიჭთან.მიესალმა და უთხრა,არ იდარდო, ამიერიდან მე შენთან ერთად ვითამაშებ და ყველაფერში მოგეხმარებიო.

ეჰ, გოგონა ეს ხომ შეუძლებელია,მე სიარული არ შემიძლია.

არ იდარდო,მე დაგეხმარები.ბიჭს ძალიან გაუხარდა.გოგონა ყველაფერს აკეთებდა რომ ბიჭი გახალისებულიყო.ზოგჯერ კითხვაში ამეცადინებდა,ხან ბურთს თამაშობდნენ.ყველა ღონეს ხმარობდა რომ ბიჭი გაეხალისებინა და არ ედარდა.კიდურებს უვარჯიშებდა.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს.გოგონა ცდილობდა ბიჭს ნაბიჯი გადაედგა და ეს სასიხარულო დღეც დადგა.

ბიჭმა როდესაც პირველი ნაბიჯი გადადგა იმედი მიეცა.ყოველ დღე ნაბიჯებს მოუმატა, ძალიან უხაროდა.

როდესაც თავისუფალი სიარული შეძლო, სიხარულის ცრემლები წასკდა.გადაეხვია გოგონას და მადლობა გადაუხადა.შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ.მთელი არსებობა შენი მადლიერი ვიქნებიო.შენი წყალობით ჩემს სიცოცხლეს აზრი მიეცა.თვალზე ცრემლები მოადგა და

ორივე სიხარულისაგან დიდხანს ტიროდნენ.იმ დღის შემდეგ უერთმანეთოდ დღე არაფრად მიაჩნდათ.

2022 წელი. 9 წლის

ჩემპიონი ქათამი

ერთ ფერმაში ერთი ქათამი ძალიან განსხვავებული იყო და მას სხვა დანარჩენებმა მეტიჩარა შეარქვეს.მეტიჩარა რამდენიმე საათი გაუჩინარდებოდა და შემდეგ გამოჩნდებოდა.ასე გრძელდებოდა კარგა ხანს.დაინტერესდნენ დანარჩენები და ჰკითხეს: მეტიჩარა სად დადიხარ, რას გვიმალავო._ ჩემო კარგებო ცოტაც მოიცადეთ და ყველაფერს გაიგებთო.

და აი ეს დღეც დადგა,მეტიჩარამ ყველანი შეკრიბა:აბა,მეგობრებო ჩემი გაუჩინარების საიდუმლო უნდა გითხრათო.

მეტიჩარამ ხელში კვერცხი აიღო და თამაში დაიწყო . გასაოცარი რამე იყო როგორ კენწლავდა კვერცხს,ხან ერთ ფრთაზე გადაიგორებდა,ხან მეორე ფრთაზე,ხანაც თავზე საოცარ მოძრაობებს აკეთებდა.იცით? რა ლამაზი სანახავი იყო,აქეთ იქედან შეძახილები იყო: ყოჩაღ მეტიჩარა, ყოჩაღ,ჩემპიონი ხარ.მეტიჩარაც არ ჩერდებოდა და კვერცხს ხან გულზე იგორებდა,ხან მხრებზე,ხან თავზე იჩერებდა,გაოგნებულმა ქათმებმა ხვეწნა დაუწყეს გვასწავლეო.

დათანხმდა მეტიჩარა და იმ დღის შემდეგ ყოველდღე ამეცადინებდა მეგობრებს.შემდეგ ყველანი ერთად თამაშობდნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს.

9 წლის. 2022 წელი

* * *

მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ მანანა სამყურაშვილს, გაწეული შრომისთვის. ქალბატონი მანანას დამსახურებაა მე რომ აკადემიის წევრი ვარ. მანანამ მიმიყვანა აკადემიაში.ეს იყო ჩემთვის დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი.აკადემიის ჟურნალ ათინათში დაიბეჭდა ჩემი ნოველები რამაც დიდი სიხარული მომანიჭა.

ქალბატონი მანანა არის ადამიანი რომელმაც უკვე რამოდენიმე ლექსი მომიძღვნა.რით დავიმსახურე ამხელა სიყვარული ქალბატონო მანანა?.

თითოეულ ლექსს,სიტყვას ვინახავ ცალკე ვწერ რომ არ დაიკარგოს.მე ბედნიერი ვარ და მადლობა უფალს რომ ამდენ წარმატებულ ადამიანს ვიცნობ და თითოეული თქვენთაგანიდან ბევრ რაიმეს ვსწავლობ. მიყვარხართ ყველანი.

და აქვე მინდა დავწერო ერთ_ერთი ლექსი ჩემდამი მოძღვნილი ქალბატონი მანანა სამყურა-შვილის.

კიდევ ერთხელ მადლობა ქალბატონო მანანა გაწეული შრომისთვის,სითბოსა და სიყვარულისთვის რომელსაც ჩემდამი გამოხატავთ.

მზემ ბუხარი აანთო და
გაზაფხული ჭრელი კაბით მოვა..
მალე ყველას გააოცებს
შენი ნიჭის გროვა...
    უშრეტი და ულეველი
    აზრთა ცვენა,თოვა,
    ნეტავ ასე პაწაწინა
    სიბრძნე სადა ჰპოვა?!
პატარა ხარ, ერთი ციდან
წიგნში ქსოვ და ქარგავ...
შენი სიტყვა ვით ფიფქები
ზეცამ ჩამოთოვა?!

აზრი მოდის, მთის ანკარა
მდინარეა ლაღი
ბრძენკაცი ხარ უკვე გიო!
არვინ არ თქვას ბალღი....
    უცხო ხარ და ვითა მტრედი
    გულში შემოფრინდი
    ან საიდან მომევლინე
    სიდან გადმოფრინდი?!
იადონი ბულბული ხარ!
ციდან ჩამოფრინდი?!
ღიადა მაქვს გულის კარი
ხშირად შემოფრინდი.

ექსპრონტად გიძღვნი. გ.ქენქაძე.
მადლობა სიყვარულისთვის...

ნუცა ჩიტაძე

უძღვნი უძვირფასეს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს და ვულოცავ იუბილეს:♥♥♥
≼[·̀◯·́]≽≼[·̀◯·́]≽≼[·̀◯·́]≽≼[·̀◯·́]≽
შვილივით ზარდეთ თქვენი ლექსები,
ჩვენში გაიდგეს სიღრმით ფესვები,
თითო სტრიქონით გვეალერსებით,
მადლით, კურთხევით შეიმოსებით.

ბედნიერების წლებით იარეთ,
და რაც აქამდე გადაიტანეთ
გაკმაროთ ღმერთმა, მომავლის დღენი
სიხარულით და შვებით იგრძენით.

პ ო რ ტ რ ე ტ ი

♥□💗 💗 □ □□□

ერთი წუთით დარი ვარ,
ერთი წუთით ავდარი,
მხოლოდ ცალი მხარე ბრწყინავს,
ერთი მუქად რად არის?

ორად იყოფა პორტრეტი,
ერთი მოხატა ფერწერამ,
მეორეს ფარავს გრაფიკა,
მხატვარი არსად ეწერა.

მსურს გადაწონოს ფერებმა,
შერწყმული საღებავებით
და გავაახლო ფრაგმენტი,
ფუნჯების ხელში აღებით.

ორად იყოფა პორტრეტი...

ლექსის მიღმა

ცეკვავს ფურცელზე ჩემი კალამი,
ცეკვავს, ილეთებს რითმად იყენებს,
სამკაულს ჭედავს ლექსის სტრიქონად,
რიტმზე სტროფებსაც გამოიცეკვებს.
კალმის წვერიდან გადმოიღვრება,
შთაგონებები შექმნიან რითმებს,
ის, რაც სხვებამდე მისატანია,
როგორ დავმალო, გული ვერ მითმენს.
სიტყვების ფარდაგჩამოფარებულს
ალბათ სულ ყველა ვერ შეიხორცებს
და ვინც იპოვნის მასში დაფარულს,
ის ლექსთთან ერთად მარად იცოცხლებს.

ქართული ენა

რა საამურად ჟღერს ჩვენი ენა,
თითქოს ჰანგებმა მიიპყრეს სმენა,
პირველი ასო, პირველი წიგნი,
მან შეგვასმინა მოგვმადლა რწმენა,
ქართული ენით ვადიდებთ უფალს,
მისით შევამკობთ სალხინო სუფრას,
ქართული ლექსიც ამ ენით სუნთქავს ,
შემოქმედებას დღემდე რომ უთქვამს.
ასო "ანიდან" ასო"ჰოემდე"
ბავშვი ტიტინით მას წაიკითხავს,
ჩვენი ქართული ზურგს გაგვიმაგრებს,
ღმერთი ამ ენით რომ განგვიკითხავს.
სამშობლოს ვეტრფით ნატიფი სიტყვით,
ქართული მღერა ანათებს ქვესკნელს,
პირველ ბგერებსაც ქართულად ვიტყვით,
მისით შევძახებთ კვლავ უკანასკნელს.
ასო-ბგერებად დავთესავთ ქართულს,
და მარცვალმარცვალ აღმოცენდება,
ჩვენი სამშობლოს ენის ქისაში
ქართული სიტყვა არ დაიცლება.

სიხარული გაზაფხულით

ყვავილები, ყვავილები, ყვავილები...
ზამთარ გამოვლილები და დაღლილები,
შეიმოსნენ,ჩანს პალიტრის ფერთა წყება,
გაზაფხულის კარნავალი დაიწყება.
მოიფანტა საკმევლის სურნელება,
ველზე სითბო არასოდეს განელდება.
ყვავის ნუში,ხის პეპლები მოიბნევა,
სიხასხასით ბაღი უცხოდ მოირთვება.
ყვავილები, ყვავილები, ყვავილები,
ახლადგაღვიძებულები, ხატულები,
შეიმოსნენ, არ ღირს ამის დავიწყება:
სიხარული გაზაფხულით დაიწყება.

დარდეგის სამოსახლოში

რწმენა

რაა სიცოცხლე თუ არ იწამებ,
ინტუიციით მგონი არც ვცდები,
ჩემს გულის ჯვარცმას ასე ვუწამლე,
შენ მტრედის სახით მოფრინდი დედი.
და მომიტანე ყვავილის ტოტი,
მომიალესე თვალებით შვილო,
თვალიდან ცრემლი უჩუმრად მომდის,
ჩემო კეთილო,ძალიან ტკბილო.

გილოცავ

ჩემო პეწენიკა მულო,
უსაყვარლესო ქალო,
დარდებით ანაგულო,
სიერთგულეთი მთვრალო.
დაბადების დღეს გილოცავ,
ზეცაში ჩემო თამარ,
ვინ დაგასწრებდა მილოცვას,
შენ მილოცავდი თავად.
არ დაიდარდო დაიკო,
არა იდარდო რამე,
ცუდი არ მინდა გაიგო,
ცუდ ფიქრს არ გაგაკარებ.
შვილიშვილები კარგად გყავს,
ტყესაც დაუსკდა კვირტი,
მეც ნერგს მიწაში გადავრგავ,
ჭიკჭიკიც ისმის ჩიტის.

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი

აღდომას ცაში შეხვდები

ნარგიზა ლომსაძე საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანში დაბადებული და გაზრდილი იყო. ძირულის ხეობელი ქალბატონი ნარგიზა, ჩემი აწ გარდაცვლილი შალვა მასწავლებლის შვილი იყო. უკეთილშობილეს ოჯახში გაზრდილ ქალბატონს, არ აკლდა ზრდილობა. სკოლაში გამოირჩეოდა სწავლით. მე მასზე უფროსი ვიყავი, სკოლა ნარგიზაზე ადრე დავამთავრე და ჩვენი ბავშობის მეგობრობის გზები გაიყარა. გავიდა რამდენიმე წელი და ჩემი თბილი მეგობერი, ბედით ჩემს გვერდით სოფელში მოხვდა. შექმნა არაჩვეულებრივი ოჯახი თამაზ მიქელაძესთან ერთად. გაზარდა ოთხი შვილი. არ დააკლო დედის ალერსი და შრომა. ნარგიზას ვაჟი მამაოა, მამა ილარიონი. უფლის გზაზე დამდგარი მამაო ყველას უყვარს და მამაოსაც უყვარს ყველა. ადამიანთა ბედი დაბადებამდე იწერებაო ამბობენ. ჰოდა, ჩემს ბავშობის მეგობარს, გარდაცვალება აღდომამდე ორი დღით ადრე შეხვდა ბედისწერით. გაემგზავრა ნარგიზა უფალთან, პირნათელი და ყველასთან ვალმოხდილი. უკეთილშობილესი და ლამაზი ქალბატონი, მჯერა პირდაპირ სამოთხეში მოხვდება. გზა ნათელი ჩემო ტკბილო ბავშობავ. შენს შვილებს შეძლებისდაგვარად ჩემი გულის სითბოს გაუნაწილებ. ეს მოვალეობაცაა, რადგან შენი შვილები, ჩემი შვილიშვილების ძალიან ახლო სისხლის ნათესავები არიან.

ლამზირა შეყილაძე

რაც შენ წახვედი

აღარ მახარებს მაისი,
შენი არყოფნის გამო,
ჩემი სიცოცხლეც დასრულდა,
და უსიცოცხლოდ ვწამობ.
შემომესიენ დარდები,
შიგნიდანა მხრავს ჯავრი,
უშენოდ როგორ დამძიმდა,
ჩემი საზიდი ჯვარი.
ეხ! ჩემო სულის მეხოტბევ,
დამისნეულდა გული,
უკვე მეოთხედ მოვიდა,
გულჭრელი გაზაფხული.
დღსაც ლოცვებში ვიხსენებ,
სნეულებსა და მტარვალს,
რა დაუშავე საწუთროს,
ასე უღვთოდ რომ მტანჯავს.
დრო გადის ვაი-ვიშობით,
გულს უშენობა უჭირს,
რაც შენ წახვედი მას შემდეგ
ვუხმობ და ველი სიკვდილს.
გულის ჯებირებს მილეწავს,
სულში ჩაღვრილი სევდა,
დაბადების დღეს გილოცავს
გულჩათუთქული დედა.

მამა შვილს ვაჟას და ზურას

ახლა ერთად ხართ

ვერ ვიგრძენი გაზაფხულის მოსვლა,
უთქვენობამ ჩამინაცრა გული
სადაც წავალ ყველგან ცრემლით გეძებთ
და მიკვნესის სული გაძარცვული...

შარშან, ამ დროს... ჩემს ალიკას საფლავს
დავსტიროდით და ვუნთებდით სანთელს.
მოკლე ხანში შენც წახვედი ზურა!
მამაშენმაც ვერ გაუძლო დარდებს.

ახლა... ერთად ხართ და განისვენებთ,
ვერ გხედავთ და ხელით ვერ გეხებით.
უთქვენობა მღლის და მაცამტვერებს
მონატრებით კედელს ვეხეთქები.

დაღლილ გულში ქაოსია სრული
დარდ მწუხარე სიკვდილს ვუზავდები
ღმერთმა იცის... დარდებს შეხიზნული
ჟამთა სვლაში, თუ რამდენჯერ ვკვდები...

გიუნაშვილი ნელი

ვუძღვნი მზეჭაბუკს, ღიმილიანს,
სიკეთით სავსე ადამიანს

დათა შუბითიძეს

სიზმარში ვნახე ყმაწვილი,
ღიმილიანი, მცინარე...
ვარსკვლავებს დასთამაშებდა,
მზის სხივებს სწვდება მღიმარე.

ვკითხე, აქ როგორ აღმოჩნდი?
რად არ ბრუნდები შინაო,
ღიმილით მითხრა,- უფალმა...
აქ მომიჩინა ბინაო.

უნდა ვილოცო იმათზე,
ვინც ჩემთვის ცრემლი ღვარაო,
ვილოცო საქართველოსთვის,
წუხილი, გლოვა კმარაო.
უფალთან ყოფნა ვარჩიე,
უფალმა შემიყვარაო.

24. 06. 2020

გულნაზ ხარაიშვილი

მიმატოვეთ

ამირან ხარაიშვილი

მენატრები ისე ძლიერ,
ცრემლიც უკვე აღარ მშველის,
თვალით ვეძებ სახის იერს,
ბედით დადგა ჩემთვის რთველი.

მიმატოვეთ ცრემლთან ერთად,
თავს ვიმაგრებ ჩემით ისევ,
ან რას ფიქრობს ჩეზე დედა,
ზეციდან რომ მშვიდად მიცქერს!

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი

სიყვარულის არეალი

(ვასო და მარი)

მზის სხივს სჯობნის თქვენი სხივი,
სიყვარულის გრძნობის მთვარეს,
გაგეზარდოთ ათი შვილი,
გაანათონ არემარე.

ზოგი მარის დაემგვანოს
ზოგიც ვასოს, თბილს და კეთილს,
მთვარე ცაში დაცარგვალობს,
მზე ატარებს დიდ გაკვეთილს.

მე კი გლოცავთ ძვირფასებო,
ავმა თვალმა დაგიფაროთ,
თქვენ ხართ სულის საარსებო,
ღმერთმა ციდან გითვალთვალოთ.

თქვენი გრძნობის არელი,
მისაბაძი არი სხვისთვის,
ვასოს მადლი ბევრი არის,
ლუკმას რომ ყოფს მუდამ ძმისთვის!

ზურაბ მამულაშვილი

ნინო უძილაურს

* * *

არ ვიცი შენ თვითონ იცი თუ არ იცი,
შენ თვალებს რა ძალა ჰქონია ძვირფასო,
როდესაც გიყურებ სიხარულს განვიცდი,
ეს, მე, რომ არ მეთქვა, გეტყოდა პიკასო.
უძირო თვალებში სჩანს მთელი სამყარო,
ვერა და ვერ ვუძლებ მზერას და სამშვილდეს,
როდესაც ვერ გხედავ, ვცდილობ, რომ დაგხატო,
შენს გარდა ამ ქვეყნად ვერავინ მამშვიდებს.
ტაძარში შევალ და დავანთებ წყვულ სანთელს,
სხვა რა შემიძლია ეულს და მარტოკაცს,
ამ ქვეყნად ვინატრებ, უფრო მეტ სინათლეს,
შენ უკვდავებისთვის, შევთხოვდი მაცხოვარს.

❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤❤

სარჩევი

გულნაზ ხარაიშვილი.....2
*** გული შენი რწმენით ცოცხლობს
ხატმწერები: **ხატია** და **გიორგი ლარიაშვილები**
წმინდა იოანე ოქროპირი 3
ხარება.....4
სულთმოფენობა (ფრაგმენტი).....5
გულნაზ ხარაიშვილი
მამა გაბრიელი.....6
უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 7
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი).....8
გულნაზ ხარაიშვილი.....9
თეა კანდელაკი 10
მე გამოვძერწე…

პოეზია

ვაჟა ეგრისელი..... 12
ედუარდ უგულავა 16
გერონტი მესხი 17
ნანა ცინცაძე..... 20
ეთერ ჭელიძე 22
მალვინა ჭელიძე..... 24
ამირან ამირანაშვილი 26
ხათუნა დოლიძე 30
ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 32
ნინო უძილაური 34
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე..... 38
ნელი საგინაძე
თენგიზ დარსანია..... 42
ნანა ბოჭორიშვილი-ჩარკვიანი..... 46
ცავლინა ჭაფოძე .....
ირინოლა ფერაძე..... 52
ანამარია ლილუაშვილი..... 54
გიგი თეთრაძე 56
მანანა შალიკაშვილი 58
შორენა ჩხიკვიშვილი.....
ქეთევან ჯინჭარაძე..... 60
ლია ხმიადაშვილი 62
მარიკა ძირულისპირელი-კაპანაძე 66
თენგო ფანცულაია..... 68
გურამ სახვაძე..... 70
ნელი გიუნაშვილი..... 73
მანანა სამყურაშვილი 76
ეკატერინე გაბედავა 80
თამრო სვანი-ნიჟარაძე 82
ლიანა კაკუბავა..... 86
გერმანე საზანოელი..... 88
ხათუნა ჩიტაძე..... 90
გოგუცა ხერგიანი..... 92
ირმა სარაული..... 64
ნანა მომცელიძე 96
ჯუბა ღეგელი..... 98
მარინა იმნაიშვილი 100
ირმა ალფაიძე..... 103
ლამზირა შეყილაძე 104
ნატალია სამუშია 106
მირზა ვარძუკაშვილი 110
მამუკა ოჩიაური 113
ლეილა ვადაჭკორია 116
თინიკო ხაბურზანია 118
ლეილა გაფრინდაშვილი 120
ბელა ალანია..... 122
ლელა კობერიძე-ჭიაურელი 124
აზა შანავა 126
ზურაბ მამულაშვილი 128
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 129

მგის ფერეგფი

გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი).....136
ნანული გვარიშვილი 139

არდავიწყება მოღვაწეთა

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)..... 14
ბეჟან ხარაიშვილი 141
ელგუჯა მგელაძე 142
როსტომ სხირტლაძე
გულნაზი ხარაიშვილი (ცისკარელი) 146
სევდის ფერებში
პლატონ ჩადუნელი..... 148
დალი აბესაძე.....150
ჯუმბერ ლეჟავას გახსენება

საგავშვო განყოფილება

ცაგო აბაშმაძე 151
ირინოლა ტყეშელაშვილი 154
გამოცანები

იგავარაკები

ნანული ჯავრიშვილი 157

თარგმანები

Ratiani Lali.....158
Aus Samebas Glockenturm Fortsetzung

პროზა

ელგუჯა მგელაძე.....161
მადლობა უფალს!
ირმა კეკელიძე.....164
ქრისტეშობიდან ქრისტეშობამდე
მაყვალა გონაშვილი 173
ო, ეს წყურვილი არდაბერების
გიორგი კეკელიძე 178
რეზო ადამია 180
ნიკო ფიროსმანაშვილი და ივანე კეკუა
გარი ჩაფიძე.....185
სიყვარულის ლაბირინთი
ხათუნა დოლიძე.....189
ოტია მესაფლავე
თენგიზ დარსანია 192
ოპტიმისტი
ნელი საგინაძე 194
სიტყვაშეფიცულები
დარეჯან ფერაძე.....198
თოკზე გაფენილი ბავშვობა
ნინო რეხვიაშვილი..... 202

მონაზონი იოანა 207
მადლიერება
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 209
ნორა ედიშერაშვილი 225
ქართულ-ებრაული საერთაშორისო ორგანიზაცია "მეგობრობის მერიდიანების"
ხათუნა კვესელავა 227
ნელი გიუნაშვილი 229
სიხარულის ზეიმ ი
მზია ელიაძე 230
მგერათ კორიანტელში
ნანა მომცელიძე 232
შინდისფერი წერტილი

წერილები

ლუარა სორდია 234
სტირდა სული ცისფერ ღვინოებს
მანანა კვატაია 237
თაურმცენარის კონცეპტის გოეთესეული და რობაქიძისეული გაგებისათვის
შორენა მამალაშვილი 242
გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი საღამო
Ratiani Lali 248
Sprachenvielfalt in anderen kulturellen Kontexten
ხათუნა ელიაშვილ-ჩიმაკაძე 250
„შეიცან თავი შენი!“ სიტყვაა უდიდესი!

ხიბრძნის ხეივრი

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 253
გონების ზღვარზე. ადამიანი – ყოფიერება, სიტყვა, საქმე, მორალი
თეა გურგენიძე 257
აზრები
ლიანა კაკუბავა 258
მინიმები

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი 259
სულიერ ფასეულობათა ანბანი

შემეცნებითი ხასმყარო

ნაირა უგულავა (ნია გორდელი) 261
გრალის თეორია

ისტორია

ნიკო ხერკელაძე 265
ცრემლში ნალესი ხმალი

ხელოვნება

აზა შანავა 269

ფიზკულტურა და სპორტი

ჯემალ არობელიძე 271

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, თამარ კვინიკაძე 282
ეკონომიკის ზრდის გენერირების ფუნქცია, ბანკის რესურსების მულტიპლიკაციის პრაქტიკუმი
გულნაზ ხარაიშვილი 285
დაბადების დღის მოლოცვა

ნორჩი ათინათელი

გიორგი ქენქაძე 289
ნუცა ჩიტაძე 291

დარდების სამოსახლოში

გულნაზ ხარაიშვილი 293

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი 293
ლამზირა შეყილაძე 294
გიუნაშვილი ნელი 295

გულნაზ ხარაიშვილი 295

მილოცვა

გულნაზ ხარაიშვილი 296
ზურაბ მამულაშვილი 296

ავტორთა სყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

მასალები მიიღება ელექტრონული სახით, საბოლოო სამუშაო Word-ის გაკორექტირებული ფაილი. რედაქცია პასუხს არ აგებს ავტორების გადმოგზავნილ მასალებზე.

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE05TB7698236080100014

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და ბოლო გვერდზე ხატი „დედა ღვთიშობელი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: მალხაზ ჩხიტუნიძე – ეკონომისტი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების რედაქტორები: ჯემალ მეგრელიძე

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
მედიცინის განყოფილების რედაქტორები: ნაირა უგულავა – ექიმი (პოეტი), და
ლეილა გაფრინდაშვილი – ექიმი (პოეტი).
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

გამომცემლობა

საარი